თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი
თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფალი თეატრალური პროექტები

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი

თბილისი, 2015-2016

გამოცემის მთავარი რედაქტორი და პროექტის ავტორი:

ლაშა ჩხარტიშვილი - თეატრმცოდნე, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კრებულზე მუშაობდნენ:
თეატრმცოდნეები და კრიტიკოსები: ირინა ღოღობერიძე, თამარ ქუთათელაძე, მაკა ვასაძე, ლელა ოჩიური, გიორგი ყავჯრიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ნერონ აბულაძე, ლელა არაბიძე, ლელა წიფურია, გუბაზ მეგრელიძე, გიორგი ცქიტიშვილი, ანა მირიანაშვილი, საბა-ფირუზ მეტრეველი, მაია კიკნაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, თამარ მუქერია, თამარ კამლაძე, მარიამ იაშვილი, ნიკოლოზ წულუკიძე.

სტატისტიკისი: ლოლიტა შენგელია

გარეკანის დიზაინი: ბესო დანელია
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ეკატერინე ოქროპირიძე
სტილი და კორექტურა: მანანა სანადირაძე

პროექტი მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ და განხორციელდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში.

მადლობას მოვახსენებთ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში შემოსული თეატრალური პროექტების განმხილველი სარეკომენდაციო საბჭოს წევრებს, თეატრმცოდნეებს: **ვასილ კიკნაძეს, მაკა (მარინე) ვასაძეს, ნიკოლოზ წულუკიძესა და დოდო სურცილავას** პროექტის მხარდაჭერისათვის.

განსაკუთრებული მადლობა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავმჯდომარეს: **ზურაბ წერეთელსა** და თეატრალური პროექტების კურატორს **სოფიო სიხარულიძეს** აღნიშნული პროექტის განხორციელებაში აღმოჩენილი დახმარებისთვის.

საბაზისო მასალა მოწოდებულია თავად თეატრების მიერ.

© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი/Modern Georgian Theatre Researche Center
© თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი/Tbilisi Culture events Center
© ლაშა ჩხარტიშვილი/ Lasha Chkhartishvili

ISBN 978-9941-0-8363-1

სიამოვნებით მივიღებთ თქვენს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, კეთილ სურვილებს ან ინფორმაციას ხარვეზების შესახებ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: georgiantheatre@iliauni.edu.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 6

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში 2014 და 2015 წელს განხორციელებულ სპექტაკლების სტატისტიკური ანალიზი 10

თეატრები და სათეატრო ორგანიზაციები (გამოხმაურება)

სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

შეშლილის წერილები (მარჯანიშვილის თეატრის და Emilia Romagna Teatro Fondazione -ის კოპროდუქცია (საქართველო - იტალია) 58
თამაში მაგიდასთან (თითების თეატრისა და მარჯანიშვილის თეატრის ერთობლივი პროექტი) 61
ათვინიერებენ მიმინოს 68
კრამერი კრამერის წინააღმდეგ 70
მოთამაშეები 71
ჩემი მეჟოლია 72
რა ვუყოთ ამ ჩელოს? 74
მელპომენა 80
ლისისტრატე 81
წასვლა 82

სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
დორიან გრეის პორტრეტი 82
გრავიტაცია 87
ეს ხომ სამხეცეა 89
ჰედა გაბლერი 90
და იყო ღამე და იყო დღე 99

სსიპ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
ჭირვეულის მორჯულება 100
უდღეური დღეობა 107
ტრამვაი სურვილი 108
იმპულსი 116
მეფე ლირი 119

სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
სამი მუშკეტერი 120
სამეფო ძროხა 121
მე ვხედავ მზეს 131
მეფე ლირი თავშესაფარში 143
რექვიემი 151
ბაში-აჩუკი 155
სალამურას თავგადასავალი 169

სსიპ გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
იავნანამ რა ჰქმნა?! 170
მოხტუნავე პრინცესა 173
ტყის ზღაპრები 174

ააიპ თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
დედა 175

ააიპ სამეფო უბნის თეატრი
მოახლეები 188

ააიპ თბილისის თეატრი „გლობუსი“
შეშლილის წერილები 204
სკამი 205
დაკრძალვა კალიფორნიაში 213

სსიპ პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
მაცეკვე ტანგო 214

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
ჭირვეულის მორჯულება 215
სკაპენის ოინები 219
მატყუარები 222
სახურავი 223

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი
ანტიგონე 224

სსიპ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
ნავიგატორი 230
ქალი 235

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა ქართული პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“
თეთრი ბაირაღები 236
ჭინჭრაქა 239

სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ლიტერატურული თეატრი
ოთარაანთ ქვრივი 242

სსიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე
ზაფხულის ღამის სიზმარი 243

ააიპ თავისუფალი თეატრი
ჯულიეტა, ჯულიეტა 245

რა დროს შექსპირია 248
ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს 254
საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები 264

ააიპ მოძრაობის თეატრი
ინტრო 272
შექსპირი და ოპერა 274

ააიპ თეატრი ათონელზე
გზა ილიასი 282
ადამიანის ხმა 283
ძველებური ვოდევილი 283
ჭრილობა 284
ჰელვერის ღამე 284
დედა-დედოფალი 285

ააიპ გოგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი
გურჯი ხათუნი 286

ააიპ ახალგაზრდა ხელოვანების განვითარების ფონდი
დონ კიხოტი 288

ააიპ საბავშვო თოჯინების ოპერის თეატრი „მცირე პწკალა“
მუსიკალური ცისარტყელა 290

ააიპ რეგიონ ოპერა
დაისი 291

წინასიტყვაობა

თავისუფალი თეატრალური პროექტები
სტატისტიკურ-ანალიტიკური კვლევა

წინამდებარე კრებული წარმოადგენს თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების, შემდეგში სათეატრო პროდუქტის – სპექტაკლების კვლევითი ხასიათის კრებულს, რომელიც აერთიანებს გარკვეულ ინფორმაციას სპექტაკლზე, სტატისტიკურ დასკვნებსა და ანალიზს, თეატრმცოდნეთა, თეატრის კრიტიკოსთა რეცენზიებს, ბლოგებს, მათ გამოხმაურებებს.

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამა 2011 წლიდან წარმატებით ხორციელდება და დიდი პოპულარობით სარგებლობს თეატრის მოღვაწეთა შორის. ამ წარმატების დასტურია ის, რომ პროგრამის ფარგლებში ბევრმა ახალგაზრდა რეჟისორმა გამოავლინა თავისი პოტენციალი, ბევრი რეჟისორი დაუბრუნა თეატრს, ბევრს მოუტანა წარმატება და აღიარება საერთაშორისო ასპარეზეც კი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სპექტაკლები ხშირად წარმოდგენილია თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში და სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო ფესტივალებსა და სათეატრო ფორუმებზე.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულმა სპექტაკლებმა გამოავლინა არა მხოლოდ ახალგაზრდა რეჟისორები, არამედ მსახიობები, თეატრის მხატვრები, ქორეოგრაფები. ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სპექტაკლებზე დაიწერა რეცენზიები და ბლოგები პროფესიონალ თეატრმცოდნეთა მიერ, ეს სპექტაკლები გამხდარა მათი კვლევისა და პროფესიული ინტერესის ობიექტი. თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სპექტაკლები ხშირად არის ნომინირებული და გამარჯვებული სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო თეატრალურ პრემიებზე. ეს სპექტაკლები ხვდება თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებულ რეიტინგებში.

წინამდებარე კრებული, როგორც კვლევა, ეფუძნება 2014-2015 წლებში თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სპექტაკლებს. თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო 62 პროექტის დაფინანსებაში. ამ სპექტაკლებმა ნაწილობრივ აჩვენა თანამედროვე ქართული თეატრის დღევანდელობა, რეალობა, რომელშიც არსებობს და ვითარდება ქართული თეატრი... ამ სპექტაკლების მაგალითზე შეგვიძლია შევქმნათ თანამედროვე ქართული თეატრის სურათი, დავაკვირდეთ და ვიმსჯელოთ პროცესზე, რომელსაც ადგილი აქვს თბილისის ოცზე მეტ თეატრში. 62 სპექტაკლის კვლევა ნათლად ხატავს თანამედროვე ქართულ თეატრში მიმდინარე რთულ, წინააღმდეგობებით სავსე შემოქმედებით

პროცესს, პრობლემებს და პერსპექტივას.

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა ორი წლის განმავლობაში ითანამშრომლა თბილისის 20-ზე მეტ თეატრთან და სათეატრო ორგანიზაციასთან, მათ შორის, არის სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო თეატრები, ასევე სახელმწიფო და კერძო სათეატრო ორგანიზაციები, სხვადასხვა კავშირისა და ასოციაციის ინიციატივები.

სპექტაკლის განხორციელების ინიციატორი 96%-ის შემთხვევაში არის კერძო ორგანიზაცია ან თავად რეჟისორი, რომელიც ერთგვარი მენეჯერის ფუნქციას ითავსებს და ურთიერთობს ერთდროულად დონორთან (ცენტრთან) და თეატრთან. თეატრისა და რეჟისორის შეთანხმების საფუძველზე ხდება პროექტის საერთო ბიუჯეტის დათვლა და ამის შემდეგ წარედგინება დასრულებული პროექტი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრს. ხშირ შემთხვევაში პროექტის განაცხადს თავად თეატრი აკეთებს.

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში პროექტის მიზანშეწონილობას და მოსალოდნელ შედეგებს განსაზღვრავს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება პროფესიონალი ექსპერტებისგან. კომისიის წევრები არიან თეატრმცოდნეები: ვასილ კიკნაძე, დოდო ხურცილავა, მარინე (მაკა) ვასაძე და ნიკოლოზ წულუკიძე. 2014-2015 წლის სექტემბრამდე საბჭოს წევრი გახლდათ თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მანანა გეგეჭკორი. მისი ყურადსაღები პროფესიული რეკომენდაციები, რომელიც გამოცემის – „თბილისის თეატრები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში“ ავტორების მიმართ გამოთქვა, მთლიანად გათვალისწინებულია წინამდებარე კრებულში.

უკვე განხორციელებულ სპექტაკლებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სათეატრო კულტურის განვითარებისათვის. გარდა იმისა, რომ ცენტრის მიერ დაფინანსებულმა სპექტაკლებმა შეავსო სახელმწიფო თეატრების რეპერტუარი და ხელი შეუწყო თეატრების აქტიურ მუშაობას, გარკვეული თეატრების რეპერტუარი სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სპექტაკლებისგან შედგება, პროგრამამ გამოავლინა არა ერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული რეჟისორი და მსახიობი. დაფინანსებულმა პროექტებმა სასოწარკვეთილ ახალგაზრდა რეჟისორებს პროფესიაში დაბრუნების და მუშაობის გაგრძელების შანსი მისცა, ვინაიდან ახალ თაობას უჭირს სახელმწიფო თეატრებში სპექტაკლების განხორციელებისთვის სახსრების მოპოვება, სახელმწიფო თეატრი კი თვითდაფინანსებულ სპექტაკლს შედარებით მარტივად უხსნის კარს პროექტის განსახორციელებლად, რადგან თეატრი ამ შემთხვევაში იხსნის გარკვეულ პასუხისმგებლობას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვისას და მხატვრულ ხარისხზეც არ აგებს პასუხს. ახალგაზრდა რეჟისორებისთვის ამ პროგრამის არსებობამ თბილისის ბევრ სახელმწიფო პროფესიულ თეატრს გააღებინა კარები ახალგაზრდა რეჟისორებისთვის მათ მიერ შერჩეული დრამატურგიის სცენაზე განსახორციელებლად, რომლებსაც

ჯერ კიდევ არ აქვთ დამკვიდრებული ადგილი სათეატრო სივრცეში, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის პროგრამა ხელს უწყობს მათ ადგილის დასამკვიდრებლად სათეატრო სივრცეში და ამავდროულად აძლევს შანსს საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად.

ცენტრის პრიორიტეტი დაფინანსებისას არ არის მხოლოდ ახალგაზრდა, დამწყები რეჟისორებისთვის მხარდაჭერა და მათი წახალისება ან მოტივაციის გაჩენა, არამედ სახელმოხვეჭილი რეჟისორებისთვის სპექტაკლის დასადგმელად ხელშეწყობაც. ასე მაგალითად, ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თემურ ჩხეიძის, ავთანდილ ვარსიმაშვილის, ლევან წულაძის სპექტაკლები, რომლებიც ქართული თეატრისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

პროფესიულ წრეებსა და ფართო მაყურებელში პოპულარულ სპექტაკლებს შორის, ცენტრის მიერ დაფინანსებული სპექტაკლების გრძელ სიაში შევხვდებით წარუმატებელ პროექტებსაც, რომლებიც უკვე აღარ არის ამა თუ იმ თეატრის მოქმედ რეპერტუარში, სპექტაკლების ნაწილი არ გამოირჩეოდა მხატვრული ხარისხით, ორიგინალური რეჟისორული გადაწყვეტით, მნიშვნელოვანი არტისტული ანსამბლით, ან კერძო აქტიორული მიღწევით. სპექტაკლების გარკვეული კატეგორია მხოლოდ ორჯერ ან სამჯერ იქნა წარმოდგენილი მაყურებლის წინაშე. პროფესიული შეფასებები და კვლევა აჩვენებს, რომ დაფინანსებულ სპექტაკლებს შორის 30% მაღალმხატვრული ხარისხისაა, რაც კარგი მაჩვენებელია ზოგადად თანამედროვე ქართული თეატრისთვის, თუმცა სასურველია უფრო მეტი პროექტი იყოს წარმატებული, ვიდრე 62 სპექტაკლის 30%.

კრებული „თავისუფალი თეატრალური პროექტები“ ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სპექტაკლების სტატისტიკურ და ანალიტიკურ კვლევას. მათი სტატისტიკური და პროფესიული რეიტინგის დადგენას. პროექტის ფარგლებში 18-მა თეატრმცოდნემ და კრიტიკოსმა სხვადასხვა სპექტაკლზე დაწერა რეცენზიები, რომლებიც შესულია ამ კრებულში რუბრიკაში „გამოხმაურება“. სპეციალურად ამ კრებულისთვის 62 სპექტაკლზე სულ 57 რეცენზია (ბლოგი, გამოხმაურება, მიმოხილვა) დაიწერა. მათი ავტორები არიან სხვადასხვა თაობის თეატრმცოდნეები, კრიტიკოსები. პროფესიონალ, გამოცდილ კრიტიკოსთა გვერდით კრებულში დაბეჭდილია დამწყები, დებიუტანტი კრიტიკოსების წერილებიც. ასევე უკვე გამოქვეყნებული რეცენზიების რედაქტირებული და შევსებული ვერსიები. პროექტმა მოტივაცია გაუჩინა თეატრის კრიტიკოსებსა და თეატრმცოდნეებს, შეექმნათ ბლოგები, რეცენზიები, საავტორო სვეტები თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სპექტაკლებზე. ისინი არჩევანში იყვნენ თავისუფალი, ამ თავისუფლებამ გამოკვეთა კიდეც მათი კვლევის და ინტერესის ობიექტი სპექტაკლებიც.

სპექტაკლების კვლევამ ბევრი საინტერესო ტენდენცია გამოავლინა, რომელმაც ერთ კრებულში მოიყარა თავი. დიდი იმედი გვაქვს, გამოცემა პოპულარობით ისარგებლებს პროფესიულ წრეებში, თანამედროვე ქართული თეატრით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებასა და მეცნიერებს შორის,

რომლებიც არა მხოლოდ თეატრმცოდნეობაში, არამედ კულტურის მენეჯმენტის სფეროში მოღვაწეობენ. კრებული დიდ დახმარებას გაუწევს კულტურის მენეჯმენტის, თეატრმცოდნეობის, ჟურნალისტიკის და სხვა მიმართულების სამივე საფეხურის სტუდენტებს.

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, სპექტაკლების დადგმის ხელშეწყობასთან ერთად, განხორციელდა ქართული თეატრისთვის ასევე მნიშვნელოვანი სამი პროექტი. ცენტრმა თანადამფინანსებლის სტატუსით ხელი შეუწყო თანამედროვე ქართული დრამატურგიის განვითარებას მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფონდის (ხელმძღვანელი მანანა ანთაძე) პროექტის „ახალი ქართული პიესა“ განხორციელებით, ასევე „თეატრალური ცენტრის“ (ხელმძღვანელი თეა კახიანი) მიერ ორგანიზებულ ვორქშოპს თანამედროვე სათეატრო კრიტიკაში, რომელსაც უძღვებოდა თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი მარკ ბრაუნი. ასევე ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ ორგანიზებული კვლევა და გამოცემა – „თბილისის თეატრები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში (ანალიტიკა, პრაგმატიკა, სტატისტიკა)“. გამოცემა დიდი პოპულარობით სარგებლობს თეატრის მოღვაწეებს, კულტურის მენეჯმენტით დაინტერესებულ მკვლევარებსა და სტუდენტებს შორის. კრებული არაერთხელ გახდა სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების მომზადების ინსპირაციის წყაროც და საყრდენი მასალა ნაშრომის მოსამზადებლად.

ლაშა ჩხარტიშვილი
თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
თანამედროვე ქართული თეატრის
კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში 2014 და 2015 წელს განხორციელებულ სპექტაკლების სტატისტიკური ანალიზი

ლოლიტა შენგელია
სტატისტიკოსი

კრებული ,,თავისუფალი თეატრალური პროექტები'' ითვალისწინებს თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სპექტაკლების სტატისტიკურ ანალიზს, რისთვისაც გამოყენებული იქნა აღწერითი სტატისტიკის მეთოდი. აღწერითი სტატისტიკის ეს მეთოდი აღწერს შესასწავლი მონაცემების ძირითად თავისებურებებს. ის იძლევა წარმოდგენას შერჩევისა და გამოყენებული საზომების შესახებ და უბრალოდ აჯამებს, თუ რას აჩვენებს მიღებული მონაცემები.

თავისუფალი თეატრალური პროექტების კვლევისთვის გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული კითხვარი (იხ. კითხვარი დანართის სახით), რომელიც დაეგზავნა თეატრების ადმინისტრაციას ელექტრონულ მისამართზე შესაბამისი ინსტრუქტაჟით. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მხრიდან მოხდა შევსებული კითხვარების გამოგზავნა მითითებულ ელ-ფოსტაზე. თეატრების მიერ შევსებული კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია დამუშავდა ამ მიზნით შექმნილ მონაცემთა ერთიან ბაზაში, რასაც დაეფუძნა მიმდინარე კვლევა.

კვლევა ეფუძნება, თბილისში მოქმედი 20-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო თეატრიდან, ასევე სათეატრო ორგანიზაციებიდან მიღებულ მონაცემებს თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სპექტაკლების თაობაზე.

მონაცემთა ერთიან ბაზაში შეყვანილია ინფორმაცია 62 სპექტაკლის შესახებ, სამწუხაროდ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, რეგიონ ოპერის სპექტაკლი ''დაისის'' შეყვანა ბაზაში ვერ მოხერხდა სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფიდან ინფორმაციის მოპოვების შეუძლებლობის გამო.

კვლევა ატარებს აღწერით ხასიათს და ის მოიცავს პერიოდს 2014 წლის 1 იანვრიდან და 2015 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

აღნიშნული კვლევის შეზღუდვაა ის, რომ არ არის პირდაპირი კონტაქტი თეატრის ადმინისტრაციასთან და ინფორმაციის მიღება ხდებოდა მხოლოდ დიგიტალური (ციფრული) ფორმით, მონაცემები კი გროვდება მშრალი ციფრების სახით.

მონაცემების სანდოობა და ვალიდურობა დაფუძნებულია თეატრების ადმინისტრაციების მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე. მონაცემთა ანალიზის ცდომილება კი ტოლია დაახლოებით 1%-ის, რადგან ბაზა არ იძლევა საშუალებას მოახდინოს მსახიობების ან თუნდაც მხატვრების, ქორეოგრაფებისა თუ კომპოზიტორების იდენტიფიცირება. ბაზაში შეყვანილია თითოეულ სპექტაკლზე მომუშავე პირთა რიცხვი პროფესიების მიხედვით (რეჟისორი, მხატვარი, მსახიობი) და მიღებული მონაცემები მუშავდება გაფილტვრის გზით.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში 10 სპექტაკლის დადგმა განხორციელდა:

შეშლილის წერილები (მარჯანიშვილის თეატრის და Emilia Romagna Teatro Fondazione -ის კოპროდუქცია (საქართველო - იტალია), რეჟისორი ლევან წულაძე;
თამაში მაგიდასთან (თითების თეატრისა და მარჯანიშვილის თეატრის ერთობლივი პროექტი), რეჟისორი ბესიკ კუპრეიშვილი;
ათვინიერებენ მიმინოს (რეჟისორი პეტრე ჩარგეიშვილი);
კრამერი კრამერის წინააღმდეგ (რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი);
მოთამაშეები (რეჟისორი დენ ხლიბოვი);
ჩემი მეჟოლია (რეჟისორი ხათუნა მილორავა);
რა ვუყოთ ამ ჩელოს? (რეჟისორი გიორგი თავაძე (იმარინდო);
მელპომენა (რეჟისორი მერაბ გეგია);
ლისისტრატე (რეჟისორი ლაშა შეროზია)
წასვლა (რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი, დადგმის ხელმძღვანელი ლევან წულაძე).

აღსანიშნავია, რომ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში 2014 და 2015 წლებში თავისუფალი თეაატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სპექტაკლების დრამატურგიის სცენაზე განხორციელების თვალსაზრისით მრავალფეროვანია. 10 სპექტაკლიდან მარჯანიშვილის თეატრში განხორციელდა: 2 უცხოური კლასიკა, 3 თანამედროვე უცხოური და 5 თანამედროვე ქართული დრამატურგია.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამით დაფინანსდა შემდეგი რეჟისორების პროექტები: პეტრე ჩარგეიშვილი; მერაბ გეგია; ლაშა შეროზია; ბესო კუპრეიშვილი; ხათუნა მილორავა; ლევან წულაძე; დავით ჩხარტიშვილი; დენ ხლიბოვი და გიორგი თავაძე (იმარინდო).

რეჟისორების განაწილება ასაკობრივი ჭრილის და სქესის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკებში.





აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თეატრის სამახატვრო ხელმძღვანელმა ლევან წულაძემ ორი უცხოური კლასიკური დრამატურგიიდან განახორციელა თავისი დადგმები. ერთი დამოუკიდებლად (შეშლილის წერილები) და მეორე თავის სტუდენტთან დავით ჩხარტიშვილთან ერთად (წასვლა), რომლის დადგმის ხელმძღვანელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. ლევან წულაძის სპექტაკლმა „შეშლილის წერილები“ თეატრალურ პრემიაზე „დურუჯი“ (2015 წ.) მოიპოვა მთავარი პრიზი – საუკეთესო სპექტაკლი.

გაანალიზებული 4 პერიოდის განმავლობაში

1 პერ. 1 იან.**2014- 1** სექ.**2014**	**2** პერ. **1** სექ.**2014-1** იან.**2015**	**3** პერ. **1**იან.**2015-1** სექ.**2015**	**4** პერ. **1** სექ.**2015-15** დეკ.**2015**

მარჯანიშვილის თეატრმა 12 მხატვარი, 5 ქორეოგრაფი და 82 მსახიობი დატვირთა, მათგან 30 ქალი და 52 მამაკაცი.



ამ ხნის განმავლობაში კი თეატრმა 426 სარეპეტიციო პროცესი და 63 სპექტაკლის წარმოდგენა გამართა. გაყიდული ბილეთების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 3 138. მაყურებელების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 3 168.



ზოგადად, თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, მიუხედავად მარჯანიშვილის თეატრის ნაყოფიერი მოღვაწეობისა პოტენციალი გამოყენებულთან შედარებით თეატრს მეტი გააჩნდა. კერძოდ, თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, გამართული 63 სპექტაკლის წარმოდგენაზე, როგორც აღვნიშნეთ 3168 მაყურებელი ესწრებოდა, თუმცა პოტენციალი გაცილებით მეტი ქონდა 7024. აღნიშნულის მიხედვით, დარბაზი მხოლოდ 31%-ით შეივსო საერთი ჯამში, თუმცა იყო ანშლაგებიც და ეს ყველა სპექტაკლს არ ეხება (მაყურებელთა ცხოველი ინტერესით გამოირჩევა ლევან წულაძის „შეშლილის წერილები“ და ბესო კუპრეიშვილის „თამაში მაგიდასთან“).



მარჯანიშვილის თეატრში ფაქტობრივად სრული ანშლაგით ჩაირა სპექტაკლებმა: „შეშლილის წერილები“ (რეჟისორი ლევან წულაძე), თითების თეატრთან ერთად განხორციელებულ სპექტაკლმა „თამაში მაგიდასთან“ (რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი) და „ათვინიერებენ მიმინოს“ (რეჟისორი პეტრე ჩარგეიშვილი). აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი არამხოლოდ რეჟისორია ამ სპექტაკლის, არამედ სცენოგრაფად და მუსიკალურ გამფორმებლადაც გვევლინება. აღნიშნული სპექტაკლის დადგმა სრულად თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა დააფინანსა.

მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული 10 სპექტაკლიდან, პროექტის ავტორებად თავად სპექტაკლის ავტორები გვევლინებიან, 7 რეჟისორმა სპექტაკლის დაფინასების თაობაზე პროექტი, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში თავად წარადგინეს. მათგან უმეტესობა ახალგაზრდა რეჟისორია, რომელთაც თეატრმა მხოლოდ სივრცე დაუთმო და თავისი რესურსით (მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური) დაეხმარა პროექტის

განხორციელებაში. დანარჩენ შემთხვევაში („შეშლილის წერილები“, „თამაში მაგიდასთან“ (თითების თეატრმა), „წასვლა“) პროექტის წარმდგენი თავად თეატრი იყო.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში 5 სპექტაკლი დაიდგა:

გრავიტაცია (რეჟისორი თინათინ ქოიავა);
და იყო ღამე და იყო დღე (რეჟისორი მანანა სურმავა);
დორიან გრეის პორტრეტი (რეჟისორი ნინი ჩაკვეტაძე);

ეს ხომ სამხეცეა (რეჟისორი ბექა ქავთარაძე);
ჰედა გაბლერი (რეჟისორი თამარ გომართელი).

აღსანიშნავია, რომ 5 სპექტაკლიდან 3 უცხოური კლასიკური დრამატურგიაა, 1 თანამედროვე უცხოური და 1 თანამედროვე ქართული.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი რეჟისორების: თინათინ ქოიავას, მანანა სურმავას, ნინი ჩაკვეტაძის, ბექა ქავთარაძის, თამარ გომართელის პროექტები.

რეჟისორების განაწილება ასაკობრივი ჭრილის და სქესის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ გრაფიკებში.





გაანალიზებული 4 პერიოდის განმავლობაში, მუსიკისა და დრამის სახელმწიფო პროფესიული თეატრმა 6 მხატვარი, მათ შორის, 2 მხატვარი იყო დაკავებული თამარ გომართელის სპექტაკლში „ჰედა გაბლერი“, 3 ქორეოგრაფი და 38 მსახიობი დატვირთა, მათგან 16 ქალი და 22 მამაკაცი.



ამ ხნის განმავლობაში კი თეატრმა 540 სარეპეტიციო პროცესი და 23 სპექტაკლის წარმოდგენა გამართა. გაყიდული ბილეთების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 861. მაყურებელების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 1045. აღნიშნულის მიხედვით (პროგრამის ფარგლებში დადგმული ყველა სპექტაკლის მიხედვით) დარბაზი მხოლოდ 27%-ით შეავსო საერთი ჯამში, რადგან რეალურად შეეძლო 2772 მაყურებელი ყოლოდა.



მუსიკისა და დრამის სახელმწიფო პროფესიული თეატრისთვის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებამ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში საერთო ბიუჯეტის 56% შეადგინა.



აღსანიშნავია, რომ სხვა დაფინანსების 16% მოდის ახალგაზრდა რეჟისორის ნინი ჩაკვეტაძის სპექტაკლზე „დორიან გრეის პორტრეტი“, რომელიც მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დააფინანსა.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო პროფესიული თეატრში ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა სპექტაკლებს: „დორაიან გრეის პორტრეტი“ (რეჟისორი ნინი ჩაკვეტაძე) და „გრავიტაცია“ (რეჟისორი თინათინ ქოიავა).

2015 წელს სპექტაკლი „დორაიან გრეი“ წარდგენილი იყო შემდეგ უცხოურ ფესტივალებზე: Fiat-Festival Internationalnog Alternativnog Teatra, პოდგორიცა მონტენეგრო და EX-Ponto Festival Neta Network ლიუბლიანა სლოვენია. სპეტქაკლს ჯერ-ჯერობით არ აქვს მიღებული რაიმე სახის ჯილდო.

მუსიკისა და დრამის თეატრში განხორციელებული 5 სპექტაკლიდან პროექტის წარმდგენი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში თეატრი იყო მხოლოდ ორი სპექტაკლის: „ჰეად გაბლერისა“ და „ეს ხომ სამხეცეა“ შემთხვევაში, დანარჩენი 4 პროექტის ავტორი არის თავად სპექტაკლის რეჟისორები.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა
პროფესიული სახელმწიფო თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა სახელმწიფო პროფესიული თეატრმა 5 სპექტაკლი დადგა:

ტრამვაი-სურვილი (რეჟისორი ქეთი დოლიძე);
უდღეური დღეობა (რეჟისორი ნინი ჩაკვეტაძე);
ჭირვეულის მორჯულება (რეჟისორი ჰილარი ვუდი);
იმპულსი (რეჟისორი თინათინ ქოიავა);
მეფე ლირი (რეჟისორი ზურაბ გეწაძე);

აღსანიშნავია, რომ 5 სპექტაკლიდან 3 უცხოური კლასიკური დრამატურგიაა, 1 თანამედროვე უცხოური და 1 თანამედროვე ქართული პიესა.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ შემდეგი რეჟისორები: ქეთი დოლიძე, ნინი ჩაკვეტაძე, ჰილარი ვუდი, ზურაბ გეწაძე და თინათინ ქოიავა.

რეჟისორების განაწილება ასაკობრივი ჭრილის და სქესის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ გრაფიკებში.





მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა 5 მხატვარი, 6 ქორეოგრაფი და 65 მსახიობი დატვირთა, მათგან 24 ქალი და 41 მამაკაცი.



ამ ხნის განმავლობაში თეატრმა 420 სარეპეტიციო პროცესი და 24 სპექტაკლის წარმოდგენა გამართა. გაყიდული ბილეთების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 2292. მაყურებლების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 3648. აღნიშნულის მიხედვით დარბაზი 54%-ით შეივსო საერთი ჯამში, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია,

რეალურად კი აღნიშნული რეპერტუარით თეატრს შეეძლო 4 200 მაყურებელი ყოლოდა.



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა სახელმწიფო პროფესიული თეატრისთვის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებამ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში საერთო ბიუჯეტის 68% შეადგინა.



აღნიშნულ თეატრში ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა სპექტაკლებს: „ტრამვაი-სურვილი“ (რეჟისორი ქეთი დოლიძე) და „ჭირვეულის მორჯულება“ (ჰილარი ვუდი). ეს უკანასკნელი საგასტროლოდ წარმოდგენილი იყო ბათუმში, თელავსა და ყვარელში. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დადგმების, პროექტების სახით წარმდგენი გახლდათ თეატრი. მხოლოდ ორი („იმპულსი“ და „უდღეური დღეობა“) გახლდათ კერძო ინიციატივა, რომელთა ავტორებს თინათინ ქოიავასა და ნინი ჩაკვეტაძეს თეატრმა მხოლოდ სივრცე დაუთმო.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულმა თეატრმა 7 სპექტაკლი დადგა:

სამი მუშკეტერი (რეჟისორი გიორგი ქანთარია);
სამეფო ძროხა (რეჟისორი გურამ ბრეგაძე);
მე ვხედავ მზეს (რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი);
მეფე ლირი თავშესაფარში (რეჟისორი ოთარ ბაღათურია);
რექვიემი (რეჟისორი ლილი ბურბუთაშვილი);
ბაში-აჩუკი (რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი);
სალამურას თავგადასავალი (რეჟისორი კოტე მირიანაშვილი).

აღსანიშნავია, რომ მოზარდ მაყურებელთა მრავალფეროვანი იყო წარმოდგენებში, რადგან წარმოდგენილი დრამატურგიის ტიპები განსხვავებული იყო. კერძოდ, 7 სპექტაკლიდან წარმოდგენილი იყო: 2 უცხოური კლასიკა, 1 თანამედროვე უცხოური, 2 ქართული კლასიკა და 2 თანამედროვე ქართული დრამატურგია.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ შემდეგი რეჟისორები: დიმიტრი ხვთისიაშვილი; ოთარ ბაღათურია; ლილი ბურბუთაშვილი; გურამ ბრეგაძე; კოტე მირიანაშვილი და გიორგი ქანთარია. აღსანიშნავია, რომ: სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა 2 სპექტაკლი დადგა: „ბაში აჩუკი“ და „მე ვხედავ მზეს“.

რეჟისორების განაწილება ასაკობრივი ჭრილის და სქესის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ გრაფიკებში.





პროგრამის ფარგლებში თეატრმა 7 მხატვარი, 5 ქორეოგრაფი და 204 მსახიობი დატვირთა, მათგან 87 ქალი და 117 მამაკაცი.



ამ ხნის განმავლობაში კი თეატრმა 370 სარეპეტიციო პროცესი და 154 სპექტაკლის წარმოდგენა გამართა. გაყიდული ბილეთების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 6 774. მაყურებელების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 7 180.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა 7 სპექტაკლის 154 წარმოდგენაზე შეეძლო 45 290 მაყურებლის მიღება, რეალურად დამსწრე მაყურებელი კი ძალიან ცოტა იყო და თეატრს მაყურებლის მოსაზიდად დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი მომავალში.



ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრს გორის კომედიის ფესტივალზე საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარის პრიზი გადაეცა რეჟისორ გურამ ბრეგაძის სპექტაკლში „სამეფო ძროხა“.

მერიის დაფინანსებამ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში საერთო ბიუჯეტის 68% შეადგინა.



მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეკორდული რაოდენობის მაყურებელი დაესწრო სპექტაკლს: „მე ვხედავ მზეს“ (რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი).

როგორც ჩანს, ქართველი მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული კლასიკად აღიარებული დუმბაძის სცენური ვერსიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლზე არსებობს 2-3 გამოხმაურება, რეცენზია ან ბლოგი.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში განხორციელებული სპექტაკლებიდან, როგორც პროექტი, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში წარადგინა ძირითადად თეატრმა, მხოლოდ ორის (რექვიემი; სალამურას თავგადასავალი) გარდა

საგასტროლოდ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ნაჩვენები იყო სპექტაკლები: „სამეფო ძროხა“ და „მე ვხედავ მზეს“.

გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების სახელმწიფო პროფესიულ თეატრში 3 სპექტაკლი დადგა:

მოხტუნავე პრინცესა (რეჟისორი თეა კიწმარიშვილი);
ტყის ზღაპრები (რეჟისორი მაია ლორთქიფანიძე)
იავნანამ რა ჰქმნა?! (რეჟისორი ნიკოლოზ აბაშვილი).

აღსანიშნავია, რომ გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი ცდილობდა დრამატურგიის არჩევანში მრავალფეროვანი ყოფილიყო, წარმოდგენილი იყო როგორც ქართული, ისე უცხოური კლასიკა.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი რეჟისორები: თეა კიწმარიშვილი, მაია ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ საბაშვილი.

რეჟისორების განაწილება ასაკობრივი ჭრილის და სქესის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ გრაფიკებში.





თეატრმა 3 მხატვარი და 36 მსახიობი დატვირთა, მათგან 24 ქალი და 12 მამაკაცი.



ამ ხნის განმავლობაში კი თეატრმა 150 სარეპეტიციო პროცესი და 30 სპექტაკლის წარმოდგენა გამართა. გაყიდული ბილეთების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 6 021. მაყურებლების რაოდენობამ ჯამში შეადგინა 6 180, რაც ნიშნავს, რომ თეატრი კულტურის ცენტრი „მუზა“-ში (სადაც ის მართავდა წარმოდგენებს) ავსებდა ყველა ადგილს. ამგვარად, გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების სახელმწიფო პროფესიულმა თეატრის წარმოდგენები იმართებოდა სრული ანშალგით.

მერიის დაფინანსებამ თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში საერთო ბიუჯეტის 100% შეადგინა, აღნიშნულ თეატრს სხვა დაფინანსება არ ქონია. პროექტების წარმდგენებად თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში კი თავად რეჟისორები გვევლინებიან.

თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მხოლოდ ერთი სპექტაკლი განხორციელდა. სპექტაკლი „დედა", რომელიც წარმოადგენს უცხოურ კლასიკას, ახალგაზრდა რეჟისორის გიორგი სავანელის ნამუშევარია. სპექტაკლი მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხრიდან დაფინანსდა 100%-ით. მასში 1 მხატვარი, 1 ქორეოგრაფი, 6 მსახიობი, მათ შორის 2 ქალი და 4 მამაკაცი იყო დაკავებული. სარეპეტიციო პროცესი 55 დღე გრძელდებოდა და სპექტაკლის 8 წარმოდგენა გაიმართა.



8 წარმოდგენას ჯამში 786 მაყურებელი ესწრებოდა, სულ გაიყიდა 245 ბილეთი, როცა დარბაზი იძლეოდა შესაძლებლობას, ამ 8 წარმოდგენას დასწრებოდა 1160 პირი.



სამეფო უბნის თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, სამეფო უბნის თეატრს, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა დაუფინანსა რეჟისორის ნიკა თავაძის სპექტაკლი „მოახლეები", რომელში მონაწილეობდნენ ცნობილი მსახიობები და სცენის ოსტატები: ნატა მურვანიძე, ნინო კასრაძე და ბაია დვალიშვილი. პრემიერა გაიმართა 2015 წლის 7 მაისს და სპეტქაკლის მოსამზადებლად შემოქმედებით ჯგუფს 110 დღიანი სარეპეტიციო დღე დასჭირდა. სპექტაკლს ესწრებოდა 2 800 მაყურებელი, გაყიდული ბილეთების რაოდენობამ კი 2 736 შეადგინა. შესაძლებელი იყო, ამ სპეტქაკლის 17 წარმოდგენას დასწრებოდა 3 026 მაყურებელი, დარბაზში არსებული ადგილების გამოთვლით. თუმცა, როგორც შემდგომ გრაფიკში ნათლად დაინახავთ სპექტაკლს მაყურებელი არ აკლია და მოსაზიდი მაყურებლის პროცენტი შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოა. დარჩენილი უმნიშვნელო რაოდენობის ადგილები, როგორც თეატრმა განმარტა თეატრის მოღვაწეებზე გაიცა მოსაწვევების სახით.



რეჟისორის საამაყოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სპექტაკლის კერძო ბიუჯეტი აღემატებოდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებას.



თბილისის თეატრი „გლობუსი“

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში თბილისის თეატრ „გლობუსში” 3 სპექტაკლი დაიდგა:

„შეშლილის წერილები“ (რეჟისორი დავით ბელთაძე);
„სკამი“ (რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი);
„დაკრძალვა კალიფორნიაში“ (რეჟისორი დავით ბელთაძე).

აღსანიშნავია, რომ თაეტრი ცდილობდა დრამატურგიის არჩევანის თვალსაზრისით რეპერტუარის გამდიდრებას და დაბალანსებასაც. კერძოდ, წარმოდგენილი იყო: 2 უცხოური კლასიკა და 1 თანამედროვე ქართული პიესა. ორივე უცხოური კლასიკის რეჟისორი დავით ბელთაძე გახლდათ, თანამედროვე ქართული პიესა “სკამი” კი სანდრო მრევლიშვილმა დადგა, რომლის ავტორიც თავად რეჟისორია.





თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში თეატრს 1 მხატვარი და 23 მსახიობი ყავდა დაკავებული, მათგან 9 ქალი, 17 კაცი.



თბილისის თეატრში „გლობუსი" განხორციელებული სპექტაკლით „შეშლილის წერილები", ახალგაზრდა მსახიობი თორნიკე ბელთაძე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობის პრემიის მფლობელი გახდა.

თითოეული სპექტაკლის დადგმისთვის თეატრს 50 სარეპეტიციო დღე ქონდა გამოყოფილი (ჯამში 150) და თეატრმა სამი სპექტაკლის 13 წარმოდგენა გამართა. ჯამში გაიყიდა 290 ბილეთი, სპექტაკლის კი დაესწრო 420 მაყურებელი. თეატრისთვის სტაციონარული შენობის გამოყოფის საკითხი კვლევის ჩატარების მომენტისთვის გადაწყვეტის პროცესში იყო, რამაც როგორ

თეატრის ადმინისტრაცია უსვამდა ხაზს კითხვარის შევსებისას თავისებური გავლენა იქონია მაყურებლის მოზიდვაზე.



როგორც ხედავთ მიუხედავად შენობის პრობლემისა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრს დაფინანსების კუთხით, თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში თეატრ ‘‘გლობუსის’’ ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. განმცხადებელი სპექტაკლების დაფინანსების თაობაზე სპექტაკლის ,,სკამი‘‘ შემთხვევაში იყო თავად თეატრი, დანარჩენს შემთხვევაში სპექტაკლის ავტორი.

პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხური სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრს, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა 100%-თ დაუფინანსა სპექტაკლი ,,მაცეკვე ტანგო‘‘. აღნიშნული სპექტაკლის პრემიერა 2015 წლის 15 ოქტომბერს სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, მცირე დარბაზში შედგა. სპექტაკლის მომზადებას დასმა 7 თვე მოანდომა. შემოქმედებითი ჯგუფი შედგებოდა 5 მასახიობისგან, მათგან 2 ქალი და 3 მამაკაცი იყო.



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპექტაკლის მხოლოდ 1 წარმოდგენა იყო გამართული აღნიშნული კვლევის ჩატარების მომენტისათვის. წარმოდგენას ესწრებოდა 130 მაყურებელი, გაყიდული ბილეთების რაოდენობა კი გახლდათ 58. აღნიშნულ თეატრს, როგორც ჩანს წინ დიდი სამუშოები აქვს ჩასატარებელი, როგორც კერძო დაფინანსების მოძიების, ისე მაყურებლის დაინტერესების და დასის დატვირთვის თვალსაზრისით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა დადგა შემდეგი სპეტქაკლები:
მატყუარები (რეჟისორი რუსუდან კობიაშვილი);
სახურავი (რეჟისორი ლევან ხვიჩია);
ჭირვეულის მორჯულება (რეჟისორი ოთარ ეგაძე);
სკაპენის ოინები (რეჟისორი გოგა ქაჩიბაია).



თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ დაფინანსდა 4 რეჟისორის სპექტაკლი: მათ შორის, 1 ქალი, 3 მამაკაცი. რეჟისორების ასაკობრივი ჭრილი და სქესი ქვემოთ გრაფიკის სახითაა მოცემული.





სპექტაკლებში დაკავებული იყო 40 მსახიობი. მათ შორის, 12 ქალი და 28 მამაკაცი.



სპეტქაკლების მოსამზადებლი სარეპეტიციო დრო ჯამში შეადგენდა 330 დღეს. გაიმართა 40 წარმოდგენა. კვლევის მომენტისთვის არ იყო წარმოდგენილი სრული მონაცემები ლევან ხვიჩიას სპექტაკლზე „სახურავი", ვინაიდან პრემიერა დეკემბრის მეორე დეკადაში გაიმართა.

„ილიაუნის თეატრში" ზემოთ ჩამოთვლილ სპექტაკლებს ესწრებოდა 2 619 მაყურებელი, სამივე სპექტაკლზე გაყიდული ბილეთების რაოდენობამ კი 866 შეადგინა. ზემოჩამოთვლილი სპექტაკლების 40 წარმოდგენას შესაძლებელი იყო დასწრებოდა 5 200 მაყურებელი.

დამსწრე მაყურებელების თანაფარდობა დარბაზში არსებული ადგილების თანაფარდობასთან ქმნის სურათს, რომ თეატრს გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს, რომელიც გამოსაყენებელია. ამ მხრივ, მუშაობას ატარებს თეატრის ადმინისტრაცია, ხშირად მართავს აქციებს სტუდენტებისთვის (ბილეთის გათამაშება, ფასდაკლება, უფასო ვიზიტი).



მისასალმებელი და სამაგალითოა ის გარემოება, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს მის დაქვემდებარებაში მყოფ თეატრზე და ყოველწლიურად აქვს გამოყოფილი ბიუჯეტი სპექტაკლის დადგმისთვის.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან მხოლოდ ერთი – ოთარ ეგაძის მიერ განხორციელებული „ჭირვეულის მორჯულება“ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში დასაფინანსებლად წარადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, დანარჩენ შემთხვევაში კი თავად რეჟისორებმა. ილიაუნის თეატრმა კი მათ თავისი სივრცე დაუთმო პროექტის განსახორციელებლად და ადამიანური რესურსიც (შემოქმედებით-ტექნიკური პერსონალი, სპექტაკლის რებრენდინგი და პრემიერების საინფორმაციო საშუალებებში გაშუქება) დაახმარა.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრმა დადგა სპექტაკლი „ანტიგონე”, რომლის პრემიერაც გაიმართა 2014 წლის 10 დეკემბერს. სარეპეტიციო პროცესი 80 დღე მიმდინარეობდა.

სპექტაკლის გაფორმებაში მონაწილეობას იღებდა 2 მხატვარი და 1 კომპოზიტორი. სულ დაგავებული იყო 14 მსახიობი, მათგან 5 ქალი და 9 მამაკაცი.



დასი გასტროლებითაც იმყოფებოდა ლონდონსა და ანტალიაში. სტუდენტური „ანტიგონე“ ჩელსის თეატრის სცენაზე გათამაშდა. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლმა ასევე მონაწილეობა მიიღო ანტალიის სტუდენტურ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, სადაც გრან-პრით აღინიშნა ქართველი სტუდენტების წარმოდგენა.

სპექტაკლი სულ 14-ჯერ იყო წარმოდგენილი. გაყიდული ბილეთების, დამსწრე საზოგადოების და მაყურებლის დარბაზის დატევის შესაძლებლობები ტოლი იყო და შეადგენდა 1794-ს. გამოდის, რომ სრული ანშალაგი იყო ყოველ წარმოდგენაზე. არც ერთი თავისუფალი ბილეთი და არც ერთი თავისუფალი ადგილი დარბაზში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 82%-იანი წვლილი სპექტაკლის დადგმისთვის ფასდაუდებელია.

პროექტის წარმდგენი „ანტიგონეს“ შემთხვევაში თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი და სპექტაკლის რეჟისორი ნანუკა ხუსკივაძე იყო და არა თავად უნივერსიტეტის სასწავლო თეატრი.



კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრმა დადგა თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე დაფუძნებული სპექტაკლები, BBC-ის რადიოპიესების კონკურსში გამარჯვებული ლაშა ბულაძის პიესა "ნავიგატორი" და "ქალი".





სპექტაკლების გაფორმებაში მონაწილეობას იღებდა 2 მხატვარი და 2 ქორეოგრაფი. სულ დაკავებული იყო 17 მსახიობი, მათგან 6 ქალი და 11 მამაკაცი.



„ნავიგატორის“ პრემიერიდან კვლევის განხორციელების დღემდე გაიმართა 23 წარმოდგენა, მათ შორის 3 – რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენაზე, 1-გორის კომედიის ფესტივალზე, 1-ფოთის რეგიონალური თეატრების ფესტივალზე და 18 - ახმეტელის თეატრში. სულ გაიყიდა 35 ბილეთი, მაგრამ რამდენი მაყურებელი ესწრებოდა თითოეულ წარმოდგენაზე და ჯამში დაზუსტებულ ინფორმაციას თეატრის ადმინისტრაცია არ ფლობდა. პრემიერამდე დასს 60 დღიანი სარეპეტიციო პერიოდი ჰქონდა.

სპექტაკლი გორის კომედიის ფესტივალზე წარდგენილი იყო ნომინაციაზე საუკეთესო მუსიკალური გაფორმება და მან ეს პრემია მიიღო.

სპექტაკლი „ქალი“ რეჟისორ ლილი ბურბუთაშვილის მიერ დაიდგა თეატრი ათონელზე, რომელიც 80 მაყურებელს იტევს, მაგრამ თეატრის ადმინისტრაციამ დაზუსტებით არ იცოდა რამდენი მაყურებელი დაესწრო სპექტაკლის, რომლის პრემიერა 2015 წლის 13 ივლისს შედგა კვლევის მომენტისთვის სულ 2 წარმოდგენა იყო შემდგარი. მასში დაკავებული იყო 3 ქალი და 5 მამაკაცი მსახიობი.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის რეჟისორების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით შემდეგნაირია.





თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დადგმული სპექტაკლების წარმოდგენებზე გაყიდული ბილეთების რაოდენობამ ჯამში 315 შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ რთულია გამოთვალო თეატრის რეალური პოტენციალი იმ დროს, როცა ადმინისტრაციისთვის არაა ცნობილი დამსწრე მაყურებლის რაოდენობა და წარმოდგენები იმართებოდა სხვადასხვა სცენებზე.

გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით ძლიერდება. ამავდროულად ის წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განთლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლისგანაც ის სუბსიდიით ფინანსდება.

პროექტის წარმდგენი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში ორივე შემთხვევაში თავად სპექტაკლის რეჟისორები იყვნენ.



სოხუმის მოზარდ მაყურებელთა ქართული პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო პროფესიულმა თეატრმა „თეთრი ტალღა“ დადგა ორი წარმოდგენა: „საბრალდებო დასკვნა“ (ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით) და „ჭინჭრაქა“ (გიორგი ნახუცრიშვილის კომიკური ზღაპარი დიდებისთვის). ეს უკანასკნელი ორმა რეჟისორმა: ნუგზარ ლორთქიფანიძემ და მიხეილ რატიანმა დადგეს. სპექტაკლების რეჟისორები, მხოლოდ მამაკაცები გახლდათ, ამიტომ ვიზუალურად მხოლოდ რეჟისორების ასაკობრივ ჭრილს წარმოგიდგენთ.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა სახელმწიფო პროფესიულმა თეატრმა 2 მხატვარი და 34 მსახიობი დაასაქმა, მათგან 11 ქალი, 23 მამაკაცი.



ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ მიხედვით გაკეთებული ინსცენირების „საბრალდებო დასკვნის“ პრემიერა 2014 წლის 28 მარტს შედგა. სარეპეტიციო პროცესი ოთხი თვე გრძელდებოდა. პრემიერიდან კვლევის დღემდე რამდენი სულ ათი სპექტაკლი გაიმართა არტ – ჰოლში. ჯამში გაიყიდა 1500 ბილეთი (ბილეთის ღირებულება იყო 3 ლარი). ამ რაოდენობას ემატება იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველ პირთათვის გაცემული 500 ბილეთი, რომლებიც მათ უფასოდ (პირველ შემთხვევაში) ან ძალზე შეღავათიან ფასებში გადაეცემათ ხოლმე (სოციალურად დაუცველებს). სპექტაკლი 2014 წელს თეატრალურ პრემიაზე „დურუჯი“ იყო წარდგენილი, მაგრამ ვერც მოკლე სიაში მოხვდა.

სპექტაკლ „ჭინჭრაქას“ პრემიერა 2015 წლის 27 მაისს შედგა. სარეპეტიციო პროცესი ოთხი თვე გრძელდებოდა. სპექტაკლის 10 წარმოდგენა გაიმართა სხვადასხვა თეატრში, კერძოდ, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა, ბოლნისისა და გორის თეატრებში. ჯამში გაიყიდა 1500 ბილეთი (ბილეთის ღირებულება იყო 5 ლარი). ამ რაოდენობას ტრადიციულად ემატება ლტოლვილებისა და სოციალურად დაუცველ პირთათვის გაცემული ბილეთები.

სპექტაკლი ქვეყნის შიგნით იყო გასტროლებზე გორსა და ბოლნისში.

ორივე სპექტაკლი განხორციელდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 100%-იანი დაფინანსებით. ორივე შემთხვევაში პროექტის წარმდგენი ცენტრში იყო თავად თეატრი.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ლიტერატურული თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, ლიტერატურის მუზეუმის ლიტერატურულ თეატრში დაიდგა ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუში „ოთარაანთ ქვრივი“ (რეჟისორ კოტე მჟავიას მიერ). პრემიერა შედგა 2015 წლის 2 ივნისს, სარეპეტიციო პროცესი გაგრძელდა 28 დღე.

სპექტაკლში დაკავებული იყო 1 მხატვარი და 1 ქორეოგრაფი და 6 მსახიობი, მათგან 2 ქალი და 4 მამაკაცი.



სპექტაკლის წარმოდგენა გაიმართა 25-ჯერ. გაყიდული ბილეთების და მაყურებლების რაოდენობა იდენტური იყო და შეადგინა 2500. აღსანიშნავია, რომ მათი დარბაზი 100 ადგილიანია, რაც ნიშნავს რომ ყველა წარმოდგენა სრული ანშლაგით მიმდინარეობდა.

სპექტაკლი დაიდგა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 100%-იანი დაფინანსებით და პროექტის წარმდგენიც თავად ლიტერატურული თეატრი გახლდათ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 100%-იანი დაფინანსებით დადგა შექსპირის კომედია „ზაფხულის ღამის სიზმარი”. სპექტაკლის რეჟისორი გახლდათ გიორგი აფხაზავა. რეჟისორი შეეცადა ბავშვებისთვის შექსპირის კომედია ადვილი აღსაქმელი და მისაღები ყოფილიყო, ამიტომაც მსახიობების

შესრულების მანერა, სასცენო მეტყველება და მოძრაობა თანამედროვე, მათი ასაკისათვის დამახასიათებელ სტილში გადაწყვიტა.

სპექტაკლში დასაქმებული იყო 1 მხატვარი, 1 ქორეოგრაფი, 20 მსახიობი, 13 გოგო 7 ბიჭი.



სპექტაკლის პრემიერა შედგა 2015 წლის 30 ნოემბერს. სარეპეტიციო პერიოდი გრძელდებოდა 4 თვეს. კვლევის მომენტისთვის, მხოლოდ 1 წარმოდგენა იყო გამართული მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლის დარბაზში, რომელსაც ესწრებოდა 300 მაყურებელი, რაც ნიშნავს რომ ყველა ბილეთი გაიყიდა და სპექტაკლი სრული ანშლაგით მიმდინარეობდა.

თავისუფალი თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, თავისუფალმა თეატრმა დადგა მხოლოდ თანამედროვე უცხოური პიესების (კინოსცენარების) ქართული სათეატრო ვერსიები:

ჯულიეტა, ჯულიეტა (რეჟისორი იატი იუუტინენი);
რა დროს შექსპირია (რეჟისორი იოანე ხუციშვილი);
ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს (რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი), საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები (ააიპ თეატრალური დასის პროექტი) რეჟისორი ნიკა ჩიკვაიძე.

სპექტაკლების რეჟისორები ოთხივე შემთხვევაში მამაკაცები არიან, მათი ასაკობრივი განაწილება კი შემდეგნაირია.



სპექტაკლებში 5 მხატვარი, 1 ქორეოგრაფი და 34 მსახიობი იყო დაკავებული, მათგან 18 ქალი 16 კაცი.



სპექტაკლების დასადგმელად დაიხარჯა 240 სარეპეტიციო დღე. სპექტაკლები მაყურებლის წინაშე სულ 29-ჯერ წარმოადგინეს. ჯამში 2 083 ბილეთი გაყიდა. ყველაზე მეტი 1117 ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე "ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს". 29 წარმოდგენაზე თეატრს საშუალება ქონდა 3451 მაყურებელი მიეღო, სინამდვილეში სპექტაკლებს დაესწრო 3 170, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია და მიანიშნებს, რომ სპექტაკლები ყოველთვის თითქმის სავსე დარბაზში მიმდინარეობდა.



აღნიშნული სპექტაკლები ფინანსდებოდა, როგორც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის, ისე მოძიებული კერძო დაფინანსებით.

სპექტაკლები: „ჯულიეტა, ჯულიეტა“ და „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 100%-იანი დაფინანსებით დაიდგა, ხოლო „რა დროს შექსპირია“ და „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს“ კი თანადაფინანსებით.



ყველა შემთხვევაში პროექტის ავტორი რეჟისორები გახლდათ. თავისუფალმა თეატრმა მათ სივრცე დაუთმო და თავისი არსებული რესურსი მათი პროექტების განხორციელებას მოახმარა.

მოძრაობის თეატრი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, მოძრაობის თეატრში დაიდგა თანამედროვე ქართულ და უცხოურ კლასიკურ დრამატურგიაზე დაფუძნებული სპექტაკლები „ინტრო“ (რეჟისორი კახა ბაკურაძე) და „შექსპირი და ოპერა“ (რეჟისორი ხათუნა ბედელაძე).

სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორების ასაკობრივი ჭრილი დაემთხვა ერთმანეთს.



სპექტაკლებში დაკავებული იყო თითო მხატვარი და ქორეოგრაფი და 33 მასახიობი, მათგან 16 ქალი და 17 მამაკაცი.



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, მოძრაობის თეატრში „ინტროს“ პრემიერა შედგა 2014 წლის 8 ოქტომბერს, მანამდე კი სარეპეტიციო პროცესი გრძელდებოდა 3 თვე. 2014-2015 წლების განმავლობაში გაიმართა 120 წარმოდგენა მოძრაობის თეატრში, რომელსაც უკვე აქვს საკუთარი შენობა მუშტაიდის ბაღში. კვლევის ჩატარების დროსითვის ადმინისტრაციის მიერ შევსებული კითხავრის მიხედვით სპექტაკლს ჯამში დაესწრო მიახლოებით 6000 მაყურებელი, ხოლო გაყიდული ბილეთების რაოდენობამ 2000 შეადგინა.

ზოგადად, მოძრაობის თეატრში 100 დასაჯდომი ადგილია და ამასთან გასათვალისწინებელი, რომ 20 დასადგომი ბილეთიც იყიდება.

აღნიშნული სპექტაკლი მოძრაობის თეატრმა თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა და თბილისის მოდის კვირეულის დახურვის ცერემონიალზეც აჩვენა.

სპექტაკლი „ინტრო" თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 100%-იანი გრანტით დაფინანსდა.

სპექტაკლის „შექსპირი და ოპერა" პრემიერა 2015 წლის 27 ნოემბერს შედგა. სარეპეტიციო პროცესი 2 თვე გრძელდებოდა. პრემიერიდან კველევის ჩატარების დროისთვის გამართული იყო სულ 2 წარმოდგენა. ვინაიდან იყო საპრემიერო სპექტაკლები, ადმინისტრაციის განცხადებით დარიგდა მოსაწვევების დიდი რაოდენობა, სტუდენტებისთვის შესვლა იყო უფასო და ჯამში გაიყიდა 32 ბილეთი. თითოეულ წარმოდგენას ესწრებოდა დაახლოებით 110 მაყურებელი, ამგვარად, სპექტაკლი მიმდინარეობდა ანშლაგით.

აღნიშნულ სპექტაკლში სამი ქალბატონი თამაშობდა მამაკაცის როლს, რაც ბოლო პერიოდის ქართულ თეატრში იშვიათი მოვლენაა და მაყურებლისთვის ყოველთვის საინტერესო:
ლილი ხურითი - შექსპირი, ბრამანციო;
ირინე რატიანი - ოტელო;
ნუცა ზაქაიძე - რომეო.

სპექტაკლის "შექსპირი და ოპერა" დაფინანსებაში თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრთან ერთად მონაწილება მიიღო კომპანია "დიომ".



თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, თეატრში ათონელზე დაიდგა როგორც უცხოური და ქართული კლასიკა, ასევე თანამედროვე ქართული და უცხოური დრამატურგია:

დედა-დედოფალი (რეჟისორი თემურ ჩხეიძე);
ჰელვერის ღამე (რეჟისორი კობა სხილაძე);
ადამიანის ხმა (რეჟისორი მიხეილ ჩარკვიანი);
გზა ილიასი (რეჟისორი გიორგი სავანელი, მაია ჯაფარიძე);
ძველებური ვოდევილი (რეჟისორი ლაშა გოგნიაშვილი);
ჭრილობა (რეჟისორი ეკატერინე კვირკველია).



სპექტაკლი „გზა ილიასი“ დღეს უკვე ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სარეპერტუარო სპექტაკლია სათაურით „საუკუნის მკვლელობა“.

სპექტაკლების რეჟისორები ძირითადად მამაკაცები იყვნენ: 1 ქალი, 5 მამაკაცი.





სპექტაკლებში ჯამში 6 მხატვარი და 7 ქორეოგრაფი იყო დაკავებული, მიუხედავად იმისა, რომ ორ სპექტაკლს საერთოდ არ ყავდა ქორეოგრაფი, ერთგან კი 2, ხოლო მეორეგან კი 3 ქორეოგრაფი მუშაობდა. სპექტაკლებში 32 მსახიობი დასაქმდა, მათგან 14 ქალი 18 კაცი.



2014 და 2015 წლებში, თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, თეატრში ათონელზე 6 სპექტაკლის დასადგმელად 570 სარეპეტიციო დღე იყო გამოყოფილი. შედეგად კი გაიმართა 27 წარმოდგენა. გამონაკლისია სპექტაკლი "დედა-დედოფალი", რომლის პრემიერაც კვლევის მომენტისთვის არ ყოფილა. ასევე "ჰელვერის ღამის" მხოლოდ ერთი წარმოდგენა შედგა პრემიერის სახით, რომელზეც ბილეთები არ გაყიდულა. დარჩენილ ოთხ სპექტაკლზე ჯამში 3 130 მაყურებელი დაესწრო და 1770 ბილეთი გაიყიდა.

ვინაიდან, თეატრს ათონელზე მცირე დარბაზი აქვს, სადაც სულ რაღაც 70-80 ადგილია, მაყურებლის შევსება პრობლემას არ წარმოადგენს, მით უმეტეს ისეთ სპექტაკლებზე სადაც რეჟისორი და მსახიობები ცნობილია.



გოგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი

იდეის ავტორი, დამდგმელი ქორეოგრაფი და მოცეკვავე, ახალგაზრდა რეჟისორი მარიამ ალექსიძე, განსხვავებულ მიმართულებას ქმნის და თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში დათო ტურაშვილის ლიბრეტოზე დგამს საბალეტო წარმოდგენას „გურჯი ხათუნი".

სპექტაკლში დაკავებული იყო 1 მხატვარი, 1 კომპოზიტორი და 9 მსახიობი, მათგან 7 ქალი და 2 მამაკაცი.



სარეპეტიციო პროცესი 2 თვეს გრძელდებოდა, სპექტაკლის პრემიერა კი 2014 წლის 14 ნოემბერს შედგა რუსთაველის თეატრში.

გაიმართა სპექტაკლის 3 წარმოდგენა, რომელსაც ჯამში 1 400 მაყურებელი დაესწრო და 900 ბილეთი გაიყიდა.

რეჟისორი 2014 წლის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე საუკეთესო ქორეოგრაფების სამეულში მოხვდა, ხოლო წინანდლის პრემიაზე მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებლებად დასახელდნენ მსახიობები: გურჯი-ხათუნი – ნათია ბუნტური და წარმოსახვითი გურჯი-ხათუნი – ეკატერინე სურმავა.

სპექტაკლის დაფინანსება თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 47%-იანი დაფინანსებით განხორციელდა. პროექტის წარმდგენი კულტურული ღონისძიებების ცენტრში თავად ფონდი იყო და არა რუსთაველის თეატრი, სადაც ამ წარმოდგენის პრემიერა შედგა.



ახალგაზრდა ხელოვანების განვითარების ფონდი

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, ახალგაზრდა ხელოვანების განვითარების ფონდმა დადგა სპექტაკლი „დონ კიხოტი“ (რეჟისორი – გიორგი აფხაზავა). ამავე რეჟისორის მიერ, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან თანამშრომობით განხორციელდა შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“.

სპექტაკლს ერთი მხატვარი და კომპოზიტორი ყავდა. სპექტაკლში მონაწილეობას იღებდა 8 მსახიობი, მათ შორის 5 ქალი და 3 მამაკაცი.



სარეპეტიციო პროცესი 1 თვეს გრძელდებოდა, სპექტაკლის პრემიერა კი 2014 წლის 25 დეკემბერს შედგა რუსთაველის თეატრში. პრემიერას კი წინ 3 თვიანი სამზადისი უსწრებდა, რაც მოიცავდა დეკორაციისა და თოჯინების შექმნასაც, მსახიობების მომზადებასთან ერთად.

გაიმართა პექტაკლის 3 წარმოდგენა, ,,შემოქმედებითი ლაბორატორიის" დარბაზში, ადმინისტრაციას კითხვარის შევსებისას არ მიუთიტებია ჯამში რამდენი მაყურებელი დაესწრო აღნიშნულ წარმოდგენებს ან რამდენი ბილეთი გაიყიდა.

სპექტაკლის დაფინანსება თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 45%-იანი დაფინანსებით განხორციელდა.



საბავშვო თოჯინების ოპერის თეატრი „მცირე პწკალა"

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, საბავშვო თოჯინების ოპერის თეატრმა „მცირე პწკალა" დადგა სპექტაკლი ,,მუსიკალური ცისარტყელა''.

სპექტაკლში სპეციალურად შექმნილი მეთოჯინე მსახიობების მაია მალხაზიშვილის, მალხაზ გაბუნიას, ელენე მაცხონაშვილისა და ვახტანგ ქორიძის დახმარებით წარმოგვიდგენენ რამდენიმე ნოველას. თოჯინების შემქმნელები არიან ქეთი ძიძიგური, დენის გონობოლინი, ვახტანგ ქორიძე და ნინო ხიდაშელი.

სპექტაკლის ავტორები და რეჟისორები – მალხაზ გაბუნია, ელენე მაცხონაშვილი, ვახტანგ ქორიძე და დავით მაცხონაშვილი პატარა მაყურებლებში სპექტაკლისადმი სიყვარულის გაღვიძებას ცდილობდნენ.
ეს კეთილი პატარა ამბები კარგად დაამახსოვრდეს და მასში,

სპექტაკლის პრემიერა 2014 წლის 21 დეკემბერს შედგა. სპექტაკლის მომზადებას და რეპეტიციებს დასჭირდა 6 თვე.
პრემიერას ესწრებოდა 200 მაყურებელი, მეორე წარმოდგენას კი დაესწრო - 60; სპექტაკლი დაიდგა სხვადასხვა სცენაზე, პრემიერა - საკონცერტო დარბაზ „მუზაში“ (დაახლოებით 300-კაციანი დარბაზი), მეორე – შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თოჯინების სტუდიის სცენაზე (დაახლოებით 60 კაციანი);

სპექტაკლის დაფინანსება თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის 37%-იანი დაფინანსებით განხორციელდა.



რეგიონ ოპერა

თავისუფალი თეატრალური პროექტების პროგრამის ფარგლებში, რეგიონ ოპერამ დადგა სპექტაკლი „დაისი”, რომელიც საქართველოს რეგიონების სხვადასხვა ქალაქების გარდა, წარმოდგენილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზშიც.

სამწუხაროდ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფიდან ინფორმაციის მოპოვება.

სათეატრო პრემიები, კონკურსები, კრიტიკოსთა რეიტინგები

„თავისუფალი თეატრალური პროექტების“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სპექტაკლები არ რჩება არა მხოლოდ კრიტიკოსთა ყურადღების, არამედ სხვადასხვა სათეატრო ორგანიზაციების, კონკურსების, პრემიების მიღმა; ამ სპექტაკლების კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა თეატრალურ პრემიაზე წარდგენილი იყო 11 სპექტაკლი, საიდანაც 5 სპექტაკლი შემდეგ ნომინაციებში გადანაწილდა: საუკეთესო სპექტაკლი, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება, საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო მსახიობი და საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი.

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი სპექტაკლით „**ნავიგატორი**“ (რეჟისორი დავით საყვარელიძე) გორის კომედიის ფესტივალზე დაჯილდოვდა ნომინაციაში საუკეთესო მუსიკალური გაფორმება. ასევე, გორის კომედიის ფესტივალზე დაჯილდოვდა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი სპექტაკლით „**სამეფო ძროხა“** (რეჟისორი – გურამ ბრეგაძე) საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრის ნომინაციაში.

გოგი ალექსიძის ფონდის სპექტაკლი „**გურჯი-სათუნი**“ (ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე) წინანდლის პრემიით დაჯილდოვა ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი, ხოლო თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა 2014 წლის კვლევის შედეგად ქორეოგრაფიულ სამეულში დაასახელა.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი სპექტაკლით „**შეშლილის წერილები**“ (რეჟისორი – ლევან წულაძე) 2 ნომინაციაზე იყო წარდგენილი თეატრალურ პრემიაზე „დურუჯი“ და ორივე ნომინაციაში გამარჯვება მოიპივა – საუკეთესო სპექტაკლი და საუკეთესო რეჟისორი. ესენია, პრემია: საუკეთესო სპექტაკლი და საუკეთესო რეჟისორი. აღნიშნულ პრემიაზე იყო ასევე ნომინირებული სპექტაკლი „**ინტრო**“, თუმცა მან ვერ აიღო ჯილდო.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობის პრიზი მიიღო ასევე მსახიობმა თ. ბელთაძემ თეატრიდან „გლობუსი“ სპექტაკლისთვის „**შეშლილის წერილები**“ (რეჟისორი დავით ბელთაძე).

ამავდროულად, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ 2014 წლის ყოველწლიურ რეიტინგში მოხვდა შემდეგი სპექტაკლები შემდეგ ნომინაციებში:

2014 წლის საუკეთესო ქორეოგრაფების სამეული

მარიამ ალექსიძე – „გურჯი ხათუნი“, შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

კახა ბაკურაძე – „ინტრო“, მოძრაობის თეატრი

2014 წლის საუკეთესო სცენოგრაფების ოთხეული

ლევან წულაძე, ნინო სურგულაძე – „შეშლილის წერილები“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2014 წლის საუკეთესო რეჟისორთა ხუთეული

ლევან წულაძე – „შეშლილის წერილები“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

საუკეთესო რეჟისორული ხუთეულის კატეგორიაში განიხილებოდა: ბესო კუპრეიშვილი სპექტაკლით „თამაში მაგიდასთან“ (თითებისა და მარჯანიშვილის თეატრის ერთობლივი სპექტაკლი).

ანკეტა

თეატრის დასახელება
სპექტაკლის დასახელება
სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი
რეჟისორის ასაკი და სქესი

	ასაკი	სქესი
1	18 - 25	
2	26 - 40	
3	41 - 60	
4	61 - 75	
5	76 - ზემოთ	

პრემიერის გამოშვების თარიღი
სარეპეტიციო პროცესი

პრემერიდან დღემდე რამდენი წარმოდგენა გაიმართა ამ კონკრეტული სპექტაკლის და სად?

№	დღე	თვე	წელი	დარბაზი და ადგილების რაოდენობა
1				

რამდენი ბილეთი გაიყიდა თითოეულ წარმოდგენაზე და ჯამში?
თეატრის რომელ სცენაზე, ან რა სივრცეში დაიდგა სპექტაკლი და რამდენ მაყურებელს იტევს დარბაზი, სადაც ეს სპექტაკლია დადგმული?

რამდენი ქალი/კაცი მსახიობი თამაშობს სპექტაკლში?

	ასაკი	რაოდენობა	
		ქალი	კაცი
1	0 - 14		
2	15 - 18		
3	19 - 25		
4	26 - 40		
5	41 - 60		
6	61 - 75		
7	76 - ზემოთ		

რამდენი ქალი თამაშობდა მამაკაცის როლს და პირიქით ამ კონკრეტულ სპექტაკლში? -

იყო თუ არა გასტროლებზე სპექტაკლი (ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ და სად, რომელ ფესტივალში მონაწილეობდა)?

№	როდის/ თარიღი	სად	ქალაქი	ქვეყანა	რა ტიპის ღონისძიება იყო
1					

მიღებული აქვს თუ არა რაიმე სახის ჯილდო, პრემია სპექტაკლს, რეჟისორს, მონაწილე მსახიობებს, წარდგენილი იყო თუ არა რაიმე პრემიაზე?

	დასახელება	მოიპოვა პრემია	წარდგენილი იყო
სპექტაკლი			
რეჟისორი			
მსახიობი			
სხვა			

სპექტაკლის საერთო ბიუჯეტი. სპონსორების წილი. სპონსორების მიერ შერჩეული სპექტაკლების საერთო ნიშანი.

№	სპექტაკლის საერთო ღირებულება (გაწეული ხარჯი ჯამში)	მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრიდან მიღებული გრანტი	დაფინანსების სხვა წყარო (მიუთითეთ ამ შკალის მიხედვით თანხა და დაფინანსების წყარო)
1	1000-5000		
2	5000-10 000		
3	10 000-15 000		
4	15 000-20 000		
5	20 000-30 000		
6	30 000-50 000		
7	50 000-ზე მეტი		

ჩაწერილია თუ არა სპეკტაკლი (მოიპოვება თუ არა სპექტაკლის ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა).

		დიახ	არა
1	სპექტაკლი ჩაწერილია ვიდეოზე		
2	ფოტოდოკუმენტირებულია		
3	სხვა: ბუკლეტი და სხვა ბეჭდური მასალა სპექტაკლის		

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში

მეთოდოლოგია

თავისუფალი თეატრალური პროექტების კვლევისთვის გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული კითვარი (იხ. კითხვარი დანართი 2-ის სახით), რომელიც დაეგზავნა თეატრების ადმინისტრაციას შესაბამისი ინსტრუქტაჟით. თეატრების შესაბამისი სტურქტურული ერთეულების მხრიდან მოხდა კითხვარების შევსება და თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრში წარმოდგენა.

თეატრების მიერ შევსებული კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია დამუშავდა ამ მიზნით შექმნილ მონაცემთა ერთიან ბაზაში, რასაც დაეფუძნა მიმდინარე კვლევა.

კვლევა ატარებს აღწერით ხასიათს და ის მოიცავს 2014 და 2015 შემოქმედებით წელს.

აღწერითი სტატისტიკის ეს მეთოდი აღწერს შესასწავლი მონაცემების ძირითად თავისებურებებს. ის იძლევა წარმოდგენას შერჩევისა და გამოყენებული საზომების შესახებ და უბრალოდ აჯამებს, თუ რას აჩვენებს მიღებული მონაცემები.

აღნიშნული კვლევის შეზღუდვაა ის, რომ არ არის პირდაპირი კონტაქტი თეატრის ადმინისტრაციისთან და ინფორმაცია მიიღება მხოლოდ დიგიტალური ფორმით, მონაცემები კი გროვდება მშრალი ციფრების სახით, რაც ხშირ შემხვევაში ანალიზის პრობლემას ქმნის მაშინ, როცა ახალბედა რეჟისორთან ან მცირე სცენებთან გვაქვს საქმე, რადგან გამოცდილ რეჟისორებთან ან დიდი სცენის მაყურებლებთან მათი შედარებისას შესაძლოა არასამართლიანობის განცდა დაეუფლოს მკითხველს. უსამართლობის თავიდნა აცილების მიზნით შევეცადეთ შეგვექმნა ფორმულა, რომელიც ყველაზე ობიექტურ სურათს დახატავდა მაყურებლის სწრებადობის თავლსაზრისით, ვინაიდან ნებისმიერი სპექტაკლის სიცოცხლისუნარიოანობას განსაზღვრავს მაყურებლის ინტერესი. წარმატებული (გნებავთ, გამორჩეული) სპექტაკლების პროცენტებში გამოსავლენად ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ შემდეგი მონაცემები: დარბაზში მაყურებლის რაოდენობა, მაყურებლის დასწრებისა და გაყიდული ბილეთების რაოდენობა ამ კონკრეტული სპექტაკლის გამართვის (წარმოდგენის) რიცხვთან.

მონაცემების სანდოობა და ვალიდურობა დაფუძნებულია თეატრების ადმინისტრაციების მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე. მონაცემთა ანალიზის ცდომილება კი ტოლია დაახლოებით 0,5%-ს.

თავისუფალი თეატრალური პროექტები

(თეატრებისა და სათეატრო ორგანიზაციების მიხედვით)

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

შეშლილის წერილები

სპექტაკლის დასახელება - შეშლილის წერილები
მარჯანიშვილის თეატრის და Emilia Romagna Teatro Fondazione**-ის კოპროდუქცია (საქართველო - იტალია)**

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ნიკოლოზ გოგოლი
შეშლილის წერილები

რეჟისორი - ლევან წულაძე
კოსტუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გამფორმებელი - ზურაბ გაგლოშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ნინო კალანდაძე

მონაწილეობენ:
ზურა ბერიკაშვილი, ნიკა კუჭავა, კოკო როინიშვილი, ანა გრიგოლია, რობერტა დესტეფანო, მასიმო სკოლა, ელეონორა ჯოვანარდი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ლეონარდო ლიდი.

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 3 ნოემბერი

სარეპეტიციო პროცესი - ერთი თვე და 5 დღე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:

ლაშა ჩხარტიშვილის რეცენზია პორტალზე *Artareatv.ge*

დიტერ ტოპის რეცენზია *PPS Promotion – Presse – Service*-ზე

დავით ბუხრიკიძე

ლევან წულაძის „შეშლილის წერილები“ ორენოვან თეატრალურ ენაზე

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის მრავალფეროვნებას მაყურებელი, ალბათ, გოგოლის შედევრის – „შეშლილის წერილების“ მიხედვით დადგმული სპექტაკლითაც შეიგრძნობდა. ეს არის მარჯანიშვილის თეატრისა და Emilia Romagna Teatro Fondazione-ის ერთობლივი პრემიერა; უფრო ზუსტად, კოპროდუქციაა, რომელშიც იტალიელი და ქართველი მსახიობები – ზურაბ ბერიკაშვილი, ნიკა კუჭავა, კოკო როინიშვილი, ანა გრიგოლია, ირაკლი ჩოლოყაშვილი, რობერტა დესტეფანო, მასიმო სკოლა, ელეონორა ჯოვანარდი და ლეონარდო ლიდი მონაწილეობენ.

ეს, ერთი მხრივ, პლუსია, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით – ხელისშემშლელიც. დადებითი ის არის, რომ წარმოდგენის მასშტაბი და განზომილება სწორედ ამ კოპროდუქციის გამო იცვლება, ტექსტიც იტალიურ-ქართულად სრულიად სხვაგვარად ჟღერს. შესაბამისად, წარმოდგენა უფრო პოეტური და ასე ვთქვათ, კოსმიურ-ინტერნაციონალური ხდება.

გოგოლის მიერ აღწერილი, მე-19 საუკუნის რუსეთის სასტიკი რეალობა მაყურებლის თვალწინ ტრანსფორმირდება იტალიური ნეორეალიზმის ენაზე და მას ალბათ, კინოშედევრებიც გაახსენდება. რეჟისორი ლევან წულაძე, მხატვარი ნინო სურგულაძე და ქორეოგრაფი გია მარღანია თითქოს ფედერიკო ფელინის, ჩეზარე ძავატინის თუ პიეტრო ჯერმის ფილმების ინსპირაციით თხზავენ რიგ სცენებს, რაც უდავოდ ქმნის სათანადო პოეტურ და ზოგჯერ ირონიულ განწყობას.

რაც შეეხება ნაკლს, ის ასევე უკავშირდება ორენოვან, ბილინგვისტურ გარემოს და მსახიობთა განსხვავებული თამაშის მანერას. თუ ქართველი მსახიობები უფრო ირონიულები და მსუბუქები არიან, იტალიელებს უფრო დრამატიზმი და დეკლამაცია ხიბლავთ, რაც ქმნის ერთგვარ სტილისტურ სხვაობას მათი თამაშის მანერას შორის. თუმცა ეს განსხვავება არც ისე საშიშია, რომ ვერ ვიგრძნოთ რეჟისორ ლევან წულაძის ნაცნობი მანერა და მისი მიდრეკილება –მახვილი ფანტაზიის და უკვე დასწავლილი სიმსუბუქის წყალობით დაძლიოს ტექსტის სიმძიმე და დრამატულობა. ვერ გეტყვით, მაყურებელიც დაიჯერებს თუ არა, რომ მთავარი გმირი – პოპრიშჩინი ესპანეთის ტახტის მემკვიდრეა, მაგრამ იმას ნამდვილად დაიჯერებს, რომ ეს ტანჯული, მარტოსული და დამცირებული ადამიანი თავისუფლებას მხოლოდ სიგიჟეში პოულობს.

თუმცა სპექტაკლის მთავარი, ეგზისტენციური კითხვა ბევრად უფრო ფართო და მნიშვნელოვანია: როგორ ახერხებენ პოპრიშჩინის მაგვარი, მარტოსული ადამიანები დღევანდელ სასტიკ სამყაროში გადარჩენას, რომელშიც ინფორმაციის,

მოვლენებისა და სიახლეების ასეთი უზღვავი ნაკადია. სადაც ამდენი დამცირება და სასოწარკვეთაა.... არსებობს საერთოდ, გზა თუ გამოსავალი, რომ ასეთმა „პოპრიშჩინებმა“ – მარტოობით შეშლილმა ადამიანებმა – პიროვნული თავისუფლება მოიპოვონ და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ სამყაროში?!!

ლაშა ჩხარტიშვილი

ნამდვილი თეატრი და არა მხოლოდ თეატრი

საკმაოდ ორიგინალური სპექტაკლი ვნახეთ მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში, რომელიც წარმოადგენს მარჯანიშვილის თეატრისა და **Emilia Romagna Teatro Fondazione**-ის (იტალია) კოპროდუქციას გოგოლის „შეშლილის წერილების“ მიხედვით და ლევან წულაძის რეჟისურით. როგორც თითქმის ყოველთვის, ამჯერადაც, რეჟისორმა იუმორის მაღალი, დახვეწილი კულტურა, დაუშრეტელი ფანტაზია, კრეატიულობა და სიკეთისკენ დაუცხრომელი სწრაფვა გამოავლინა. ლევან წულაძის „შეშლილის წერილები“ იუმორით, მულტიპლიკაციური ხერხებით და სიმსუბუქით ხატავს ადამიანის სულში დატრიალებული განცდებით გამოწვეულ ტრაგედიას. ასეთ დასასრულამდე კი ის საზოგადოებას და გარემოცვას მიჰყავს. პოპრიშჩინის და მისი გარემოცვის მსგავსი რეალური ორეულები კი ჩვენ ირგვლივ ბლომად არიან.

ლევან წულაძის სპექტაკლში ოთხი ქართველი (ზურა ბერიკაშილი, ნიკა კუჭავა, კოკო როინიშვილი, ანა გრიგოლია) და ოთხი იტალიელი (რობერტა დესტეფანო, მასიმო სკოლა, ელეონორა ჯოვანარდი, ლეონარდო ლიდი) მსახიობი მონაწილეობს. სცენაზე მათ შორის ეროვნულობის ზღვარი წაშლილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინგლისურ, იტალიურ და ქართულ ენაზე მეტყველებენ. ლევან წულაძემ ზუსტად ჩაავლო იტალიურისა და ქართულის შინაგან მუსიკალობას, ტემპერამენტს, ინტონაციას და სიტყვათწყობის ტემპო-რიტმს, რის შედეგადაც ორივე ენა, როგორც ერთი მთლიანი და ორგანული, ისე ჟღერს. არტისტები იყენებენ გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვან პალიტრას, რომლის წყალობითაც ენობრივი ბარიერი მთლიანად იშლება და სპექტაკლის მოქმედების სწრაფ დინამიკურობაში მაყურებელიც იოლად ერთვება. სპექტაკლის ავტორების სიმსუბუქე (ნაწარმოების თემატური სიმძიმის მიუხედავად) დარბაზსაც გადაედება და სევდიანი ისტორია ლაღ გარემოში თამაშდება. ლევან წულაძე თავად გახლავთ სპექტაკლის მხატვარი (კოსტიუმები ნინო სურგულაძის), რომელიც შთამბეჭდავ სცენურ გარემოს ქმნის და ოსტატურად ითვისებს სივრცეს. მხატვარი უამრავ მოულოდნელობას ქმნის, რომელიც სიურპრიზის სახით ევლინება მაყურებელს, რაც რეჟისორის გამომგონებლობითი ხასიათით არის განპირობებული. ქორეოგრაფ გია მარღანიას დახვეწილი, პედანტური პლასტიკური ნახაზები არა მხოლოდ მოქმედების გამრავალფეროვნებას უწყობს ხელს, არამედ მიზანსცენებს უფრო სახიერს ხდის. ლევან წულაძის ახალი ნამუშევარი ქართველ და იტალიელ

მსახიობებთან ერთად, „შეშლილის წერილების“ ორიგინალური სცენური ინტერპრეტაციაა, რომელიც გარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ თეატრს საზღვრები არა, მაგრამ ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება, მხოლოდ ერთი და უნიკალური აქვს.

თამაში მაგიდასთან

სპექტაკლის დასახელება - თამაში მაგიდასთან

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი
მხატვრები - ვახტანგ ქორიძე, ელენე ფირცხალავა
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გამფორმებელი - ზურა გაგლოშვილი
ტექნიკური რეჟისორი - ნინო ჟორჟოლიანი

მონაწილეობენ: ონისე ონიანი, ელენე ფირცხალავა, ზაზა კაკაბაძე, ლუკა ზირაქაძე
სპეციალური მოწვევით - ქეთევან კანტიძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 11 დეკემბერი
სარეპეტიციო პროცესი - 1 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:

ლაშა ჩხარტიშვილის რეცენზია პორტალზე artareatv.ge

მაკა ვასაძის გამოხმაურება თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის კატალოგში, 2015 წ.

გამოხმაურება

მაკა ვასაძე

ვჯეროდეს - ოცნებები ახდება

2014 წლის მიწურულს ბესო კუპრეიშვილის „თითების თეატრმა“ კიდევ ერთი არაჩვეულებრივი სანახაობა შესთავაზა მაყურებელს – „თამაში მაგიდასთან“. პრემიერა მარჯანიშვილის თეატრში შედგა. „თითების თეატრი“ უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს მარჯანიშვილის თეატრთან და მის ბაზაზე არაერთი საინტერესო სპექტაკლი განახორციელა: „ჩემი ჰამლეტი“, როსინის ოპერაზე შექმნილი „სევილიელი დალაქი“, „მოხეტიალე სულები“... ბესო კუპრეიშვილის

ყოველი დადგმა გამოირჩევა ორიგინალურობით, დახვეწილი გემოვნებით, დაუშრეტელი ფანტაზიით. ეს გახლავთ თანამედროვე, სინთეზური თეატრის სიმბიოზი. თითებით, თოჯინებით და ცოცხალი მსახიობების მიერ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკაზე შექმნილ ეტიუდებს, რეჟისორი ოსტატურად კრავს ერთ მთლიანობაში. ყოველ მათგანს კი უმთავრესი – ადამიანებისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობა აერთიანებს.

ონისე ონიანის მოხეტიალე ანგელოზი ადამიანად გარდასახვას ცდილობს. ანგელოზი მფრინავის ჩაფხუტით და სათვალით, რომელზეც კიდევ რამდენიმე გამადიდებელი შუშა აქვს მიმაგრებული,დედამიწაზე აღმოჩნდება და ადამიანების ცხოვრებას აკვირდება. გადაწყვეტს, თავადაც იქცეს ადამიანად, პროფესიად კი ჯამბაზობას ირჩევს. ჯამბაზი ხომ სხვებს სითბოს, სიკეთეს, სიყვარულს, სიხარულს ჩუქნის. ათამდე ეტიუდისგან შეკრული სპექტაკლი, სწორედ ონისე ონიანის ანგელოზი-ჯამბაზის მიერ გათამაშებული სხვადასხვა ამბავია. ვის არ შეხვდებით აქ: ცნობილ მომღერლებს, მოცეკვავეებს, თავად სლავა პოლუნინს და ჩარლი ჩაპლინსაც კი. მსახიობთა თითები, ხელები ვიზუალურად გამოხატვის, თამაშის უმთავრესი საშუალებაა.

ონისე ონიანი სხვადასხვა გამომხატველი საშუალებით, მიმიკით, პლასტიკით, თითებით, ხელებით, ფეხებით, ძალიან საყვარელი, ერთდროულად მხიარული და სევდიანი პერსონაჟის სახეს ქმნის. არ შემიძლია, აქვე არ აღვნიშნო, ქეთი კანტიძის ანგელოზი, რომელიც სპექტაკლის მსვლელობის დროს, სულ რამდენჯერმე „გაიელვებს“ სცენაზე. აივანზე პირველი გამოჩენისთანავე, როდესაც ანგელოზის ნიმბს გაანათებს, მაყურებელი სიმპათიით განეწყობა ამ პერსონაჟისადმი. მისი ანგელოზი, თითქოს ჯამბაზად ქცეული ანგელოზის ცხოვრებას ადევნებს თვალს. იგი შიგადაშიგ აივანზე ჩაივლის ხოლმე.

ძალიან ლამაზი და მომხიბვლელია ეტიუდი ბელერინა-ფერიასთან ერთად. რეჟისორმა, მხატვრებმა და მსახიობებმა გულისამაჩუყებელი, ჰაეროვანი სანახაობა შექმნეს. თითებით შექმნილი, თეთრ ფერებში გამოწყობილი ბალერინა ფერია, ონისე ონიანის გარშემო დაფარფატებს, მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ცეკვავს. სანახაობას, ონისე ონიანის პერსონაჟზე, ზევიდან ჩამოცვენილი საპნის ბუშტები აგვირგვინებს. ამას მოსდევს, მსახიობის მიერ, შავი ხელთათმანებით გათამაშებული ეტიუდი – ანგელოზის ადამიანად გარდაქმნა.

ელენე ფირცხალავას და ბესო კუპრეიშვილის სცენოგრაფია მარტივი და სადაა. შავ ფონზე სულ რამდენიმე რეკვიზიტი დგას: ძველებური ფეხის საკერავი მანქანა, ღამის ნათურა, სკამი, ხის საკიდი, კიბე, რომელიც თაროებს მოგვაგონებს და ამ კიბე-თაროზე განლაგებული რამდენიმე ნივთი: სარკე, ჩარჩოში ჩასმული ფოტო, გალიები. ზედმეტი არაფერია, ყველა ნივთი სიტუაციურად თამაშდება. ონისე ონიანი შავი ხელთათმანებით, გასაოცარი პლასტიკურობით, გაათამაშებს ანგელოზის ადამიანად „დაცემის“ ამბავს. შავი ხელთათმანი რამდენჯერმე ეცემა მაგიდაზე და ისევ უკან, მაღლა აიტყორცნება, თითქოს ვერა და ვერ გამოსდის ადამიანად გარდაქმნა. ბოლოს, რამდენიმე მცდელობის შემდეგ, ხელთათმანი დაენარცხება დედამიწა-მაგიდას. მსახიობი შავ ხელთათმანს წითელ საღებავს დააწვეთებს, თითქოს სისხლის ლაქებიაო, ონისე ონიანი, საკერავი მანქანის

უჯრიდან, იღებს ყვითელი ფერის ლენტს, რამდენიმე ამავე ფერის ნიშნულს, ცარცს და ქმნის პოლიციის მიერ, ინციდენტის შემომსაზღვრელ ანტურაჟს. ანგელოზის ადამიანად ქცევის აქტი განხორციელდა.

ბესო კუპრეიშვილი თავის სპექტაკლებში ვიზუალურად აცოცხლებს ხოლმე ცნობილ სიმღერებს, ე. წ. „ჰიტებს". საერთოდ, მუსიკას მის სპექტაკლებში ძალიან დიდი დატვირთვა, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია. ბესო კუპრეიშვილს ზურა გაგლოშვილთან (მუსიკალური გამფორმებელი) ერთად არაერთხელ უმუშავია. მათი ერთობლივი მუშაობის შედეგად იქმნება სპექტაკლის დახვეწილი, გემოვნებიანი მუსიკალური პარტიტურა. ამ სპექტაკლშიც ოსტატურად ენაცვლება ერთმანეთს თანამედროვე თუ კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებები. სპექტაკლში „თამაში მაგიდასთან" გამოყენებულია: რაველის, ჩაპლინის მუსიკა, ტვისტი, ცნობილი სიმღერა „Dont worry be happy", ესპანური ტანგო და ა. შ. რატომღაც მგონია, რომ ბესო კუპრეიშვილის უსაზღვრო ფანტაზიის, ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი, სწორედ რომ მუსიკაა.

ანგელოზის ადამიანად გარდაქმნის შემდეგ იწყება ეტიუდების გათამაშება. ყოველი მათგანი განსაკუთრებულია, ძნელია რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ რამდენიმე მათგანმა განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა. ბესო კუპრეიშვილის ფანტაზიის უნარი გასაოცარია იმითაც, რომ თითქოს არაფრისგან ქმნის სანახაობას. მაგალითად, ბობ მარლეის მიერ შესრულებული ცნობილი სიმღერის „Dont worry be happy" სცენაზე ვიზუალურად განხორციელებისათვის რეჟისორი იატაკის საწმენდ ჯოხს იყენებს. მსახიობი იღებს ჯოხს, ამოატრიალებს, წამოაცვამს ნაჭერს, იატაკის საწმენდი ფოჩები მარლეის თმებს მოგაგონებთ. ცნობილი სიმღერის ფონზე, ონისე ონიანი ამ იატაკის საწმენდი ჯოხით განასახიერებს ბობ მარლეის და მისი შესრულების მანერას.

ის, თუ როგორ შეიძლება არაფრისგან სანახაობა შექმნა, მოწმობს რეჟისორისა და მსახიობის მიერ გათამაშებული ეტიუდი – ჯონ ტრავოლტას და უმა თურმანის ცნობილი ტვისტი, კვენტინ ტარანტინოს ფილმიდან „Pulp Fiction". ონისე ონიანი შარვალს აიკეცავს, მუხლზე ჯამბაზის წითელ ცხვირს დაიმაგრებს, ელენე ფირცხალავა ქუსლიანი ფეხსაცმლით შემოსილ ფეხს შემოდებს მაგიდაზე. დარბაზში ისმის ფილმში გამოყენებული ტვისტი. ჯამბაზი ფეხსაცმელს გააძრობს პარტნიორს ტერფიდან. მსახიობები ფეხების მეშვეობით, საოცარი პლასტიკით აცოცხლებენ ტვისტის ცეკვის ცნობილ კადრებს.

ყოველი ეტიუდი განუმეორებელი სანახაობაა: გულისამაჩუყებელია ეტიუდი წითელი ბუშტებით, სადაც რეჟისორი თითებთან ერთად პატარა კაცუნას თოჯინას იყენებს. განსაკუთრებული იუმორით გამოირჩევა თვითმფრინავებით შერკინების ეტიუდი, სადაც ონისე ონიანის მთელი სხეული მონაწილეობს, აქ უკვე პანტომიმის ელემენტებიც შემოაქვთ რეჟისორსა და მსახიობს. მომნუსხველია მსახიობების მიერ თითებით შესრულებული ტანგო. სევდის, იუმორის, სიხარულის განცდის მომგვრელია ჩარლი ჩაპლინის და სლავა პოლუნინის ეტიუდები. ჩარლი ჩაპლინის მუსიკის ჰანგებზე, ცნობილი ქუდისა და

ხელჯოხის მეშვეობით, ონისე ონიანი ჩარლის ყველასათვის ცნობილ მოძრაობებს ასახიერებს. 2014 წელს თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე თბილისელმა მაყურებელმა იხილა სლავა პოლუნინის „სლავას თოვლის შოუ", სწორედ ამ სანახაობიდან აცოცხლებენ რეჟისორი და მსახიობები, თითებითა და თოჯინის მეშვეობით, სხვადასხვა ეპიზოდს. მოულოდნელი და გულისამაჩუყებელია ფინალურ ეტიუდამდე მაყურებელთა დაჯილდოება ანგელოზის ფრთების ბუმბულებით. ონისე ონიანი ხელის მოძრაობით მიანიშნებს და მაყურებელთა დარბაზში სინათლე ინთება, უეცრად ზევიდან ორი ბუმბული ფარფატით დაეშვება და იმ დღეს, ორი ბედნიერი მაყურებელი სპექტაკლიდან ანგელოზის ბუმბულს წაიღებს სახლში, შეინახავს, შემდეგ წლების განმავლობაში დახედავს ხოლმე ამ ბუმბულს და გაახსენდება სპექტაკლი, რომელმაც ერთ-ერთი საღამო გაულამაზა და დადებითი ენერგიით დამუხტა.

გამაოგნებელი სანახაობაა ფინალური ეტიუდი – ბოლერო. ლუკა ზირაქაძე რეჟისორმა შემთხვევით აღმოაჩინა. ლუკა არ არის პროფესიონალი მსახიობი, ბესო კუპრეიშვილი სადღაც შეესწრო ტექნომუსიკაზე მის მიერ ხელებით შესრულებულ ცეკვას და გადაწყვიტა სპექტაკლში გამოეყენებინა ამ ახალგაზრდის ვირტუოზული ნიჭი. ლუკა რაველის „ბოლეროს" ხელებით ცეკვავს. სიტყვებით შეუძლებელია ამ სანახაობის გადმოცემა. ერთს ვიტყვი მხოლოდ, ლუკას შემხედვარე რწმუნდები, რომ ადამიანის შესაძლებლობები განუსაზღვრელია...

ონისე ონიანის პერსონაჟი ისევ ანგელოზად გარდაისახება. მისი სცენიდან გასვლის შემდეგ, ქეთი კანტიძის ანგელოზი შემობაჯბაჯდება – საყვარელი, მაგრამ მოუქნელი. დიდი მონდომებით ცდილობს მეგობარი ანგელოზის ქმედებების განმეორებას, მაგრამ არაფერი გამოსდის... გულს მაინც არ იტეხს და მხიარულად, ხტუნვა-ხტუნვით გადის სცენიდან. ქეთი კანტიძე სულ რამდენჯერმე გაიელვებს სცენაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან სითბოთი და სიყვარულით აღსავსე, დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

უკვე აღვნიშნე, რომ „თითების თეატრი" და მარჯანიშვილის თეატრი რამდენიმე წელია თანამშრომლობენ და სამი თუ ოთხი ერთობლივი პროექტი შექმნეს. თამამად ვიტყვი, რომ „თამაში მაგიდასთან" ერთ-ერთი საუკეთესოა. სპექტაკლში სიტყვები არ გამოიყენება, მაგრამ სათქმელი და იდეა ვერბალური მხარის გარეშეც გასაგებია. რა საჭიროა სიტყვები, როდესაც შემოქმედებითი ჯგუფი სხეულის სხვადასხვა ნაწილის, განსაკუთრებით კი ხელების და თითების გამოყენებით, პლასტიკით, მიმიკით გადმოსცემს თავის სათქმელს.

სპექტაკლის ანოტაციაში ვკითხულობთ: „საინტერესო იყო შეძლებდა თუ არა ეტიუდებზე აწყობილი სცენები, თანამედროვე მაყურებლის მოხიბვლას და მათი ცხოვრების სწრაფი ტემპის ცოტახნით უსასრულობაში გადაყვანას. სპექტაკლი, რომელიც ოცნების და ფანტაზიის საშუალებას ქმნის! ჩავიფიქროთ ის, რისი ახდენისაც არ გვჯერა! მივაღწიოთ იმას, რისის მიღწევაც შეუძლებლად გვეჩვენება დღეს!" რეჟისორმა და მსახიობებმა მართლაც შეძლეს, ცოტა ხნით მაინც, მაყურებლის მოწყვეტა მოსაწყენი ყოველდღიურობიდან და ოცნებების სამყაროში გადასროლა. მათი გულების სითბოთი, სიყვარულით ავსება და

რწმენის მინიჭება, რომ ადამიანის შესაძლებლობები განუსაზღვრელია და თუ მოინდომებ, ყველა შენი ოცნება ახდება!!!

ლაშა ჩხარტიშვილი

„თამაში მაგიდასთან“, ანუ გამოთხოვება კლოუნადასთან

„თამაში მაგიდასთან“ – ასე ჰქვია ბესო კუპრეიშვილის ახალ სპექტაკლს, რომელიც თითებისა და მარჯანიშვილის თეატრების ერთობლივი ნამუშევარია. სპექტაკლი თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. პრემიერიდან დღემდე უკვე რამდენიმე სპექტაკლის წარმოდგენა გაიმართა მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე და მაყურებლის ინტერესი პრემიერის მიმართ არ განელებულა. წარმოდგენას მაყურებელი სცენიდან (საგანგებოდ მოწყობილია მაყურებელთა ამფითეატრი) ადევნებს თვალს. კამერული ატმოსფერო და ინტიმური კავშირის ხიბლი თითების თეატრმა არც ამჯერად დაკარგა და ამ ინტიმს მაყურებელთან ურთიერთობაში წარმოდგენის მთავარი გმირი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ონისე ონიანი ამყარებს.

ბუნებრივია, მაყურებელთა ინტერესი განპირობებული იყო ორი ფაქტორით: 1. რას შემოგვთავაზებდა ახალს და საინტერესოს ბესო კუპრეიშვილი და თითების თეატრი და 2. მაყურებელს აინტერესებდა ონისე ონიანი ახალ ამპლუაში. თუ როგორ გაართმევდა დრამატული თეატრის მსახიობი მისთვის აქამდე უცხო ჟანრ(ებ)ში მუშაობას თავს.

სპექტაკლი ერთგვარი გადაძახილია და გამოთხოვებაც კი სიკვდილის პირას მისულ ჟანრთან – კლოუნადასთან. მსოფლიოში (ჩვენში კი კარგა ხანია) უკვე დავიწყებას მიეცა ჟანრი, რომელიც სიცილ-ხარხარის თანხლებით მოგვითხრობს ადამიანთა სევდაზე, ისე რომ მოგანიჭოს ბედნიერება და სიხარული. შემთხვევითი არ არის ალბათ, რომ სპექტაკლის „თამაში მაგიდასთან“ ერთ-ერთი ნოველა სლავა პოლუნინს ეძღვნება. კლოუნადის ჟანრის მეფედ აღიარებულმა ოსტატმა სლავა პოლუნინმა არა ერთგზის აღნიშნა, რომ ჟანრი კვდება. ბესო კუპრეიშვილის წარმოდგენაც ამ ჟანრთან ერთგვარი გამოთხოვებაა. სპექტაკლში კვდებიან გმირები, რომლებიც ზეცაში მიფრინავენ. რეჟისორი ზღაპრულ სამყაროში გვამოგზაურებს ისე, რომ არც ერთი წამით არ კარგავს რეალობის შეგრძნებას, არაფერს ალამაზებს საგანგებოდ, ყველაფერს გვაჩვენებს ისე, როგორც არის, მაგრამ ამ რეალურ სამყაროშიც აღმოგვაჩენინებს სიკეთეს, სიმშვიდეს, ბედნიერებას, სიხარულს, რომელსაც ჩვენ თითქოს ვერ ან არ ვამჩნევვთ. არადა, მთელი სპექტაკლი სიკეთით არის გაჟღენთილი, მაშინაც კი, როცა პერსონაჟები წესებს არღვევენ, ან ეშმაკობას სჩადიან.

„თამაში მაგიდასთან“ ეტიუდების პრინციპზე აგებული სპექტაკლია, რომელიც აერთიანებს ნოველებს ადამიანებზე, მათ ცხოვრებასა და ოცნებებზე, სიხარულსა და წინააღმდეგობებზე. ნოველის გმირები სიკეთით სავსე ადამიანები არიან, რომლებიც ზოგჯერ უსულო საგნებს წარმოადგენენ, მაგრამ ოსტატურად აცოცხლებენ თითების თეატრის მსახიობები – ელენე ფირცხალავა, ზაზა

კაკაბაძე, ლუკა ზირაქაძე გამოცდილ დრამატულ მსახიობ ონისე ონიანთან ერთად. საგნები ცოცხლდებიან, სუნთქავენ, მოქმედებენ და ცხოვრობენ სცენაზე. მათი ცხოვრების მონაწილე და თვითმხილველი კი მაყურებელი ხდება. ინტერაქტივი მაყურებელთან სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე არ იკარგება მაშინაც კი, როცა მსახიობები უშუალო კონტაქტს არ ამყარებენ მაყურებელთან.

მცირე (მაგრამ ზომიერ ქრონომეტრაჟიან) წარმოდგენაში ჩვენს თვალწინ გაიელვებენ ნაცნობი გმირები, თუ პერსონაჟები, მოვლენები და სიტუაციები; ისინი, რომელთა ცხოვრებაც კარგად ვიცით და ის სიტუაციები, რომლებისთვისაც თვალი მოგვიკრავს, ან ცხოვრების გზაზე მოულოდნელად გადაგვყრია ქუჩაში, ეზოში, ნაცნობ-მეგობრებში, ტელეეკრანებზე...

სპექტაკლი სხვადასხვა და მრავალფეროვანი გამომსახველობით საშუალებათა ერთობლიობაა, დაწყებული ცოცხალი პლანის არტისტით, დამთავრებული უსულო საგნების მრავალფუნქციური გამოყენებით, მსახიობები კი, თავის მხრივ, იყენებენ მთლიან სხეულს – ფეხიდან დაწყებული, თითებით დამთავრებული. მსახიობის სხვადასხვა კიდური სხვადასხვა დანიშნულებას იძენს და გარკვეულ (მოულოდნელობის) ეფექტს ახდენს მაყურებელზე. სპექტაკლის რეჟისორი აქ მდიდარი ფანტაზიის მქონე შემოქმედად და გამომგონებლად მოგვევლინა, რომელიც მხოლოდ მრავალფეროვან სამყაროს კი არ გვიშლის თვალწინ, არამედ საგნებსა და ადამიანის სხეულს (კიდურებითურთ) სხვაგვარად აცოცხლებს და აძლევს მრავალგვარ დანიშნულებას.

სპექტაკლის მთავარი გმირი ონისე ონიანია, რომელსაც აქამდე მაყურებელი იცნობს სახასიათო როლებით. ამჯერად, მსახიობი სულ სხვა ამპლუაში წარსდგა მაყურებლის წინაშე, როგორც ტრაგიკულად მოაზროვნე არტისტი, რომლის მთავარი ინსტრუმენტი სიტყვა კი არ არის, არამედ გარდასახვის უნარი და სხეულის ენა-პლასტიკას რომ ეძახიან (ქორეოგრაფი გია მარღანია). მსახიობის ყველა მიმიკა, ჟესტიკულაცია, მოქმედება არის ზომიერებითა და მხატვრული სიმართლით გამოხატული, რომელიც მრავალგვარ განწყობა-ემოციას იწვევს მაყურებელში და ნოველების ცვალებადობასთან ერთად იცვლება. ონისე ონიანი მოაზროვნე მსახიობადაც მოგვევლინა, რომელიც ღრმა ტრაგიკული განცდით გვიხატავს ათასგვარი ადამიანის მხატვრულ სახესა და მათ ცხოვრებას. მათი გმირები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასაკით, მისწრაფებებით, ცხოვრების წესითა და სოციალური მდგომარეობით, მაგრამ ერთი რამ – სევდა და მოკვდავი სხეული აერთიანებთ. განსაკუთრებით ტრაგიკულია ჩარლი ჩაპლინისადმი მიძღვნილი ნოველა, ონისე ონიანი ოსტატურად აცოცხლებს ყველაზე დიდი ჟამბაზის სულს დედამიწაზე და პარტერში გადმოაქვს განწყობა, რომელიც დიდხანს მიყვება თეატრიდან გასულ მაყურებელს. ასევე გამორჩეულია პაროდია სლავა პოლუნინზე, სპექტაკლის ციტირებული ეპიზოდები, რომლებიც მცირე მასშტაბში ცოცხლდება, მაგრამ იმავე განცდას გიტოვებს, როგორც დიდ დარბაზში ორიგინალის ყურებისას.

ამ სპექტაკლში შელამაზების გარეშე გვიყვებიან ცხოვრებაზე, სულიერ სიმარტოვესა და თავგადასავლებზე, ოცნებებზე, რომლებიც საპნის ბუშტივით ყოველთვის სკდება და შემდეგ ქრება. რეჟისორს შევყავართ, მაგრამ არ

გვტოვებს ზღაპრულ და საოცნებო სამყაროში, ის ყოველთვის გვაბრუნებს არც თუ სახარბიელო, მწარე რეალობაში. რეჟისორი არ ერიდება ირონიას, გროტესკს, უტრირებას. ირონიულად იყურებს ის ცხოვრებას, ზღაპრულ სამყაროსაც და ანგელოზსაც (ქეთევან კანტიძე), რომელიც ტიპური გროტესკული პერსონაჟია სპექტაკლში, ერთგვარი რეფრენი, რომელიც არა ერთხელ სხვადასხვა განწყობითა და მდგომარეობით ეტაპობრივად უბრუნდება მაყურებელს, როგორც რეალური არსება, რომელიც ისწრაფვის ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ. ქეთი კანტიძის ანგელოზი გაადამიანურებულია, რომელსაც თავისი მიზნები და ოცნებები აქვს, მიუხედავად იმედგაცრუებისა, ის არ კარგავს თვითირონიას. ელექტროშარავანდედის თანხლებით (რომლის ჩართვაც ავიწყდება, რა ქნას, პროტოკოლი ავალებს მას ამ ვალდებულებას) რეალურ ცხოვრებაში „შემოჭრილი" ფუნფულა და საყვარელ ანგელოზი მაყურებელს ეპრანჭება, ისიც ბედნიერებას ესწრაფვის და ოცნებობს ქალურ ბედნიერებაზე, მისი ზრახვები, რომელიც შესაძლოა ცოდვადაც ჩაეთვალოს, კეთილია და იუმორით გაჯერებული.

ცნობილ მუსიკალურ თემებსა (მუსიკალური გამფორმებელი ზურა გაგლოშვილი) და პერსონებზე ბესო კუპრეიშვილი კრეატიულად ოხუნჯობს. აქ შეხვდებით ჯამბაზის ეტალონებს: ჩარლი ჩაპლინს, სლავა პოლუნინს და ქართველ მომღერალ ნინო ქათამაძესაც. მათი შემოქმედებიდან საინტერესოდ და ახლებურად (განსხვავებულ სივრცეში განსხვავებული ხერხებით) გააზრებული ციტირება კი არ გაღიზიანებს, არამედ გაოცებს შემოქმედებითი ჯგუფის ფანტაზიის უნარი და მასშტაბი. სპექტაკლის კულმინაციური მომენტია მორის რაველის „ბოლეროზე" შესრულებული თითებით ცეკვა ლუკა ზირაქაძის მიერ. მსახიობი ხელების მტევნების მოძრაობით ათასგვარ კომპოზიციას ქმნის, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში არ მეორდება, მსახიობი სულ სხვადასხვა კომბინაციას გვთავაზობს, რომელიც ვიზუალურადაც ლამაზია და შესრულების თვალსაზრისით ვირტუოზულიც.

ბესო კუპრეიშვილის ახალი სპექტაკლი ევროპაში „საგნების თეატრის" სახელით ცნობილი მიმართულების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს ყველა იმ გამოცდილებას, რაც კი დაუგროვებია თეატრს აქამდე, თოჯინების თეატრიდან დაწყებული, ცოცხალი პლანის მსახიობის გამოყენებით დამთავრებული. შესაძლოა, ამ გამოცდილებათა ერთობლიობასაც ეთხოვება ბესო კუპრეიშვილი სპექტაკლით „თამაში მაგიდასთან".

სცენის ე.წ. ჩაცმულობა პირდაპირ ციტირებას წარმოადგენს სლავა პოლუნინის სპექტაკლისა „თოვლის შოუ", მუქი ლურჯი ფერის დრაპირებული კულისები სწორედ ამაზე მიუთითებს. მხატვრებმა ვახტანგ ქორიძემ და ელენე ფირცხალავამ სცენაზე მხოლოდ მაგიდა და ერთი ტუმბო დადგეს. სცენის კიდეებში კი გასაშლელი კიბე დგას, რომელზედაც სხვადასხვა ნივთია ჩამოკიდებული. სპექტაკლი ერთგვარი გადაძახილიც არის სლავა პოლუნინთან და მის თეატრთან, რომელიც ადამიანების ბედნიერებასა და მათ სევდიან ბუნებაზე მოგვითხრობს.

ბესო კუპრეიშვილის თითების თეატრი იშვიათად გვთავაზობს პრემიერებს, მაგრამ ყოველთვის ვიტოვებს რაღაც ახლის, განსხვავებულის ნახვის მოლოდინის განცდას. ამჯერადაც, ამ თეატრის შემოქმედებითმა ჯგუფმა განსაკუთრებული და სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო თავის გულშემატკივრებსა და მათი მუშაობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილ მაყურებლის ნაწილს. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში თუ არა, ბესო კუპრეიშვილი კვლავ მოგვანიჭებს იმ სიამოვნებას, რომელსაც აქამდე მისი სპექტაკლებით გვანიჭებდა და კვლავ გვაზიარებს „მკვდარ ჟანრებს“, რომლებიც მხატვრულად ამ წარმოდგენაში უკანასკნელ გზაზე გააცილა.

ათვინიერებენ მიმინოს

სპექტაკლის დასახელება - ათვინიერებენ მიმინოს

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ლაშა თაბუკაშვილი
რეჟისორი, სცენოგრაფი
და მუსიკალური გამფორმებელი - პეტრე ჩარგეიშვილი
კოსტიუმების მხატვარი - ოლიკო ბერაძე
სასცენო მოძრაობა - შოთა სხირტლაძის
ვიდეო მონტაჟი - ზაზა ძიძიგური და კახა წულაია
რეჟისორის ასისტენტი - ლიკა მამიაშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
პატრონი - ვალერი კორშია
იონა - ზაზა იაკაშვილი
გიო - გიორგი ყორღანაშვილი
მერი - ლილე ფილფანი
ანი - ნათია ნიკოლაიშვილი
მელოტი - გიორგი ტატიშვილი
პირველი ბაზიერი - თენგიზ პაპიძე
ბაზიერები: გიგა გოგოჩაძე, გიორგი ჟღერია, ბესო ბახტაძე, ბაკური ჟვანია, ამირან გოგოლაძე
ბაზიერი ქალი - სოფო სიმონიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 16 იანვარი
სარეპეტიციო პროცესი - 48 დღე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლს პრესაში გამოხმაურება არ მოჰყოლია.

გამოხმაურება

ლაშა ჩხარტიშვილი

რით ვერ მოათვინიერეს მიმინო?!

რეჟისორებს მხოლოდ მსახიობებით გატაცება-ამოჩემება როდი სჩვევიათ. თვალშისაცემია მრავალი ტენდენცია, მათ შორის, ერთი და იმავე პიესის სხვადასხვა თეატრში დადგმა (განსაკუთრებით სამწუხაროა, თუ ამ სენით ახალგაზრდა რეჟისორი დაავადდება) და პიესით გატაცება, რომელსაც სხვადასხვა თეატრში ასევე რამდენიმე რეჟისორი დგამს. კარგად გვახსოვს თბილისის რამდენიმე თეატრში „მაკბეტების", „რომეო და ჯულიეტების", „ჰამლეტების" სერიები. ასევე ხშირად იდგმება ლაშა თაბუკაშვილის პიესები. ფაქტობრივად, სეზონი არ ყოფილა, რომ ლაშა თაბუკაშვილის რომელიმე პიესა არ დადგმულიყო. განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ რეჟისორები პიესას „ათვინიერებენ მიმინოს", რომელიც არა მხოლოდ მოყვარულ, კერძო, თუ სახელმწიფო პროფესიული თეატრების სცენებზე იდგმება, არამედ უმაღლეს სასწავლებლებშიც კი. ამიტომ მიჩნდება ხოლმე შეკითხვა: რით ვერ მოათვინიერეს მიმინო... ანუ რით ვერ ამოწურა ქართულმა თეატრმა პიესაში დასმული პრობლემები, აქცენტები... გასაგებია, რომ პრობლემა, რომელიც ლაშა თაბუკაშვილმა პიესაში „ათვინიერებენ მიმინოს" დასვა, დღემდე აქტუალურია, რომ ვერასდროს მოთვინიერდება შავთვალება მიმინო, თუკი ის აღმოჩენისთანავე არ განადგურდა, მაგრამ გაუგებარია, რატომ ირჩევენ რეჟისორები პიესას, რომელიც მრავალგზის განხორციელდა ქართულ სცენაზე.

ამჯერად, „ათვინიერებენ მიმინოს" მარჯანიშვილის თეატრის სხვენში პეტრე ჩარგეიშვილის სცენური ინტერპრეტაციით ვნახეთ, რომელშიც მარჯანიშვილის თეატრის (და არა მარტო) სხვადასხვა თაობის მსახიობები მონაწილეობენ: ვალერი კორშია, ზაზა იაკაშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, ლილე ფილფანი, ნათია ნიკოლაიშვილი, გიორგი ტატიშვილი, თენგიზ პაპიძე. სპექტაკლის ანოტაციაში ვკითხულობთ: „სისტემა კანონიერების პროდუქტია, მხოლოდ სექტად არ უნდა იქცეს... სექტადქცეულ სისტემას კი გაქცევით ვერ შეცვლი... სისტემაში უნდა დარჩე და იბრძოლო მის შესაცვლელად, თუნდაც შეეწირო მას და გაქცევა დარჩენითაც შესაძლებელია, ასე ვფიქრობ... როგორ მოიპოვებ თავისუფლებას გაქცევით, დარჩენით, თუ?!.." სპექტაკლში მთავარი გმირი გიო (გიორგი ყორღანაშვილი) ეწირება იდეას, მისი შეწირვა კი სისტემის დანგრევას იწვევს. გიო რეჟისორ პეტრე ჩარგეიშვილის კონცეფციით მესიაა, ქრისტეა, მასაც იესოსავით ჯვარზე აცვამენ ფინალურ სცენაში.გასაგებია რეჟისორის ჩანაფიქრი, მისი ხედვა და მთავარი გმირის იდენტიფიცირება მხსნელთან, მაგრამ ვფიქრობ, გიო არ არის მესიის მასშტაბის პერსონაჟი.

მიუხედავად გაუმართავი ეპიზოდებისა, სპექტაკლში ვხვდებით დახვეწილ მიზანსცენებს და ნათლად ვლინდება რეჟისორის მეტაფორებით აზროვნების უნარი. სპექტაკლი ამის თქმის საშუალებას ნამდვილად გვაძლევს, თუმცა რეჟისორი ძალიან გაიტაცა „ორიგინალურობის ჩადენის" სურვილმა და

მოულოდნელი ფინალი შემოგვთავაზა, რაც მთავარი გმირის იესო ქრისტესთან იდენტიფიცირებაში გამოვლინდა. რეჟისორი ცდილობს მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და სპექტაკლს დაატყოს რეჟისორული კვალიც, ის ხშირად ჩანს თავის მიზანსცენებში, რომლებიც, ვფიქრობ, ზედმეტი და ხელისშემშლელი უფროა ზოგადად წარმოდგენისთვის, ვიდრე ხელშემწყობი ფაქტორი. სპექტაკლის საკმაოდ გრძელი საექსპოზიციო ნაწილი აფერხებს წარმოდგენის რიტმულობას. რეჟისორი გვიხატავს ჩაკეტილ სივრცეს, სადაც ადამიანებს ზომბებად აქცევენ, ოდნავი წინააღმდეგობა და პროტესტი სიკვდილის ტოლფასია. აქ, ამ სამყაროში, გულს კლავენ, მაგრამ ბოლომდე ვერა, ვერც მათი პატრონია (გოჩა რუხაძე) უძლური ადამიანურ გრძნობებთან. მასაც აქვს სუსტი წერტილები და სწორედ ეს სისუსტე ანგრევს ტირანიის ბუდეს. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლს ეტყობა რეჟისორის მასალაზე სერიოზული მუშაობის კვალი, სპექტაკლში გაპარულია ისეთი დეტალები, რომლებიც რეჟისორს დამუშავების და ყურადღების მიღმა დარჩა. მაგალითად, სცენა, სადაც ანი (ნათია ნიკოლაიშვილი) და გიო (გიორგი ყორღანაშვილი) ავანსცენაზე საუბრობენ. ეს დიალოგები დაძაბული რიტმით და ხასიათით მიმდინარეობს, მაგრამ არის ემოციური, სცენური თვალსაზრისით მართალი და გულწრფელი. ისინი ავლენენ კარგ პარტნიორობას. დასამახსოვრებელი ტიპაჟი შექმნა სპექტაკლში გიორგი ტატიშვილმა მელოტის სახით. მსახიობი ცდილობს გამოიყენოს მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალება და დეტალებით გაამდიდროს თავისი პერსონაჟი.

„ათვინიერებენ მიმინოს“ დადგმული მარჯანიშვილის თეატრის სხვენში მდიდარი არტისტული ნამუშევრებით არ გამოირჩევა. გმირთა ხასიათებს აკლიათ სიღრმე და განზოგადება, მასშტაბურობა, რომლის მიღწევასაც, პიესასთან ერთად, რეჟისორული პარტიტურაც უშლის ხელს.

კრამერი კრამერის წინააღმდეგ

სპექტაკლის დასახელება - კრამერი კრამერის წინააღმდეგ

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ევერი კორმანის მიხედვით
რეჟისორი - დავით ჩხარტიშვილი
მხატვარი - თამუნა ლომსაძე
მუსიკალური გაფორმება - დათო ჩხარტიშვილი
რეჟისორის ასისტენტი - თამუნა ფრუიძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ტედი - ნიკა კუჭავა
ჯოანა - ნათია ნიკოლაიშვილი
ბილი - სანდრო შარაშიძე
მარგარეტი - თეონა ქოქრაშვილი

ჯიმი - ვალერი კორშია
ჯონი - ზურა ბეგალიშვილი
ტელმა - გვანცა კორშია
ადვოკატი - ჯანო იზორია

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის მაისი
სარეპეტიციო პროცესი - 43 დღე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
თეა კახიანის რეცენზია პორტალზე georgiantheatre.ge

მოთამაშეები

სპექტაკლის დასახელება - მოთამაშეები

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის სარეჟისორო სამაგისტრო ჯგუფის სადიპლომო სპექტაკლი (ჯგუფის ხელმძღვანელები: გოგი მარგველაშვილი, გიორგი ცქიტიშვილი)

თარგმანი - მანანა აბრამიშვილის
დამდგმელი რეჟისორი - დენ ხლიბოვი
დამდგმელი მხატვარი - მირიან საღარეიშვილი
მუსიკალური გამფორმებელი - ლევან გვაზავა
ქორეოგრაფი - დავით მეტრეველი
რეჟისორის თანაშემწე - ლიკა მამიაშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
იხარიოვი - ნიკოლოზ ნანიტაშვილი, დენ ხლიბოვი
პეტრე უტეშიტელნი - ზაზა იაკაშვილი
პოლკოვნიკი კრუგელი - ვალერი კორშია
შვოხნევი - ბაჩუკი დოღონაძე
მიხეილ გლოვი - ბესო ბარათაშვილი
ალექს გლოვი - კოკო როინიშვილი
კომპანიის წარმომადგენელი პსოი სტახიჩი - გიორგი კიკნაძე
სასტუმროს მსახური ალექსი - გიორგი ხურცილავა
იხარიოვის მსახური - ნოდარ ძოწენიძე
გოგო - სოფო სიმონიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 10 დეკემბერი
სარეპეტიციო პროცესი - ერთი თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

ჩემო მეჟოლია

სპექტაკლის დასახელება – ჩემო მეჟოლია

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:

პიესის ავტორი - მიხო მოსულიშვილი
რეჟისორი - ხათუნა მილორავა
სცენოგრაფია - ლევან წულაძე, შაკო ჩაგუნავა
მუსიკალური გაფორმება - ზურა გაგლოშვილი
ინგლისური ტექსტი თარგმნა - ბაია დევსურაშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ლიკა მამიაშვილი

მონაწილეობენ:
ნატა ბერეჟიანი (სოფო)
ანა სანაია (შოკა)
ზაზა გოგუაძე (ჩიტო)
ზაზა იაკაშვილი (ბაქსტერი)
მარიამ სუჯაშვილი (ელისი)
კოკო რონინიშვილი (თოკო)

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 5 ივნისი
სარეპეტიციო პროცესი - ერთი თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

გამოხმაურება

თამარ ქუთათელაძე

„ჩემო მეჟოლია“

მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე, ხათუნა მილორავამ დადგა მიხო მოსულიშვილის „ჩემო მეჟოლია“. ერთ მოქმედებად გააზრებულ სპექტაკლში (მუსიკალური გამფორმებელი - ზურაბ გაგლოშვილი) ლევან წულაძისა და შაკო ჩაგუნავას მიერ შექმნილი სცენოგრაფიული გარემო გვთავაზობს თითქმის ყოველგვარი ზედმეტი დეკორაციისაგან განძარცვულ თეთრ, პრიალა ყუთს. აქ ტექნიცისტური გარემო „სუნთქავს“ და შესამჩნევია ჩვენი თანამედროვე, ტოტალურად გაუცხოვებული, კარჩაკეტილი საზოგადოების გაველურებული სახე. აქაც ისეთივე სიცივე და სიცარიელეა, როგორც ამ სცენურ გარემოში ჩასახლებულთა სულებში. ეს მანერული, დეპრესიული ადამიანები მუდამ სხვის ხარჯზე ცდილობენ კომფორტული, იოლი ცხოვრების მოწყობას და მთელი არსებით გაურბიან თვითგამორკვევას, თვითრეალიზებას. მწირი სამეტყველო

ლექსიკითა და სლენგით ამეტყველებული გაკოტრებული ახალი ქართველობა, კვლავაც უკადრისობს არაპრესტიჟულ სამუშაო პირობებს, არარეალიზებად გარემოში მყოფნი კი, პანიკურად ერიდებიან მარტოობას, რომ მძაფრად არ შეიგრძნონ საკუთარი უმწეობა, სიღატაკე, არაჯანსაღი მდგომარეობა.

სპექტაკლმა ასახა პოსტსაბჭოურ საქართველოში წარმოქმნილი, ადრე უცნობი არაერთი პრობლემა, გამოკვეთა ახალი ეპოქის „გაევროპელებულ", მოდურ ყაიდაზე ცხოვრებისათვის მეოცნებე ქართველ თაღლითთა არაერთი მახინჯი სახე. სცენაზეა ჩვენი ყოველდღიური რეალობა, სადაც ყველა მანკიერება დასაშვებია. მსახიობები უჩვენებენ ოჯახის სარჩენად გადახვეწილი ქალის ხარჯზე მცხოვრები გადაგვარებული, უსაქმური, ზნეობადაკარგული, ათასგვარ თაღლითობაში გაწაფული, ურცხვი მამაკაცის სახესა და ცნობიერებას, მხოლოდ სარგებელზე ორიენტირებული, პარაზიტულად მცხოვრები ქალის პორტრეტს. დრამატურგი უცნაურ სახელებს არქმევს თავის პერსონაჟებს და ამ დეტალითაც გვაწვდის „მესიჯს" ახალი ეპოქის მკაცრ რეალობასთან ადაპტაციის უუნარო საზოგადოების ძალზე საეჭვო ღირებულებებისა და არჩევანის თაობაზე.

სცენის მარცხენა მხარეს საფლავია მოწყობილი, მარჯვნივ კი მაგიდა დგას შამპანურის ჭიქებით. მოულოდნელად სამგზავრო ჩანთას შემოაგორებს და საკუთარ ჭერს უბრუნდება ახალგაზრდა ქალი, მაგრამ მისი სტუმრობა თავზარს სცემს ე. წ. ოჯახის წევრებს. იწყება უცნაური ალიაქოთი და მოვლენებიც სწრაფად ვითარდება.

პუბლიცისტური ხასიათის ტრაგიკომედიაში ნატალია ბერეჟიანის ყოფილი მევიოლინე სოფო, ამერიკაში თორმეტწლიანი მომვლელად მუშაობის შემდეგ, ქმრის წლისთავზე ბრუნდება შინ, სადაც მას „სიურპრიზი" ელის. როგორც ირკვევა, მისი უქნარა მეუღლე, ზაზა გოგუაძის ჩიტო არ გარდაცვლილა. ის სოფოს სკოლის მეგობრის, ანა სანაიას შოკას ქმარი გამხდარა. სოფოს მხოლოდშობილი ვაჟი, ახალი თაობის მორიგი გაიძვერა და ჰაკერი კონსტანტინე (კოკო) როინიშვილის თოკოც, მამისა და ფეხმძიმე დედინაცვლის თანამოაზრედ ქცეულა, რომ ბანკში ჩადებული ბინის პროცენტი გადაეხადათ და ოჯახის სარჩენად გადახვეწილი ქალისთვის რაც შეიძლება მეტი ფული გამოეძალათ... სოფოს სულ მალე, ლამის ფეხდაფეხ მოჰყვება საკუთარ მომვლელზე შეყვარებული შუახნის ასაკს გადაცილებული, ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული ზაზა იაკაშვილის ამერიკელი ბაქსტერ ო'სალივანი და მემკვიდრეობის დაკარგვის შიშით შეშფოთებული მისი ქალიშვილი მარიამ სუჯაშვილის ელისი. იმის გამო, რომ ბაქსტერ ო'სალივანმა სოფოს გარდა არავინ გაიკარა მომვლელად, კონტრაქტი ყოფილ მომვლელთან თბილისში გრძელდება, მაგრამ, საკუთარ ოჯახის წევრებზე განრისხებული სოფო, მოითხოვს, ამჯერად სწორედ მათვე იტვირთონ მომვლელის ფუნქცია და გააცნობიერონ სოფოს მიერ ოჯახის გამო გაწეული მსხვერპლი.

მსახიობები გულწრფელად, ლაღად, სცენური თავისუფლების უჩვეულო შეგრძნებით, იუმორითა და ირონიით, ჰაეროვანი ჟესტითა და ზუსტი ინტონაციებით ქმნიან თვითგადარჩენისათვის უცნაური ხერხებით მებრძოლი სცენური გმირების სახეებს.

თავქარიანი პოლკოვნიკის ახირებული ბუნების გამო, შრომის უმძიმესი რეჟიმით დათრგუნული ჩიტო, შოკა და თოკო აპროტესტებენ გადამთიელის ძალადობას. თავად ბაქსტერ ო'სალივანი კი, რომელიც სოფოს მის მეჟოლიად მიიჩნევს, თუ თავად პიესისეულ ტექსტში აღარ აპირებს სოფოს ხელის თხოვნას იმ მოტივით, რომ პარაზიტების თანამგრძნობი ქალი, შეუძლებელია მათზე უკეთესი იყოს, სპექტაკლში საპირისპირო სცენაა. დადგმის ფინალში, ოჯახის წევრების პარაზიტული ყოფით გაწამებული სოფო, გაოცებული ყოფილი მეუღლის, ვაჟისა და ყოფილი მეგობრის, ამჯერად კი მეუღლის მეუღლის თვალწინ, პოლკოვნიკთან ერთად პიკანტურ სასიყვარულო სცენას გაითამაშებს.

სპექტაკლი, ისევე როგორც პიესა, გადატვირთულია პარალელური თემებით, რაც აუფასურებს წარმოდგენაში გაჟღერებული, თანამედროვეობის უმძაფრესი პრობლემების აქტუალობას და არსობრივად ვერაფერს სძენს დადგმას. სპექტაკლშიცა და პიესაშიც გამოსაკვეთია დრამატურგიული ინტრიგა. სერიული მკვლელისა და მისი დანის მოძიების თემა ვერც წარმოდგენაში ვითარდება და ვერც სპექტაკლში. ვფიქრობ, ბუნდოვანია სპექტაკლის ორი დასასრულის არსიც.

რა ვუყოთ ამ ჩელოს

სპექტაკლის დასახელება - რა ვუყოთ ამ ვიოლონჩელოს

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - მატეი ვიშნეკი
ფრანგულიდან თარგმნა - თინათინ ღარიბაშვილმა

რეჟისორი, სცენოგრაფი და
მუსიკალური გამფორმებელი - გიორგი თავაძე (იმარინდო)
კოსტიუმების მხატვარი - ქეთევან ციციშვილი
ქორეოგრაფი - ლანა მღებრიშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ნინო ჟორჟოლიანი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ქალი ვუალით - ქეთი ცხაკაია
მამაკაცი გაზეთით - დავით ხურცილავა
მოხუცი მამაკაცი ხელჯოხით - ბესო ბარათაშვილი
მამაკაცი ვიოლონჩელოთი - გიორგი ხურცილავა

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 24 ნოემბერი
სარეპეტიციო პროცესი - 3 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

გამოსაურება

ირინა ღოლობერიძე

გიორგი თავაძის სარეჟისორო პარტიტურა მატეი ვიშნეკის პიესისათვის

მარჯანიშვილის თეატრის ახალ სცენაზე 15 ნოემბერს კიდევ ერთი პრემიერა შედგა. გიორგი თავაძემ მაყურებელს რუმინელი დრამატურგის მატეი ვიშნეკის პიესა „რა ვუყოთ ამ ჩელოს“ წარმოუდგინა. უნდა აღვნიშნო, რომ გოგა თავაძემ უკვე მეორედ მიმართა ვიშნეკის დრამატურგიას და თეატრის მოყვარულთ უდავოდ გაახსენდებათ ბათუმის ილია ჭავჭავაძის დრამატული თეატრის გასტროლი რუსთაველის თეატრში და დიდ სცენაზე ნაჩვენები, უჩვეულო ხელწერით განხორციელებული სპექტაკლი „გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი“ (ორიგინალური სათაური „სამუშაო მოხუცი კლოუნისთვის“), სადაც მოხუც კლოუნებს კინომსახიობთა თეატრის მსახიობი რამაზ იოსელიანი და ბათუმის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები ტიტე კომახიძე და მამუკა მანჯგალაძე ასახიერებდნენ. მატეი ვიშნეკის პირველ დადგმას საქართველოში დიდი წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლი მიწვეული იყო ფესტივალზე რუმინეთში, სადაც მაყურებელმა, პრესამ და, რაც მთავარია, დრამატურგმაც მას მაღალი შეფასება მისცეს.

წარმოშობით რუმინელი, ამჟამად კი საფრანგეთის მოქალაქე და ფრანგულენოვანი ავტორი აღმოსავლეთ ევროპის დრამატურგთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც 80-იან წლებში ბერლინის კედლის დანგრევამდე ან მალევე მას შემდეგ, პოსტ-კომუნისტურ სივრცეს თავი დააღწიეს და ევროპაში გადასახლდნენ, ანკა ვისდეი, მაგალითად, ან სლავომირ მროჟეკი და სხვ. მატეი ვიშნეკი კომუნიზმს თავდაღწეულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პროდუქტიული დრამატურგია. ჩაუშესკუს რეჟიმის დროს მან „თავისუფლების თავისებური ნიშა“ მონახა და კაფკას, დოსტოევსკის, კამიუს, ბეკეტის, იონესკოსა და სხვათა შემოქმედებით საზრდოობდა. მიყვარდა ყველა, ამბობდა იგი, „სიურეალისტები, დადაისტები, ფანტასტიკა, აბსურდი, გროტესკი, ანგლო-საქსონური რეალიზმიც კი, მიყვარდა ყველაფერი სოც-რეალიზმის გარდა“. პიესების წერა ოთხმოციანების დასასრულს დაიწყო, ჯერ რუმინულად წერდა, საფრანგეთში წასვლის შემდეგ – უკვე ფრანგულად. 1991 წელს ლიონის „საავტორო დღეებზე“ საფრანგეთში პირველად წაიკითხეს მისი პიესა „ცხენები ფანჯარაში“, რომელმაც მოკლე დროში პარიზის, ავინიონის, ტულუზისა და ათამდე სხვა ქალაქის თეატრების დიდი თუ მცირე სცენა მოიარა. დღეს მატეი ვიშნეკი ფრანგულენოვან ცოცხალ დრამატურგთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დადგმადი ავტორია, ის უცხოეთშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი პიესები დაიდგა პიკოლო თეატრში, სტოკჰოლმის სამეფო და ჰოლივუდის თეატრებში, სტამბოლის ეროვნულ თატრში, კანადაში, იაპონიაში და სხვ.

„რა ვუყოთ ამ ჩელოს“ ვიშნეკმა 1989 წელს დაწერა. რუმინეთში ამ

პიესის დადგმა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი, რადგან მუსიკოსისა და მუსიკით აგრესია ჩაუშესკუს დიქტატურის აშკარა მეტაფორად იკითხებოდა. 1990 წელს რუმინულმა ეროვნულმა არხმა პიესის მიხედვით ტელესპექტაკლი შექმნა, 1997 წელს პიესა პარიზის ლუსერნერის თეატრში რეჟისორმა ლაიონელ ასტიემ დადგა.

მატეი ვიშნეკი ლაკონური სტილის და კამერული ფორმატის დიდოსტატია. გასაღები თავის სპექტაკლს გიორგი თავაძემ ავტორის ექსპრესიულ ლაკონურობაში და თავისი საყვარელი ბელგიელი მხატვრის, სკულპტორის და სურეალიზმის მეტრის – რენე მაგრიტის პარადოქსული სამყაროს შთაგონებით მოუძებნა. სპექტაკლის სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმებაც თვითონ გიორგი თავაძეს ეკუთვნის და აქვე დავაზუსტებ, რომ დრამატურგს პიესის რემარკებში არსად აქვს მითითებული, სპექტაკლში ვისი, ან რა ტიპის მუსიკა უნდა გაჟღერდეს. მას მხოლოდ პერსონაჟი ჰყავს დასახელებული – კაცი ჩელოთი. ასე მაგალითად, რუმინელების სპექტაკლში, რომელიც ერთ-ერთ ფესტივალზე ევროპაში ვნახე, მუსიკა ტელევიზორიდან ჟღერდა. ამგვარად მუსიკალური პარტიტურის შერჩევა ჩვენთან რეჟისორის პრეროგატივად დარჩა.

სცენოგრაფია, კოსტიუმები და, პრინციპში, განათებაც შავ-თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი. სცენის სიღრმისკენ, ორივე მხარეს და გასწვრივ ავანსცენაზე რამდენიმე თეთრი ტუმბო დგას, ასევე სიღრმეში, სცენის შუაგულში ერთი სკამია, მის ზემოთ, ჰაერში ჩელოა დაკიდებული. სკამის მარჯვნივ პატარა შემაღლებაა, რომელსაც წინიდან, გამჭვირვალე ტიხარი პირობითად ფარავს. ტიხარზე რენე მაგრიტის საკულტო პორტრეტის, შავ-თეთრ ანარეკლად სტილიზებული, ასლია გამოსახული. ეს არის კლასიკურად (თეთრი პერანგი, ჰალსტუხი, პიჯაკი) ჩაცმული კაცის პორტრეტი, რომელიც მაგრიტთან ხან სახედაბურულია, ხან ზურგშექცევით დგას, ხან ცხვირის მაგივრად ადამის მწვანე ვაშლი, ჩიბუხი ან ფრინველი აქვს მიხატული. რეჟისორმა ტიხრის პერსონაჟს მაგრიტისეული ბიბლიურ-ირონიული მეტაფორულობა ჩამოაშორა და ოცდამეერთე საუკუნის სტანდარტულობა შესძინა. ტუმბოებთან დგანან ან სხედან ასევე შავ-თეთრში გამოწყობილი მანეკენები, მათგან ორი – ქალი ვუალით და მოხუცი ხელჯოხით მაყურებლის პირისპირ, ავანსცენაზეა მოთავსებული. ჩვენ წინაშე დროისა და ადგილის მიღმა მყოფი უძრავი სამყაროა, რომელსაც ფიცარნაგზე ლანდივით და შიშნარევი, თითქოს, შემპარავი პლასტიურობით ჩელოსკენ მისრიალე ახალგაზრდა კაციც კი ვერ შეატოკებს. ერთადერთი ემოცია, რომელიც ამ გაყინული გარემოდან დარბაზისაკენ მოედინება არის მხოლოდ მოლოდინი და გაუცხოება.

ზოგადად არ მჩვევია სპექტაკლის ცალკეული სცენების აღწერა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შეგნებულად გავაკეთე. მარჯანიშვილის თეატრის „ახალ სცენას“, მოგეხსენებათ, არც კულისები აქვს და არც ფარდა. ამიტომ ამ სპექტაკლის ექსპოზიცია, პრაქტიკულად, პირველი მაყურებლის შესვლისთანავე იწყება. რაღაც მომენტში, ერთმანეთთან საუბრით გართული ან დაგვიანებული მაყურებელი გააცნობიერებს, რომ სპექტაკლი დაიწყო, თუნდაც იმით, რომ

კაცი-ლანდი ინსტრუმენტს მიუახლოვდება, ჩამოხსნის, მოსინჯავს, ჯერ უსახურ ბგერებს იღებს, ნელ-ნელა კოჭლ მელოდიას ააწყობს, მერე ბგერა ძლიერდება, აშკარად ტოტემურ, ველურ, შემტევ ხასიათს იძენს და უძრაობა დაიძვრება! შემოდის კაცი ქოლგით, გაისმის პირველი რეპლიკა – „რა საშინელი ამინდია“, ხვდები, რომ წყლის მონოტონური წვეთება წვიმაა, პერსონაჟთა რეაქციით გასაგები ხდება, რომ რვა მანეკენიდან ცოცხალი მხოლოდ სამია: ქალი ვუალით (მსახიობი – ქეთი ცხაკაია), მოხუცი ხელჯოხით (მსახიობი - ბესო კუპრეიშვილი), მამაკაცი გაზეთით (მსახიობი – დავით ხურცილავა) და, რა თქმა უნდა, ბიჭი ჩელოთი (მსახიობი – გიორგი ხურცილავა), რომელიც ამ დროს უკვე გაცხოველებული მუზიცირებს. ოთხი მანეკენი კი ამ სარტრისეულ ცხრაკლიტულში მოლოდინის, აბსტრაქციად ქცეული დროის, ადგილის და შემტევი მუსიკის უძრავ კონსტანტად რჩებიან. უნდა ითქვას, რომ მუსიკა და მასთან შერწყმული მუსიკოსი არც ერთ წუთსა და წამს აღარ გაჩერდებიან, რადგან სწორედ ისინი არიან ის მთავარი პერსონაჟები, რომლებიც ავტორის ჩანაფიქრით და რეჟისორის ნებით სპექტაკლის რიტმსა და ემოციურ მუხტს განსაზღვრავენ.

სპექტაკლში ჟღერს ბახის, ვივალდის ნაწარმოებები და აფექს თვინის კომპოზიციები; ჟღერს, აგრეთვე, გამაღიზიანებლად ატონალური მუსიკალური ფრაზები, რიტმული, ტოტემური მუსიკა ,რომელიც, როგორც ამიხსნეს, ჩვენთვის ეგზოტიკურ აბორიგენულ ინსტრუმენტზე – დიდჯირიდოოზე სრულდება. გიორგი თავაძის სარეჟისორო პარტიტურა ამგვარ მიქსს ჰარმონიულად უთავსებს სპექტაკლის ვიზუალურ მხარეს, მინიმალისტური ესთეტიკით აგებულ მიზანსცენას, მსახიობთა გრძნობათა ბუნებას და, რა თქმა უნდა, ვიშნეკის ტექსტს, რომელიც თავისთავად გაჯერებულია მუსიკის გავლენით პროვოცირებული მოქმედებით, ემოციით და გრძნობით – ხიბლით, ვნებით, მედიტაციით, სისასტიკით, სიძულვილით... და ბოლოს შიშით, რადგან მუსიკა ფინალისკენ აშკარად დიქტატურის პარადოქსულ მეტაფორად გადაიქცევა. უნდა ითქვას, რომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა კვარტეტი ვიშნეკისა და თავაძის ირონიულად ფანტასმაგორიულ სამყაროში თავს მშვენივრად გრძნობს. ძუნწი შტრიხებით, მაგრამ ძალიან ზუსტად ასახიერებს მსახიობი ბესო ბარათაშვილი (კაცი ჯოხით), თითქოს ჭამას გადაყოლილ, მაგრამ ყველაფრის მიმართ სკეპტიკურად განწყობილ პერსონაჟს; ირონიული სიმსუბუქით და უამრავი მნიშვნელოვანი დეტალებით გვიხატავს თავის გმირს მსახიობი დავით ხურცილავა (კაცი გაზეთით). გიორგი ხურცილავა (კაცი ჩელოსთან) დახვეწილი, სახიერი პლასტიკურობით და მეტყველი მიმიკით აცოცხლებს თავის უსიტყვო პერსონაჟს, რომელმაც მუსიკა ადამიანებით მანიპულირების, შემდეგ კი, უკვე დიქტატორის მუნდირსა და ჩექმებში გამოწყობილს, დასჯის იარაღად აქვს ქცეული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქორეოგრაფ ლანა მღებრიშვილის გაკეთებული პლასტიურ-ქორეოგრაფიული ხაზი და მხატვარ ქეთევან ციციშვილის მიერ შექმნილი, შავ-თეთრში სტილიზებული კოსტიუმები ორგანულად ჯდება სპექტაკლის საერთო ესთეტიკაში და ვიზუალურადაც ამდიდრებს მას. როგორც ყოველთვის, ძალიან საინტერესოდ მუშაობს ქეთი

ცხაკაია. მისი ქალი ვუალით მუსიკით ცდუნების ყველა საფეხურს გაივლის. ეს არის ჯერ ზედაპირული ინტერესი, მერე ელეგანტური ტკბობა, არშემჩნევა, გაღიზიანება, სექსუალური ინსტინქტების მოურიდებელი გამოვლინება, სიანჩხლე... არტისტი ყველაფერს ბუნებრივად, ყოველგვარი ეგზალტაციის ან სიყალბის გარეშე ასახიერებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რეჟისორის მიერ შეთავაზებულ, რენე მაგრიტის გროტესკულ-ირონიული სიურეალიზმით შეფერილ წარმოსახვითი თამაშის ხერხს, არტისტები საკმაოდ ორგანულად ითავისებენ, მათი პარტნიორობა ამ თვალსაზრისითაც უფრო დაიხვეწება, როგორც ეს ხდება ხოლმე, სპექტაკლის გათამაშების პროცესში.

სპექტაკლის ღია ფინალში, ჰაერშივე რჩება სამივე პერსონაჟის მიერ, რა თქმა უნდა, ჩელოს თანხლებით, გაჟღერებული ბოლო რეპლიკა – კი მაგრამ, რა ვუყოთ ახლა ამ ვიოლონჩელოს?

და, მართლაც, რა ვუყოთ ამ ჩელოს, თუ ადამიანებს საზოგადოებასა და ცხოვრებაში ხელოვნების ადგილი ვერ დაუდგენიათ. რა ვუყოთ ამ ჩელოს, თუ ერთი უგუნურის ხელში მუსიკაც კი შეიძლება აგრესიისა და დიქტატურის გამოხატულებად იქცეს და ჩვენ მხოლოდ მარგინალური სიურეალიზმით შევებრძოლებით მას ან უსახური მანეკენებივით არაფერს შევიმჩნევთ...

აქაც დავტოვოთ ღია ფინალი და გამოვთქვათ იმედი, რომ გოგა თავაძე მსგავს საჭირბოროტო საკითხებზე ასეთივე ლაღი და საინტერესო თეატრალური დისკურსით მომავალშიც გაგვესაუბრება.

თამარ მუქერია

რა ვუყოთ ამ ვიოლონჩელოს?

რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ადამიანები ერთი და იმავე სიტუაციაში სხვადასხვანაირად იქცევიან. ამას ალბათ, მათი განწყობა განსაზღვრავს,რაც შემდეგ ამ მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას უყალიბებს. საინტერესოა ის ფაქტი, თუ რამდენად სასტიკნი შეიძლება გახდნენ ადამიანები საკუთარი მიზნების მისაღწევად. რა გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ, რომ მათი სურვილები დაკმაყოფილდეს და ბოლოს, რამდენად არ ფიქრობენ, თუ რა მოხდება მომავალში მათივე მიზნების მიღწევის შედეგად.

ეს ის თემებია, რაზეც კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სარდაფში გამართულ სპექტაკლში გვესაუბრებიან. რეჟისორმა გიორგი თავაძემ პარიზში მოღვაწე რუმინელი მწერლის მატეი ვიშნეკის პიესა დადგა. ნაწარმოების სათაურია „რა ვუყომ ამ ვიოლონჩელოს?“.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლი პიესიდან გამომდინარე კამერულ სტილშია მოქცეული, როგორც სამსახიობო ანსამბლით და სივრცის გამოყენებით, ასევე ქრონომეტრაჟითაც. მაგრამ ამ მცირე ფორმებსა და დროში მაქსიმალურად იყო გადმოცემული პრობლემების სიმწვავე და მნიშვნელობა. სპექტაკლში ზომიერად იკვეთებოდა, როგორც რეჟისორის გადაწყვეტები, ასევე სამსახიობო ანსამბლიც.

სიუჟეტური მონახაზის მიხედვით სამი ადამიანი ერთ მოსაცდელ დარბაზში ერთმანეთს ხვდება. ისინი სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისთვის, მაგრამ მათ ეს ურთიერთობაში ხელს არ უშლის. მათი შეხვედრის ადგილმდებარეობა შემთხვევით არ არის შერჩეული, ისინი დროებით არსებობენ ამ სივრცეში და დროებით ხვდებიან ერთმანეთს. არის კიდევ მეოთხე პერსონაჟი, ვის გამოც ეს მთელი უსიამოვნო ამბავი დატრიალდება. ეს არის ვიოლონჩელისტი (გიორგი ხურცილავა), რომელიც მოსაცდელ დარბაზში გამუდმებით უკრავს. ის არ ჩერდება. მისი დამოკიდებულება ინსტრუმენტთან, ადამიანთან ურთიერთობას ჰგავს. მსუბუქად შესრულებული პლასტიკური მონახაზი ქორეოგრაფიულ ჩანახატებს მოგვაგონებს (ქორეოგრაფი – ლანა მღებრიშვილი).

მელოდიების მუდმივად მოსმენა სიამოვნებას აღარ ჰგვრის იქ მყოფთ,ამიტომ ისინი მუსიკოსის თუნდაც ხუთი წუთით გაჩერებას მოისურვებენ, ხან თხოვნით, ხან მოთხოვნით, ხან ხმამაღალი საუბრით, მაგრამ შედეგს მაინც ვერ აღწევენ. სწორედ აქ ჩნდება მათი რეალური სახეები. ერთი შეხედვით ზრდასრული, მოწიფული ასაკის და სოლიდური შესახედაობის ადამიანები (კოსტიუმების მხატვარი – ქეთევან ციციშვილი) კრიტიკულ მომენტში სიგიჟის ზღვარზე დგებიან. შეიძლება ჩელისტი აღარც უკრავდა გარკვეულ მომენტებში, მაგრამ მათი თითქმის არაჯანსაღი მდგომარეობა ამას ვეღარ ამჩნევდა.

მსახიობების დიალოგები საკმაოდ დინამიკურად წარიმართა, მათი სხარტი სიტყვა-პასუხი შესაბამის რიტმს ინარჩუნებდა, რამაც ლოგიკურ კულმინაციამდე მიგვიყვანა. ამ მხრივ, გამოვარჩევდი დავით ხურცილავასა (მამაკაცი გაზეთით) და ბესო ბარათაშვილის (მოხუცი მამაკაცი ხელჯოხით) არაერთ შეკამათებას. ქეთი ცხაკაიას ქალი ვუალით, ელეგანტური ქალბატონია, მცირედი ახირებებით, თუმცა მეტად ჰუმანური აზრებით, ვიდრე იქ მყოფი მამაკაცები. მსახიობმა (ქ. ცხაკაია) მის გმირს ოდნავი სიკეკლუცე შემატა და პერსონაჟი უფრო მრავალფეროვანი გახადა.

სწორედ აქ, დროებით მოსაცდელში ისინი ლოდინის მაგივრად ერთმანეთს ებრძოდნენ, თავიანთი აზრის გატანა სურდათ და მხოლოდ ამაზე ფიქრში ატარებდნენ დროს. სპექტაკლის ავტორი აქცენტს სამსახიობო შესრულებაზე აკეთებს და სწორად შერჩეული კასტით მიზანს აღწევს კიდეც.

სცენა არ გამოირჩევა გადატვირთული დეკორაციით, სცენოგრაფია თავად გიორგი თავაძეს ეკუთვნის და მისი ხედვით, მოსაცდელი დარბაზი, რომელიც ცხოვრების მეტაფორადაც შეგვიძლია მოვიაზროთ,ბევრი ნივთით არ გვაბეზრებს თავს. აქ, მთავარი ადამიანი და მისი ქცევებია მნიშვნელოვანი.

სპექტაკლის ბოლოს, გმირები გააგდებენ აბეზარ მუსიკოსს დარბაზიდან. ვიოლონჩელო კი პატრონის გარეშე რჩება. ადამიანები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ მიაღწიონ საწადელ მიზანს. შემდეგ ამ მიზანს რა მოჰყვება, ეს მათთვის ნაკლებ საინტერესოა, თუმცა შედეგი შეიძლება ისეთივე სევდიანი აღმოჩნდეს, როგორც ამ ინსტრუმენტის გაურკვეველი მომავალი. ამიტომაც, სპექტაკლის ფინალმა გაცილებით მასშტაბური მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ეს დასაწყისში ჩანდა. რა ვუყოთ ამ ვიოლონჩელოს? ეს შეკითხვა არაერთხელ ისმის წარმოდგენის ბოლოს, ისიც, მხოლოდ ერთი პერსონაჟისგან,

დანარჩენებს მისი ბედი არ აღელვებთ. ვიოლონჩელო იმ ძვირფას, მაგრამ უკვე გამოუსადეგარ სიმბოლოდ იქცა, რომლის გამოყენება მათ არ შეუძლიათ, არადა, ვისაც შეეძლო, ის გააძევეს. პრობლემის თავიც ეს არის. ადამიანების პირად სურვილებს საერთო საქმის მომავალი ეწირება. შეიძლება, მათი ეს საქციელი – მუსიკოსის გაგდება, კონკრეტულ შემთხვევაში გამართლებული იყო, რაღაც მოტივაციით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სამართლიანი მაინც არ ყოფილა. მთელი სპექტაკლის განმავლობაში რეჟისორს სწორედ ამ პრობლემასთან მივყავართ, ამიტომაც კულმინაციას ეს შეკითხვა წარმოადგენს. რეჟისორი პარალელს ავლებს რეალურ ცხოვრებასა და სპექტაკლს შორის. როგორც პერსონაჟები გადიან მათთვის დაწერილ მოქმედებას, ზუსტად ისე გავდივართ ჩვენ ამ გზას, რომელიც არაერთხელ გაგვივლია და ისევ იმავეს ვიმეორებთ.

მართლაც,რა უნდა მოუხერხო იმას,რაც გაგაჩნია?! რომელიც ასე ძვირფასია, მაგრამ ვერ იყენებ? ასეთ შემთხვევაში, მისი ფუნქცია და მნიშვნელობა ხომ ნულის დონემდე დადის და ეს ძვირფასი რამ დაკარგულად ითვლება, როგორც, სპექტაკლის ბოლოს, ვიოლონჩელოს პატრონი „იკარგება“.

მელპომენა

სპექტაკლის დასახელება - მელპომენა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - მერაბ გეგია
(დუოდრამა ერთ მოქმედებად)
რეჟისორი და სიმღერების ავტორი – მერაბ გეგია
სცენოგრაფი – ქეთი თოდაძე
კონცერტმაისტერი – ლიკა ორჯონიკიძე
რეჟისორის თანაშემწე – ლიკა მამიაშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მსახიობი – ვარლამ კორშია
სპეცაგენტი – გიორგი ტატიშვილი
მუზა – მარი მუზაშვილი

სპექტაკლი ეძღვნება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დაღუპულ ქართველ და აფხაზ თეატრის მოღვაწეთა ხსოვნას.

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 30 ნოემბერი
სარეპეტიციო პროცესი - ორი თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება არ ყოფილა.

ლისისტრატე

სპექტაკლის დასახელება - ლისისტრატე

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
რეჟისორი - ლაშა შეროზია
მხატვარი - თამარ ჭავჭანიძე
კომპოზიტორი - ირაკლი ჩაჩუა

მონაწილეობენ:
ქეთი ჩხეიძე, ლიკა ქობულაძე, ნათია გუბენკო, ლილე ფილფანი, ანა სანაია, გვანცა კორშია, ბექა გოდერძიშვილი, თემურ კილაძე, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე ქურასბედიანი

პრემიერის გამოშვების თარიღი 2015 წლის 25 დეკემბერი
სარეპეტიციო პროცესი - 48 დღე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა.

წასვლა

სპექტაკლის დასახელება - წასვლა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ვაცლავ ჰაველი
რეჟისორები - ლევან წულაძე, დათო ჩხარტიშვილი
სცენოგრაფი - ლევან წულაძე, შაკო ჩაგუნავა
ქორეოგრაფი - გია მარღანია
კოსტუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
მუსიკალური გამფორმებელი - ზურა გაგლოშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ნინო კალანდაძე

მონაწილეობენ:
დავით დვალიშვილი, ქეთი გეგეშიძე, ეკა მჟავანაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ანა გრიგოლია, ირმა ბერიანიძე, ნინო გაჩეჩილაძე, ზაზა გოგუაძე, კონსტანტინე როინიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ზაზა სალია, მარიამ ტომარაძე, ბიჭიკო ჭეიშვილი, ცოტნე მაისურაძე, ანდრო ჭიჭინაძე, მარიამ ღვინიანიძე

პრემიერის გამოშვების თარიღი 2015 წლის 23 დეკემბერი
სარეპეტიციო პროცესი - ორი თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა.

ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

დორიან გრეის პორტრეტი

სპექტაკლის დასახელება - დორიან გრეის პორტრეტი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - ოსკარ უაილდი
ინსცენირების ავტორი - დავით გაბუნია
რეჟისორი - ნინი ჩაკვეტაძე
მხატვარი - გიორგი უსტიაშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ნინო ჭავჭავაძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
დორიან გრეი - ერეკლე გეწაძე
ჰენრი უოტონი - ჯეჯი სხირტლაძე
ბეზილ ჰოლოურდი -შაკო მირიანაშვილი
ალან ქემპბელი - გიორგი ბახუტაშვილი
სიბილ ვეინი - ეკა დემეტრაძე
ჯეიმსი - გიგი ქარსელაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 25.05.2014
სარეპეტიციო პროცესი - 4 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
გამოქვეყნებული რევიუ Ex Ponto Festival-ზე
გამოქვეყნებული მიმოხილვა Ex Ponto Festival-ზე
ლაშა ჩხარტიშვილის რეცენზია პორტალზე artareatv.ge

გამოხმაურება

ლელა ოჩიაური

დორიან გრეის სიყვარული და სასოწარკვეთა

თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის დაფინანსებით, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში, ახალგაზრდა რეჟისორმა ნინი ჩაკვეტაძემ „დორიან გრეის პორტრეტი“ დადგა, დავით გაბუნიას ინსცენირებით. რომანიდან პიესამდე, იმის მიუხედავად, რომ მთავარი ღერძი, პრობლემა და სტრუქტურა შენარჩუნებულია, ბევრი რამ შეიცვალა. დავით გაბუნიას დახვეწილი და ზუსტი თეატრალური ალღო და გემოვნება

აქვს. რის საფუძველზეც, რეჟისორის ჩანაფიქრმა – აესახა თანამედროვე საზოგადოების პორტრეტი – გაამართლა.

ოსკარ უაილდის რომანის ბევრი ეკრანიზაცია და დადგმა არსებობს. მათი უმეტესობა სხვადასხვანაირად ხედავს დორიან გრეის და განსხვავებულად აჩვენებს მის პიროვნებას, პრობლემას, რომელიც საუკუნეზე მეტია განსხვავებულ რეაქციებს იწვევს. ისევე, როგორც თავისებურად მიუდგა ამ რთული და არაერთგვაროვანი გმირისა თუ მისი გარემოცვის ადამიანების პიროვნულ თვისებებსა და ფუნქციებს ამ ისტორიაში, ოსკარ უაილდის ეპოქის დღევანდელობაში გადმოტანის რთულ პროცესს ნინი ჩაკვეტაძე.

სპექტაკლში (რომანის მიხედვით) რამდენიმე მოქმედი პირია. მათ ცენტრში ახალგაზრდა დორიან გრეია (ერეკლე გეწაძე) და მთელი ისტორიაც მის გარშემო ვითარდება. სწორედ ისაა სხვა დანარჩენების (ჰენრი უოტონი – ჯეჯი სხირტლაძე, ბეზილ ჰოლოურდი – შაკო მირიანაშვილი, ალან ქემპბელი – გიორგი ბახუტაშვილი, სიბილ ვეინი – ეკა დემეტრაძე, ჯეიმსი – გიგი ქარსელაძე) „სურვილის ბუნდოვანი ობიექტი“ და სამიზნეც, ერთგვარი „ცდის პირი“, რომელიც თან მარიონეტია და ხან თვითონ ხდება მოვლენების წარმმართველი, რომლებიც სპექტაკლში ინტენსიურად ავსებენ ერთმანეთს, გრძელი დიალოგების, პირობითი თუ რეალური „მასობრივი“ ეპიზოდებისა თუ ქორეოგრაფიულ-პლასტიკურ შრეში გამოსახული სცენების მონაცვლეობით.

თანამედროვე მუსიკა, რამდენიმე მუსიკალური თემა, ქორეოგრაფიული ჩანართები, რომლებიც სპექტაკლის საერთო ხასიათიდან თითქოს ამოვარდნილია, დღევანდელი სამყაროსა და მისი ეკლექტურობისა და პირობითობის, წინააღმდეგობრიობისა და რიტმის ჩვენების მცდელობაა. ამავე დროს, ერთიან კონტექსტში, ასეთი გადაწყვეტა შეიცავს ბევრ პირობითობას და რეალობისა და მისტიკურობის სინთეზს, განზოგადების ხარისხს აძლიერებს.

დორიან გრეი და მისი გარემოცვა თანამედროვე ადამიანები არიან, თუმცა, მაინც უფრო პირობითი ეპოქის წამომადგენლები, ვიდრე მაინცდამაინც 21-ე საუკუნის ახალგაზრდები და უფრო განზოგადებული თვისებები აქვთ, ვიდრე მათ, რომელთა დროის კუთვნილება რაღაც სპეციფიკური ნიშნებით უნდა (შეიძლება) განისაზღვროს.

დორიან გრეის გაორება თუ ორსახოვნება - გამოხატული ფიზიკურ სილამაზესა და უბერებლობაში და პორტრეტზე ცოცხლად აღბეჭდილ ჭკნობასა და სულიერი მდგომარეობის ამგვარ გამოხატულებაში – ორმაგი – მოჩვენებითი, ყალბი და შესაბამისად, ამაო არსებობისა და მეორე მხრივ - ნამდვილი, სამწუხაროდ, წარმავალი და ფუჭი, უსიყვარულო ცხოვრების სარკისებრი ანაბეჭდია.

პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს, მხატვრული გამომსახველობით გამოირჩევა და გამოუვალობის, ჩაკეტილობის, სამყაროს ამორფულობის შთამბეჭდავ ატმოსფეროს ქმნის დეკორაცია (მოძრავი და დინამიკური), რომელიც თითქოს მარტივი ობიექტებითაა შექმნილი – ნახევრადგამონათებული (მუქ ყავისფერ და ნაცრისფერ ტონებში, ზოგჯერ ლურჯად და წითლად) თითქოს ნისლში (კვამლში) გახვეული მოცულობითი და უსასრულო სივრცე;

ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი პლასტმასის ერთჯერადი ჭიქების კედელი (რომელზეც პერიოდულად, დორიან გრეის პორტრეტი ისახება), პლასტმასის გამჭვირვალე რამდენიმე სკამი და აბაზანა (მხატვარი – გიორგი უსტიაშვილი, განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი). ეს ყველაფერი ძალიან გამომსახველი, ფერწერული, ქმედითი და მეტყველია.

პირქუში გარემო, ესთეტიკურად მეტად დახვეწილი და მასში მოქცეული ასეთივე ადამიანები – გარეგნობით ლამაზები, მოხდენილები, დახვეწილი მანერებითა და სრულიად საპირისპიროები შინაგანად – ბევრი საერთო ნიშნის მიუხედავად – მუდმივ კონფლიქტში არიან და „ინდივიდუალურ წრეებში“ (განათებით გამოკვეთილ) მოქცეული. დორიან გრეის წრე, რომელიც სხვადასხვა ტიპის, პროფესიისა და ბუნების, თვისებებისა და შესაძლებლობების (პირად თუ საზოგადოებრივ ყოფაში, უნარებსა და აქტივობებში) მასავით ახალგაზრდებისგან შედგება, საკუთარ პორტრეტში (თუ საკუთარ თავში) შეყვარებულ და სხვების მიმართ გულგრილ ახალგაზრდა კაცს ბევრ ცდუნებას ახვედრებს და საბოლოოდ მსხვერპლად იწირავს.

ლამაზი, მაგრამ „უბედური უფლისწული“ დორიან გრეი –მარადიული სილამაზისა და ახალგაზრდობის სიმბოლო და ასევე ფუჭად გაფლანგული დროს მძაფრი მეტაფორა – ზოგადი სახე – სხვების წინაშე უპასუხისმგებლობისა და უუნარობის, უნებისყოფობის გამომსახველი – ნინი ჩაკვეტაძის სპექტაკლში არაერთხელ იცვლის სახეს. რა თქმა უნდა, არა ფიზიკურად. საკუთარ ნამდვილ პორტრეტს დახატულ პორტრეტზე ხედავს, რომელიც ასევე სიმბოლოა, რაც ზოგადად პიროვნების შიგნით ხდება და რასაც ვერავინ ჭვრეტს უშუალოდ მის გარდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც ოსკარ უაილდმა „დორიან გრეის პორტრეტი“ დაწერა, როდესაც იწყებოდა მე-20 საუკუნე - სამყარო ახალი ცხოვრების, ფასეულობათა გადაფასებისა და საკუთარ თავსა თუ ზოგადად მომავლისკენ მიმართული გზის ამოცნობაზე ფიქრობდა. ნინი ჩაკვეტაძის სპექტაკლი და მისი პერსონაჟები 21-ე საუკუნის საზოგადოებში იმავე პრობლემების არსებობას გამოხატავენ. როგორც ყოველთვის, დღესაც მნიშვნელოვანია არჩევანის თემა – რომელსაც გვთავაზობენ, მაგრამ რომელიც თვითონ უნდა გავაკეთოთ.

სად მიდის დორიან გრეის გზა – ჯოჯოხეთისკენ, თუ ის უკვე ჯოჯოხეთშია? ნინი ჩაკვეტაძის სპექტაკლი სწორედ ამ მარადიულ კითხვაზე ცდილობს პასუხის პოვნას, რადგან მნიშვნელობა არა აქვს, სადაა ჯოჯოხეთი – გარეთ – რეალურ ცხოვრებაში, სადღაც – მიღმა განზომილებაში, მიწიერი ცხოვრების შემდეგ, თუ საკუთარ თავში, ადამიანის შინაგან სამყაროში, სულსა და გონებას რომ უფორიაქებს და არ ასვენებს.

„დორიან გრეის პორტრეტი“ 2015 წელს 2 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობდა – სლოვენიაში Ex-Ponto International Performing Arts Festival 2015 და მონტენეგროს. F I A T - Festival Internacionalnog Alternativnog Teatra.

ლაშა ჩხარტიშვილი

ოსკარ უაილდის რომანი ქართულ სცენაზე

მუსიკისა და დრამის თეატრში ნინი ჩაკვეტაძის „დორეან გრეის პორტრეტი“ (ქართულ ტექსტზე დავით გაბუნიამ იმუშავა) ვნახეთ. დიდებული ავტორის ოსკარ უაილდის რომანის სცენური ინტერპრეტაცია საინტერესო იქნებოდა მაყურებლისთვის, რომელსაც ამავე სახელწოდების ნაწარმოებიც წაუკითხვას და არაერთი ეკრანიზაცია უნახავს. ბუნებრივია, გარკვეული სტერეოტიპები ჩვენს წარმოსახვაში უკვე არსებობს და მისი მსხვრევა, არც თუ ისე მარტივია. თუმცა სპექტაკლის მთავარი პრობლემა ეგ როდია, არამედ გაცილებით სხვა და მნიშვნელოვანი. მაგალითად, თხრობის მანერა, ეპიზოდების თანამიმდევრობა, მუსიკალური თანხლება (რომელიც ცალკე აღებული მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ რამდენად ერწყმის მოცემულ ეპიზოდს), ქორეოგრაფიული ჩანართები... წარმოდგენა მთლიანობაში დაუსრულებლობისა და დანაწევრებული ეპიზოდების გადაბმის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, ცალკეული ეპიზოდები გამართულია, დიალოგები სწორად არის აგებული და მაყურებელზეც ახდენს შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს საკმარისი როდია. სპექტაკლში მუსიკისა და დრამის თეატრის ახალბედა მსახიობები მონაწილეობენ, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და ოსტატობა პერსონაჟების ღრმა ფსიქოლოგიურ-ემოციური ვნებების სხვა მხატვრულ ხარისხში გადმოსაცემად. ერეკლე გეწაძის (დორიანი გრეი), ჯეჯი სხირტლაძის (ჰენრი უოტონი), შაკო მირიანაშვილის (ბეზილ ჰოლოურდი) გვერდით სცენაზე შედარებით გამოცდილი და ამ სცენასთან ადაპტირებული მსახიობები: ეკა დემეტრაძე (სიბილ ვეინი), გიორგი ბახუტაშვილი (ალან ქემპბელი) და გიგი ქარსელაძე (ჯეიმსი) დგანან, მაგრამ ანსამბლურობა არ იქმნება. ერეკლე გეწაძე შესაძლოა კარგი არჩევანი იყო დორიანის როლზე, მაგრამ მის მიერ განსახიერებული გმირი ზედაპირულია და ფასადური, მსახიობი ამ ეტაპზე საკმარისად არ ფლობს ხმის განაწილების და მიმიკის (როგორც გამომსახველობითი საშუალებების ერთ-ერთი ხერხის) ტექნოლოგიას. ერეკლე გეწაძის დორიანი მხოლოდ მაშინ არის გულწრფელი და დამაჯერებელი, როცა მსახიობი კი არ თამაშობს განცდებს, არამედ როცა მოდუნებულია და მოშვებული. დიდი ბრძოლა მოუწევს სამომავლოდ შაკო მირიანაშვილს, მისთვის დამახასიათებელი არტისტული მანერულობისა და სტილიზებული საუბრის დასაძლევად, რათა ეს თვისებები სხვა პერსონაჟების განხორციელების დროს არ გადაყვეს ბეზილ ჰოლოურდის მის მიერ შემოთავაზებული სცენური რედაქციიდან. ახალბედა მსახიობებს შორის მეტ მობილიზებას ჯეჯი სხრიტლაძე ავლენს, რომელიც უკეთ და ზომიერად იყენებს მიღებულ გამოცდილებას და ცოდნას გმირის ხასიათის მისეული ვერსიის მაყურებლამდე მისატანად. საინტერესოდ მუშაობს გიორგი ბახუტაშვილი, რომელიც შეფასების გარეშე არ ტოვებს არც ერთ მოვლენას (აქ კი უნებლიეთ მისი გმირის ხასიათს ავლენს), მოცემულ პირობითობას იოლად ირგებს სივრცეში და ყოველგვარი პათეტიკურობის,

ვნებათმოძალების გარეშე ხატავს ალან ქემპბელის სცენურ პორტრეტს. გიორგი ბახუტაშვილს უკვე მეორედ მოუხდა პოლიტიკოსის განსახიერება, მაგრამ მსახიობმა იპოვა გმირის განმანსხვავებელი თვისებები და ნიუანსები, რომელიც რადიკალურად განასხვავებს მის გმირს პოლიტიკოსის ზოგადი, მიღებული და სტერეოტიპადქცეული ტიპაჟისგან. სიბილ ვეინის ორიგინალურ მხატვრულ სახეს ქმნის ეკა დემეტრაძე, რომელიც ზომიერად არის ტემპერამენტიანიც და ირონიულიც, იუმორით სავსე და ტრაგიკულიც. თუმცა, ვფიქრობ, მისი არტისტული შესაძლებლობები სპექტაკლში რეჟისორმა ნინი ჩაკვეტაძემ ბოლომდე ვერ „აითვისა". სპექტაკლის მნიშვნელოვანი, კრეატიული მონაპოვარი სცენოგრაფიული გადაწყვეტაა, რომელიც გიორგი უსტიაშვილს ეკუთვნის. ერთჯერადი, პოლიეთილენის პატარა ჭიქებისგან პირობითად შექმნილი პორტრეტი სპექტაკლში მრავალფუნქციურია, ის ხან თეატრის პარტერია, ხანაც მაგიდა და ხანაც კედელი, მთლიანობაში კი მაგიური პორტრეტიცაა. მისი სხვადასხვა განზომილებაში სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვით ხილვა კი მოულოდნელობით აღავსებს მაყურებელს. რაც შეეხება სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებას: სპექტაკლში ცნობილი ფრანგი ვარსკვლავის სტრომაეს ჰიტებადქცეული სიმღერები ჟღერს. ქორეოგრაფიული ჩანართებიც სპექტაკლში ესტრადის ვარსკვლავის ვიდეოკლიპების ილუსტრაციას (ციტატებს) წარმოადგენს. თუმცა ლოგიკური დამაკავშირებელი ხაზების დადგენა სიმღერების შინაარსებსა და სპექტაკლში გათამაშებულ ეპიზოდებს შორის თითქმის წარმოუდგენელია. მუსიკალური ფონი (მთელი სპექტაკლის განმავლობაში სამი სიმღერის თემა ჟღერს) მხოლოდ განწყობას ქმნის და ის სპექტაკლის კონცეფციას ნაკლებად ეხმიანება. ნინი ჩაკვეტაძის სპექტაკლში თავი მოიყარა მუსიკისა და დრამის თეატრის სამსახიობო რესურსის პერსპექტიულმა ჯგუფმა სცენოგრაფ გიორგი უსტიაშვილის ჩათვლით, რომელთაც სამომავლოდ გამოცდილების დაგროვების და ოსტატობის ამაღლების შედეგად ბევრი საინტერესო ნამუშევრის შექმნა შეუძლიათ.

ნინი ჩაკვეტაძე სპექტაკლით შეეცადა ემხილებინა საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ფარისევლობაზეა დაფუძნებული, სადაც საკუთარი თავი და მდგომარეობა ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას.

გრავიტაცია

სპექტაკლის დასახელება - გრავიტაცია

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ მოტივებზე
მუსიკა - ოლაფურ არნალდსი, ჟან ბანგი, ვანგელისი, ლინსი სტირლინგი.
დამდგმელი რეჟისორი და ქორეოგრაფი - თინათინ ქოიავა
სცენოგრაფი და კოსტიუმების მხატვარი - ნინო ტაბატაძე
განათების მხატვარი - ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი - ბექა მაღლაკელიძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
რომეო - გიორგი ძაგანია
ჯულიეტა - მაიკო ვაწაძე
ტიბალტი - ამირან ქაჩიბაია
მერკუციო - გიორგი ტატიშვილი

ჯულიეტას მეგობარი გოგონები - ქეთი გიორგაძე, თინი გალდავა
ლორენცო - გიორგი გოგუაძე
რომეოს მეგობრები: ლაშა ხურციძე, გიორგი ალიმბარაშვილი, ნინი ლელუაშვილი, თიკო თაბაგარი
ტიბალტის მეგობრები: ირაკლი ბიგვავა, თენგო ზარდიაშვილი, ნიკა ნიკოლაძე, ქეთი ეღიკაური, ანა ტაბატაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 26.10.2014
სარეპეტიციო პროცესი - ორი თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
ლაშა ჩხარტიშვილის რეცენზია პორტალზე artareatv.ge

გამოხმაურება

ლაშა ჩხარტიშვილი

ძიებები არავერბალურ სამყაროში

თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრმა უკვე მეორე პრემიერა შემოგვთავაზა, რომელიც თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში ვნახეთ. „გრავიტაცია“ — ასე ჰქვია თეატრის ხელმძღვანელის და სპექტაკლის რეჟისორ-ქორეოგრაფ თიკო ქოიავას სპექტაკლს, რომელიც ახალგაზრდა დრამატურგ ალექსანდრე ლორთქიფანიძის

ლიბრეტოს მიხედვით შეიქმნა. თავისთავად კარგია, როცა სპექტაკლი ორიგინალური დრამატურგიის საფუძველზე იქმნება, როცა სპეციალურად კონკრეტული სპექტაკლისთვის იქმნება სიუჟეტი, მაგრამ დრამატურგიული კონსტრუქციაც სასურველია თანმიმდევრული იყოს. მართალია, თანამედროვე თეატრში, მეტადრე არავერბალურ წარმოდგენებში (მოძრაობის და ცეკვის თეატრებში), სიუჟეტის თანმიმდევრულობა აუცილებელი პრინციპი სულაც არ არის (მთავარია ლოგიკური ჯაჭვი), მაგრამ კლასიკური კონსტრუქციის ტიპის სიუჟეტში კი აუცილებელი პირობაა. თიკო ქოიავას სპექტაკლში კი ეს პრინციპი თვალნათლივ დარღვეულია.

ალექსანდრე ლორთქიფანიძის ლიბრეტო ცირკის მსახიობ სიამის ტყუპების ცხოვრების საკმაოდ ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხრობს, როცა მათ ცხოვრებაში ჩნდება მესამე ობიექტი - ქალის სახით. ტყუპებს გაყრა უწევს, რაც მათ ცხოვრებას კოშმარად აქცევს და სიუჟეტი ტრაგიკულ ფინალს აღწევს. ერთი შეხედვით ტრივიალური სიუჟეტი თიკო ქოიავამ საინტერესო სანახაობად აქცია, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან დეტალზე დაგვაფიქრებს და საინტერესო, აქტუალურ ასოციაციებს აღძრავს (თუნდაც ბუნების მიერ დადგენილი კანონზომიერებების დარღვევა). წარმოდგენის გმირები მნიშვნელოვანი დილემის წინაშე დგანან და საბოლოო არჩევანი მათი ცხოვრების ტრაგიკულ ფინალად იქცევა.

სპექტაკლის სიუჟეტი დინამიკურად ვითარდება და მოვლენათა მონაცვლეობა მაყურებლისთვის სავსებით გასაგებია, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი არავერბალური ფორმით არის გადმოცემული. მსახიობები თენგო ზარდიაშვილი და ირაკლი ბიგვავა, რომლებიც სიამის ტყუპებს განასახიერებენ საინტერესოდ ხატავენ გმირებს. ისინი არა მხოლოდ ფიზიკურად არიან კარგ ფორმაში, არამედ არტისტული თვალსაზრისითაც საინტერესოდ მუშაობენ. ქმნიან ორიგინალურ ტიპაჟებს და მიმიკებით გადმოსცემენ კონკრეტულ ეპიზოდში თავიანთი გმირების განწყობებს, რომელიც სპექტაკლის მსვლელობისას კომიკურობიდან ტრაგიკულობამდე იცვლება. საინტერესო მხატვრულ სახეს ქმნის სპექტაკლში ქეთი გიორგაძე. სპექტაკლის მთავარი გმირი, რომელსაც სიყვარულთან ერთად ტკივილი და აურზაური შემოაქვს ტყუპების ცხოვრებაში. საინტერესოდ არის გადაწყვეტილი და შესრულებული მსახიობის ცეკვა ჩაჩიან არლეკინთან. მთავარი გმირების შემსრულებელი მსახიობები უდავოდ ავლენენ საშემსრულებლო ხელოვნების კარგ ტექნიკას და გარდასახვის ხელოვნების ფლობის უნარებს. მათი ქმედებები მეტყველია და თანაგანცდის გამომწვევი მაყურებელში.

საინტერესოდ და ეფექტურად გადაწყვიტა რეჟისორმა რამდენიმე მიზანსცენა, რომელთა შორის გამორჩეულია ცირკის მსახიობების სცენა, როცა ჩაბნელებულ სცენაზე ცირკის მსახიობები ფერადი სანათებით ცეკვავენ, ასევე ტყუპების სიამობის პერიოდში თანაცხოვრების ეპიზოდები, როცა ორი მსახიობი ერთმანეთზე გადაჯაჭვული ცეკვავს, ისე რომ მაყურებელზე შთაბეჭდილებას ნამდვილად ახდენს.

სპექტაკლის მუსიკალურ ფონს კომპოზიტორ სანდრო ნიკოლაძის მუსიკა

ქმნის, რომელიც არ გახლავთ კონცეპტუალური და თანმიმდევრული. მუსიკალური კომპოზიციები, როგორც ცალკეული ნომრები, ისე ჟღერს სპექტაკლში. მუსიკალური თანხლება ჩანაწერის სახით ისმის დარბაზში, რომელიც სუფთად არ ჟღერს და ყურს უხეშად ხვდება.

დაუდგენელია სპექტაკლის ჟანრი. წარმოდგენა მოძრაობის, ფიზიკური და ცეკვის თეატრის ხერხებით თამაშდება. სპექტაკლი გარკვეული ეპიზოდებისგან შედგება, რომლებიც უფრო დანაწევრებულია, ვიდრე კომპლექსური და მთლიანი. განსაკუთრებით ეს საექსპოზიციო ნაწილს ეხება, რომელიც ილუსტრაციულია და იმ ეპიზოდებს, როცა მასობრივ სცენები თამაშდება. ზოგიერთ ეპიზოდში დარღვეულია სინქრონულობის პრინციპიც. პრობლემები, რომლებმაც სპექტაკლში იჩინა თავი, დაძლევადია დიდი შრომისა და ენთუზიაზმის წყალობით. ახალგაზრდების ამ ჯგუფს ნამდვილად აქვს შანსი, ქართულ სათეატრო რუკაზე თავისი ადგილი დაიმკვიდროს იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავდაუზოგავად იშრომებენ და ეყოფათ ენთუზიაზმი მოღვაწეობის გასაგრძელებლად მხატვრული ხარისხის ამაღლებისთვის. იმედი მაქვს, ძიებებს არავერბალურ სამყაროში არ შეწყვეტენ და გააგრძელებენ.

ეს ხომ სამხეცეა

სპექტაკლის დასახელება - ეს ხომ სამხეცეა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ედვარდ ოლბის „რა მოხდა სამხეცეში“ მიხედვით
პიესა თარგმნა - ასმათ ბეშიძემ
რეჟისორი და მხატვარი - ბექა ქავთარაძე
მუსიკალური გაფორმება - ბექა ქავთარაძე
რეჟისორის თანაშემწე - ნინო დაშნიანი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ჯერი - ალექსანდრე ბეგალიშვილი
პიტერი - გიორგი ყველაშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 26. 04. 2015

სარეპეტიციო პროცესი - 5 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა

ჰედა გაბლერი

სპექტაკლის დასახელება - ჰედა გაბლერი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - ჰენრიკ იბსენი
პიესა თარგმნა - აკაკი გელოვანმა
რეჟისორი - თამარ გომართელი
სცენოგრაფი - ბიძინა ქავთარაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო ჯაში
მუსიკალური გაფორმება - თამარ გომართელი
განათების მხატვარი - ია ნადირაშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ჰედა გაბლერი - სალომე ჭულუხაძე
იორგენ ტესმანი - შაკო მირიანაშვილი
ფრუ იულიანა ტესმანი - ნინო გომართელი
ფრუ ელვსტედი - ნინო მითაიშვილი
ასესორი ბრაკი - ზაალ ჩიქობავა
აილერტ ლევბორგი - ჯეჯი სხირტლაძე
ბერტა - ცისია მეტრეველი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 6.05.2015

სარეპეტიციო პროცესი - 5 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
გიორგი ყაჯრიშვილის რეცენზია პორტალზე Georgiantheatre.ge

გამოხმაურება

გიორგი ყაჯრიშვილი

ვთამაშობთ „იბსენს“?..

გაორება რომ ცუდია, შესანიშნავად მესმის, მითუმეტეს როდესაც საუბარი ეხება შემოქმედებითი ნაწარმოების შეფასებას. ასეთი გაორების მსხვერპლი გავხდი მუსიკისა და დრამის თეატრში თამარ გომართელის მიერ დადგმული ჰ. იბსენის „ჰედა გაბლერის“ ნახვის შემდეგ.

ერთი მხრივ, ჩემ წინაშე გათამაშდა წარმოდგენა, სადაც ყოველ პერსონაჟს თავისი ზუსტი ადგილი ჰქონდა მიჩნეული, ხოლო მსახიობები ასევე ზუსტად

და ზედმიწევნით ასრულებდნენ რეჟისორის მიერ მიცემულ დავალებას და უფრო მეტიც, ყოველი მათგანის შესრულება მართლაც რომ აღფრთოვანებას იწვევდა ჩემში, მაგრამ...

მაგრამ, მეორე მხრივ, იყო თუ არა ეს ჰენრიკ იბსენის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პიესის ავტორისეული კონცეფციის სცენაზე ზუსტად გადმოტანა? –ეს დღესაც იწვევს ჩემში ეჭვს, რაც თავისთავად ამ გაორების საფუძველია.

ვეცდები,ყოველივეს თანმიმდევრულად მივყვე და იქნებ მსჯელობის ლოგიკამ ერთ დასკვნამდე მიმიყვანოს.

„ჰეგა გაბლერს“ იბსენის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და არა მხოლოდ იმიტომ,რომ მთავარი მოქმედი პირი თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს (როსმერიც იკლავს თავს „როსმერხოლმში“). ამ ნაწარმოებში იბსენმა შეძლო ზუსტად აესახა ის განწყობილება, რაც იმდროინდელ ევროპაში, მათ შორის ნორვეგიაშიც სუფევდა – კერძოდ კი ქალი პიროვნების როლზე საზოგადოებაში. დრამატურგის თითქმის ყველა ნაწარმოებში მამაკაცები ბრძოლისუნარიანობას მოკლებულნი არიან ქალებთან შედარებით და მხოლოდ იბსენის პიესების ქალები იბრძვიან ცხოვრების იმ ბურჟუაზიული წესის წინააღმდეგ, რომელიც უპირისპირდებოდა ინდივიდუალიზმის გამოვლენას, თავისუფლებისაკენ ლტოლვას, რაც საფუძვლად ედო თუნდაც რენესანსულ თეატრალურ სისტემას. ამ ორი დაპირისპირების გასაყარზე მდგარი იბსენი ქმნის ახალ დრამატურგიას, მისი ყოველი პიესის პერსონაჟები ხელახლა იწყებენ ბურჟუაზიულ გარემოსთან ბრძოლას იმისათვის, რომ, სამწუხაროდ, საბოლოოდ დამარცხდნენ.

ამიტომაცაა, რომ პიესის ყველაზე მთავარი, მძაფრი და არსებითი მეორე მოქმედების დასასრულის, ჰედასა და თეას სცენა, რომელიც, სამწუხაროდ, თ. გომართელის სპექტაკლში იმდენად შეკვეცილია, რომ გამოტოვებულია მთავარი ფრაზა და ამ პიესის ერთ-ერთი დედა-აზრიც, როდესაც ჰედა ამბობს: - „მსურს ერთხელ მაინც ცხოვრებაში ადამიანის ბედი მეპყრას ხელში“. დიახ, ჰედა გაბლერს იმხელა გავლება ჰქონდა ლევბორგზე, რომ მისთვის სრულიად მიუღებელი გახდა თეათი მისი ჩანაცვლება, ამიტომაცაა მის მიმართ ასე მძაფრად განწყობილი.

რეჟისორ თ. გომართელის დადგმა ნამდვილად ნოვატორულად უნდა ჩაითვალოს. მას მაყურებელთან ურთიერთობის ორიგინალური ფორმა შემოაქვს, სადაც ბერტა (ცისია მეტრეველი) კონფერანსიეცაა, მოახლეც და, თუ გნებავთ, სპექტაკლის ინტერაქტიური წამყვანიც და შემფასებელიც. გავიხსენოთ თუნდაც მისი ჩართვები: „როგორ თამაშობ? „თავისუფალ თეატრში“ ხომ არ გგონია თავი?“, ან მისი მეოხებით მაყურებელთა ჩართვა ქმედებაში უამრავი სანთებელის ჩართვის და ჩაქრობის მიზნით, ან ის შეგონება, რომ საქართველოში ქალებზე ძალადობას აქვს ადგილი, ან ის, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თურმე ნორვეგიას ჰქონია „კულტურის პოლიტიკა“, რაზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ, ა.შ. და ა.შ. ბერტას, შემდგომ ასესორი ბრაკის, ლევბორგის მიკროფონის მეშვეობით ასეთი ჩართვები საკონცერტო ნომრების იერს აძლევს წარმოდგენას, თუმცა

რეჟისორი მაინც ახერხებს წარმოდგენის ერთ ხაზად „შეკვრას“.

სცენა შავ ყუთს მოგვაგონებს (სცენოგრაფი ბიძინა ქავთარაძე), პრაქტიკულად ყოველგვარი დეკორაციის გარეშე, სადაც საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნებულთა ჯერ კიდევ გაუხსნელი ყუთებია მიმობნეული. ყუთს მხოლოდ ორჯერ გახსნიან და მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დახურვით დიდი ხმაური გამოიწვიონ. ძველი როიალი, პატარა მაგიდა სეკრეტერის ფუნქციით, მასზე წყლით სავსე გრაფინით და უშველებელი აქა-იქ ფანჯარაჩამსხვრელი ან უფანჯრო შუშაბანდით, რომლის ერთი კარი ბაღში გადის. ბაღიც ბნელია და ავისმომასწავებელი, სადაც რამოდენიმეჯერ საბედისწრო სცენები გათამაშდება.

ქალბატონი იულიანა ტესმანი (ნინო გომართელი) ახალგაზრდა იორგენ ტესმანის გულშემატკივარია, უფრო მეტიც, მის ჩამოყალიბებაში, ოჯახის შექმნაში და სახლის მოწყობაშიც დიდი როლი შეუსრულებია, მზრუნველი მამიდაა, რომელმაც ქონებაც კი დააგირავა ამ სახლის ხალიჩებით მორთვისათვის და როგორც სპექტაკლის ბოლოს ირკვევა (რეჟისორის ვერსიით),არა მხოლოდ ნათესაური გრძნობებია ამ მზრუნველობის საფუძველი. მისი პირველი, ძალზე ემოციური შემოსვლა გროტესკულია. სახის ასეთი ჰიპერბოლირება საინტერესოა, თუმცა ძნელად თუ შეეფერება შინაბერა ნორვეგიელი ქალის წყნარ ბუნებას.

ამ სცენაში და საერთოდ სპექტაკლში ხაზგასმულია მძაფრი ტემპერამენტი, ხმაური, ფანჯრების ბრახუნი, მათი დახურვა-გახსნა, როიალის ტრიალი, მასზე ასვლა, ზედ წამოწოლა და მასზე ძილიც კი თანადროულს ხდის ამ სახლში მიმდინარე მოვლენებს.

გენერალ გაბლერის ოჯახში გაზრდილ ჰედას იარაღები უფრო იტაცებს, ვიდრე ქალური აქსესუარები და ქუდები. ჰედასთვის მთავარი თავისუფლებაა, რის გამოც ერთხელ უკვე უარი თქვა აილერტ ლევბორგზე და იარაღის მუქარით მოიშორა თავიდან. ტესმანთან შეუღლებაც ამ თავისუფლების ნაწილია, რადგან აშკარად გრძნობს საკუთარ უპირატესობას მასზე. მის ცხოვრებაში ხელახლა შემოჭრილი ლევბორგი და თეა არღვევენ მის მყუდროებას. ჰედა კვლავ ცდილობს დაიბრუნოს მათზე ზეგავლენა, მაგრამ გარეშე ძალებისა და ფაქტორების გამო კვლავ ფიასკოს განიცდის. ასესორი ბრაკის გავლენის ქვეშ მოქცეული, რომელიც იმ საიდუმლოებას ფლობს, რაც ჰედას თავისუფლებას შეზღუდავს: - „ახლა მთლიანად თქვენს მეუფეობაში ვარ“ – მიმართავს ჰედა ასესორ ბრაკს.

ჰედა თავს იკლავს არა იმიტომ, რომ ლევბორგი დაკარგა ან იმიტომ, რომ მან მისი იარაღით ლამაზად ვერ მოიკლა თავი, არა იმიტომ რომ თეა შეძლებს დამწვარი ხელნაწერის აღდგენას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლება დაკარგა და სამუდამოდ ასესორი ბრაკის ზეგავლენის ქვეშ ყოფნა აშინებს.

ჰედა (სალომე ჭულუხაძე) მაღალყელიანი ჩექმებით, შორტებითა და თეთრი გრძელი პერანგით, თავზე რქებივით შეკრული კიკინებით, უფრო კოლეჯის თინეიჯერ გოგონას ან ბიჭუნას მოგვაგონებს, ვიდრე ფრუ ტესმანს. მისი ჭირვეული და მკაცრი ხასიათი პირველი ფრაზებიდან ვლინდება.

მიხვრა-მოხვრაც თავნება გოგონასი აქვს. ისევე როგორც უტაქტო სიტყვები მიმართული იულიანა ტესმანისადმი. მის ყოველ ქმედებას გულგრილობისა და უინტერესობის კვალი ადევს. ჩანს, რომ ამ ოჯახში ბედნიერება ძალზე შორსაა. მთელი პირველი მოქმედების განმავლობაში მისი განწყობა ხშირად იცვლება. იგი ხან დამყოლია და მორჩილი, ხან მეამბოხე და ჭირვეული, ხან კი ცინიკოსი და ბოღმიანი, ხან კი შურისძიებით აღსავსე. განწყობის ასეთი ცვალებადობა იმის მანიშნებელია, რომ ერთი წელი ტესმანთან ცხოვრებამ მას სიყვარული და ბედნიერება ვერ მოუტანა, ვერც სხვა რაიმე საქმით დაკავდა, ვერც მეუღლის მეცნიერული მოღვაწეობით დაიტერესდა. ხოლო პროფესორი ტესმანის კარიერა და მაღალი თანამდებობა (საქორწინო გარიგების თანახმად) ჰედას სურვილების დაკმაყოფილებისთვის სჭირდებოდა –პირადი მოახლე, საკუთარი ცხენი, ახალი როიალი ძველის ნაცვლად და თუ ამ ყველაფერზე უარის თქმა მოუწევს, იგი არ დანებდება და აუცილებლად იბრძოლებს მათ მოსაპოვებლად. ამჯერად კი, ყველაფერს მოკლებულს ერთი გასართობი დარჩენია – კვლავ მამის, გენერალ გაბლერის მიერ დატოვებული იარაღი, რასაც ძალიან ხშირად პირდაპირი დანიშნულების მიხედვით იყენებს. ჯერ, ახალგაზრდობაში მისი სამიზნე ლევბორგი ხდება, მოგვიანებით კი ასესორი ბრაკი, რომელიც შემთხვევით გადაურჩება მის ნასროლ ტყვიას.

ჰედა არ უშვებს საკუთარ თავზე სხვის ზემოქმედებას, საპირისპიროდ, თვითონ ცდილობს ყველაზე მაღლა დადგეს და ყველა დაიმორჩილოს: ტესმანი, ლევბორგი, თეა, მხოლოდ ასესორ ბრაკთან აგებს ბრძოლას, რაც საბედისწერო ხდება მისთვის.

ფრუ თეა ელვსტედთან (ნინო მითაიშვილი) საბრძოლველად კი სულ სხვა იარაღს იყენებს: ჯერ მზადაა თმები დააგლიჯოს, როგორც ერთად სწავლის დროს, ან უფრო მეტიც, თმებზე ცეცხლის წაუკიდოს, შემდეგ კი ერთად ეწევიან სიგარეტს, მაგრად ჩაეხუტება და დიდხანს კოცნის ტუჩებში. მისი მთავარი ამოცანაა, დამორჩილოს თეა, შეურაცხყოს და გაანადგუროს. თეაც ვერ უწევს წინააღმდეგობას. იგი სუსტია და სასოწარკვეთილი. ლევბორგში შეყვარებული მხოლოდ მისით და მისი მომავალი წიგნით სულდგმულობს. ამიტომაც ადვილად ეგება მახეში. ჰედამ ბოლომდე მოიპოვა მასზე ზეგავლენა და მხოლოდ მაშინ, ბოლოსკენ, როცა ჰედა ყველასგან მიტოვებული წინა სასიკვდილო კონვულსიებს განიცდის, თეა თავისუფლდება მისგან და ახერხებს მისი გავლენისგან დაღწევას.

თეა თავისი ჩაცმულობით და ქცევით უფრო თანამედროვე შოუ-ბიზნესის წარმომადგენელს ან X-ფაქტორის მონაწილეს უფრო ჰგავს (კოსტიუმების მხატვარი ნინო ჯაში), ვიდრე ლევბორგის ბედით დამწუხრებულ არც თუ უნიჭო ქალბატონს, რომლის უშუალო დამსახურებაა მეცნიერის მიერ შექმნილი წიგნი, რამაც ასე ჯერ აღაფრთოვანა და შემდგომ დაამწუხრა იორგენ ტესმანი. ხელნაწერი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა როგორც ავტორისათვის, ასევე ჰედა გაბლერისათვის. რეჟისორმა ძალზე ორიგინალურად გადაწყვიტა ჰედას და ლევბორგის გამომშვიდობების სცენა, როცა ჰედა ლევბორგს არჩევანს სთავაზობს – ან ხელნაწერი, ან რევოლვერი. ორიგინალურია იმდენად,

რამდენადაც ასეთი შეთავაზება პიესაში არ არის. (ჰედა მალავს ხელნაწერს და შემდგომ წვავს). სპექტაკლის მიხედვით, ლევბორგი თვითონ ამბობს უარს ხელნაწერზე, რისი ლოგიკური გაგრძელებაც თვითმკვლელობაა (არა ისე ლამაზად, როგორც ჰედას სურდა), მაგრამ მაინც...

პიესაც და შემდგომ მუსიკისა და დრამის თეატრის სპექტაკლი აგებულია მთავარ მოქმედ პირთა სამკუთხედებზე: ტესმანი-ჰედა-ლევბორგი, ტესმანი-ჰედა-ასესორი ბრაკი, ჰედა-ლევბორგი-თეა. პირველ აქტში ასესორი ბრაკის მიერ იატაკზე მოხატული სამკუთხედიც ამის ნიშანია. მაგრამ სპექტაკლის ბოლო სცენები, სადაც იკვეთება ასესორი ბრაკის ახლახან მოპოვებული უპირატესობა და გავლენა ჰედაზე, ტესმანისა და თეას მცდელობები ხელნაწერის ადგენისთვის, აშკარად არღვეს სამკუთხედის პრინციპს. ხდება ახალი გადაწყვილება: თეა-ტესმანი, ჰედა-ასესორი ბრაკი, იულიანა ტესმანი-იორგენ ტესმანი (ძალიან საკვირველი ინცესტური განაცხადი?!).

ასესორი ბრაკი თავისთავში დარწმუნებული, ძლიერი, მოხეხებული და გამჭრიახი მაჩოა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიოს. ჰედას ნასროლი ტყვიით შეშინებული მაინც არ კარგავს, ან თუ კარგავს, მხოლოდ რამოდენიმე წამით თვითდაჯერებულობას და სულ ცოტა ხანში ჰედას სასიყვარულო სამკუთხედს სთავაზობს, რომელიც სულ მალე მოსწყინდება და უკვე მის დამორჩილებას განიზრახავს, როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად, რასაც წარმატებით აღწევს კიდევაც. ზ. ჩიქობავას ბრაკი ცბიერია, მოქნილი. ადვილად აღწევს სხვათა თვალში მაღალი პრესტიჟის მოპოვებას, რის გამოც ყველაფრის საქმის კურსშია, რასაც გამუდმებული ტელეფონების ზარებიც მეტყველებს. სპექტაკლის ფინალში, საყოველთაო ფერხულში ჩაბმულიც ლიდერია და ყველა საწადელს მიღწეული გამარჯვებას ზეიმობს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ზალიკო ჩიქობავას მიერ განსახიერებული ეს როლი საუკეთესოდ მიმაჩნია ამ თეატრში შესრულებულ როლებს შორის, სადაც მსახიობმა ზუსტად გამოსახა ასესორი ბრაკის იბსენისეული სახე.

ფრუ თეა ელსტედი, ერთი მხრივ, გულუბრყვილო, ქარაფშუტა ქალს მოგვაგონებს, ყოველ შემთხვევაში, სპექტაკლის პირველ აქტში მაინც, რომელიც სიყვარულის გამო იმ დამცირებაზეც კი მიდის, რომ ტესმანების ოჯახს ესტუმრება თხოვნით. თუმცა სკოლის დროიდან მშვენივრად ახსოვს ჰედას დამოკიდებულება მის მიმართ.

მეორე მხრივ, იგი საკმაოდ ჭკვიანი და ძლიერი აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო არა მარტო შეეცვალა ლევბორგის ხასიათი, სწორ გზაზე დაებრუნებინა იგი, არამედ მოახერხა, მასში კვლავ გაეღვივებინა მეცნიერული ძიების სურვილი, რის შედეგადაც შეიქმნა ჯერ ერთი წიგნი, ხოლო მოგვიანებით „მომავლის კულტურის პოლიტიკის“ პროექტიც.

მოგვიანებით თეაში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა წარმატებისკენ სწრაფვა, რომ ლევბორგისგან უარყოფილი მაინც პოულობს ძალას, ახლა იორგენ ტესმანის მხარეს გადავიდეს და მასთან მეცნიერულ შრომაში მოიპოვოს ბედნიერება. ახლა ტესმანი უკვე ქვრივია და თავისუფალი.

სპექტაკლში რამოდენიმე არსებითი სცენაა გამოტოვებული პიესის

ტექსტუალური მასალიდან. ჰედასა და თეას დიალოგის თაობაზე უკვე ვწერდი ზემოთ. ასევე მნიშვნელოვანია სცენა, როდესაც ჰედა თითქმის ძალით აიძულებს ლევბორგს, ორი ჭიქა პუნში მიირთვას, რაც შემდგომ მისი ტრაგედიის მიზეზი ხდება. ყოფილი ალკოჰოლიკი ვეღარ უძლებს ცდუნებას და ყველაფერი, რაც შემდგომში მას თავს გადახდება, სწორედ ჰედას ამ საქციელის შედეგია.

ასევე შემოკლებულია ჰედას თვითმკვლელობის წინა სცენა. რეჟისორი ასესორი ბრაკის მხოლოდ ერთი ფრაზით შემოიფარგლა: – „ვიდრე მე ჩუმად ვარ, არაფერი გემუქრება“ – რაც აუცილებელი იყო, მაგრამ არა საკმარისი და უბრალო მაყურებლისთვის ბუნდოვანს ხდის ჰედას თვითმკვლელობის მოტივაციას.

ბატონი იორგენ ტესმანი (შაკო მირიანაშვილი) უფრო ნევრასტენიკია, ვიდრე ჩამოყალიბებული მეცნიერი. მისი პროფესორობისკენ ლტოლვა უფრო სოციალურია, ვიდრე პატივმოყვარეობითი. მამიდის ვალების გადახდა, ჰედას კაპრიზების შესრულება წარმატებული კარიერის შედეგი უნდა გამხდარიყო. ამდენად, მისი ჯერ ისტერიკა, ხოლო შემდგომ მძიმე დეპრესია პროფესორის ადგილის დაკარგვის შიშით სრულიად გასაგებია და დამაჯერებლადაა შესრულებული მსახიობის მიერ. ასევე მაღალ ემოციურ ნოტზეა გამოხატული მსახიობის მიერ ის სიხარული, როცა იგი შეიტყობს ლევბორგის აზრს, რომ მას წან არ აღუდგება. შ. მირიანაშვილის ყოველი ჟესტი, ერთგვარი მანერულობაც, რასაც მსახიობი იყენებს იორგენ ტესმანის როლის შექმნაში, გვარწმუნებს ,რომ საქმე ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთან გვაქვს, რომელმაც მუსიკის და დრამის თეატრის სცენაზე უკვე შექმნა ძალზე მნიშვნელოვანი სახასიათო როლები სპექტაკლებში „დორიან გრეის პორტრეტი“ და „ფსკერზე“.

პიესისა და სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი აილერტ ლევბორგია, რომლის გარშემოც ვნებათაღელვა ტრიალებს. ჰედას ყოფილი მეგობარი, ტესმანის ყოფილი კოლეგა, თეას და წითელთმიანი მომღერლის საყვარელი თავის დროზე იმედის მომცემ მეცნიერად სახელდებოდა. მისი შემოსვლა სცენაზე (ჯ. სხირტლაძე) საკუთარი თავის წარდგენით და დიდი მონოლოგით იწყებს საუბარს თეატრის არადემოკრატიულობაზე, რეჟისორის დიქტატზე და საერთოდ იმაზე,რომ მას, მსახიობს სულ სხვანაირად წარმოედგინა თავისი პერსონაჟი ამ სპექტაკლში. ასეთი aparte თითქოს უნდა დაეხმაროს მსახიობს როლის თავისებურ ინტერპრეტაციაში (გავიხსენოთ ბ. ბრეხტის „განდგომის“ მეთოდი), თუმცა ჯ. სხირტლაძე მაინც მიჰყვება რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ სქემას.

ჰედასგან დაშინებული და გაქცეული ლევბორგი ალკოჰოლიზმისა და გარყვნილების მორევში გადაეშვება და მხოლოდ თეასთან შემთხვევითმა შეხვედრამ იხსნა იგი. მას ახალმა პარტნიორმა და საყვარელმა მისცა ის, რაც ჰედასგან დააკლდა – თვითდაჯერებულობა და საკუთარი თავის პატივისცემა, მაგრამ ჰედასთან ხელახალი შეხვედრა ისევ აბრუნებს მას წარსულში. ჰედასა და ლევბორგის სცენებში იგრძნობა ურთიერთლტოლვა, ძლიერი ვნება, რომელსაც დროდადრო თვით ჰედა ეწინააღმდეგება და უფრო ხშირად გარეშე ფაქტორები (ტესმანი, ასესორი ბრაკი, თეა) უშლიან ხელს,

ყველაფერი უთხრან ერთმანეთს ან ცოტა ხნით მაინც განცალკევდნენ. ჰედა კვლავინდებულად ძლიერია მასზე. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი, როცა ჰედა არჩევანს სთავაზობს ხელნაწერსა და რევოლვერს შორის, ლევბორგი თავისდასაწინააღმდეგოდ იმ არჩევანს აკეთებს, რომელიც ჰედას სურს.

ამ სახლიდან გასულმა ლევბორგმა უარი თქვა საკუთარ მომავალზე, აღიარებაზე – „თეასა და ლევბორგის ბავშვზე", როგორც ისინი ამ ხელნაწერს უწოდებენ და სიკვდილი არჩია არც თუ ჰედას ზეგავლენის გარეშე. მაგრამ გარეთ გასული ისევ სუსტი და უნებისყოფო აღმოჩნდა. ლამაზი თვითმკვლელობის ნაცვლად შემთხვევით გავარდნილმა ტყვიამ იმსხვერპლა იგი, რითაც სრულად დაუნგრია ჰედა გაბლერს ოცნებები, რაც ახლა უკვე მისი თვითმკვლელობის ერთ-ერთი საბაბი გახდა.

მოიკლავდა თუ არა ჰედა გაბლერი თავს თუ არა ასესორი ბრაკი? ალბათ არა. მხოლოდ გარემომ „რას იტყვის ხალხი", მისი სახელის გარშემო ატეხილმა მოსალოდნელმა სკანდალმა უბიძგა ჰედას თვითმკვლელობის აქტისაკენ.

ჰედა შავებშია შემოსილი, ხელში იარაღი უჭირავს, დროდადრო თავს ესხმიან სპექტაკლის სხვა პერსონაჟები და სისხლს ადენენ. ჰედა თავსაც კი ვერ იცავს. ჰედას გვემა გრძელდება საერთო ფერხულისა და მუსიკის ფონზე, თითქოს დანარჩენნი: თეა, იორგენ ტესმანი, იულიანა ტესმანი, ასესორი ბრაკი მასზე უკეთესები იყვნენ და აქ ისევ იკვეთება იბსენისეული თეზა – ისინი,ვინც გარემოს (საზოგადოებას) უპირისპირდებიან, სასიკვდილოდ არიან განწირული.

რეჟისორმა თ. გომართელმა ჰ. იბსენის „ჰედა გაბლერის" მოტივებზე შექმნა სპექტაკლი, სადაც ბევრი რამ ჰგავს ორიგინალს, უფრო მეტი კი – არა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენა გამოვიდა საინტერესო თავისი ფორმით, ინტერმედიური ჩანართებით (მაგალითად მატარებლის სცენა – ქალი დგას სადგურში), ზონგებით, გადახვევებით, მსახიობთა ოსტატური შესრულებით. თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ თუ კლასიკას (და ჰ. იბსენი ასეთად ნამდვილად გვევლინება) კიდებ ხელს დასადგმელად, უკეთესი იქნება,დავდგათ ისე, როგორც ავტორს სურდა.

ლელა ოჩიური

ჰედა გაბლერი დღეს

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში ახალგაზრდა რეჟისორმა, თამარ გომართელმა ჰენრიკ იბსენის „ჰედა გაბლერი" (აკაკი გელოვანის თარგმანით) დადგა. (დააფინანსა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა). თამამი გადაწყვეტილება იყო, რადგან ნორვეგიელი დრამატურგის შემოქმედება ერთ-ერთ რთულ და „მძიმე" მასალად ითვლება და ისიც, რომ მის რომელიმე პიესასთან „შეჭიდება" თავისთავადაც არაა იოლი და მით უმეტეს, ახალგაზრდებისთვის „ადრეა".

თუმცა, იბსენის დრამატურგიას (უფრო ხშირად, „მოჩვენებანსა" და „თოჯინების სახლს") პერიოდულად აცოცხლებენ ქართულ სცენაზე და არცთუ

იშვიათად, ახალგაზრდები. კოტე მარჯანიშვილის, თემურ ჩხეიძის, რობერტ სტურუას, გოგი ქავთარაძისა და სხვების სპექტაკლებთან ერთად, მის მიმართ, ბოლო წლებში, ახალი თაობის რეჟისორების აშკარა ინტერესი გამოიკვეთა. მუსიკისა და დრამის თეატრში „მოჩვენებანი" მიხეილ ჩარკვიანმა დადგა. იგივე პიესა მოზარდმაყურებელთა თეატრში მაია შენგელიამ წარმოადგინა. დათა თავაძემ სამეფო უბნის თეატრში - „ფრეკენ ჟული" განახორციელა. „თოჯინების სახლი" დადგეს: თავისუფალ თეატრში – იოანე ხუციშვილმა; თეატრალურ სარდაფში რუსთაველზე – გულიკო ბუთხუზმა და გაგა გოშაძემ – მესხეთში. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ სპექტაკლებმა სტერეოტიპები ბევრი კუთხით დაარღვიეს. იბსენმა „ასაკი დაკარგა" და „უფროსების" დრამატურგობიდან „ახალგაზრდებისადაც" იქცა.

„ჰედა გაბლერი" ჰენრიკ იბსენის ბოლო პერიოდის პიესაა და ჰედა გაბლერი – მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალსახა პერსონაჟი, რომლის ვინაობა, თვისებები, ბუნება, ფუნქცია, მრწამსი და ა.შ., მასში მოქცეული ნიშნები ყოველთვის იწვევდა კითხვის ნიშანსა და დისკუსიას.

ალბათ ჰედა გაბლერი მსოფლიო ლიტერატურის პერსონაჟებიდან ყველაზე ზუსტად გამოხატავს მე-19 საუკუნის სახეს, მის სულს, ქალების როლსა თუ ადგილს საზოგადოებაში, რომლებსაც იბსენი მძიმე ტვირთს აკისრებს და ფაქტობრივად, ყველა პიესის მთავარ გმირად აქცევს. და თუ არა მთავარ პერსონაჟად, მოვლენები მათ გარშემო ტრიალებს. თუმცა, პრობლემები და თემები, რომლებიც პიესაშია (პიესებში) და მთავარი გმირი ქალის (ამ შემთხვევაში, ჰედა გაბლერის) პერსონაში იყრის თავს, თანადროულობას არასოდეს კარგავენ.

თამარ გომართელის ვერსიით, ჰედა გაბლერი (სალომე ჭულუხაძე) და სხვები – იორგენ ტესმანი (შაკო მირიანაშვილი), იულიანა ტესმანი (ნინო გომართელი), ფრუ ელვსტედი - (ნინო მითაიშვილი), ასესორი ბრაკი (ზაალ ჩიქობავ)ა, აილერტ ლევბორგი (ჯეჯი სხირტლაძე), ბერტა (ცისია მეტრეველი) ჩვენი თანამედროვე ადამიანები არიან და სპექტაკლის მოქმედებაც თითქოს დღეს ხდება (ტექსტის თარგმანის ენა და თანამედროვე მეტყველება, დიალოგებისა და მონოლოგების „არქაულობა" და დღევანდელი სინამდვილიდან შემოტანილი ფრაზები აშკარად აახლოვებს მოქმედებას რეალობასთან, რომელიც თეატრის კედლებს გარეთაა) შეიძლება ნორვეგიაში და იქნებ საქართველოშიც. ჩვეულებრივ მოქალაქეებში და არა რომელიმე განყენებულ, მაღალ საზოგადოებაში, რომლის წევრებიც, პირველ რიგში, სწორედ კასტურობის გამო არიან გარემოსგან იზოლირებული და საკუთარი სახლის კედლებში გამომწყვდეული, მოჩვენებითი თავისუფლების მიუხედავად.

შავ და მუქ ტონებში და უსახური კედლების, დიდი ყუთებისა და შავი როიალის (რომელიც მოქმედების კიდევ ერთ აქტიურ ადგილად გამოიყენება) გარემოცვაში მოქცეული სცენა (სცენოგრაფი – ბიძინა ქავთარაძე), სუსტი და იდუმალი, ზოგიერთ შემთხვევაში, ირეალურიც კი, განათება (განათების მხატვარი – ია ნადირაშვილი) სამყაროს ჩაკეტილობის გამომხატველია, იმის

მიუხედავად, რომ ბაღში გამავალი კედლები მთლიანად მინისაა, ფანჯრის ზოგი სეგმენტში მინები ჩამსხვრეულია და კარის გაღებასაც ხელს არაფერი უშლის,

სალომე ჯულუხაძეს ჰედა თანამედროვე ახალგაზრდა ქალია, უფრო – გოგონა, მოკლე შორტებში, ჩექმებში, მაისურსა და დიდი ზომის პერანგში (რომელსაც ფინალში შავ კოსტიუმში იცვლის), გრძელი გაშლილი, ბავშვივით თავზე აკრული ნაწნავებით ან დაუდევრად შეკრული თმებით (კოსტიუმების მხატვარი – ნინო ჯაში. საერთოდ მოქმედი გმირების ჩაცმულობას, როგორც მათი შინაგანი სამყაროსა და ხასიათების გამომხატველს, სპექტალში დიდი ყურადღება ეთმობა), მისი საქციელიცა (მკვეთრი, იმპულსური, დაუდევარი) და თავისუფალი მანერებიც 21-ე საუკუნის ადამიანის ტიპური სახეა. ასეთივე თანამედროვე (როგორც თვისებებით, ხასიათის ნიშნებით, ფაქტურულად, ჩაცმულობით) და მეტყველი არიან სპექტაკლის სხვა პერსონაჟებიც, რომლებიც ფსიქოლოგიური სახეებიდან სახე-სიმბოლოებად იქცევიან და რომლებსაც მსახიობები რთული და არაერთგვაროვანი შტრიხებითა და უკიდურესი ემოციური დაძაბულობის ხარჯზე ქმნიან.

რეჟისორი იყენებს ინტერაქტივს, მოვლენებით მდიდარი და ვიტყოდი, აგრესიული განვითარების, თანდათან გაზრდილი და გაძლიერებული ტრაგიზმისა (რომელსაც ამძაფრებს მუსიკა – გამფორმებელი თამარ გომართელი, ხმის რეჟისორი – ბექა მაღლაკელიძე) და უსაზღვრო ვნებების გაღრმავების პარალელურად, მსახიობები პერიოდულად მიმართავენ მაყურებელს პირდაპირი შეკითხვისა თუ მიკროფონების გადაწოდების გზით. ერთი მდგომარეობიდან მეორეში აღმოჩნდებიან და იწვევენ დარბაზის ჩართვას მოქმედებაში. ერთობლივ აქტივობებში და ამით, თითქოს არღვევენ დროსა და სივრცის ბარიერს, რომელიც ადამიანების ორ, საპირისპიროდ მყოფ, მაგრამ სინამდვილეში ერთიან ჯგუფს მიჯნავს. უხილავი კედლის გადალახვის ეს მცდელობა ჰედა გაბლერის თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ, სამყაროსთან გამთლიანებისკენ სწრაფვის მეტაფორად იქცევა.

მათი ურთიერთობაც, ჰედასი სხვებთან და თითოეულის მასთან და ერთმანეთთან, რთული და არამყარი კავშირები, შინაგან თუ გარესამყაროში, საზოგადოებაში ადგილის ძიება და მისგან განდგომილობა, რადგან ეს კონტაქტები გამქრალი და დარღვეულია, თამარ გომართელის სპექტაკლში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ასეთი რამ მაშინ ხდება, როდესაც ვიღაც თავისუფლებისა და უფლებებისთვის ბრძოლას იწყებს და ძალადობას უპირისპირდება. ადამიანების ძალადობისგან იცავს თავს. და სასოწარკვეთილებისგან უკიდურეს ნაბიჯამდე მიდის საკუთარი თავისა და სხვების წინააღმდეგ.

ჰედა გაბლერი 21-ე საუკუნეშიც შურისმაძიებლად რჩება და ასევე რჩება მისი პიროვნება ამოუცნობად, როგორც ყველა განსხვავებული ადამიანის, რომელიც საზოგადოებაში საკუთარი წესებითა და კანონებით, გამორჩეულობით ცხოვრობს და ხელშეუხებლად და თავისუფლად უნდა დარჩენა.

და იყო ღამე და იყო დღე

სპექტაკლის დასახელება – და იყო ღამე და იყო დღე

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
მარკ ტვენის ,,ადამ და ევას დღიურების" და მოთხრობების მიხედვით
თარგმანი - დიდონა ჭყონია
ინსცენირების ავტორი და რეჟისორი - მანანა სურმავა
მხატვარი - ზურა გომელაური

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ავტორი - გია ჭყონია
ქალი - მანანა სურმავა
კაცი - გია გოგიშვილი
მუსიკოსები: რუსუდან კვალიაშვილი, ვისელი ჭეჭელაშვილი, სალომე კვალიაშვილი, გიგო კვალიაშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 30.11.2015

სარეპეტიციო პროცესი - 2 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - გამოხმაურება სპექტაკლზე პრესაში ჯერ არ ყოფილა.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

ჭირვეულის მორჯულება

სპექტაკლის დასახელება - ჭირვეულის მორჯულება

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესი ავტორი - უილიამ შექსპირი
დამდგმელი რეჟისორი - ჰილარი ვუდი
მხატვარი - სიმონ მაჩაბელი
კოსტიუმების მხატვარი - ლალი ბადრიძე
ქორეოგრაფი - ცისია ჩოლოყაშვილი
მუსიკალური გაფორმება - ჰილარი ვუდი
ტექნიკური რეჟისორი - სოფო დანელია

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:

ბიანკას ხელის მთხოვნელი - გია აბესალაშვილი
ბატისტა მინოლა - მახო აბულაძე
ვინჩენციო - თემურ გვალია
ლუჩენციო - სოსო ხვდელიძე
პეტრუჩიო - ვანო დუგლაძე
ჰორტენზიო - ნიკა წერედიანი, ცოტნე მეტონიძე
ტრანიო - გუგა კახიანი
ბიონდელო - ილია ჭეიშვილი
გრემიო - აკაკი ხიდაშელი
კაფეს მეპატრონე - ზურა ანთელავა
კატარინა - თამრი ბზიავა
ბიანკა - ირინა გიუნაშვილი, ანა მატუაშვილი
ქვრივი - დარეჯან ხაჩიძე
მკერავი - ანა ნიკოლაშვილი
ნათანიელი - ანრი ბიბინეიშვილი
მოსამსახურე - თამუნა ბუაჩიძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 8 მაისი
სარეპეტიციო პროცესი - 2 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა

გამოხმაურება

გიორგი ყაჯრიშვილი

ვარჯულებთ ჭირვეულებს...

ინგლისელ რეჟისორს და ვებერ დაგლასის სტუდიის სამსახიობო ოსტატობის პედაგოგ ჰილარი ვუდს კარგად იცნობენ საქართველოში. მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ქართულ თეატრთან. ეს ურთიერთობა დაიწყო კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში დადგმული უ. შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრათი“ (მთავარ როლებში გურანდა გაბუნია და ოთარ მეღვინეთუხუცესი) და დღემდე გრძელდება. შემდეგ იყო ტ. უილიამსის „კამინო რეალი“ და თ. ბართაიას „კაბა“ მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრში, მასტერკლასები ფესტივალის „საჩუქარი“ ფარგლებში, სადაც ვებერ დაგლასის სტუდიის მსახიობებიც მონაწილეობდნენ. პირველი და მთავარი, რაც ჰილარი ვუდის შემოქმედებას გამოარჩევს, ეს არის თავისი თანამემამულის, უდიდესი დრამატურგის უილიამ შექსპირისადმი ერთგულება და მეორე, წარმატებული და ძალზე საპასუხისმგებლო პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც იგი ვებერ დაგლასის ხელოვნების დრამატულ სტუდიაში ეწევა.

მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის წინადადებით ამ რეჟისორმა ახლახანს განახორციელა უ. შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“, ერთ-ერთი ყველაზე ხალისიანი და კეთილი კომედია ამ დრამატურგის მემკვიდრეობაში. ჰ. ვუდი კარგად იცნობს ამ თეატრის შემოქმედებით კოლექტივს, მაგ. სპექტაკლ „კამინო რეალიში“ თითქმის მთელი დასი იყო დაკავებული. ამჯერად კი რეჟისორმა ძირითადი აქცენტი ახალგაზრდობაზე გააკეთა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ,რომ უფროსი თაობის წარმომადგენლები (აკაკი ხიდაშელი, თემურ გვალია, გია აბესალაშვილი, ზურაბ ანთელავა) ღირსეულად უმშვენებენ გვერდს ამ თაობას. ახალგაზრდობაზე აქცენტი ეს კანონზომიერიცაა – ჰილარი ვიდთან მუშაობა ეს კიდევ ერთხელ დიდი სკოლაა სამსახიობო ხელოვნებაში. უდიდესი პედაგოგიური გამოცდილების რეჟისორის სწავლების მეთოდი თანხვდენილია ასევე დიდი პედაგოგის – მიხეილ თუმანიშვილის სკოლასთან, რაც ასე ადვილად გასაგები და მისაღწევია მ. თუმანიშვილის ან მისი მოწაფეების აღზრდილთათვის.

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ჰ. ვუდის შექსპირისეული ტექსტისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ გამოჩნდა ამ წარმოდგენის დროს.

სავარაუდოდ ამან გამოიწვია, რომ სპექტაკლის პირველი ვერსია უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, მაგრამ არამოსაწყენი. რამოდენიმე წარმოდგენის შემდეგ კი იგი დაიხვეწა, შემოკლდა და უფრო დინამიკური გახდა (ახალი რედაქციის ავტორი რეჟისორი ქეთი დოლიძე).

სპექტაკლის მოქმედება მეოცე საუკუნის 60-იან წლებში გადატანილი – შეიკისა და ტვისტის ჰანგები და რიტმები (მუსიკალური გაფორმება – ჰილარი ვუდი) ახალისებს იმდროინდელ ახალგაზრდობას: თავგამოდებით ცეკვავენ ამ ამერიკულ ჰანგებზე პადუას ახალგაზრდა თაობა: კატარინა, ბიანკა და

მათი ხელის მთხოვნელები – გრემიო, ჰორტენზიო, ვინჩენციო და პეტრუჩიო. სცენოგრაფიაც პოპარტის იმდროინდელი ნიმუშებით და მოდერნისტული ნახატებითაა გაფორმებული (მხატვარი სიმონ მაჩაბელი).

ბატისტას (მალხაზ აბულაძე) პირველივე განცხადებას მისი უფროსი ქალიშვილის კატარინას (თამრი ბზიავა) პროტესტი და აღშფოთება მოჰყვება. მამა-შვილის გაუთავებელი კამათი და კატერინას მძიმე ხასიათის გამოვლენა დიდხანს მიჰყვება სპექტაკლის ქმედებას.

თამრი ბზიავას კატარინა – მოხდენილ კოსტიუმში გამოწყობილი (კოსტიუმების მხატვარი ლალი ბადრიძე) თვითნება, ჭირვეული ანჩხლი და კაპასი, ეგზალტირებული ახალგაზრდა ქალია, რომელიც ვერ იტანს დამცირებას და ოდნავ შევიწროებასაც კი. მისი ყოველი ჟესტი, ქმედება თუ სიტყვა მიმართულია საკუთარი პიროვნული უფლებების, თავმოყვარეობის დასაცავად. მიუხედავად მუდმივი კონფლიქტისა მაინც მამის დამჯერი და მისი პატივისმცემელია.

ბატისტას უმცროსი ქალიშვილი ბიანკა (ირინა გიუნაშვილი, ანა მატუაშვილი) მორჩილი, უფრო მომხიბლავი, მორიდებულია, რომელმაც ერთი შეხედვით დაიმსახურა ლუჩენციოს სიყვარული და თუ რაიმე ხდება პიესაში – კერძოდ კი პეტრუჩიოს მიერ კატერინას ხელის თხოვნა – ბიანკასა და ლუჩენციოს (სოსო ხვედელიძე) შეუღლების საბაბითაა განპირობებული, ვინაიდან მხოლოდ კატერინას გათხოვების შემდეგ ეხსნებათ (შექსპირისეული ინტრიგა) გზა შეყვარებულებს საქორწინოდ.

კატარინა (თ. ბზიავა) ასევე მუდმივ კონფლიქტშია საკუთარ დასთან. მამის მიერ უმცროსი ქალიშვილისადმი გამოჩენილ სითბოსა და სიყვარულს ძალიან მტკივნეულად აღიქვამს და ხელს არ უშვებს მომენტს, რომ რაიმე მწარე რეპლიკა არ მიაყოლოს მას. კატერინას მტერი მხოლოდ მისი ხასიათი არაა, არამედ მისი მწარე ენა.

ბიანკა (ი. გიუნაშვილი, ა. მატუაშვილი) მოთმენით იტანს არა მხოლოდ დის შეურაცხყოფას, არამედ მამის სიმკაცრეს და იმ დასჯის მეთოდებს, რასაც მის წინააღმდეგ იყენებენ. კატერინას რისხვა ხშირად თავს ატყდება ბიანკას და ხელჩართულ ბრძოლაშიც კი გადადის. ეს სცენა დიდი ვნებათაღელვითა და ემოციითა შეასრულეს მსახიობებმა.

გადაცმებისა და ორსახეობის ოსტატი შექსპირი ამ პიესაშიც მიმართავს გადაცმის ხერხს, როდესაც ლუჩენციო (ს. ხვედელიძე), ტრანიო (გუგა კახიანი) და ჰორტენზიო (ნიკა წერედიანი, ცოტნე მეტონიძე) როლებსა და ტანსაცმელს გაცვლიან. დრამატურგი ყოველთვის ქმის „ფართო პანოებს", მრავალრიცხოვანი პერსონაჟებით აცოცხლებს სიუჟეტს, ოსტატურად ხლართავს ინტრიგას. ასე მაგ. ბატისტასთან ქალების ხელის სათხოვნელად მოსვლის სცენა, სადაც ერთდროულად ორივეს – კატარინასა და ბიანკას ხელის მაძიებლები თავიანთ მოსამსახურეთა თანხლებით მოიყრიან თავს: პეტრუჩიო, გადაცმული ტრანიო, ლუჩენციო, გრემიო (აკაკი ხიდაშელი), ჰორტენზიო, ბიონდელო (ილია ჭეიშვილი).

კატერინასა და პეტრუჩიოს (ვანო დუგლაძე) შეხვედრა თავისათავად

კონფლიქტით და ურთიერთდაპირისპირებით იწყება. მახვილსიტყვაობით ექიშპებიან ერთმანეთს. პეტრუჩიო ოსტატურად ახერხებს ყველას დარწმუნებას, რომ კატერინა შეუყვარდა და მხოლოდ მას ისურვებს ცოლად. და ამ დღიდან იწყება კატარინას „მორჯულება", რომელიც შემდგომ პეტრუჩიოს სახლში დასრულდება.

სცენა სცენას ცვლის,პეტრუჩიო სხვადასხვა ხერხს იყენებს რომ დაამციროს, გაანადგურის და შესაბამისად აღმოფხვრას კატარინაში ის მანკიერი, რაც მის სულს შეპარვია, დაანგრიოს მისი ბოროტი არსი და კეთილისკენ შემოაბრუნოს. იგი დიდი ძალისხმევით, ეშმაკობით, გამჭრიახობით აღწევს იმას, რაც ვერ შეძლო ვერც ქალიშვილის მამამ, ვერც მისმა დამ და ვერც სხვა მთხოვნელებმა. პირადი დამცირებით, შეურაცხყოფით, ხანდახან ფიზიკური ქმედებებით, საკვების აკრძალვით აღწევს იგი დასახულ მიზანს და ცოტა ხანში კატარინა მორჩილ, მოსიყვარულე მეუღლედ იქცევა. მსახიობი თამრი ბზიავა ჩვენი თანდასწრებით გაივლის ამ ტრანსფორმაციას, ახალ პიროვნებად ჩამოყალიბებას – მოყვარულ, დამჯერ და ერთგულ ცოლად გადაქცევას, ისეთად,როგორიც იგი პეტრუჩიომ შექმნა. ეს მხიარული კომედია, ემოციური, ხმაურიანი, დინამიკური, ვნებათაღელვით აღსავსე ცოცხალ და სწორ რეაქციას იწვევს მაყურებელში. დარბაზი ადეკვატურად აღიქვამს ხუმრობასაც და კატერინას ტკივილს, პეტრუჩიოს განცდებსაც,

თუმცა ყველაფერი განვლილის მერე ლუჩენციოს მაინც რჩება კითხვა: „სასწაულია! როგორ შეძლო მისი მორჯულება?"

მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის დასმა შექმნა ანსამბლური, მრავალპლანიანი სახალისო კომედია, შესანიშნავი მხატვრული სახეებით, დახვეწილი ხასითებით, ლამაზი სცენოგრაფიით, ნატიფი პლასტიკითა და მუსიკალური გაფორმებით.

ლელა ოჩიაური

მორჯულება სიყვარულითა და თავისუფლებით

ქართულ თეატრში შექსპირის ეპოქა გრძელება. 2014-2015 წლების სეზონში, საქართველოში ძველ და ბოლოდროინდელ დადგმებს შეემატა – რობერტ სტურუას „იულიუს კეისარი", ირაკლი გოგიას „რომეო და ჯულიეტა", ოთარ ეგაძის „ჭირვეულის მორჯულება" და ასევე – „ჭირვეულის მორჯულება" ბრიტანელ ჰილარი ვუდის რეჟისორობით. ჰილარი ვუდი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში (პროექტი დაფინანსებულია ქალაქ თბილისის მერიის კულტურის სამსახურის მიერ) თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ქეთი დოლიძემ მიიწვია და სპექტაკლის შექმნაშიც არანაკლები როლი შეასრულა.

„ჭირვეულის მორჯულება" - უილიამ შექსპირის ერთ-ერთი ყველაზე მხიარული, ლაღი, ოპტიმისტური კომედიაა და როგორც მისი ყველა პიესა, მრავალმნიშვნელოვანი სათქმელით, ზღაპრისმაგვარი „ჭკუისსასწავლებელი"

სიუჟეტითა და სახასიათო პერსონაჟებით, რომელთა თავგადასავალი, უკვე რამდენი საუკუნეა, ხელოვანებისა (სხვადასხვა საშემსრულებლო დარგის) და მაყურებლისთვის (განსხვავებული ინტერესების) მიმზიდველობას არ კარგავს.

„ჭირვეულის მორჯულება“ არაერთი თეატრალური დადგმის (მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან), რამდენიმე კინოსურათის (პირველი ვერსია დევიდ უორქ გრიფითმა გადაიღო 1908 წელს; ყველაზე ცნობილი – ფრანკო ძეფირელის 1967 წლის ფილმია, ელიზაბეთ ტეილორისა და რიჩარდ ბარტონის მონაწილეობით), ინტერპრეტაციის, მოტივის, ჟანრისა თუ სფეროს (ოპერები, რადიოდადგმები, ბალეტი, მუზიკლი – თეატრსა და კინოში –„მაკოცე, კეტ“, ბროდვეი, 1948 წელი; 1953 წელს – ჯორჯ სიდნეის იმავე სახელწოდების ფილმი, პოლ კოულის მუსიკაზე), ლიტერატურული ნაწარმოების საფუძვლად იქცა.

მართალია, ქართველ რეჟისორებს შექსპირის სხვა პიესები და განსაკუთრებით, ტრაგედიები უფრო იზიდავთ და უფრო ხშირად დგამენ – „ჰამლეტს“, „რომეო და ჯულიეტას“, „მაკბეტს“, „მეფე ლირსა“ თუ „რიჩარდ მესამეს“,მაგრამ არც „ჭირვეულის მორჯულება“ დარჩენიათ ყურადღების მიღმა. ის პირველად მე-19 საუკუნის ბოლოს, თბილისის დრამატულ თეატრში კოტე მესხმა წარმოადგინა. პეტრუჩიოს როლიც თვითონ შეასრულა. 1944 წელს, სახელწოდებით, „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ შალვა ღამბაშიძემ დადგა მარჯანიშვილის თეატრში, ვარსკვლავების – სესილია თაყაიშვილი (კატარინა), თამარ თეთრაძე (ბიანკა), პიერ კობახიძე და გრიგოლ კოსტავა (პეტრუჩიო), ალექსანდრე ჟორჟოლიანი (გრუმიო), აკაკი კვანტალიანი (გრემიო), ვასო გოძიაშვილი (ტრანიო) და ა.შ. მონაწილეობით. 40-იან წლებშივე თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრში წარმოადგინეს და ამავე პერიოდში – გორის თეატრშიც.

დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ, მართალია, არა საქართველოში, 2011 წელს ათენში დადგა რობერტ სტურუამ. აშშ-ში, „სინეტეკის“ თეატრის დამფუძნებელ-ხელმძღვანელმა, ქართველმა პაატა ცქიფურაშვილმა – პლასტიკის, პანტომიმის ენაზე აამეტყველა. კიდევ არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება და რადგან დღეს კვლავ არსებობს „ჭირვეულის მორჯულების“ დადგმის სურვილი, ნიშნავს, რომ პიესას ღირებულება და მნიშვნელობა ნამდვილად არ დაუკარგავს.

„ჭირვეულის მორჯულება“ (სიკო ფაშალიშვილის თარგმანი) ჰილარი ვუდის მესამე სპექტაკლია საქართველოში და მეორე შექსპირი – „ანტონიუსი და კლეოპატრას“ (მარჯანიშვილის თეატრი, როლებს ასრულებდნენ - ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ნოდარ მგალობლიშვილი) და ტენესი უილიამსის „კამინო რიალის“ (თარგმნეს მანანა ანთაძემ და ქეთი დოლიძემ; მთელი დასისა და მიწვეული – გურანდა გაბუნიასა და ოთარ მეღვინეთუხუცესის მონაწილეობით) შემდეგ.

შექსპირის ხუთ-მოქმედებიანი პიესა ჰილარი ვუდმა ორ მოქმედებად წარმოადგინა და ტექსტის ადაპტირების მიუხედავად, სრულად გაჰყვა პიესის მსვლელობის მთავარ ღერძს. რეჟისორმა შეცვალა დრო – მე-20 საუკუნის

50-60-იან წლების მიჯნაზე გადაიტანა, რაზეც მეტყველებს პერსონაჟების სტილიზებული კოსტიუმები (მხატვარი ლალი ბადრიძე); ეპოქის „მოდური“ მუსიკა, როკ-ენ-როლი და ჰიტები (ჰილარი ვუდის მუსიკალური გაფორმება) და ცეკვები (ქორეოგრაფი ცისია ჩოლოყაშვილი), თუმცა, ამას არც პერსონაჟების „მთავარ“ თვისებებზე, არც სიუჟეტისა თუ მოვლენების სხვაგვარ განვითარებაზე არ უმოქმედია.

ამბავი, მოქმედების ადგილების ცვლილების მიუხედავად, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე სივრცეში (მცირეოდენი დამატებითი ატრიბუტების შეცვლასა და შეტანას თუ არ ჩავთვლით) მიმდინარეობს. პადუას მოედანი კაფედაა (რომელიც ამ მოედანზე მდებარეობს) ქცეული, რომელშიც მთელი ქალაქი და მისი სტუმრები ყოველდღიურად იკრიბებიან და ყველაფერს – საქმიან, პირადულ (თუ – ორივეს ერთად) საკითხებსა და პრობლემებს აგვარებენ. როი ლიხტენშტეინის მიერ კომიქსებისა და ცნობილი მხატვრების (პიკასო, ლეჟე, მატისი) ცნობილი ქმნილებების საფუძველზე შექმნილი ცნობილი სერიების სამ კედელზე დატანილი, დამატებითი აზრობრივი შრის გარემოცვაში (მხატვარი – სიმონ მაჩაბელი).

ცხოვრების ცენტრი აქაა გადმოტანილი. აქ ხვდებიან მთავარი გმირები, რაც მათ მომავალს განსაზღვრავს. პირველად სწორედ აქ ნახავს პეტრუჩიო გაბრაზებულ და როკ-ენ-როლის ენერგიულად და ლაღად მოცეკვავე კატარინას. პარტნიორობას გაუწევს და ორივე პირველივე ცეკვით „დაინახავს“ და აღმოაჩენს ერთმანეთს, შემდეგ ცხოვრება სამუდამოდ რომ დაუკავშიროს.

ჰილარი ვუდმა ფსონი თამარ ბზიავას (რომელთან ერთად ბრიტანეთში თამარ ბართაიას მონოპიესაზე „კაბა“ იმუშავა) –კატარინასა (რომელიც ხასიათის, ქმედებისა და გრძნობების გამოხატვის სხვადასხვა ეტაპს გადის) და ვანო დუგლაძეს –პეტრუჩოზე დადო და როგორც შექსპირთან, მთელი ამბავი მათი შეხვედრის, პეტრუჩოს დასახულ გეგმაზე, ქორწინებისა და ჭირვეულის მორჯულებაზე ააწყო.

კატარინას ჭირვეულობა, აგრესიულობა, ადვილად ფეთქებადობა და კონფლიქტურობა არა მისი ხასიათის თვისებაა, არამედ პროტესტია საზოგადოების მიმართ, რომელიც მისგან განსხვავდება, შტამპებითა და დოგმებით ცხოვრობს და სხვასაც აიძულებს ასე ცხოვრებას. ასეთივეა პეტრუჩოც. ამ ორი ადამიანისთვის განსხვავებული ღირებულებებია მთავარი და მათ დასაცავად ყველაფერზე მიდიან.

ახალგაზრდა მსახიობები პერსონაჟების სახეების, მათი ნამდვილი და ნიღაბსამოფარებული ბუნების, რეალური და სხვებისთვის განკუთვნილი თვისებების თავისუფალ და ოსტატურ გამოხატვას ახდენენ და ორგანულად ერგებიან რეჟისორის დასახულ ამოცანას.

როკ-ენ-როლი – თავისუფლების ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი მხატვრული გამოხატულებაა. ჰილარი ვუდის კონცეფციიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც პირველადი სწორედ თავისუფლება და ფუჭი მორალისგან თავის დაღწევისკენ სწრაფვა იყო, ახალი ცნობიერებისა და ცხოვრების წესის, ახალი კანონების ჩამოყალიბების ეპოქა, მარადიულ ფასეულობებს ყავლი

არ გასდიოდათ. თუ ორ ადამიანს ერთმანეთის ესმის და უყვარს, შეიძლება ყველაზე ჭირვეულიც კი მორჯულდეს და სიყვარული სხვასაც გაუზიაროს. აჩვენოს, რა ძალაა ეს და რისი გაკეთება შეიძლება მისი გულისთვის.

მთავარია, ადამიანებს ერთმანეთი უყვარდეთ და მაშინ შეიძლება მტკიცედ აღიარო, რომ მზე, რომელიც სინამდვილეში მზეა – მთვარეა, მოხუცი კაცი - მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, ხან მოხუცი – მოხუცი და მზე კი, „რა თქმა უნდა“ - მზე.

როი ლიხტენშტეინის ნამუშევრებიც ასეთი წარმოსახვის თამაშია. თავის დროზეც (60-იანი წლების ბოლოდან) ასე იყო და დღესაც კლიშეებისგან გათავისუფლებისა და ხელოვნების – სამყაროს ახალ ენაზე ამეტყველების ნიმუშებია, რომლების „სიყალბის“ მიღმა ადამიანის არსებობის მნიშვნელოვანი ნიშნები და ნამდვილი შემოქმედება იკითხება.

ჰილარი ვუდიც სპექტაკლის გადაწყვეტის საფუძვლად კომიქსის ფორმას იყენებს – ჰორიზონტალურად გაშლილი მოქმედება, რამდენიმე სურათი ერთდროულად – ერთ მიზანსცენაში და მთლიანი ტექსტის შემჭიდროვების პრინციპზე აწყობით.

ამ შემთხვევაში კომიქსი – ლიტერატურასა და მხატვრობასთან ერთად თეატრალური ხერხებით იქმნება, რაც გამოსახულებასა და მონათხრობთან, სიტყვასთან ერთად ქმედებით გამოიხატება. სცენებად აწყობილი ამბავი გაცოცხლებული „კადრების“ სახეს იძენს და ყველა თეატრალური ხერხით იწყებს მეტყველებას – მსახიობი – ნახატი პერსონაჟის ნაცვლად, ცოცხალი, წარმოთქმული სიტყვა - დაწერილის ნაცვლად, ამოძრავებული, დატვირთული გამოსახულება – ასევე ფაზებად დახატულის ნაცვლად, საკვანძო და მნიშვნელოვანი ეპიზოდების უტრირება და მათი აქცენტირება. ამავე დროს, რეჟისორი იყენებს კინოხერხებს, რაც ასევეა კომიქსის გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება. ამბის ნოველებად დაყოფა, რომლებიც ერთიანი ისტორიის შემადგენელი ნაწილებია, რის პირობასაც თვითონ შექსპირი განსაზღვრავს, სპექტაკლს დინამიკურობასა და მრავალფეროვნებას სძენს.

„ჭირვეულის მორჯულების“ ამგვარი გადაწყვეტა, ერთი მხრივ, კომიქსის სპეციფიკას ითვალისწინებს და, მეორე მხრივ, თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნებს, მის ინტერესებს თეატრის მიმართ. ამავე დროს, ნაცნობი პიესის ახალ ფორმაში (ისე, რომ არც მთავარი ღერძი დაირღვეს და არც შექსირის ტექსტი დაიკარგოს, რომელიც ძირითადად შენარჩუნებულია და თან გაზავებული „არაშექსპირული“, თანამედროვედ მჟღერი, დღევანდელ სლენგზეც კი, რეპლიკებით) წარმოდგენა, მსახიობებისთვისაც, რომლებსაც იმპროვიზებაც შეუძლიათ, შესაძლებლობების ახალი ფორმითა და ხერხებით გამოვლინების პირობას უქმნის.

ჰილარი ვუდი მთავარ აქცენტს სწორედ მსახიობების ნამუშევარსა და ტექსტის მაყურებლამდე „სწორად მიტანის“ პრინციპებზე აკეთებს. თუმანიშვილის თეატრის სხვადასხვა თაობის არტისტებისთვის (გია აბესალაშვილი, მახო აბულაძე, თემურ გვალია, სოსო ხვედელიძე, ნიკა წერედიანი, ცოტნე მეტონიძე, გუგა კახიანი, ილია ჭეიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ზურა ანთელავა, ირინა გიუნაშვილი,

ანა მატუაშვილი, დარეჯან ხაჩიძე, ანა ნიკოლაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, თამუნა ბუაჩიძე) ეს პრობლემას არ წარმოადგენს. პიესაც კარნახობს და მათაც თავისუფლად შეუძლიათ მკვეთრად სახასიათო და არაერთგვაროვანი სახეების შექმნა, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად მოქმედებენ და არც ერთ შემთხვევაში „უქმად" არ ჩერდებიან, ამა თუ იმ სცენაში ყველაზე უმნიშვნელო ფუნქციის შესრულების დროსაც.

ფინალში თამარ ბზიავას კატარინა – ენერგიული, ცოცხალი, თავნება და მოურჯულებელი – არა იმდენად ემორჩილება პეტრუჩოს, რამდენადაც მის გაოცებას, აღტაცებასა და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას ცდილობს. კიდევ ერთხელ რომ მოინადიროს საყვარელი მამაკაცის გული და სხვებსაც დაუმტკიცოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია – ასიამოვნო ადამიანს, რომელიც გიყვარს და უყვარხარ. აჩვენო არა მორჩილება – არამედ სიყვარული დაუმტკიცო. ეს პეტრუჩომაც იცის – ამიტომაც მშვიდად და ამაყად ელოდება ცოლის გამოცხადებას და უპირატესობის გრძნობით უყურებს დანარჩენებს. გაუკვირდებოდა, სხვანაირად რომ ყოფილიყო.

სპექტაკლი, რა თქმა უნდა, საერთო ლხინითა და მხიარულებით მთავრდება – დასაწყვილებლების დაწყვილებითა და ცეკვით. ყველაფერს საფუძველი კატარინამ და პეტრუჩომ შეუქმნეს. მიზანი მიღწეულია. ისინიც ჯილდოვდებიან მოთვინიერებისთვის, სიყვარულისთვის და მისთვის ერთმანეთთან და გარესამყაროსთან ბრძოლისთვის.

უდღეური დღეობა

სპექტაკლის დასახელება - უდღეური დღეობა
პიესის ავტორი - რასმუს ლინდბერგი

რეჟისორი - ნინი ჩაკვეტაძე
მხატვარი - თამარ გურგენიძე
მუსიკის ავტორი - თორნიკე კაკაბაძე
ტექნიკური რეჟისორი - სოფო დანელია

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
გერტრუდა (ხმა) - დარეჯან ხაჩიძე
ტუკე - ქეთი ასათიანი
ჰენრიკი - ნინო კარდანახაშვილი
მიკე - ზაზა ვაშაყმაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 11 ნოემბერი
სარეპეტიციო პროცესი - სამაგიდო რეპეტიცია 2 თვე, წინა საპრემიერო რეპეტიცია 2 თვე;
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა

ტრამვაი სურვილი

სპექტაკლის დასახელება - ტრამვაი სურვილი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ტენესი უილიამსი
დამდგმელი რეჟისორი - ქეთი დოლიძე
მხატვარი - მამუკა ტყეშელაშვილი
კოსტიუმები - ლალი ბადრიძე, სოფო ქორიძე
მუს. გაფორმება - ანი მურღულია
რეჟ. ასისტენტი - სოფო ორჯონიკიძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ბლანში - ნინელი ჭანკვეტაძე
სტელა - ირინა გიუნაშვილი
სტენლი - იმედა არაბული, ვანო დუგლაძე
მიჩი - თემურ გვალია
იუნისი - ქეთი ასათიანი
სტივი - გუგა კახიანი
პაბლო - ცოტნე მეტონიძე
ჯენი - თამუნა ბუაჩიძე
საქსაფონისტი, ექიმი - ილია ჭეიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 14 ოქტომბერი
სარეპეტიციო პროცესი - 2 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - ჯერ პრესა სპექტაკლს არ გამოხმაურებია

გამოხმაურება

გიორგი ყაჯრიშვილი
„ტრამვაი სურვილი“ თუმანიშვილის თეატრის სცენაზე

ტენესი უილიამსის პიესა „სურვილის ტრამვაი“ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამერიკული დრამატურგიის ერთ-ერთი ყველა ცნობილი და ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია. არავისთვის არ იქნება ახალი თუ დავუმატებ, რომ ამ ავტორის ნაწარმოებებში ყველგან ვხვდებით დრამატურგის მძიმე, მაგრამ სისხლსავსე ცხოვრების დეტალებსა და ფრაგმენტებს – ლაურასა და ტომის ურთიერთობა „შუშის სამხეცეში“, ბლანშის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება (როგორც უილიამსის დის), ლოთი და ინვალიდი შვილები „იგივე შუშის სამხეცესა“ და „კატა გავარვარებულ თუნუქის სახურავზე“ სხვა არაფერია

თუ არა მისი ავტობიოგრაფიული ჩანაწერების დრამატურგიული ვერსიები. ამავდროულად, მისი პერსონაჟები სიმბოლურ დატვირთავს ღებულობენ, რადგან ისინი გასული საუკუნის 50-იანი წლების ამერიკის ნამდვილი შვილები არიან. „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია" პერსონაჟები ერთგვარი სტერეოტიპებია და იმ ეპოქის დამახასიათებელ ხასიათებს წარმოადგენენ: სტენლი კოვალსკი ჩვეულებრივი პრიმიტივია, ცხოველური, უხეში, ეჭვიანი და ბოროტი, თითქმის ნული ინტელექტით. ბლანში – არისტოკრატულობის პრეტენზიით, ნერვიული, ეგზოტიკური, თითქოსდა შემთხვევით მოხვედრილი ამ მკაცრ სამყაროში. სტელა თავის უზრდელი, უხეში და სალდაფონი ქმრის დამჯერი ცოლი, მიტჩი კი იმდენად პრიმიტიულია, რომ არ ძალუძს ბლამშის რთული, ფსიქოლოგიურად დანგრეული ნატურის გაგება. შეიძლება ითქვას, რომ პიესის კონფლიქტი სამყაროს აღქმის უხეშ მგრძნობიარობასა და არისტოკრატიულ ზემგრძნობიარობათა შეჯახებაში მდგომარეობს.

ტენესი უილიამსი წერდა: „ვიცი, როგორც დრამატურგი, თუ რამდენად ძველმოდური ვარ, კლასიკური ფორმებისკენ ჩემს მისწრაფებაში, მაგრამ ამის გამო თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ფორმის უგულებელყოფა თითქმის ყოველთვის არ აკმაყოფილებს მაყურებელს ისე, როგორც მე".„ნუ მოვკლავთ მეოცნებე ადამიანს"! ეს არის ჩვენი სათქმელი - წერს დამდგმელი რეჟისორი ქეთი დოლიძე ფესტივალის „საჩუქარი" კატალოგში, რომლის დროსაც გაიმართა ამ სპექტაკლის პრემიერა.

„სურვილების ტრამვაი" – ტენესი უილიამსის ამ ფსიქოლოგიურმა შლაგერმა ჩემი ყურადღება მიიპყრო მისი სრულყოფილების გამო. ეს არის შეუძლებელი სიყვარულის ისტორია, შეუძლებელი სხვადასხვა ადამიანის ბედისა და მათი ტემპერამენტის სრული შეუსაბამობის გამო. იმის გამოც, რომ გადაულახავი ზღვარია პლებეური, უხამსობაში გადასული არსებობისა და ფაქიზი, დახვეწილი, ფანტაზიით აღსავსე ცხოვრებას შორის. არსებობის ასეთი, ორი სხვადასხვა ხერხის გამო – სტელა, არანაკლებ ძლიერი ნატურაა, ვიდრე პიესის სხვა გმირები. მიტჩი – ჩეხოვის ზოგიერთი გმირის მსგავსი უხერხემლო ადამიანია, რომელიც ამ თავბრუდამხვევ, „ცოდვიან" გრძნობას ვერ უძლებს. ამ პიესაში ყველა გრძნობა გაშიშვლებულია, ოცნებების სასაფლაო შეგვიძლია ვუწოდოთ ამ ნაწარმოებს. ქალაქი, საზოგადოება, რომელიც ამადგურებს ინდივიდს, და სასოწარკვეთილებამდე მისული, ეს ადამიანები სხვა განზომილებაში გადადის ან არარეალურ ყოფაში ეფლობიან. ტენესი უილიამსის ეს კლასიკური პიესა ყოველთვის დიდი გამოწვევაა მსახიობებისა და რეჟისორისთვის" – აგრძელებს ქეთი დოლიძე, რომელიც არ შეუშინდა ამ გამოწვევას და ნოემბრის თვეში თუმანიშვილის თეატრის სცენაზე ვნახეთ სპექტაკლი „ტრამვაი სურვილი".

წარმოდგენისთვის მზადება რთულ წინასაფესტივალო დღეებში მიმდინარეობდა. საკვირველიც კია, როგორ შეძლო რეჟისორმა და ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დრო გამოენახა რეპეტიციების ჩასატარებლად. ამის შედეგია, რომ დღეისათვის სპექტაკლი, როგორც პროფესიონალები იტყვიან, ჯერ ვერ „გათამაშდა" კიდევაც – სულ მხოლოდ სამიოდე პრემიერაა გამართული. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შემოქმედებითი ჯგუფის დამსახურება,

რომ თეატრის რეპერტუარს შეემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, ძალიან სერიოზული ნამუშევარი, რომელიც უდავოდ წარმატებით სარგებლობს მაყურებელთაშორის და ამ თეატრის მთელი კოლექტივის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ პიესის ყველა პესონაჟი ზუსტადაა აღწერილი და დახატული, მაინც უნდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლის თუ კინოვერსიის დამდგმელი თეატრისა და კინოს რეჟისორები მაინც აქცენტებს აკეთებდნენ მთავარი როლების შემსრულებლებზე და მათზე აგებდნენ პიესის განხორციელების კონცეფციას. ასე მაგალითად, ელია კაზანისთვის, რომელმაც „სურვილის ტრამვაი" სპექტაკლადაც დადგა და ფილმიც გადაიღო, წინა პლანზე სტენლი – მარლონ ბრანდო გადმოიყვანა და ერთგვარად დაჩრდილა ბლანში – ვივიენ ლი, რომელმაც მოგვიანებით ამ როლში „ოსკარი" მიიღო. გლენ ჯორდანის ტელეფილმში კი ჯესიკა ლანგი- ბლანში პირველობს. იგივე ხდება ვუდი ალენის ფილმში, სადაც ბლანშს ქეით ბლანშეტი ასახიერებს. რასაკვირველია, კონცეფციის ასეთი ინტერპრეტაციები რეჟისორთა პრეროგატივაა და ვერც შეედავები.

ქეთი დოლიძის მიერ დადგმული წარმოდგენა ბლანშის ტრაგედიის ამსახველია. რეჟისორი შეეცადა ეჩვენებინა მარტოდმარტო დარჩენილი, სამსახურიდან დათხოვნილი და საკუთარ დასთან გადმოხვეწილი ქალის უკანასკნელი თავისუფალი დღეები ახალ ორლეანში, იქამდე ვიდრე მას ფსიქოლოგიურ კლინიკაში მოათავსებენ. რეჟისორმა ერთგვარად გადაუხვია ავტორისეულ რემარკებსა და ქვეტექსტებს და მაყურებელი მხოლოდ პიესის ფინალში ხვდება, რომ ბლანშს ფსიქიკური პრობლემები გაუმძაფრდა ამ სახლში მოხვედრის შემდგომ. მთელი სპექტაკლის მსვლელობისას ბლანში – ნინელი ჭანკვეტაძე ჯანმრთელი, მოვლენათა ადეკვატურად აღმქმელი პიროვნებაა, მაგრამ საკუთარი უცნაურობებით, ხანდახან ჭირვეულობით, საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მყოფი. მისთვის სრულიად უცხო და გაუგებარ გარემოში მოხვედრამ მძიმე კვალი დაასვა მის ფსიქიკურ მდგომარეობას და სტენლის მიერ მასზე ძალადობა კი ის უკანასკნელი მუხტი აღმოჩნდა, რამაც საბოლოოდ დაანგრია მისი ფსიქიკა.

ბლანშ დიბუას ჩამოსვლა ახალ ორლეანში საზეიმო, ემოციურია, რომელიც სიხარულის მომტანი უნდა იყოს ამ სახლის მაცხოვრებლებისთვის – დისა და სიძისთვის. მის ჩაცმულობაში იგრძნობა „ელიტარული" ქალის პრეტენზიულობა, ხაზგასმული ელეგანტურობა და თუ გნებავთ, ფუფუნების პრეტენზია –გარეგნულად მაინც. თავზე ძვირფასი შლაპა, რომელიც ასე ძალიან მოსწონს მის დას სტელას, ლამაზი ვარცხნილობა ხაზს უსვამს მის კეკლუც ხასიათს. ბლანშის (ნ. ჭანკვეტაძე) და სტელას (ი. გიუნაშვილი) შეხვედრა ძალიან ემოციურია და აქვე, მათ ჩაცმულობაში (კოსტიუმების მხატვრები: ლალი ბადრიძე, მარიამ ქორიძე) უკვე იკვეთება დების ხასიათთა განსხვავება: ბლანში ყოველთვის სადღესასწაულო ჩაცმულობაშია, თითქოს საზეიმოდ გამოწყობილი, სტელა კი მოკრძალებული თეთრი პერანგით და შავი ქვედაბოლოთი.

მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე ერთგულად მიჰყვება რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ სქემა-მიმართულებას და წარმოგვიდგენს ინტელიგენტ, ფსევდოარისტოკრატ ქალბატონს, რომელიც საზოგადოების თვალების ასახვევად ყალბი სამკაულებით და სხვადასხვა ფერის ჩაცმულობებით და იმიტირებული ბეწვეულით იწონებს თავს, ამავდროულად ნაზი ადამიანია, რომელიც ვერ იტანს უხეშობას, ხმაურს. ამ მხრივ კი ეს ორსართულიანი სახლი, სადაც სტელა და სტენლი ცხოვრობენ, ხმაურის, აურზაურისა და მეუღლეთა მუდმივი დაპირისპირების ადგილია. აქ ნამდვილი ახალ-ორლენური ცხოვრება ჩქეფს: გამუდმებითი ჯაზური მუსიკით (მუსიკალური გაფორმება ანი მურღულია), პოკერის თამაშით, ლოთობით, ერთმანეთთან დაპირისპირებით, გაწევ-გამოწევით და აურზაურით და შემდგომ მეგობრების თუ ცოლ-ქმრების შერიგებით. სპექტაკლის მხატვარმა (მამუკა ტყეშელაშვილი) სასიამოვნო სათამაშო გარემო შექმნა. დეკორაცია და თითქმის ყველა აქსესუარი ერთ ფერშია გადაწყვეტილი და მხოლოდ აქა-იქ ბლანში ჭრელა-ჭრულა მოსასხამები და შარფები თუ არღვევს ამ „ერთფეროვან იდილიას“. გარემო ნაცრისფერია, უღიმღამო, უფერო, ისევე როგორც სახლის პატრონის – სტელას ცხოვრება. ორსართულიანი სახლის მიღმა შემინული კაფეა, სადაც ხშირად თავს იყრის ახალგაზრდობა, რომელიც ჯაზის მელოდიით ტკბება და საცეკვაო საღამოებს ატარებს. იქიდან დაბრუნებულ გალეშილ სტენლის ძალიან აღიზიანებს მის სახლში „შემოჭრილი უმადური არისტოკრატი“, რომელიც მის ვისკის მიირთმევს და მისი აბაზანით სარგებლობს. კონფლიქტი ამ ორ სრულიად განსხვავებულ პიროვნებას შორის გარდაუვალია. ნინელი ჭანკვეტაძის ბლანში მხოლოდ მიტჩთან (თემურ გვალია) თუ გრძნობს თავს მშვიდად და ბედნიერად, მაგრამ ეს წუთებიც დროებითია და ხანმოკლე. მიტჩი ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ სულიერად სუსტი აღმოჩნდა, რომ ბლანში ეხსნა-გადაერჩინა. თემურ გვალიას პერსონაჟი ადვილად მოექცა მეგობრის გავლენის ქვეშ, ვერ დაარღვია გამეფებული სტერეოტიპები, ვერ შეებრძოლა გარემოს, რომელმაც ბლანშის გაწირა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტა. ნიშანდობლივი და ამაღელვებელია საფინალო სცენა, როდესაც ბლანში წასაყვანად ექიმი მოვა: ბლანში – ნ. ჭანკვეტაძე ჯერ ვერ ხვდება, რატომ მოკითხეს, თითქოს სხვაში ერევა ექიმი, მაგრამ მალე ხვდება, რაც ელის. ამ დროს კი მას გარს არტყია ის საზოგადოება, რომელიც სრულიად გულგრილად, პასიურად და ერთგვარად ნიშნის მოგებითც კი ხვდება ამ ფაქტს, საზოგადოება, რომელმაც იგი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა.

სტენლი (იმედა არაბული, ვანო დუგლაძე) თავისთავად ძალიან ტრაგიკული პიროვნებაა. ყველაფერმა იმან, რაც მან გადაიტანა, იგი ტირანად, მოძალადედ აქცია. ამიტომაა იგი ასეთი ნერვიული, უხეში, მტარვალი საკუთარი ცოლის მიმართაც კი და თავისთავად გასაგებია,რატომ ვერ შეეგუება იგი ბლანშის ამ სახლში დარჩენას. ნატურით რეალისტი, წარსული ცხოვრებით გატანჯული სტენლი ვერ გადაიტანს ბლანშის მოჩვენებით სიმშვიდეს, რაფინირებულობასა თუ პოზიურობას. იგი იმდენად ვერ იტანს ცოლისდას, რომ მის პირად ცხოვრებაშიც კი ერევა და დაუნგრევს მომავალს, ჩაუშლის

ქორწინებას. არაბულისა და დუგლაძის სტენლი ერთნაირად უხეშები არიან, ერთნაირად ძალადობენ ბლანშზე, ერთნაირად უყვირიან და სცემენ სტელას. იმედა არაბულის სტენლი უფრო ცინიკოსია, ვიდრე დუგლაძის პერსონაჟი, უფრო მეტად თავდაჯერებულია. სტელა - ირინა გიუნაშვილი დამჯერი და მოსიყვარულე მეუღლეა, იძულებულია ბევრი რამ აიტანოს რადგან, უყვარს სტენლი და ოჯახის დანგრევა არ სურს, მითუმეტეს, რომ ბავშვს ელოდება, მაგრამ აქ მომხდარი მოვლენები მაინც სამუდამო კვალს დატოვებს მის ცხოვრებაში.

ბლანშ დიბუა წაიყვანეს – კარტის თამაში გრძელდება, მიტჩიც ისევ არიგებს კარტს, ისევ ისმის მატარებლის ხმაური და ჯაზური მუსიკა.

თამარ ქუთათელაძე

„ტრამვაი სურვილი“

ქეთი დოლიძის მიერ განხორციელებული ტენესი უილიამსის „ტრამვაი-სურვილის“ პრემიერა (თარგმანი მანანა ანთაძის), ფესტივალ „საჩუქრის“ ფარგლებში გაიმართა და ორგანულად „ჩაეწერა“ საფესტივალოდ წარმოდგენილ წარმატებულ დადგმათა რჩეულ ჯგუფში. სპექტაკლმაც და მასში მონაწილე მსახიობებმაც წარმოაჩინეს ქართული საშემსრულებლო ხელოვნებისა და მიხეილ თუმანიშვილის სკოლის მაღალი სტანდარტი. იგი უპირობოდ იქცა „საჩუქრის“ ერთ-ერთ ორიგინალურ სიურპრიზად და თეატრმცოდნეთა უმრავლესობამაც, მათ შორის, თანამედროვე ქართველ თეატრმცოდნე პატრიარქთა სახელოვანმა წარმომდგენლებმაც, ეს სპექტაკლი რეჟისორის დადგმებს შორის საუკეთესოდ აღიარეს.

ფროიდისტული გავლენით აღსავსე და ცეცხლოვანი ვნებით გადავსებული ტენესი უილიამსის ამ შედევრისადმი ქართულ თეატრალურ საზოგადოებას გამორჩეულად ნაზი გრძნობები აკავშირებს. ცნობისმოყვარეობა მის მიმართ მძაფრია მით უფრო, რომ ქართველმა მაყურებელმა დღემდე ვერ იხილა ამ გენიალური პიესის კონგენიალური ინტერპრეტაცია, ხოლო ბლანშის როლში მსახიობ ნინელი ჭანკვეტაძის სახელმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეს ბუნებრივი ინტერესი.

კინომსახიობთა თეატრის სცენაზე წარმოდგენილი დადგმა შორს დგას ცეცხლოვანი ვნებით აღსავსე მსახიობთა მძლავრი ტემპერამენტის დინებისაგან. რეჟისორი დელიკატურად წარმოგვიდგენს მსახიობთა მიერ ძუნწი გამომსახველი ხერხებით შექმნილ თავდაჭერილ გმირებს. მათი სახეები ერთგვარ რომანტიკულ აურაშია გახვეული და სცენაზე იქმნება ადამიანის სულის სიღრმეში განვითარებული მოვლენების ემანაციის ლირიკული პროცესი.

მამუკა ტყეშელაშვილის სცენოგრაფია ლაკონურად ქმნის პიესის შესატყვის ატმოსფეროს. ბინის ინტერიერი სამზარეულოსა და მისგან მხოლოდ მინიატურული თეჯირით გამოყოფილ ე.წ. საძინებელს წარმოგვიდგენს. სცენის სიღრმეში განთავსებულ ფარდაზე კი დროდადრო ორიგინალური წარმოდგენები

თამაშდება. მაყურებელი მასზე ხშირად ადევნებს თვალყურს ერთმანეთისკენ დაძრული, შერკინებული მამაკაცებისა თუ ახალგაზრდა წყვილის გამოკვეთილ სილუეტებს, სადაც ჩხუბსა და აყალმაყალს უმალ ენაცვლება ვნებით აღსავსე ხვევნა-კოცნა, მოცეკვავე შეყვარებულთა აფრიალებული კაბებისა და მოსხლეტილი, ნატიფი სხეულების გრაციოზული ელვარება (მუსიკალური გაფორმება – ანი მურღულიასი). იუნისი – ქეთი ასათიანი, სტივი – გუგა კახიანი, პაბლო – ცოტნე მეტონიძე, ჯენი – თამუნა ბუაჩიძე, ორგანულად ეწერებიან სპექტაკლის საერთო რეჟისორული კონცეფციის კონტექსტში და ქმნიან პრიმიტიული ცხოვრების ჭაობში დანთქმული სტენლის პლებეური სამეგობრო წრისა და მათ ერთგვარ თანამზრახველთა კოლორიტულ სახეებს.

სცენურ გარემოს არცთუ იშვიათად ახმაურებს ტრამვაის გრუხუნით გადავლის უხეში ხმა. სცენიდან დაძრული ხმაური დარბაზსაც აზანზარებს და კიდევ უფრო გამოკვეთს ამ გარემოში ჩასახლებულთა ცხოვრებისეულ არჩევანს, მათ პრიორიტეტებს. აქ ჯანმრთელი, ენერგიული, ვნებიანი ახალგაზრდობა სახლობს. მათ ვერ აშფოთებს ჩხუბი და ხმაური, რაც მათი ყოველდღიური ურთიერთობის პრელუდიადაც წარმოგვიდგება. ამ, უაღრესად ყოფითი ადამიანების ყურადღება მხოლოდ პარტნიორთან ურთიერთობის ნორმალიზებისკენაა მიმართული.

სცენაზე ძველმოდურად, მაგრამ გემოვნებითა და მუდამ სუფთად გამოწყობილი, დახვეწილი ნინელი ჭანკვეტაძის ბლანში შემოდის (კოსტიუმების მხატვარი ლალი ბადრიძე და სოფო ქორიძე). ის გაოცებული, დაბნეული და დათრგუნული ათვალიერებს ღარიბულ გარემოს. დიდი ხნის უნახავი, მოსიყვარულე დების შეხვედრის სცენა, დიდ სითბოსთან ერთად, საკუთარი „ბედნიერი ნიღბის“ პრეზენტაციაცაა. ნინელი ჭანკვეტაძის ბლანშიცა და ირინა გიუნაშვილის სტელაც ცდილობენ ნიღბის სიღრმეში შემალონ გაცრუებული იმედები და სულიერი ტკივილი. ნინელი ჭანკვეტაძე მისთვის ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით, გემოვნებით, ზომიერად, თანმიმდევრულად, საინტერესოდ, ლირიკული გამომსახველობითი ხერხებით ქმნის მისი გმირის სახესა და ხასიათს, თუმცა კინომსახიობთა თეატრის ამ შეუცვლელი ვარსკვლავის გვერდით, ირინა გიუნაშვილიც ღირსეულად თამაშობს სტელას როლს. მსახიობი ნახევარტონებში, მაგრამ მკვეთრად წარმოსახავს დისადმი წრფელ თანაგრძნობას, მისი ღირებულებებისადმი თაყვანისცემას, სიყვარულსა და იმავდროულად, უაღრესად ყოფითი ქმრის ერთგული ქალის ხასიათს.

ნინელი ჭანკვეტაძის ხელმოცარული, ჯანგატეხილი, მრავალგზის იმედგაცრუებული ბლანში, ესწრაფვის განერიდოს მის კომპრომისულ ყოფას, დის ოჯახს შეფარებულმა ჰპოვოს მყუდრო თავშესაფარი, სულიერი სიმშვიდე. თემურ გვალიას მიჩის სახით მას ევლინება თვითგადარჩენის უკანასკნელი შანსი და ცდილობს მთელი არსებით ჩაებღაუჭოს განგებისაგან მოვლენილ ამ ბოლო იმედს. მიჩთან პირველივე შეხვედრის სცენა უმალ უღვივებს ბლანშს სიცოცხლის სიყვარულსა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ჟინს. ამ დროს თითქოს გაახალგაზრდავდა კიდეც. თვალებგაბრწყინებული ქალი თვალს ვერ აშორებს მის მიმართ დაუფარავი ინტერესით განწყობილ მამაკაცს.

თემურ გვალიას მიერ განსახიერებული თავმდაბალი, მზრუნველი,

შრომისმოყვარე და კეთილი მიჩი, მეოცნებე ბლანშის ის საყრდენია, რომლის დაკარგვაც იმედა არაბულის სტენლის შეურაცხყოფასთან ერთად, მისთვის საბედისწერო ფინალია. თემურ გვალია სულიერი ღირსებებით უხვად მოსავს თავის გმირს. ეს პოეტური, მოუქნელი და პრიმიტიული არსება თანაგრძნობითა და უჩვეულო სინაზით უსმენს და თითქმის ეთაყვანება კიდეც მრავალმხრივ ტანჯულ, ყოფიერების უძირო ჭაობიდან თავდახსნისათვის მებრძოლ ბლანშს, ესწრაფვის ჰპოვოს რომანტიკულ ქალთან ცისქვეშეთში ყოფნის ბედნიერება. უსაზღვროდ კეთილმოსურნე, დამთმობი, თითქმის კომიკურად მიამიტი მიჩი, ლამის ნეტარებს ბლანშის სულიერ სამყაროსთან ზიარებით აღტაცებული. წყნარი და მშვიდი მიჩი მოხიბლულია ბლანშის განათლებით, დაუცველობით, მუსიკისა და ლიტერატურის სიყვარულით.

მინდია არაბულის სტენლი ზოგჯერ უახლოვდება კიდეც ტენესი უილიამსის უხეშ, საკუთარ ძალებსა და ცხოვრების წესში თავდაჯერებულ მაჩოს ხასიათს. ეს ხისტი, ლამის ველური და პირველყოფილი მამაკაცი, ქაღალდში გახვეული „ნანადირევით“ რომ ევლინება სცენას და თავისი ღონიერი ხელებით ხმაურიანად, უბოდიშოდ ჩეხავს ნადავლს უზარმაზარი დანით, მიზანმიმართულად ანადგურებს მეოცნებე ბლანშს. შურისძიებით აღსავსე სტენლი სასიკვდილო ტრავმას აყენებს ბლანშს, რომელმაც გაბედა მისი მამაკაცური „ღირსების“ შეურაცხყოფა. მინდია არაბულის სტენლი ველური ძალის ტრიუმფატორად, ყველაზე დიდ ბოროტებად იჭრება დების პოეტურ სამყაროში და ანადგურებს ამ უხამს სამყაროში თანადგომითა და თანალმობით განათებული ურთიერთობის უკანასკნელ იმედს.

ავანსცენაზე შეგროვილ ბარგთან უმწეოდ ჩამომჯდარი სულიერად გატეხილი, მზერაარეული და თვალებჩამქრალი ნინელი ჭანკვეტაძის ბლანში, კვლავ უჩვეულოდ მომხიბლავი, ელეგანტური, ღირსეული თავდაჭერით გამორჩეული, ავი წინათგრძნობით, მაგრამ მორჩილად ელის განგების განაჩენს. უეცრად წვეული უცნობი მამაკაცის ხილვა წამით აბნევს, მაგრამ კეთილ ღიმილს მინდობილი თვინიერად მიჰყვება მის დასახმარებლად, ბედის უკანასკნელ საჩუქრად მოგზავნილ ილია ჭეიშვილის ექიმს, თანამგრძნობი ადამიანის უკანასკნელად გაწვდილ ხელს. ნინელი ჭანკვეტაძის ბლანშს თან მიჰყვება დისა და მეზობლების სევდიანი, ტკივილიანი მზერა, ავანსცენაზე მდგარ მაგიდასთან მოთამაშე სტენლის სამეგობროს სუსხიანი თვალი და მიჩის ამბოხი. იგი მუშტის ღონიერი დარტყმით აპროტესტებს საკუთარ უხერხემლობას, რომ ვერ შეძლო სტენლის სიავისაგან დაეცვა და გადაერჩინა როგორც საკუთარი არჩევანი, ისე მისდამი ნდობითა და ნაზი გრძნობით განწყობილი დაუცველი ქალი.

ლელა წიფურია

ამერიკული კლასიკური დრამატურგია კინომსახიობთა თეატრის სცენაზე

ტენეს უილიამსი სამართლიანად ითვლება ამერიკული დრამატურგიის ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენლად, ხოლო 1947 წელს დაწერილი მისი „ტრამვაი, სახელად სურვილი“ ყველაზე წარმატებულ პიესად. ეს ნაწარმოები მსოფლიო სცენებზე უპირატესად იმავე სათაურით იდგმება, როგორც მას კინომსახიობთა თეატრის სცენაზე უწოდეს – „ტრამვაი-სურვილი“. სწორედ ამ პიესისთვის მიენიჭა ტენეს უილიამსს პულიტცერების პრემია. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა თეატრების სცენებზე არაერთგზის დადგმულა ტენეს უილიამსის ნაწარმოებები, მათ შორის ქართული თეატრების სცენებზე. დღევანდელი თბილისის თეატრალურ აფიშას რომ გადავხედოთ, ტენეს უილიამსის პიესების მიხედვით დადგმულ რამდენიმე სპექტაკლს აღმოვაჩენთ. „ტრამვაი-სურვილი“ ამერიკაში სამჯერ იყო ეკრანიზებული და მთავარ გმირს, ბლანშ დიუბუას ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც არიან ვივიენ ლი და ჯესიკა ლანჯი, ხოლო სტენლი კოვალსკის ამ ფილმებში მარლონ ბრანდო და ალეკ ბოლდუინი ასახიერებდნენ. ამდენად, ამგვარი თანავარსკვლავების შემდეგ კინომსახიობთა თეატრის სცენაზე ამ პიესის დადგმა რისკთანაც იყო დაკავშირებული, თუმცა ალბათ არც ისე დიდ რისკთან, რადგანაც ბლანშის როლს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე ნინელი ჭანკვეტაძე ასრულებს...

სპექტაკლი რეჟისორმა ქეთი დოლიძემ დადგა. პირველივე ეპიზოდიდან სცენაზე თითქოს მეოცე საუკუნის შუა წლების ახალი ორლეანის ყოფა შემოიჭრა – საქსაფონზე დაკრული ჯაზური კომპოზიციით (მუსიკალური გაფორმება ანა მურღულიასი) და შუშის დატიხრული კედლის იქით რიტმული ცეკვებით, სცენის სიღრმეში კი აღმართული ცათამბჯენის კონტურით – ამერიკული ურბანული კულტურის უცვლელი სიმბოლოთი... მხატვარ მამუკა ტყეშელაშვილის შექმნილი გარემო ორმაგ პლასტში წარმოადგენს ახალ ორლეანში განთავსებულ საცხოვრისს – სცენის ორივე მხარეს კოვალსკების ბინის ინტერიერის ნაწილებია წარმოსახული- სამზარეულო და ბლანშის საძინებელი, რომელსაც საკუთარი ტანსაცმლის და აქსესუარების გამოფენად აქცევს მშვენიერებისკენ მისწრაფებული ქალი. სპექტაკლის კოსტიუმები ორი მხატვრის მიერაა შექმნილი – ლალი ბადრიძე და მარიამ ქორიძე. წარმოდგენაში ბლანშის გარდერობის მრავალფეროვნება, თბილი ტონები, კლასიკური, გოფრირებული კაბები არისტოკრატიული წარმომავლობის პერსონაჟის მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს. ნინელი ჭანკვეტაძის გმირი თითქოს ამ სამოსელშიც ერთგვარად მუდმივად სილამაზეს ეძებს და ამავდროულად ტანსაცმლის ხშირი ცვლა მისთვის იმ შინაგანი სიმყარის ძიების პროცესია, რომელსაც მთელი წარმოდგენის მანძილზე ეძებს და ვერასოდეს აღწევს.

„ნუ მოკლავთ მეოცნებე ადამიანებს“ – ამგავარდაა გაცხადებული ავტორების მიერ სპექტაკლის სათქმელი. ქეთი დოლიძის სპექტაკლის

პარტიტურა სწორედ ტლანქი ცხოვრებისეული პრობლემებით დატვირთული ადამიანების მიერ მეოცნებე ბლანშის შეურაცხადად გამოცხადების, ანუ მის, სულიერი მკვლელობის პროცესის ასახვაა, რომელსაც მისი უახლოესი ადამიანები – სტელა, მისი და (ირინა გიუნაშვილი) და სტენლი, მისი სიძე (იმედა არაბული, ვანო დუგლაძე) წარმართავენ. ნინელი ჭანკვეტაძის მიერ განსახიერებული როლი ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსებით არის შეთხზული. მსახიობის მიერ წარმოსახული პერსონაჟი სიღრმისეულია. ნინელი ჭანკვეტაძე ერთანაირი სიძლიერით წარმოსახავს გმირის განსხვავებულ მდგომარეობას: შინაგან თრთოლვასა და გაცრუებულ იმედებს პერსონაჟის ისტერიკა ცვლის... საკუთარი ოცნებების რეალურ სამყაროსთან ბრძოლაში დამარცხებული და შეურაცხყოფილი, იგი მაინც ღირსეულად ტოვებს ბინას, სადაც არავისთვის სასურველი არც ყოფილა – ადამიანებს ხომ ხშირად საკუთარი დანაშაულისა და ცოდვების აღიარებას სხვისი ცხოვრების დანგრევა ურჩევნიათ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი კლასიკური ამერიკული დრამატურგიის დადგმით მარადიულ პრობლემებზე დააფიქრებს მაყურებელს. რეჟისორ ქეთი დოლიძის სპექტაკლში ჩანს სათეატრო კულტურა და ფსიქოლოგიური თეატრის ის ტრადიცია, რომელსაც ეს დასი ეფუძნება დაარსებიდან. ვფიქრობ, სადღეისოდ დასი წარმატებით აგრძელებს მიხეილ თუმანიშვილის თეატრის ტრადიციას. ახალგაზრდა თაობის მსახიობები: ვანო დუგლაძე, თემურ გვალია, ირინა გიუნაშვილი, ქეთი ასათიანი, იმედა არაბული კინომსახიობთა თეატრის აქტიორული სკოლის ღირსეული წარმომადგენლები არიან. ვფიქრობ, „ტრამვაი-სურვილი“ ქეთი დოლიძის საუკეთესო სპექტაკლია, რომელიც თეატრის მომავალი შემოქმედებითი ცხოვრებისადმი ინტერესს ამძაფრებს.

იმპულსი

თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრისა და თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის ერთობლივი პროექტი

სპექტაკლის დასახელება – იმპულსი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
იდეის ავტორი, რეჟისორი და ქორეოგრაფი - თიკო ქოიავა;
მუსიკის ავტორი - სანდრო ნიკოლაძე;
მხატვარი - ლევან კვარაცხელია;
რეპეტიტორები: თენგო ზარდიაშვილი, ანრი მამედოვი.
მონაწილეობენ: თიკო ქოიავა, თენგო ზარდიაშვილი, ანრი მამედოვი, ქეთი ეღიკაური, მარიამ ცირდავა, ლაშა რჩეულიშვილი, გოგიტა ბერაძე, ვასო ალექსანიანი, მარი გელაშვილი, ტატო თაბაგარი, ანა სახიაშვილი, ბექა ჩუგნაძე, გიორგი ფარულავა, მარიამ ქოიავა, თამთა გოგილაშვილი, გვანცა გელაშვილი.

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 6 ივნისი
სარეპეტიციო პროცესი - 4 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება არ ყოფილა

გამოხმაურება

ირინა ღოღობერიძე

ომპულსური შთაბეჭდილება
(თინათინ ქოიავას „იმპულსი“)

ქორეოგრაფი თინათინ ქოიავა მაყურებლის წინაშე პირველად 2013 წელს წარსდგა შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით „სიყვარულისთვის“. სწორედ ეს სპექტაკლი გახდა ბიძგი იმისათვის, რომ შექმნილიყო „თანამედროვე ქორეოგრაფიული თეატრი“, რომელსაც დამოუკიდებელი თეატრალური დასი ეყოლებოდა. მეორე სპექტაკლი – „გრავიტაცია“ – თიკო ქოიავამ 2014 წლის 7 ივნისს უკვე ახალშექმნილი კომპანიის ეგიდით წარადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სპექტაკლი მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრმა დააფინანსა, სცენა კი ახალგაზრდებს მუსიკისა და დრამის თეატრმა დაუთმო.

პირველ ორ სპექტაკლზე მუშაობა ახალგაზრდა ქორეოგრაფისთვის ესთეტიკის ძიების, ახალშექმნილ გუნდთან მუშაობის სტილის შერჩევის, პარტნიორების მოძებნა-მორგების მხოლოდ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. ეს პროცესი, დარწმუნებული ვარ, ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ ორივე წარმოდგენაში უკვე ნათლად გამოიკვეთა ის, რომ თიკო ქოიავა თავის პერფორმანსებში თანამედროვე ქორეოგრაფიის ყველა ჟანრს იყენებს. ამგვარად, ჩვენ ვნახეთ ჰიპ-ჰოპის და მოდერნ დანსის, ჯაზბეკის, მოძრაობის თუ პლასტიკურ-პანტომიმური სპექტაკლებისთვის მახასიათებელი ილეთების ან საცეკვაო კომპოზიციების ერთგვარი მიქსი. რადგან ნებისმიერ ქორეოგრაფიულ პერფორმანსში, მით უფრო კი დანს-თეატრში, სიუჟეტის, სქემატურად მაინც, აკინძვა აუცილებელი თუ არა, სასურველი მაინც უნდა იყოს, ქორეოგრაფმა თავის ორივე სპექტაკლში, პრაქტიკულად, სრულფასოვანი დრამატურგია გამოიყენა. სპექტაკლში „სიყვარულისთვის“ ეს არის რომეო და ჯულიეტას სევდიანი ამბავი, ხოლო „გრავიტაციას“ საფუძვლად დაედო ახალგაზრდა დრამატურგ ალექსანდრე ლორთქიფანიძის სპეციალურად შექმნილი ლიბრეტო, სადაც სიამის ტყუპი ძმების ერთსხეულად თანაცხოვრების, ერთი ქალისადმი სიყვარულის გამო განცალკევების პარადოქსული, კომიკურ-რომანტიკული და, იმავდროულად, ტრაგიკული ამბავია გადმოცემული.

მესამე სპექტაკლის „იმპულსი“ პრემიერა 2015 წლის 6 და 7 ივნისს შედგა (მუსიკალური გაფორმება – სანდრო ნიკოლაძე; კოსტიუმების მხატვ. ლევან კვარაცხელია), თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ქართული სპექტაკლების ძირითად პროგრამაში თეატრმცოდნეთა რეკომენდაციით მოხვდა.

წინა სპექტაკლებისაგან განსხვავებით,ამ პერფორმანსს დრამატურგიული ქარგა არ გააჩნია და, სათაურიდან გამომდინარე, არც უნდა გააჩნდეს, რადგან იმპულსი, ამ შემთხვევაში, არის ის ბიძგი, რომელსაც ადამიანის (მოცეკვავის) გონება ინსტინქტურად გადასცემს სხეულს, რომელიც მას ცეკვით აამეტყველებს. პერფორმანსი, ამგვარად, ცხრა დამოუკიდებელი მონაკვეთისაგან შედგება პირობითი სათაურებით: მისწრაფება, სიყვარული, რისხვა, რწმენა, აღტკინება, გაორება, შიში, სიკვდილი, სიცოცხლე. რა თქმა უნდა, რაიმე ,,იმპულსი'' ნებისმიერის (სიცოცხლის გარდა, თუ მას მეტაფორულ დატვირთვას არ მივცემთ) გამომწვევ ბიძგად შეიძლება იქცეს. თუმცა, სათაურებიდან გამომდინარე, შემოთავაზებული თანმიმდევრობა თავისუფლად შეგვიძლია ერთმანეთს გადავაბათ და, ვთქვათ, დასაწყისიდან დასასრულამდე შევქმნათ ერთი სიყვარულის ამბავი, რომელსაც განახლება (ახალი სიყვარული; ახალი სიცოცხლის შექმნა) დაასრულებს; ან წარმოვიდგინოთ ისტორია, სადაც ერთი ადამიანის ცხოვრება იქნება აღწერილი სიყვარულის ჟამიდან სიკვდილის გავლით და ვიდრე მარადიულ სიცოცხლემდე. თუმცა, ,,იმპულსში'' ქორეოგრაფმა სულ სხვა გასაღები გამოიყენა. მან, ვფიქრობ, გააზრებულად უარი თქვა ერთ სიუჟეტურ ხაზზე აკინძულ, ან საგანგებო ლიბრეტოზე შექმნილ ქორეოდრამატულ სპექტაკლზე და კონკრეტული იმპულსით მომხდარი, სათაურებს მორგებული, გარკვეული შინაარსის და შესაბამისი ქორეოგრაფიული მონახაზის თუ ემოციის მქონე დამოუკიდებელი ეპიზოდები შექმნა, რომლებიც შესაფერი მუსიკალური თანხლებით (სანდრო ნიკოლაძე), კოსტიუმებით (ლევან კვარაცხელია) და განათებით გააფორმა. ისევე, როგორც ,,გრავიტაციაში'',აქაც თანამედროვე ქორეოგრაფიის სხვადასხვა ჟანრის საცეკვაო მოძრაობა, სვლები თუ ილეთები არის გამოყენებული, მაგრამ ეს მიქსი, წინა პერფორმანსისაგან განსხვავებით, ეკლექტურად არ იკითხება, ალბათ იმიტომ, რომ თითოეულ ,,იმპულსს'' შესაფერი ქორეოგრაფიული კომპოზიცია და პლასტიკა აქვს შერჩეული. მაგ. ,,ქორწინების ეპიზოდი'', რომელიც იმპულსის ,,სიყვარული'' თანაფარდი იყო, სამი მოცეკვავის მიერ თანამედროვე დანსთეატრის ჟანრში პროეცირებული ,,სამაიას'' მოძრაობებით სრულდება; ერთიან ქორეოგრაფიულ ჩანახატად იკითხებოდა ,,აღტკინება'' თავისი მოელვარე წითელ-მელნისფერი სანათებით და ტოტემური ხასიათის რიტმული ცეკვით. სევდითა და განწირული ტრაგიზმით არის გაჟღენთილი ეპიზოდის ,,სიკვდილი'' ქორეოგრაფიულ-პლასტიკური კომპოზიცია.

,,იმპულსმა'' დაგვარწმუნა, რომ თიკო ქოიავა იცნობს თანამედროვე საცეკვაო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრს, აქვს ფანტაზია და, აქედან გამომდინარე, ამ ჟანრების შეჯერების უნარიც გააჩნია. ის ბევრს მუშაობს, რადგან დასი, წინა სპექტაკლებისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ლაღად მოძრაობს, გაუმჯობესებულია სინქრონულობა, არტისტული გარდასხვის ხარისხი, პარტნიორისა და დარბაზის შეგრძნება.

სპექტაკლი ,,იმპულსი'' მეტყველებს თიკო ქოიავას შემოქმედებით წინსვლაზე და იმედს გვიტოვებს, რომ ახალგაზრდა ქორეოგრაფი მომავალში კიდევ უფრო საინტერესო, სრულყოფილ სპექტაკლს შექმნის მის მიერ დაფუძნებულ ,,თანამედროვე ქორეოგრაფიულ თეატრში''.

მეფე ლირი

სპექტაკლის დასახელება - მეფე ლირი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - უილიამ შექსპირი
თარგმანი - მანანა ანთაძისა
რეჟისორი - ზურაბ გეწაძე
სცენოგრაფია და კოსტუმების მხატვარი - შოთა გლურჯიძე
მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გეწაძე
ტექნიკური რეჟისორი - სოფიო ორჯონიკიძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მეფე ლირი - ზურაბ ყიფშიძე
გლოსტერი - გიორგი ნაკაშიძე
ედმუნდი - გიორგი ყიფშიძე
მასხარა - ვანიკო თარხნიშვილი
გრაფი კენტი - აკაკი ხიდაშელი
ედგარი - პაატა ინაური, ერეკლე გეწაძე
რიგანი - მაიკო გელოვანი
კორდიილია - კატო კალატოზიშვილი
გონერილი - ნანუკა ლითანიშვილი
კორნვალის მთავარი - ნიკა წერედიანი
ოლბენის მთავარი - თემო ნატროშვილი
ოსვალდი, რაინდი - სოსო ხვედელიძე
ბურგუნდიის მთავარი - ვანო დუგლაძე
ბურგუნდიის მეფე - ერეკლე გეწაძე
რაინდი, ასისთავი - გუგა კახიანი
შიკრიკი - ანრი ბიბინეიშვილი

პრემიერის გამოშვების სავარაუდო თარიღი – 2016 წლის იანვარი-თებერვალი
სარეპეტიციო პროცესი - 4 თვე

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

სამი მუშკეტერი

სპექტაკლის დასახელება - სამი მუშკეტერი
სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ინსცენირების ავტორი - ზურაბ სამადაშვილი
რეჟისორი - გიორგი ქანთარია
მხატვარი - ნინო კიტია
კომპოზიტორი - დავით მალაზონია
ქორეოგრაფი - ანანო სამსონაძე
ფარიკაობის სპეციალისტი - შოთა სხირტლაძე
რეჟისორის თანაშემწე - ქეთევან ქანთარია

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
დ'არტანიანი - ვანო დუგლაძე
ათოსი - ვახო ჩაჩანიძე, დათო როსტომაშვილი
პორთოსი - მამუკა ბოგვერაძე
არამისი - ნიკა ნანიტაშვილი
დე ტრევილი - კახა გაბელაია, ვახო ნოზაძე
რიშელიე - ზურა ავსაჯანიშვილი, დათო ხახიძე
როშფორი - პაატა მხეიძე
ბონასიე - ნიკა კვანტალიანი
კონსტანცია - მარიამ ჩუხრუკიძე, თეკლა ჯავახაძე
მილედი - რამონა მიქელაძე
ბუკინგამი - გიორგი ჯიქურიძე
ჰელტონი - ლევან კაციაშვილი
ლუი XIII - გიორგი კაჭახიძე
ანა ავსტრიელი - ნინო ციმაკურიძე
ვინტერი - ლაშა გრძელიძე
ჯალათი, ბიკარა - შალვა ანთელავა
ჟუსაკი - დენ ხლიბოვი
კაუზაკი - დიმა თარბაია
გვარდიელი - ნიკა კვანტალიანი
ოქრომჭედელი - დიმა თარბაია
I-მუშკეტერი - ლევან კაციაშვილი
II-მუშკეტერი - ლაშა გრძელიძე
მოცეკვავენი: სალომე წურწუმია, ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, სოფო ახუაშვილი, ნინო შუშიაშვილი, თამარ ცქვიტინიძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 12.04.2014
სარეპეტიციო პროცესი - 2 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში

თამარ გონგაძე „სამი მუშკეტერი“ მესამედ ქართულ ენაზე; Prime Time № 265 2013-2014

სამეფო ძროხა

სპექტაკლის დასახელება - სამეფო ძროხა
სპექტაკლი დადგმულია რუსულ და ქართულ ენებზე

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
რეჟისორი - გურამ ბრეგაძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუს. გამფორმებელი - ზურა ინგოროყვა
ლოტბარი - ალექსანდრა ლორთქიფანიძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
რეჟისორის თანაშემწე - აიდა როზე

ქართულენოვანი სპექტაკლის შემადგენლობა:
მეფე - მამუკა მუმლაძე
პრინცესა - ანა ზამბახიძე, მარიამ კვიტაიშვილი
ფრეილინა - ნინო შუშიაშვილი, ნათია არბოლიშვილი
მწყემსი - ვახტანგ ჩაჩანიძე, ვამეხ ჯანგიძე
ძროხა - თამარ ტყემალაძე
დარაჯი - დევი რეხვიაშვილი
მზარეული - რატი ნავაძე
მრჩეველი - ვასილ ამურველაშვილი
პრინცი - გიორგი შავგულიძე ნიკა ნანიტაშვილი

რუსულენოვანი სპექტაკლის შემადგენლობა:
მეფე - სერგო შვედკოვი
პრინცესა - თამარ ცქვიტინიძე
ფრეილინა - ნინო მუმლაძე, ნინო კიკაჩეიშვილი
მწყემსი - დენის ხლიბოვი
ძროხა - ანა ლეჟავა
დარაჯი - ედმონ გაბედავა
მზარეული - ალექს ლობოვი
მრჩეველი - ნიკოლოზ დონი
პრინცი - ლევან გვაზავა

პრემიერის გამოშვების თარიღი:
ქართულენოვანი სპექტაკლი 23.05.2014
რუსულენოვანი სპექტაკლი 10.05.2014

სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას) - ორი თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
„თეატრი და ცხოვრება“ №3 - 2014 წ. ლელა წიფურია – „ძროხა, ფრეილინა, პრინცი“

გამოხმაურება

ანა მირიანაშვილი

„სამეფო ძროხა“

მოზარდ მაყურებელთა თეატრი მაყურებელს საკმაოდ მრავალფეროვან რეპერტუარს სთავაზობს: ქართულ და უცხოურ კლასიკურ დრამატურგიასა თუ თანამედროვე ავტორების პიესებს. ამ მხრივ, სასიხარულოა, რომ თეატრში, ყველასათვის კარგად ნაცნობი ზღაპრების პარალელურად, თანამედროვე რუსი ავტორების – ლარისა ტიტოვასა და ალექსანდრე სტაროტორჟსკის პიესაც დაიდგა. ეს ნაწარმოები რუსეთის არაერთ თეატრში დადგმულა, მათ შორის მოსკოვის თეატრში „et cetera“, ქართულ სცენაზე კი პირველი შემთხვევაა (პრემიერა 2014 წლის მაისში შედგა). სპექტაკლის რეჟისორი გურამ ბრეგაძე გახლავთ – რობერტ სტურუას მოწაფე და მისი ასისტენტი, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ წარმოდგენას, გარკვეულწილად, დიდი რეჟისორის ესთეტიკის ელფერი დაჰკრავს, თუმცა ეს „გავლენა“ დადგმას მხოლოდ სასიკეთოდ წაადგა. ორმაგად სასიხარულოა, რომ „სამეფო ძროხა“ ორ – ქართულ და რუსულ ენებზე თამაშდება – მოზარდ მაყურებელთა თეატრში ხომ ორი – ქართული და რუსული დასი თანაარსებობს.

პიესის სიუჟეტი ამგვარია: სამეფო კარზე დიდი მოწყენილობა სუფევს. პრინცესა ანამ (ანა ზამბახიძე, მარიამ კვიტაიშვილი, თამარ ცქვიტინიძე) აღარ იცის, თავი რით გაირთოს, ფრეილინა სიგიზმუნდაც (ნინო შუშიაშვილი, ნათია არბოლიშვილი, ნინო მუმლაძე) მის გამხიარულებას ამაოდ ცდილობს. ზღაპრულ სამეფოში ერთფეროვნება გამეფებულა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სამეფო კარს არც მეტი, არც ნაკლები, ძროხა აისა (თამარ ტყემალაძე, ანა ლეჟავა) დაატყდება თავს და მოსაწყენ ცხოვრებას სულ თავდაყირა დაატრიალებს. მხიარულ, მოლაპარაკე ძროხასთან ერთად, სამეფო აგარაკზე მის მწყემსს, ფილოსაც (ვახტანგ ჩაჩანიძე, ვამეხ ჯანგიძე, დენ ხლიბოვი) დააბინავებენ. მწყემს ბიჭსა და მეფის ასულს ერთმანეთი ერთი ნახვით უყვარდებათ, მათ სიყვარულს აისაც ხელს უწყობს, მაგრამ ძროხის მონდომების მიუხედავად, მეფე (მამუკა მუმლაძე, სერგეი შვედკოვი) ქალიშვილის უბრალო მწემსისთვის

მითხოვებას სულაც არ აპირებს და ინტერნეტით უცხოელ უფლისწულს გამოიწერს (ნიკა ნანიტაშვილი, გიორგი შავგულიძე, ლევან გვაზავა). როგორც ყველა კეთილ ზღაპარში, „სამეფო ძროხაშიც“ დიდი ვნებათაღელვის შემდეგ, საბოლოოდ სიყვარული იმარჯვებს და ამბავიც ბედნიერად სრულდება.

თანამედროვე ბავშვების დაინტერესება და შეთხზულ სამყაროში „ჩათრევა“ არც თუ იოლი ამოცანაა რეჟისორისათვის, თუმცა გურამ ბრეგაძის შემოთავაზებული პირობითობა მოზარდთათვის (და არა მხოლოდ მათთვის) სავსებით მისაღები აღმოჩნდა. რეჟისორს ხელს უწყობს ლომგულ მურუსიძის არაჩვეულებრივი, ფერადი და დახვეწილი დეკორაცია და ქეთევან ციციშვილის გემოვნებიანი კოსტიუმები, რომლებიც უშუალოდ პერსონაჟთა ხასიათების მიხედვითაა შექმნილი და კიდევ უფრო ხაზს უსვამს ზღაპრული სამყაროს პირობითობას. გურამ ბრეგაძე მსუბუქად, სხარტად, ერთგვარი ირონიით და რაც მთავარია, ჯანსაღი იუმორით გვიყვება ამბავს. მაყურებელი სიამოვნებით გადაეშვება ზღაპრულ სამყაროში და სულაც აღარ უკვირს, რომ ძროხა ალაპარაკდა. რეჟისორი ფრთხილად, თითქმის შეუმჩნევლად „გვაპარებს“ პიესაში წამოჭრილ პრობლემებს – რომ ბედნიერება ფულით არ იზომება, რომ სიყვარული ანგარებას ყოველთვის სძლევს და საბოლოოდ სამართლიანობა იზეიმებს. კანონი ხანდახან უნდა დაარღვიო კიდეც, თუკი ეს კეთილ საქმეს ემსახურება – ამბობს სამეფო ძროხა და ამას საქმითაც ადასტურებს. გურამ ბრეგაძე მრავალფეროვან მხატვრულ ხერხებს იყენებს, ყოველი სცენა გემოვნებიანი იუმორითაა გაჯერებული. ხშირად, მსახიობები მაყურებლებსაც ესაუბრებიან, ერთგვარი წამიერი გაუცხოება ეუფლებათ, დარბაზს საკუთარ აზრსა თუ გრძნობას გაუზიარებენ და შემდეგ კვლავ მოქმედებაში ერთვებიან. ამგვარი ხერხით, რეჟისორი მაყურებელთა დარბაზსა და სცენას შორის ურთიერთკავშირს კიდევ უფრო ზრდის.

წარმოდგენაში უხვადაა მუსიკალური (მუსიკალური გაფორმება ზურაბ ინგოროყვასი, ლოტბარი ალექსანდრა ლორთქიფანიძე) და ქორეოგრაფიული ნომრები (გია მარღანია). ხშირ შემთხვევაში მუსიკა და ქორეოგრაფია პერსონაჟის ხასიათთა გახსნას და უკეთ წარმოჩენას ემსახურება – მაგალითად, როდესაც უცხო ქვეყნის უფლისწულის ისტერიულ ცეკვას უყურებ, მაშინვე ხვდები, როგორი ფლიდი და ეგოისტი საქმრო შეურჩევია მეფეს ქალიშვილისთვის. ანდა წარმოდგენის ერთ-ერთი უდავოდ ეფექტური სცენა – ფრეილინა სიგიზმუნდას „არია“ წყლის შხეფებითა და ელექტრო მარაოს თანხლებით. აღსანიშნავია, რომ ამ როლის ყოველი შემსრულებელი თავისებურად, განსხვავებული ემოციითა და ტემპერამენტით ასრულებს სიმღერას, თუმცა რეჟისორის მიერ მითითებულ ჩარჩოებს არც ერთი სცილდება. არაჩვეულებრივად ლამაზი და რომანტიკულია პრინცესა ანას და მწყემსი ფილოს სიმღერაცა და ცეკვაც. ვერ ვიტყვით, რომ ზურაბ ინგოროყვას მუსიკალური გაფორმება სპექტაკლის სტილისტიკას ბოლომდე შეესაბამება, ხშირად გამოყენებულია მუსიკა ბავშვებისათვის კარგად ნაცნობი ანიმაციური ფილმებიდან, ასეთ დროს, ძალაუნებურად თვალსა და გონებაში გამჯდარი მულტიპლიკაციური სახეები გახსენდება და გარკვეულწილად სცენაზე მდგომ პერსონაჟებს ემიჯნები. ამ

მხრივ, ალბათ უმჯობესი იქნებოდა ორიგინალური მუსიკის შექმნა, თუმცა მოზარდ მაყურებელთა მსახიობთა საქებრად უნდა ითქვას, რომ თითოეული მათგანი შესანიშნავად ასრულებს სიმღერებს – ხან ცოცხლად, ხანაც ჩაწერილი ფონოგრამის ფონზე. აღსანიშნავია, რომ ამ ფონოგრამასაც რეჟისორი ჩვეული იუმორით „გვაპარებს“ – პერსონაჟი პირდაპირ, გულახდილად გვიცხადებს – ბოდიში, დღეს ხმაზე არა ვარ და ფონოგრამაზე გიმღერებთო. შესაბამისად, მაყურებელი არ ღიზიანდება და თავს მოტყუებულად არ გრძნობს.

საინტერესოა, რომ გურამ ბრეგაძემ ერთი შეხედვით მეორეხარისხოვან პერსონაჟებს: მცველი (დევი რეხვიაშვილი, ედმონ გაბედავა), მზარეული (რატი ნავაძე, ალექსეი ლობოვი) და მრჩეველი (ვასილ ამურველაშვილი, ნიკოლაი დონი) – ფუნქცია გაუზარდა – ისინი აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სცენაში, ერთგვარ მინი-წარმოდგენებს გაითამაშებენ, მაგრამ ამავდროულად არც საკუთარი პერსონაჟების ხასიათებს კარგავენ. მწყემსი ბიჭისა და მეფის ასულის სიყვარულის ფონზე, ფრეილინა სიგიზმუნდასა და მცველის რომანიც ვითარდება. ჭკვიანი და ენამოსწრებული ძროხის წყალობით, საბოლოოდ ყველაფერი ბედნიერად სრულდება და სიყვარული იმარჯვებს – ზღაპრის ბოლო კეთილია! წარმოდგენა სრულდება, დადებითი გრძნობებით დამუხტული მაყურებელი დარბაზს ტოვებს, მაგრამ სპექტაკლით მიღებული სიამოვნება კიდევ დიდ ხანს გაჰყვება.

ლელა წიფურია

მოზარდ მაყურებელთა თეატრის გამოწვევები

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში საინტერესო შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობს. თეატრში ორი დასი მუშაობს – ქართული და რუსული. მოქმედებს სამი სცენა – დიდი, მცირე და ექსპერიმენტული. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი თავად არაერთი წარმატებული სპექტაკლის რეჟისორია. მისი, როგორც ხელმძღვანელის ღირსება ის გარემოებაცაა, რომ მოზარდთა თეატრში ახლგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები დგამენ წარმოდგენებს. ეს სარეპერტუარო პოლიტიკა უდავოდ მნიშვნელოვანია: სპექტაკლები, სრულიად განსხვავებული თემატიკით, სტილისტიკითა თუ ხელწერით ქმნიან სპექტრს, სადაც მოზარდთა ყველა თაობა – 3 წლიდან მოყოლებული ზრდასრული მაყურებლის ჩათვლით მისთვის საინტერესო წარმოდგენას ნახავს. და რაც ყველაზე მთავრია – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლების მხატვრული ხარისხი ყოველ ახალ წარმოდგენაში მატულობს. ცხადია, სპექტაკლების ხარისხზე ზრუნვას თეატრს თავისი ტრადიცია ავალდებულებს – მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული რეჟისორის და პედაგოგის შალვა გაწერელიას მიერ შექმნილი სათეატრო ავტორიტეტი. ამჟამინდელ რეპერტუარში მსოფლიო დრამატურგიის ახალ დადგმებთან ერთად არის ოთარ ბაღათურიას მიერ აღდგენილი ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“, რომელიც შალვა გაწერელიას სპექტაკლებს შორისაც

კი გამოირჩეოდა. ვფიქრობ, შალვა გაწერელიას დროინდელი თეატრის დონის მიღწევა სრულიად რეალურად ისახება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხანგრძლივი კრიზისი დაძლეულია და თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა და შემოქმედებითი ძიებები სერიოზული განაცხადისკენ განაწყობს თეატრალებს. ერთადერთი, რისი სურვილიც ჩნდება ამ თეატრის ისტორიიდან გამომდინარე, ეს არის სამსახიობო ფსიქოლოგიური სკოლის ტრადიციების აღდგენა, რითაც ასე გამოირჩეოდა მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლების მოზარდ მაყურებელთა თეატრი. ვისურვებდი, დასში ყოველდღიურად ტარდებოდეს ტრენინგები სამსახიობო ოსტატობაში და ყველა წარმოდგენაზე დამდგმელ რეჟისორთან ერთად რეჟისორ-პედაგოგიც მუშაობდეს და აღდგეს ის სამსახიობო სკოლა, რომელიც შალვა გაწერელიას სპექტაკლებს განუმეორებელს ხდიდა და ამჟამინდელ თეატრს კი უდავოდ ახალ რანგში აიყვანს.

მაყურებლის ესთეტიკური ხედვის ჩამოყალიბება ყველა თეატრის ვალდებულებაა, მაგრამ მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის კი მაყურებლის აღზრდა პირდაპირი ამოცანა. სწორედ ამ თეატრიდან იწყება მომავალი აუდიტორიის სამაყურებლო „ბიოგრაფია". ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ პირველ დადგმებს, რომელთაც ბავშვი ნახავს. 4+ ამგვარადაა განსაზღვრული ასაკობრივი კატეგორია მაყურებლისა, რომელსაც მოზარდ მაყურებელთა თეატრმა პრემიერა – თანამედროვე რუსი დრამატურგების ლარისა ტიტოვასა და ალექსანდრ სტაროტორჟსკის პიესა „სამეფო ძროხა" შესთავაზა. წარმოდგენა ჯერ რუსულ დასში განხორციელდა, შემდეგ კი ქართული დასის პრემიერა გაიმართა. 4+ ასაკობრივი კატეგორიის მაყურებლისთვის სავარაუდოდ ეს პირველი ან ერთ-ერთი პირველი წარმოდგენაა, რომელსაც პატარა მაყურებელი თეატრში ნახულობს. დამეთანხმებით, ხშირად ამგვარ სამაყურებლო „დებიუტზეა" დამოკიდებული, მოისურვებს თუ არა პატარა კიდევ თეატრში წასვლას და საერთოდ იქნება თუ არა ზრდასრულ ასაკში თეატრის მაყურებელი.

ახალი პიესა თეატრში რეჟისორმა გურამ ბრეგაძემ მიიტანა: პიესას ახალგაზრდა რეჟისორი მოსკოვის თეატრ „ეტ ცეტერაში" მუშაობის დროს გაეცნო. „ეტ ცეტერაში" გურამ ბრეგაძემ ძალზე წარმატებული სპექტაკლი, ოსკარ უაილდის „ვარსკვლავ-ბიჭუნა" დადგა. უფრო ადრე კი ვაკის სარდაფში – ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა პრინცი". ახალგაზრდა რეჟისორის დადგმებს შორისაა ვაკის სარდაფში დადგმული შექსპირის „რომეო და ჯულიეტა" და „როგორც გენებოთ", რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუასთან ერთად განხორციელებული მაქს ფრიშის „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებლები" ...როგორც ვხედავთ, რეჟისორისთვის ახალგაზრდა და საბავშვო აუდიტორიაც სწორედ ის კატეგორიაა, რომლისთვისაც სპექტაკლის შეთხზვა ყველაზე მეტ სტიმულს აძლევს შემოქმედს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვებისთვის სპექტაკლის დადგმა განსაკუთრებულ ფანტაზიას მოითხოვს, რაც ყველას არ ხელეწიფება. საბავშვო აუდიტორია იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლისთვისაც ზღაპრული „სიმართლე" უფრო დამაჯერებელია, ვიდრე რეალობა. გარემო, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლში შექმნეს მხატვარმა

ლომგულ მურუსიძემ და რეჟისორმა მართლაც ზღაპრული სამყაროს ასოციაციას იწვევს: ტიულის მსუბუქი ნაჭრისგან შექმნილი ღრუბლები, რომლებიც მრავალ ფენად არის ჩამოკიდებული სცენის მთელ სიღრმეში. ეს ღრუბელთა ფენები ხან ფარდასავით იწევა და სცენაზე სამოქმედო არეალს ათავისუფლებს, ხანაც სრულად ფარავს სივრცეს და ზღაპრულ პერსონაჟებს თითქოს ციურ საბურველში ახვევს. მოქმედების შესაბამისად სცენოგრაფიაში თამაშდება სხვადასხვა ასევე თითქოს ბავშვის ნახატს მიმსგავსებულად შექმნილი დეტალები და რეკვიზიტი – მრგვალად გაკრეჭილი ხეები, თითქოს ქაღალდისგან გაკეთებული გემი თუ პატარა სარკმელები სცენის ორივე მხარეს, რომლებიც ხანგამოშვებით პერსონაჟების სამოსახლოდაც იქცევა. სპექტაკლის განათება ცისფრიდან წითელ ფერში გადადის და კონკრეტული ეპიზოდის შესატყვის განწყობას ქმნის. ასევე საინტერესოდაა გადაწყვეტილი კოსტიუმების მხატვრის, ქეთევან ციციშვილის მიერ შექმნილი კოსტიუმები. საბავშვო აუდიტორიისთვის მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრინცესას თუ მეფის ტანსაცმელს – სამეფო კარის ზღაპრული პერსონაჟები ხომ, პირველ რიგში, შესამოსელით აღიქმებიან და ამდენად სწორედ მათი ტანსაცმელი და სამეფო ატრიბუტიკა განსაზღვრავს დამაჯერებლობის კოეფიციენტს 4+ აუდიტორიისთვის. წარმოდგენის ვიზუალური მხარე ნამდვილად ახდენს იმ ეფექტს, რომელიც მთელ აუდიტორიას – როგორც საბავშვოს, ასევე ზრდასრულს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს, ხოლო მსახიობებს მაქსიმალურად შესატყვის გარემოს უქმნის ზღაპრის პერსონაჟების წარმოსახვისთვის.

ზღაპარი ზღაპარია: კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებითა და ბედნიერი ფინალით, სადაც სიკეთე იმარჯვებს. პიესაში სამეფო ძროხა ერთგვარად კეთილი ფერიის ფუნქციებს ითავსებს და შეყვარებულ პრინცესასა და მწყემსს დაბრკოლებების გადალახვაში ეხმარება. სპექტაკლისეული ძროხა თამარ ტყემალაძის შესრულებით უცნაურობათა მთელ სპექტრს დიდი ენერგიით გაითამაშებს. ხალისიანი და სამართლიანი ძროხა აისა თამამი გადაწყვეტილებების ინიციატორად გვევლინება, რომელიც მთელ სამეფო კარს საკუთარი შეხედულებისამებრ გადააწყობს და მართლაც ყველას ბედნიერებას მოუტანს, როგორც ამას ექსპოზიციაში აცხადებდა. ზღაპრის ბოლო კეთილია და პიესა და შესაბამისად წარმოდგენაც შეყვარებული წყვილის ქორწინებით მთავრდება. რა თქმა უნდა, ზღაპრის წარმოდგენას დიდი ფანტაზია სჭირდება. გურამ ბრეგაძის რეჟისურაში გამომგონებლობის კასკადია შექმნილი, სადაც ყოველი ეპიზოდი უაღრესად სწრაფ ტემპო-რიტმში თამაშდება და ერთი წამითაც არ ადუნებს მაყურებლის ყურადღებას. მთელ წარმოდგენაში უწყვეტი ქმედება მიზანსცენებში თამაშდება, რომლებიც ერთდროულად შეიცავს ესთეტიზმს და ზღაპრის „რეალობას“. რეჟისორი თამამად იყენებს სცენის ყველა ნაწილს – სცენის სიღრმეს, ავანსცენას, რამპას და ორივე კუთხეში ამოჭრილი სარკმელებიც სამოქმედო არეალს წარმოადგენს. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები ამ სპექტაკლში ზღაპრის პერსონაჟების შესაბამისად ცოტა ზეაწეულებიც და ირონიულებიც ერთდროულად არიან. რეჟისორის მიერ დასმული ამოცანები ზღაპრის გათამაშების მანერულობასაც მოიცავს ამავდროულად.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ამ წარმოდგენაში მსახიობების რამდენიმე შემადგენლობაა დაკავებული – დუბლიორების პრინციპი ამ სპეციფიკის თეატრს შეესატყვისება და ამავდროულად დასის წევრების მუდმივად დაკავებულობას და ფორმის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. მაყურებლისთვის სასიამოვნო სიურპრიზია მათთვის სერიალებიდან ცნობილი აქტიორების ხილვა სცენაზე. დამეთანხმებით, სატელევიზიო ფილმების გმირების შექმნილი სცენიური სახეები დამატებით ინტერესს იწვევს მაყურებელში. მეორე მხრივ, კინორეჟისორების ინტერესი მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობების მიმართ ამ თეატრში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესებისადმი და მის სამსახიობო ანსამბლისადმი ინტერესზე მეტყველებს. მეფე, სპექტაკლში ორი შემსრულებელი ჰყავს- მერაბ ბრეკაშვილი და მამუკა მუმლაძე. იმპოზანტური მეფე – მამუკა მუმლაძე, გულუბრვილო და თვითირონიულიცაა ერთდროულად. მწყემსის როლზე სამი შემსრულებელია დაკავებული- ორი მათგანი ვახტანგ ჩაჩანიძე და კოტე თოლორდავა ნამდვილად თანამედროვე ტელევარსკვლავთა რიცხვში მოიაზრება. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ვახტანგ ჩაჩანიძის სამსახიობო ოსტატობა. ზღაპრული პერსონაჟის შესრულების თვისობრიობა ამ შემთხვევაში სრულიად განსხვავებულია – ვახტანგ ჩაჩანიძის მწყემსი სცენური სიმართლის იმ ხარისხის მატარებელია, რომელიც უცილობლად განაწყობს ყველა თაობის მაყურებელს დადებითი პერსონაჟისადმი აუცილებელი თანაგანცდით და მის მიერ მოპოვებული პრინცესას სიყვარული სრულიად დამსახურებულად მიიჩნევა. მით უმეტეს, რომ მოწყენილობის მსხვერპლი გადაპრანჭული პრინცესა ულამაზესი კოსტიუმებით ერთგვარად სპექტაკლის მშვენებადაც მოიაზრება, როგორც ამას ზღაპრის სტრუქტურა მოითხოვს. პრინცესას ორი შემსრულებელი ჰყავს – ანა ზამბახიძე და მარიამ კვიტაიშვილი. ორივე ახალგაზრდა მსახიობი თანამედროვე ნებიერას პორტრეტს გვთავაზობს, რომლის ჭირვეულობასაც მხოლოდ სიყვარული ათვინიერებს. უცილობლად უნდა აღინიშნოს მარიამ კვიტაიშვილის პრინცესას პლასტიკურობა და როლისთვის შესაფერისი გარეგნული მონაცემები. მწყემსისა და პრინცესას ურთიერთობა სპექტაკლში ფაქიზი ნიუანსებითაა შეთხზული. მსახიობების მიერ განხორციელებული ზღაპრის გმირები მართლაც საოცნებო პერსონაჟებად რჩებიან პატარა მაყურებლის მეხსიერებაში.

ორი შემსრულებელი ჰყავს ფრეილინას – ნინო მუმლაზე და ნათია არბოლიშვილი –კიდევ ერთი ტელესერიალის ცნობადი სახე. ნინო მუმლაძის ფრეილინა უფრო ისტერიულ და ანჩხლ სეფექალს წარმოგვიდგენს. ნათია არბოლაშვილი უფრო რომანტიკულობისკენ მისწრაფებულ პერსონაჟს წარმოსახავს.

ორი შემსრულებელი ჰყავს პრინცს - ნიკა ნანიტაშვილი და გიორგი შავგულიძე. ნიკა ნანიტაშვილის შესრულების მანერა გროტესკულია. საოცნებო პრინცის ნაცვლად ამ ზღაპარში მზითვებზე მეოცნებე ანგარებიანი და ამბიციური სახეა შექმნილი. სპექტაკლში სამეფო კარის მრჩევლებად ვასილ ამურველაშვილი და ალექსანდრე მელაძე გვევლინებიან.

უაღრესად პლასტიკურია რატი ნავაძის მზარეული. წითელ ჩექმებში,

თავზე სინით, ცეკვით ქმნის სამეფო კარის კაპრიზებზე მოცეკვავე საინტერესო პერსონაჟს. სპექტაკლის ქორეოგრაფია გია მარღანია. წარმოდგენაში ყველა პერსონაჟს თავისი ქორეოგრაფიული პარტიტურა გააჩნია, რომელიც კონკრეტულ ხასიათს პლასტიკით წარმოსახავს. სპექტაკლის ქორმეისტერია ალექსანდრე ლორთქოფანიძე.

დევი რეხვიაშვილი სპექტაკლში გულუბრყვილო და ერთგულ მცველს თამაშობს. სპექტაკლში პარალელური სასიყვარულო ისტორია – ფრეილინასადმი მცველის ტრფობაც სამეფო ძროხის წყალობით ბედნიერად მთავრდება, სწორედ ისე, როგორც ზღაპარს შეეფერება ყველა ეპოქაში.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი თანამედროვე ზღაპარია. კოსტიუმებში არსებულ სამეფო ტანსაცმელს თანამედროვე კედები ამშვენებს. სპექტაკლში მრავლადაა ჩამატებული ფრაზა თუ რეპლიკა, რომელიც თანადროულობასთან კავშირს ამყარებს და სპქტაკლში ორგანულად აღიქმება – ინტერნეტიდან გამოწერილი შავიზღვისპირელი პრინცით დაწყებული და ბულგარელი ბრმა ბოშა წინასწარმეტყველით დასრულებული.

სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ზურაბ ინგოროყვას ეკუთვნის. წარმოდგენის ლეიტ-თემები ჯაზური კომპოზიციებით არის შექმნილი და წარმოდგენის მუსიკალურ პარტიტურასა და რეჟისურას ერთიანი, თანამედროვე პერფორმანსის სახით წარმოადგენს.

მოზარდ მაყურებელთა ახალი წარმოდგენა თამამ და წარმატებულ ექსპერიმენტად შეიძლება მივიჩნიოთ. ვფიქრობ, ეს სპექტაკლი თეატრის რეპერტუარს ამდიდრებს სანახაობრივი და რიტმული წარმოდგენით და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალ გამოწვევათა შორისაა.

ლაშა ჩხარტიშვილი

„კანონი უნდა დაირღვეს, ხალხო!“ - გვირჩევს ძროხა

იშვიათად მახსენდება ისეთი დაწესებულება, სადაც დიდსა და პატარას თანაბრად შეუძლია განიმუხტოს ყოფითი, ყოველდღიური პრობლემებისაგან და ამავდროულად მიიღოს ესთეტიკური სიამოვნებაც. ასეთ ადგილად თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრს გირჩევთ, რომლის ჭრელ და მრავალფეროვან რეპერტუარში ახალი სპექტაკლი „სამეფო ძროხა“ გაჩნდა. რუსი ავტორების ლარისა ტიტოვას და ალექსანდრ სტაროტორჟსკის კომედია ნამდვილად გაართობს და კარგ განწყობაზე დააყენებს თქვენს პატარებს და ამავდროულად, გარწმუნებთ, რომ უფროსებიც არ დარჩებით გულგრილი მოლაპარაკე ძროხის სახალისო ისტორიის ცქერით. ორივე თაობის მაყურებელი სპექტაკლიდან მის წილ სიამოვნებას მიიღებს და რაც მთავარია, ყველა განსხვავებულ აქცენტებს ამოიკითხავს და შესაბამისად, დასკვნებსაც სხვადასხვაგვარს გააკეთებს.

საბავშვო პიესების მოპოვება ერთგვარი დეფიციტია დღეს. კარგია, რომ თეატრმა ახალი, ჩვენთვის უცნობი ნაწარმოების სცენური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ახალგაზრდა რეჟისორის გურამ ბრეგაძის ინტერპრეტაციით და არა ათასგზის გადამღერებული „წითელქუდა“ და „სამი გოჭი“. გურამ

ბრეგაძეს არც ისე დიდი გამოცდილება აქვს რეჟისურაში, მას მხოლოდ რამდენიმე სპექტაკლი აქვს დადგმული საქართველოს სხვადასხვა პროფესიულ თეატრში და მათ შორის, მოსკოვშიც, თეატრში „et cetera“. ის დიდი მაესტროს რობერტ სტურუას არაოფიციალურ მოწაფედაც ითვლება და ლოგიკურია, რომ მისი ეს ნამუშევარი მაესტროს ესთეტიკის ერთგვარ გავლენასაც განიცდის.

გურამ ბრეგაძის მიერ შემოთავაზებული პირობით-გროტესკული, მცირე კარნავალური (არა მასშტაბური) სპექტაკლი გაჯერებული ირონიით, სხარტი და დახვეწილი იუმორით გვამოგზაურებს ფანტასმაგორიულ სამყაროში, სადაც სასწაულები როგორც ჩვეულებრივი მოვლენა ისე ხდება. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, რომელიც მთლიანად ცვლის ადამიანების ბედს და ხედვას ღირებულების აღქმაზე. რეჟისორი სიყვარულისთვის მებრძოლ ადამიანებს გვიხატავს და მათ წინაშე წარმოშობილ წინააღმდეგობებს სახალისოდ გვიჩვენებს ისე, რომ მაყურებელიც დიდი ენთუზიაზმით ერთვება მოვლენებში, თანაც რეჟისორი ხშირად მიმართავს მოკრძალებული ინტერაქტივის მეთოდს, რაც საშუალებას არ აძლევს დარბაზში მსხდომთ, არ ჩაერთონ მოვლენათა მსვლელობაში. ბუნებრივია, დიდი თუ პატარა, სიცილ-ხარხარში უცქერს მოლაპარაკე ძროხის გონივრულად და მოხერხებულად დატრიალებულ ინტრიგას, რომელიც სიკეთისკენ და ადამიანთა გაკეთილშობილებისკენ არის მიმართული.

რეჟისორი გურამ ბრეგაძე ამ სპექტაკლში ავლენს მხატვრული ფანტაზიის უნარს, რაც კრეატიულად გადაწყვეტილ მიზანსცენებში ვლინდება, მათ შორის, ასეთი სცენაა ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის – ფრეილინას მუსიკალური მონოლოგი ელექტრო მარაოს თანხლებით. ამ როლში ორი მსახიობი ნინო მუმლაძე და ნათია არბოლიშვილი გვევლინება. სასიხარულოა, რომ ერთ მოცემულობას ორმა მსახიობმა განსხვავებული ტემპერამენტით და ექსცენტრულობით გაართვეს თავი. რეჟისორი ხშირად მიმართავს მულტიპლიკაციურ ხერხებს, უტრირებული შეფასებები მხოლოდ ღიმილს და კეთილგანწყობას იჩენს პერსონაჟთა მიმართ.

სპექტაკლში მსახიობებმა მდიდარი მხატვრული სახეები შექმნეს. მეფეს მამუკა მუმლაძე განასახიერებს, რომელიც გროტესკული პერსონაჟია. ამ ამპლუაში მსახიობი აქამდე არ გვინახავს და სასიამოვნო მოულოდნელობა იყო მისი შესაძლებლობების ამ კუთხით წარმოჩენა. პრინცესას როლს ორი მსახიობი – ანა ზამბახიძე და მარიმ კვიტაიშვილი განსახიერებენ. პირველი გამოცდილი, ცბიერი, მოაზროვნე ახალგაზრდა ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო მეორე – მიამიტი, უსუსური გოგონასი. ფრეილინა მეფის მარჯვენა ხელია სასახლის კარზე, ძლიერი ქალი, სუსტი მხარეებით, გავლენიანი ფიგურა, მაგრამ ვერ რეალიზებული ქალი, სწორედ ამიტომ გამოირჩევა ის მოჭარბებული ენერგეტიკითა და ექსცენტრულობით, რომელთაც მსახიობები ნინო მუმლაძე და ნათია არბოლიშვილი განასახიერებენ. ორივე მსახიობი სხვადასხვაგვარად აღიქვამს მასზე დაკისრებულ ამოცანას, აშკარად იგრძნობა მსახიობთა პროფესიონალიზმი, თუმცა გმირის ხასიათთან ნათია არბოლიშვილის მიერ შესრულებული ფრეილინა უფრო ახლოს მეჩვენება... მწყემსის როლშიც

ორი მსახიობი გვევლინება – ვახტანგ ჩაჩანიძე და ვამეხ ჯანგიძე. ძალზე მარტივია,ორივე მსახიობში მაყურებელმა შენიშნოს მნიშვნელოვანი აქტიორული მიღწევები. ვამეხ ჯანგიძე საფინალო მონოლოგში გვევლინება თხრობის ოსტატ, რაციონალურად მოაზროვნე მსახიობად, რომელსაც გაანალიზებული აქვს თითოეული ფრაზა, ხოლო ვახტანგ ჩაჩანიძემ უფრო ბუნებრივად მოირგო პერსონაჟის ხასიათი, მისი უშუალობა, „თამაშზე" უარის თქმა, კიდევ უფრო ბუნებრივს და გულწრფელს ხდის მის პერსონაჟს.

სახასიათო სახეებს ქმნიან სპექტაკლში მცველი – დევი რეხვიაშვილი, მრჩეველი – ვასილ ამურველაშვილი და ალექსანდრე მელაძე და მზარეული რატი დევიძე, ეს უკანასკნელი მდიდარ პლასტიკურ მონაცემებს ავლენს, მისი თითოეული მოძრაობა დახვეწილია და გმირის ხასიათის გამომხატველი. გროტესკული პერსონაჟია პრინცი, რომელსაც ორი მსახიობი განასახიერებს ნიკა ნანიტაშვილიდ და გიორგი შავგულიძე. ნიკა ნანიტაშვილის პრინცი აშკარად დიდ ეფექტს ახდენს მაყურებელზე იმ დროს, როცა ის გემზე ისტერიულად ცეკვავს. კარგი პლასტიკური მონაცემები გროტესკული პერსონაჟის ექსცენტრულობას და ფარისევლურ ხასიათს ავლენს, ხოლო გიორგი შავგულიძის შემოთავაზებული პრინცი უფრო მოკრძალებულ, შენიღბულ, ცბიერ, მიზანდასახულ „რაინდად" წარმოგვიდგება.

სპექტაკლის მთავარი პერსონაჟია მოლაპარაკე ძროხა, რომელსაც მსახიობი თამარ ტყემალაძე ასრულებს, ის არის წარმმართველი მოქმედებათა მსვლელობის და ამ მსვლელობის დინამიკის მიმცემი. მსახიობი ხატავს ლაღ, იუმორითა და სიკეთით სავსე ძროხის მხატვრულ სახეს. სპექტაკლის მნიშვნელოვანი ე.წ. სმს-ია „კანონი უნდა დაირღვეს, ხალხო!!!", რომელსაც თამარ ტყემალაძის ძროხა ბრეხტისეული აპარტეს პრინციპით ეუბნება მაყურებელს. რეჟისორის მოკლე ტექსტური შეტყობინების კონტექსტი სავსებით გასაგებია ზრდასრული მაყურებლისთვის, მაგრამ რამდენად მიზანმიმართულად გაიგებს მას მოზარდი, რომელსაც ახლა უყალიბდება შეხედულებები წესებსა და კანონებზე? იუმორით ნათქვამი ფრაზა რამდენად სწორად მიაღწევს მოზარდ მაყურებლამდე, ისე როგორც,სამეფო მზარეულისა და მრჩევლის ფლირტი?

სპექტაკლის მხატვარია ლომგულ მურუსიძე, რომელმაც ნამდვილად შექმნა დახვეწილი, ზღაპრული, პირობითი სამყარო, რომელშიც ორგანულად ჩაეწერა ქეთევან ციციშვილის შექმნილი კოსტიუმები, რომელიც არ აკონკრეტებს დროს, მაგრამ ზედმიწევით ზუსტად გამოხატავს პერსონაჟების ხასიათებს და ტიპაჟებს. ქეთევან ციციშვილის კოსტიუმები არ არის სქემატური და კანონიკური, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. მრავალფეროვან მუსიკალურ გაფორმებაზე რუსთაველის თეატრის მსახიობმა ზურაბ ინგოროყვამ იმუშავა, მართალია, მუსიკა კონკრეტულ ეპიზოდებში ლოგიკურ ფონს ქმნის, მაგრამ მთლიანობაში სპექტაკლის ერთიან ჟანრობრივ-სტილისტურ პარტიტურაში ლოგიკურად ვერ ეწერება. სასიხარულოა, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრში არის ის პოტენცია, რომელსაც ერთდროულად შეუძლია ითამაშოს, იმღეროს და შეასრულოს გარკვეული ქორეოგრაფიული ნახაზები. ასეთი რესურსის ნაწილმა მოიყარა თავი გურამ ბრეგაძის სპექტაკლში, რომლებიც ცოცხლად (ზოგჯერ

კი ფონოგრამაზე) ასრულებენ გარკვეულ მუსიკალურ ფრაზებს (ქორმაისტერი ალექსანდრე ლორთქიფანიძე). რეჟისორი თავად გვასწრებს კრიტიკას და თვითირონიითა და თვითკრიტიკით მიუთითებს ფონოგრამით შესრულებულ მუსიკალური ნომრების უპირატესობაზე, თუმცა ეს მაინც ხუმრობით, რადგან ფაქტია, რომ მსახიობთა ამ გუნდს შეუძლია სიმღერა, ისე როგორც, ავლენენ პლასტიკურ მონაცემებს და წარმატებით ასრულებენ ქორეოგრაფ გია მარღანიას მიერ მათთვის შეთავაზებულ ქორეოგრაფიულ ნახაზებს.

„სამეფო ძროხა“ მოზარდ მაყურებელთა თეატრის ის სპექტაკლია, რომლის ნახვა, თუნდაც ერთხელ აუცილებლად ღირს დაღლილ-დაქანცულობისაგან განმუხტვისა და უკვე იშვიათობადქცეული გულიანად სიცილის მოგვრის გამო.

მე ვხედავ მზეს

სპექტაკლის დასახელება - მე ვხედავ მზეს

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - ნოდარ დუმბაძე
რეჟისორი - დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუსიკალური გაფორმება - ალექსანდრა ლორთქიფანიძე
კოსტიუმების მხატვარი - მაია სხირტლაძე
რეჟისორის თანაშემწე - თამაზ ქარაული

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
სოსოია - ნიკოლოზ ფაიქრიძე
ხატია - ხატია მელქაძე, თამარ ცქვიტინიძე
დათიკო - კახა ჭოლაძე, გიორგი მაისურაძე
ქეთო - ნინო ლორთქიფანიძე, ნინო კიკაჩეიშვილი
ბესარიონი - პაატა მხეიძე, იოსებ მოლოდინაშვილი
გერასიმე - ვახტანგ ახალაძე, გაგა შიშინაშვილი
ბეჟანა - შალვა ანთელავა, გიორგი შავგულიძე
ლუკაია - პავლე ნოზაძე, ბესო მეგრელიშვილი
მარგალიტა - სოფო ახუაშვილი, ნინო არჩაია
მაყვალა - ანა ხუროშვილი, ეკა შარიქაძე
სამხედრო კომისარი - ვახტანგ ნოზაძე, ნიკა კვანტალიანი
კოწია - გიორგი გოგიშვილი, ვამეხ ჯანგიძე
ქსენია - მაია ჩართოლანი,სოფო ფერაძე
მინადორა - მარიკა გოგიჩაიშვილი, ეკა ხატიაშვილი
კატო - ანა მღებრიშვილი
ოტია - გიორგი ჯიქურიძე, ზურაბ არუსია
თამაზი - ლაშა გრძელიძე, ლევან გვაზავა

იაგო - თორნიკე ქინქლაძე, რატი ნავაძე
გოგიბერიძე - ცოტნე საგინაძე, დენის ხლიბოვი
აკვირინე - მაკა ბარდაველიძე, ნელი ჯავახიშვილი
ანატოლი - დიმიტრი თარბაია, რაჟდენ კერვალიშვილი
ზოსიმე - ირაკლი გოგოლაძე, დევი რეხვიაშილი
ბენედიქტე - მერაბ ბრეკაშვილი, დავით როსტომაშვილი
ქიშვარდი - მერაბ შარიქაძე, გიორგი კაჭახიძე
არქიფო - სოსო ხაინდრავა
მაშიკო - თამარ ლოლაშვილი
ალფესი - ლევან კაციაშილი, ზვიად ურიდია
ედემიკა - ზურაბ ავსაჯანიშვილი, პაატა კიკვაძე
მინა - ლელა მახნიაშვილი, ნინო ჩხიკვიშვილი
კესარია - ასმათ ქურციკიძე, ქეთი ჩაჩუა
ბულალტერი - თამარ ლორთქიფანიძე, მარინე ძიმისტარაშვილი
ბაბილო - ნუგზარ ყურაშვილი, ვასილ ამურველაშვილი
კაკანო - ბერტა ხაფავა, ნაირა გელაძე
ბეგლარა - ბადრი გვაზავა, მამუკა ბოგვერაძე
ფედოსია - ქეთევან შერვაშიძე
გერმანელი - რატი გოგუაძე, ნიკა ნანიტაშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 13.06.2014
სარეპეტიციო პროცესი - სარეპეტიციო პროცესი გაგრძელდა 40 დღე.

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება არ ყოფილა.

გამოხმაურება

გუბაზ მეგერელიძე

„მე ვხედავ მზეს“
მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებისადმი ინტერესი ქართულ თეატრში არასდროს შენელებულა. ამ მხრივ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ დიმიტრი ხვთისიაშვილის აზრით, ნ. დუმბაძის სახელობის თეატრში მწერლის ნაწარმოებები ყოველთვის უნდა იდგმებოდეს. ამჟამად რეპერტუარში სამი სპექტაკლია „სიცოცხლის ხე“, „კუკარაჩა“ და „მე ვხედავ მზეს“. ამ უკანასკნელმა სპექტაკლმა სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა, რადგანაც რეჟისორმა დ. ხვთისიაშვილმა 2013 წლის 13 ივნისს გამართული პრემიერა, ნ. დუმბაძის ნაწარმოებების პირველ თეატრალურ გზამკვლევ, გიგა ლორთქიფანიძის წლისთავს დაამთხვია. ეს არ იყო შემთხვევითი. თავის დროზე ამ სპექტაკლმა

საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და თეატრმაც შემოქმედებითი წარმატება მოიპოვა. შეიქმნა კოლორიტული და დასამახსოვრებელი სახეები – გ. ქავთარაძის სოსოია, ქ. კიკნაძის ხატია, ზ. ლაფერაძის ბეჟანა. 70-იანი წლების ბოლოს ეს სპექტაკლი შ. გაწერელიამაც განახორციელა და დღევანდელი დადგმაც ამ ტრადიციების გამგრძელებელია.

სცენოგრაფმა ლ. მურუსიძემ უკანა პანოზე მზის გამოსახვით მწერლისეული დედააზრის პრივატობა წარმოაჩინა, რომელიც გმირებს ყოველთვის თან სდევს. გადაჭრილი ხის ძირები გმირთა ბედუკულმართობაზე მიგვითითებს. ზოგისთვის ცხოვრება თუ მიზნების აღსრულება უდროოდ შეწყდა, ზოგისთვისაც ცხოვრებისეული მიზნები ვერ განხორციელდა, ანდა მიუწვდომელ ოცნებად დარჩა. მხატვარ მ. სხირტლაძის კოსტიუმები კი წარმოაჩენენ გმირთა რეალურ გარემოს, რომლებშიც მათი შესატყვისი ხასიათები ჩანს. სცენოგრაფია გურიის კოლორიტულ გარემოს არ წარმოაჩენს. იგი დაუკონკრეტებელია და დადგმის იდეის განზოგადებისთვისაა გამიზნული, რომ ადამიანთა თანადგომა ჭირსა და ლხინში, მოყვასისა და მტრის გარჩევა, სიკეთისა და სიყვარულის დაპირისპირება-გამარჯვება ბოროტზე ყველა ეროვნებისა, თუ კუთხის ადამიანთა მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს.

სპექტაკლის დასაწყისი და ფინალი თითქმის იდენტურია. თუ თავიდანვე მზის ამოსვლის ფონზე სოსოია და ხატია კუნძზე სხედან და მზის ფერზე საუბრობენ, ბოლო სცენაში ამავე ფონზე ისინი მსჯელობენ – „ცა რომ სარკე იყოს“ და მზის ყურებასთან ერთად, ეხვევიან ერთმანეთს. ამდენად, გაჭირვებული ცხოვრების მიუხედავად, მათი ოპტიმისტური მომავლის იერსახე ნათლად ჩანს.

კიდევ ერთი წყვილი იკვეთება – დათიკოსა და ქეთოს წინააღმდეგობრივი ურთიერთობა, რომლის შემხედვარე სოსოია ეჭვიანობს და ერთმანეთთან მარტოდ დარჩენის საშუალებას არ აძლევს. აქ თავს იჩენს სიყვარულის ფარული გრძნობა და მისი მორალური გაუფასურებით განხიბვლა. ამ ორი წყვილის მორალურ-ეთიკური საქციელის კონტრასტით იკვეთება ზნეობრივ ფასეულობათა ჭეშმარიტი ღირებულებები.

ამის შემდეგ იწყება სოფლის მკვიდრთა ცხოვრებისეული პერიპეტიების ჩვენება, რაც მათი ყოფის კომიკურ-დრამატული ვითარებების ფონზე მიმდინარეობს. ამიტომაც მოქმედება ეპიზოდურად ვითარდება და ისინი ერთმანეთს მასობრივი სცენებით უკავშირდებიან. სოფლის თავყრილობაზე შეკრებილებს რადიო ომის დაწყებას აუწყებს. თითქოს არაფერი ხდება, მაგრამ ამ დროს შემოჭრილი სოსოიას შეძახილს – „გამარჯობათ ხალხო, თქვენი“ ყველა დუმილით ხვდება. მხოლოდ გერასიმე (ვ. ახალაძე) ამცნობს ომის დაწყებას, რომლის სასოწარკვეთილ ხმაში მომავალი თაობის თანაგრძნობა და გამხნევება ისმის. სოსოიას უნდა, ვინმესთვის რაღაცის თქმა, მაგრამ ყველა უხმოდ ისე გადის, რომ მას თითქოს არავინ ამჩევს. ასე უშუალოდ იჭრება ომის საშინელება ადამიანთა ცხოვრებაში. ამ განცდას აძლიერებს ლუკაიას შემოსვლა. მსახიობი პ. ნოზაძე ბუნებრივად, ემოციურად გადმოსცემს ვაშლის გასაყიდად ბაზარში წამსვლელი მხიარული კაციდან, უცაბედად ომის

დაწყების გაგებით გამოწვეულ დრამატიზმს. ამ სცენაში, მეორე შემსრულებელი – ბ. მეგრელიშვილის ლუკაია კი დრამატული ელფერით, სხვებისთვის შეუმჩნეველი შინაგანი განცდით გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას. ეს სცენები გამოკვეთენ სოსოიას გულუბრყვილობით გაუცნობიერებელ ამ დიდ ტრაგედიას. და კიდევ ერთი კონტრასტი – ომში გაწვეულების გაცილების შემდეგ, სოფლის თავყრილობაზე მხოლოდ ქალები და მოხუცები ჩანან. სოფელს დაეტყო ომის დაწყება... მოვლენები თანდათან მძაფრდება. ხატია აღელვებით ამბობს, რომ დათიკოს ხმა გაიგონა. ნ. ლორთქიფანიძის ქეთო შეშფოთდება, რასაც დათიკოს ნახვით გაკვირვებული ბეჟანას მონაყოლი ამძაფრებს. ამ დროს ნ. ლორთქიფანიძის გმირი გაორებულ მდგომარეობაშია, არ იცის, ვის დაუჯეროს ან რა მოიმოქმედოს. ამ სცენას უპირისპირდება ქალის კივილი, რომელშიც ლუკაია თავისი ცოლის ხმას შეიცნობს. პ. ნოზაძეს დრამატული გამომეტყველება, ხოლო ბ. მეგრელიშვილის გარინდებული, ავისმომასწავებელი წინათგრძნობა შვილის დაღუპვას გვამცნობს. აქაც ვხედავთ დაპირისპირებას დათიკოს ფრონტიდან გამოქცევის გაუმართლებლობასა და ჯარისკაცის სამშობლოსთვის თავგანწირვით გამოწვეული ტკივილის განცდას შორის. ამ ემოციას ვიზუალურად ამძაფრებს ფოსტალიონ კოწიას (გ. გოგიშვილი, ვ. ჯანგიძე) ამაღლებულ ადგილზე დგომა, რომელსაც თანასოფლელები მდუმარედ ჩაუვლიან და პანაშვიდის ილუზიას ქმნიან.

მასობრივი სცენების პარალელურად გმირთა პირადი ურთიერთობები ვითარდება. დათიკოსა და ქეთოს სცენაში კ. ჭოლაძის გმირი დარწმუნებულია თავისი საქციელის მართებულობასა და საყვარელი ქალისადმი დამოკიდებულებაში, ნ. ლორთქიფანიძის ქეთო კი მის სიტყვებზე „შენთან მინდა სიკვდილი“ დაფიქრდება, მოლბება და განიცდის დათიკოს მდგომარეობას. იგი იმედგაცრუებულია დათიკოს დანახვით, რომელშიც უფრო ვაჟკაცურ თვისებებს ხედავდა და ცდილობს ეს უხერხულობა არ შეიმჩნიოს. მასში ქალური გრძნობა იღვიძებს, თუმცა თავს იკავებს და რადიკალურად იცვლება, როდესაც დათიკო წაკამათებისას სოსოიას შემოარტყამს და წააქცევს. ამ დროს ქეთო ნაჯახის მუქარით აგდებს დათიკოს სახლიდან და მისდამი თანაგრძნობა უქრება. ამ როლის მეორე შემსრულებელი ნ. კიკაჩეიშვილი გარეგნული ელფერით გამოკვეთს ახალგაზრდა ქალის მარტოობას, ამიტომ დათიკოსთან ურთიერთობა რეალური შიშითაცაა გამოწვეული. თუმცა თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნია დათიკოს მიერ სოსოიას ცემა და მის მიმართ დამოკიდებულება ეცვლება.

შემდგომი სცენა სამხედროს გაკვეთილზე ვითარდება, სადაც მოსწავლეები ხეიბარ მასწავლებელს აბუჩად იგდენენ, ვინაიდან ყოფილ ტანკისტს პედაგოგიური გამოცდილება არა აქვს და ვერ ახერხებს მათთან საერთო ენის გამონახვას. ნ. კვანტალიანი ცდილობს მოსწავლეთა დასაოკებლად სიმკაცრე გამოიჩინოს, რაც უფრო კომიკურ ვითარებას ქმნის. აქ მთავარ აქცენტს მსახიობი თავისი გმირის შეფასებაზე აკეთებს, როდესაც მოსწავლეებთან „მებრძოლი“ მასწავლებლის დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება ხატიას უსინათლობის გაგებისას. იგი ჯერ იბნევა, სიბრალულით განეწყობა, ჩანს მისი თბილი პიროვნული თვისებები. ამიტომ, მალევე ხატიას გასამხნევებლად

იგონებს ბრძოლაში დაბრმავებასა და შემდგომში მხედველობის დაბრუნებას, რასაც მსახიობი შინაგანი განცდით ავსებს.

შ. ანთელავას ბეჟანა ემოციურად გადმოსცემს დაჭრილი რუსი ჯარისკაცის პოვნას. იგი სითბოთი და სიყვარულითაა გამსჭვალული თანასოფლელთა მიმართ. მსახიობი ზომიერად წარმოგვიდგენს მის ტემპერამენტს, ბუნებრივ ქცევას. უშუალო და გონებამახვილურია მისი დიალოგები, რადგან გონებრივი ჩამორჩენილობა მის სულიერ სამყაროს არ შეხებია, რაც ამ სახეს დრამატულს ხდის. მას მცირედი სიკეთის გაკეთებაც ახარებს. ამიტომ დიდი გულმოდგინებით ცდილობს გონებადაკარგული რუსის წამოყენებას. ამ როლის მეორე შემსრულებელ გ. შავგულიძეს აკლია ბეჟანას კოლორიტული სახის წარმოსახვა. მისი მოქმედება უფრო მეტ ემოციურობას საჭიროებს, რომ გამოიკვეთოს პერსონაჟის მნიშვნელობა სხვა გმირებისთვის. ამ სცენაში აღსანიშნავია აკვირინეს სახეც, რომელიც სოსოიას დაჭრილი რუსი ჯარისკაცის სამკურნალოდ მოჰყავს. მ. ბარდაველიძის გმირში ჩანს იუმორი, გამოკვეთილი პლასტიკა, რაც ამ ეპიზოდურ სახეს დასამახსოვრებელს ხდის.

სოფლის კრება, სადაც ირჩევა ზოგიერთი კოლმეურნეობის წევრის სამუშაოზე გამოსვლის თავის არიდების საკითხი, ყველაზე ხანგრძლივია და სპექტაკლის რიტმს ანელებს. ალბათ, უკეთესი იქნებოდა ზოგიერთი ეპიზოდის შემცირება, იუმორის უფრო გამოკვეთა, მოქმედება რომ უფრო ქმედითი გამხდარიყო. ამ სცენის მთავარ საკითხად მეზობლები მათი თხების „გამორეჭვას“ ასახელებენ. ამ მომენტში ხატია და სოსოია სკამს უკან იმალებიან და იქიდან ადევნებენ თვალს და „მხილების“ მოლოდინში დაძაბულად ისმენენ თითოეული გამომსვლელის სიტყვას. ნ. ლორთქიფანიძის ქეთოც ჩაფიქრებულია, რადგან თავს უხერხულად გრძნობს მეზობლების წინაშე და ამიტომაც ედემიკას სიმართლის თქმისკენ მოუწოდებს, რომ მორალურად განთავისუფლდეს. ნ. კიკაჩეიშვილის ქეთო კი თავმოყვარეობის შელახვას უფრთხილდება. მას სჯერა, რომ მეზობლები გაუგებენ და თანაგრძნობას გამოავლენენ. ედემიკა (ზ. ავსაჯანიშვილი და პ. კიკვაძე) უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან ქეთოს პატივისცემის მიუხედავად სიმართლის თქმას აპირებს, ვინაიდან თვითონაც გამოუვალ მდგომარეობაშია. თუმცა მიზეზის გაგების შემდეგ, უხერხულობას გრძნობს და ქეთოს თანადგომასაც უცხადებს. ამ სცენაში ყველაზე აქტიური ბეჟანაა (შ. ანთელავა), რომელიც „დანაშაულს“ საკუთარ თავზე იღებს, რომ სოსოიასა და ხატიაზე ეჭვი არავინ მიიტანოს, რასაც მსახიობი გულწრფელად წარმოაჩენს. აღსანიშნავია სოფლის თავკაცისა და კრების თავმჯდომარე ქიშვარდის სახეც. მსახიობი მ. შარიქაძე წარმოგვიდგენს ტიპიურ საბჭოთა ფუნქციონერს, ხოლო გ. კაჭახიძე ამ სახეს უფრო აშარჟებს. დასამახსოვრებელია, კრებაზე ფოსტალიონ კოწიას შემოსვლა. მსახიობი გ. გოგიშვილი გვიჩვენებს იმ პიროვნულ ტკივილს, რაც მეზობლებისთვის უბედურების მაუწყებელი წერილებით მოაქვს. კოწია განიცდის, რომ ადამიანები მის გამოჩენას დრამატულად ხვდებიან და ასეთი დამოკიდებულების ატანაც უჭირს. ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ თანასოფლელები მას ვერაფრით ანუგეშებენ და კოწიაც მარტო რჩება საკუთარ თავთან. ამ ეპიზოდში გ. გოგიშვილი მაქსიმალურად ავლენს გმირის მორალურ

მდგომარეობას. მისი სასოწარკვეთილი შეძახილი – „მე დავიწყე ომი“ დიდი ადამიანური ტკივილისა და განცდის მატარებელია. მსახიობი გულწრფელად გადმოსცემს თანასოფლელთა უბედურების საკუთარ კისერზე ტარების მორალურ სიმძიმესა და ამის გამო საკუთარ თავთან სულიერ ბრძოლას. ხალხი უსიტყვოდ ჩაუვლის კოწიას, არც მას და არც მის ჩანთიდან ამოყრილ წერილებს არავინ შეავლებს თვალს, რადგან უსიამოვნო ამბის გაგება არავის სურს, რაც უფრო ამძაფრებს კოწიას მდგომარეობას.

მეორე მოქმედება სოსოიასა და მის თანაკლასელთა სცენით იწყება, სადაც რუსი ჯარისკაცის შესახებ საუბრობენ. ალბათ, ამ სცენის შემცირებით სპექტაკლი არაფერს დაკარგავდა და მის ქმედითობას შეუწყობდა ხელს. ამ ეპიზოდს უფრო დაძაბული ვითარება მოჰყვება, როდესაც სოსოია, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, მშობლების ტანსაცმლის სიმინდზე გადაცვლას გადაწყვეტს. ამ დროს ნ. ლორთქიფანიძის ქეთო შეშფოთებულია, ცრემლს ვერ იკავებს და ცდილობს მის შეჩერებას, მაგრამ სოსოია უხმოდ ტომარაში ალაგებს ნივთებს. ამ მომენტში, ნ. ფაიქრიძის გმირი შეცბება, როდესაც დედის კაბას წააწყდება, რომლის სახსოვარსაც ეს ნივთი წარმოადგენს და ამიტომაც სათუთად ინახავს. აქ იგრძნობა ობლობაში გაზრდილი, დედის სითბოს მოკლებული ბავშვის სულიერი ტკივილი.

დიდი ადამიანური სითბოთია გამსჭვალული ბაბილოსა და კაკანოსთან სტუმრობა. ნ. ყურაშვილის ბაბილო გულწრფელად ეგებება სტუმრებს და სახლში შეიპატიჟებს. თავიდანვე ის დაინტერესდება ნივთებით, ცდილობს ჩექმები და პალტო, რომელიც ძალიან მოეწონება, დაიტოვოს და იაფად ყიდვისთვის თავის გასაჭირზეც საუბრობს. იგი ჩაფიქრდება, როდესაც სოსოიას მშობლების რეპრესირებას გაიგებს. იგი განიცდის ამ დრამატულ ამბავს, რაც მის სულში ჩარჩა, მაგრამ ამ თემაზე მაინც თავშეკავებულად საუბრობს. მისი შევაჭრება მაშინ მთავრდება, როდესაც ხატიას სიბრმავეს გაიგებს, შეცბება და სტუმართმოყვარეობაზე ამახვილებს ყურადღებას. კაკანოსაც (ბ. ხაფავა) ეცოდება ხატია, ეფერება და მზრუნველობას არ აკლებს თავისი შვილებივით, რადგან ტყუპების დაბრუნების იმედი უჩნდება. ბაბილოს შინაგანი სამყარო იძაბება, როდესაც ტყუპი შვილების კურიოზულ შემთხვევებს იგონებს. მსახიობი ამ დროს ცდილობს, თავისი განცდა არც კაკანოსა და არც სტუმრებს არ შეამჩნევინოს, თუმცა ცრემლებს ძლივს იკავებს. ნ. ყურაშვილი თვალს ადევნებს სოსოიასა და ხატიას მონათხრობს უცნობ ტყუპთა შესახებ, ხვდება მათ ნათქვამ ტყუილს, მაგრამ მისთვის ძვირფასია კაკანოს ნუგეშისცემა, რომ სამი წლის უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილები შესაძლოა ცოცხლები იყვნენ. ამიტომაც, მადლიერების გამოსახატავად იგი სოსოიას ტანსაცმელს უბრუნებს, ოღონდაც სიმინდს საჩუქრად ატანს. მსახიობი კარგად გადმოსცემს თითოეულ დეტალს, რაშიც ჩანს მისი კაცური თვისებები, ადამიანური განცდა, მაგრამ სულიერ სიძლიერეს ინარჩუნებს, რაც მის პიროვნულ დრამას სახიერად გამოხატავს. აქვე აღვნიშნავ, რომ ბაბილოს როლის მეორე შემსრულებელი ვ. ამურველაშვილი უფრო ზედაპირულად წარმოსახავს თავის გმირს. მასში არ ჩანს ის შინაგანი განცდები, რომლებიც ბაბილოს სულიერ სამყაროში

მიმდინარეობს. კაკანოს როლის მეორე შემსრულებელი ნ. გელაძე გულწრფელად განიცდის შვილების დაკარგვას, ამიტომ იმედით შეჰყურებს ხატიას ნაამბობს და სტუმრებს ახლობელ ადამიანებად აღიქვამს. აღნიშნულ სცენაში ძალიან გულწრფელია ხატია ხ. მელქაძის შესრულებით. ბაბილოს საუბარს იგი ყურადღებით უსმენს და დამწუხრებული მშობლების ნუგეშისცემაზე იწყებს ფიქრს. ამისთვის იგი „ცინცხალ" ტყილს იგონებს, თანაც ნერვიულობს, რომ რამე არ შეეშალოს და მის ნათქვამში ეჭვი არ შეიტანონ. ამიტომაც სთხოვს სოსოიას, მიეხმაროს დეტალების დაზუსტებაში. მსახიობი ემოციურად და გულწრფელად ყვება შეთხზულ ამბავს, ბავშვური გულუბრყვილობაც არ აკლია და ცდილობს სიხალისე არ მოაკლდეს ნაამბობს, უშუალოდ განიცადოს სოფელში ფრონტიდან ჩამოსული ჯარისკაცის მონაყოლი. ხატიაში ჩანს პიროვნული სიკეთე, რითაც ცდილობს მოხუცებისთვის იმედის ჩასახვას, რომ შვილები აუცილებლად დაუბრუნდებათ. ამ როლის მეორე შემსრულებელი თ. ცქვიტინიძე ხატიას ასეთ ემოციური სახის შექმნას ვერ ახერხებს. მისი გმირი მოკლებულია შინაგან განცდას. მსახიობში შინაგანად არ იბადება იმ ტყუილის აუცილებლობა, რითაც ბაბილოსა და კაკანოს გამხნევებას ცდილობს. ხატიას მიერ ტყუილის მოყოლის დაწყებისას, ნ. ფაიქრიძის სოსოიას გამომეტყველება იცვლება. ასეთ მოულოდნელობას იგი არ ელოდა და ნერვიულობს, არ იცის რა მოიმოქმედოს, ან რა უპასუხოს ხატიას. დაბნეულად ძლივს აბამს სიტყვებს და ცდილობს სიცრუე შენიღბოს, ხატიას მორჩილად დაეთანხმოს, თუმცა შინაგან პროტესტს მიმიკით გამოხატავს, მაგრამ მისთვის, როგორც პატიოსანი და გულწრფელი ადამიანისთვის ,შექმნილი ვითარება მაინც მიუღებელია. ამ სცენაში კედელზე ვხედავთ ტყუპების სურათს, რომლებიც რუსული ტიპაჟებია და სასურველია, ისინი ქართველი ბიჭების პორტრეტებით შეიცვალოს. ასევე გაუგებარია, რატომ გამოდიან სცენაზე გერასიმე (ვ. ახალაძე) და მისი მეუღლე და ისევ უსიტყვოდ გადიან, როდესაც სოსოია და ხატია იძინებენ. შეიძლება ამ პარალელით, რეჟისორს უნდოდა ეჩვენებინა შვილების დაკარგვის ტკივილი, რასაც გერასიმეს ოჯახიც განიცდის. სამწუხაროდ, ეს ეპიზოდი მოქმედებას საინტერესოს არაფერს მატებს და მისი დანიშნულება არ იკითხება, ეს სოსოიას სიზმარია, თუ სხვა რამ.

მახვილგონივრულად მიმდინარეობს სოსოიასა და მისი მეგობრების – ოტიას (გ. ჯიქურიძე, ზ. არუსია), თამაზის (ლ. გრძელიძე, ლ. გვაზავა), იაგოს (თ. ქინქლაძე, რ. ნავაძე), ნოდარას (ც. საგინაძე, დ. ხლიბოვი) მდინარეზე თევზაობის სცენა. აქ ჩანს მათი მეგობრობა, ურთიერთგატანა და ცხოვრებისეული სიხარულის შეგრძნება, რასაც მსახიობთა ორივე შემადგენლობა კარგად ასრულებს. ვითარება უფრო სახალისო ხდება ბენედიქტეს (მ. ბრეკაშვილი) გამოჩენით, რომელიც ბიჭებს თევზაობას უშლის და თვითონ იკავებს მათ ადგილს. ბიჭები გურული სიმკვირცხლით „შეუქმნიან საქმეს", თითქოს ბენედიქტეს კონსტიტუცია არ მოსწონს და დასმენით ემუქრებიან. მ. ბრეკაშვილი ამას სერიოზულად აღიქვამს, რადგან იცის, ეს ამბავი მისთვის შეიძლება ცუდად დამთავრდეს. მსახიობი გულწრფელად გადმოსცემს შიშს, თანაც თავმოყვარეობის შელახვას ერიდება და იუმორით ცდილობს თავისი

განცდების დაფარვას. ამ სცენაში ჩანს მსახიობთა იმპროვიზაცია, გმირთა იუმორს შეფარული ქვეტექსტის ირონიული გადმოცემა, ლაღი ბუნება და ერთმანეთისადმი გულწრფელი დამოკიდებულება. ამას მოჰყვება დაძაბულობითა და დრამატულობით აღსავე მეორე თევზაობის სცენა, სადაც სოსოიას, ხატიას, ბეჟანასა და რუს ჯარისკაცს თავზე დათიკო წამოადგება. მისი და სოსოიას შელაპარაკება ქვეტექსტებითა და ირონიულ-დამცინავი ტონით მიმდინარეობს. კ. ჭოლაძე და ნ. ფაიქრიძე დიალოგს საინტერესოდ წარმართავენ, სადაც ერთმანეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულება სრულად ვლინდება, რაც ანატოლისთან ფიზიკური შეხლა-შემოხლისას, ბეჟანას შემთხვევითი მოკვლით მთავრდება. კ. ჭოლაძე კარგად გადმოსცემს ამ უნებური მკვლელობის განცდას. შ. ანთელავაც ემოციურად წარმოაჩენს ბეჟანას უკანასკნელ წუთებს, როდესაც ამბობს: „მივდივარ ახლა მე და თქვენ გიტოვებთ ჩემ წილ მზესაც და ჩემ წილ ჰაერსაც. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. ჩემ წილ მიწას წავიღებ მარტო თან". ბეჟანას სიკვდილს გმირები დრამატულად განიცდიან, რადგან იგი კეთილი ბუნებით, მეგობრობისა და ერთგულების გრძნობით, ბავშვური მიამიტობითა და კეთილშობილებით, სიყვარულსა და თანაგრძნობას იმსახურებს. ამას ამძაფრებს მისი გონებრივი სისუსტით გამოწვეული სიბრალულიც. სოსოიას, ხატიასა და ანატოლის სულიერი განცდა ბუნებრივია, რაც უახლოესი და საყვარელი ადამიანის სიკვდილითაა განპირობებული. ამ სევდიანი სცენის შემდეგ, თოვლის ფანტელებს ვხედავთ, სადაც ხალხი ჩუმად მოძრაობს. ეს მხატვრული გადაწყვეტა დროის გასვლასა და თანასოფლელთა მდგომარეობაზე მიანიშნებს. ასეთ ვითარებაში სოსოია და ანატოლი ლუკაიას სტუმრობენ, რა დროსაც რუსი ჯარიკაცი მასპინძელს იმედს აძლევს, რომ მისი დაღუპული შვილი შეიძლება ცოცხალი იყოსო. ამ სცენას მსახიობები შინაგანი სიმართლით წარმოსახავენ. ანატოლის არგუმენტები დრამატურგიულად საკმაოდ არადამაჯერებელია, მაგრამ მსახიობები რ. კერვალიშვილი და დ. თარბაია თავიანთ მრწამს ემოციურად გადმოსცემენ, რაც პ. ნოზაძის ლუკაიასაც გადაედება. იგი ემოციით აღენთება და შვილის დაბრუნების იმედით ხსნის სახლზე გაკრულ შავ სამგლოვიარო აბრას. მსახიობი ბ. მეგრელიშვილი კი უფრო თავშეკავებით გამოხატავს თავის გრძნობებს. იგი ამ გადაწყვეტილებამდე შინაგანი რწმენით მიდის, რომ შესაძლოა დაღუპვის უწყება მართლაც შეცდომით მიუვიდა და მეზობლებსაც ასეთივე იმედს აძლევს. ამ შემთხვევაში მსახიობებთან პრეტენზია არ მაქვს, რადგან ისინი რეჟისორის მიერ მიცემულ დავალებას პროფესიულად ასრულებენ. ჩემთვის კი საკამათოა, დღევანდელი თვალთახედვით, რუსი ჯარისკაცის იმედის მიცემა ქართველი კაცისთვის, რაც რეალობას მოკლებულია და ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. ალბათ, აჯობებდა ეს ეპიზოდი რეჟისორს მოქმედებიდან ამოეღო. უკვე წავიდა იმ კონიუქტურის დრო, როდესაც „რუს ძმას" დადებითად წარმოსახავდნენ, დღეს კი საჭიროა მისი კრიტიკულად გადაფასება. შეიძლება მიპასუხონ, ნაწარმოებში ასეაო, მაგრამ სპექტაკლი რეალობას უნდა ასახავდეს და ამ კორექტივის შეტანა შესაძლებელი იქნებოდა.

ბეჟანას საფლავთან სოსოიას მონოლოგი, მისი სულიერი აღსარებაა, რა დროსაც ნ. ფაიქრიძე სოსოიას სულიერ განწყობას წარმოგვიდგენს. ამ სცენაში

რეჟისორმა დ. ღვთისიაშვილმა ახალგზარდა ქვრივ მაყვალას პერსონაჟი ჩაამატა, რითაც გამოკვეთა მისი დრამატული მარტოსულობა. ამავე დროს, დაგვანახა სოსოიას ერთგულება ხატიასადმი. მსახიობი დამაჯერებლად გადმოსცემს ქალის „ძალადობის" მცდელობას მოზარდზე, რომელიც უხერხულ მდგომარეობაშია და არ იცის როგორ მოიქცეს. ის გამოსავალს ხატიას გამოჩენაში ხედავს, რომლისკენაც გარბის და ეხვევა როგორც მისი სულიერი სამყაროს გადამრჩენს. მსახიობები ა. ხუროშვილი და ე. შარიქაძე გულწრფელად, ემოციურად და დრამატული ელფერით გვიჩვენებენ ახალგაზრდა ქვრივის გაუსაძლის ყოფას, ლტოლვას თანაგრძნობისა და ადამიანური სითბოსკენ, რის გარეშეც ცხოვრება აზრს კარგავს.

რეჟისორმა დ. ხვთისიაშვილმა ასევე დაამატა ახალი ეპიზოდი, როდესაც მოსწავლეები სამხედრო მასწავლებელს პაპიროსის მოწევას სთხოვენ. მართალია, ეს სცენა იუმორითა და გმირთა ხალისიანი სახეებით მიმდინარეობს, რაც მათ დავაჟკაცებასა და ხატიას გონებამახვილობაზე უნდა მეტყველებდეს, მაგრამ მთლიან მოქმედებას ახალს არაფერს მატებს, მოქმედების გახანგრძლივების გარდა.

სპექტაკლში საინტერესოდ ვითარდება წისქვილის სცენა, სადაც ბეგლარასა (ბ. გვაზავა) და სოსოიას კამათი ომთან დაკავშირებით იუმორით მიმდინარეობს და დინამიკურად ვითარდება (ეს ეპიზოდი ნ. დუმბაძეს ტრანსფორმირებული აქვს მეწისქვილესა და ყვარყვარეს სცენიდან, სადაც ყვარყვარე ნაცარში თავის გეგმებს ხაზავს და კარგად მოარგო სიუჟეტს, რაც არავის შეუმჩნევია). ისინი ნაცარში ხაზავენ გეგმებს და „პოლიტოლოგიური მიმოხილვა" თანდათან სიმძაფრეს იძენს. ბ. გვაზავა ირონიით ესაუბრება სოსოიას და მის გამოწვევას ცდილობს. ნ. ფაიქრიძეს კი შინაგანად სწამს თავისი არგუმენტების და გულიც მოსდის, როდესაც ბეგლარას მისი არ სჯერა და უკმაყოფილოდ ეუბნება – შენ ჩემსკენა ხარ, თუ გერმანიისკენო... მათი „დაპირისპირება" წყდება დათიკოს შემოსვლით, რომელსაც საფქვავი მოაქვს. ბ. გვაზავას ბეგლარა რადიკალურად იცვლება. ჯერ ეშინია დათიკოსთვის წინააღმდეგობის გაწევის და ფიქრობს, როგორ მოიცილოს ეს ავაზაკი. იგი სხვადასხვა მიზეზს ასახელებს, რომ ადრე მოსულთა რიგია ჯერო, მაგრამ დათიკო ყურადღებასაც არ აქცევს. მსახიობი გმირის თავმოყვარეობის შელახვას გამოჰყოფს, რის გამოც მისთვის გმირობის ტოლფას საქციელს ჩაიდენს და წისქვილს აჩერებს. ამიტომაც თავგამოდებით იხსნის საკინძეს და დათიკოს გულწრფელად ეუბნება – თუ გინდა მომკალიო. ამ მომენტში ბეგლარას შიშის გრძნობა უქრება და თავისი კაცური ღირსების დამცველად გვევლინება. ამ სცენაში აღსანიშნავია ქ. შერვაშიძის ფედოსია, რომელიც არ უშინდება დათიკოს და დასწყევლის მას. აქ ჩანს გმირის დრამატიზმი, მისი შინაგანი შეურიგებლობა ამ კაცის მორალურ საქციელთან, რასაც ფედოსია თავმოყვარეობის შელახვად აღიქვამს. ამ სცენაში კ. ჭოლაძის დათიკო, მართალია, გულმოსულია ასეთი მოპყრობით, შინაგანად აღელვებულია, მაგრამ ფსიქოლოგიურ წონასწორობას მაინც არ კარგავს. იგი გრძნობს, რომ თანასოფლელებმა იგი გარიყეს ბეჟანას მკვლელობისა და დეზერტირობის გამო, რადგან მიუღებელი აღმოჩნდა საერთო სატკივარის ზურგშექცევისთვის.

დათიკოს გაღიზიანებული საუბრის ტონი, უხეში მოქმედება თავისი მიზნების იოლად განხორციელებისკენაა მიმართული, რომელსაც თანასოფლელები არ უშინდებიან, რაც დათიკოს პიროვნულ დრამას უფრო გამოკვეთს. ამიტომაც ითხოვს კრებაზე დაპატიმრებას, რასაც ყველა დუმილით ხვდება და განერიდება. მათ მორალურად გაანადგურეს დათიკო, არ დაიჭირეს და სამუდამო ტანჯვა მიუსაჯეს. ვფიქრობ, ამ მომენტში ადამიანები, რომლებიც უხმოდ ჩაუვლიან დათიკოს, მეტი გამომსახველობითი საშუალებებით უნდა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, რაც მეტ მუხტს შესძენს მოქმედებას. სპექტაკლში დათიკო მშიშარა და უნებისყოფო არ არის, არამედ შეგნებულად არიდებს თავს ომში მონაწილეობას, ვინაიდან შექმნილმა დრომ და ვითარებამ მისი მიზნები და ქმედებები წარმოაჩინა. შეიძლება ითქვადს, რომ იგი დროის მსხვერპლიცაა. ამ მოტივაციის გამართლებას კ. ჭოლაძე გმირის ხასიათის ნიუანსებით ცდილობს. მას მშვიდი ცხოვრება, სიყვარული და შრომა უნდა, მაგრამ სხვა განზომილებაში აღმოჩნდა. ამ როლის მეორე შემსრულებელი გ. მაისურაძე ყურადღებას დათიკოს აბრაგობაზე ამახვილებს. მისი მოქმედება უფრო ცალმხრივი და ხისტია, ადამიანებთან ურთიერთობაც თავის ფიზიკური გადარჩენისკენაა მიმართული. შინაგანი მოტივაციაც ბოლომდე დაუზუსტებული და გაუხსნილია.

სპექტაკლის ბოლო ეპიზოდები – გერმანელი ტყვეს (ნ. ნანიტაშვილი და რ. გოგუაძე) გამოჩენა და დათიკოს ხელისუფლებისთვის ჩაბარების მცდელობა, თანასოფლელთა მორალური გამარჯვების მაუწყებელია, ვინაიდან უკიდურეს დაძაბულ ვითარებასა და გაჭირებაში სულიერად არ გატყდნენ და ადამიანური სახე, ერთმანეთისადმი ჰუმანური დამოკიდებულება შეინარჩუნეს. ფინალშიც სოსოია და ხატია მზის ფონზე რჩებიან ერთად – მზე ხომ ამ ადამიანთა თანმდევია ჭირშიც და ლხინშიც, როგორც იმედის ნაპერწკალი...

სპექტაკლის აქტუალობა, ტრადიციის გაფრთხილებასთან ერთად, იმაშიცაა, რომ ჩვენმა თაობამაც გადაიტანა ორი ომის სიმძიმე, გამოკვეთა ადამიანთა ბუნების შეცვლა. ასეთ მოულოდნელი სახეცვლილების დროს ძნელია მორალურ-ეთიკური ფასეულობების შენარჩუნება. ამიტომ გმირთა ფსიქოლოგიური წონასწორობის, იუმორისა და ჰუმანურობის შენარჩუნება მთავარი მოტივია დადგმაში, რასაც თანამედროვე საზოგადოებაში სიმძაფრე არ დაუკარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი გ. ლორთქიფანიძის ხსოვნას ეძღვნება, რეჟისორმა დ. ხვთისიაშვილმა არ მოახდინა ლეგენდად ქცეული დადგმის კოპირება. მან დაამატა ლუკაიას მიერ სამგლოვიარო აბრის ჩამოხსნის, სასაფლაოზე მაყვალასა და სოსოიას, სამხედროს გაკვეთილზე პაპიროსის მოწევის სცენები. ამოიღო თევზაობისას ხატიას წყალში ჩავარდნისა და მისი დათიკოს მიერ გადარჩენის ეპიზოდი. სპექტაკლში არის ლირიკული მოტივები, იუმორი, განცდის სიმძაფრე, მაგრამ მოქმედებისთვის დრამატული ინტონაციის მინიჭებამ კოლორიტული გურული ენაკვიმატი სიხალისე გააფერმკრთალა, დუმბაძისეული იუმორი გმირთა სულიერი თვისებაა, რაც მათი ოპტიმიზმისა და კაცთმოყვარეობის საფუძველია. ამიტომ, ზოგჯერ დიალოგებს აკლია მახვილგონივრული გათამაშება, რაც გარკვეულ სცენებში სპექტაკლის რიტმის ჩავარდნასაც უკავშირდება.

სოსოიას როლის შემსრულებელი ნ. ფაიქრიძე კარგად თამაშობს ზნეობრივად სუფთა, ურთიერთობებში გულწრფელ და ალალ-მართალ სოფლელ ბიჭს. აქვე უნდა იკვეთებოდეს მისი ბავშვური გულუბრყვილობისა და მკაცრი რეალობის აღქმის შერწყმით პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. დათიკოსთან ურთიერთობის გარკვევის, მამის ტანსაცმლის სიმინდზე გადაცვლის, ბეჟანას საფლავთან მისი მონოლოგის ეპიზოდებში უნდა ჩანდეს შინაგანი ცვლილება პიროვნული დამოუკიდებლობისა და დაკაცებისკენ, რაც მის სახეს უფრო საინტერესოსა და დამაჯერებელს გახდიდა.

ამ სპექტაკლის ბოლო ჩვენებით დახურა თეატრმა სეზონი, რომელმაც რთული შემოქმედებითი პროცესი განვლო – რეორგანიზაციიდან დაწყებული, შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებით დამთავრებული. დაიდგა ევროპული და ქართული კლასიკური, თუ თანამედროვე ნაწარმოებები, განისაზღვრა საბავშვო, მოზარდ და ზრდასრულ მაყურებელზე გათვლილი სპექტაკლების სარეპერტუარო პოლიტიკა. შეიქმნა ექსპერიმენტული სცენაც, სადაც მსახიობები თავიანთ პროფესიონალიზმს ხვეწენ, დრამატურგიულ ექსპერიმენტებს ატარებენ და დაშტამპვის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაჰყავთ. თეატრის მრავალფეროვანი შემოქმედებითი საქმიანობა საზოგადოებრივ ინტერესს ზრდის და სხვადასხვა თეატრის რეჟისორებიც სიამოვნებით ერთვებიან ამ პროცესში. თეატრმცოდნეებიც ინტერესით ადევნებენ თვალს თეატრის სახეცვლილებას. გვახარებს პრემიერაზე მისვლა, სადაც საინტერესო სპექტაკლს ველით. ვფიქრობ, ამ ტენდენციის გაგრძელებით თეატრი თავის მხატვრულ სახეს კიდევ უფრო გამოკვეთს და მხარდაჭერის სურვილი მაყურებელსა და სპეციალისტებს არ გაუნელდებათ.

თამარ ქუთათელაძე

„მე ვხედავ მზეს“

2013 წლის 13 ივნისს გამართული პრემიერა, დ. ხვთისიაშვილის მიერ განხორციელებული სპექტაკლისა ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“, მიეძღვნა გიგა ლორთქიფანიძის საიუბილეო თარიღს, რომელსაც ეკუთვნის კიდეც არა მარტო ნოდარ დუმბაძის შემოყვანა ქართულ თეატრში, არამედ თანაავტორობაც მის მიერვე განხორციელებული დადგმების ინსცენირებებისა.

როგორც ცნობილია, გ. ლორთქიფანიძის სახელოვანი დადგმის „მე ვხედავ მზეს“ პირველი პრემიერა გაიმართა 1962 წლის 30 ნოემბერს (მხატ. ო. ლითანიშვილი, კომპ. ბ. კვერნაძე) და მასში მონაწილეობდნენ იმჟამინდელი ქართული თეატრის გამორჩეული მსახიობები – გოგი ქავთარაძე (სოსოია), ქეთევან კიკნაძე (ხატია), ზურაბ ლაფერაძე (ბეჟანა). შემდგომ ეტაპზე გამორჩეული იყო შალვა გაწერელიას მიერ ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში განხორციელებული დადგმაც (მხატვარი მიხეილ ჭავჭავაძე, კომპოზიტორი დავით ტურიაშვილი, პრემიერა გაიმართა 1978 წლის 6 სექტემბერს). ორივე სპექტაკლის სადადგმო აქცენტები სრულიად განსხვავდებოდა დ. ხვთისიაშვილის მიერ შექმნილი ინტერპრეტაციისაგან. თუ ადრეულ წარმოდგენებში ნაჩვენები იყო დიდი იმპერიისა და მისი ქვეშევრდომი

ქვეყნის ომისდროინდელი ახალგაზრდების ბრძოლა თვითგადარჩენისა და ზნეობის შენარჩუნებისთვის, XXI საუკუნის მოზარდთა თეატრის დადგმაში მაყურებელმა იხილა ორი დროის მკვეთრი ტანდემი, ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფ ადამიანთა დეგრადაცია და პირიქით, თანასოფლელთა გარკვეული ჯგუფის კონსოლიდაცია სიკეთის ცხოველმყოფელი ძალის რწმენის გადასარჩენად.

მხატვარ ლომგულ მურუსიძის მიერ შექმნილ სცენოგრაფიაში უზარმაზარი მზე დასცქერის სცენურ გარემოს, სადაც უხვადაა მიმოფანტული გადაჭრილი ხის ძირები, განძარცვული ქვეყნისა და ღირსეულად დაღუპულ პირთა სიმბოლური ნიშნები. სცენოგრაფია არ აკონკრეტებს გარემოს და განზოგადებულ შინაარსს იძენს სცენაზე განვითარებული მოვლენებიც.

ტანმორჩილი, კომედიური საშემსრულებლო ხერხებისაკენ მიდრეკილი ნიკა ფაიქრიძე ლირიკულად, იუმორითა და წრფელი გამომსახველობითი ხერხებით ქმნის სოსოიას სახეს. მსახიობის მხატვრული გმირი განსხვავებულია მისი წინამორბედი, ქარიზმატული და დრამატული გამომსახველობითი ხერხებით აღბეჭდილი გოგი ქავთარაძისა თუ ალეკო მახარობლიშვილის სოსოიას სახეებისგან.

ნიკა ფაიქრიძის გამოკვეთილი ლირიზმით განსახიერებული სოსოიას სახის შესატყვისი ხერხებით თამაშობს მისი პარტნიორი ხატია მელქაძეც. მსახიობი სხივიანი თვალებითა და ცოცხალი სახისმეტყველებით წარმოსახავს სოსოიას პიროვნებაში მზრუნველობითა და სიკეთით მოხიბლული ახალგაზრდა ქალის პორტრეტს. მისი ხატია საზრიანია, მოხერხებული, თამამი და წარმოდგენის დასაწყისიდან ფინალამდე სოსოიასადმი მოსიყვარულე იერითაა აღბეჭდილი. თუ ადრეულ დადგმებში გოგი ქავთარაძის სოსოია და ქეთევან კიკნაძის ხატია, ისევე როგორც ალეკო მახარობლიშვილის სოსოია და თამარ ლოლაშვილის ხატია თანმიმდევრულად აცნობიერებდნენ ერთმანეთისკენ ლტოლვას და თავადაც უჭირდათ საკუთარი გრძნობის დაჯერება და აღიარება, ნიკა ფაიქრიძის სოსოიასა და ხატია მელქაძის ხატიას გრძნობები თავიდანვე გამოკვეთილია. წყვილის ხასიათთან სრულ ჰარმონიაშია ნინო ლორთქიფანიძის ქეთოც. კეთილი, სათნო მამიდასა და აგრესიული ფსიქოტიპის კახა ჭოლაძის დათიკოს სიყვარულისადმი ფარული ეჭვით განწყობილი სოსოია, მათ ხშირად უსპობს განმარტოების შანსს და იგი საყვარელი მამიდის შეუფერებელ პარტნიორად ესახება. ნიღბის მიღმა მიმალული დათიკოს „ღირსებები", სრულად ცხადდება ქვეყნის კრიზისულ სიტუაციაში. მხდალი, გაბოროტებული და მერკანტილური მორალისტი სატრფოს უნიღბო სახის შეცნობა მტკივნეულად იქნა განცდილი ნინო ლორთქიფანიძის ქეთოს მიერ, თუმცა საყოველთაო განწვალების ჟამს გამოვლენილი მისი ყაჩაღური თავდასხმების გამო, თანასოფლელებისგანაც ბოროტმოქმედად იქნა აღიარებული.

რეჟისორისა და დამდგმელი ჯგუფის მიერ შალვა ანთელავას ბეჟანა, დიმიტრი თარბაიას რუსი ანატოლი თუ ნიკა ნანიტაშვილის გერმანელი უდანაშაულო მსხვერპლთა სახეებად წარმოგვიდგება. ერის გასაჭირს განრიდებული და მხოლოდ თვითგადარჩენასა და პირად სარგებელზე ორიენტირებული კახა ჭოლაძის დათიკოს დანაშაული კი, უცხოტომელის დანაშაულზე შეუწყნარებელია.

მეფე ლირი თავშესაფარში

სპექტაკლის დასახელება - მეფე ლირი თავშესაფარში

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ოთარ ბაღათურია
რეჟისორი - ოთარ ბაღათურია
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
კომპოზიტორი - ლექსო ტურიაშვილი
რეჟისორის თანაშემწე - თამაზ ქარაული
კოსტიუმების მხატვარი - მაია სხირტლაძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
დოდო - ქეთი ქიტიაშვილი
სანდრო - მერაბ ბრეკაშვილი
თორნიკე - რატი გოგუაძე, ლაშა გრძელიძე
ლაშა - რატი ნავაძე
შაკო - ირაკლი გოგოლაძე
კლარა - ნინო არჩაია, ქეთი ჩაჩუა
რუსიკო - ბერტა ხაფავა, ნათია კუპატაძე
ქეთი - მაკა გოგიჩაიშვილი, ნათელა პაატაშვილი
ანიკო - ნელი ჯავახიშვილი, ქეთევან შერვაშიძე
გოგი - ვახო ახალაძე
ვანიკო - სოსო მოლოდინაშვილი, პაატა კიკვაძე
კაკო - მერაბ შარიქაძე, გია გოგიშვილი
მამა - ბესო მეგრელიშვილი
შვილი - ვანო დუგლაძე
არკადი - სერგო შვედკოვი, რაჟდენ კერვალიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 17.09.2015
სარეპეტიციო პროცესი - სამი თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
1.„რეიტინგი“ №3 – ანა კალანდაძე „მეფე ლირი თავშესაფარში“
2“ Комсомольская правда“ 2-8 ოქტომბერი, Старики или инвестори“, მედეა ამირხანოვა

გამოხმაურება

გუბაზ მეგრელიძე

ამჯერად, მოზარდის „მეფე ლირი თავშესაფარში"

დრამატურგისა და რეჟისორის – ოთარ ბაღათურიას პიესა არა მარტო საქართველოს შვიდ თეატრში, არამედ ლატვიასა და სან-ფრანცისკოშიც წარმატებით დაიდგა. პიესის აქტუალობა განაპირობა არა მარტო მარტოხელა მოხუცების ბედმა, არამედ მათ გარშემო შექმნილმა კორუფციულმა ინტერესებმა, რასაც მსხვერპლად ეწირება დაუცველი ფენა. აქ თავს იჩენს საზოგადოებაში არსებული მორალურ-ზნეობრივი პრობლემები, სადაც მდიდარი ინვესტორები ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ დაუფარავად მიდიან და წინააღმდეგობასაც ნაკლებად აწყდებიან. სწორედ საზოგადების დაცვა მედროვე „ბიზნესმენებისგან" დ აქედან გამომდინარე საჭირბოროტო საკითხების განხილვა მაყურებელსაც გულგრილს არ ტოვებს.

მოხუცთა თავშესაფრის მობინადრეთა დრამატული მოვლენებითა და ლირიკული პასაჟებით აღსავსე ცხოვრება სპექტაკლში საინტერესოდ, გმირთა სახეების მრავალფეროვანი მონაცვლეობითა და მოქმედების ლოგიკური განვითარებით მიმდინარეობს. სპექტაკლი იწყება დოდოს სახლის სცენით. ეს უკანასკნელი სულიერი დეპრესიის დროს თავის ჩამოხრჩობას ცდილობს, მაგრამ ბაწრის დამაგრებას ვერ ახერხებს. ამ ვითარებიდან იგი ტელეფონის ზარს გამოჰყავს და მეგობართან საუბრისას სევდიანად რეაგირებს სანდროს ხსენებაზე, ნიშნის მოგებით ახსენებს თეატრს, საიდანაც გულნატკენი წამოვიდა. ამავე დროს, სიცილითა და ირონიით ხვდება თანამოსაუბრის წინადადებას, „მეფე ლირი" მოხუცთა თავშესაფარში დადგას. ამ სცენაში მსახიობი ქეთევან ქიტიაშვილი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გადმოსცემს გმირის შინაგან განცდებს, მის დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი, რომლისგანაც თავდაღწევას თვითმკვლელობაში ხედავს. ამ შემთხვევაში, მარტოდ დარჩენილი დოდო სტრესულ მდგომარეობაშია, ადამიანების აღარ სჯერა და გულგატეხილს სიცოცხლე აღარაფრად მიაჩნია. თუმცა შინაგანი ხმა ცხოვრებისეული აქტიურობისკენ მოუწოდებს და დოდოც პიროვნულ ძალას იბრუნებს. შემდგომ სცენებში მისი გმირი რადიკალურად იცვლება, როდესაც ხედავს სოციალურ უსამართლობას, ადამიანთა გაიძვერობასა და უსუსურ, მიუსაფარ მოხუცთა ჩაგვრას. ამიტომაც იგი საზოგადოებრივად აქტიური და შემტევი ხდება, ცდილობს დაიცვას მობინადრეთა ინტერესები და წინ აღუდგეს მედროვე ბიზნესმენთა თავგასულობასა და კაცთმოძულე დამოკიდებულებას.

ასეთი განწყობით წარმოგვიდგება ქ. ქიტიაშვილის გმირი თავშესაფარში, სადაც იგი ჯერ დაბნეულია მისთვის უცხო და მკაცრი სამყაროს ხილვით, მაგრამ შაკოსთან დიალოგში თანდათან მტკიცე პიროვნულ თვისებებს ავლენს. შაკო, თავშესაფრის დირექტორი, მსახიობ ირაკლი გოგოლაძის შესრულებით, თავიდანვე თითქოსდა გულმხურვალე ადამიანია, რომელსაც

მოხუცთა ბედი აღელვებს და ამიტომაც დოდოს გულთბილად ხვდება, რომ არსებული პრობლემები საერთო ძალისხმევით გადაწყვიტონ, ამავე დროს შემპარავი ფლიდობით მოქმედებს (მისი პიროვნული დრამა იქიდან მოდის, რომ „პრეზერვატივების“ ბინძურ ბიზნესში გაკოტრებული დარჩა, ქონება დაკარგა და ყველაფერზე წამსვლელ მტაცებლად იქცა). ამას მოჰყვება შაკოსა და კლარას სცენა, სადაც დოდო ხედავს შაკოს შემზარავ ბუნებასა და კლარას გამომწვევ ქცევაში ძალაუფლებისა და ზეგავლენის მოპოვების სურვილს, რაც დოდოს პროტესტს უფრო ამძაფრებს.

კლარა მსახიობ ნინო არჩაიას შესრულებით გროტესკული ელემეტებით გადმოსცემს თავის ეგოისტურ მისწრაფებებს და მიზნების მისაღწევად ყველა საშუალებას მიმართავს. მისთვის მორალური ფასეულობები უკანა პლანზე გადადის, როდესაც თვითგადარჩენისა და მოპოვებული უფლებების შენარჩუნების მწვავე მომენტი დგება, ამისთვის შაკოს საყვარლობა იკისრა და თავის შესაცოდებლად მუნჯობა გამოიგონა. ასეთ შინაგან გადასვლებს მსახიობი ზომიერი გარეგნული საშუალებებით, შინაგანი განცდის ჩვენებით ახერხებს და დასამახსოვრებელ სახეს ქმნის.

ამის შემდეგ სცენაზე მობინადრეები გამოდიან, რომლებიც ხასიათთა ინდივიდუალობით, დრამატული ბედის პერიპეტიებითა და ერთმანეთისადმი თანაგრძნობით გამოირჩევიან და შაკოს სამყაროს უპირისპირდებიან. რეჟისორი ასე ძალდაუტანებლად, ბუნებრივად და ლოგიკურად წარმოაჩენს თავშესაფრის მკაცრ სამყაროს, სადაც ადამიანები ხუმრობენ, ერთამანეთისადმი მზრუნველობას იჩენენ, მაგრამ საკუთარ მდგომარეობასაც ათვითცნობიერებენ.

ამ ფონზე მრავალფეროვნად იშლება გმირთა მოქმედება. გოგისა (ვახტანგ ახალაძე) და ანიკოს (ნელი ჯავახიშვილი) დიალოგით ვიგებთ, რომ თავშესაფრის გაყიდვა ჩუმად მზადდება. ვ. ახალაძის გმირი ვერ ეგუება შექმნილ ვითარებას და პროტესტს კლარასთან დიალოგით გამოხატავს, მის დამცირებას ცდილობს, როდესაც ეუბნება – შაკოს ბოზი ხარო, თუმცა კლარას მითითებებს ემორჩილება და კალათა გააქვს. გოგის შინაგანი ბუნება ვერ იტანს ყალბ გარემოცვას, მაგრამ ქვეცნობიერად იძულებულია დაემორჩილოს კლარას ნება-სურვილს. მართალია, სიამოვნებს შაკოს საჩუქრებიც და მის დავალებას – ბუშტებით საზეიმოდ მორთოს თავშესაფარი, სიამოვნებით ასრულებს, მაგრამ ამის უკან ჩანს მისი იძულებითი ქმედება მათ მიმართ, რომლებიც მის თავშესაფარში არსებობას განსაზღვრავენ. ამიტომ არ აინტერესებს ანიკოს საუბარი თავშესაფრის მომავალზე და თავის ოთახში წასვლას ჩქარობს. გოგი ყველას თავგამოდებით უმტკიცებს, რომ იგი ყოფილი ბუხჰალტერია, რითაც სუკ-ის ყოფილ თანამშრომლობას მალავს. პერიოდულად, მას წარსულის კოშმარული სიზმრები აწუხებს და სკამიდანაც ვარდება, და გამოღვიძებული მობინადრეებს აგრესიულად უყურებს. მსახიობს კარგად აქვს მოძებნილი დეტალი, რითაც თავის წარსულს ამჟღავნებს. ერთგან იგი ხელჯოხს თოფივით მოიმარჯვებს და ამბობს, რომ ბუხჰალტერი იყო. ამ ჟესტით მიანიშნებს, სიკვდილს რომ უმზადებდა ადამიანებს.

ანიკო, ნ. ჯავახიშვილის შესრულებით, თვინიერი ადამიანია, მისი ფიქრები

დატოვებული ოჯახისკენაა მიმართული, ამიტომაც ტელეფონზე ოჯახის წევრებს ურეკავს, მაგრამ ხმას არ იღებს, ახლობლებისადმი ნოსტალგიის მიუხედევად, მათთვის თავის შეხსენება ეუხერხულება. მსახიობი კარგად გადმოსცემს გმირის შინაგან განცდებს, თუ რატომ არ ახსოვთ იგი იმ ოჯახის წევრებს, რომლებისთვისაც საკუთარ შესაძლებლობებს არ იშურებდა, ხოლო საპასუხოდ დაუმსახურებელი უყურადღებობა მიიღო. ეს სცენა რამდენჯერმე მეორდება, რასაც მსახიობი სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებებით ამდიდრებს და გმირის განცდებს სახიერს ხდის.

ამ დაძაბულ ვითარებას განმუხტავს ქეთისა (მაკა გოგიჩაიშვილი) და რუსიკოს (ბერტა ხაფავა) დიალოგი, რომელიც ირონიული ტონითაა განმსჭვალული, ბავშვური გულუბრყვილობითა და იუმორითაა აღსავსე, რაც მათ უმწეო მდგომარეობას გამოჰკვეთს. ქეთი, მ. გოგიჩაიშვილის შესრულებით, სკლეროზითაა დაავადებული და საკუთარი მდგომარეობის გათვითცნობიერება უჭირს, ამიტომაც ხუმრობის ხასიათზეა და თავისი დამოკიდებულებით სხვებსაც ამხიარულებს, ავიწყებს რეალობას, თუმცა ამ კონტრასტით საკუთარ მიუსაფრობას დრამატულს ხდის.

ბ. ხაფავას რუსიკო თავის გარდაცვლილ შვილს, თინიკოს, ეძებს, გადასახლების ამბებს იხსენებს. მისი მთავარი საფიქრალი წარსული გამხდარა, რადგან იქ ეგულება ის იმდი, რომელიც რეალურად აღარ არსებობს. მას თავშესაფრის ბედი აწუხებს და ცდილობს,თავისი განცდები სხვებსაც გაანდოს და გამოსავალს დოდოს აქტიურობაში ხედავს.

ამასობაში დოდო სპექტაკლის დასადგმელად გატაცებით ემზადება, შეცბება, მისი ყოფილი მეუღლის, სანდროს, მოსვლის გაგებით, თუმცა საქმეს განაგრძობს და არ უნდა თავისი ემოცია სხვებმა შეამჩნიონ. აქტიური სარეპეტიციო პროცესით შეშფოთებული შაკო ცდილობს ყველასთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს და ყურადღება გამოიჩინოს, რომ თავის მიზანს მობინადრეთა წინააღმდეგობის გარეშე მიაღწიოს. ამიტომ უკვირს რეპეტიციის მსვლელობა, ვინაიდან დარბაზი დისკოტეკისთვის გააქირავა და ცდილობს დოდოს გულთბილობით, მოფერებით შეაწყვეტინოს რეპეტიცია. წინააღმდეგობის გაწევის დანახვისას ვ. ახალაძის გმირი ბრაზობს და დოდოსთან ცალკე უნდა საკითხის მოგვარება. პოზიციათა შეუჯერებლობის შემდეგ, ყველა აღშფოთდება შაკოს ნათქვამზე დოდოს მიმართ – ეს სპექტაკლი შენს მეტს არავის სჭირდებაო. მდგომარეობას განმუხტავს კატლეტიანი სადილის გაგონება, რაც მათ აწყნარებთ და სიამოვნებას ანიჭებთ.

ამ სცენის შემხედვარე დოდო მაგიდასთან გულდაწყვეტილი დგას. წამით ეჭვდება წამოწყებული საქმის საჭიროებაში, რა დროსაც სანდროს დაინახავს. სანდრო უცებ ვერ ცნობს დოდოს და ახლოს მისვლისას გაკვირვებით ეუბნება – შენ? დოდო მორიდებით გვერდზე გაიხედავს, არ მოელოდა ასეთ მდგომარეობაში სანდროს ხილვას, მაგრამ ლირის თამაშს მაინც სთავაზობს, რადგან თავისი მიზნის განხორციელებას სწორედ სანდროში ხედავს.

სანდროს, მერაბ ბრეკაშვილის შესრულებით, საკუთარი თავისა და შემოქმედების აღარ სჯერა. იგი გალოთებულ და დეგრადირებულ ადამიანად

იქცა, მას აღარ ახსოვს, შვილები ბოლოს როდის ნახა და უკვირს ვაჟის, ნიკას, ამერიკაში წასვლის ამბავი. ამ სულიერად ძნელად ასატან ამბავს შაკოს შემოსვლა ამძაფრებს, რომელიც სანდროს წასვალს მოსთხოვს, რა დროსაც სანდრო თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს. შაკო კი მოურიდებლად იწყებს დოდოსთან მოლაპარაკებას და თავის მოადგილეობასაც სთავაზობს, რაზეც დოდო ირონიულად რეაგირებს და სანდროს შაკოს ცემას სთხოვს, რომელიც მათ დიალოგს თვალს ადევნებს და ახლომახლო დადის. შაკოს მიერ შეურაცხმყოფელი დიალოგი დოდოსადმი, მ. ბრეკაშვილის გმირს ძალას მატებს და შაკოს გაარტყამს. ეს წუთიერი ძლიერი სულის გამოვლინებაა სანდროსთვის, რასაც თავადვე არ ელის.

ქ. ქიტიაშვილის დოდოს სიამოვნებს სანდროს ვაჟკაცობის გამოვლინება და უფრო გულთბილად იწყებს მასთან საუბარს, ამავე დროს მასში ქალური კეკლუცობაც იღვიძებს, ორივეში თავმოყვარეობისა და პიროვნული თვისებების გამოღვიძებასთან ერთად წარსულის მოგონებების გახსენებაც იწყება, რაც წლობით გაწყვეტილი ურთიერთობების დათბობას უწყობს ხელს. ამიტომაც ცდილობს დოდო, რომ სანდრო წლობით უნახავ შვილს დაალაპარაკოს და მისი ხმის გაგონებით გაახაროს. სანდრო განიცდის, რომ ნიკა ცათამბჯენის 67-ე სართულზე შუშებს წმენდს, საოცნებო ფილმის გადაღების ნაცვლად, რა იმედითაც იგი ამერიკაში წავიდა.

დოდოს სანდროს ასეთი განცდები, რწმენის დაბრუნება, მისი პიროვნების აღსადგენად სჭირდება, ვინაიდან თავის მხარდამჭერს ეძებს. ამიტომაც მას თავზე ლირის გვირგვინს ადგამს, რაც სანდროს უფრო ჩააფიქრებს საკუთარ ბედსა და არსებულ ვითარებაზე. მსახიობი გამოჰყოფს იმ გარემოებას, რომ იგი გალოთებული კი არ არის, არამედ სულიერადაა დაცემული და აღარაფრის სჯერა. დოდოს შემართება მასზე მოქმედებს და შემდგომ სცენაში, როდესაც იგი ლირის მონოლოგს კითხულობს, უკვე პიროვნული ძალა გამოსჭვივის, რაც ყველას მის მოსმენას აიძულებს და დოდოც გახარებულია მისი თამაშით.

სანდროს მონოლოგი – პირუტყვად ქცეულ შაკოსკენაა მიმართული და მისი საქმიანობისადმი პროტესტის გამომხატველია. მ. ბრეკაშვილი კარგად გამოხატავს, თუ სანდროში თანდათან როგორ იღვიძებს პიროვნება და პრინციპული ხასიათი. ეს სულიერი აღზევება კვლავ საფრთხის წინაშე დგება, როდესაც ყოფილ ცოლ-ქმარს თავშესაფარში ბიზნესმენი შვილები მიაკითხავენ. თორნიკე (რატი გოგუაძე) საკუთარ თავში დაჯერებული ადამიანია, რომელსაც, საქმიანი ურთიერთობების გარდა, სხვა არაფერი აინტერესებს და ძმისათვის ცდილობს მშობლების „შეტენვას“, ხოლო ლაშას (რატი ნავაძე) უფრო შერჩენია თანაგრძნობა და თავმოყვარეობა, ამიტომაც არ იცის, რა უპასუხოს მამას, რომელიც ბავშვობაში ლექსების წერას ახსენებს, რითაც სულიერ ფასეულობებზე მიანიშნებს. მიუხედავად ამისა, რ. ნავაძე ირონიულია თავისი გმირის მიმართ, რომელსაც ფულზე ფიქრმა სულიერება აღარ შეარჩინა. სინამდვილეში მათ არც მშობლები მონატრებიათ და არც მოხუცთა ბედი აინტერესებთ, ორივეს მამის ერთოთახიანი ბინის გადაფორმება უნდა. სანდროს თავიდანვე აღეძვრება ეჭვი შვილების ასეთი „ყურადღებისადმი“ და ხედავს

მათი დეგრადაციის მიზეზებს. ამიტომაც გადაწყვეტს პროტესტის ნიშნად თავის დაწვას და ბენზინის კანისტრის გადავლების შემდეგ, ასანთს უკიდებს, რომელიც, მისდა გასაკვირად, არ ინთება. ირკვევა, რომ შაკომ ბენზინი წყლით შეცვლა და სანდროც გაბიაბრუებული რჩება. ამას დოდოს დაცინვაც ემატება – წყალი გადაისხი? რაც სანდროში ღირსების დამცირებას იწვევს და დოდოსთან ჩახუტებული კვდება.

სპექტაკლი გამოირჩევა მსახიობთა ანსამბლურობით. არც ერთი მათგანი სცენაზე უქმად არ დგას და მათი გმირებიც მოქმედებაში საინტერესოდ არიან ჩაბმულნი, რამაც კოლორიტული სახეების შექმნა განაპირობა. თითოეულ გმირში იგრძნობა ის პიროვნული გარდასახვა, რამაც მათი უკანასკნელი იმედი უნდა გადაარჩინოს.

სერგო შვედკოვის არკადი უბრალო რუსი ადამიანია, რომლის გართობაც თევზაობაა, სპექტაკლში მონაწილეობაც გულწრფელად სურს, მაგრამ ქართული ენის არცოდნის გამო, უარის მიღებისას ცუდ გუნებაზე დგება და დემაგოგიურად „დემოკრატიას“ ირონიულად ახსენებს. იგი კომუნისტური რეჟიმის შვილია, რომლისთვისაც ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო და ვერ ეგუება ახალ ცხოვრებისეულ პირობებს, ამიტომაც აქტიურობს, რომ როგორმე ჩაერთოს სპექტაკლის მომზადებაში და საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილოს.

ს. მოლოდინაშვილის ვანიკო საკუთარ თავს ლირის ბედს ადარებს, ვინაიდან შვილებს ქონება გაუნაწილა, მაგრამ სამაგიეროდ თავშესაფარში აღმოჩნდა. ამიტომ გატაცებით მუშაობს და, როდესაც კაკი (მერაბ შარიქაძე) რეპეტიციიდან ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადის, ლირის როლს ირგებს, გარდასახვითაა გატაცებული, თუმცა შექმნილ ვითარებაზე ფიქრობს და დოდოს წასვალზე სინანულით ლაპარაკობს. ამიტომაც მისი პროტესტი უკიდურეს ფორმას იღებს და თავის დაწვით იმუქრება, რისთვისაც ბენზინის კანისტრა შემოაქვს.

მ. შარიქაძის კაკი, სკლეროზის მიუხედავად, მონდომებით გადის ლირის რეპეტიციებს. მისთვის ეს როლი ის სულიერი საზრდოა, რამაც მის არსებობას აზრი მისცა და უხარია, რომ სიცოცხლის ბოლოს სასარგებლო საქმის გაკეთება შეძლო, ამიტომ თავდაუზოგავად მუშაობს, რომ როლი სხვას არ გადასცენ. საქმეში აქტიურად ჩაება და თავშესაფრის გაყიდვის წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის.

სპექტაკლში სახიერია მამა-შვილის სცენა. მსახიობ ბ. მეგრელიშვილის მამა ტრაგიკულად განიცდის თავშესაფარში მოსვლას. მისთვის ეს ცხოვრების დასასრულის ტოლფასია, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდა. ამიტომაც მისი სიჩუმე მრავლისმთქმელია, რომელსაც ცრემლნარევი შეძრწუნება თან სდევს. შვილის სახე, მსახიობ ვ. დუგლაძის შესრულებით, დრამატულია, რომელსაც სხვა გზა აღარ დარჩენია, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის გარდა. ამიტომ შინაგანად შეწუხებულია მამის თავშესაფარში მიყვანით, რასაც სხვა დროს არ დაუშვებდა, მაგრამ ცხოვრებამ აიძულა მისთვის მიუღებელი საქციელის ჩადენა. რცხვენია მამის ცრემლების და მის დაწყნარებას ცდილობს. ასეთი მდგომარეობა ორივეს ტრაგედიაა, რაც მათ ბედმა არგუნა. ვ. დუგლაძე ამ ეპიზოდს კარგად

თამაშობს, გულწრფელია და ემოციით აღსავსე და შეუმჩნევლად იპარება.

სპექტაკლის ფინალში ორსართულიანი კონსტრუქცია იშლება და მოხუცები ჰაერში გამოკიდებულნი რჩებიან (სცენოგრაფი ა. ჭელიძე). ასეთივე დამოკიდებულებაა დღეისთვის ხელისუფლების „ზრუნვის“მხრივ საზოგადოების მიმართ, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაშია შექმნილი სოციალურ-ფინანსური კრიზისული პრობლემების გამო. ამ პიესის წარმატების მიზეზიც იმაშია, რომ რეჟისორს საშუალებას აძლევს საინტერესო საკითხებზე იმსჯელოს. დასკვნა მაყურებელმა უნდა გამოიტანოს. სწორედ ამაშია თეატრის საზოგადოებრივი მისია.

ნერონ აბულაძე

მეფე ლირი მორიგი თავშესაფრის მოლოდინში...

„მეფე ლირი თავშესაფარში“ – ასე ქვია პიესას, რომელიც რეჟისორმა და დრამატურგმა ოთარ ბაღათურიამ ჯერ კიდევ 2000 წელს შექმნა და გამოქვეყნებისთანავე წლის საუკეთესო დრამატურგიულ ნაწარმოებად დასახელდა. მას მერე დაიწყო თეატრალურ ინტერპრეტაციათა უწყვეტი ციკლი. იშვიათად ჩაივლიდა წლის ქართული თეატრალური სეზონი, რომ რომელიმე – (მესხეთის, ახმეტელის, ოზურგეთის, ბათუმის და არაერთი სხვა) – თეატრს არ მიემართა აღნიშნული დრამატურგიული პირველწყაროსათვის. უფრო მეტიც, პიესის პოპულარობა გაცდა ქვეყნის ფარგლებს და რამდენადაც ცნობილია, ევროპის ექვსი ქვეყნის სხვადასხვა თეატრში განხორციელდა. პირველ რიგში, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გარკვეულ შემთხვევებში ავტორი დგამდა თავისსავე ნაწარმოებს. ასეა თუ ისე, ბოლო ათწლეულში პიესის ასეთი პოპულარობა მის აქტუალურობაზე მეტყველებს და ისიც ცხადია, რომ დრამატურგის მიერ წამოჭრილი საკითხები, დღემდე მტკივნეულ პრობლემად რჩება თანამედროვე ქართულ (და არა მარტო) საზოგადოებაში. ოთარ ბაღათურია არა ერთგზის აღნიშნავს, რომ პიესა მიზანმიმართულად ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის დაიწერა, სადაც თავად დიდი ხანია მოღვაწეობს და შესაბამისად კარგად იცნობს დასის პროფესიულ პოტენციალს. იმ ხანად გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო კონკრეტული თეატრისა და კონკრეტული მსახიობებისათვის შექმნილ პიესას გამიზნულ სცენაზე მხატვრული სიცოცხლე არ ღირსებია. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ მცირე დაბრკოლებამ ხელი ვერ შეუშალა ნაწარმოების მიმართ რეჟისორთა სხვადასხვა თაობის აქტიურ ინტერესს.

პიესა თავისი შინაარსითა და ხასიათით ფსიქოლოგიურად მართალი თეატრის ფუნდამენტურ პრინციპებს ეყრდნობა. ავტორი ზედმიწევნით რეალისტურ ფერებში ხატავს მიუსაფარ მოხუცთა ტრაგიკულ ცხოვრებას და უიმედო პერსპექტივას. დრამატურგიული სტრუქტურურა, კომპოზიციური წყობა თუ მიზანსცენათა თანმიმდევრული მონაცვლეობა ლოგიკურად ვითარდება. არსებობს ერთი მოცემულობა – მოხუცთა თავშესაფარში სხვადასხვა მიზეზით

მოხვედრილ ადამიანთა თანაცხოვრება და ურთიერთობები. საწყის ეტაპზე თითოეული მათგანი ეგუება არსებულ მდგომარეობას. შესაძლოა ვიღაც უხმოდ იყოს, ვიღაც კი პირიქით, გაცილებით მეტს ხმაურობდეს.. ერთი შვილს ურეკავს და ყურმილს უკიდებს, მეორე შვილს სთხოვს უკან წაყვანას... მოცემულობა მძიმე და ტრაგიკულია. და მაინც არსებობს რაღაც იმედი, ერთგვარი საყრდენი, თვით – გადარჩენის ქვეშეცნეული ინსტინქტი. უბრალოდ შეთანხმდებიან, რომ მოხუცთა თავშესაფარში დადგან სპექტაკლი, არც მეტი და არც ნაკლები, შექსპირის „მეფე ლირი". ყველა თავის როლს ირგებს და ასე, ყოველ დღე. თუმცა იცვლება მოცემულობა და იცვლება თავშესაფრის ბინადართა ცხოვრების პერსპექტივაც. მიტოვებულ მოხუცთა მცირე ჯგუფის გამო მოზრდილი ფართის უფუნქციოდ მოცდენა სრულ წინააღმდეგობაში მოდის პროგრესულად მოაზროვნე „მენეჯერთა" ინტერესებთან. მობინადრეები არ თმობენ „კუთვნილ" ადგილ-სამყოფელს. ვხედავთ ორი, სრულიად უთანასწორო ძალის ტრაგიკულ შეპირისპირებას და უიმედო დასასრულს. რასაკვირველია, ნაწარმოები მოიცავს არაერთ პლასტს, მკვეთრ კონტრასტს, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ ავლენს მოქმედ გმირთა რთულ ურთიერთობებს.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის თეატრალურ სეზონზე ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ოთარ ბაღათურიას რეჟისორობით, როგორც იქნა, „მეფე ლირი თავშესაფარში" – შედგა პრემიერა. ბუნებრივია, ალტერნატიულ თეატრალურ სივრცეში და ახალ არტისტულ შემადგენლობასთან მუშაობა რეჟისორს იმავე შედეგამდე ვერ მიიყვანდა რაც წლების წინ იყო, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ნამდვილად არ გვაქვს საქმე მკვეთრად განსხვავებულ სცენურ გადაწყვეტასა თუ ახლებურად გააზრებულ პიესასთან. ავტორ –რეჟისორი ბოლომდე ერთგული რჩება როგორც თავისი სადადგმო კულტურის, ისე ტექსტისა. რასაკვირველია, პიესისა და შესაბამისად სპექტაკლის მიმართაც შეიძლება გვქონდეს მცირე შენიშვნები, ვგულისხმობ კონკრეტული ფაქტის, მოვლენის, გადაჭარბებულ დრამატიზებას, რაც, ვფიქრობ, ბოლომდე სრულ შესაბამისობაში ვერ მოდის წარმოდგენის საერთო განწყობასთან, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ჩვენ ამჯერად არ ვიხილავთ რომელიმე თეატრალურ ტრაქტატს, არ ვსაუბრობთ რომელიმე მხატვრულ მიმდინარეობასა და ახალ ტენდენციებზე. არც პოსტმოდერნიზმის – ტრადიციულსა და ნოვაციურს, კონსერვაციულსა და განახლებულს, ვერბალურსა და არავერბალურს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობათა მიღმა არ ვეძებთ რამეს... ჩვენ წინაშეა თანამედროვე საქართველოს ტრაგიკული რეალობა, რომელსაც ხშირად ვაწყდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეფე ლირის შექსპირისეული გამოძახილიც პირდაპირ და მარტივად შეიძლება აიხსნას – ამ პერსონაჟებმა ყველაფერი გაიღეს თავიანთი შვილებისათვის და სანაცვლოდ, სრულიად მარტონი აღმოჩნდნენ...

წარმოდგენა ორი მოქმედებისაგან შედგება, სადაც დასის უმრავლესობაა (მერაბ ბრეკაშვილი, ქეთი ქიტიაშვილი, ნინო არჩაია, ბერტა ხაფავა, ვანო დუგლაძე, ბესო მეგრელიშვილი, იოსებ მოლოდინაშვილი, პაატა კიკვაძე, რატი გოგუაძე, ლაშა გრძელიძე, გიორგი გოგიშვილი,მერაბ შარიქაძე,

ვახტანგ ახალაძე, ქეთი ჩაჩუა, ირაკლი გოგოლაძე, ნათია კუპატაძე,რაჟდენ კერვალიშვილი, თამარ ლოლაშვილი, რატი ნავაძე, სერგო შვედკოვი, ქეთევან შერვაშიძე, მაკა გოგიჩაიშვილი, ნელი ჯავახიშვილი, ნათელა პაატაშვილი, მამუკა მუმლაძე) დაკავებული. საშემსრულებლო თვალსაზრისით დასი მაქსიმალური ანსამბლურიბით გამოირჩეოდა. სხვადასხვა თაობის მსახიობები ერთ სამოქმედო სცენურ სივრცეში ორგანულად ერწყმოდნენ ერთმანეთს. პიესის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მსახიობისაგან ისევ და ისევ წარმოდგენილი რეალობის იდენტურ, მოზომილ და მხატვრულად დამაჯერებელ აღქმა-გადმოცემას გულისხმობს, შედეგი მიღწეულ იქნა.

პირქუში სცენური სივრცე (მხატვარი აივენგო ჭელიძე) თავიდანვე ქმნის სასიცოცხლო საყრდენს გამოცლილი საზოგადოების ერთგვარ მინი -მოდელს. ავანსცენა მაქსიმალურად თავისუფალია ზედმეტი ბუტაფორიული დეტალებისგან. სცენის სიღრმეში აღმართული კონსტრუქცია პირობით სართულებად იყოფა, სადაც მობინადრეთა ოთახებია განთავსებული. კამერული, მკაცრი მიკრო სამყარო ტრაგიკული დასასრულის მოლოდინში. ზედმიწევნით ყოფითი და უბრალო კოსტიუმები (მაია სხირტლაძე) ზუსტად აკონკრეტებს მოქმედების ადგილსა და დროს. ეს რეჟისორის თავშესაფარია...შეულამაზებელი, ხარაჩოებისაგან შეკოწიწებული, შემოდგომის მოყვითალო-ნარინჯისფერ ფერებში შემოსილი, 20-21 საუკუნეთა მიჯნას მიღწეული საქართველო გაურკვეველი პერსპექტივის მოლოდინში...

რექვიემი

სპექტაკლის დასახელება - რექვიემი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ვასილ კიკნაძე
რეჟისორი - ლილი ბურბუთაშვილი
მხატვარი - მაია სხირტლაძე
ქორეოგრაფი - ცისია ჩოლოყაშვილი
რეჟისორის თანაშემწე - თამაზ ქარაული
რეჟისორის ასისტენტი - რაჟდენ კერვალიშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ახმეტელი - ვანო დუგლაძე
ბერია - ნუგზარ ყურაშვილი
ესტატე - სოსო მოლოდინაშვილი
ღარიბოვი - ვასილ ამურველაშვილი
შეკატიხინი - რაჟდენ კერვალიშვილი
ხორავა - ზვიად ურიდია
ვასაძე - ირაკლი გოგოლაძე

თამარა წულუკიძე - ნინო არჩაია
ხათუნა ჭიჭინაძე - სალომე მაისაშვილი
ბუჟუჟა შავიშვილი - სოფო ახუაშვილი
ვანიკო აბაშიძე - ლაშა გრძელიძე
გარიკი ვაჩნაძე - პაატა კიკვაძე
ია ქანთარია - ცოტნე საგინაძე, გიორგი კაჭახიძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 06.11.2014
სარეპეტიციო პროცესი - ერთი თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
ნიკა წულუკიძე „რეალობა და მითი, ანუ ახმეტელი ჩვენს ცნობიერებაში, „თეატრი და ცხოვრება“; № 6.

გამოხმაურება

თამარ ქუთათელაძე

„რექვიემი“

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა თანამედროვე ქართული თეატრმცოდნეობის ერთ-ერთი პატრიარქის – ვასილ კიკნაძის დოკუმენტური პიესა “რექვიემი”. თეატრმა ეს სპექტაკლი შექმნა გასული საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მოვლენებზე ახალი თაობის ინფორმირებისათვის და იმავდროულად თავად ბატონი ვასილ კიკნაძის 85 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. მან სწორედ XX საუკუნის 30-იან წლებში რეპრესირებული და სპექტაკლის ერთ-ერთ მთავარ გმირად მოაზრებული დიდი ქართველი რეჟისორის,სანდრო ახმეტელისა და მისი თანამოაზრე რუსთაველის თეატრის მოღვაწეთა მემკვიდრეობის კვლევას უძღვნა თავისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომები. პიესას საფუძვლად დაედო ვასილ კიკნაძის ნაშრომი „წამებული რაინდები“.

რეჟისორმა ლილი ბურბუთაშვილმა და მხატვარმა მაია სხირტლაძემ სცენაზე ლაკონურად შექმნეს მშფოთვარე წლების ამსახველი გარემო. თითქმის ცარიელ სცენაზე მიმოფანტულია ე.წ. რეპრესირებულთა ფიტულები. სპექტაკლში წამყვანის ანუ „სისხლიანი ტერორის“ წლებში რუსთაველის თეატრის მუზეუმის თანამშრომელ ესტატე ბერიაშვილის როლს ამაღელვებლად განასახიერებს მსახიობი იოსებ მოლოდინაშვილი. როგორც ცნობილია, სწორედ ესტატე ბერიაშვილი გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც იმ სახიფათო 37-იან წლებში შთამომავლობას შემოუნახა რუსთაველის თეატრის რეპრესირებულ მოღვაწეთა მემკვიდრეობის ამსახველი დოკუმენტები. მსახიობის სულში ჩამწვდომი ხმა და მღელვარე ინტონაცია, რომელშიც დროდადრო მკაფიოდ მოისმის შეკავებული ცრემლი და მრისხანება, მკაფიოდ გამოხატავს თანადგომას უდანაშაულოდ დაღუპული გამორჩეული პიროვნებების მიმართ, რომელთა

დაღუპვაც დიდი დანაკარგი აღმოჩნდა, ხოლო საზოგადოება სამარცხვინოდ უმწეო მათ დასაცავად.

მსახიობები წარმოგვიდგენენ განსასახიერებელი პიროვნებების ცხოვრებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის ძირითად ფრაგმენტებს. სპექტაკლიდან ახალი თაობის მაყურებელი ლაკონურად, ემოციურად და სახიერად ეცნობა ქართული თეატრის სახელოვან ისტორიაში ახმეტელის თანაგუნდელთა დამსახურებასაც და სიმბოლური 37-იანი წლების სისასტიკესა თუ გაბოროტებული ადამიანის გადაგვარების მასშტაბსაც.

სპექტაკლში იკვეთება რეჟისორის მცდელობა, ვიზუალურადაც მიამსგავსოს მსახიობები მათ მიერ განსასახიერებელ მოღვაწეებს, თუმცა თავად მსახიობებიც, სახელოვანი პიროვნებებისადმი დიდი თანადგომის, პატივისცემისა და საკუთარი პროფესიონალიზმის მეშვეობით წარმატებით ახერხებენ შექმნან მათი სცენური პორტრეტების ძირითადი შტრიხები.

ვანო დუგლაძე სცენაზე წარმოსახავს ახალგაზრდა, მომხიბლავი, საკუთარ პროფესიაზე თავდავიწყებით შეყვარებული სანდრო ახმეტელის უკომპრომისო სახეს. პაატა კიკვაძე – შინაგანი კეთილშობილებით განათებულ, ქართული თეატრმცოდნეობის ერთ-ერთ ორიგინალურ მოაზროვნე ვახტანგ გარიკ-ვაჩნაძეს. მსახიობის მიერ დიდი თანალმობით განცდილი ამ ორიგინალური პიროვნების ამაყი, მამაცი და მტკიცე ხასიათი შთამბეჭდავია. ზვიად ურიდია სცენაზე ქმნის აკაკი ხორავას დამყოლ ხასიათს, ირაკლი გოგოლაძე კი კრიტიციზმით გამორჩეულ აკაკი ვასაძის პორტრეტს. მომაჯადოვებლად მომხიბლავი და ჰაეროვანია ნინო არჩაიას თამარ წულუკიძე, ქალური ეშხითა და თანაგუნდელებისადმი ერთგულებით აღბეჭდილა სალომე მაისაშვილის ბუჟუჟა შავიშვილი.

ლავრენტი ბერიას პორტრეტული მსგავსებისაგან რადიკალურად განსხვავებულია ტანმაღალი, ინტელიგენტური გარეგნობის ნუგზარ ყურაშვილი, მაგრამ მაღალი პროფესიონალიზმით, ბერიასეული განუყრელი, ცხვირის წვერზე დასკუპებული მრგვალი სათვალით, შეუვალი ტონითა და მრისხანე იერით, მსახიობი სახიერად ხატავს 37-იანი წლების ერთ-ერთი დიდი დირიჟორის სისხლსავსე პორტრეტს.

სცენაზე უჩვეულოდ დელიკატური ფორმითაა განსახიერებული წამების სცენები. მსახიობები უჩვეულო სიზუსტით წარმოგვიდგენენ ხელისუფალთა ნების უსიტყვო აღმსრულებლებს, ბოროტების თანამოაზრე, სადამსჯელო მანქანის ყველაზე სასტიკ ჭანჭიკებს. რაჟდენ კერვალიშვილი ქმნის ,,სახელოვან" შეკოტიხინის ნიღაბს, ვასილ ამურველაშვილი არტაშიანს, გიორგი კაჭახიძე ცკ-ს თანამშრომელს და თითოეული მსახიობი ასახავს მათი ,,გმირის" ხასიათის ძირითად თვისებას – საკუთარი პროფესიული მდგომარეობის შეუცვლელი საჭიროების მყარი განცდით აღსავსე ადამიანების მიერ უსამართლო და სასტიკი განაჩენის გამორჩეული სიამაყით, პიროვნების ღირსების შელახვის ტკბობით აღმასრულებელს.

ვფიქრობ, ლილი ბურბუთაშვილის მიერ განხორციელებული ,,რექვიემი" ერთ-ერთი წარმატებული დადგმაა მის რეჟისორულ მოღვაწეობაში.

ნიკოლოზ წულუკიძე

რეალობა და მითი ანუ ახმეტელი ჩვენს ცნობიერებაში...

2014 წლის გაზაფხულზე, მწერალ დავით ტურაშვილთან ერთად გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში გახლით მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიხედვით დადგმული სპექტაკლის სანახავად. სპექტაკლის რეჟისურა ქალბატონ ლილი ბურბუთაშვილს ეკუთვნოდა. მაყურებლის აბსოლუტურ უმრავლესობას სკოლის მოსწავლეები წარმოადგენდნენ, რომლებიც საოცრად განიცდიდნენ დიდი ქართველი მწერლის ცხოვრების ტრაგიკულ დეტალებს და ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა მეც და დათოსაც, რომ ზოგიერთმა მათგანმა პირველად გაიგო, როგორი რთული და ამავედროს საინტერესო ცხოვრება განვლო მიხეილ ჯავახიშვილმა. სპექტაკლის მსვლელობის დროს მესმოდა ჩურჩული, – „ეს მართლა ასე მოხდა?“ „მართლა ასე აწამებდნენ ხალხს?“ და ასე შემდეგ... სწორედ ამ დროს გამიჩნდა სურვილი ასეთივე სპექტაკლი ალექსანდრე ახმეტელის შესახებაც დადგმულიყო, რადგან, სამწუხაროდ,დღევანდელი ახალგაზრდები თითქმის არ იცნობენ მის შემოქმედებას და არ იციან, როგორი მასშტაბური აზროვნების ინტელექტუალი იყო. ჩემი ეს სურვილი თბილისისაკენ მომავალ გზაზე ქალბატონ ლილისაც გავანდე... და იმავე წლის 6 ნოემბერს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა „რექვიემი“, რომელსაც საფუძვლად დაედო ცნობილი თეატრმცოდნის, ვასილ კიკნაძის ნაშრომი „წამებული რაინდები“. რომ არა ბატონი ვასო და მისი რამდენიმე თანამოაზრე, დღეს შეიძლება ბევრს არ სცოდნოდა სანდრო ახმეტელის გენიალურობა და მისი ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე (და არა მარტო თეატრის). რამდენიმე წიგნი, ასამდე საგაზეთო თუ სამეცნიერო ნაშრომი, სალექციო კურსში, განსაკუთრებული სიყვარულით წაკითხული ქართული თეატრის ისტორიის სწორედ ეს პერიოდი და მრავალი სხვა ფაქტი, ალბათ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ბატონმა ვასომ თავისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მიუძღვნა ალექსანდრე ახმეტელის სახელის უკვდავყოფას. თუნდაც ის, რომ დღეს მეტროს ერთ-ერთ სადგურს სწორედ ახმეტელის სახელი ჰქვია. ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ სპექტაკლის პრემიერა სწორედ ბატონი ვასოს 85 წლის საიუბილეო თარიღს დაემთხვა.

მხატვრულ-დოკუმენტური დრამა – აწერია აფიშას და მაყურებელში გარკვეულ ასოციაციებს იწვევს. წარმოდგენასავით ახმეტელის ცხოვრებაც ხომ გარკვეული ბურუსითაა მოცული, თანაზიარია ერთმანეთთან რეალობა და მითი. საფუძველი კონფლიქტისა იყო ეს შემოქმედებითი თეატრალურ ესთეტიკათა შეუთავსებლობა კოტე მარჯანიშვილსა და ალექსანდრე ახმეტელს შორის თუ პიროვნული უთანხმოება, რომელსაც გარემოცვამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ანდა უბრალოდ მათგანვე წარმოიშვა. მაქსიმალურად ცდილობს რეჟისორი ბურბუთაშვილი, გაიაროს ბეწვის ხიდზე და მეტნაკლებად კოჰაბიტირებული სანახაობა წარმოადგინოს. მინიმალური დეკორაციით, ჯვალოს ნაჭრების

კონსტრუქციით და ორსახოვანი სკამებით მოქმედებათა ლოკაცია ოსტატურად იცვლება (მხატვარი მაია სხირტლაძე). სცენაზე გამოდის სპექტაკლის წამყვანი ესტატე ბერიაშვილი, კაცი რომელმაც საოცარი გამბედაობით გადაარჩინა ალექსანდრე ახმეტელის არქივი,თითოეული ფოტო თუ დოკუმენტი. მიუხედავად ბერიას ბრძანებისა, გაენადგურებინათ ნებისმიერი ფურცელი სადაც ახმეტელის გვარი იყო ნახსენები,მან პიჯაკის შიგნიდან ფურცელ-ფურცელ ყველა დოკუმენტი სახლში მიიტანა და საკუთარ საწოლში დამალა. ესტატე ბერიაშვილი (სოსო მოლოდინაშვილი) მთელი სპექტაკლის განმავლობაში გვიყვება იმ დეტალებს, რომლებიც ვასო კიკნაძემ ათწლეულების განმავლობაში მოიძია და გამოიკვლია, ამიტომ სპექტაკლის მთხრობელი, ხშირ შემთხვევაში, მოვლენათა განვითარებასთან ერთად ფაქტების შეფასებებსაც აკეთებს. სპექტაკლი არ არის გადატვირთული რეჟისორული მიზანსცენებით და მეტაფორული ამოცანებით. პირიქით, ლილი ბურბუთაშვილი მსახიობებთან ერთად დახვეწილი გემოვნებით გვთავაზობს ერთგვარ ლიტერატურულ კომპოზიციას, რომელსაც მსახიობები ყოველგვარი იაფფასიანი იმიტაციისა და ფიზიკური მიმსგავსებების გარეშე თამაშობენ. ასევე აღსანიშნავია ალექსანდრე ახმეტელის (ვანო დუგლაძე) და ლავრენტი ბერიას (ნუგზარ ყურაშვილი) შეხვედრის სცენა.

სასიხარულოა ის ფაქტიც,რომ სპექტაკლი სწორედ იმ თეატრში დაიდგა,სადაც ყველაზე მეტი ახალგაზრდა იყრის თავს – თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მე ვფიქრობ, სამხატვრო ხელმძღვანელის ეს გადაწყვეტილება იყო ძალიან სწორი სარეპერტუარო პოლიტიკის გამოვლინება, რათა მაქსიმალური პოპულარიზაცია მოახდინონ იმ პიროვნებების, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ქართული თეატრის განვითარების საქმეში. სპექტაკლი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ბაში-აჩუკი

სპექტაკლის დასახელება - ბაში-აჩუკი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - აკაკი წერეთელი
რეჟისორი - დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - დავით მაჭავარიანი
კომპოზიტორი - დავით მალაზონია
ქორეოგრაფი - ილიკო სუხიშვილი
ინსცენირების ავტორი - მანანა გეგეჭკორი
რეჟისორის თანაშემწე - ხათუნა საძაგლიშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებლები:
ზაალ ერისთავი - ბესო მეგრელიშვილი

მარიამი - სოფიო ებრალიძე
ელიზბარ ერისთავი - მამუკა ბოგვერაძე, ვამეხ ჯანგიძე
შალვა ერისთავი - შალვა ანთელავა
ბიძინა ჩოლოყაშვილი - გიორგი ჯიქურიძე
თავადი მაყაშვილი - გიორგი მაისურაძე
თავადი წერეთელი - ვახტანგ ნოზაძე
კიკო ბაქრაძე - კახაბერ ჭოლაძე
ბაში-აჩუკი - ნიკა ნანიტაშვილი
ალი ყური ხანი - ნიკოლოზ ფაიქრიძე
აბდუშაჰილი - გიორგი შავგულიძე
თათარი მხედარი - პაატა მხეიძე
თიმსალ-მაკო - თამარ მამულაშვილი, ანი მღებრიშვილი
პირიმზისა, პირმთვარისა - თეკლა ჯავახაძე, თამარ ჭანუყვაძე
მელანო - ია ჭილაია, მარიამ ჩუხრუკიძე
ალის ფარეში - ანა ზამბახიძე
თავადის ქალები - თამარ ცქვიტინიძე, სოფიო ახუაშვილი, ნინო არჩაია
შაჰ აბასი - ზურაბ ავსაჯანიშვილი
მოძღვარი - ნიკა კვანტალიანი
მოურავი - რატი გოგუაძე
დიდებული - ზურაბ არუსია, თორნიკე ქინქლაძე
განჯის ხანი - გაგა შიშინაშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 27.09.2015

სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას)
სარეპეტიციო პროცესი მიმდინარეობდა 2 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:

მწერლის გაზეთი №8, 1-31 ოქტომბერი, „კლასიკა, კლასიკა!“ (გამოხმაურება ჩაწერილი ინტერვიუები)
რეიტინგი №4 - ანა კალანდაძე
XVII საუკუნის ეპოქა და ბაში-აჩუკი 3D-ში.

გამოხმაურება

მაია კიკნაძე

კლასიკა სცენაზე

27 სექტემბერს, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა, აკაკი წერეთლის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პრემიერა შესთავაზა მაყურებელს.

დამდგმელი რეჟისორი – დიმიტრი ხვთისიაშვილი, ინსცენირების ავტორი – მანანა გეგეჭკორი, დიმიტრი ხვთისიაშვილი, დამდგმელი მხატვარი – დავით მაჭავარიანი, ქორეოგრაფი – ილიკო სუხიშვილი, კომპოზიტორი – დავით მალაზონია, რეჟისორის ასისტენტი – ხათუნა საძაგლიშვილი.

მონაწილეობენ: ს. ებრალიძე, პ.მხეიძე, ვ.ნოზაძე, კ.ჭოლაძე, ნ. კვანტალიანი, რ. გოგუაძე, ნ. ნანიტაშვილი, გ. შიშინაშვილი, გ.მაისურაძე, შ. ანთელავა, ზ. ავსაჯანიშვილი, ა. ზამბახიძე, ზ. არუსია, მ. ბოგვერაძე, ს. ახუაშვილი, თ. ჯავახაძე, ნ. ფაიქრიძე, გ. შავგულიძე, თ. ცქვიტინიძე, ვ. ჯანგიძე, თ. მამულაშვილი, ა. მღებრიშვილი, ნ. არჩაია, ბ. მეგრელიშვილი, გ. ჯიქურიძე.

აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში პირველად დაიდგა 1945-1946 წლის სეზონში (ინსცენირების ავტორი ა. კაჭკაჭიშვილი, რეჟისორი გ. დარისპანაშვილი, კომპოზიტორი ა.მაჭავარიანი, მხატვარი ნ. კილასონიძე) მას შემდეგ, 70 წელი გავიდა და დღეს, თეატრმა სპექტაკლი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, აკაკი წერეთლის დაბადების 175-ე წლისთავს მიუძღვნა.

„არა! ტყვილად არ მიყვარს მე ჩვენი წარსული,– წერდა აკაკი,– მიყვარს ისე, როგორც დედას კარგი შვილი და მიტომაც გულგაუმაძღარს, მსურს რომ ის გადატანილი ვნახო მომავალში დრო და ვითარების შეხამებით კიდევ უფრო ძლიერად და ბედნიერად“.

ბოლო წლების ქართულ თეატრში ნაკლები ყურადღება ექცევა ისტორიულ-პატრიოტულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებების დადგმას, როგორც ჩანს, ამ ტენდენციაზე გარკვეული ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტმა. ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში,რომელშიც არსებითად დიდი რუსული იმპერია იყო, ქართულ თეატრს ხალხში ეროვნული გრძნობების გაღვიძების ფუნქცია ჰქონდა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ თემა უფრო აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის წლებში. ყოველ თეატრს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნდა სცენაზე გამოეხატა ჩვენი ისტორიის გმირული წარსული, სამშობლოს წინაშე თავდადების იდეა, რომელსაც თანადროული ჟღერადობა ჰქონდა.

აკაკის მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ მაშინ დაიწერა (1895- 1896 წლებში), როდესაც საქართველო რუსეთის კოლონიალური რეჟიმის პირობებში იტანჯებოდა. მე-17ს-ის ისტორიული ამბების ასახვა, ქართლ-კახეთის ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, წარსული საგმირო საქმეების ჩვენება ქართველ ხალხს პატრიოტიზმს უნერგავდა, იმედსა და სამშობლოს თავდადების

სურვილს უღვივებდა. ნაწარმოები კახეთის 1659 წლის აჯანყებას მიეძღვნა. დღევანდელი სპექტაკლი კი აჯანყების მეთაურებს, თავდადებულ გმირებს: ბიძინა ჩოლოყაშვილს, შალვა ქსნის ერისთავსა და მისი ძმას ელიზბარს.

რეჟისორმა, დიმიტრი ხვთისიაშვილმა საქართველოს ისტორიის ეპიზოდები სცენაზე გააცოცხლა და დაახლოებით საათი და ორმოცი წუთის მანძილზე მაყურებელი საქართველოს წარსულზე, მის თანამედროვეობასა და მომავალზე დააფიქრა.

რეჟისორი სპექტაკლის დასადგმელად საინტერესო ფორმას მიმართავს, ტრადიციულ სარეჟისორო ხერხებს ორგანულად უთავსებს თანამედროვე გრაფიკულ ტექნოლოგიებს. ეკრანის დახმარებით საქართველოს ისტორიის წარსულის ჩვენება თეატრში მისული მოზარდი თაობისთვის, რომლისთვისაც „ბაში-აჩუკი", მგონი,სასწავლო პროგრამაშია შეტანილი, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. სპექტაკლს ამ თვალსაზრისით შემეცნებითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს.

სპექტაკლის დასაწყისში გგონია, რომ კინო-თეატრში მოხვდი. დიდი ეკრანი დამდგმელი ჯგუფის ვინაობას გვამცნობს. (ქართულ თეატრში ეკრანი პირველად კოტე მარჯანიშვილმა გამოიყენა 1928 წელს ქუთაის-ბათუმის თეატრის სპექტაკლში ე.ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ"). ჩვეულებრივი ფილმის დასაწყისია. კადრები ნახატი ფილმის-„მულტფილმის" სახით არის წარმოდგენილი (მაგ. ეკრანზე ვხედავთ, თუ როგორ მიიყვანა აბდუშაჰილმა გულწასული პირიმზისა ბახტრიონის ციხის ეზოში და ა.შ.). ეკრანზე ასახული კადრები, ფოტოები ცოცხალ გარემოს ქმნის და სცენაზე მომხდარი ამბების ილუსტრირებულ გაგრძელებას წარმოადგენს (ზოგიერთი ფოტო, მაგ. ძველი თბილისის ხედები, ამოვარდნილია კონტექსტიდან და უადგილოდ მიმაჩნია). სპექტაკლში დეკორაციებს ეკრანი ცვლის, როგორც აღინიშნა 3D ტექნოლოგიით, რომლის გრაფიკული ინსტალაციაც „კაკადუს" სტუდიამ მოამზადა, თუმცა იმედი გაგვიცრუა, დანაპირები მთლიანად ვერ შეასრულა (ვიკიპედიაში განმარტებულია, რომ 3D იმიტაციას ახდენს მესამე განზომილების არსებობის შესახებ, ანდა მაყურებელში იწვევს სივრცის სიღრმისეულ ილუზიას. ფილმის სრულყოფილად აღსაქმელად საჭიროა საპროექტო ტექნიკა და სათვალეები. მოზარდი თაობა კი ყველაზე კარგად იცნობს სამგანზომილებიანი ფორმატის სტრუქტურას). სპექტაკლში, ეკრანს რეჟისორმა სხვა დატვირთვაც მოუძებნა, მოქმედება ეკრანს უკან გადაიტანა და რამდენიმე ეპიზოდი ჩრდილების საშუალებით შემოგვთავაზა. მოქმედების ასეთი განვითარება ეკრანის წინ და ეკრანის უკან ჩრდილების თეატრის ტაიური-„ნანგის" წარმოდგენას მოგვაგონებს. ეკრანისა და სცენის ურთიერთკავშირი, ჩრდილების გამოჩენა, დავით მაჭავარიანის სცენოგრაფია, სადად გადაწყვეტილი ისტორიული კოსტიუმები, რომლებიც კარგად ერგება თითოეული გმირის სახეს თუ ხასიათს, ერთმანეთთან სრულიად თავსებადია და გარკვეული თვალსაზრისით ეფექტურიც კია.

რეჟისორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისტორიული სურათების გაცოცხლებისას სიფრთხილეს იჩენს და სპექტაკლზე მისულ მაყურებელს

სიყალბის, პათეტიკის, დრომოჭმულის შეგრძნებისგაენ ათავისუფლებს. რეჟისორი არ ცდილობს თავს მოგახვიოს პატრიოტული იდეები, სპექტაკლში პატრიოტული თემები მოტანილია სამშობლოს სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების, ამავე დროს შურის, გაუტანლობის, ღალატის ფონზე. თუმცა უნდა ითქვას რომ მსახიობთა პათეტიკური, მაღალფარდოვანი ტონი (რისი გამოსწორებაც ადვილად შესაძლებელია), შეუსაბამობაშია სპექტაკლის სტილისტიკასთან და ზოგჯერ ხელისშემშლელიც კია ტექსტის გასააზრებლად, მით უფრო, რომ სპექტაკლი მოზარდი თაობის მაყურებელზეა გათვლილი და თანამედროვე ახალგაზრდისთვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი უნდა იყოს.

სპექტაკლის მოქმედება, სადაც უნდა ვითარდებოდეს – იქნება ეს ტყე, ოჯახი თუ სასახლე, აზრობრივად ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული, მაგრამ,ამავე დროს,ზოგიერთი ეპიზოდი გრძელია და მონოტონური, რის გამოც რიტმი ვარდება. ზოგიერთი სცენა კი ცოცხლად და ინტერესით ვითარდება. ამ თვალსაზრისით სპექტაკლი არაერთგვაროვანია. სპექტაკლის ტემპო რიტმის მოძებნაში, ბუნებრივია, რეჟისორს ილიკო სუხიშვილის ქორეოგრაფია და კომპოზიტორ დავით მალაზონიას არაჩვეულებრივი მუსიკალური გაფორმება ეხმარება. ილიკო სუხიშვილის დადგმული სცენები, რომლებიც რამდენიმე წუთი გრძელდება, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიას ასახავს. აქ პლასტიკაზე ბევრია დამოკიდებული, შემსრულებლებიც კარგად ართმევენ თავს ქორეოგრფიულ ნაწილს და სპექტაკლის ზოგად გადაწყვეტაში, ცდილობენ ინდივიდუალური აქტიორული სახეების შექმნას (აბდუშაჰილი – გიორგი შავგულიძე, პირიმზისა-თეკლა ჯავახაძე, ალი ყული ხანი-ნიკა ფაიქრიძე, მელანო – ია ჭილაია, მარიამი – სოფიო ებრალიძე, ზაალ ერისთავი – ბესო მეგრელიშვილი, ელიზბარ ერისთავი – მამუკა ბოგვერაძე, შალვა ერისთავი – შალვა ანთელავა, ბიძინა ჩოლოყაშვილი – გიორგო ჯიქურიძე, შაჰ აბასი – ზურაბ ავსაჯანიშვილი), თუმცა მსახიობთა თამაშიც არ არის ერთგვაროვანი. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნიკა ნანიტაშვილისა და თამარ მამულაშვილის შესრულებამ. გლახო ბაქრაძე, ბაში-აჩუკად (თავ ღია, უქუდო) წოდებული, როგორც თათრებმა შეარქვეს, ვაჟკაცი ყმაწვილია. უყვარს სამშობლო, ოჯახი, ქალი, იცის მეგობრობა, შეუძლია თავგანწირვა. აჯანყებულთა იმედიც მასზეა დამყარებული. მსახიობ ნიკა ნანიტაშვილის შესრულება დასაფასებელია, მას აქვს კარგი პლასტიკა, მომხიბვლელი სცენური გარეგნობა, მეტყველებს გასაგებად, ის წარსული გმირის გამოხატულებაც არის და ამავე დროს დღევანდელობისაც. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი ტექსტი არ აქვს, მისი სახე სიმბოლიზებულია კეთილშობილებასთან, სიმამაცესთან.

კარგად მუშაობს თიმსალ-მაკოს როლის შემსრულებელი თამარ მამულაშვილი. თიმსალ-მაკოც ერთ-ერთი იმათგანია, ვინც შაჰ-აბასმა მოისყიდა და თანამოძმის ღალატისთვის უხვად დააჯილდოვა. მსახიობი კარგად იცნობს თავისი გმირის უნარჩვევებს. თამარ მამულაშვილის გამოჩენა სპექტაკლში ეპიზოდს აცოცხლებს, მისი შექმნილი ხარბი მოხუცის სახე დასამახსოვრებელი სახასიათო როლია. მსახიობი იცავს ზომიერების გრძნობას, რადგან იცის,

რომ ოდნავ მაინც თუ გადააჭარბა, მისი გროტესკი იაფფასიან სანახაობად გადაიქცევა.

აკაკის ნაწარმოები მრავალპლანიანია, მასში სხვადასხვა თემაა დამუშავებული. საჭირო იყო მისი სცენური მოქმედების ენაზე გადატანა და დრამატურგიულ კანონებში მოქცევა, პროზაული ნაწარმოების ინსცენირება თავისთავად რთულია, მაგრამ ინსცენირების ავტორმა, თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორმა,რეჟისორთან ერთად, ამ სირთულეს თავი გაართვა.

სპექტაკლის მნიშვნელობას ზრდის ის სოციალური ფონი და სიძულვილით აღსავსე ინფორმაციები, რომელთაც ახალგაზრდა თაობა იღებს სოციალური ქსელებიდან. ამ პირობებში ასეთი სპექტაკლების მნიშვნელობა იზრდება. იმავდროულად მოზარდ მაყურებელს საშუალება ეძლევა, სანახაობრივი ფორმით გაეცნოს და შეიმეცნოს პატრიოტული ნაწარმოებები, დაანახოს სამშობლოსათვის თავდადების მაგალითები. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები ქვეყნისადმი ერთგულებისთვის შაჰის ბრძანებით დაისაჯნენ. 1662 წლის 18 სექტემბერს ისინი წამებით აღესრულენ: „მახვილებითა დაჭრეს იგინი ასოეულად და დახურიტეს რომელიმე თოფითა და რომელიმე მახვილებითა“ – გვამცნობს ისტორია. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ სამშობლოსათვის თავდადებული გმირები წმინდანებად შერაცხა.

თამარ ქუთათელაძე

ბაში-აჩუკი

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებული ბაში-აჩუკის დადგმა (დამდგმელი რეჟისორი დ. ხვთისიაშვილი, მხატვარი დავით მაჭავარიანი, კომპოზიტორი დავით მალაზონია, ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი, ინსცენირების ავტორი მანანა გეგეჭკორი) მიეძღვნა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე წლისთავს. „საქართველოს ბულბულად“ წოდებული დიდი ქართველი პოეტის ეს თხზულება, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის პირველივე დამფუძნებელი თაობის მიერვე იქნა დადგმული 1945-1946 წლის სათეატრო სეზონში (ინსც. ა. კაჭკაჭიშვილის, რეჟ. გ. დარისპანაშვილი, მხატ. ნ. კილასონიძე, კომპ. ა. მაჭავარიანი). 1957 წელს გადაღებულ იქნა ლეო ესაკიას ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი, სულხან ცინცაძის გენიალური, ჰიტად ქცეული მუსიკით. მასში არაერთი ქართული სამსახიობო სკოლის ვარსკვლავმა შექმნა უაღრესად დასამახსოვრებელი სცენური სახე. ამჟამინდელი მოზარდთა თეატრის დადგმა კი დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მისთვის მნიშვნელოვანი გახდა სპექტაკლში დიდი ქართველი კლასიკოსის პოეტიკის ერთგულებაცა და ნოვაციაც.

მოზარდთა თეატრის ახალი დადგმა, როგორც აღნიშნულია სპექტაკლის პროგრამაში, წარმოადგენს რეჟისორული გამომსახველობითი საშუალებების, ქართული ფოლკლორისა და თანამედროვე გრაფიკული ტექნოლოგიების სინთეზს. ამ დადგმის თაობაზე უკვე არაერთი წერილი, რეცენზია, დადებითი

თუ უარყოფითი შეფასება გამოითქვა, თუმცა მსურს გამოვხატო ჩემი აზრიც.

ძნელად წარმომიდგენია აკაკი წერეთლის ბაში-აჩუკის პოსტმოდერნული დადგმა. ვერ ვიტყვი, რამდენად შესაძლებელია ამ მოთხრობაში ასახული ისტორიული პიროვნებებისა და სიუჟეტის რადიკალური ხერხებით გათანამედროვეობა, თუმცა ვფიქრობ თეატრი რამდენადმე მაინც შეეცადა თანამედროვე ტექნოლოგიით მის განხორციელებას ისე, რომ არ დაერღვია ისტორიულ-პატრიოტულ დრამად მოაზრებული ჟანრის სათეატრო ესთეტიკა.

სპექტაკლი არიერსცენასა და ორივე კულისის მიმდებარე კედლამდე განფენილი ანიმაციური ფილმების ფრაგმენტებისა და ძველი თბილისის სტილიზებული ხედების ფონზე ვითარდება. თეატრი ცდილობს სცენაზე შექმნას ორი დროის ტანდემი. სწორედ ანიმაციური ფილმების კოლაჟით მზადდება ბაში-აჩუკის სცენაზე შემოსვლის ექსპოზიციური მონაკვეთი, დედოფლის სიზმრის, შუამთის მონასტრის აწიოკების, აბდუშაჰილის მიერ პირმზისა და პირმთვარისათი მოხიბვლისა და გარკვეული ბატალური სცენების პერიპეტიები.

წარმოდგენის პირველივე სცენაში ვეცნობით ძველი თავადური წყვილის ურთიერთობის კულტურას. ბესო მეგრელიშვილის ზაალ ერისთავი და სოფიო ებრალიძის მარიამი წარმოსახავენ ქართველ დიდებულთა ტრადიციულ თავდაჭერას, მტკიცე ხასიათებს, მყარ პრიორიტეტებს, გაცხადებულს აგრეთვე შუა საუკუნის დიდებულთათვის დამახასიათებელ სპეციფიკურად ამაღლებულ, თანამედროვე თვალთახედვით კი ძველმოდურ, ცრუპათეტიკურ, მღერად სამეტყველო ლექსიკასა თუ ინტონირებებში. შესაბამისად იდენტური გამომსახველობითი ხერხებითაა გააზრებული გიორგი ჯიქურაშვილის ბიძინა ჩოლოყაშვილის, ვამეხ ჯანგიძის ელიზბარ ერისთავის, შალვა ანთელავას შალვა ერისთავის, ნიკა კვანტალიანის მოძღვარის, გიორგი შავგულიძის აბდუშაჰილის პორტრეტები.

ქარიზმატულია ნიკა ნანიტაშვილის ბაში-აჩუკი. მსახიობის ავაზასავით მოსხლეტილი სხეული, მისი სიამაყე და თავდაჭერა, სასცენო სივრცის ათვისების უნარი, სხარტი, ჰაეროვანი პლასტიკური ნახაზი და ბატალურ ცეკვებში გამოვლენილი ჰეროიკული გმირის ენერგია, განსასახიერებელი მხატვრული სახისათვის შესატყვისი და ორიგინალურია. მისი ღირსეული პარტნიორია მომხიბლავი იერისა და სულშიჩამწვდომი ხმის ია ჭილაიას მელანო. თეკლა ჯავახაძის პირმზისა კი ძუნწი, მაგრამ პოეტური გამომსახველი ხერხებით ქმნის ,,უცხოტომელზე" შეყვარებული, მებრძოლი და მტკიცე ხასიათის ქალის სახეს. სპექტაკლში ეფექტურია ტყვე ქალთა გუნდიც.

ზურაბ ავსაჯანიშვილის შაჰ-აბას II, ნიკა ფაიქრიძის ალი ყული ხანი და პლასტიკური ანა ზამბახიძის ალის ფარეში, გროტესკულად წარმოსახავენ სპარსულ გარემოცვას, სასახლის კარის ტრადიციულ ცხოვრების წესსა და ღირებულებებს. აღსანიშნავია,რომ სკამების მწკრივით არაერთხელ გათამაშებულ სცენებს, წარმოდგენაში ჭარბად შემოაქვს ე.წ. ,,ღატაკი თეატრის" ელემენტები და არღვევს სპექტაკლის სადადგმო ესთეტიკას.

თამარ მამულაშვილის მიერ განსახიერებული თიმსალ-მაკო, წარმოდგენის

ერთ-ერთი წარმატებული სახეა. მსახიობი სცენაზე შემოსვლისთანავე ქმნის დასამახსოვრებელ, სტილიზებულ მხატვრულ გმირს. სკამებქვეშ გაჭედილი, ჩიხტი-კოპით თავშემკული, ფართოკალთიანი კაბით შემოსილი, ავანსცენისკენ ხოხვა-ფორთხვით ძლივს მომავალი ხანდაზმული დედაბერი, მსახიობის მიერ მსუყე ფერებით, ლამის კარიკატურული სიმძაფრით დახატული სცენური გმირის ხასიათისათვის მიგნებული გამომსახველი ხერხებით იჭრება მაყურებლის ცნობიერებაში. თამარ მამულაშვილი თამაშობს ცბიერ, არა მარტო თვითგადარჩენის წყურვილით აღსავსე, არამედ სარფიანი ლუკმის მოსაპოვებლად თავგანწირვით გარჯილი, მუდამ ბეწვის ხიდზე მიმავალი მოყურადე, საზრიანი, უსაზღვროდ პლასტიკური, ავყია მოენე და არცთუ უბოროტო არსებას. მისი სცენური გმირის გარკვეულ სათავედ შესაძლოა მივიჩნიოთ მსახიობის მიერ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე რეჟისორ შალვა გაწერელიას მიერ დადგმულ დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“ შექმნილი პელაგიას სახე (ამ როლისათვის მსახიობს მიენიჭა პრემია 1996 წლის საუკეთესო როლისათვის). სტილიზებული ხერხებით გაჯერებულ თიმსალ- მაკოშიც მსახიობი უხვად მიმართავს კომედიური მსახიობისათვის დამახასიათებელ მკაფიო გამომსახველობას და სცენაზე შემოჰყავს ფანტაზიითა და იუმორით გადავსებული ძველი თბილისის უსაზღვროდ კოლორიტული სახე.

ლაშა ჩხარტიშვილი

„ბაში აჩუკი“ და ოთხი სკამის ისტორია

ღმერთია მოწმე (მთლად ეგეთი უღმერთოც არ ვარ),„ბაში-აჩუკის“ დადგმას მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე დიდი ინტერესით ველოდი. გარდა იმისა, რომ მაინტერესებდა,როგორ გაცოცხლდებოდა აკაკი წერეთლის მოთხრობა სცენაზე, ნახვის წყურვილს და ინტრიგას მიძლიერებდა დაანონსებული ინფორმაცია სპექტაკლის გადაწყვეტაზე 3D ტექნოლოგიაში, მაინტერესებდა რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის ახალი ნამუშევარიც და მასში მონაწილე მსახიობთა ანსამბლის ხილვაც განსხვავებულ ჟანრში (ისტორიული ჟანრის პიესების სცენაზე იშვიათად განხორციელების გამო). ველოდი ინტერესით და ვგულშემატკივრობდი კიდეც თეატრს. სპექტაკლზეც იმ განწყობით მივედი, რომ ჩემთვის ვფიქრობდი: ხომ შეიძლება ამ ერთხელ მაინც გამაოცოს, აღმაფრთოვანოს, მომანიჭოს სრული ბედნიერება და სიხარული ამ სცენაზე (დიდ სცენას ვგულისხმობ) დადგმულმა სპექტაკლმა- მეთქი. ამიტომაც, გადატვირთული თეატრალური საღამოებისა და პროგრამის მიუხედავად, მოზარდის „ბაში-აჩუკის“ პრემიერა პრიორიტეტულად და მნიშვნელოვან მოვლენად მივიჩნიე.

დიდი ხანია ვიცოდი, რომ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი აკაკი წერეთლის საიუბილეოდ „ბაში-აჩუკის“ პრემიერისთვის გრანდიოზულად ემზადებოდა. პომპეზური სამზადისი ამ განსაკუთრებული პროექტისთვის იგრძნობოდა ყველგან: სოციალურ ქსელში, ინტერნეტგამოცემებში,

სატელევიზიო გადაცემებში. ინფორმაციის ფართო გავრცელებას, მათ შორის, ქართულ ტელევიზიებში ხელი შეუწყო არა მხოლოდ მწერლის საიუბილეო თარიღმა, არამედ დაანონსებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ „ქართულ თეატრში პირველად იდგმებოდა სპექტაკლი 3D ფორმატში". მოგვიანებით ეს ინფორმაცია შეიცვალა, რადგან ორი წელი არ არის ბევრი, რომ დაგვიწყებოდა ზაალ ჩიქობავას მიერ სპორტის სასახლეში დადგმული „თოვლის დედოფალი", რომელშიც ქართული თეატრის სამსახიობო ამქრის პოპულარული სახეები, შესაბამისად, პროფესიონალები მონაწილეობდნენ). „პირველობის" ფენომენი იმდენად მომხიბვლელია (თანაც პრესისთვის მიმზიდველი), რომ პროექტის გაპიარების დროს, ერთ-ერთმა თანადამფინანსებელმა – თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის პრესსამსახურმა პრესრელიზში სიტყვა „პირველი" გადაათამაშა და სათაური ასე ჩამოაყალიბა: „პირველად ქართულ თეატრალურ სცენაზე „ბაში-აჩუკი" 3D-ში!". ვერაფერს იტყვი და პრესრელიზის ავტორსაც ვერაფერში შეედავები, მაგრამ ჭკვიანი ჟურნალისტი ალბათ მიხვდებოდა, რომ სიტყვა „პირველი" აქ მარკეტინგული ხრიკია, რადგან „ბაში-აჩუკი" არასდროს შეგვხვედრია ბოლო პერიოდის ქართული თეატრის სარეპერტუარო აფიშაზე. გასული საუკუნის 40-იან წლებში, ამავე თეატრში დაუდგამთ კიდეც აკაკი წერეთლის მოთხრობა, რომელიც ისე გაქრა ქართული თეატრის ისტორიული მეხსიერებიდან, რომ პროფესიონალთა ვიწრო წრის გარდა არავის ახსოვს. აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით არსებობს ლეო ესაკიას პოპულარული ეკრანიზაცია და არჩილ კერესელიძის ოპერა. ასე რომ, მოზარდის „ბაში-აჩუკი" არა მხოლოდ პირველი მცდელობაა 3D ფორმატში სპექტაკლის განხორციელების, არამედ სახელმწიფო პროფესიულ თეატრში მოთხრობის პირველი სცენური ინტერპრეტაციაც. თავად ფაქტი, ნამდვილად ისტორიულია, როგორც თავად მოთხრობა, მაგრამ რამდენად გაუძლებს ის დროს, ლიტერატურულ პირველწყაროსთან შედარებით, ეს უკვე თავად დროისა და პროფესიული კამათის საკითხია.

ინიციატივებს რომ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი არ უჩივის, ეს აკაკი წერეთლის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებითაც კარგად გამოჩნდა და შესაბამისად, ჩანს ხელშეწყობაც საქართველოს კულტურის სამინისტროს მხრიდან. ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრია სამინისტროს პრიორიტეტული სსიპ-ი, მაგრამ არც დაჩაგრული რომ არის, ეს უკვე კარგია, რადგან სამინისტრო მხარს უჭერს ინოვაციურ პროექტს, მაგრამ პასუხს აღარ აგებს პროდუქტზე, რომელსაც ის აფინანსებს. გულწრფელად რომ ვთქვა, მეც დავუჭერდი მხარს ისეთ პროექტს, რომელშიც აღწერილი იქნებოდა მცდელობა: თანამედროვე ტექნოლოგიების თეატრში დანერგვის, კლასიკური ნაწარმოების ახლებური ინტერპრეტაციის, კონკრეტული სპექტაკლისთვის ორიგინალური მუსიკის შექმნის, ილიკო სუხიშვილის თეატრში შემოსვლის... სამინისტროსა და თბილისის მერიის დაფინანსება და მხარდაჭერა შემთხვევით არ მიხსნებია, რადგან სპექტაკლის 3D ფორმატში განხორციელების ხარჯებს, თავად თეატრი ვერ გასწვდება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი მათ მიერ ინიციატივების მხარდაჭერა,

მაგრამ პრობლემაა, რამდენად ართმევს თავს, ამ შემთხვევაში თეატრი, 3D ფორმატში სპექტაკლის განხორციელებას, ან 3D განზომილების გამოყენებას სპექტაკლში.

3D განზომილება კინოინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და თანამედროვე პროდუქტია, რომელიც ალბათ იმიტომ შექმნეს, რომ მაყურებელსა და გამოსახულებას შორის უფრო ახლო, ინტიმური და ხელშესახები კავშირი დამყარებულიყო, რაც თეატრს ისედაც აქვს და რითაც გამოირჩევა ის სხვა ხელოვნების დარგებისაგან. მიუხედავად ამისა, თეატრი მუდმივად ცდილობს ტექნიკურ პროგრესს არ ჩამორჩეს და ყველაფერი ახალი დანერგოს მასში, რადგან ახალ ეპოქაში თავი გადაირჩინოს და გახდეს კვლავაც მიმზიდველი, როგორც კინოს და ტელევიზიის შექმნამდე იყო. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრიც ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე მაყურებელს, იმ სეგმენტს, რომელზედაც ის მუშაობს ძირითადად და სწორედ, ტექნოლოგიური სიახლეებით და გამომსახველობითი საშუალებების სიუხვით დააინტერესოს მოზარდი მაყურებელი, მაგრამ „ბაში-აჩუკის“ სანახავად მისული მაყურებელი მოტყუებული აღმოჩნდება, რადგან „კაკადუ სტუდიამ“ 3 D ტექნოლოგიის პროვოკაცია დაგვახვედრა, რითაც გაგვაბითურა კიდეც და თვალში ნაცარიც შემოგვაყარა. არ დავიწყებ ახლა იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს 3D ტექნოლოგია, რადგან ყველამ შესანიშნავად იცის (შესაძლოა ჩემზე უკეთაც), მაგრამ ვინც მწყრალად არის ახალ ტექნოლოგიებთან, ისიც მიხვდება, რომ დაანონსებული 3D გამოსახულების ნაცვლად, ერთ განზომილებიანი (მაქსიმუმ ორ) გამოსახულება ნახა. ცალკე საკითხია, რამდენად ხარისხიანი, თანმიმდევრული, სტილისტურად გამართული ან დაცული იყო თავად ჟანრი, რომელშიც გამოსახულება (ნახატი) იყო შესრულებული და რომელიც 3D გამოსახულებად შემოგვასაღეს, მაგრამ სცენის იატაკი და გვერდითა კულისები მულტიმედიით რომ უნდა ყოფილიყო დაფარული, ამას ის მაყურებელი ყველაზე უკეთ მიხვდება, რომლისთვისაც ეს პროექტი განხორციელდა.

3D - ტექნოლოგიის ნაცვლად, სპექტაკლში ჩვეულებრივი ეკრანი დაგვხდა, რომელზედაც ხან ფოტოკოლაჟი გადიოდა, ხანაც თვალისმომჭრელი ბრჭყვიალა ლაბირინთი, ჰოლოგრამული ნახატი (სოცქსელებში „იპოვე მესამე თვალის“ სახელით რომ გვხვდება, ისეთი), ხანაც „ჩხიკვთა ქორწილის“ მსგავსი მულტიპლიკაციური გამოსახულება და ასევე ფოტოს (თბილისის ხედებით) და ორიგინალური ნახატის (პეიზაჟები, სახლების ინტერიერები) ეკლექტური კოლაჟი. ეკრანზე მეტწილად მულტიპლიკაციური გამოსახულების პარალელურად, სცენაზე რეალური და ისტორიული ამბები თამაშდება, ოდნავ პათეტიკურად წარმოთქმული ტექსტითა და დეკლამაციით. სცენაზე შექმნილი ეს კონტრასტი გამოსახულებასა და მსახიობთა შორის, არღვევდა ზღვარს რეალობასა და ირეალობას შორის, მულტიპლიკაციასა და ნამდვილ ამბავს შორის, მულტიმედიასა და ცოცხალ პლანს შორის, მაგრამ რისთვის და რატომ?! რა აუცილებლობით იყო გამოწვეული?! ამაზე პასუხი არ მაქვს.

ეკრანის გამოყენების ტრადიცია (თითქმის იმ პრინციპით, რა პრინციპითაც გვხვდება სპექტაკლში „ბაში-აჩუკი“) ქართულ თეატრში საუკუნეზე მეტს

ითვლის. თეატრში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ტრადიციას სათავე კოტე მარჯანიშვილმა ჩაუყარა და მომდევნო თაობის რეჟისორებმა განავითარეს და დღეს უკვე 3D სპექტაკლიც განახორციელეს (ზაალ ჩიქობავას „თოვლის დედოფალს“ ვგულისხმობ) და საკმაოდ წარმატებითაც. „ბაში-აჩუკი“ კი, გასული საუკუნის ტექნოლოგიის ხელახალი ათვისების მცდელობა უფრაა, ვიდრე 3D ფორმატის სპექტაკლი.

თეატრი და მისი პროდუქტი რომ მხოლოდ თანამედროვე ტექნიკური მიღწევების ათვისება არ არის, ეს ცხადია. სპექტაკლი რეჟისორის, ინსცენირების ავტორის, კომპოზიტორის, მხატვრის, ქორეოგრაფისა და, რაც მთავარია, უპირველსად მსახიობების შემოქმედების ერთობლიობაა. „ბაში-აჩუკიც“ პროფესიონალების გუნდმა შექმნა და მაყურებლისთვის მხატვრულად გააცოცხლეს ჩვენი ისტორიის ერთი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება წინააღმდეგობებით, ერთმანეთის გატანითა და ღალატით, სიკეთითა და სიძულვილით, მაგრამ სპექტაკლში მოვლენები მაინც დანაწევრებულად ვითარდება. შესაძლოა, ეს მსახიობთა მიერ ბუნდოვნად წარმოთქმული ტექსტითაც არის გამოწვეული. ინსცენირების ავტორი სპექტაკლის რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილთან ერთად ცნობილი თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორია, რომლებიც აკაკი წერეთლის ტექსტში უხეშად არ ჩაერივნენ, „შეულამაზებლად“ დატოვეს ორიგინალური წყობაც და მწერლის ტექსტი დიალოგებად აქციეს.

პირველი სცენა ხანგრძლივ დიალოგს წარმოადგენს, რომელიც საექსპოზიციო ნაწილის დინამიკურ განვითარებას ოდნავ აფერხებს. ამას ემატება მოძღვრის (ნიკა კვანტალიანი) სიზმრის მონოლოგი, რომელიც ფანტასტიკის ჟანრის მულტიპლიკაციური გამოსახულების თანხლებით მიმდინარეობს. გამოსახულება, მუსიკალური თანხლება (კომპოზიტორი დავით მალაზონია) და მსახიობის მონოლოგი ერთმანეთში ირევა და სავარაუდოდ ხელსაც უშლის, რადგან მაყურებელს უჭირს ერთდროულად სამივე განზომილებაზე კონცენტრირება. პირადად ჩემი ყურადღება მაინც გამოსახულებამ მიიქცია, რადგან მსახიობის მიერ ავანსცენიდან პათეტიკურად წაკითხულმა მონოლოგმა ვერ დამაინტერესა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ტექსტი ცუდად ისმოდა. ბუნებრივია, ამ პრობლემის აღმოფხვრა მომდევნო სპექტაკლებზე შესაძლებელია, მაგრამ მსახიობს ალბათ პათეტიკის დაძლევისთვისაც მოუწევს მუშაობა, ისე როგორც სპექტაკლში მონაწილე არტისტების გარკვეულ ნაწილს. სპექტაკლში ასევე პრობლემაა ისიც, რომ მსახიობები ერთმანეთს არ უსმენდნენ (ყოველ შემთხვევაში, საპრემიერო ჩვენებაზე) და ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში წარმოთქვამდნენ ტექსტს.

ქართველი მაყურებელი რომ მომსმენი მაყურებელი არ არის, ესეც არ ახალია. მათი „დაჭერა“ თეატრში რამდენიმე საათი მხოლოდ ერთეულ არტისტებს შეეძლოთ, ჩვენი მაყურებელი სანახაობის მოყვარულია... 120-წუთიან სპექტაკლში მოქმედების დეფიციტიცაა (თუმცა ვხვდებით ილიკო სუხიშვილის ქორეოგრაფიულ ნახაზებსაც), აქ ძირითადი აქცენტი დიალოგებზეა და ტექსტზე გადატანილი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ ნაწარმოებში მნიშვნელოვანია ტექსტი, რომელიც მოგვითხრობს ამბავს, მაგრამ ვშიშობ,

მოზარდი მაყურებელი რამდენიმე წუთის შემდეგ გადაიღლება და ეს უკვე გამოჩნდა პირველივე წარმოდგენაზე დარბაზში, როცა ბავშვები და მოზარდები დიალოგს გამოეთიშნენ. რაკი ზემოთ ილიკო სუხიშვილის ქორეოგრაფია ვახსენე, უნდა აღვნიშნო, რომ სახელგანთქმული სუხიშვილების მემკვიდრემ სამუშაო ზედაპირულად შეასრულა, (ჟარგონულად რომ ვთქვათ – წაიხალტურა). ისეთი ორი-სამი ქორეოგრაფიული ჩანართის (ბრძოლის და ფერხულის ეპიზოდი) დადგმას, რომელიც ქორეოგრაფმა შემოგვთავაზა, თავად სპექტაკლში მონაწილე არტისტებიც შეძლებდნენ, რომლებიც ცეკვასთან შესანიშნავად მეგობრობენ. ბრძოლისა და საფინალო ფერხული თავად ცეკვასა და ქორეოგრაფიულ ესკიზს შორის გაჩხერილი მოძრაობების ერთობლიობაა.

ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი პერსონაჟები სპექტაკლში შაჰ-აბას II (ზურაბ ავსაჯანიშვილი) და ალი ყული ხანი (ნიკა ფაიქრიძე) არიან. ორივე მსახიობმა შექმნეს ტიპაჟები, შეძლეს გარდასახვა არა მხოლოდ იდეალური გრიმის და კოსტიუმის ხარჯზე, არამედ შინაგანი გარდასახვის, გმირების ხასიათების სიღრმისეული წვდომის და მათი ინდივიდუალური არტისტული რესურსის ხარჯზეც. ისინი არ არიან სქემატური პერსონაჟები, მეტყველებენ გარკვევით და რეალისტურად, შორს არიან პათეტიკისა და ტექსტის დეკლამაციური კითხვისაგან. ისინი ქმნიან ატმოსფეროს და ანგრევენ სტერეოტიპებს ამ გმირების გაცოცხლებისა, რომელიც ლეო ესაკიას ფილმა შექმნა. განსაკუთრებით ეს ალი ყული ხანის როლის შემსრულებელს ნიკა ფაიქრიძეს ეხება, რომელიც იცვლის ხმის ტემბრს, საუბრისას ინტონაციას, მუშაობს მიმიკითა და თვალებით, რომელიც მის გმირს ორგანულს, ცოცხალსა და მეტყველს ხდის. დასაფასებელია რამდენიმე მსახიობის მუშაობა, ისე როგორც, მსახიობ თამარ მამულაშვილის, რომელიც სპექტაკლში თიმსალ-მაკოს როლს ასრულებს. მსახიობი ეპიზოდური როლის მიუხედავად (ის რამდენჯერმე, ფრაგმენტულად ჩნდება), ასწრებს თავისი გმირის მაყურებლისთვის გაცნობას. მოულოდნელი და ეფექტურია მისი პირველი გამოჩენის სცენა. მსახიობმა მიაგნო გმირის მთავარ მახასიათებლებს და გროტესკის ხერხის გამოყენებით ხატავს მლიქვნელი, მოხერხებული და ანგარებით სავსე ჭორიკანა ქალის მხატვრულ სახეს. თუმცა ამ გმირის ახლებურ სცენურ ინტერპრეტაციაში თელაველი ქვრივი სომხის ქალად იქცა, რომელმაც ქეთი ცხაკაიას მიერ განსახიერებული სირანო ბაბო მომაგონა ლევან წულაძის სპექტაკლში „ხანუმა“ (კოსტიუმებიც კი ერთმანეთს ჰგავს).

სქემატური და არაეფექტური მხატვრული სახეა სპექტაკლში გიორგი შავგულიძის აბდუშაჰილი. ღიმილს (ანუ არაადეკვატურ რეაქციას) იწვევს მაყურებელში პირიმზისა/პირიმთვარისა (თეკლა ჯავახაძე) შეხვედრის და ერთმანეთის ამოცნობის ეპიზოდი, როცა აბდუშაჰილი ტყუპისცალს გადაეყრება, რომელიც მას მკვდარი ჰგონია. გიორგი შავგულიძის შეფასებები, როგორც მოვლენის, არ არის დამაჯერებელი და სცენაზე კომიკური სიტუაცია იქმნება, რაც გარკვეულ უხერხულობას იწვევს მაყურებელში.

რაც შეეხება მთავარ გმირს - ბაში-აჩუკს, რომლის სახელი აკაკი წერეთელმა მოთხრობას სათაურად დაარქვა, მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლში,

მეორეხარისხოვან პერსონაჟად იქცა. რეჟისორს აქცენტი გადატანილი აქვს შალვა (შალვა ანთელავა) და ელიზბარ (მამუკა ბოგვერაძე) ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის (გიორგი ჯიქურიძე) პერსონაჟებზე, როგორც საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის თავდადებულ გმირებზე. რეჟისორი ამ არჩევანში თავისუფალია და მისი ამგვარი გადაწყვეტა გამართლებულიცაა, მაგრამ შესრულებულ როლებზე არაფრის თქმა არ შემიძლია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პერსონაჟთა ხასიათები სპექტაკლში გამოკვეთილი არ არის და ზოგადია, ძირითად სიუჟეტურ ხაზებშია მოცემული და გაუბრალოებულ-განზოგადებული სახით წარმოდგენილია სპექტაკლში, ისე როგორც, ნიკა ნანიტაშვილის ბაში-აჩუკი. მსახიობი სხვა სპექტაკლებშიც მინახავს და კარგად ვიცი, რომ ის დახვეწილ სცენურ მეტყველების კულტურას ფლობს, არც არტისტული ფაქტურა აკლია, შესანიშნავად მღერის და ცეკვავს კიდეც, მაგრამ სპექტაკლში მისი რესურსი და შესაძლებლობები გამოყენებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვეულ ეპიზოდებში ცეკვავს და მღერის კიდეც. თუმცა სპექტაკლის მონოტონური რიტმი ბაში-აჩუკის (ნიკა ნანიტაშვილი) აბდულშაჰილთან (გიორგი შავგულიძე) ჭიდაობის სცენიდან იცვლება და გაცილებით დინამიკური ხდება, სიუჟეტი კი ცოცხალი და განვითარებადი. იცვლება გამოსახულების ხერხებიც, თეთრ ეკრანზე ჩნდება გრაფიკული ტიპის ცოცხალი პერსონაჟები, რომლის მიღმაც დიალოგები წარმოებს, რეჟისორი იყენებს ჩრდილების თეატრის პრინციპებს, რაც ეფექტურობას ანიჭებს ეპიზოდს, ისე როგორც ეფექტურია (მაგრამ ჩემთვის გაუგებარი) ფინალში საქართველოს რუკაზე მოცეკვავე (და სხვათაშორის კარგად) ბაში-აჩუკი.

სპექტაკლის მხატვარი დავით მაჭავარიანია, ანიმაციები სპექტაკლისთვის „კაკადუ სტუდიამ“ შექმნა. სპექტაკლის სცენოგრაფია ვიდეოინსტალაციასა და ოთხ მოძრავ სკამზე „დგას“. სტილისტურად სივრცე, რომელსაც ინსტალაცია ქმნის, ეკლექტურია, ამავდროულად ხანაც მულტიპლიკაციური, ხანაც რეალისტური და ხანაც პირობითი (იმდენად, რომ მთვარე და ადამიანები ერთმანეთის ტოლები არიან). ასევე ნახატ დეკორაციაში სამხედრო კარავის ნაცვლად შაპიტოს გამოსახულებას ვხვდებით, ისე როგორც ბიძინა ჩოლოყაშვილის სახლში კედელზე ჩამოკიდებულ ჯვაროსნების ლოგოტიპურ ჯვარსა და ჩრდილოური ირმის რქებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დავით მაჭავარიანმა დახვეწილი, პერსონაჟთა ხასიათებისა და ეპოქის შესაბამისი კოსტიუმები შექმნა, ავტორმა ამ მხრივ ყველაფერი ისტორიულ ჩარჩოში მოაქცია და მკაცრად დაიცვა ეპოქის სტილი.

ისე თუ ასე, ავად თუ კარგად, ბაში აჩუკისა და მისი თანამედროვეების ტრაგიკული ისტორია გავიგეთ, მაგრამ ამოუხსნელი დარჩა ოთხი სკამის გათამაშების ისტორია, რომლებიც უფრო მეტად არიან ყურადღების ცენტრში, ვიდრე თავად გმირები. ოცამდე მსახიობიდან, თითქმის არ დარჩენილა არცერთი, რომელთაც შეხება არ ჰქონდათ ოთხ სკამთან. ხელშესახები დეკორაციაც და მძიმე რეკვიზიტიც სპექტაკლში ეს ოთხი სკამია, რომელსაც წინ და უკან დაატარებენ, უფრო ზუსტად, დაათრევენ მსახიობები (მათ შორის ქალებიც). შთაბეჭდილება

რჩება, რომ მსახიობები გმირების ხასიათებზე ფიქრის ნაცვლად, იმაზე უფრო ფიქრობენ, რომ ეპიზოდის დამთავრების შემდეგ, სკამების გადაადგილება და მათთვის საგანგებო ადგილის მიჩენა არ დაავიწყდეთ. პერსონაჟები ყოველი სცენის დამთავრებისთანავე სკამებისკენ გარბიან და მომდევნო ეპიზოდისთვის ახალ განლაგებას ამზადებენ.

მსახიობები შემოდიან და გადიან (პირდაპირი მნიშვნელობით) ამოცანების გარეშე (ზოგჯერ შემოსვლა და სცენაზე ყოფნაც ფუნქციას მოკლებულია), მაგალითად, გაუგებარია რატომ შემოდის და გაყავთ ალის ფარეში (ანა ზამბახიძე), რომელიც უფუნქციოდ არის სცენაზე. მსახიობები გაითამაშებენ მიზანსცენას, სკამებს დაალაგებენ სხვა კომპოზიციაში და გადიან. ოთხ სკამს რეჟისორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც მხოლოდ სკამები დგას მოქმედების ეპიცენტრში, ისინი სპექტაკლში უსულო მოთამაშეები არიან, რომლებიც სახეს, როლს და ფუნქციას სიტუაციის შესაბამისად იცვლიან. ნაწილი მსახიობებისგან განსხვავებით, სკამები უფრო ახერხებენ გარდასახვას, რადგან ისინი ხან მაგიდად, ხანაც ტრიბუნად, ხანაც ბუჩქად, კლდის ჩამონაჭერად, ქვად გადაიქცევიან.

სპექტაკლში, სამწუხაროდ, ვხვდებით პრიმიტიულ, გაცვეთილ, მოძველებულ მიზანსცენებს, რომლებიც გასული საუკუნის თეატრისთვის იყო დამახასიათებელი. სცენებისა და ეპიზოდების გადასაბმელად რეჟისორი ძირითადად შუქის ჩაქრობის ხერხს მიმართავს, მაგრამ ეს არ არის მხატვრული პრინციპი. ასევე უხეშად იცვლება ეკრანზე რამდენიმე გამოსახულება, რომელსაც ეტაპობრივად კი არ გადავყავართ სურათიდან სურათზე, არამედ გამოთიშვის პრინციპით.

„ბაში-აჩუკი“ თანამედროვე ტექნიკური ხერხებით სპექტაკლის განხორციელების პირველი მცდელობაა, ამიტომაც ის ერთგვარ ექსპერიმენტად, ახალი ხერხების დამკვიდრების მოსინჯვად უნდა ჩაითვალოს. პირველ მცდელობას ახლავს ხარვეზები, მაგრამ იმედი მაქვს, თეატრი ამ მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას და გარკვეულ გამოცდილებასაც დააგროვებს.

P.S. ჩვენს ეპოქაში ისე დაეცა თეატრის კრიტიკოსის ავტორიტეტი და ნდობა, რომ მაყურებელი მხოლოდ საკუთარ თავს ენდობა. ამიტომაც, გთხოვთ, რომ თავად გადაამოწმოთ ჩემი ნაამბობი (თუმცა ირაკლი გედენიძის ფოტოები ბევრ ჩემს მოსაზრებას დაგიდასტურებთ). მე კი, ჩემი მხრივ, დავძენ, რომ ახლა პირფერობის და ლაქიაობის დრო არ არის, მოყვარეს პირში უნდა ვუძრახოთ და გულწრფელად ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე.

სალამურას თავგადასავალი

სპექტაკლის დასახელება - სალამურას თავგადასავალი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - არჩილ სულაკაური
ინსცენირების ავტორი - კოტე მირიანაშვილი
რეჟისორი - კოტე მირიანაშვილი
სცენოგრაფია - ლომგულ მურუსიძე
კოსტიუმების მხატვარი - მაია სხირტლაძე
მუსიკალური გაფორმება - ალექსანდრა ლორთქიფანიძე
ქორეოგრაფი - ლაშა რობაქიძე
რეჟისორის თანაშემწე - ინგა კაჭახიძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
სალამურა - გიორგი ჯიქურიძე
ბაია - სალომე მაისაშვლი, ხატია მელქაძე
ქონდართუხუცესი - დავით როსტომაშვილი, ირაკლი გოგოლაძე
ფრინტა - თამარ ტყემალაძე, სოფო ფერაძე
დედოფალი - ნინო ლორთქიფანიძე
მეფე ქონდარი - ვახტანგ ახალაძე, ვახტანგ ნოზაძე
ვეზირი - ნიკა კვანტალიანი, თორნიკე ქინქლაძე
კინალოკო - რაჟდენ კერვალიშვილი, სერგო შვედკოვი
ქონდარუხი - დევი რეხვიაშვილი, რატი ნავაძე
კვანტი დაუდე, ჭიამაია - ლევან გვაზავა
მიდი მოადე - ვანო დუგლაძე, ზვიად ურიდია, გიორგი შავგულიძე
ალე-ჰოპი - გიორგი გოგიშვილი, ვასილ ამურველაშვილი
ციცინათელა - თამარა ლორთქიფანიძე
ჰილარიო ბუერა - გიორგი კაჭახიძე, შალვა ანთელავა

პრემიერის გამოშვების თარიღი - 25.10.2015

სარეპეტიციო პროცესი - 3 თვე (დაემთხვა ზაფხულის შვებულება, რამაც გამოიწვია სარეპეტიციო ვადების წყვეტა)
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლს გამოხმაურება არ მოჰყოლია.

გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

იავნანამ რა ჰქმნა?!

სპექტაკლის დასახელება - „იავნანამ რა ჰქმნა?!“

იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოების მიხედვით.
ინსცენირება, რეჟისურა, სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება - ნიკოლოზ საბაშვილი
თოჯინების მხატვარი - ვახტანგ ქორიძე
რეჟისორის თანაშემწე - ნათელა ქენქაძე

მოქმედი გმირები და შემსრულებლები:
იაკობ გოგებაშვილი - მალხაზ გაბუნია
თავადი ზურაბ ქართველაძე - გიორგი ტალახაძე
თავადის მეუღლე მაგდანი - მაია მალხაზიშვილი,
ნათია ხმიადაშვილი
ქეთო - ნათია შეშაბერიძე, თამთა ბაქრაძე
ძიძა - თეა კიწმარიშვილი, ნათია ხმიადაშვილი
ნაიბი - გიორგი ტალახაძე
ნაიბის მეუღლე - თეა კიწმარიშვილი
პირველი და მეორე ლეკი - მალხაზ გაბუნია, მაია მალხაზიშვილი,
გიორგი ტალახაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 21 სექტემბერი
სარეპეტიციო პროცესი - 1 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლს პრესა არ გამოხმაურებია

გამოხმაურება

ნერონ აბულაძე

კლასიკური მემკვიდრეობა ახალი სათეატრო გამოწვევების მიჯნაზე...

თბილისის გიორგი მიქელაძის სახეობის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი ერთ-ერთი უძველესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაა ჩვენს ქვეყანაში. თავისი არსებობისა და განვითარების მანძილზე თეატრი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებდა საბავშვო სპექტაკლებს,

რომლებიც უპირველეს ყოვლისა,მომავალი თაობების ესთეტიკურ აღზრდაზე იყო ორიენტირებული. ათწლეულების განმავლობაში იქმნებოდა მრავალფეროვანი რეპერტუარი და მოიცავდა როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.წლების განმავლობაში იხვეწებოდა წარმოდგენების მხატვრული ფორმა და ხარისხი. კლასიკური ფორმების პარალელურად ხორციელდებოდა არაერთი ექსპერიმენტი, რაც საბოლოოდ ქმნიდა უკეთესი შემოქმედებითი შედეგის ყველა წინაპირობას. ამჯერად ძირითად ყურადღებას თეატრში მოწვეულ რეჟისორსა (ნიკოლოზ საბაშვილი) და მის მიერ განხორციელებულ სპექტაკლზე „იავნანამ რა ჰქმნა?!“ გავამახვილებთ. საგულისხმოა ის ფაქტი,რომ მიმდინარე წლის თეატრალურ სეზონზე რეჟისორმა თეატრის დასთან ერთად სამი პრემიერა გამოუშვა.

პროფესიით მსახიობის მცდელობას, ძალები რეჟისურაში მოესინჯა, თან ახლდა მრავალი წინააღმდეგობა. და მაინც, რეალობის თავისებურ, მხატვრულ აღქმას, ახალი სათეატრო ფორმების ძიების თანმიმდევრულ პროცესს თავისი რეზულტატი მოყვა. ახალგაზრდა ხელოვანს ერთდროულად საქართველოს არაერთმა თეატრმა გაუხსნა კარი. განსაკუთრებით ბოლო წლის თეატრალური სეზონის განმავლობაში განხორციელებულმა სპექტაკლებმა – „სამშობლო“, შარლ პეროს „წითელქუდა“, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“, ვაჟა ფშაველას – „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და თავისუფალი თეატრალური პროექტი – „1945“ – მნიშვნელოვანი ყურადღებამიიქცია. ამათგან უკანასკნელმა კი ხელოვანს უკვე მეორედ მოუტანა პრემია დურუჯი – წლის საუკეთესო რეჟისორის სპეციალური ჯილდო.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მიმართ ინტერესი მისი ნაწარმოებების გამოქვეყნების დროიდან დღემდე არ წყდება. მწერლის სახელმწიფოებრივ და შემოქმედებით დამსახურებაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ის უკვე კლასიკურ მემკვიდრეობად ჩაეწერა ეროვნულ მწერლობას. „იავნანამ რა ჰქმნა?!“ – ეს ის ნაწარმოებია, რომელიც თავისი მწვავე შინაარსითა და ჰუმანიზმის მარადიულობის იდეით სრულყოფილად წარმოგვიდგენს ავტორის მსოფლმხედველობას. მოსაზღვრე ტერიტორიები, ისტორიული ძნელბედობა და მშობლიურ სახლს მოწყვეტილი გოგონას ტრაგიკული ბედი. სიუჟეტი ნებისმიერი თაობის ქართველისათვის კარგად ნაცნობი და განცდილია. დედის იავნანა, პირველი ზიარება ქართულ სიტყვასთან და იავნანის უნივერსალური ძალა. ეს ნაწარმოები თან ახლდა ჩვენს ბავშვობას და პიროვნებებად ქცევის რთულ პროცესში განუყოფელ, ცნობიერ „დოკუმეტს“ წარმოადგენდა... ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ქართული თეატრი (განსაკუთრებით საბავშვო) ყურადღების მიღმა არ ტოვებდა ქართული კლასიკური მწერლობის ამ უნიკალურ ნიმუშს და ამ დრომდე იქმნება ინტერპრეტაციათა უწყვეტი ჯაჭვი.

შესაბამისად, თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების თეატრისა და უშუალოდ ნიკოლოზ საბაშვილის დაინტერებაც არ ყოფილა შემთხვევითი. ამ შემთხვევაშიც სპექტაკლი ი. გოგებაშვილის ამავე სახელწოდების ნაწარმოების საფუძველზე განხორციელდა და თუ არ ჩავთვლით მცირე ფამილარულ ჩარევებს, რეჟისორი თანმიმდევრულად მიყვება

ავტორისეულ პირველწყაროსა და მხატვრულ სტრუქტურას. ამ შემთხვევაში ფამილარიზმი პროზაული ტექსტის სცენურ, ქმედით ნაწარმოებად გარდაქმნის დრამატურგიულ პროცესში გამოიხატა, რაც სავსებით ლოგიკურია. მთხრობელის სახით თავად ავტორის პერსონაჟს ვეცნობით, რომელიც პირველსავე სცენიდან იწყებს ნაწარმოების „წერა-მოყოლას". მომდევნო სცენებში უკვე პერსონაჟები ცოცხლდებიან და ხშირ შემთხვევაში უშუალო კონტაქტში შედიან ავტორთან. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (ვახტანგ ქორიძე) მხატვრული გადაწყვეტის ზუსტად მიგნებული, ორგანული ნაწილია. კამერული ხასიათის წარმოდგენა ძირითადად ერთ მაგიდაზე თამაშდება. მიზანსცენათა მონაცვლეობას ავტორისეული სიუჟეტის მიმდინარეობა განსაზღვრავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ 3D ფორმატში დამზადებულ წიგნს ვფურცლავთ, სადაც თითოეულ გვერდზე მოთავსებული ტექსტი მინიატურულად ცოცხლდება, პერსონაჟები იწყებენ მოქმედებას, ვხვდებით მსახიობისა და მისსავე პერსონაჟი – თოჯინის ორიგინალურ ურთიერთობას. მოვლენა მოვლენას ენაცვლება და ავტორის ბუტაფორიული წიგნი მოქმედების ადგილის შესაბამისად ტრანსფორმირდება. დახვეწილი, ორიგინალური თოჯინები მაქსიმალური პლასტიკურობით გამოირჩევა, მხატვარი რეჟისორთან ერთად ცდილობს მკვეთრად გამიჯნოს ხასიათები და ზუსტად გამოკვეთოს კონკრეტული თოჯინის ინდივიდუალური მახასიათებლები. მთლიან წარმოდგენას ემოციურად ამძაფრებს მუსიკალური გაფორმება. ამ შემთხვევაშიც რეჟისორი შეეცადა წინა პლანზე წამოეწია სხვადასხვა ხალხთა ძველი მუსიკალური ფოლკლორი, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა სპექტაკლის ხასიათი. ის მხატვრული სამყარო, რომელიც თეატრმა წარმოადგინა ბოლომდე გოგებაშვილისეული იდეის ერთგული რჩება. და მაინც, რეჟისორი „მსუბუქად" ემიჯნება ავტორს... უბრალოდ, მაგიდის ზედაპირზე თანმიმდევრობით ალაგებს ნივთებს, საგნებს, დეტალებს და მათ ორიგინალურ მოძრაობაში თავისებური დასკვნა გამოაქვს.

სპექტაკლის წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თეატრის დასი. სამსახიობო ანსამბლის (მალხაზ გაბუნია, გიორგი ტალახაძე, მაია მალხაზიშვილი, ნათია ხმიადაშვილი, თამთა ბაქრაძე, ნათია შეშაბერიძე, თეა კიწმარიშვილი) სრული შემადგენლობა მაქსიმალურად იყო ჩართული სპექტაკლის შექმნის ერთიან, უწყვეტ პროცესში. ამათგან უმრავლესობას რამოდენიმე პერსონაჟის თამაში, და სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ფრაგმენტში პარალელურად ჩართვა უწევდათ. მთლიანობაში თეატრის დასი მზად არის აჩვენოს მაქსიმალური პროფესიული შესაძლებლობა.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ნიკოლოზ საბაშვილის მიმართ კრიტიკოსთა ინტერესი. ჯერ კიდევ პროფესიული მოღვაწეობის საწყის ეტაპზე რეჟისორის ერთი შეხედვით თავისებურ, თამამ თეატრალურ ექსპერიმენტებს კამათის გარეშე არ ჩაუვლია. მას შემდეგ რაც დამოუკიდებელ თეატრში განხორციელებულმა სპექტაკლმა – „ქაღალდის წვიმა" თეატრალური პრემია დურუჯის დაჯილდოებაზე საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის ნომინაცია მოიპოვა, ინტერესმა გაცილებით იმატა. მიზანმიმართული უარის თქმა დრამატურგიულ ტექსტზე, მძაფრი ინტერესი არავერბალური სათეატრო

ესთეტიკის მიმართ, ეტიუდებში დაკონკრეტებულ - დანაწევრებული მცირე ნოველები („ქაღალდის წვიმა“) საწყის ეტაპზე ვერ ქმნიდა წარმოდგენის, როგორც, ერთიანი ესთეტიკური სხეულის მხატვრული გააზრების საფუძველს. თუმცა აღნიშნულმა სპექტაკლმა კომპლექსურად წარმოაჩინა რეჟისორის შესაძლებლობა – შეექმნა ქმედითი, ვიზუალურად მრავალფეროვანი, საცირკო ელემენტებით გაჯერებულ ეტიუდთა წყება, სადაც სიტყვა კარგავდა ყოველგვარ სემანტიკურ მნიშვნელობას და კონკრეტული ქმედითი ელემენტი – ნივთი, საგანი, თოჯინა იძენდა განსაზღვრულ მხატვრულ დატვირთვას. ეტაპობრივად გაჩნდა დაგროვილი გამოცდილებისა და მყარი, დრამატურგიული ნაწარმოებების სინთეზის აუცილებლობაც. მომდევნო წლების დადგმებში ექსპერიმენტული ძიებები მეტი ინტენსივობით გრძელდება და პოსტმოდერნისტულ თეატრალურ ტენდენციებთან სინთეზში კიდევ უფრო მკაფიოდ ავლენს რეჟისორის შემოქმედებით პოტენციალს, მის წარმოდგენას თეატრსა და ზოგადად თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაზე.

მოხტუნავე პრინცესა

სპექტაკლის დასახელება - მოხტუნავე პრინცესა
სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ვლადისლავ დვორსკი
ინსცენირება - ნათია შეშაბერიძე
რეჟისორი - თეა კიწმარიშვილი
მხატვარი - თინათინ ფეტვიაშვილი
კომპოზიტორები - თენგიზ ნოზაძე, ლაშა კოვზირიძე
რეჟისორის თანაშემწე - ნათელა ქენქაძე

მოქმედი პირები და შემსრულებლები:
ხელოსანი - მალხაზ გაბუნია, რატი ნავაძე
ხელოსნის მეულლე - ნათია შეშაბერიძე, ნინო ნატროშვილი
პრინცესა - მაია მაზიაშვილი, მარიკა ძაგნიძე, ნათია ხმიადაშვილი
პრინცი - გიორგი მეძმარიაშვილი
ბოროტი ჯადოქარი - გიორგი ტალახაძე
კუდიანი დედაბერი - თეა კიწმარიშვილი, ირინე კუკულაძე
ცხენი - გიორგი ღონღაძე
მეფე - ლევან ხიზანაშვილი, ვახტანგ ჭელიძე
დამხმარე მსახიობები - მანანა წიკლაური, მაია მალხაზიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 10 მაისი
სარეპეტიციო პროცესი - 2 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლს პრესაში ჯერ გამოხმაურება არ მოჰყოლია

ტყის ზღაპრები

სპექტაკლის დასახელება - ტყის ზღაპრები

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
გივი ჭიჭინაძის ლექსების მიხედვით
ინსცენირების ავტორი - მანანა აბრამიშვილი
რეჟისორი - მაია ლორთქიფანიძე
მხატვარი - ირინა ტკაჩენკო
კომპოზიტორი - ლიანა მაჭარაძე
რეჟისორის თანაშემწე - ნათელა ქენქაძე

მოქმედი პირები და შემსრულებლები:
დათუნია დრუნჩა - მალხაზ გაბუნია, თეა კიწმარიშვილი,
გიორგი მეძმარიაშვილი
პირველი ციყვი - მარიკა ძაგნიძე, ნათია შეშაბერიძე
მეორე ციყვი - თამთა ბაქრაძე, მაია მალხაზიშვილი
კურდღელი - ნინო ნატროშვილი, მანანა წიკლაური
ზღარბი - გივი ქუსიკაშვილი, გიორგი ღონღაძე, ვახტანგ ჭელიძე
მელია - მანანა წიკლაური, ნინო ნატროშვილი
თაგუნა - ნათია შეშაბერიძე, მარიკა ძაგნიძე
კოდალა - მაია მაზიაშვილი, ნათია ხმიადაშვილი
ჭიამაია - მარიკა ძაგნიძე, ნათია შეშაბერიძე
კალია - თამთა ბაქრაძე, მაია მალხაზიშვილი
ხოჭო - გიორგი ტალახაძე, ლევან ხიზანაშვილი
ღრუბელი - ლევან ხიზანაშვილი, გიორგი ტალახაძე
ია - ნინო ნატროშვილი, მანანა წიკლაური
ყაყაჩო - მაია მალხაზიშვილი, თამთა ბაქრაძე
გვირილა - მაია მაზიაშვილი, ნათია ხმიადაშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 25 მაისი
სარეპეტიციო პროცესი - 2 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლს პრესაში
გამოხმაურება ჯერ არ მოჰყოლია.

თბილისის სანდრო ახმეტელის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

დედა

სპექტაკლის დასახელება - დედა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - კარელ ჩაპეკი
რეჟისორი - გიორგი სავანელი
მხატვარი - მარიკა კვაჭაძე
მუსიკალური გაფორმება - მიხეილ კოჩაძისა
რეჟისორის თანაშემწე - ნანა ნემსიწვერიძე

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
დედა - მზია ტალიაშვილი
მამა - მამუკა მაზავრიშვილი
კორნელი - ბექნუ ქაფიანიძე
პეტრა - სოფია სებისკვერაძე
ტონი - გიორგი ცახადაძე
ირჟი - გიგი მიგრიაული

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 31 იანვარი
სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას) - სარეპეტიციო პროცესი დაიწყო 2014 წლის მაისში და სულ ჩატარდა 55 რეპეტიცია

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
ვაჟა ძიგუა, თანამედროვე ჩაპეკი, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ № 2, მარტი, აპრილი
საბა მეტრეველი, სიყვარულისა და მოვალეობის ზღვარზე

გამოხმაურება

გუბაზ მეგრელიძე

„დედა“ ახმეტელის თეატრში

ჩეხი დრამატურგისა და მწერლის კარლ ჩაპეკის პიესამ „დედა“ იმთავითვე მიიპყრო მსოფლიო ლიტერატურის ყურადღება. იგი 1938 წლის დასაწყისში დაიწერა, ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ანექსიამდე. პიესამ საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. 15-მა ფრანგმა მწერალმა მისი ნობელის

პრემიაზე წარდგენის საკითხი დააყენა, ხოლო ინგლისურმა კრიტიკამ თანამედროვე სოფოკლე უწოდა.

პიესაში პატეთიკურადაა მოცემული ორი თვალთახედვის კონფლიქტი, რომელიც დაძაბულად და ემოციურად გამოხატავს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლას. ავტორი თავის ჩანაფიქრს განზოგადებულად და გრძნობით გვიჩვენებს. მოქმედების ადგილი დაკონკრეტებული არ არის, ეს ამბავი შეიძლება მომხარიყო სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც აღმოჩნდნენ თანამედროვე პოლიტიკური და ტრაგიკული მოვლენების ცენტრში. ამ ბრძოლაში ავტორი ძლიერ პოზიციას ანიჭებს პიროვნულ საწყისს, რომელსაც დედის გულწრფელი და ემოციური სახით წარმოგვიდგენს. დედა თავად სიცოცხლის განსახიერებაა, მიუხედავად ამ ძალის გაცნობიერებისა, თაობათა კონფლიქტს, რა თქმა უნდა, ვერც ერთი დრო ვერ გაექცევა. დედის შეხედულებებს შვილები უპირისპირდებიან. უფროსი შვილი თავს სწირავს სამეცნიერო აღმოჩენას, მფრინავი შვილი საფრენოსნო რეკორდის დამყარების დროს იღუპება, ტყუპები, კომუნისტი პეტრე და თეთრგვარდიელი, ნაციონალისტი კორნელი, პოლიტიკურ ბრძოლას ეწირებიან. მათი გმირული და სამაგალითო დაღუპვა დედისთვის მიუღებელია. ვინაიდან მათ გარემოცვაში გრძნობდა თავსი საკუთარ პიროვნებას. ამიტომ სოციალური იდეალები უაზროდ მიაჩნია. მეუღლე კოლონიურ ექსპედიციაში დაიღუპა, ბოლო შვილი კი მათი ყვითელი „ლიხარადკისგან“ განკურნებას შეეწირა. კორნელის ბრძოლა კი ეწინააღმდეგება პეტრეს ბრძოლის იდეალებს. დედა მიცვალებულებითაა გარშემორტყმული. ავტორი რემარკაში წერს, რომ ისინი ცოცხლებივით უნდა გამოიყურებოდნენ, რადგანაც დედის ხსოვნაში ცოცხლობენ. ეს დაღუპული გმირები კაცობრიობისთვის ყოველთვის მამაცობის სიმბოლოდ რჩენიან. მათი არგუმენტები დამაჯერებელი და ლოგიკურია, მაგრამ ხანდახან პოზიციებს თმობენ დედის ამაღელვებელ, დედური ინსტინქტებით გაჯერებული სიტყვების ზეგავლენით. დედა არ უარყოფს მათ ლოგიკას, მაგრამ არ ღებილობს მათ მსხვერპლშეწირვას. მაგრამ ეს დავა არ მთავრდება და ყველანი თავიანთ პოზიციებზე რჩებიან. ფიზიკურად მორჩილი, სულიერად კი პოეტი ტონი ერთადერთი დარჩენილი შვილია, რომელსაც სამშობლო გმირობისთვის ეძახის – მისი დროც დადგა. მას სამშობლოსთვის დაღუპული ძმებიც ეძახიან. ამ დროს იწყება დედის ბრძოლა უკანასკენლი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად. ის ყურს არ უგდებს გარდაცვლილთა ხმებს, რომლებიც ცდილობენ დაარწმუნონ, რომ სიცოცხლეზე მაღალი იდეალებიც არსებობს. დედის ძახილზე, რატომ ჩემი შვილი უნდა დაიღუპოს - პასუხობენ, წინ საუკეთესონი მიდიან და იღუპებიან.

დედა ბოლოს ხვდება – სხვა დედაც კარგავს შვილს სამშობლოსთვის, იმისთვის,რომ დანარჩენი დედების შვილები გადარჩნენ. ეს არგუმენტი მისაღებია დედისთვის, საკუთარი ხელით აძლევს ტონის თოფს და ეუბნება „წადი“. სამშობლოს დაცვა სიცოცხლის გადარჩენას, სხვა შვილებისა და დედების დაცვას ნიშნავს.

რეჟისორმა გიორგი სავანელმა სპექტაკლის ჟღერადობა ანტიფაშისტური

განწყობიდან სამშობლოს დაცვის, პიროვნული თვითშეგნებისა და საზოგადოების წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების აუცილებლობაზე გადაიტანა. ეს გამოწვეულია იმითაც, რაც საქართველომ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გადაიტანა და ადამიანებმაც სულიერ-მორალური კატაკლიზმები გამოიარეს. ასეთ შემთხვევაში სპექტაკლი მაყურებელს მოუწოდებს ასულიერი სიძლიერის გამოჩენისკენ მაშინ, როდესაც ქვეყანა უკიდურესი განსაცდელის წინაშე დგას. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევების მომსწრენი არაერთხელ ვყოფილვართ, როდესაც ქვეყნის დასაცავად დედის თვალწინ იღუპებიან შვილები და შეგნებული აქვთ ამ მსხვერპლის აუცილებლობა. სპექტაკლის პოზიცია პროგრამიდანაც ჩანს: „ომი, ძალადობა, ბრძოლა სიკეთისა და სამართლიანობისთვის, ფსიქოლოგიურ დრამაში ჩაპეკის პერსონაჟები მშვიდობისთვის იბრძვრიან. ტრაგიკული დედის ბედი, რომელიც თავის უკანასკნელ იმედსა და უკვე ერთადერთ შვილს – 16 წლის ტონის საკუთარი ნებით უშვებს ფრონტის წინა ხაზზე. პატრიოტიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე, მარადიული ბრძოლა მშვიდობისთვის და ადამიანები, რომლებიც მზად არიან ამ ბრძოლაში თავგანწირვისთვის“.

მსახიობი მზია ტალიაშვილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სცენაზე არ ჩანდა და მისი საკმაოდ რთულ, დრამატულ მთავარ როლში გამოჩენა, რა თქმა უნდა, სასიხარულო ფაქტია.

მსახიობი-დედა ოჯახის წევრებისამდი მკაცრიც არის და გულთბილიც, მომთხოვნიცა და მოსიყვარულეც. შემოქმედი თავიდანვე გამოჰყოფს ოჯახის ინტერესებისთვის ზრუნვას, უფრთხილდება შვილებს და ამავე დროს არ ავიწყდება დაღუპული ქმარ-შვილი. მათი ხსოვნა მუდმივად თან სდევს, ცდილობს, ოჯახი ისეთი პრინციპებით წარმართოს, როგორც მათ მოეწონებოდათ, დაიცვას ტრადიციებიც და ცოცხალი შვილების მომავალი ცხოვრება უზრუნველყოს. მსახიობი ემოციურად, ვნებათაღელვითა და დრამატული პათოსით წარმართავს გმირის მოქმედების განვითარებას. თანდათან იძაბება სიტუაციაცა და დედის შეფასებებიც, უფრო მძაფრდება თითოეული სცენის დაძაბულობა და შვილებთან ურთიერთობაც. მისი სულიერი მდგომარეობა გაწონასწორებულია გარდაცვლილებთან საუბრისას, რომლებიც მის წარმოსახვაში ცოცხლები და მის გვერდით არიან. აანალიზებს განვლილ ცხოვრებას, ურთიერთობებში დაშვებულ შეცდომებსა თუ სასიამოვნო მოგონებებს. მისი სულიერი სამყარო იძაბება, როდესაც ქვეყანაში საომარი ვითარება იქმნება და შვილებიც სამშობლოს დასაცავად წასვლას გადაწყვეტენ. აქ უკვე მ. ტალიაშვილის გმირი რადიკალურად იცვლება და შვილების გადარჩენისთვის იბრძვის.

ჯერ სიტყვიერად ცდილობს მათ დარწმუნებას, შემდგომ დედის უფლებებს იყენებს და როგორც პატარა ბავშვებს, ისე მოსთხოვს მის ნებას დამორჩილდნენ. შვილებს კი თავიანთი სიმართლე და მრწამსი აქვთ. რა თქმა უნდა, კონფლიქტი უნდა შედგეს. მსახიობი საინტერესოდ წარმართავს იმ სულიერ გარდატეხას, რომელსაც იგი დიდი განცდით ღებულობს და საკუთარი ხელით აძლევს თოფს თავის ბოლო იმედს, რომ ტონიმ სამშობლოსთან ერთად სხვა დედების და შვილების მომავალი გადაარჩინოს. ამ დროს დედას სიამაყე ეუფლება და

ტრაგიკულ ბედს ეგუება – გმირი შვილების აღზრდის გამო. თუმცა ისეთივე შემართების ნაცვლად ბედს დამორჩილებული, მორალურად განადგურებული, სინანულით ემშვიდობება უკანასკელ იმედს, რომელსაც ვეღარასდროს ნახავს. რამდენადაც თავიდანვე შეუვალი და მკაცრია, ფინალში ემოციებით დაღლილი და დაუძლურებულია, უმძიმესია რეალობა, რომელსაც, ძალაუნებურად, ცრემლით ემორჩილება. მსახიობის ასეთი კონტრასტული სახეცვლილება ამძაფრებს გმირის სახეს და სრულყოფილად წარმოაჩენს მის მხატვრულ მთლიანობას.

სულიერად გაწონასწორებულია მამუკა მაზავრიშვილის მამა, რომელიც სიმშვიდესა და ოჯახის უფროსის ღირსებას ინარჩუნებს. იგი თავდაჯერებულად შესცქერის შვილთა ბედს, რომლებმაც, მის მსგავსად, იდეალებს შესწირეს სიცოცხლე. უყვარს ოჯახი და ძვირფასია მასთან დაკავშირებული სულიერი ფასეულობები, თუმცა პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე დიდ პატივს სცემს და მშვიდად, სიმტკიცითა და სიამაყით ადევნებს თვალს მოვლენების ტრაგიკულ განვითარებას, იცის, რომ სიცოცხლე პატრიოტიზით, თავდადებით, კაცური ღირსების გამოვლინებით ფასობს, რასაც მისი შვილების გადაწყვეტილებებიც ცხადყოფენ. მ. მაზავრიშვილის გმირს ოჯახის წევრთა არც ერთი მოქმედება შეუფასებელი არ რჩება. იგი ემოციურად გაწონასწორებულია – ხან კმაყოფილია, ხანაც შეიძლება არ მოსწონს შვილების მიერ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ ისინი ოჯახის ტრადიციებს არ შეარცხვენენ.

დედის განუყოფელი სულიერი ნაწილია გარდაცვლილი შვილები, რომლებსაც იგი მუდმივად გრძნობს. გიგი მიგრიაულის ირჟი თვითმფრინავის გამოცდის დროს ტრაგიკულად იღუპება. მას შეგნებული აქვს, რომ უდროო სიკვდილით ოჯახის წევრებს დიდი მორალური ტკივილი მიაყენა, რასაც განიცდის, დამნაშავედაც გრძნობს თავს, მიუხედვად იმისა, რომ მამა მის ქმედებას მაინც ამართლებს გმირობის ტოლფასი საქციელის გამო. ირჟი კმაყოფილია მამის შეფასებით, გულმხურვალედ და სევდანარევი გამოხედვით ადევნებს თვალს დანარჩენი და-ძმის პატრიოტულ განწყობას, რამაც ისინიც უკვდავებაში უნდა გადაიყვანოს, ასახელოს ოჯახი და უდიდესი ტკივილი მიაყენოს დედის განცდებს. ამიტომაც სთხოვს დედას, მის ცხედარს არ შეხედოს და არ დაიჯეროს, მხოლოდ ხსოვნას ენდოს, ისეთი დაიმახსოვროს, როგორიც უკანასკნელად ნახა. იგი გულწრფელად ცდილობს, დედა ანუგეშოს, რომ გულის ტკივილი შეუმსუბუქოს.

ოჯახური კონფლიქტი და-ძმა კორნელსა და პეტრას შორის დაძაბულად მიმდინარეობს. ისინი სრულიად არ გამოირჩევიან ტყუპთა იდენტური თვისებებით. პირიქით, მუდმივად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს იდეური მრწამის შეუთავსებლობის გამო. კორნელი, ბექნუ ქაფიანიძის შესრულებით, თავდაჯერებულია საკუთარი გადაწყვეტილებების მართებულობაში და მიზანსწრაფულად მოქმედებს თავისი ნაციონალისტური შეხედულებებიდან გამომდინარე, ვაჟკაცურად იბრძვის, ქედუხრელია. მტკიცეა მისი დამოკიდებულება ქვეყნის მტრებისამდი, მაგრამ ამავე დროს დედისადმი დიდი პატივისცემისა და მორიდების გრძნობა ყოველთვის თან სდევს.

პიესისეული პეტრე რეჟისორმა სპექტაკლში პეტრად გარდასახა, ვინაიდან ქვეყნისადმი მოვალეობის შეგრძნება ყველას ეკუთვნის – ქალსაც და კაცსაც. პეტრა, სოფია სებისკვერაძის შესრულებით, ჯიუტად მიჰყვება თავის კომუნისტურ მრწამსს, უპირისპირდება კორნელს, მაგრამ მხოლოდ იდეურად, შინაგანად კი ძმისადმი სიყვარული და პატივისცემა ამოძრავებს. მას დედის რიდი და სიყვარული არ აკლია, მაგრამ მაინც მოურიდებელია საკუთარი იდეალების დაცვისას, სურს, თავისი წვლილი შეიტანოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში, თუმცა არც ცხოვრებისეული სილაღე აკლია, არც ახალგაზრდული შემართება ბედნიერებისთვის, მაგრამ მაინც ბრძოლის რთულ გზას ირჩევს, რომელიც მისთვის ტრაგიკულად მთავრდება, თუმცა გადადგმულ ნაბიჯს არ ნანობს. სწორედ ქალური თვისებებისა და საბრძოლო განწყობის შეპირისპირება ქმნის პეტრას ხასიათის ინდივიდუალობას.

დედის უკანასკენი იმედი ტონია, რომელიც გიორგი ცხადაძის შესრულებით გულწრფელი, გულუბრყვილო, მაგრამ მოვალეობის გრძნობით აღსავსეა. მისი პოეტური სული ცხოვრების რომანტიკული აღქმით გამოირჩევა და დედის დარწმუნებას სწორედ თავისი განწყობით აღწევს. თავიდანვე იგი მამის სამხედრო ტანსაცმელს სარკის წინ ირგებს, რითაც თავს შეიძლება გმირადაც წარმოიდგენდეს, ამით მამის გმირულად სიკვდილის რომანტიზაციას ახდენს. თავისი წარმოსახვის რეალიზაციას კი ომში მოხალისედ წასვლით აღწევს. ტონის ესმის, რომ იგი დედის უკანასკნელი იმედია და თავისი სიკვდილით შეიძლება მას განაჩენიც გამოუტანოს, მაგრამ სხვაგვარად მოქცევის უფლებას ოჯახის დაღუპული წევრების სულების პატივისცემა და სამშობლოსადმი ერთგულება არ აძლევს. სწორედ ამ განწყობას გრძნობს დედაც და თანხმდება ტონის ქვეყნის მომავლის დასაცავად უკვდავებაში გაშვებას.

რეჟისორმა გიორგი სავანელმა შეძლო ერთმოქმედებიანი სპექტაკლის მოქმედება ერთიანი რიტმით განევითარებინა, რომელიც გაჯერებულია ემოციური მუხტით, ტრაგიკული კოლიზიით, გმირთა დაძაბული, მაგრამ საოცრად თბილი ურთიერთობებით და, რაც მთავარია, თითოეული გმირის პოზიციისა და ხასიათის გამოკვეთით. ეს გარემოებები კი სპექტაკლს დადგმის საზოგადოებრივ პოზიციას გამოხატავს და თანადროულ ჟღერადობას სძენს.

საბა მეტრეველი

ადამიანური ყოფიერების უმაღლესი მიზანი

(კარელ ჩაპეკის „დედა“ ახმეტელის თეატრში)

უცნაური ბედისა იყო ჩეხი მწერალი კარელ ჩაპეკი – დაუდეგარი, შეუპოვარი; ვერ იტანდა ბინძურ პოლიტიკას, აღელვებდა პოლიტიკურ ინტრიგებს შეწირულ ადამიანთა ბედი, სამშობლოს ბედი! დაუნდობლად ებრძოდა დიქტატორულ რეჟიმებს, აბუჩად იგდებდა იმ გეოპოლიტიკურ კატასტროფას, ერთი მესამედი მსოფლიო რომ მოიცვა, კარგად ესმოდა სოციალისტური რეჟიმის ტოტალიტარული ხასიათისა. ჯერ კიდევ 1924 წელს დაწერა მკაცრად სატირული წერილიც „რატომ არა ვარ კომუნისტი“. ბუნებრივია, ამის

გამო გულზე არ ეხატებოდათ ბნელი პოლიტიკური იდეოლოგიის მესვეურთ. ვერც ფაშისტურმა რეჟიმმა შეიწყნარა მისი მოღვაწეობა და ამიტომაც იყო, რომ გერმანიის ფიურერმა, ჰიტლერმა, ჩეხოსლოვაკიის დაკავების პირველივე დღეებში გესტაპოს დაავალა ჩაპეკის დაპატიმრება, მაგრამ ამ პერიოდისთვის მწერალი უკვე ერთი წლის გარდაცვლილი იყო, თუმცა მაინც ვერ მოისვენა ნაცისტურმა რეჟიმმა და მის ძმას, ჟოზეფს, მოუწია საკონცენტრაციო ბანაკში სიცოცხლის დასრულება.

კარელ ჩაპეკს მსოფლიო აღიარება მოუტანა 1920 წელს გამოცემულმა ფანტასტიკური ჟანრის პიესამ „R.U.R.“ („როსუმის უნივერსალური რობოტები“). გავრცელებულია შეხედულება, რომ სიტყვა „რობოტი“ სწორედ კარელ ჩაპეკს ეკუთვნისო, თუმცა თავად მას არაერთხელ აღუნიშნავს: ეს სიტყვა ჩემმა ძმამ, ჟოზეფმა, მოიგონაო. 1936 წელს გამოცემული ფანტასტიკური ჟანრის ანტიუტოპია –„ომი სალამანდრებთან“ ჩაპეკის მორიგი მსოფლიო ბესტსელერი იყო. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ სატელევიზიო მხატვრული ფილმი „რეკორდი“ (1973 წ.) ჩაპეკის მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული (სცენარის ავტორები – გურამ პატარაია და ამირან ჭიჭინაძე). ეროვნული ფილმოგრაფიის ვებგვერის მიხედვით, „ფილმის ავტორებმა ცნობილი ჩეხი მწერლის მოთხრობა ქართულ ყოფას მიუსადაგეს“.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარელ ჩაპეკის „დედა“ (დრამა 2 მოქმედებად), მთარგმნელი - დავით გაჩეჩილაძე, დამდგმელი რეჟისორი – მედეა კუჭუხიძე, 1965 წლის 31 იანვარს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში და ეს იყო ვერიკო ანჯაფარიძის მორიგი ტრიუმფი.

ზუსტად 50 წლის შემდეგ და ზუსტად 31 იანვარს (შემთხვევითი დამთხვევა თუ ბედისწერა?!) ახმეტელის თეატრში პრემიერა გაიმართა. როგორც თეატრი იტყობინებოდა: „ცნობილი ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის, პიესა „დედა“ ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი სავანელმა, ახმეტელის თეატრის დასთან ერთად, დადგა. ომი, ძალადობა, ბრძოლა სიკეთისა და სამართლიანობისთვის, ფსიქოლოგიურ დრამაში ჩაპეკის პერსონაჟები მშვიდობისთვის იბრძვიან, ტრაგიკულია ბედი დედისა, რომელიც თავის უკანასკნელ იმედსა და უკვე ერთადერთ შვილს, 16 წლის ტონის, საკუთარი ნებით უშვებს ფრონტის წინა ხაზზე. პატრიოტიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე, მარადიული ბრძოლა მშვიდობისთვის და ადამიანები, რომლებიც მზად არიან ამ ბრძოლაში თავგანწირვისთვის“. სპექტაკლში დედის როლს მზია ტალიაშვილი ასრულებს. მასთან ერთად, წარმოდგენაში დაკავებული არიან: მამუკა მაზავრიშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, სოფია სებისკვერაძე, გიგი მიგრიაული და გიორგი ცხადაძე. სპექტაკლის მხატვარი მარიკა კვაჭაძეა. სპექტაკლი განხორციელდა ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

თავად რეჟისორი, გიორგი სავანელი, იტყვის, რომ დადგმა გადააწყვეტინა საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოსადმი პიროვნული მოვალეობის დეფიციტმა, რომელიც ჭარბად იგრძნობა ჩვენს საზოგადოებაში, რომ დადგმის იდეა გაუჩნდა 2008 წლის ომის მერე.

გიორგი სავანელი ახალგაზრდა რეჟისორია, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე და იმედის მომცემი. მისთვის კარელ ჩაპეკის „დედა“ რიგით მეთვრამეტე სპექტაკლია. რეჟისორი ამ დრამატურგიულ მასალას აღიქვამს კონცეპტუალურ დრამად, ამიტომაც მისხალ-მისხალ აქვს გათვლილი თავისი სათქმელი და მკვეთრად გამოყოფილი – ძირითადი კონცეპტები! ასეთი მიდგომა, ალბათ, ამართლებს იმასაც, რომ დრამატურგიულ ქსოვილში ჩაერიო და საშენო ინტერპრეტირება მოახდინო. პიესიდან ამოღებულია ერთი შვილი და შემოყვანილია ახალი პერსონაჟი – ქალიშვილი პეტრა, ვაჟიშვილ პეტრეს ნაცვლად (გენდერული ბალანსი თუ სიახლე სიახლისთვის?!). ამ უკანასკნელის აუცილებლობას სპექტაკლის მიხედვით ვერ იგრძნობთ, განსაკუთრებული დატვირთვა პეტრამ ვერ შეიძინა, მას ბუნდოვნად რევოლუციონერი ქალის იმიჯი აქვს და თავად სამსახიობო შესრულებაც მთლად ორგანულად ვერ ერწყმის სპექტაკლის სამსახიობო ანსამბლს.

აქცენტები, რომლებიც რეჟისორმა დასვა, ბუნებრივად ამოზრდილია ჩაპეკის მსოფლმხედველობიდან, მისი მხატვრული ტექსტიდან, – ეს არის მისივე პოზიციის განზოგადება, აპელირება მარადიულ ღირებულებებთან, პროტესტი ნგრევის, სიკვდილის, ძალადობის, ომის წინააღმდეგ. რეჟისორი ღრმად გრძნობს ჩაპეკის დაძაბულ ეპოქას და ისტორიული კანონზომიერების კონტექსტში გაიაზრებს 21-ე საუკუნის ნიჰილისტური პროფილით მომზირალი ადამიანის მთავარ მისიას. ამასთანავე, სპექტაკლის ძირითადი ხაზი გადის თავად დედის ტრაგედიაზე, უფრო სწორად, დედაშვილობის გრძნობის უძლეველობაზე. სპექტაკლი ერთმნიშვნელოვნად გვეუბნება, რომ დედაშვილობა ამოუხსნელი და შეუცნობი ფენომენია, რაღაც საკრალური და არსობრივი, ეს არის ის გრძნობა, რომელზეც დღემდე დგას ეს ცოდვილი სამყარო. დედა არის სიცოცხლის საწყისი, ახალი სიცოცხლის დაბადება და ყველაფრი, რაც წინ აღუდგება სიცოცხლეს, არაკანონზომიერია, შესაბამისად, – არაბუნებრივი.

პიესას მრავალი შრე აქვს, შესაბამისად, თავს იყრის სათქმელთა მთელი გამა - ომი და ძალადობა ერთი მხრივ, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინაშე და სიკეთე და სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული და თავგანწირვა, როგორც ადამიანური ყოფიერების უმაღლესი მიზანი და გამართლება! ამავე დროს, მნიშვნელობას არ კარგავს დღეს უკვე ოპოზიციურ წყვილად გააზრებული სიყვარული და მოვალეობა, დედაშვილური უწმინდესი გრძნობის დუღილის ფონზე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და სამშობლოს მრწამსი. მთავარი დაპირისპირებაც ბეწვის ხიდზე გადის, რომელი როდის გადასწონის: შვილის თუ სამშობლოს სიყვარული, პირადი თუ საზოგადო, ჩემი თუ ჩვენი!!!

ჯ. ჰილის მილერი ერთგან ამბობს, რომ ნებისმიერი ლიტერატურული ნარატივი სივრცულ გარსში გახვეული დროის ალეგორიაა. ძნელია ჩაპეკის ეპოქის უშუალო რეპრეზენტაცია, თუმცა რეჟისორი ახერხებს დროის რიტმის ზუსტ შეგრძნებასა და გადმოცემას, რომ მსგავსი უბედურება შესაძლებელია იყოს არა შორეული წარსული, არამედ უახლოესი პოლიტიკური აწმყო! ეს სპექტაკლი არაა სპონტანური ან ტრადიციით ნაკარნახევი შეხმიანება ფასეულობებთან. აქ ღირებულებითი სისტემა განპირობებულია მაღალი

სამოქალაქო შეგნებისა და ჰუმანისტური კოდის სტრუქტურით. ამიტომაცაა, რომ პერსონაჟები ესწრაფვიან გაჭრას, საბრძოლველად გაქცევას და ეს ლტოლვა გარემოს, მოძრაობის რიტმის შეცვლისა გამოხატავს თავისუფლების დაუოკებელ წყურვილსაც.

მზია ტალიაშვილის შემოქმედებაში დედის როლი, ალბათ, ყველაზე რთული და მნიშნელოვანი ეტაპია. მსახიობი დგას რამდენიმე პრობლემის პირისპირ. რა უნდა გვაჩვენოს მან? დედისთვის რომ მძიმეა შვილის დაკარგვა – ეს ისედაც ცხადია. დედას ხუთი ვაჟი ჰყავს (სპექტაკლში – სამი ვაჟი და ერთი გოგო) და შვილები მისი ცხოვრების გამართლებაცაა და ბედნიერებაც. მაგრამ, მაინც აკლია დედური სითბო და სირბილე მსახიობის შვილებთან ურთიერთობას. დედის პირველი შემოსვლაც უფრო მკაცრია და დაძაბული, ვიდრე – საქმიანი და თბილი. რადგანაც სპექტაკლში დარღვეულია კოორდინაცია დედისა შვილებთან, ამიტომ მერე სრული სიმწვავით ვერ გრძნობ იმ ტკივილს, თავზარდამცემ უბედურებათა მთელ წყებას, რომელიც გათამაშდება. პიესის მიხედვით, დედა თანდათან კარგავს შვილებს. მიზეზი სხვადასხვაა, მაგრამ სპექტაკლში გ. სავანელმა ეს მიზეზი აქცენტირებულად ერთს დაუქვემდებარა – ქვეყანას! სამშობლოს სჭირდება მოქალაქეთა თანადგომა, სამართლიანობის აღდგენას – მსხვერპლი, ამიტომ ოთხივე შვილი გააზრებულად ეწირება საქვეყნო საქმეს (მათ ასე ესმით)!

შვილი დედისთვის არის საკუთარი არსებობის, საკუთარი ექსისტენციის უტყუარი საბუთი. ამიტომ, ყოველი შვილის დაკარგვამ დედის განსხვავებული ემოცია უნდა წარმოაჩინოს. უბედურება ერთია, მაგრამ შვილები ხომ ინდივიდუალურად და, ამავე დროს, პერსონალურად სხვადასხვა დამოკიდებულებაში არიან დედასთან?! რადგანაც მთავარი – დედაშვილური მიმართებები სპექტაკლში მკრთალად იკითხება, ამიტომაც ვერ ვითარდება დედის ტრაგიზმი. მსახიობის თამაშში დიდი უბედურების სხვადასხვა სახეობის „დაჭერა“ ძნელდება. მართალია, ტკივილით, ცრემლითა და ტანჯვით, მაგრამ მაინც ზიგზაგებით მიდის იგი ლოგიკური დასასრულისკენ. ფინალი მძიმეა – აღარ არიან შვილები, მაშასადამე, აღარ არის სიცოცხლეც საინტერესო, დედის ცხოვრება აზრს კარგავს.

მხოლოდ ტონისთან ურთიერთობის ფინალურ სცენაში შეძლო მსახიობმა, ეჩვენებინა ის, რომ, რაც უფრო მეტ შვილს კარგავს, რაც უფრო ცოტა რჩება ოჯახში ადამიანი, მით უფრო მწვავეა მისი სიყვარული ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილისადმი. ამიტომაც ერთგვარ აგონიას ასახიერებს მ. ტალიაშვილი, ყველა გზით ებღაუჭება ტონის (ამით – საკუთარ სიცოცხლესაც), რომ ის ერთი მაინც დაურჩეს ცოცხალი.

პიესაში არ ჩანს, რომ დედას რამე სხვა მიზანი ჰქონდა – ის ცხოვრობდა და ცოცხლობდა შვილებისთვის, შვილებით. მსხვერპლი საკმარისია, მამა და შვილები დაიხოცნენ, დედა მარტო რჩება ყველაზე ახალგაზრდა ტონისთან ერთად. გ. სავანელი ეძებს მოტივაციას: რა უნდა მოხდეს, რომ დედამ უცებ შეცვალოს გადაწყვეტილება ან რატომ უნდა შეცვალოს?! ნუთუ არაა საკმარისი ერთი ოჯახისთვის ის, რაც მას თავს დაატყდა?!

სწორედ ამ ასპექტით შემოდის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის პრობლემა, მაღალი სამოქალაქო შეგნება ან, უფრო ზუსტად, სამშობლოსათვის მსხვერპლშეწირვა, მსხვერპლის გაღება, როგორც უმაღლესი ადამიანური ფასეულობა. ასე ეჯახება ერთმანეთს „ზრუნვა“ და „მსხვერპლი“. ქვეტექსტად თუ კონტექსტად უნებურად გაგახსენდებათ ილია ჭავჭავაძის დედაც, რომელიც ერთადერთ შვილზე ბოლოს, იტყვის: „ჩემი სიბერის მისაყრდომად ისღა მშთენია, / მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია!“.

მაგრამ, ვიდრე ასეთსავე გადაწყვეტილებას მიიღებს კარელ ჩაპეკის დედა, მანამდე ჯანყს მოაწყობს, სამყაროს გაემიჯნება, ჩარაზავს ყველაფერს და ფიქრობს, რომ იზოლაციის პირობებში უფრო დაიცავს თავის ერთადერთ შვილს, მოაშორებს ტონის იმ სამყაროს, რომელიც ცეცხლშია გახვეული. ეს არის დედური ინსტინქტი და არა დედური ძალაუფლების ნების ღია და გამომწვევი დემონსტრირება: დედა ვარ და ჩემს ნებას ვერ გადაუხვალ! თუმცა მსახიობი აქ გარეგნული ეფექტების წარმოჩენით უფროა დაკავებული, ვიდრე – შინაგანი ღრმა განცდით. მისი ზედმეტად დაძაბული და ხშირი მოძრაობებიც მთლად ზუსტად ვერ ჯდება დამაჯერებელ რეაქციათა გამაში. მალევე ხვდება ტალიაშვილის დედა, რომ დამალვა არაა გამოსავალი სიტუაციიდან და ახლა საჭიროა ბრძოლა ომისა და სიკვდილის წინააღმდეგ. მან უნდა დაიცვას შვილის სიცოცხლე, მაგრამ დგება დილემის პირისპირ, როგორ უნდა შეძლოს ეს? დრამატულ მუხტს აძლიერებს მწვავე ფონი – რადიო გამუდმებით იმეორებს ერთსა და იმავეს, ყველას მოუხმობს სამშობლოს დასაცავად. ამ მოწოდებას ხშირად წარმოთქვამს რადიოს დიქტორი, შვილმკვდარი დედა... დაძაბულობა კულმინაციას აღწევს, მაგრამ გიორგი სავანელი ისე გახსნის კვანძს, რომ მთლად გასაგები არ იყოს დედის გადაწყვეტილება – შვილს კი უშვებს ფრონტის წინა ხაზზე, ოღონდ არა გმირული შეძახილითა და მოწოდებით, არამედ, დედური დანანებით, ხელის კანკალითა და უძლურებით, რადგან დედას უკვე აღარ შერჩა ენერგია, სასიცოცხლო ძალა...

თანამედროვე უსულო სამყაროში იმ თემებით აპელირება, რომელთა შესახებაც ჩაპეკი წერს, სპეკულაციების საფრთხეს შეიცავს, მაგრამ რეჟისორმა შეძლო, რომ ლოგიკური ხაზი ბუნებრივი ყოფილიყო – დედაშვილობის სიყვარულის სისხლხორცეულ ძალას გადასძალა მოვალეობამ სამშობლოს წინაშე! დედა უკვე სამყაროს ილუზიების გარეშე უცქერის და აქვე შემოიჭრება სპექტაკლში გარდაუვალი დასასრულის ტრაგიკული წინათგრძნობაც. მ. ტალიაშვილი ჩავარდნებით, მაგრამ მთლიანობაში მაინც ართმევს თავს დედის ამ რთულ სახეს.

კ. ჩაპეკის პიესის ერთი უცნაურობა ისიცაა, რომ დაღუპული პერსონაჟები – მამა და შვილები – ცოცხლობენ დედისთვის. მისი მეხსიერება ერთი წუთითაც არ ტოვებს მათზე ფიქრს და ამიტომაც მიცვალებულები მასთან არიან, თანამონაწილენი ოჯახური ყოველდღიურობისა. ზმანება და რეალობა გაუმიჯნავია დედისთვის, ამდენად, წინასწარ იგებს მოსალოდნელი უბედურებების შესახებ და თანაც ამას ატყობინებენ თავად შვილები. მიცვალებულები ხშირად მოდიან შინ, მსჯელობენ, კამათობენ. სცენაზე მათი შემოსვლა ისე ზუსტადაა

გადაწყვეტილი, რომ მაყურებელი ადვილად იღებს ამ პირობითობას.

სპექტაკლში მამის საინტერესო სახეს ქმნის მ. მაზავრიშვილი, რომელიც ზომიერი და გაწონასწორებულია. მას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, მიზანი და ამოცანა მთელი წარმოდგენის განმავლობაში და მათემატიკური სიზუსტით გამოკვეთს გმირის ხასიათს. მსახიობის ურთიერთობაც შვილებთან წმინდად მამაშვილურია, ყოველგვარი პათოსისა და პათეტიკის გარეშე. რაც შეეხება კორნელის როლის შემსრულებელს, ბ. ქაფიანიძეს, მისი სიტყვა ყველაზე უკეთ ისმის სცენიდან, მაგრამ დიალოგებში საუბრის ინტონაცია უფრო ჩიჩინშია გადასული, თითქოს რაღაცას უტენის თავში პარტნიორებსო. ამიტომ, მისი გმირის ხასიათი დაუმთავრებელია, მხოლოდ კონტურები იკვეთება.

ახმეტელის თეატრში გიგი მიგრიაულის არცერთ ნათამაშებ როლს, პირადად ჩემზე, შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ამ სპექტაკლში (ირჟის როლში) პირველად ვიგრძენი მსახიობის დაბადება. იგი წარმოთქვამს ფრაზას, რომელსაც ვერ დაივიწყებს ვერცერთი მაყურებელი: „მე რომ მომასვენებენ, დედა... არ შემომხედო... ის, რასაც მოიტანენ, მე აღარ ვიქნები; შენთვის ისეთივე ვარ, როგორიც ვიყავი და სამუდამოდ ასეთად დავრჩები“. მსახიობის გფულწრფელობა და სცენური სიმართლე ამ ეპიზოდში უმაღლეს მხატვრულ ხარისხს აღწევს.

რაც შეეხება გიორგი ცხადაძეს (ტონი), მას აქვს საინტერესო ფაქტურა და პლასტიკა, მაგრამ, ალბათ, უფრო სამსახიობო სკოლის ბრალია ის, რომ როლის ამოსახსნელად უფრო გარეგნულ ფორმებს მიმართავს, ბოლომდე ვერ აღწევს გმირის სულში. მისი განცდები და შეფასებები (ზოგიერთ სცენაში) მწვავედ ნერვულ იერს იღებს და სრულიად არადამაჯერებელია. სხვათა შორის, ახალგაზრდა თაობის დამახასიათებელი სენია ისტერიკული დრამატიზება და ყვირილით პედალირება.

და კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი სცენა სპექტაკლისა, მისი ორი უჩინარი მონაწილე, რადიოს ხმები: ზაზა ლებანიძე და გივი ჩუგუაშვილი. თავისთავად, ეს ხმები, რადიოს უკანასკნელი ცნობები დაძაბულობასა და მოვლენათა დინამიკას ზრდიან. განსაკუთრებით საინტერესოა ზაზა ლებანიძის ნამუშევარი. მან შეთხზა და ხმაში ჩააქსოვა თავისი კარგად ტემპირებული კლავირი. ამ ხმაში დიდი ტკივილია დაუნჯებული, ტრაგიზმიც კი, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირდაპირ ეთერშივე აცხადებს იმ გემის დაღუპვის ამბავს, რომელზეც თავისი შვილი იმყოფება. რადიოხმის (დიქტორი-დედის) შინაგანი სამყაროს მთლიანობას მსახიობის თბილი და სევდიანი ინტონაციური ქარგა განსაზღვრავს. ამ ხმაშივე ესთეტიკურად ცოცხალი სინამდვილე გვიცხადდება და იქვე იბადება სახეც გმირი დედისა, რომელიც ყოველგვარი სიყალბის გარეშე მოუწოდებს თანამოქალაქეებს სამშობლოს დაცვისაკენ. ეს არ არის უშუალობა, ეს უფრო ახალი გულწრფელობაა, ზაზა ლებანიძისეული ტალანტით შეფერილი.

სპექტაკლს ამშვენებს საინტერესო სცენოგრაფია მარიკა კვაჭაძისა და არაჩვეულებრივი მუსიკალური გაფორმება მიხეილ კოჩაძისა. აქ მუსიკა ქმნის დამოუკიდებელ მხატვრულ ფორმას. სპექტაკლში გამოყენებული მუსიკალური

ტესიტურა ზუსტად ასახავს მიზანსცენის დანიშნულებასა და გამოხატავს მკვეთრად გამოვლენილ კონცეფციას, ის ავსებს და ამდიდრებს წარმოდგენის მხატვრულ-ესთეტიკურ კონსტრუქციას.

მთლიანობაში ახმეტელის თეატრმა წარმოგვიდგინა საინტერესო ნამუშევარი, მხატვრული ხარისხის მქონე სპექტაკლი, რომელიც ბევრ საფიქრალს უტოვებს თანამედროვე რაციოცენტრიზმის მარწუხებში მოქცეულ მაყურებელს.

ლელა არაბიძე

მარადიული ღირებულებებისთვის
სპექტაკლი „დედა“ სანდრო ახმეტელის დრამატულ თეატრში

სამშობლო, პატრიოტიზმის გრძნობა, ბრძოლა სამართლიანობისთვის, მარადიული ღირებულებები, ღირებულებები, რომელ შენარჩუნებისთვის, დაცვისთვის, მსოფლიოში ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იბრძვის, დღესაც საოცრად აქტუალურია ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ. კარელ ჩაპეკის – ცნობილი ჩეხი მწერლის სახელი მსოფლიოში სწორედ სამართლიანობისათვის მებრძოლი ადამიანის სახელთან ასოცირდება. ჩაპეკი მთელი ცხოვრება ძალადობის იმპერიას ებრძოდა, ებრძოდა პირველ რიგში საკუთარი შემოქმედებით, და ამ ბრძოლამ მის ცხოვრებაზე ჰპოვა ასახვა, ჩაპეკს ებრძოდა ნაცისტური რეჟიმი და ჰიტლერი, რომელმაც მწერლის საკონცენტრაციო ბანაკში გამოკეტვა ბრძანა, ამ დროს კარელ ჩაპეკი უკვე გარდაცვლილი იყო.

„პიესის დადგმა მე გადამაწყვეტინა საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოსადმი პიროვნული მოვალეობის დეფიციტმა, რომელიც საკმაოდ ჭარბად იგრძნობა, ჩვენში“ – ამბობს ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი სავანელი და აქვე იმასაც დასძენს, რომ ამ პიესას 2008 წელს მიუბრუნდა, აგვისტოში, მაშინ როცა დიდი იმპერია პატარა ქვეყანაზე ძალადობდა, რეჟისორის მშობლიურ ქვეყანაზე და მაშინ, როცა კიდევ ბევრი ადამიანი დაიღუპა სამშობლოსთვის, მშვიდობისთვის, გიორგი სავანელისთვის ახმეტელის თეატრში „დედა“ პირველი დადგმაა, მხატვარ მარიკა კვაჭაძის სცენოგრაფიას პატარა სამყაროში შევყავართ – ცარიელი ჩარჩოებითა და ძველი რადიოთი – აქ არის დედა, ეს დედას სამყაროა – ნაცრისფერი ფონით, დაღლილი მზერით – ძველი ოჯახური სიმყუდროვით - შვილმკვდარი დედა - უკანასკნელი იმედით – 16 წლის ტონით – ახლა მას უხმობს სამშობლო, ახლა მან უნდა დაიცვას ქვეყანა, ახლა ის უნდა „გაწიროს „დედამ – მშვიდობისთვის!

დედას მთელი სპექტაკლის განმავლობაში არ შორდებიან დაღუპული მეუღლე (მამუკა მაზავრიშვილი) და შვილები, ისინი მასთან ერთად იაზრებენ ტკივილსა და გასაჭირს, ისინი – მშვიდობისთვის მებრძოლო გმირი ადამიანები არიან, მათ თავად აირჩიეს გზა – მსხვერპლად შეწირვოდნენ სამშობლოს, მაგრამ მათ ამ გადაწყვეტილებაში დედას უმთავრესი როლი ჰქონდა – მეუღლე და სამი შვილი საკუთარი ნებით გაგზავნა ფრონტის წინა ხაზზე- აღვსილმა

მარადიული მოვალეობით სამშობლოს წინაშე – მაგრამ ახლა ტონი! - 16 წლის ტონის ჯერია...

„მე უკვე მოგეცი შენ ჩემი შვილები! აღარავინ მყავს, აღარავინ – სასოწარკვეთილი შეჰღაღადებს სახელმწიფოს დედა (მზია ტალიაშვილი), თუმცა სახელმწიფო ჯიუტად დუმს, დიახ! შენი შვილები სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლას ემსხვერპლნენ, დაე იყოს ასე, დაე დარჩეს მარტო დედა და უკანასკნელი იმედიც –16 წლის ტონიც გაუშვას ბრძოლის ველზე, ისევ ქვეყნისთვის, ქვეყნისთვის...

მზია ტალიაშვილისთვის საეტაპო და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დედის როლი, როლი, რომელიც მთელი ტრაგიზმითა და ემოციით ითამაშა, ფინალურ სცენაში, დიდი და სასტიკი შავი კაბით, რომელზეც თითქოს მთელმა ეპოქამ და ომის მძვინვარებამ გადაიარა, მსახიობი მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს განვლილი ცხოვრების ტკივილსა და უიმედობას.

„საერთოდ, დრამატურგიაში, მე ვფიქრობ, რომ ქალებისთვის ეს ერთ-ერთი რთული როლია... – ამბობს მზია ტალიაშვილი.

სპექტაკლის განმავლობაში სცენიდან, ძველი რადიოდან ისმის დიქტორების ავისმომასწავებელი ხმა – „სახელმწიფო ჯარების სარდალი უკანასკნელად აფრთხილებს ამბოხებულთა ბანდებს შეწყვიტონ ბრძოლა ქალაქის ქუჩებში“ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, ომი, რომელიც ისევ გაანადგურებს მშვიდობისმოსურნე ადამიანებს.

რეჟისორმა გიორგი სავანელმა შეძლო ის, რომ მსახიობები (გიგი მიგრიაული, ბექნუ ქაფიანიძე, გიორგი ცხადაძე, სოფია სებისკვერაძე, მამუკა მაზავრიშვილი, მზია ტალიაშვილი) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ მოქმედებენ და ამიტომ, მაყურებელი 1 საათისა და 10 წუთის განმავლობაში მთლიანად ხდება წარმოდგენის მონაწილე, შემდეგ კი აცრემლებული ტოვებს დარბაზს.

„ემოცია არ მყოფნის, როგორ გამოვხატო სიტყვებით, მთელი სპექტაკლის განმავლობაში ტირილით ვუყურებდით მეც და ბავშვიც.. ვერ გამოვხატავ იმ ემოციას, რაც განვიცადე იმ 70 წუთის განმავლობაში“ – მაყურებელი, 60 წელს მიტანებული ქალბატონი.

„მე თვითონ პაციფისტი ვარ და სპექტაკლი სწორედ ამ თემას ეხმაურება – რა სისულელეა სინამდვილეში ომი, და დედის ტრაგედია, რომელიც გადმოსცემს სპექტაკლის მთელს საშინელებას“, მაყურებელი 30 წლამდე ახალგაზრდა ბიჭი.

„მე რომ მომასვენებენ, დედა... არ შემომხედო... ის, რასაც მოიტანენ, მე აღარ ვიქნები; შენთვის ისეთივე ვარ, როგორიც ვიყავი და სამუდამოდ ასეთად დავრჩები“. მაშინ, როცა ოჯახის უფროსიც და უკვე მესამე შვილიც დედას აღარ ეკუთვნის, როცა ოჯახი განწირულია, განწირულია მარადიული ღირებულებებისთვის და იმისთვის, რომ ქვეყანაზე იყოს მშვიდობა. დედა მარტო რჩება 16 წლის ტონისთან ერთად, ტონი – მშვიდი, მეოცნებე ბიჭუნა მხოლოდ 16 წლისაა, მხოლოდ 16 წლისაა და უკვე იძულებეულია სიცოცხლის ფასად მტკივნეული გადაწყვეტილება მიიღოს – სამშობლო უხმობს.

ანტიფაშისტური განწყობით ცნობილ მწერალს, კარელ ჩაპეკს, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, მთელი მსოფლიო გლოვობდა, ბერნარდ შოუ წერდა: „რატომ მე არ მოვკვდი მის ნაცვლად, მის დაკარგვას ვგრძნობ არა მარტო მე, მისი უახლოესი მეგობარი, არამედ მთელი მსოფლიო“.

რადიო კვლავ შემზარავ ამბებს ავრცელებს, დედას გარშემო ჰყავს ყველა, ყველა – გარდაცვლილი მეუღლე, შვილები და 16 წლის ცოცხალი ტონი, რომელსაც ფრონტის ხაზზე წასვლა სურს. დედას ყველა არწმუნებს, რომ ტონი ომში უნდა გაუშვას – თუმცა სასოწარკვეთილი ქალი ბოლო იმედს ებღაუჭება – ის ხომ მისი ერთადერთი იმედია, მაგრამ სამშობლო? სამშობლოზე მაღალი ღირებულება ხომ არ არსებობს? სამშობლო, განსაცდელში მყოფი სამშობლო ხომ ერთადერთია? აი ისევ რადიოს ხმა ისმის... დაბომბეს კრეისერი, რომელზეც 300 ბავშვი იყო, გემი იძირება... შენი ქვეყანა, შენი სამშობლო განსაცდელშია...

დედა იარაღს საკუთარი ხელით აძლევს ტონის და ფრონტზე უშვებს, ისევ და ისევ სამშობლოსთვის... სამშობლოსთვის...

სამეფო უბნის თეატრი

მოახლეები

სპექტაკლის დასახელება - მოახლეები

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
რეჟისორი - ნიკა თავაძე
თარგმანი - ირმა ტაველიძე
მხატვარი - ქეთი ნადიბაიძე
კომპოზიტორი - ნიკა ფასური
რეჟისორის თანაშემწე - მაია სახლთხუციშვილი

მონაწილეობენ: ნატა მურვანიძე, ნინო კასრაძე, ბაია დვალიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 7 მაისი

სარეპეტიციო პროცესი - 110 დღე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:

ლელა ოჩიაური, მოახლეების საბედისწერო თამაში და საკუთარი საპყრობილედან გაქცევის შეუძლებლობა, ჟურნალი „ფოკუსი".
ნიკოლოზ წულუკიძის გამოხმაურება (თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის კატალოგში)
დავით ბუხრიკიძე, ჟენე გვწყურია ჩვენ პირდაპირი, ჟურნალი „ლიბერალი".

ირინა ღოღობერიძე

ქალბატონები

ექვს მაისს სამეფო უბნის თეატრში ჟან ჟენეს პიესის „მოახლეები" პრემიერა გაიმართა (რეჟ. ნიკა თავაძე). ჩემი წერილის სათაურით სპექტაკლის სათაურის გადამღერება ან შეცვლა არც მიფიქრია. უბრალოდ, სამი მსახიობისთვის დაწერილ ჟენეს, ალბათ, ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ, პიესას პირველი პრემიერიდან დღემდე, ყოველთვის და ყველგან მხოლოდ ვარსკვლავები თამაშობდნენ. სამეფო უბნის თეატრის სცენაზეც სამი არტისტი იდგა. „უცნაური, რთული, გულისამრევად ოდიოზური, მაგრამ დრამატურგიულად კარგად გამართული და მაინც შთამბეჭდავი პიესის"[1] პერსონაჟებს ბაია დვალიშვილი, ნინო კასრაძე და ნატა მურვანიძე ასახიერებდნენ. ამ წერილის სათაურიც სწორედ მათ – ქართული სცენის სამ ქალბატონს, ეხმიანება, მაგრამ...

ვინაიდან „მოახლეებში" კიდევ ერთი, ვიტყოდი, ვირტუალურ-მითური

[1] ჟან ტარდიე, გაზ. „ფიგარო", ივნისი 1947.

პერსონაჟია (ბატონი) და სწორედ მის გამო ვიღებთ მოულოდნელად აწყობილ ფინალს. სპექტაკლზე საუბარსაც სხვა, მაგრამ არანაკლებ, მითიური ბატონით დავიწყებ, რომელმაც რაციონალურად მოწესრიგებული ფრანგული თანამედროვე დრამა და არანაკლებ აწყობილი ფრანგული საზოგადოებაც ერთნაირად ააყირავა. მხედველობაში მყავს ავტორი – ქართულ თეატრალურ სივრცეში პირველად შემოსული ჟან ჟენე (1910-1986), რომელსაც ნებისმიერ ენციკლოპედიაში, ლიტერატურულ ცნობარსა თუ სახელმძღვანელოში უპირველესად პოეტად, დრამატურგად ან რომანისტად მოიხსენიებენ. თუმცა კონტრასტებითა და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებით სავსე მის ცხოვრებასაც ეხებიან. შერჩევით და ფრთხილად, მაგრამ მაინც. ცდუნებას მეც ავყვები და მის ამბავს მოკლედ მოგახსენებთ: ჟან ჟენე პარიზის ღარიბ უბანში დაიბადა. მამა არასდროს უნახავს, დედამ კი შვიდი თვისა მიატოვა და საფრანგეთის საყოველთაო დაზღვევამ იგი სპეციალურად შერჩეულ ოჯახში გააშვილა. ბავშვობა, როგორც თვითონ იხსენებს, უღრუბლო ჰქონდა, მაგრამ ჟან ჟენემ უკვე ათი წლის ასაკში იქურდა, სახლიდან გაიქცა, ცამეტი წლისა კი კვლავ ქურდობისა და გაქცევის მცდელობისთვის მეტრეის გამოსასწორებელ კოლონიაში მოხვდა, კოლონიიდან თვრამეტი წლისა გამოვიდა, უცხოეთის ლეგიონში ჩაეწერა და სამხრეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა. პარიზში დაბრუნებისთანავე კვლავ ქურდობისა და უკვე ჰომოსექსუალიზმშიც ბრალდების სასჯელით საფრანგეთის მრავალი ციხე მოიარა, მათ შორის ცნობილი სანტე და ფრესნეი, სადაც 1942 წელს პირველი ლექსების და რომანის „სიკვდილმისჯილი“ წერა დაიწყო. პირველს რამდენიმე ავტობიოგრაფიული რომანიც მიაყოლა და „სიკეთის გზასაცდენილი ავტორი“ ფართო საზოგადოების თვალსაწიერში მოექცა. თუმცა ციხის პოეტის ნაწერები ცენზურამ წნეხში გაატარა, რომანები პორნოგრაფიულად მონათლა და მათი გავრცელება აკრძალა. აქ უკვე, საქმეში, ჟენეს ნატიფი ლიტერატურული სტილით მოხიბლული პარიზის ინტელექტუალური ელიტა ჩაერთო, ჟან კოკტომ იგი „სიტყვის მოტრფიალე პერფექციონისტად“ მონათლა და სამუდამო პატიმრობას[2] გადაარჩინა; ჟან-პოლ სარტრმა, 1952 წელს, „მარგინალ და მეამბოხე პოეტზე“ სქელტანიანი და, თვითონ პოეტს თუ დავუჯერებთ, „ძალიან მოსაწყენი“ წიგნი დაწერა სათაურით „წმინდა ჟენე: კომედიანტი და წამებული“. ციხიდან საბოლოოდ გამოსული ჟენე პრაქტიკულად აღარაფერს წერს. მოგვიანებით, ერთ-ერთ ინტერვიუში ის იტყვის: „თითქმის ყველაფერი ციხეში დავწერე. ვწერდი იმიტომ, რომ იქედან გამომეღწია. უკვე გამოსულს წერის მიზეზიც აღარ მქონდა. ჩემმა წიგნებმა ციხიდან გამათავისუფლეს, ამის მერე რაღა უნდა მეთქვა“. და მართლაც, მთელი მისი ენერგია, დადებითი თუ უარყოფითი, პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების მხილებაზე იყო რადიკალურად ორიენტირებული. ის თანაუგრძნობს და მხარს უჭერს ალჟირის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, პალესტინელებს, „შავი პანტერების პარტიის“ პროკომუნისტურ მოძრაობას ჩრდილოეთ ამერიკაში,

[2] საფრანგეთის იმდროინდელი კანონმდებლობით ერთი და იმავე მუხლით მრავალჯერ ციხემისჯილ პირს სამუდამო პატიმრობა ემუქრებოდა.

აკრიტიკებს კლასობრივ ანტაგონიზმს და საზოგადოებას „თეთრებად და შავებად“ ან „მწვალებელთა და წამებულთა“ პრინციპით ახარისხებს. სწორედ ამ პათოსით შეიქმნა მისი ბოლო ორი რომანი და მრავალი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილი. მემარცხენე რადიკალიზმი ჟან ჟენეს, პრაქტიკულად, მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს, მაგრამ განსაცვიფრებელია ის ფაქტი, რომ ყველაფერი, რაც მან შემოქმედებასა თუ პირად ცხოვრებაში ყირამალა დააყენა, ასევე მისი პიესებისა თუ რომანების, ხშირად სკანდალური სიუჟეტური ქარგა, პერსონაჟთა სისასტიკე თუ მანკიერებანი, აღწერილი და მოწესრიგებული აქვს უმდიდრესი და უკიდურესად დახვეწილი კლასიკური ფრანგული ენით. „თქვენ მადანაშაულებთ, რომ კარგი ფრანგულით ვწერ?“, ჰკითხა მან ერთ-ერთ ინტერვიუერს, „მტრებისთვის რაც სათქმელი მქონდა, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მეთქვა და არა სლენგზე; მწვალებლებთან მათივე ენით უნდა მელაპარაკა. მართლწერა და გრამატიკა სკოლაში მასწავლეს... თხუთმეტი წლის ასაკში კი, უკვე მეტრეის კოლონიაში, შემთხვევით ხელში ჩამივარდა რონსარის სონეტების კრებული, დამატყვევა და მომინდა, რომ ჩემი ხმა რონსარს გაეგო. პიერ რონსარი კი სლენგს ნამდვილად ვერ აიტანდა“.

ჟან ჟენემ სულ რვა პიესა დაწერა, აქედან ორი („სპლენდიდ'ს“ და „ის“) განსაკუთრებულად სკანდალური სიუჟეტის გამო მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ და ისიც უცნობი სპონსორების დაფინანსებით გამოქვეყნდა. არცაა გასაკვირი, რადგან – პირველის მოქმედება ბორდელში ხდება, ხოლო მეორესი – ვატიკანში, მისი უწმინდესობა რომის პაპის ირგვლივ. „ის“ თეატრში ოფიციალურად არ დადგმულა, „სპლენდიდ'ს“ რეჟისორი სტანისლას ნორდეი პირველად მხოლოდ 1995 წელს გაასცენიურებს. სკანდალი არ დააკლდა არც ალჟირთან ომის დროს, ოდეონის თეატრში წარმოდგენილ „შირმებს“ (რეჟ. როჟე ბლენი, 1966წ.). პრემიერას ისეთი ხმაურიანი გამოსვლები მოჰყვა პარლამენტსა და პარიზის ქუჩებში, რომ მწერალმა ანდრე მალრომ, იმ დროს კულტურის მინისტრმა, თეატრისა და შემოქმედებითი თავისუფლების დასაცავად, სენატში ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. „კულტურული რევოლუციის“ შემდეგ (1969), სკანდალები ჟენეს ირგვლივ ნელ-ნელა ჩაცხრა, კრიტიკაც ნაკლებ ბობოქრობდა, ჟენეს პიესების დადგმას ცნობილი რეჟისორების მთელი კოჰორტა იწყებს. მათ შორის პიტერ ბრუკი, პიტერ შტაინი, ბობ ვილსონი... მის ლექსებზე, რომანებიდან ამოღებულ ნაწყვეტებზე შექმნილ სიმღერებსა და კომპოზიციებს ცნობილი შანსონიე და ჯაზმენები ასრულებენ; მსახიობები მარია კაზარესი, ჟერარ ფილიპი, ჟან მორო, მოგვიანებით ანუკ ემე და სხვანი მის ტექსტებს რადიოში კითხულობენ. საფრანგეთის ცნობილი, უკვე დაფასებული, მაგრამ „არასრულფასოვანი მოქალაქე“, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც არ დაუბრუნეს, რადგან ორწლიანი სასჯელი არც მოხდილი და არც ამნისტირებული ჰქონდა, 1983 წელს ლიტერატურის დიდი ნაციონალური ჯილდოს მფლობელი გახდა. სამი წლის შემდეგ ჟან ჟენე გარდაიცვალა. ის თავის „მწვალებლებს“ არ შერიგებია. სამაგიეროდ, მან იცოდა, რომ პიერ რონსარმა მისი ხმა გაიგო.

„მოახლეები“, რომელსაც, სავარაუდოდ, საფუძვლად დაედო საუკუნის

დანაშაულად კვალიფიცირებული „დები პაპენების საქმე“ (1933წ.), დღესაც ყველაზე ხშირად დადგმადი პიესაა, რომელმაც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, მსოფლიოს ყველა კონტინენტი მოიარა. პირველი პრემიერა 1947 წელს, პარიზის „ატენეს“ თეატრში გაიმართა. სპექტაკლი ფრანგული სცენის ცნობილმა რეჟისორმა და მსახიობმა, ლეგენდარული „ოთხთა კარტელის“ წევრმა ლუი ჟუვემ დადგა, დეკორაციები „დიაგილევის ბალეტების სეზონის“ და იმ დროს ყველა რეჟისორის საოცნებო მხატვარ-დეკორატორმა კრისტიან ბერარმა შექმნა, ხოლო კოსტიუმები არანაკლებ სახელგანთქმულმა კუტიურიემ ჟან ლანვენმა შეკერა. მას აქეთ „მოახლეების“ დადგმა განახორციელეს ლივინგ თეატრში ჯორჯ ბეკმა, გერმანიაში თომას ენგელმა, ინგლისში კრისტოფერ მაილზმა, პარიზში ვიქტორ გარსიამ, ლუკ ბონდიმ, სანდრინ ბონერმა, ჟაკ ვენსეიმ, ფილიპ ადრიენმა... შვედი კომპოზიტორი პიტერ ბენგსტონი ერთაქტიან ოპერას ქმნის, კლოდ შაბროლი იღებს ფილმს „ცერემონია“, სადაც მოახლეებს სანდრინ ბონერი და იზაბელ იუპერი თამაშობდნენ. უახლესი დადგმებიდან აღსანიშნავია შარშან მანჰეტენზე, ლინკოლნ ცენტრის ფესტივალზე წარმოდგენილი და, პრესას თუ დავუჯერებთ, „მყვირალა და ვულგარული“ სპექტაკლი, სადაც მოახლეები ქეით ბლანშეტმა (კლერი) და იზაბელ იუპერმა (სოლანჟი) გაასახიერეს. ბოლო პრემიერა 2015 წლის აპრილში საბერძნეთში, ეროვნული თეატრის „მცირე რექსის“ სცენაზე შედგა. სპექტაკლი, წლების მანძილზე პიტერ ბრუკის თანაშემწემ, რეჟისორმა ბრიუს მაიერმა დადგა.

„მოახლეების“ კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონაჟებს უკვე გვიანდელ დადგმებში ხშირად მამაკაცი მსახიობებიც თამაშობდნენ. ამ ხერხს, ალბათ, ჟენეს არატრადიციული ორიენტაციის, სპექტაკლისთვის სკანდალური აურის შესაძენად, ან, მკვეთრად ხაზგასმული პრეციოზული და კონკრეტულად ამ პიესის, შემთხვევაში, უფრო ნატიფი, ვიდრე „გადაპრანჭული“ სტილისტიკის გამო იყენებდნენ. ორი ასეთი და საკმაოდ ზედაპირული სპექტაკლი, გრენობლის და ტორინოს მცირეფორმატიან ევროპულ ფესტივალებზე ნანახიც მაქვს. ვერც ერთმა ვერ დამარწმუნა! მოახლეების ტრავესტირება, ვფიქრობ, ყველაზე გამართლებული და ესთეტურადაც კარგად მორგებული ვიქტორ ვიკტიუკის მიერ, პირველად საბჭოთა სივრცეში, „სატირიკონის“ სცენაზე დადგმული სპექტაკლში აღმოჩნდა (1988წ.). რეჟისორმა ჟენეს მიერ „ზღაპრად, ანუ ალეგორიული თხრობის ფორმით მოყოლილ ამბად“ ნახსენებ პიესას სამმაგი პირობითობა შესძინა: კაცი თამაშობს ქალს, რომელიც თამაშობს მოახლეს, რომელიც, თავის მხრივ, საკუთარი იდენტობის ძიებაში „უცხოს“ სახის მორგებასაც ცდილობს. ამ ურთულეს და მაცდურ სქემას, სპექტაკლის აბსოლუტურად ადეკვატურ მხატვრულ გარემოცვაში (დეკორაცია, კოსტიუმები, მუსიკალური გაფორმება), უმდიდრესი პლასტიკური თუ ემოციურ-ინტონაციური პალიტრის მქონე მსახიობები ასახიერებდნენ: კონსტანტინე რაიკინი (სოლანჟ), ნიკოლაი დობრინინი (კლერ), ალექსანდრ ზუევი (მადამ) და სერგეი ზარუბინი ბატონის უმნიშვნელო როლში, რომელიც ვიკტიუკმა, ვერ გავიგე რისთვის, სპექტაკლის პირველ ვარიანტში შემოიყვანა.

ჩვენს სპექტაკლში, რეჟისორი ნიკა თავაძე ჟენეს სტილისტური ხელწერით

დაცულ კლასიკურ და უფრო წარმატებულ ტრადიციას მისდევს. და არც უსაფუძვლოდ, რადგან თვითონ ავტორს შეპარულად მაინც რომ შემოეყვანა ტრავესტი-მსახიობის (კაცი-მხახიობის) იდეა, მოახლეებს ქალურ-კაცური ჟღერადობის სახელებს მაინც დაარქმევდა. მერწმუნეთ, ევროპულ ენებში, კონკრეტულად კი ფრანგულშიც, მრავალი მსგავსი ომონიმიკა არსებობს, მიშელ, მაგალითად, ან რენე, ანდრე, სიმონ და სხვა.

სპექტაკლის შინაარსს პრინციპულად არ ვეხები ხოლმე, მაგრამ პრემიერის შემდეგ ფოიეში ერთ-ორი ჩუმი რეპლიკა შემომესმა – ამბავი გაუგებარიაო(?!). ამიტომაც სიუჟეტს, ამჯერად, სქემატურად მაინც მოვყვები, თუნდაც იმის იმედით, რომ ვინმეს პიესის წაკითხვის სურვილი გაუჩნდება". მით უფრო, რომ სიუჟეტის მოყოლის პრაქტიკა ქართულ თეატრმცოდნეობაში, ალბათ, სპექტაკლის დოკუმენტირების მიზნით, თითქმის აუცილებლადაც მიაჩნდათ.

...სახლში მარტო დარჩენილი ორი მოახლე, ორი და – კლერი და სოლანჟი თავს სასტიკი თამაშით ირთობენ. კლერი ქალბატონის ტანსაცმელს და როლს ირგებს, სოლანჟი კი – მოახლე კლერისას. გათამაშებული სცენებიდან ირკვევა, რომ სოლანჟი შეყვარებულია ბატონში, რომელიც კლერმა პოლიციაში დაასმინა. კლერისა და სოლანჟის აგონის ყოველი რეპრიზა ქალბატონის მკვლელობით უნდა დამთავრდეს. სახლში დაბრუნებული ქალბატონი შეიტყობს, რომ ბატონს დანაშაული არ დაუმტკიცდა და მასთან შესახვედრად გარბის ისე, რომ მოახლეების მომზადებული, მოწამლული ნაყენის დალევას ვერ ასწრებს. მოახლეებს დასმენაში მხილება ემუქრებათ; კლერი და სოლანჟი ფატალურ თამაშს აგრძელებენ...

დეკორაცია (მხატვ. ქეთი ნადიბაიძე) მდიდრული ბინის საწოლ ოთახს წარმოგვიდგენს: მარჯვნივ საწოლია, რომელსაც დები თავიანთი „თამაშების" კულმინაციურ მომენტებში ხან ალაგებენ, ხან სიკვდილის სარეცლად აქცევენ; მარცხნივ ტუალეტის მაგიდაა სარკით, სადაც ქალბატონი მოსაკოხტავებლად, დები კი მორგებული იდენტობის (სახის, როლის) ავთენტურობას ამოწმებენ. იქვე, გამჭვირვალე კედლის მიღმა ძვირფასი ტანსაცმლით სავსე გარდერობი მოჩანს; შუაში, ავანსცენასთან ახლოს, პატარა დივანი-კანაპეა მოთავსებული კაბების მისაგდებად, გამორჩეულად ელეგანტურ პოზაში ჩამოსაჯდომად, ქალბატონის ირგვლივ საფუსფუსოდ, ფინალური სცენის საბოლოო წერტილის მოსანიშნად. სიღრმეში, სიმეტრიულად შუაში, დიდი ფრანგული ფანჯარაა, რომელიც აივანზე გადის და სპექტაკლის დასაწყისსა და ბოლო სცენაშია მხოლოდ ფართოდ გაღებული. ყველა ნივთი ფუნქციონალურია, ყველაფერი სადა, „მოტეხილ" თეთრ ფერშია გადაწყვეტილი. ერთი შეხედვით ეს არის შეძლებული ბურჟუას ბინის ჩვეულებრივი ინტერიერი ფრანგული „ბულვარული კომედიიდან". აქ, მართალია, ავტორის რემარკის თანახმად, ლუი XV-ის ავეჯი არ დგას, მაგრამ ფუფუნებას და ორაზროვან იდუმალებას ამ ოთახს ყრუ ვერცხლისფრად მოლივლივე კედლები და უამრავი ყვავილი სძენს – თეთრი გლადიოლუსები, სისხლისფერი ვარდების თაიგულები და... ჟან ჟენეს ორაზროვანი, მაცდური ტექსტის მოლოდინი და იმის ცოდნა, რომ სამი უნიჭიერესი მსახიობი არასდროს და არსად არ დადგება სცენაზე ერთად

იმისთვის, რომ ჩვეულებრივი, უმნიშვნელო პრობლემა ტრივიალურად გაიაზრონ და ბანალურად გაასახიერონ.

ამგვარად, სპექტაკლის დეკორაციში აშკარად იგრძნობა ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე გაცოცხლებული ჟენეს თეატრის კონტრაპუნქტი – მარტივი რეალობის თეატრალიზაცია, რომელშიც აივნის გავლით შემოაბიჯებს ოპერის დივა – ქალბატონის სახემორგებული კლერი (მსახიობი ნატა მურვანიძე). მას ხმოვან შლეიფად მოჰყვება კონტრ-ტენორისთვის დაწერილი ქსერქსეს[3] არიის ლარგო „OMBRA MAI FU" (არცერთი ჩრდილი...) ჰენდელის იმავე სახელწოდების ოპერიდან. ნატა მურვანიძე მსუბუქად და ორგანულად ითავისებს მუსიკალურ თანხლებას, მისი „გამოსვლა" საოპერო ესთეტიკით მუსიკის ხასიათზე და რიტმზე აწყობილი პლასტიკით არის წარმოდგენილი; ნერვული მოძრაობით დახურული ფანჯარა, საგანგებოდ შერჩეულ პოზაში, ზურგით მაყურებლისკენ, ჩამოჯდომა, ზიზღნარევი ინტონაციით ნასროლი პირველი რეპლიკა („ეს ხელთათმანები... წაიღე ეს სველი ძონძები...") და მორჩილ-მოკრძალებული მოახლე კლერის ნიღაბმორგებული სოლანჟის (ნინო კასრაძე) შემოსვლა და „თამაშის თამაშში" მყისიერი ჩართვა ისეთი დაძაბული მუხტით კრავს მოახლეების და ზოგადად ჟენეს სამყაროს, რომ უნებურად გიჩნდება კითხვა, როგორ შეინარჩუნებენ მსახიობები დასაწყისშივე აღებულ საოპერო მაღალ რეგისტრს და ზეაწეულ პირობითობას. შეინარჩუნეს! უფრო მეტიც, ყოველ ხელახლა დატრიალებულ, მკვლელობაზე მომართულ, დამანგრეველ ცერემონიას, არტისტებმა ახალი წახნაგი, ახალი პლასტიკურ-ემოციური თუ აზრობრივი დატვირთვა შესძინეს.

სპექტაკლის საოპერო ფორმის სრულყოფას ხელს უწყობს, აგრეთვე, მისი მუსიკალური პარტიტურა. ორი, კონკრეტულად შინაარსობრივი დატვირთვით შერჩეული, კლასიკური ნაწყვეტის გარდა (ჰენდელის ლარგო, როსინის ოპერის „ქურდი კაჭკაჭი" უვერტიურა), სპექტაკლში ჟღერს კომპოზიტორ ნიკა ფასურის მიერ ვივალდის თემებზე, სახიერი მუსიკალური ფრაზებით შექმნილი კომპოზიციები.

„მოახლეების" პირველი პრემიერით უკმაყოფილო ჟან ჟენემ მეორე გამოცემას ერთგვერდიანი შესავალი წარუმძღვარა სათაურით „როგორ ვითამაშოთ მოახლეები". ავტორის რეკომენდაციები იწყება წერტილდასმული ერთი სიტყვით „შეფარვით". და იქვე განმარტებას აკეთებს: „აუცილებლობად ჯერ ეს სიტყვა უნდა იქცეს. მოახლეების როლის შემსრულებელი არტისტების თეატრალური თამაში შეფარული უნდა იყოს". შეფარვით თამაშში სიტყვისა და პლასტიკის ორაზროვანი მრავალშრიანობა არის ნაგულისხმევი; მოქმედების სისასტიკის საწინააღმდეგოდ შექმნილი დახვეწილი და, შესაძლოა დამძიმებული რეპლიკა წარმოთქმისას სიმსუბუქეს და სხვა, არა სასტიკ, არამედ ირონიულ, სარკასტულ, ყალბი თანაგრძნობის ან სხვა ემოციური ბუნებით უნდა გაჟღერდეს.

[3] ქსერქსე – სპარსეთის მითური იმპერატორი (480წ.ჩვ.წ), რომელსაც, გადმოცემით, შეუყვარდა და სამკაულებით შეამკო აღმოსავლური ჭადრის ხე. გეორგ ფრიდრიჰ ჰენდელმა თავის ოპერას (1738) ფარსულ-სატირული შეფერილობა შესძინა. ქსერქსეს პარტიას ადრე კასტრატები, დღეს მეცო-სოპრანოს რეგისტრში, უმეტესწილად, ქალები ასრულებენ.

სიტყვის, ფრაზის მოქმედების სიმძაფრესთან მიმართებაში საგანგებოდ შექმნილი კონტრასტულობა განსაკუთრებულ ფრაზირებას და პლასტიკას მოითხოვს. სპექტაკლში მსგავსი სცენები მრავლად არის, იგივე კლერი – ქალბატონის გამოსვლა; დების ფრთხილი, ერთგვარად გაუცხოებული პლასტიკა და ფერსა და ემოციას მოკლებული, ჩვეულებრივად ყოველდღიური ინტონაცია სცენაში, სადაც ისინი, „მსხვილ პლანში," ავანსცენაზე მდგარნი მსჯელობენ, რამდენი აბი ლუმინალი უნდა ჩაყარონ ნაყენში, რომ ქალბატონი მოკვდეს; ასეთია ქალბატონის ელეგანტური, საცეკვაო რიტმზე აგებული მოძრაობა; ჯოაკინო როსინის ოპერის „ქურდი კაჭკაჭის" უვერტიურის ფონზე თავისი განცდების თხრობა და სასტიკად, ქედმაღლურად, ზიზღით და ა.შ. ჩართული სასტიკი, ორაზროვანი რეპლიკები – ჩემს საწოლს სიკვდილის სარეცელივით რთავთ; გინდა მომკლა ამ ნაყენით... სამივე ქალბატონი „შეფარვით თამაშის" ურთულეს ამოცანას ზედმიწევნით ასრულებს და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს ტექნიკა თავად დასახეს, რეჟისორის მითითება შეასრულეს, თუ ჟენეს რემარკებისა ან ტექსტის ინსპირირებით გაითავისეს. მთავარი ის არის, რომ შეფარვით თამაშის ხერხი მოძებნეს, გონებასა და სხეულში გაატარეს და მაყურებელში ხელშეუვლები და ნახევარ ტონებში გაჟღერებული ძლიერი ემოციური ნაკადით გაავრცელეს. დაუბრუნდათ კიდეც! დარბაზის გარინდებით, ყურადღების აბსოლუტური მობილიზაციით, პერსონაჟებთან თანხვედრი სუნთქვით. ჩვენს თეატრში მსგავსი მომენტები, ამ ბოლო დროს, იშვიათობად გვექცა. სპექტაკლის წარმატება კი, დამეთანხმებით, სწორედ რომ ასეთი კამერტონით უნდა მოწმდებოდეს.

სამიდან ორ პერსონაჟზე საუბარს ერთ კონტექსტში ვაპირებ და ამის მიზეზსაც ქვემოთ მოგახსენებთ. თავდაპირველად, ქალბატონზე შევჩერდები, რომელსაც მსახიობი ბარბარე დვალიშვილი ასახიერებს. ქალბატონი სცენაზე შუა სპექტაკლში, უფრო ფინალისკენ გამოჩნდება. აღწერილ ინტერიერში ის არა საოპერო პრიმადონასავით, არამედ ჩვეულებრივად შემოდის. თუმცა ჯოაკინო როსინის ოპერის „ქურდი კაჭკაჭის" უვერტიურა მის, ფორმისეულად მაინც საოპერო შემოსვლას, სარკასტულ და ორაზროვან ელფერს სძენს. სამყარო, რომელშიც მოახლეები შურით, ზიზღით, დანაშაულის ჩადენის სურვილით თუ მოწიწებით მოძრაობენ, დაბადებიდან და ორგანულადაც ქალბატონს ეკუთვნის; კაბები სპეციალურად მისთვისაა შეკერილი, ავეჯი მის გემოზეა განლაგებული, სამზარეულო, „საშინელმა სუნმა" რომ არ შეაწუხოს, სათანადო მანძილითაა მოშორებული, დიდი აივანი კი სხვებთან ლაღად საკონტაქტო სივრცე უფრია, ვიდრე მეოთხე კედელი, რომლის გახსნას მოახლეები მხოლოდ სიკვდილის პირას გაბედავენ. ცხოვრებით განებივრებული, ფუფუნებას შეჩვეული და, თითქოს, არაფრის მაქნისი ქალბატონი ამ სივრცეში პეპელასავით შემოფრინდება. მისი საყვარელი ბატონის დაჭერა და სავარაუდო გადასახლებაც კი თამაშის საგნად აქვს ქცეული, რადგან ტკბება იმის შეგრძნებით, რომ საყვარლის დანაშაულს გაიზიარებს და ცხოვრებას შეცვლის. თავის უწყვეტ, სიტყვამრავალ, ერთგვარად ეპატაჟურ სცენა-მონოლოგში ის მოახლეებსაც ძალიან ორგანულად რთავს და აგრძნობინებს, რომ ყველაფერს ხვდება, ყველაფერი იცის. ქალბატონის

სცენაში შეფარულად თუ რეალურად, პოეზიით შეზავებული ირონიით თუ ორმაგი თამაშის ხერხით გვიჩვენებს იმ კლასობრივ ანტაგონიზმს, რომელიც ჟენემ თანამედროვე საზოგადოებას ვერაფრით აპატია. ბაია დვალიშვილი თავის პერსონაჟს ყოველგვარი უტრირების გარეშე და იუველირული სიზუსტით ძერწავს. ვერდის „ტრუბადურიდან“ მანრიკოს სტრეტა მომაგონა მისი მონოლოგის რიტმმა, განწყობამ, რეპლიკების ემოციურ-ინტონაციურმა ჟღერადობამ, პლასტიკამ, შეფასებებმა, ნაყენის დალევა-არდალევის სცენამ და სხვა, უფრო რეალურზე მორგებულმა, რეპლიკებმა – „უერთგულესი მსახურები მყავხართ“.. „ჩემთან ძალიან უბედურები ხომ არ იყავით“... და ბოლოს, უკვე ქალბატონის ინტონაციით, მკაცრად ნასროლი რეპლიკა – „გაიტანეთ ეს ყვავილები“ – წინასწარმეტყველებს ზიზღსა და ხიბლს შორის მოქცეული და საბოლოოდ სახედაკარგული მოახლეების ტრაგიკულ ფინალს.

კლერი და სოლანჟი სპექტაკლში და პიესაშიც სიამის ტყუპებივით არიან. ერთი მეორეზე გადაჯაჭვულნი, თუ ცალ-ცალკე ისინი მაინც ერთი ვნებით, ერთი ზიზღით, ერთი შურით არიან შეპყრობილნი და, ჟენეს სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ქალბატონისადმი სიძულვილსაც ერთმანეთში ცლიან“, რაც იმას იმას ნიშნავს, რომ ჯავრსაც ერთმანეთზე იყრიან და ალერსი თუ ემოციური ტონუსიც, ვიზუალურადაც კი, ურთიერთგაცვლადი აქვთ. სოლანჟი დასაწყისში უფრო ძლიერი და აქტიურია, კლერი გესლიანია, მაგრამ ლმობიერი და აქედან გამომდინარე, ალბათ, უფრო სუსტიც. „არასდროს მზად არა ხარ და ვერ გკლავ“, საყვედურით მიმართავს მას სოლანჟი. ამასთანავე, ლმობიერი კლერი, სასტიკი ვნებით ატაცებული სოლანჟისაგან განსხვავებით, მათი ტენდემის გონებაც არის: „თამაში სახიფათო ხდება, სოლანჟ, ქალბატონი ყველაფერს მიხვდება“. და, როცა ქალბატონი, თითქოს მართლაც (ჟენეს ტექსტში დაკონკრეტებულად „მართალი“ მხოლოდ არაფერია!), ყველაფერს ხვდება და მისი რეალურად მოკვლაც გარდაუვალი გახდება, სწორედ კლერი მოუღებს ბოლოს მათი ფატალური მკვლელობის ცერემონიას და საბედისწერო ნაყენს თვითონ დალევს. „გააღე ფანჯარა... ყველამ მოგვისმინოს, ყველამ გვიყუროს“, ამბობს იგი და დები თავიანთ ცოდვილ, ჰერმეტულ სამყაროში არა მარტო თავისუფლების ჰაერს შემოუშვებენ, არამედ მაყურებელსაც. მეოთხე კედელი დამსხვრეულია და მხოლოდ მოთვალთვალე კი არა, მოწმენიც სჭირდებათ. განმეორებადმა, რიტუალივით ზუსტად გათვლილმა ცერემონიამ დების ისედაც მყიფე სამყარო, ურთიერთობები, ცნობიერება კი გაანადგურა, მაგრამ იდენტობა ვერ მოაძებნინა: თამაში კლერის სიკვდილის შემდეგ უფრო სასტიკ განზომილებაში გრძელდება. „შენ მე საკუთარ თავში შემინახავ“, ამბობს კლერი და კვლავ ქალბატონის საოპერო პლასტიკასა და ინტონაციას უბრუნდება – „გაიმეორე, ქალბატონი ცაცხვის ნაყენს დალევს“. ამის შემდეგ კი ფინალი და დუმილი მხოლოდ, რომელმაც რაღაცის კვლავ გაგრძელების დაძაბული მოლოდინის შეგრძნებით, სტურუას „მეფე ლირის“ პაუზა გამახსენა.

„მოახლეებში“ სამივე მსახიობმა საოცარი პარტნიორობის მასტერკლასი წარმოგვიდგინა, მაგრამ ნინო კასრაძისა და ნატა მურვანიძის სახიობა ამ თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მცირე

და უმნიშვნელო დეტალებშიც კი გააზრებული თუ ქვეცნობიერი იმპულსებით იყო შეკრული. „შეფარვით თამაშსაც“ ისინი სხვადასხვა, მაგრამ ისევ ურთიერთშევსებადი ხერხებით წარმოგვიდგენდნენ. ნინო კასრაძე, ვფიქრობ, სიტყვით უფრო „ოპერირებდა“, ნატა მურვანიძე კი პლასტიკით, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ პირველს პლასტიკა არ უვარგოდა ან მეორეს ფრაზირება ან ინტონაცია. უბრალოდ,კასრაძის სოლანჟს „მოახლის ტყავში“ ყოფნა (თავისი და კლერის) უფრო ხშირად უხდებოდა, ნატა მურვანიძის კლერს კი – ქალბატონის. ამგვარად, მათი პლასტიკა და სიტყვა შესაბამისად ცვალებადი, ხშირად არაორგანული, სენსუალური, გროტესკული თუ პარადოქსული, ყოველთვის ჟან ჟენეს სტილში, ორაზროვანი პირობითობით არის გათამაშებული.

„ნიჭი, თქვა ჟან ჟენემ, არის თავაზიანობა მოცემულობის მიმართ და მდგომარეობს იმაში, რომ სიმღერად აამეტყველო ის, რაც მანამადე უთქმელი იყო“. ეს სიტყვები, ვფიქრობ, პირდაპირ ეხმიანება სამეფო უბნის თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლის შემოქმედებით ჯგუფს და, განსაკუთრებით, სამ ქალბატონს, რომლებმაც ქართულ სცენაზე ჯერ უთქმელი ჟან ჟენეს „მოახლეები“ აამეტყველეს.

ლელა ოჩიაური

„ქალბატონობას“ თამაში და მოახლეების ბედისწერა

ყველაზე „მიუწვდომელი“ და მრავალმაყურებლიანი, რომლის ნახვა მათაც კი მოინდომეს, თეატრში იშვიათად ან საერთოდ რომ არ დადიან, 2015 წელს, სამეფო უბნის თეატრში ნიკა თავაძის დადგმული „მოახლეები“ იყო. ჟან ჟენეს (რთული და არაერთგვაროვანი ბიოგრაფიის, სკანდალური, საკულტო ფრანგი დრამატურგის) პიესამ (რომელიც საქართველოში პირველად დაიდგა. ფრანგულიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ), ბრწყინვალე მსახიობების – ნატო მურვანიძე, ნინო კასრაძე, ბაია დვალიშვილი – მონაწილეობით, საზოგადოების ინტერესიც და მსჯელობის სურვილიც გამოიწვია და შეიძლება ითქვას, სეზონის „ჰიტად“ იქცა. (სპექტაკლი დააფინანსა ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა).

სამი ბრწყინვალე მსახიობი, ბრწყინვალე ანსამბლი, რომელსაც ურთულესი ფსიქოლოგიური მდგომარეობის, უკიდურესი ნერვული დაძაბულობის პირობებში უხდება მუშაობა. რეჟისორი ქმნის ატმოსფეროს, რომელსაც თითქოს არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო; რომელშიც რეალობა და წარმოსახვა ისევე ირევა ერთმანეთში, როგორც მოახლეების გათამაშებული სცენები ქალბატონთან ურთიერთობისას და მათი რეალური ცხოვრება. როგორც იხლართება სიყვარული და სიძულვილი, გაუცნობიერებელი ვნება და ნამდვილი გრძნობა, სიკვდილი და სიცოცხლე. წარსული და აწმყო.

ყვავილებში ჩაფლული, გემოვნებით მოწყობილი ოთახი (უკან დიდი ინგლისურფანჯრიანი აივანი, საიდანაც ნისლში გახვეული მთვარე მოჩანს;

გამჭვირვალე კედლებიანი გარდერობი, თეთრგადასაფარებლიანი დიდი საწოლი), ქალბატონის წითელი კაბა (სცენოგრაფია და კოსტიუმები – ქეთი ნადიბაიძე), და თავად მსახიობები – ყველა და ყველაფერი ძალიან ლამაზია. ეს მოცემულობა და გარემო კონტრასტული ხდება მასში მიმდინარე პროცესებთან, ამბებთან, ვნებებთან, რომლებიც მთელი ძალით გამოდიან გარეთ და სამყაროს ნამდვილ სურათს გამოხატავენ.

მოახლეები „ქალბატონობას", „ერთმანეთობანას" სახლში მისი არყოფნის დროს, თამაშობენ და ეს თამაში – ქალბატონისა და ერთმანეთის შესახებ, ბოლოს საბედისწერო აღმოჩნდება.

მოახლეები პოლიციაში ასმენენ ბატონს და მისი ცხიდან მოულოდნელად გამოშვებითა და მხილებით შეშინებულები, ქალბატონის მოკვლას უკვე „ნამდვილად" გადაწყვეტენ – ცაცხვის ჩაიში ჩასხმული საწამლავით. ესეც – ქალბატონის მოკვლა – მათი დიდი ხნის ოცნებაა, წარმოსახვის თამაში, რომელიც ვერასდროს რეალიზდება.

ნიკა თავაძეს აქცენტი მოახლეების სულიერ მდგომარეობაზე გადააქვს. მისთვის მნიშვნელოვანი არა ისაა, რაც ხდება ან დასაშვებია მოხდეს, არამედ ის, თუ ვინ არიან, რას განიცდიან, რა სურთ, რას ვერ აღწევენ მოახლეები, რა მოტივი და ახსნა აქვს მათ საქციელს, მათ წამოწყებულ თამაშს. მოახლეები თვალთმაქცობენ, რადგან სტატუსი აიძულებთ, მოკრძალებულად მოიქცნენ და თითოეული სიტყვა, ნაბიჯი, საქციელი აკონტროლონ. აუცილებელი პირობები და სუბორდინაცია დაიცვან. ისინი მოახლეები არიან. ქალბატონის საქციელი და დამოკიდებულება, შინაგანი თავისუფლების თავხედობამდე მისული შეგრძნება და უპირატესობის განცდა (მათდამი, ცხოვრებაზე) უმძაფრებთ აგრესიასა და სიძულვილს და სიძულვილს, პირველ რიგში, საკუთარი თავისა და ბედის მიმართ, რომლის მსვლელობაშიც რეალურად ვერაფერს შეცვლიან. აქ არაა მკვეთრად ხაზგასმული სოციალური განსხვავება – მოახლეები არანაკლებ ქალბატონები არიან, და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს კონფლიქტს – მსგავსები გარეგნობთ, თუნდაც შინაგანი მდგომარეობით, მაგრამ განსხვავებული მდგომარეობით იძულებულები ცხოვრობენ ისე, როგორც აღარ შეუძლიათ. რადაც დაიბადნენ, იმად უნდა იცხოვრონ ან დაიხოცონ.

მათ უნდათ უარყონ საკუთარი თავი არა იმიტომ, რომ ქალბატონად ან ერთმანეთად გარდაისახონ, არამედ საკუთარი თავიდან რომ გათავისუფლდნენ. მოიშორონ ტვირთი თუ კომპლექსები, რომლებსაც ცხოვრება - საზოგადოება აკისრებთ. და ამ ილუზიებში, ამ სრულიად განყენებილ, თუმცა რეალურ გარსში, განზომილებებში მომწყვდეულ სამყაროში მაინც იქცნენ არა იმად, რაც არიან, არამედ იმად, ვინც და როგორებიც უნდა იყვნენ. თუმცა, ამით საკუთარ თავს ანადგურებენ, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მოტივი – გასაგებია, მიზნის მიღწევის გზებიც დასახული, გეგმა გამოკვეთილი, მაგრამ რაღაც ხდება, ეს ზუსტი სქემით აწყობილი მექანიზმი წამში იშლება. თვეობით, შეიძლება წლობით გათამაშებული და გათავისებული როლები, ეპიზოდები, საკუთარი თავისა და ერთმანეთის უარყოფა, შინაგანი ბრძოლა თუ ორთაბრძოლა და ორის ბრძოლა ერთის წინააღმდეგ – წაგებულია.

წარმოსახვითი სამყარო, სხვა განზომილება, რაღაც შუალედური რეალობასა და გამონაგონს შორის. დაძაბულ და როგორღაც განყენებულ ატმოსფეროს უფრო მუხტავს და ავისმომასწავებლად გაისმის მუსიკა (კომპოზიტორი ნიკა ფასური, გამოყენებულია ვივალდის, ჰენდელის, როსინის ნაწარმოებების ორიგინალური ფრაგმენტები და თემის ვარიაციები). ყველაფერი ისეა აწყობილი, რომ ყველაფერში ეჭვი გეპარება - „თამაშის წესები" რთულია, რადგან ბევრ მოულოდნელ სვლას შეიცავს და არაფერს გკარნახობს დაზუსტებულად - დაბეჯითებით. ასეთი ორჭოფობისა და გაურკვევლობის ზღვარზე „თამაშობს" ნიკა თავაძე და მაყურებელიც ბოლომდე ივჯერებს ან არ ივჯერებს, რაც სინამდვილეში მოხდა. თუმცა, რომელია სინამდვილე, სადაა მისი რეალური საზღვრები, ასევე გაურკვეველია.

ამავე დროს, ზღვარი არასოდეს ირღვევა მაყურებელსა და სცენას შორის, მოქმედება, ამბავი რჩება განყენებულად, რადგან ისედაც დახუნძლულია გარდასახვებისა და რეალობებში ინტენსიური მოძრაობებით. გამოსავალი კი, ამ ჩაკეტილი, ქალბატონის ბინის კედლებით შემოსაზღვრული ადგილიდან, რომელსაც გარესამყაროსთან უკანა კედელთან ამოჭრილი ფანჯარა აკავშირებს, ტელეფონის ზარები გარედან და ქალბატონის მოსვლა გარედან და უკან დაბრუნება - არ არსებობს.

დავით ბუხრიკიძე

ჟენე გვწყურია ჩვენ პირდაპირი

მეოცე საუკუნის გამოჩენილ ფრანგ დრამატურგსა და მწერალს, ჟან ჟენეს საქართველოში აშკარად არ გაუმართლა. მართალია, გამომცემლობა „დიოგენემ" რამდენიმე წლის წინ ქართულ ენაზე ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ავტორის გახმაურებული რომანი – „ნოტრ-დამ-დე-ფლერი გამოსცა, მაგრამ ინფორმაციულ სიმწირეს ეს აშკარად ვერ ავსებს. არც მისი პოეზია გახდა მაინცადამაინც მოდური და ვერც მისმა შესანიშნავმა, უცნაურმა და ბრუტალურ-პოეტურმა პიესებმა („მოახლეები", „აივანი", „შავები", „შირმები") აღაგზნეს ახალგაზრდა თუ კლასიკოს რეჟისორთა ფანტაზია.

შესაძლოა იმიტომ, რომ მთარგმნელებთან ერთად რეჟისორებიც დღემდე ვერაფერს უხერხებენ ჟენეს პიესების თვითმყოფად, დახვეწილ და ურთულესი პოეტური ნიუანსებით მდიდარ ტექსტს. მისი „კრიმინალური ვნებებით შეპყრობილი პერსონაჟების განსახიერება კი მსახიობებისგან განსაკუთრებულ მომზადებას, ინტელექტს, ემოციურ სიმძაფრეს და შინაგან ენერგიას ითხოვს".

...მარგინალთა და კრიმინალთა მეხოტბე, ქურდი და პოეტი, „წმინდანი და წამებული, უკომპრომისო და გარყვნილი, დახვეწილი და რეფორმატორი, მუდამ დევნილი და განდევნილი – ასეთია ჟენეს გრაფიკულ-პოეტური პორტრეტი. მისთვის ციხე ლამის მარადიულ ბიბლიოთეკად იქცა. 15 წლისა იყო, როდესაც პირველად არასრულწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში მოხვდა. მაშინ

ცხადია, არ იცნობდა შემდგომში მისი შემოქმედების მუდმივ დამცველებსა და მეხოტბეებს – ჟან კოკტოს და ჟან-პოლ სარტრს. სწორედ მათი მფარველობის გამო გაათავისუფლეს ჟენე ციხიდან. მწერალი, პოეტი და დრამატურგი თავის შემოქმედებაში განუწყვეტლივ უბრუნდება ცოდვის, დანაშაულის, ეროტიზმის თემებს, რომლებიც ასევე თავს იყრიან პიესაში „მოახლეები“.

პიესა 1947 წელს დაიწერა, რომელიც იმავე წელს ცნობილმა რეჟისორმა, ლუი ჟუვემ პარიზის თეატრ „ატემეში“ დადგა. იმ დროს ევროპა მეორე მსოფლიო ომის ჭრილობებს იშუშებდა და ჯერ კიდევ არაფერი გაეგო ჟენეს შესახებ. ის მხოლოდ 60-70-იან წლებში, სტუდენტური მღელვარებისა და „სექსუალური რევოლუციის“ ჟამს გაიხსენეს რეჟისორებმა და მსახიობებმა. ჟან-პოლ სარტრმა კი მას სქელტანიანი გამოკვლევა უძღვნა და „წმინდანი და წამებული“ უწოდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში გერმანელი კინორეჟისორის, ტომას ენგელის მიერ დადგმულ „მოახლეებს“ (ეპატაჟური სატელევიზო ვერსია) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი დისკუსია მოჰყვა. უფრო მეტადაა ცნობილი ბრიტანელი რეჟისორის, კრისტოფ მაილსის ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს შესანიშნავი მსახიობები – გლენდა ჯეკსონი (სოლანჟი) და სუზან იორკი (კლერი) თამაშობენ. თანამედროვე შვედმა კომპოზიტორმა პიტერ ბენგსტონმა კი ჟენეს პიესის მიხედვით ერთაქტიანი ოპერა დაწერა, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა შვედეთის სამეფო ოპერაში (რეჟისორი რაინჰარდ ლიცი). საბჭოეთის დაისის ჟამს, 1989 წელს მოსკოვის თეატრ „სატირიკონში“ რეჟისორ რომან ვიკტიუკის დადგმული „მოახლეები“ კრიტიკამ ლამის რევოლუციურად შერაცხა. თუმცა მოგვიანებით, 90-იან წლებში მისი ნახვის შემდეგ რაღაც უგემოვნებისა და უხამსობის შეგრძნება დამიტოვა.

„ვეწინააღმდეგები სამყაროს, რომელიც მუდმივად მამცირებს და ამგვარად, მაიძულებს უფრო მშვენიერი გავხდე. ვემსგავსები ანგელოზს, რომელსაც კლავენ და ასახიჩრებენ – ეს ჟან ჟენეს პერსონაჟების დასახასიათებლად საოცრად ზუსტი ფრაზაა, რომელსაც, მართალია, ახლახან სამეფო უბნის თეატრში დადგმულ „მოახლეებში“ ვერ მოისმენთ, მაგრამ დები – კლერი (ნატა მურვანიძე) და სოლანჟი (ნინო კასრაძე) და მათი ქალბატონიც (ბაია დვალიშვილი) თითქოს ჩაბმულნი არიან სწორედ, ამ „დასახიჩრებული და დამცირებული ანგელოზების ირაციონალურ, საშიშ და ეროტიკულ დუელში, სადაც გამარჯვება ფაქტობრივად შეუძლებელია.

მოახლეები პირველად იდგმება საქართველოში და იმედია, ჟენეს პიესა და საერთოდ, მისი დრამატურგია ახალგაზრდა რეჟისორების პროვოცირებას მაინც შეძლებს, რაც ფრანგი ავტორის სხვა პიესების დადგმებში გამოიხატება. თორემ შექსპირ-მოლიერ-კლდიაშვილით დაღლილ პუბლიკას თეატრი ან ისევ მუზეუმად მოეჩვენება, ან სატელევიზიო შოუების გაგრძელებად. ამ მხრივ სამეფო უბნის თეატრი დღეს „ესთეტიკური აღზრდის“ ფუნქციასაც ითავსებს, სადაც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს მეოცე საუკუნის მივიწყებული კლასიკის გაცოცხლება-რესტავრაცია. ამდენად, „მოახლეების“ დადგმას გაცილებით მნიშვნელოვანი დატვირთვაც ჰქონდა.

საინტერესოა, რომ მოახლე დების კრიმინალურ ისტორიაში, რომლებიც

ჯერ თავიანთი ქალბატონის საყვარელს პოლიციაში დაასმენენ და შემდეგ მისი მოწამვლის გეგმას დასახავენ, სინამდვილეში უმთავრესი ფსიქოლოგიური კომპლექსების, შენიღბული ბოროტების, დაუფარავი ეროტიზმისა და უხილავი ესთეტიზმის იშვიათი ნაზავია, რასაც ვერცერთ სხვა მწერალთან (ალბათ, მარკიზ დე სადის გარდა) ვერ ამოიკითხავთ. შესაძლოა, სწორედ დაუძლეველი სირთულეების გადალახვა მოინდომა მსახიობმა და რეჟისორმა ნიკა თავაძემ, როცა ჟენეს „მოახლეებს“ შეეჭიდა.

ნიკა თავაძე: „თავიდან არ მიფიქრია დადგმაზე, მაგრამ პიესის წაკითხვის შემდეგ რამდენიმე დღეში მისი თავიდან გადაკითხვის სურვილი გამიჩნდა. მონუსხული ვიყავი პიესის სიღრმით, იმით, რაც ქვეტექსტებში, მოვლენათა რიგში იკვეთებოდა. რაც მთავარია, ეს პიესა არ ჰგავდა აქამდე ჩემ მიერ წაკითხულ არცერთ პიესას. ჟენე ცდილობს გვიამბოს ადამიანთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც აბსოლუტურ, ლოგიკურ გამართლებას საჭიროებს. პიესაზე მუშაობისას ყველაზე რთული სწორედ ამ მოვლენათა ამოკითხვა და სიღრმისეული, ლოგიკური ჯაჭვის გამართვა იყო. თითქმის ყველა სცენის გადაწყვეტის დროს ჩნდება შეკითხვა – რატომ ხდება ასე, რატომ სჩადიან პერსონაჟები ამას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, პიესის მთლიანი კონსტრუქციის ლოგიკურ სქემაში უნდა ჯდებოდეს. პირველი ფორმულა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც პიესაზე მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, ასე ჟღერდა: დამნაშავე, რომელიც მკვლელობას გეგმავს, როგორ ხდება თავად თვითმკვლელი.

პიესაზე მუშაობა დაახლოებით ორ თვეს გრძელდებოდა. მსახიობთა შემადგენლობაზე თავიდან არ მიფიქრია, მაგრამ როდესაც გადავწყვიტე, ეს უკვე საბოლოო გადაწყვეტილება იყო და რომელიმე მათგანს უარი რომ ეთქვა, სპექტაკლს არ დავდგამდი. მთავარია, რომ დამთანხმდნენ და დიდი მადლობა მათ ამ ნდობისთვის. სამივე – ნინო, ნატა და ბაია უაღრესად განათლებული, გამოცდილი და უნიჭიერესი მსახიობები არიან. სარეპეტიციო პერიოდი იმდენად საინტერესო იყო, რომ მისი დასრულება მაინცდამაინც არ გვახარებდა... მადლობა მათ ამ დიდი სიამოვნებისთვის. და მადლობა მთელ შემოქმედებით გუნდს – მხატვარ ქეთი ნადიბაიძეს, კომპოზიტორ ნიკა ფასურს და ირმა ტაველიძეს, რომელმაც შესანიშნავად თარგმნა პიესა.

რეჟისორი თითქმის არ ერევა პიესაში, არ ცვლის ტექსტს და არც სცენოგრაფიულ „ფოკუსებს“ ატარებს, რათა მაყურებლის ყურადღება მიიპყროს. რეჟისორული ხერხებისა და მიზანსცენების უბრალოება გაცილებით ახლოა კლასიკურ საოპერო დადგმებთან და 50-იანი წლების ფსიქოდრამებთან, ვიდრე ამას თანამედროვე, ეპატაჟურ-რეჟისორული „მოდა“ მოითხოვს. და როგორც არ უნდა შევაფასოთ სამეფო უბნის თეატრის პრემიერა, მთავარი მაინც მისი ერთგული მაყურებელია, რომელიც დროთა განმავლობაში მის გულშემატკივრად იქცა.

როგორც პოეტი ამბობს, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი და ამიტომაც, ვიღაცისთვის ყვავილებით გადავსებული სცენა-ოთახი და ბურგერული ატმოსფერო უფრო 50-იანი წლების ფრანგულ მელოდრამებზე პაროდიად აღიქმება. ვიღაცას

კენ რასელის „რუდოლფო ვალენტინოს“ ეპიზოდები გაახსენდება ან სულაც, ფასბინდერის „პეტრა ფონ კანტის“ ცხარე ცრემლების ესთეტიკა. სიტყვამ მოიტანა და დროდადრო ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნინო კასრაძე და ნატა მურვანიძე თავიანთი კოსტიუმირებული, სადომაზოხისტური თამაშებითა თუ აკვიატებებით ჟენეს პიესის აივნიდან პირდაპირ ფასბინდერის პეტრა ფონ კანტის დახუთულ, უჰაერო ოთახში გადაცხოვრდნენ და უკვე იქ განაგრძობენ მოახლე-ქალბატონის ფსიქოლოგიური მოდელით მანიპულირებას.

სპექტაკლის საათი და ორმოცი წუთი საჭიროა იმისათვის, რომ დაიჯეროთ, შეუძლიათ თუ არა ამ ეგოცენტრულ, ჭირვეულ, აშკარად ფსიქოსექსუალური კომპლექსებით „დახუნძლულ“ მოახლეებს, მოწამლონ ქალბატონი, ვისაც ემსახურებიან და ვინც სინამდვილეში სძულთ. ნატა მურვანიძის კლერი ფეთქებადი ხასიათით, ცვალებადი განწყობითა და ტემპერამენტით გამოირჩევა. თამამად შეუძლია ქალბატონს დასცინოს, მისი კაბები მოირგოს, მისი სოციალური როლი გაითამაშოს, მის „ტყავში შეძვრეს“... ისე, რომ დაუფარავი აგრესიით ბოლოს თავადვე განადგურდეს. კლერი ერთდროულად ძლიერი და სუსტია, აგრესიული და თვითმკვლელი... როდესაც ხალათმოსხმული, მოქნილი და ოდნავ თავხედი კლერი სპექტაკლის დასაწყისში მთვარით განათებულ აივანზე ჰენდელის საოპერო არიის თანხლებით გამოჩნდება, უკვე გარკვეულწილად გასაგები ხდება წარმოდგენის ტონალობაც და ესთეტიკაც.

ნინო კასრაძე – სოლანჟი მორჩილებას შინაგან სიძლიერეს უხამებს, სიმორცხვეს – გარყვნილებას... ფინალში კი მას სანიმუშო ძალადობად აქცევს. სცენა, როდესაც სოლანჟი მარგალიტის მძივებით ახრჩობს კლერს, სპექტაკლში ერთ-ერთი საუკეთესოა. რომ არაფერი ვთქვათ სოლანჟის ფინალურ მონოლოგზე, რომელშიც სანიმუშოდ გაწვრთნილი დრამატიზმი, მგრძნობელობა და სიგიჟის ნიშნები ერთდროულად იგრძნობა.

რაც შეეხება ბაია დვალიშვილის დაახლოებით 20-25-წუთიან შესანიშნავ „ინტერმეცოს“, მასში ზუსტად და ირონიულადაა განსაზღვრული ჭირვეული პარიზელი ქალბატონის სასიყვარულო განცდების არეალი. ფრანგული თეატრისა და კინოს მოყვარულებს ალბათ გაახსენდებათ ისეთი სახელები, როგორიცა მადლენ რენო, მარია კაზარესი, ან ჟენევიევ პაჟი.

„მოახლეებში“ ლამის ყველაფერია - ქურდობა და დასმენა, კრიმინალი და ვნება, ერთგულება და ორსახოვნება და ცხადია, ბევრი უსექსო სექსი... რადგან ბოლოს და ბოლოს, ქალები ქალებს თამაშობენ. არადა, ჟენეს სურდა, რომ სოლანჟი და კლერი მამაკაც-მსახიობებს ეთამაშათ. თავის დროზე ანტონენ არტომ ძალადობა, როგორც პერფორმანსის ფორმა, სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა და სწორედ ძალადობა გამოიყენა გართობის ესთეტიკის გასანადგურებლად. დრამატურგიაში ეს პირველად სწორედ ჟან ჟენემ შეძლო... ჟენემ, რომელიც თურმე ძალიან გვწყურია!

თამარ ქუთათელაძე

„მოახლეები“

ნიკა თავაძის მიერ სამეფო თეატრის სცენაზე განახორციელებული აბსურდის დრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორის ჟან ჟენეს დრამა „მოახლეები“, ბოლო თეატრალური სეზონის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული დადგმა აღმოჩნდა. დედაქალაქის მაყურებლის გაცხოველებული ინტერესი სრულიად საფუძვლიანი იყო.

ამ თეატრის ყოველი სპექტაკლი მუდამ იპყრობს ყურადღებას სიახლის მაძიებლური პათოსით, საინტერესოდ დაგეგმილი სარეპერტუარო პოლიტიკით, არსებულ პრობლემებზე უსწრაფესად რეაგირების უნარითა და გარკვეული აგრესიული სითამამითაც. ამჯერად კი ინტრიგა გამორჩეულად მძაფრი გახდა. სპექტაკლში ერთდროულად დაკავდა თანამედროვე ქართული საშემსრულებლო ხელოვნების სამი სახელოვანი წარმომადგენელი, – ბაია დვალიშვილი, ნატო მურვანიძე და ნინო კასრაძე. მათი სახელები სპექტაკლში თავისთავად ქმნის დიდ რეკლამას და საფუძვლიან ცნობისმოყვარეობას, მათი პარტნიორობით კი იქმნება ერთგვარი შემოქმედებითი შეჯიბრის პირობა. წარმოდგენაში მონაწილე მსახიობები მაქსიმალურად იხარჯებიან სცენაზე და ექსპოზიციიდანვე ახერხებენ შექმნან დასამახსოვრებელი სახეები.

მსახიობების სცენაზე გამოსვლამდე ამძაფრებს ინტერესს ნიკა ფასურის დამაინტრიგებელი მუსიკა, ქეთი ნადიბაიძის მომაჯადოვებელი, გამაოგნებლად ესთეტიკური სცენური გარემო. წითელი, თეთრი და შავი ფერის დახვეწილი კომბინაციით შექმნილი სცენოგრაფია და კოსტიუმები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. გამჭვირვალე სავარძლებით, ხასხასა ყვავილებით, თვალისმომჭრელი სისუფთავით გამორჩეულ ატმოსფეროში ორგანულად „ეწერება'' სამი დახვეწილი მსახიობის ნატიფი მანერებითა თუ ჰაეროვანი პლასტიკით შექმნილი სახეები.

სამივე მსახიობი სცენაზე ქმნის სამ თავგანწირულ ამორძალს. თითოეული მათგანი იბრძვის სრულფასოვანი ცხოვრების, რეალობაზე ამაღლებისთვის. ნატო მურვანიძე ემოციურად და გამომსახველად თამაშობს მისი ადამიანური ღირსებისათვის დამამცირებელი ყოფისგან განრიდების, ბედისწერასთან შებმის რიტუალს. ამ ამბივალენტურ სახეში მსახიობი წარმოაჩენს საკუთარი ქალბატონის, როგორც ქალი-ვამპირისა და დიქტატორის, იმავდროულად კი მდაბიო წარმომავლობის უუფლებო მსახურის მკვლელისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალის სახეს.

სიცოცხლის წყურვილით აღსავსე ახალგაზრდა, ელეგანტური ეროტიკული მოახლეები, მთელი არსებით ესწრაფვიან განერიდონ და ამაღლდნენ მისჯილ სოციალურ სტატუსზე, უსიხარულო, ერთფეროვან ცხოვრების წესზე, მოირგონ და გაითავისონ საოცნებო, მხოლოდ მდიდართათვის ხელმისაწვდომი თვითმყოფადობა, პიროვნების სულიერი სამყაროს ხატად ქცეული სამოსი, სამეტყველო ლექსიკა, დახვეწილი ჟესტი, ჰაეროვანი პლასტიკა. გარდასახვაში მსახიობებს ხელს უწყობს მათი მაღალი პროფესიონალიზმი, ქალური ეშხი, გრაციოზული სხეული, ცოცხალი სახისმეტყველება და მოქნილი ინტონაციები.

შესაბამისად, ისინი ორგანულად ირგებენ მსახურისა და ქალბატონის ნიღბებს.

ბაია დვალიშვილი თამაშობს კეთილი, გულუხვი და უმწეო არსების ნიღაბს ამოფარებულ ფარისეველ, ეჭვიან ქალბატონს. ისიც ჩართულია მსახურთა თამაშის წესში. მოხერხებულად იცვლის ნიღბებს და ხან მათი თანასწორია, ხან კი გამეხებული მბრძანებელი, ლამის შეშლილობის ზღვრამდე რომ მიიყვანა ერთგული მოახლეები, გადააქცია მარიონეტებად, რობოტებად, წაართვა თვითრეალიზების ყველა უფლება და მათ სამეტყველო ლექსიკაშიც რამდენიმე, მხოლოდ მისთვის სასურველი ფრაზა დააკანონა. „ქალბატონი კეთილია“', „ქალბატონი ლამაზია“, „ქალბატონი მდიდარია“, „ქალბატონი ნაზია“, „ქალბატონი მართალია“, – არაერთხელ აღმოხდება ხოლმე ლამის ისტერიის ტრანსში ჩავარდნილ ნატა მურვანიძის კლერს. ქალბატონზე შურისძიების მარცხის შემდეგ, იგი შავი იუმორითა და სარკაზმით თამაშობს საკუთარ თავში საძულველი ქალბატონის მკვლელის, საკუთარი ბედისა და ხვედრის შეცვლისაკენ წარმართულ სცენას. მხოლოდ ამითღა აპროტესტებს სასოწარკვეთილი მოახლე მის უმწეო მდგომარეობას, უზენაესის მიერ მისჯილ უსამართლო განაჩენს.

დისგან, საკუთარი არსის აქტიური და მეამბოხე ნაწილისაგან „დისტანცირებული“ ნინო კასრაძის სოლანჟი, წარმოდგენის მიწურულამდე მოახლის ფუნქციის სკრუპულოზური აღმსრულებელია. იგი ტანჯვით, მაგრამ ბედს შერიგებული ზიდავს თავის უმძიმეს ტვირთს. მსახიობი მისთვის ჩვეული პროფესიონალიზმით ქმნის დათრგუნული, მონის ფსიქიკით განაწამები, ფერდაკარგული და გაუსახურებული, მაგრამ მაინც მომხიბლავი ქალის სახეს, თუმცა სცენის სიღრმეში გაჟღერებული მისი ვრცელი მონოლოგი, ვფიქრობ ერთგვაროვანი ხერხებით შესრულდა.

თბილისის თეატრი „გლობუსი“
შეშლილის წერილები

სპექტაკლის დასახელება - შეშლილის წერილები

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - ნიკოლაი გოგოლი
რეჟისორი - დავით ბელთაძე
მონაწილეობს:
პოპრიშჩინი - თორნიკე ბელთაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 25 ოქტომბერი
სარეპეტიციო პროცესი - 50 რეპეტიცია
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

გამოხმაურება

თამარ ქუთათელაძე

„შეშლილის წერილები“

განახლებული თეატრ „გლობუსის“ მორიგ წარმოდგენად მაყურებელმა იხილა დავით ბელთაძის სამაგისტრო დადგმა „შეშლილის წერილები“. ნიკოლაი გოგოლის სახელოვანი ნაწარმოების მიხედვით განხორციელებული სპექტაკლის ხელმძღვანელია სანდრო მრევლიშვილი, ხოლო აქსენტი პოპრიშჩინის როლი განასახიერა ახალგაზრდა მსახიობმა თორნიკე ბელთაძემ. ამ როლით იგი წლის საუკეთესო დამწყები მსახიობის პრემიის მფლობელი გახდა.

წარმოდგენაში უაღრესად პრიმიტიულ სცენურ გარემოში გათამაშებულ სანახაობაში, სადაც ძირითადი ყურადღება მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნებაზეა კონცენტრირებული, ახალგაზრდა მსახიობი ურთულესი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მას თითქმის ცარიელ სცენაზე საკუთარი დამოკიდებულებით, მკაფიო და ზუსტი გამომსახველი ხერხებით უნდა წარმოესახა დიდი კლასიკოსის ურთულესი და მრავალაზროვანი სცენური სახე, თანაც ისე, რომ თანამედროვე მაყურებლისთვისაც მნიშვნელოვნად, მტკივნეულად ექცია ჩვეულებრივი რიგითი ადამიანის ცხოვრებისეული ტრაგედია.

თითქმის განძარცვულ სცენაზე შეიქმნა საინტერესო სანახაობა, სადაც მაყურებლის პირისპირ მდგარი მსახიობის თავზარდაცემული გმირი, მოუსვენრად მოძრაობდა სასცენო სივრცეში. იგი ხან აქეთ-იქით აწყდებოდა კედლებს, ხან შინაგანი ტკივილებისაგან დაკრუნჩხული გორავდა ფიცარნაგზე, ხან კი უკანასკნელ ძალებმოკრეფილი, უეცრად მიუჯდებოდა მაგიდას თეთრ ხალათში გახვეული და ფურცლებითა და კალმით აღჭურვილი ცდილობდა გაეანალიზებინა თავს გადამხდარი მოვლენები, მის შინაგან სამყაროში განვითარებული

პროცესები. მსახიობი თამაშობდა არაფრით გამორჩეული ე. წ. „მასის“ რიგითი წევრის სულიერ მდგომარეობას, მის აუხდენელ ოცნებებსა და გაცრუებულ მოლოდინებს, მის მრავალგზის დამცირებულ ყოფას.

თორნიკე ბელთაძის აქსენტი პოპრიშჩინი ვერ ახერხებდა გამკლავებოდა ფიზიკურ ტკივილამდე განცდილი მისი გრძნობების აბუჩად აგდებას. მომაკვდინებლად განიცდიდა თავის შეუმჩნეველ ყოფას, ხელმოცარვას სიყვარულში, დამცირებას სამსახურში, ღირსების შემლახავ სიღატაკეს, შეურაცხყოფას, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ მისდამი დამოკიდებულებით თანამშრომელთა, თანამოქალაქეთა თუ გზად შემხვედრი ძაღლის ამრეზილი გამოხედვებით, ასე მკაფიოდ რომ აღბეჭდვოდა მის მგრძნობიარე მეხსიერებას.

მსახიობი ემოციურად, გულწრფელად, სულში ჩამწვდომი ხმის ტემბრითა და ზუსტი ინტონირებებით წარმოსახავდა თავისი გმირის სულისშემძვრელ განცდებს, ტკივილს. იგი სასცენო ფიცარნაგზე ემხობოდა, კვნესოდა და უშედეგოდ ცდილობდა გაეაზრა არეულ გონებაში მოფარფატე დაულაგებელი აზრები, ხან აკანკალებული ხელით რომ გადაჰქონდა ფურცლებზე, ასწორებდა, ჭმუჭნიდა, ისტერიულად ისროდა ურნაში, კვლავ ამოქექავდა გადაყრილი, დახეული თუ დაჭმუჭნილი ქაღალდების გროვას, საგულდაგულოდ გადატკეცავდა, ამოიკითხავდა სასურველ ტექსტს და ისევ აგრძელებდა წერას ან მაყურებელთნლისთვის აზრის განდობას, თუმცა ამაოდ ეძებდა შვებას. უბედურ, მარტოსულ არსებას ვეღარაფერი ჰგვრიდა სიმშვიდეს და სასოწარკვეთილი უხმობდა მშობელს, საყვედურობდა უზენაესს მისი ესოდენ დამცირებულ არსებად მოვლენისათვის.

სკამი

თეატრის „გლობუსი“ და სტუდია „ექსპერიმენტის“ ერთობლივი პროექტი

სპექტაკლის დასახელება - სკამი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ტექსტის ავტორი და რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი
მონაწილეობენ: ზ. სულხანიშვილი, ბ. ლემონჯავა, მ. არღუთაშვილი, ნ. ფილია, ქ. ლუარსაბიშვილი, ა. ბებია, ე. ქასრაძე, ს.მეძმარიაშვილი, თ. ბელთაძე, გ.ბერეკაშვილი, შ.გაბელაია, ბ. ქამხაძე, გ. გოგიშვილი, გ.ქვრივიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 9 ოქტომბერი
სარეპეტიციო პროცესი - 50 რეპეტიცია

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში
გ. ცქიტიშვილის რეცენზია, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“,
6 -2015

გამოხმაურება

გიორგი ცქიტიშვილი

შიში

სცენური გარემო მხოლოდ ორ, კონტრასტულ ფერშია (შავი და თეთრი) გადაწყვეტილი (ვინაიდან, პროგრამაში მხატვრის გვარი მითითებული არ არის, სავარაუდოდ, სცენოგრაფია და კოსტიუმებიც დამდგმელ რეჟისორს ეკუთვნის). უკან, ორი თეჯირის მეშვეობით აღმართული შავი კედელია. ამ კედლის წინ კი ერთი გრძელი სკამი მოჩანს. თავდაპირველად, სკამი მთლიანი გვგონია (წარმოდგენის ფინალში აღმოვაჩენთ, რომ ის რამდენიმე უზურგო სკამის ერთობლიობა ყოფილა). ამ აბსტრაქტულ, ზოგად გარემოში, მოქმედი პირნიც არ არიან რომელიმე კონკრეტული სოციალური ფენისა თუ კლასის წარმომადგენელნი. უფრო მეტიც, სპექტაკლში არც ქვეყანაა დაკონკრეტებული, არც ეპოქა, არც დრო... თუმც, მაყურებელთა დარბაზში მყოფნი, უმალ ვხვდებით - ჩვენს თვალწინ საქართველოა, თავისი უახლესი წარსულითა თუ დღევანდელობით... და, რეჟისორის, ალექსანდრე (სანდრო) მრევლიშვილის მიერ ნაწინასწარმეტყველები, არც თუ სახარბიელო მომავლით!..

სპექტაკლი „სკამი“, თბილისის მუნიციპალურ თეატრ „გლობუსში“ დაიდგა. მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, წარმოდგენა შემოქმედებითი ჯგუფი „ექსპერიმენტის“ ძალებზე დაყრდნობით განახორციელა. ს. მრევლიშვილი პიესის (რომელსაც იგი უცნაურ, კომედიურ ეტიუდს უწოდებს) ავტორიც თავადაა. არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ პიესის ავტორთან და ამავე დროს, სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორთან კამათს, პოლემიკას, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს უფრო აბსურდული სულისკვეთებით გამსჭვალული ჩანახატი თუ ეტიუდია. ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენა უდავოდ ს. მრევლიშვილის მორიგი ექსპერიმენტია. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, იოლად დავინახავთ, ეს რეჟისორი მუდამ ახლის ძიებაში იყო და არასოდეს გაურბოდა ექსპერიმენტებს. 1974 წელს, სწორედ ამგვარმა მისწრაფებამ შეაქმნევინა მას ახალგაზრდული თეატრი-სტუდია „მეტეხი“; დასი მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებულ მსახიობთაგან (ზურაბ ცინცქილაძე, თამარ დათუაშვილი, თემურ ბიჭიაშვილი, პავლე ნოზაძე, აკაკი ხიდაშელი, ირინე ჭიჭინაძე, გიორგი თურქიაშვილი, თენგიზ კოშკაძე, რუსუდან ქვლივიძე და სხვები) დაკომპლექტდა. აქვე, ბოდიშს ვუხდი იმ მსახიობებს, ვინც ამ ჩამონათვალში ვერ მოხვდა. არანაირი განსაკუთრებული მოსაზრების გამო, ეს არ მომხდარა. უბრალოდ, ვინც გამახსენდა, ის მოვიხსენიე...

სკამი, საერთოდ, ზოგადად, ძალაუფლების სიმბოლოა. კაცობრიობა, თავისი არსებობის ისტორიის პირველი წლებიდანვე იჩენდა მის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს; ბელადი, წინამძღოლი, ერისთავი, ფეოდალი, მეფე, მინისტრი, პრემიერ მინისტრი, პრეზიდენტი... ძალაუფლება, სკამი, თანამდებობა, ყველგან, ისევე როგორც ჩვენთან, გარკვეული პრივილეგიაა, სხვებზე უპირატესობაა, ადამიანთა მასის, საზოგადოების, ქვეყნის მართვის სადავეები თუ ბერკეტია!..

გარდა, წმინდა მატერიალური კეთილდღეობისა, ის ერთგვარი დაუოკებელი ლტოლვაა, საბედისწერო ვნებაა თუ გნებავთ, ერთგვარი მანიაკალური, აულაგმავი მისწრაფებაა... პირველობა, შენს მსგავსებზე მაღლა დგომა, მათი უფროსობა – სამწუხაროდ, ეს სურვილი არც ქართველებისთვისაა უცხო... ამის მაგალითი კი ჩვენი ერის ისტორიაა, დასაბამიდან დღემდე!..

მეტეხის ტაძარში განთავსებული თეატრი, თავისი სამხატვრო ხელმძღვანელის მეთაურობით, ახალ გამომსახველობით, საშემსრულებლო ენას, სტილისტიკას ეძებდა. ამგვარი ძიების პროცესს, ისიც უწყობდა ხელს, რომ მათ უჩვეულო, არატრადიციულ გარემოში უწევდათ წარმოდგენების გამართვა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად, ათეიზმმაც უკან დაიხია და მეტეხის ტაძარი მოქმედი გახდა... „მეტეხის“ თეატრი შენობის გარეშე დარჩა. თუმც, იმავე წლებში, ს. მრევლიშვილმა საქართველოში ერთ-ერთი პირველი, ნახევრად კერძო (ნაწილობრივ, თბილისის მერიას ექვემდებარებოდა) თეატრი „ძველი სახლი“ დააარსა საკუთარ ბინაში, მეტეხის აღმართზე. მაშინ, ამავე შენობაში განაგრძობდა ფუნქციონირებას „მეტეხის“ თეატრიც. XXI საუკუნის დასაწყისში კი რეჟისორმა ე.წ. „ალექსანდრეს ბაღის“ ქვედა ნაწილში, ახალი, მუნიციპალური თეატრი „გლობუსი“ (უილიამ შექსპირის ლონდონური თეატრის პატივსაცემად) შექმნა. მისი ძალისხმევით, უდიდესი მონდომებისა თუ ფიზიკური დატვირთვის ხარჯზე, ხის შენობის აგებაც მოხერხდა. ს. მრევლიშვილმა საკუთარ თავს არ უღალატა და ისევ უჩვეულო, არატრადიციული, არასტანდარტული თეატრალური სივრცე შეთხზა, გამოიგონა; ჩანაფიქრი, ოცნება რეალობად აქცია... თუმც, სულ მოკლე ხანში, ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“ მოუსწრო... „გლობუსს“ მუნიციპალიტეტის დაფინანსება შეუწყდა; შენობა კი კერძო პირებს გადაეცათ სხვადასხვა სახის შოუების (მათ შორის, ბრძოლა წესების გარეშე) გასამართად!..

უდავოდ მისასალმებელი ფაქტია „გლობუსის“ აღდგენა. არ ვიცი, როდის გაირკვევა ან სად და როგორ გადაწყდება ამ დასისათვის საბოლოოდ სათანადო შენობის გამოყოფის საკითხი; ჯერჯერობით, თეატრი წარმოდგენებს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სხვენში არსებულ და შემოქმედებითი კავშირი – საქართველოს თეატრალური საზოგადოების, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენებზე მართავს. „სკამი“, რომელიც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერაა დაფინანსებული, სწორედ მსახიობის სახლის სცენაზე თამაშდება.

ჩვენ თვალწინ არიან პერსონაჟები, რომლებიც გრძელ, უზურგო საერთო სკამზე, თავიანთთვის ხელსაყრელი, მოსახერხებელი ადგილისათვის დაუნდობლად იბრძვიან. რეჟისორი, ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოაჩენს ადამიანის ბუნებას. სპექტაკლის მოქმედი პირნი არავის და არაფერს უწევენ ანგარიშს; არც სქესს, არც ასაკს... საუბარიც კი ზედმეტია კაცთმოყვარეობაზე, მოყვასის გვერდით დგომასა თუ სხვა ამგვარ ე.წ. „მაღალფარდოვან მცნებებზე, მაღალ მატერიებზე...“ მათ შემხედვარეს, ამ კატეგორიების მხოლოდ გონებაში გაელვებაც კი სარკასტულ ღიმილს გგვრის... გარდა სკამზე მოხერხებული ადგილის მოპოვებისათვის სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლისა, ეს უსახელო ადამიანები

სულ რაღაცის მოლოდინში არიან. „გაიგეთ?.. ამბობენ!..“ – მარადიულად სვამენ ამ კითხვებს, თან ეჭვით აღვსილნი, დაძაბულად, გამომცდელად აკვირდებიან გვერდით მყოფს. თითქოს, არ ენდობიან მის პასუხს და ცდილობენ მოსაუბრის სახეზე ამოიკითხონ სიმართლე; ის სიმართლე, რომელსაც მათი აზრით, ირგვლივმყოფნი უმალავენ...

სცენაზე ისადგურებს დაძაბული ატმოსფერო; რაღაც გარდაუვალი განსაცდელის მოლოდინი მუხტავს ირგვლივ ყველასა და ყველაფერს; აპოკალიფსური აღსასრულის შიში, სცენიდან თანდათან მაყურებელთა დარბაზშიც ინაცვლებს... მოქმედი პირნი ერთმანეთთან ჩხუბსა თუ კინკლაობას დროდადრო თავს ანებებენ; მოლოდინი აღბეჭდვიათ სახეზე; მაყურებელთა დარბაზისკენ იყურებიან, შიშის ძრწოლა ატანილნი... უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან რაიმე კონკრეტულ ხასიათსა თუ პერსონაჟს არ წარმოაჩენენ თუ ასახიერებენ ახალგაზრდა მსახიობები, ასეთ დროს, ძალზე რთული ამოცანის დაძლევა უწევთ. მათ საზოგადოების კოლექტიური სახე უნდა გვიჩვენონ.

მიუხედავად დამდგმელის ამგვარი ზოგადი ამოცანისა, პიესა და წარმოდგენის რეჟისურა მაინც იძლევა საშუალებას საერთო მასაში შეიქმნას გარკვეული ინდივიდუალური, კონკრეტული სახასიათო ნიშან-თვისებებით თუ არა, შტრიხებით აღბეჭდილი სცენური სახეები. პირველ რიგში, გამოვყოფდი სოფო მეძმარიაშვილს. რაღაც საშინელი, ხელოვნურ-ბუტაფორიული ყვავილით ხელში, ის ერთდროულად ქალური მშვენიერების, სინაზის, სინატიფის გამოხატულებაცაა და უტეხი, ჯიუტი ახირებით, ერთგვარი თანამედროვე კერპთაყვანისმცემლობის. მსახიობი ქმნის ერთდროულად სუსტი და ძლიერი ადამიანის კონტრასტულ მხატვრულ სახეს. ბელადის, წინამძღოლის ყოლის ნოსტალგიითაა შეპყრობილი მარიამ არღუთაშვილისა და ნატო ფილიას წყვილი. პირველი მათგანი, წიგნით ხელში, მაღალფარდოვან სენტენციებს წარმოთქვამს ხოლმე, ხანდახან, როგორც თვითონ მიაჩნია, საჭიროების შემთხვევაში. ყოველივე ამას ხაზგასმულად პათეტიკურად აკეთებს და ხმის დრამატული ჟღერადობით გამოირჩევა. მეორეც აქტიურობს, თუმც ნაკლებ „პომპეზურია“. მასში უფრო ნერვიული აღგზნებადობა შეინიშნება.

მათზე არანაკლებ აქტიური, შეიძლება ითქვას, აგრესიულიც კია ქეთი ლუარსაბიშვილის მიერ განსახიერებული მოხუცი ქალი; კითხვისნიშანივით წელში მოკაკვული, ჩია ტანის, ხელში ჯოხმომარჯვებული, არაერთგზის ხმამაღლა, დაუფარავად გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს. სკამზე ადგილის მოპოვება - შენარჩუნებისათვის გამართულ სასტიკ, დაუნდობელ ბრძოლაშიც არავის არაფრით ჩამორჩება... მუდამ უკმაყოფილოა ბექა ლემონჯავას მიერ განსახიერებული პერსონაჟი. ის, არასდროს არავის არ ეთანხმება. პირიქით, ყოველთვის ყველასაგან განსხვავებული შეხედულება აქვს და ცდილობს საკუთარი პოზიცია ხაზგასმით დააფიქსიროს. თან ამას რაიმე პრინციპული მოსაზრების გამო კი არ აკეთებს, არამედ ენითაუწერელ სიამოვნებას ანიჭებს მუდამ ყველასთან კამათი; თავმომწონე პოზაში ყოფნა – აქაოდა, შემომხედეთ, როგორი ორიგინალური აზროვნება მაქვს და რა პრინციპული ვარო!.. ს. მრევლიშვილმა ამ პერსონაჟს ძალზე უცნაური ქუდი დაახურა თავზე. ქუდში

ჩამონტაჟებულია საათი, რომელიც შეუჩერებლად მუშაობს; მისი ისრები, ჩვენი ეპოქის შესაბამისად, ისტერიულად, სწრაფად მოძრაობენ, გარბიან...

სანდრო მრევლიშვილმა ყველა პერსონაჟი შავი ტანსაცმლით თუ თავსაბურავით შემოსა. სახე მიმის, ცირკის ჯამბაზის, ტაკიმასხარას, კლოუნის მსგავსად, თეთრად აქვთ შეღებილი. ასეთ დროს, ძალზე ძნელია სათანადო მიმიკის გამოყენება. ვინაიდან, თითქოს ყველას ერთმანეთის მსგავსი გამომეტყველება აქვს. ერთგვარად, მსახიობის სახე უძრავ, უსიცოცხლო ნიღბადაა ქცეული. მიუხედავად ამისა, სპექტაკლში მონაწილე ზოგიერთი მსახიობი მაინც ახერხებს გამომსახველობითი საშუალებების არსენალიდან ისეთი ძლიერის და ქმედითის გამოყენებას, როგორიც მიმიკაა.

შოთა რუსთაველის ერთგვარი ირონიული პაროდიაა პოეტი, რომელსაც გელა გოგიშვილი ასახიერებს. ქუდზე ბატის ფრთიანი მგოსანი, ნამდვილად შორს დგას თავისი დიდი წინაპრისაგან. მისი ე.წ. ლექსები, მაყურებელში ღიმილს იწვევს. კიდევ ერთი კოლორიტული პერსონაჟია შოთა გაბელაიას მიერ განხორციელებული სცენური გმირი. მსახიობი, ხმის სათანადო ინტონაციითა და შესაბამისი ჟესტიკულაციით, ე.წ. „ძველი ბიჭის“ კრებით სახეს აცოცხლებს ჩვენ წინაშე. მისგან განსხვავებით, თორნიკე ბელთაძე უცნაურ სახე-სიმბოლოს გვთავაზობს. ანკესით ხელში, მის მიერ განსახიერებული პერსონაჟი, თითქოს, სულ თევზაობს. თუმც, კამათშიც აქტიურადაა ჩაბმული და სკამზე საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად, სხვებზე არანაკლები აგრესიულობით იბრძვის. მსახიობი მოქმედი პირს კიდევ ერთ ნიშან-თვისებას გამოჰყოფს; ის, ყველასა და ყველაფრის მიმართ ცინიკურადაა განწყობილი. ბექა ქამხაძე მფრთხალი, ამავე დროს, ზედმეტად ცნობისმოყვარე ადამიანის სახე-სიმბოლოს ქმნის. მის ქუდს ვეება ყურები „ამშვენებს“. ერთგვარი მეფისტოფელური მრავალმნიშვნელობით დააბიჯებს ფართო წამოსასხამში თუ მანტიაში გახვეული პერსონაჟი, რომლის სცენურ სახეს წარმოგვიდგენს გუგა ბერეკაშვილი. კამათისას, აღშფოთებას თავისი მოსასხამის დემიურგივით ფრიალით გამოხატავს.

ვფიქრობ, თუ ზემონახსენებ მოქმედ პირებს, მსახიობებმა, რეჟისორთან ერთად, გამოუძებნეს ინდივიდუალური სახასიათო ნიშან-თვისებები, სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვი კიდევ ორ პერსონაჟზე. ანი ბებია მომხიბვლელ მოდელს, ხოლო ელენე ქასრაძე ქალბატონს განასახიერებს, რომელსაც თავზე, ქუდის ნაცვლად, ვიდეოკამერა აქვს დამხობილი. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მათი საერთოდ არ არსებობა, ნამდვილად არა თუ რაიმეს დააკლებდა წარმოდგენას, არამედ არც კი დაეტყობოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ორ მოქმედ პირთან მიმართებაში, დამდგმელის ფანტაზია თუ გამომგონებლობა, აშკარად ვერაფერს ღირებულს ვერ გვთავაზობს. გრჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული მოსაზრების გამო, ს. მრევლიშვილისათვის მთავარი გახლდათ მოქმედ პირთა რაოდენობა. საქმე შემდეგშია – სპექტაკლში 13 პერსონაჟია. 12 მათგანზე საუბარი უკვე მქონდა. მეცამეტე კი სასულიერო პირის სამოსელის მსგავს ტანსაცმელში გახვეული გმირია, რომელსაც ზურაბ სულხანიშვილი ასახიერებს. წვერიან სახეს წამოსასხამის თავსაბურავის ქვეშ მალავს. წარმოდგენას ის იწყებს და ამთავრებს. თუმც, მთელი სპექტაკლის მსვლელობისას მდუმარედ ზის. ესაა,

მხოლოდ ხანდახან, მწარედ ამოიოხრებს ხოლმე. სკამზე ის ცენტრში ზის. დანარჩენები აქეთ-იქით უსხედან. თითქოს, ახალ აღთქმისეულ ტექსტთანაა ერთგვარი ირონიული პერიფრაზი – იესო და მისი 12 მოციქული... სწორედ, წარმოდგენის ეს წვეროსანი მონაწილე იწინასწარმეტყველებს საშინელ აღსასრულს, ერთგვარ თანამედროვე წარღვნას... შიშის ძრწოლით ატანილი ყველა პერსონაჟი უკვე სკამის უკან იმალება... შემდეგ, სკამს ნაწილებად დაშლიან და ჩვენკენ, მაყურებლისკენ მოიწევენ...

კინაღამ ერთ-ერთი უმთავრესი მოცემულობა გამომრჩა მხედველობიდან. არაერთხელ ვახსენე მაყურებელთა დარბაზი. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ჩვენ, მაყურებლები სცენაზე, სახელდახელოდ აღმართულ ფიცარნაგზე განლაგებულ სკამებზე ვსხედვართ და მსახიობები ამავე სცენაზე, ჩვენს სიახლოვეს, რამდენიმე ნაბიჯზე იმყოფებიან. ეს, კიდევ უფრო ართულებს მათ მდგომარეობას. როცა მაყურებელი ასე ახლოა, ძალზე დიდი აქტიორული ოსტატობაა საჭირო, რათა ორგანული, დამაჯერებელი, ბუნებრივი იყო... ასეთ დროს, ოდნავი სიყალბეც კი აშკარაა, თვალშისაცემია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გომარ სიხარულიძის, როგორც ქორმაისტერის ნამუშევარი. დრამატულ თეატრში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც თუ ისე იოლი მისაღწევია მსახიობთა ასეთი ხმაშეწყობილი სიმღერა („შავლეგო“)... ყველა მოქმედი პირი ჩვენ წინაა აღმართული. სკამები ხელში უჭირავთ, ფარივით... რაღაც, ყოვლისწამლეკავი განსაცდელი ახლოვდება... და, უეცრად, ფიცარნაგი, რომელზეც ჩვენი სკამები დგას, მკვეთრად დაიძვრება წინ, მსახიობებისაკენ... ჩვენი „შეტევის“ გამო, ისინი უკან იხევენ... საბოლოოდ, უკუნეთი ისადგურებს... შემდეგ, ამ წყვდიადში, სინათლის ოდნავი სხივი გამოკრთება და ჩვენ ორღანზე ცოცხლად შესრულებულ (ალექსანდრე ვასაძე) მუსიკას ვისმენთ... ყოველივე ხილულის, განცდილის შემდეგ, ნახევრადჩაბნელებულ, დეკორაციისა და ჩაცმულობისგან სრულიად განძარცვულ სცენაზე, რაღაც მისტიკური განათების ფონზე მოსმენილი ორღანის ხმა უჩვეულო განწყობას ბადებს... მომეჩვენა, თითქოს კაცობრიობის სულის მოსახსენებელ მესას ვესწრებოდი... რეჟისორის ნებით, ჩანაფიქრით, სწორედ ჩვენვე, ადამიანები ვართ საკუთარი თავის მტერი... ჩვენვე, ჩვენივე უგუნურობით ვსპობთ, ვანადგურებთ იმ სამყაროს, რომელშიც თავად ვცხოვრობთ... პარადოქსია, მაგრამ განვითარება, წინსვლა, პროგრესი სწორედ ცივილიზაციის მომავალს უქმნის საფრთხეს; აახლოებს კაცობრიობის ტრაგიკულ აღსასრულს. ყველას, თითქოს გაცნობიერებული აქვს, რომ არსებობს აპოკალიფსის, სამყაროს კატასტროფის რეალური საშიშროება, მაგრამ მაინც წარმოუდგენლად თავქარიანად, დაუფიქრებლად გავდივართ ბეწვის ხიდზე თუ საშინელი ნაპრალის, უფსკრულის კიდეზე... საკმარისია ერთი მოუზომელი, დაუფიქრებელი ნაბიჯი და...

თეატრ „გლობუსის“ მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა უთუოდ მაიძულა ყოფითი, ყოველდღიური პრობლემებიდან მზერა უფრო გლობალურ საკითხებზე გადამეტანა. თან იმაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ყველა საქმეში აუცილებელია ახლის ძიება; ერთგვარ რისკზე წასვლა და ახალგაზრდული შეუპოვრობით, უშიშრად ექსპერიმენტის ჩატარება.

ლელა ოჩიაური

სკამების ადგილი

სანდრო მრევლიშვილმა, უკვე მერამდენედ, ახალ სივრცეში ახალი თეატრის შექმნა დაიწყო. თუ ბედმა (რომელსაც ამ შემთხვევაში, სახელმწიფო განაგებს) ინება, მალე მაყურებელი რეჟისორის დაარსებული მეოთხე თეატრის მომსწრე შეიქმნება – „მეტეხის“, „ძველი სახლისა“ და „გლობუსის“ შემდეგ. ახალს შეიძლება „ახალი გლობუსი“ დავარქვათ და არა იმიტომ, რომ ადგილას იცვლის. შეიძლება ახალგაზრდულიც ვუწოდოთ, როგორიც 70-იან წლებში „მეტეხის“ სახელგანთქმული თეატრი იყო. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩაფიქრებული და დაგეგმილია, დასრულდება დასის მრავალწლიანი მოგზაურობა ერთი სცენიდან და სივრციდან მეორეში, მესამეში და თბილისს კიდევ ერთი თეატრი შეემატება.

თეატრის მომავალ შენობაში, რუსთაველის გამზირზე, 19 ნომერში (სადაც ადრე ფოლკლორული თეატრი „ნაბადი“ იყო) თბილისის მუნიციპალური თეატრ „გლობუსის“ დასმა – სახელწოდებით - შემოქმედებითი ჯგუფი „ექსპერიმენტი“ – რამდენიმე „სასინჯი“ საღამო გამართა და ახალი, 41-ე სეზონი (ათვლა, „მეტეხის“ თეატრის დაარსებიდან იწყება) სამი ახალი სპექტაკლით გახსნა – სანდრო მრევლიშვილის „სკამით“ (დაფინანსებულია თბილისის მერიის კულტურული ღონიძიებების ცენტრის მიერ), მისივე პიესაზე და ეჟენ იონესკოს „მეფე კვდებათი“, მისივე რეჟისურით (რომელიც მანამდე რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ექსპერიმენტულ სცენებზე წარმოადგინეს) და ნიკოლაი გოგოლის „შეშლილის წერილებით“, ახალგაზრდა რეჟისორ დავით ბელთაძის დადგმით (პრემიერა რუსთაველის თეატრში გაიმართა, თბილისის მერიის კულტურული ღონიძიებების ცენტრის დაფინანსებით).

ამ საღამოებს, რომლებსაც ექსპერიმენტული თუ სასინჯი ჩვენებების პროგრამაში გიორგი ტიგინაშვილის კონცერტიც შეემატა, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც თავად „გლობუსისთვის“ (რომელსაც შანსი გაუჩნდა „შემოქმედებითი ჯგუფიდან“ თეატრად იქცეს) ასევე მაყურებლისთვის, რომელსაც პირველს მოუწია სანდრო მრევლიშვილის ახალ ინიციატივასა და შეთავაზებაში ჩართვა და ახალი თეატრის სახის, მიმართულებისა თუ არსის შეფასების პატივიც პირველს ერგო. მთლიანი სურათის დასანახად.

ამ ჩვენებებმა ერთიანობაში და კიდევ ერთხელ, რომ ახალ თეატრს ახალი სახე და მიმართულება ექნება, როგორც მისივე სპექტაკლებში გამოხატული, ასევე იმ ახალგაზრდა რეჟისორების შექმნილი, რომლებიც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სანდრო მრევლიშვილის სახელოსნო სხვადასხვა წელს დაამთავრეს. და ზოგმა უკვე რამდენიმე სპექტაკლი დადგა და წარმატებასაც მიაღწია.

ახალ თეატრში ახალგაზრდა მსახიობების საკმაოდ დიდი ჯგუფია, რაც ასევე ქმნის სიახლეების, განსხვავებული მიდგომებისა და ამოცანების გადაჭრის წინაპირობასაც და საერთოდ პირობას.

ქეთი ლუარსაბიშვილი, მარიამ არღუთიშვილი, ანი ბებია, სოფო

მეძმარიაშვილი, ნატო ფილია, ელენე ქასრაძე, თორნიკე ბელთაძე, გუგა ბერეკაშვილი, შოთა გაბელაია, გელა გოგიშვილი, ბექა ლემონჯავა, ზურაბ სულხანიშვილი, ბექა ქამხაძე, გიორგი ქვრივიშვილი – შეადგენენ ამ თეატრის ახალგაზრდულ ბირთვს და „სკამის“ შემსრულებელ მსახიობებსაც, რომლებსაც სპექტაკლში, თანაბარი ფუნქცია და დატვირთვა ეკისრებათ.

რეჟისორი სპექტაკლს „უცნაურ ეტიუდს“, „უცნაურ ექსპერიმენტს“, „უცნაურ კომედიას“ – „კომედიას ერთ მოქმედებად“ – უწოდებს და ჟანრს, როგორც – „სისულელეს“ განსაზღვრავს. ცხადია, ასეთი ჟანრი სამყაროში არ არსებობს, მაგრამ ესადაგება და გამოხატავს თეატრალური ექსპერიმეტნის ჩანაფიქრსა და ამოცანას, რომელიც აბსურდის თეატრის კანონებითა და პრინციპებითაა აწყობილი და შინაგან ლოგიკას ექვემდებარება.

ეს პატარა და ყველა ნიშნით მართლა ექსპერიმენტული სპექტაკლი – ფორმით, სტილით, თხრობის არატრადიციული მანერით, სადადგმო ხერხების არაერთგვაროვნებითა და თავისებურებებით შეფარულად და მეტაფორების საშუალებით აჩვენებს ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების, სოციალური, პოლიტიკური თუ შინაგანი მდგომარეობის სახეს. ბევრ ნაცნობ სიტუაციას და დროში უცვლელ საკითხებს, რომლებიც პატარ-პატარა ეტიუდებისა და განყენებული, კონკრეტიკას, ზუსტ მისამართებს მოკლებული ეპიზოდებით თამაშდება და განზოგადებულ სახეს იძენს.

სხვადასხვა სახეები და ხასიათები (განსხვავებული ფაქტურის, თვისებების, ჩვევების, სახასიათო ნიშნების მატარებელი) ერთმანეთს ეჯახებიან და ავსებენ. თითოეული მათგანი გარკვეულ ტიპაჟს, საზოგადოების წარმომადგენელსა თუ სიტუაციას ესადაგება და დაუსრულებელი მოძრაობით, გადაადგილებით, გვერდი-გვერდ მიწყობილ სკამებზე დაჯდომა-გადაჯდომითა და ამ პროცესში სხვების გზიდან ჩამოცილებით, ქცევით, ურთიერთობითა და ურთიერთდაპირისპირებით არაერთ ასოციაციას იწვევენ.

გრძელ შავ, მოსამართლის მანტიის მსგავს სამოსსა და ქუდებში გამოწყობილი, თეთრგრიმიანი მსახიობები, რომლებიც საზოგადოების თავყრილობის ყველა ეტაპს და შესაბამისად, არსებობის ნიშნებს ატარებენ, ექსცენტრიკული საშემსრულებლო მანერით, უტრირებული სტილით ამ საზოგადოების ესკიზურ პორტრეტს ასახიერებენ. პლასტიკური თუ ვოკალური „ნომრები“, ასევე ზოგადი და მეტყველი შტრიხების შემცველია და ირონია, რომელიც მთელი სპექტაკლის ძირითადი სამეტყველო ენაა, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული (ქორმაისტერი – გომარ სიხარულიძე, ორღანთან - ალექსანდრე ვასაძე) რიგისთვისაც ორგანული და განმსაზღვრელი ხდება.

სპექტაკლის ბოლოს კიდევ ერთი შეჯახება ხდება ან ჩნდება შეჯახების საშიშროება. იატაკის შემაღლებული ფიცარნაგზე (როგორც სცენაზე) მოთავსებული ნაწილი, რომელზეც მაყურებელი ზის, უეცრად ადგილიდან იძვრის და მსახიობების სკამებს - მათ სივრცეს უახლოვდება. შავ, გამჭვირვალე ფარებს ამოფარებული არტისტები პირისპირ რჩებიან მათ სანახავად და საკუთარი თავგადასავალის სანახავად და მოსასმენად მისულ ადამიანებთან.

შავებში ჩაცმული, თითქოს უსახური და უსხეულო არსებების წინაშე,

უმცირესი მანძილით დაშორებული მაყურებელი ფინალში კიდევ ერთ აღმოჩენას აკეთებს, რომ თვითონაც მონაწილეა, რაც მის თვალწინ გათამაშდა, რომ დარბაზის ორივე მხარეს მყოფები ერთი და იმავე საზოგადოებისა და ერთი სამყაროს ნაწილები არიან, რომლებმაც როლები და ადგილები მხოლოდ დროებით გაცვალეს.

დაკრძალვა კალიფორნიაში

სპექტაკლის დასახელება - დაკრძალვა კალიფორნიაში"

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - რუსტამ იბრაგიმბეკოვი
რეჟისორი - დავით ბელთაძე.
მონაწილეობენ: ზ. სულხანიშვილი, ნ. ფილია, ქ. ლუარსაბიშვილი, ს.მეძმარიაშვილი, თ. ბელთაძე, გ.ბერეკაშვილი, შ.გაბელაია, გ.ქვრივიშვილი, ბ. ქამხაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 25 ოქტომბერი
სარეპეტიციო პროცესი - 50 რეპეტიცია

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა.

პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

მაცეკვე ტანგო

სპექტაკლის დასახელება – „მაცეკვე ტანგო“

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი – ნინო მირზიაშვილი,
მთარგმნელი – სირან მანუკიანი,
დამდგმელი რეჟისორი – ლევონ უზუნიანი,
მხატვარი – მალხაზ იობაშვილი.

მოქმედი გმირები და შემსრულებლები:
კოტე – სერგო საფარიანი
ნელი – რისტინე თუმასიანი
გიორგი – არტურ გრიგორიანი
ნატო – ლიანა ოგანეზოვა
ბექა – აშოტ სიმონიანი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 15 ოქტომბერი

სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას) - 7 თვე

დაწერილი რეცენზიები - გამოხმაურება პრესაში არ ყოფილა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი

ჭირვეულის მორჯულება

სპექტაკლის დასახელება - ჭირვეულის მორჯულება
სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - უილიამ შექსპირი
თარგმანი - სიკო ფაშალიშვილისა
რეჟისორი - ოთარ ეგაძე
მხატვარი - გოჩა აგაშენაშვილი
მუსიკალური გამფორმებელი - ელენე ნიჟარაძე
ქორეოგრაფი - სოფო გვრიტიშვილი
ტექნიკური რეჟისორი - პავლე ინასარიძე, ელენე გაბისონია

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ლორდი - დავით დავითულიანი
კრისტოფერ სლაი, მკალავი - ზვიად ძულიაშვილი
მოხეტიალე მსახიობების ხელმძღვანელი - დავით გიგოლაშვილი
ლუდხანის დიასახლისი - სალომე მიქაძე
ლორდის მსახურნი - გიორგი მოსიაშვილი, გიგა შურღაია
მსახიობი - მარეხ კვიჟინაძე

ბაპტისტა მინოლა, მდიდარი პადუელი მოქალაქე - თემურ კვარაცხელია
კატარინა, ბაპტისტა მინოლას უფროსი, ჭირვეული ქალიშვილი - მარიამ კალატოზიშვილი
პეტრუჩიო, ვერონელი აზნაური, კატარინას ხელის მაძიებელი - დავით დავითულიანი
ბიანკა, ბაპტისტა მინოლას უმცროსი ქალიშვილი - ანი თალაკვაძე
ლუჩენციო, ბიანკას ხელის მაძიებელი - გიორგი ჭუმბურიძე
გრემიო, მდიდარი პადუელი მოქალაქე, ბიანკას ხელის მაძიებელი - ანდრია ვაჭრიძე
ჰორტენზიო, პადუელი აზნაური, ბიანკას ხელის მაძიებელი - კახა გოგიძე, გიგა ცერცვაძე
გრუმიო, პეტრუჩიოს მსახური - ლაშა ამბიძე
ტრანიო, ლუჩენციოს მსახური - ლევან მამნიაშვილი
ბიონდელო, ლუჩენციოს მსახური - გიორგი მახარაძე, გიორგი მოსიაშვილი
ვინჩენციო, მდიდარი პიზელი მოქალაქე, ლუჩენციოს მამა - დავით გიგოლაშვილი
ქვრივი, ჰორტენზიოში შეყვარებული - მარეხ კვიჟინაძე
კერტისი, პეტრუჩიოს მოახლე - სალომე მიქაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი: 19 თებერვალი, 2015

სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას): 3 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

გამოხმაურება

ლელა ოჩიაური

მხიარული მორჯულება

2014 წელი მსოფლიოში უილიამ შექსპირის წლად იყო გამოცხადებული (450 წლის იუბილეს გამო) და ეს თარიღი და მოვლენა მთელმა მსოფლიომ სხვადასხვანაირად და ერთსულოვნად აღნიშნა. საერთო დღესასწაულს არც ქართული თეატრი ჩამორჩა და რამდენიმე დადგმით გამოხატა ბრიტანელი დრამატურგის დადგმების დიდი ხნის ტრადიციის გაგრძელების უცვლელობა და სიყვარული.

საქართველოში უილიამ შექსპირის პიესების დადგმის მართლაც საუკეთესოზე საუკეთესო ტრადიცია არსებობს და ქართული თეატრის დიდების დიდი წილიც სწორედ მის ისტორიაზე მოდის. პრაქტიკულად, რაც ქართული თეატრი არსებობს, შექსპირის გარეშე იშვიათად უცხოვრია. ბოლო წლები კი საერთოდ „შექსპირის სეზონებად“ იქცა.

2012-2013-2014 წლებში და უფრო ადრეც (თუ კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, აკაკი ვასაძის, ალექსანდრე იმედაშვილის, ვალერიან გუნიას, კოტე ყიფიანის, თვით, ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჩხარტიშვილის, გიგა ლორთქიფანიძის, მიხეილ თუმანიშვილის, ლილი იოსელიანის, და სხვა სახელებს და შექსპირთან მათ კავშირს არ გავიხსენებთ) – შექსპირის პიესები განსხვავებული ფორმით, ხერხითა თუ ინტერპრეტაციით, სხვადასხვა ჟანრში დადგეს – ვასო აბაშიძის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ნოდარ დუმბაძის, კოტე მარჯანიშვილის, შოთა რუსთაველის, მიხეილ თუმანიშვილის, ილიას უნივერსიტეტის, მიმოდრამის, მოზარდმაყურებელთა (თბილისი), გიგა ლორთქიფანიძის (რუსთავი), ლადო მესხიშვილის (ქუთაისი), ვაჟა-ფშაველას (თელავი) – სახელობის თეატრებში

თანამედროვე ქართულ სცენაზე წარმოდგენილი „შექსპირებია“ – თემურ ჩხეიძის „ოტელო“, გოგი თოდაძის „ფოლსტაფი“, დავით დოიაშვილის „მეფე ლირი“, ჰილარი ვუდის „ანტონიუსი და კლეოპატრა“, დავით ანდღულაძის „ოცდამეთვრამეტე“ (ტომ სტოპარდის პიესის „როზენკრანცი და გილდესტერნი მკვდარნი არიან“ და „ჰამლეტის“ ორიგინალური ვარიაციის თემაზე), ლევან წულაძის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „როგორც გენებოთ“, თემურ კუპრავას „ჰამლეტი“, ბესო კუპრეიშვილის „ჩემი ჰამლეტი“ (მსახიობი-ადამიანებითა

და მარიონეტებ-მსახიობებით) - „მარჯანიშვილში“; მიხეილ თუმანიშვილის „ზაფხულის ღამის სიზმარი“; ამირან ამირანაშვილის „ჰამლეტი“, მიხაილ მარმარინოსის „ღ+ჟ ბედისწერა დაბნეულია. რომეო და ჯულიეტა. მესამე მეხსიერება“ (თავისუფალი ვარიაცია), გიორგი მარგველაშვილის „ჯულიეტა და რომეო“ და ჰილარი ვუდის „ჭირვეულის მორჯულება“ - კინომსახიობთა თეატრში. რობერტ სტურუას „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“, „ჰამლეტი“, „შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ“ (საერთოდ, რობერტ სტურუას შექსპირის 18 პიესა აქვს სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა თეატრში სხვადასხვა დროს დადგმული), „ლევან ხვიჩიას „ჰამლეტი com.x“ (პაროდია „ჰამლეტზე“) – რუსთაველში. დავით დოიაშვილის „მაკბეთი“ და „(შუა)ზაფხულის ღამის სიზმარი“; დავით მღებრიშვილის „რომეო და ჯულიეტა“ – მუსიკისა და დრამის თეატრში. გოგი ქავთარაძის „ჰამლეტი“ – რუსთავში. გიორგი სიხარულიძისა და კახა შარტავას „ჰამლეტი“ და იოანე ხუციშვილის „მაკბეტი“ - ქუთაისში. ავთანდილ ვარსიმაშვილის „რიჩარდ III“ – თავისუფალ თეატრში. მურმან ჯინორიას „ჰამლეტი“ – ერთი მსახიობის თეატრში. გულსუნდა სიხარულიძის „ჰამლეტი“ – მეტეხის; დავით შალიკაშვილის „ტიტუსი“ და „სონეტები“ – პანტომიმის; დათა თავაძის „ზამთრის ზღაპარი“ და ლევან წულაძის „რომეო და ჯულიეტა“ – მოზარდმაყურებელთა; ვახტანგ ნიკოლავას „ზამთრის ზღაპარი“ – გრიბოედოვის; ირაკლი გოგიას „რომეო და ჯულიეტა“ და მორგანტე ნარდის „ჰამლეტიკა“ – „ახმეტელში“, ლევან ხვიჩიას „ჰორაციო“ – თელავის; ოთარ ეგაძის „ჭირვეულის მორჯულება“ – ილიაუნის, ქეთევან-ხათუნა ბედელაძის „შექსპირი და ოპერა“ – მიმოდრამის – თეატრებში და სხვა.

საქართველოში „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ (როგორც მაშინ უწოდეს) პირველდ 1944 წელს, შალვა ღამბაშიძემ დადგა. ბოლო ორი დადგმა ერთდროულად 2 თეატრში განხორციელდა - მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში, რომელზეც ბრიტანელმა რეჟისორმა ჰილარი ვუდმა იმუშავა, ქეთი დოლიძესთან ერთად და მეორე - ილიას უნივერსიტეტში, ოთარ ეგაძის მიერ.

ოთარ ეგაძე სპექტაკლს სპექტაკლში დგამს. უფრო ზუსტად, იყენებს შექსპირულ ინტროდუქციას, რომლის შინაარსსაც ცვლის და სლაის გათამაშების მაგივრად, ვერონელი აზნაური პეტრუჩიო წარმოდგენას სხვაგვარ მსვლელობას ანიჭებს.

ამბავს, რომელსაც ჭირვეული ცოლის მორჯულება უნდა მოჰყვეს, შუა საუკუნეების ფერადოვან, მხატვრულად, სტილისტურად მომხიბლავ და ვითარებისთვის ორგანულ კოსტიუმებში (როგორც ყველა კოსტიუმი ილიაუნის თეატრისთვის, შექმნა ციცინო ციცხვაიამ) გამოწყობილი მოხეტიალე მსახიობები გაითამაშებენ. ყველა, მათ შორის, პეტრუჩიოც, ამ სპექტაკლის მონაწილედ იქცევა.

რეჟისორი, ფაქტობრივად, არაფერს ცვლის და პიესის მსვლელობას მიჰყვება. რა თქმა უნდა, აქ თამაშდება ტრადიციული ამბავი, თუ როგორ ვერ თხოვდება მშვენიერი კატარინა, რადგან ჭირვეული და დაუმორჩილებელი ხასიათის გამო ყველას აფრთხობს; როგორ ვერ ახერხებს მისი ასევე მშვენიერი

და დანიშნული და გათხოვებას, რადგან, წესით, ჯერ უფროსი უნდა გათხოვდეს და როგორ განიზრახავს თავადაც თავზეხელაღებული და მოურჯულებელი პეტრუჩიო მის ცოლად შერთვასა და მოთვინიერებას.

აბსურდული სიტუაცია და ასეთივე პერსონაჟები, რომელსაც საფუძველი აქვს. შექსპირის მხიარული და სიცოცხლით სავსე კომედია სცენიდანაც ცოცხლად და მხიარულად ჟღერს და ჩანს. ფერადოვანი გარემო, ბრეიგელის კომპოზიციებითა და გერბებით მოხატული კედლები, (მხატვარი გოჩა აგაშენაშვილი), ჭერიდან დაშვებული თეთრი იალქნებივით მსუბუქი, მოძრავი ქსოვილები და ბალაგანის ჭრელი ტიხარი-ფარდები, ასეთივე ჭრელ, „გამოსაცვლელ“ კოსტუმებთან ერთად, აქსესუარები და რეკვიზიტიკიდევ უფრო ახალისებს და ზღაპრულობის ან თეატრალურობის იერს სძენს. ამგვარი მიდგომა სპექტაკლის პირობითობის ხარისხს ზრდის და „ჟანრის კანონებს“ – სამეტყველო – პირველად და ქვეტექსტურ ენას მთლიანად ამართლებს.

შექსპირის პერსონაჟებს ასახიერებენ – კატარინა – მარიამ კალატოზიშვილი, პეტრუჩიო – დავით დავითულიანი, ბიანკა – ანა თალაკვაძე, ბაპტისტა – თემურ კვარაცხელია, ლუჩენციო – გიორგი ჭუმბურიძე, ტრანიო – ლევან მამნიაშვილი, გრემიო – ანდრია ვაჭრიძე, ჰორტენზიო – გიგა ცერცვაძე, გრუმიო – ლაშა ამბიძე, ბიონდელო – გიორგი მახარაძე, ვინჩენციო – გიორგი მოსიაშვილი, ქვრივი – სალომე მიქაძე, მოხეტიალე დასის ხელმძღვანელი – დავით გიგოლაშვილი, მოხეტიალე დასის მსახიობი – მარეხ კვიჟინაძე, მონადირე, მსახური, და გონდოლიერი – გიგა შურღაია; ინდუქციის პერსონაჟები: კრისტოფერ სლაი – ზვიად ძულიაშვილი, ლორდი – დავით დავითულიანი, მედუქნე – სალომე მიქაძე.

ახალგაზრდა მსახიობები კომიკურ, მკვეთრად სახასიათო, გროტესკულ პერსონაჟებსა და სიტუაციებს ქმნიან. ბალაგანური თეატრის მსახიობების, ზოგჯერ ზღვარგადასული, თამამი გამოსვლები (ეპოქის საზღვრებიდან და დაკისრებული როლებიდან) და ფრივოლური საქციელი მაყურებელს თითქოს შეახსენებს, რა დროა სინამდვილეში და რომ თითოეულ პერსონაჟს კიდევ სხვა სახე და საზოგადოებაში განსხვავებული მდგომარეობა აქვს.

ისინი ცეკვავენ მხიარულ, მაჟორულ მუსიკაზე (გამოყენებულია – ბრიტანული და იტალიური ფოლკლორი, სიმღერები და საცეკვაო მელოდიები, ორლანდო გიბონსის მადრიგალი და თომას თალისის ქორალი, რომლებიც სპექტაკლის ხასიათს, მის ორბუნებოვნებას აღრმავებს, დამატებითი მხტავრული შრეებით ავსებს მოქმედებას – მუსიკალური გამფორმებელი: ელენე ნიჟარაძე, ქორეოგრაფი: სოფო გვრიტიშვილი) და არა მხოლოდ სიტყვითა და სიუჟეტური სქემის მიხედვით, წარმოადგენენ ამბავს.

ორი ადამიანის ურთიერთსწრაფვა და ერთად ყოფნის სურვილი სპექტაკლში რიგ ეპიზოდებში აგრესიამდე მისული, ოღონდ იუმორითა და ექსპრესიული ცეკვითა და აკრობატული ელემენტების ჩართვით შექმნილი პლასტიკური ნომრებით გამოიხატება. ყველაფერს მაყურებელთან ერთად სპექტაკლის სხვა მსახიობები, მოხეტიალე დასის ხელმძღვანელთან ერთად ადევნებენ თვალს და წარმართავენ.

ოთარ ეგაძის სპექტაკლი სიყვარულზეა, რომელსაც ადამიანს ყველაფერი შეუძლია შეაძლებინოს. სადაც უნდა იყვნენ ისინი და რა დროშიც – და როდესაც სიყვარული არსებობს, მოსარჯულებელიც აღარავინაა.

სკაპენის ოინები

სპექტაკლის დასახელება - სკაპენის ოინები

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:

ავტორი - ჟან ბატისტ მოლიერი
რეჟისორი - გოგა ქაჩიბაია
მხატვარი - ლევან ჭიჭინაძე
მუსიკალური გაფორმება - არსენ მიგრიაული
ქორეოგრაფი - ნინო ლეჟავა
ტექნიკური რეჟისორი - ელენე გაბისონია

სპექტაკლში გამოყენებულია ნაწყვეტები პიესის აკაკი წერეთლისეული თარგმანიდან

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
არგანტი, ოქტავის მამა - კახა გოგიძე
ჟერონტი, ლეანდრის მამა - პაატა კიკვაძე
ოქტავი, არგანტის ვაჟი, ჰიაცინტას მიჯნური - გიორგი შავგულიძე
ლეანდრი, ჟერონტის ვაჟი, ზერბინეტას მიჯნური - დავით დავითულიანი
ჰიაცინტა, ოქტავის მიჯნური - ნინი არჩაია
ზერბინეტა, ბოშების აღზრდილი, ლეანდრის მიჯნური - მაკა შალიკაშვილი
სკაპენი, ლეანდრის მსახური - გიორგი მახარაძე
სილვესტრი, ოქტავის მსახური - ანდრია ვაჭრიძე
კარლი - ზურაბ გაბუნია

პრემიერის გამოშვების თარიღი:
3 ივნისი, 2015

სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას): 2 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა

გამოხმაურება

ლელა ოჩიაური

სკაპენის ოინები შეყვარებულების დასახმარებლად

ილიაუნის თეატრი ახალგაზრდული და შეიძლება, პირველ რიგში, ამიტომაც ერთ-ერთი ცოცხალი და აქტიური თეატრია, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა თაობის რეჟისორებსა და მსახიობებს, სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის, სტილისა და ხასიათის სპექტაკლებზე იმუშაონ – დრამიდან კომედიამდე, სამაყურებლოდან არტამდე, ექსპერიმენტულიდან აკადემიურამდე

გიორგი ქაჩიბაია ახალგაზრდა რეჟისორია, თუმცა უკვე რამდენიმე სპექტაკლი აქვს დადგმული – თანამედროვე ქართული და უცხოური დრამატურგიიდან კლასიკამდე – ილიაუნის თეატრში: სარა კეინის „ფსიქოზი – 4:48“; ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში: ლაშა ბუღაძის პიესების მიხედვით „7+1“, ნიკუშა ანთაძის „სტუმარი“, გიორგი ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, ავქსენტი ცაგარელის „ჭკუისა მჭირს“, ბასა ჯანიკაშვილის „თითით საჩვენებელი“ და სხვები.

2015 წელს მათ ჟან-ბატისტ მოლიერის „სკაპენის ოინები“ მიემატა („ილიაუნის“ თეატრის მეხუთე პრემიერა 2014-2015 წლების სეზონში) თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის დაფინანსებით.

მოლიერის ეს პიესა (სხვა პიესებზე რომ არაფერი ვთქვათ) საქართველოში რამდენჯერმე დაიდგა და ქართული თეატრის ისტორიაში არსებულთაგან ერთ-ერთი პირველი წარმოდგენა იყო, რომლის თარგმანი აკაკი წერეთელს ეკუთვნოდა. „ილიაუნის“ თეატრის ახალ დადგმაშიც აკაკის თარგმანის ფრაგმენტებია გამოყენებული.

ხალისიანი, ექსცენტრიკული, კომიკური ჩხუბებითა და კონფლიქტებით, მხიარული ფათერაკებითა და სკაპენის ჩახლართული ოინებით მდიდარი პიესა, ენამახვილი ტექსტებითა და მკვეთრადსახასიათო მოვლენებით, იუმორით გაჯერებული სიტუაციებით გიორგი ქაჩიბაიამ დინამიკურ და ცოცხალ სპექტაკლად წარმოადგინა, რომელშიც პერსონაჟების გროტესკული სახეები და სხარტად გათამაშებული სცენები ერთდებიან და ცვლიან ერთმანეთს.

ასეთ სპექტაკლებს ნათელი და მხიარული გარემო უხდებათ და „სკაპენის ოინებიც“ ლევან ჭიჭინაძის ფერადოვან და მოცულობით დეკორაციაშია (დეკორაცია დამზადდა ილიაუნის თეატრის სახელოსნოში) მოქცეული. მხატვრულად სტილიზებული, მაგრამ ეპოქის – მე-17 საუკუნის და პიესისთვის დამახასიათებელი ნიშნების შემცველი. ჭრელი და მდიდრული კოსტიუმები (ავტორი ლევან ჭიჭინაძე, შეასრულა ციცინო ციცხვაიამ), რომლებიც დეკორაციის გაგრძელებად აღიქმებიან, აძლიერებენ სიხალისისა და სიცოცხლით სავსე ატმოსფეროს მიმზიდველობას.

ეს ყველაფერი შეზავებული და კიდევ უფრო გაცოცხლებულია იტალიური ხალხური მუსიკითა და სიმღერით (მუსიკალური გაფორმება: არსენ მიგრიაულის, მუსიკალური ხელმძღვანელი: ელენე ნიჟარაძე), რომლებსაც მსახიობებიც

ცოცხლად ასრულებენ და პლასტიკითა და ქორეოგრაფიული ნომრებით (ქორეოგრაფი ნინო ლეჟავა), რეჟისორი ინარჩუნებს პიესის სტრუქტურას, სიუჟეტს, მის მსვლელობას (თუმცა სამ მოქმედებას ერთში აქცევს) და იყენებს პრინციპს, რომელიც მას საფუძვლად უდევს – მოლიერისვე ფრანგული მაღალი კომედიის ხასიათსა და კომედია დელ'არტეს ძირითად თავისებურებას. ეს მიმართულება პერსონაჟებშიც (სახე-სქემები-ნიღბები) გამოიხატება. 10 გმირი – მთავარი და მეორე პლანის – წყვილები – შეყვარებულები, მოხუცები, მსახურები და,რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მამოძრავებელი სკაპენი. ისტორიაც, რომლის ეპიცენტრშიც სკაპენი იძულებით აღმოჩნდება და შეყვარებულების სიყვარულის გადასარჩენად ,,ცუღლუტობების" მთელ რიგს დაატრიალებს, კომედია დელ'არტესა და ბალაგანური თეატრის ტრადიციულ გზას იმეორებს.

პერსონაჟებს ასახიერებენ და თავისთავად სახეებს ქმნიან (სხვადსახვა სამსახიობო უნარის გამომჟღავნებასთან ერთად): არგანტი, ოქტავის მამა – კახა გოგიძე; ჟერონტი, ლეანდრის მამა – პაატა კიკვაძე; ოქტავი, არგანტის ვაჟი, ჰიაცინტას მიჯნური – გიორგი შავგულიძე; ლეანდრი, ჟერონტის ვაჟი, ზერბინეტას მიჯნური - დავით დავითულიანი; ჰიაცინტა, ოქტავის მიჯნური – ნინი არჩაია; ზერბინეტა, ბოშების აღზრდილი, ლეანდრის მიჯნური – მაკა შალიკაშვილი; სკაპენი, ლეანდრის მსახური – გიორგი მახარაძე; სილვესტრი, ოქტავის მსახური – ანდრია ვაჭრიძე; კარლი – ზურაბ გაბუნია. გიორგი შავგულიძე, ნინი არჩაია და პაატა კიკვაძე თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობები არიან, ყველა დანარჩენი – ,,ილიაუნის" თეატრის.

სხვადასხვა თაობის არტისტების სხვადასხვა თეატრიდან მიწვევის პრინციპი და სპექტაკლებში ახალგაზრდებთან მათი მუშაობა, ან მუშაობისას სხვადასხვა ხელწერისა და სტილის რეჟისორების მეთოდების გაცნობა, გამოცდილების გაზიარებას უწყობს ხელს. რაც ,,ილიაუნის" თეატრისთვის, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ ახალი თაობის გაზრდაზეა ორიენტირებული, სწორი და საინტერესო პრინციპია.

მოლიერის ერთ-ერთი (და ალბათ არა მარტო მოლიერის) ყველაზე მხიარული და ფანტაზიის სიუხვით გამორჩეული პიესა, რა თქმა უნდა, არ რჩება მხოლოდ ,,სამხიარულო" კომედიის კატეგორიაში. ადამიანების არჩევანის თავისუფლება, მამათა და შვილთა დაპირისპირება და მამების მხრიდან შვილების ნების დათრგუნვის და თუ კიდევ უფრო განვაზოგადებთ, საზოგადოების დაწესებული ,,ზნეობრივი" კანონების მიუღებლობა, სოციალური ნიშნით ვისიმე უარყოფა და მატერიალური ინტერესების უპირატესობა სულიერებასა და გულწრფელ გრძნობებზე – იქცევა ახალგაზრდების ამბოხისა და უფროსების ჭკუისსწავლების ლაღ ისტორიად.

შეიძლება სწორედ ამიტომაც, ,,სკაპენის ოინები", მისი ორსახოვნება, კვლავ რჩება მსოფლიო თეატრების სცენებზე და მაყურებლის, რომელსაც ყოველდღიურობის ერთფეროვანი და მოსაწყენი ,,ქრონიკებიდან" დასვენება სურს, სიცილით განტვირთვასთან ერთად ამ ყოველდღიურობაზე დაფიქრების მსუბუქ და არააბეზარ გზას სთავაზობს.

მატყუარები

სპექტაკლის დასახელება - მატყუარები

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - მარსელ კარნე
ქართული ტექსტი შექმნილია ვახტანგ ჭელიძის თარგმანისა და მიხეილ თუმანიშვილის ინსცენირების მიხედვით

რეჟისორი - რუსუდან კობიაშვილი
მხატვარი - თამარ კობიაშვილი
მუსიკალური გაფორმება - მაია გოგსაძე
ქორეოგრაფი - სოფიო გვრიტიშვილი
ტექნიკური რეჟისორი - ელენე გაბისონია

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
მფარველი ანგელოზი - ლაშა ამბიძე, გიორგი მახარაძე
ალენ - ბაჩო სოხაძე
ბერნარ - დავით დავითულიანი, ლუკა ახალაძე
ბობ - თემურ კვარაცხელია
კლო - ანა თალაკვაძე
მიშელ - სალომე მიქაძე
ნადინ - მარეხ კვიჟინაძე
პიტერ - ელიზბარ ჩხეიძე
როჟე - ზურაბ გაბუნია
ბატონი ფელიქს / ბარმენი - ანდრია ვაჭრიძე
ფრანსუაზ - გვანცა ესართია

პრემიერის გამოშვების თარიღი: 18 ოქტომბერი, 2014

სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას): 4 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა.

სახურავი

სპექტაკლის დასახელება - სახურავი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - სანდრო კაკულია
რეჟისორი ! ლექან ხვიჩია
მხატვარი ! შოთიკო ბაგალიშვილი
კომპოზიტორი ! ნიკოლოზ მაჩაიძე
ტექნიკური რეჟისორი ! ელქნე გაბისონია

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
გიგი - გიორგი მამალაშვილი
შოთი - დავით დავითულიანი
ეკა - ნინუკა ქოიავა შარაშენიძე
მარი - თუთა ოქროპირიძე
კოკი - ანდრია ვაჭრიძე
ოთო - ზუკა გაბუნია

პრემიერის გამოშვების თარიღი:
18 დეკემბერი, 2015

სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას) ! 2. ოქვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი

ანტიგონე

სპექტაკლის დასახელება - ანტიგონე

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - ჟან ანუი
თარგმანი - ო. ჭილაძისა;
ინსცენირების ავტორი - ნ. ხუსკივაძე;
მხატვრები: ს. კიკაბიძე, თ. შელია;
კომპოზიტორი - მ. მდინარაძე

მონაწილეობენ: ნიკოლოზ ქაცარიძე, ნატალია ჯუღელი, ჯეჯი გომელაური, მარიტა ჯანაშია, მარიამ ხუხუნაიშვილი, მარიამ შალიკაშვილი, ნიკა გორდეზიანი, ბუბა ჭოღოშვილი, გიორგი ღარიბაშვილი.
პრემიერის გამოშვების თარიღი: 2014 წლის 10 დეკემბერი.
სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას): 2 თვე და 20 დღე.

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
გიორგი ლალიაშვილის რეცენზია პორტალზე wwwbritaneti.co.uk

გამოხმაურება

მარიამ იაშვილი

„ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“
სარტრი

ძირითადი მახასიათებელი, რომელიც ადამიანს სხვა დანარჩენი არსებებისგან განასხვავებს, არის მუდმივად არჩევანის გაკეთების უნარი. უნარი, რომელიც კაცობრიობას უწყვეტად ამოძრავებს და ამასთან, მისი „ცნობიერი არსებობის“ რადიკალური ცვლილებებისკენ სწრაფვასაც განაპირობებს. ადამიანი, რომელიც ბუნების განუყოფელ ნაწილად მოიხსენიება, საკუთარი თავის შეცნობის გზით დღემდე განუწყვეტლივ სწავლობს სამყაროს და სწორედ ამ სამყაროს სისტემური პრინციპების გაცნობიერების ხარჯზე აღწევს თავისუფლების უმაღლეს ფორმას, იმას, რასაც ჩვენ უარყოფას ვეძახით. სწორედ ასე ფიქრობენ ეგზისტენციალისტებიც: „თავისუფლება დგინდება მხოლოდ როგორც უარყოფა“.

ადამიანის მიერ არჩევანის თავისუფლების პრობლემა, – „არა“ –

როგორც სახელმწიფოებრივ სისტემასთან დაპირისპრებისა და სისტემური ნგრევის ყველაზე „ადამიანური“ საშუალება, როგორც მორალურ პრინციპებსა და სამოქალაქო კანონებს შორის გადააზრების აუცილებლობის საკითხი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟან ანუის შემოქმედებაშიც. „ანტიგონე“ თავიდან ბოლომდე დგას ეგზისტენციალი მოაზროვნეების მთავარ პრინციპებზე: პიროვნება, თავისუფალი ნება, სახელმწიფო, დაწერილი თუ დაუწერელი კანონები, მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხები და ა.შ. ეს ის მარადიული თემებია, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პერიოდულად მიბრუნებასა და გადააზრებას საჭიროებენ.

მსახიობი ნანუკა ხუსკივაძე, რომელიც წლების წინ თავად იყო ანტიგონეს როლის შემსრულებელი, თავის სადებიუტო რეჟისორულ ჩანაფიქრს სწორედ ამ პიესით ახორციელებს, ამჯერად, – როგორც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამავე უნივერსიტეტის მესამე კურსის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებმა, ზუსტად ერთი წლის წინ შედგა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით და წარმატებაც მოიპოვა ისე, რომ წელს დასი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის, კომპანია სარაჯიშვილისა და ქეთა საკანდელიძის უშუალო მხარდაჭერით ლონდონში გაემგზავრა. სტუდენტური „ანტიგონე“ ჩელსის თეატრის სცენაზე გათამაშდა. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლმა ასევე მონაწილეობა მიიღო ანტალიის სტუდენტურ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, სადაც გრან-პრით აღინიშნა ქართველი სტუდენტების წარმოდგენა.

ნანუკა ხუსკივაძე არ ცდილობს ანტიგონეს გმირის მსგავსად აუჯანყდეს თითქმის საუკუნით ადრე დაწერილ პიესას, არც ტექსტს ცვლის და არც პერსონაჟების ხასიათებს ეთამაშება. დროც კი, ერთი შეხედვით, თითქოს წარსულში გვაბრუნებს. უფრო სწორად, რეჟისორი დასავლეთ ევროპულ იმ დროში გვამოგზაურებს, როდესაც დაუსრულებელ მსოფლიო ომებში „გასრესილი“ არსება-ადამიანი კიდევ ერთხელ იღებს ხმას მორალური უფლებების დასაცავად. როდესაც კიდევ ერთხელ მზადდება და ეყრება ნიადაგი ადამიანური ღირებულებებისა და სამოქალაქო კონსტიტუციის ფასეულებებს. ანტიგონე (ნატალია ჯუღელი, სტუდენტი) სწორედ ამ დასავლური ღირებებულებების პირმშოა... ჯერ კიდევ პატარა გოგონამ ძალიან კარგად იცის საკუთარი შესაძლებლობები, სახელმწიფო კანონებიც და ისიც, თუ რა შედეგი მოჰყვება მის ხმაამოღებულ ამბოხს. შესაბამისად, კრეონიც (ნიკა ქაცარიძე, მოწვეული რუსთაველის თეატრის მსახიობი) ზუსტად იმავე პოზიციაში იმყოფება. ერთი მხრივ, როგორც ადამიანი და მოქალაქე პატივს სცემს ძმისშვილის გადაწყვეტილებას, მაგრამ, იმავდროულად, არასდროს ივიწყებს, –როგორც მმართველს, მასაც საკუთარი ვალდებულებები გააჩნია – მოვალეა, ქვეყნისა და მოქალაქეების წინაშე პირნათლად დაიცვას ქაღალდზე გადმოტანილი წესები.

ანტიგონესა და კრეონს შორის პიროვნული განსხვავებულობა სწორედ მათ ქმედებებში იკვეთება. ანტიგონე, როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილი,

„ცნობიერი არსებობის“ რადიკალური ცვლილებებისკენ იწრაფვის და ეწირება კიდეც ჯერაც დაუწერელი, მორალური პასუხისმგებლობის გადააზრების იმ საკვანძო თემას, რომლის გარშემო, დღესაც არ ცხრება დებატები მსოფლიოში „ადამიანთა უფლებების დამცველთა“ ორგანიზაციების მხრიდან. შესაბამისად, კრეონი – ბოლომდე რჩება სახელმწიფო მოხელის საქმის უბადლო შემსრულებლად.

დაბოლოს, რადგან ყოველივე ზემოაღნიშნული, პიესის სწორედ სათეატრო შესრულებამ განაპირობა, არ შემიძლია გვერდი ავუარო სამსახიობო შესრულების ხარისხს. იმას, რაც, ვფიქრობ, რომ თავიდან ბოლომდე განაპირობებს სპექტაკლის გუნდურ წარმატებას. ნანუკა ხუსკივაძემ პიესის სცენურ ვარიანტზე მუშაობა გიზო ჟორდანიას სახელოსნოს მესამე კურსის სტუდენტებთან ერთად გადაწყვიტა. გიზო ჟორდანია კი, ჩემი დაკვირვებით, სწორედ ის პედაგოგია, რომელმაც ზუსტად იცის სტუდენტებთან სწორი და გამართული მუშაობის პრინციპები. თითქმის ყველა წარმოდგენა, რაც ჩემს მეხსიერებაში დარჩა, მის „სამსახიობო სკოლას“ უკავშირდება. აკი თავად ნანუკა ხუსკივაძეც ბატონი გიზოს ყოფილი სტუდენტი გახლავთ.

გიორგი ლალიაშვილი

„ანტიგონეთი“ ლონდონში

ზუსტად 25 წლის წინათ, მაშინ დამწყები მსახიობები – ნანუკა ხუსკივაძე, გოჩა კაპანაძე და მერაბ ნინიძე პირველად ეწვივნენ ლონდონს, სადაც მონაწილეობა მიიღეს ძალზე საინტერესო თეატრალურ პროექტში. მე ვიყავი ის ჟურნალისტი, ვინც ბრიტანეთში მათ მოგზაურობასა და იქ მიღებულ შთაბეჭდილებაზე პირველად ვაუწყე მკითხველს.

საკმაოდ დიდი ინტერვალის შემდეგ ნანუკა ხუსკივაძე კვლავ სტუმრობს ლონდონს. ოღონდ, ამჯერად რეჟისორის ამპლუაში და მსიამოვნებს, რომ კვლავ მიწევს მასზე წერა და მისი შრომის შეფასება. აწ უკვე რუსთაველის თეატრის წამყვანმა მსახიობმა, რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგმა, შარშან მესამე კურსის სტუდენტებთან (რეჟისორ გიზო ჯორდანიას ჯგუფი) დადგა ჟან ანუის „ანტიგონე“, რომელიც მაშინვე გახმაურდა თბილისში, მერე კი ანკარის (თურქეთი) სტუდენტური თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე მთავარი პრიზი დაიმსახურა.

ახლა ამ სპექტაკლის მონაწილეები მეოთხე კურსის სტუდენტები არიან და უკვე სადიპლომო სპექტაკლზე მუშაობენ. თუმცა, რასაც მათ „ანტიგონეთი“ მიაღწიეს, დასანანია მხოლოდ რამდენიმე წარმოდგენით შემოიფარგლოს და უფრო ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე არ დაიმკვიდროს.

დიმიტრი ალექსიძის, მიხეილ თუმანიშვილის, ლილი იოსელიანის, გიორგი ტოვსტონოგოვის, რობერტ სტურუას, შალვა გაწერელიას, რეზო მირცხულავას, გიგა ლორთქიფანიძის, გიზო ჟორდანიას, დავით დოიაშვილის და სხვა რეჟისორების მიერ ამ სასწავლო სცენაზე ისეთი სპექტაკლები უნახავს საზოგადოებას, რომლებიც ნამდვილ თეატრალურ ზეიმად და ნიჭიერების

ფეიერვერკად შემორჩა თაობების მეხსიერებას.

გიზო ჟორდანიას უნიჭიერესი მოწაფის ნანუკა ხუსკივაძის რეჟისორული ნამუშევარი უდაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ვინც არ უნდა ნახოს ეს წარმოდგენა, უმალ ირწმუნებს, რომ იგი იშვა დიდი თეატრალური კულტურის ქვეყანაში. ქართული თეატრის ნოვატორული სული, როგორიც მას ახმეტელმა, მარჯანიშვილმა, თუმანიშვილმა და სტურუამ დაუმკვიდრეს, კვლავ ცოცხალია და თანამედროვე ქართულ თეატრის ყველა მომდევნო წარმატება მათ მონაპოვრს ეფუძნება.

ჟან ანუის „ანტიგონე“ ინტელექტუალური თეატრის მწვერვალია, რომლის არჩევა უკვე საკმაოდ რისკიანი განაცხადია და თუ არ გაქვს ზედმიწევნით გათვლილ-აწონილი, თუ რატომ მაინცდამინც ახლა და ზუსტად ამ ვითარებაში კიდებ მას ხელს დასადგმელად, წინასწარ ხარ მარცხისთვის განწირული.

ნანუკა ხუსკივაძის რეჟისორული გააზრება კი ზუსტად ეხმიანება გლობალურ კრიზისს, იმას,რაც დღეს ხდება ჩვენს გარშემო. როცა პოლიტიკური და ეკონომიკური ზრახვები ასე აზანზარებს პლანეტას და მას ყველაზე გაურკვეველ და დაუცველ მდგომარეობაში ამყოფებს. როცა საზოგადოების ერთ ნაწილს კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ გულგრილობას, მეორე ნაწილს საერთოდ არ ადარდებს, რა ხდება გარშემო, ოღონდ მის კომფორტს და ფინანსურ უსაფრთხოებას არაფერი დაემუქროს. ის რაც სირიაში ხდება, განა მსოფლიოს იმავე მდგომარეობაში არ აყენებს, როგორშიც მეფე კრეონტს სურს რომ ჩააგდოს თავისი თანამოქალაქეები? კალინიკეს გვამი ერთი თვე მაინც არ უნდა მიებაროს მიწას, რათა მისმა სუნმა ხალხს თავზარი დასცეს და მუდმივად დაზაფრული ამყოფოს. სირიის კონფლიქტი სწორედ რომ მსოფლიოს დაუმარხავი გვამია დღეს, რომლის გასაპატიოსნებლად არავის სცალია. გდია ასე გამოფატრული, რომლის სუნიც მთელ კაცობრიობას აძრწუნებს.

მართალია, ნანუკა ხუსკივაძე არ აკეთებს პოლიტიკურ თეატრს, ის ანუის ეგზისტენციალურ დრამას ახორციელებს სცენაზე, მაგრამ ისე მახვილად სვამს აქცენტებს, რითაც ყველა ჩვენგანის ვალსა და პასუხისმგებლობაზე მიგვანიშნებს – რათა ჩვენში მუდმივად ხმიანებდეს სინდისის ხმა, როცა სიმართლე უმოწყალოდ ითელება ან იგვიანებს.

მომწონს სპექტაკლის ლაკონური ხასიათი და გამომსახველობითი საშუალებების სიძუნწე. სცენის სიშიშვლე და გარეგნულ ეფექტებზე უარის თქმა. ეს მკაცრი და პირქუში სინამდვილის 70 წუთია, სადაც რინგი იმართება ანტიგონესა და კრეონტს შორის. ორივე როლს განსაკუთრებული ნიჭიერების, უნივერსალური მსახიობის მიგნება სჭირდება და ჩვენ სპექტაკლში ასეთი აქტიორები ვიხილეთ ნატალია ჯუღელისა და ნიკა ქაცარიძის სახით, პირველი, გამოუცდელი ახალბედა მსახიობია, მეორე კი რუსთაველის თეატრის მსახიობი, შალვა გაწერელიასა და რობერტ სტურუას სკოლის გაწაფული არტისტი.

ნიკა ქაცარიძე უნაკლოა კრეონტის როლში, ასეთი ბუნებრივობის მიღწევა მართლაც რომ დიდი გამარჯვებაა, მისი პროფესიული სიმწიფის და წონის დასტური. იგი ავტორიტეტული მმართველის ტიპიური განსახიერებაა,

რომელიც სიმშვიდითა და ცივი გონებით ჭვრეტს მოვლენებს და თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არაფერს მოერიდება. დაუწერელი და ღვთაებრივი კანონები მისთვის აღარ მოქმედებს. ნიკა ქაცარიძე-კრეონტი ლამის ვედრებით მიმართავს ანტიგონეს, ხელი აიღოს თავის ზრახვაზე: „მე მბრძანებელი ვარ კანონის მიღებამდე და მერე ამ კანონის მონა ვარ!“ ეს სიტყვები იქცევა მსახიობისთვის როლის გასაღებად. მისი გმირი კანონის ბრმა აღმსრულებლად გადაიქცევა, ვისთვისაც სახელმწიფო ინტერესები და უსაფრთხოება უზენაესია და ამ მიზნის უზრუნველსაყოფად იგი მზად არის, ყველა და ყველაფერი გასწიროს. მისი შესრულების მანერა, რომელიც სიჩუმისა და პაუზის ხელოვნებას ემყარება, არის საოცრად სადა, ბუნებრივი და თანამედროვე. ქაცარიძე-კრეონტის დიალოგი ანტიგონესთან და მერე ჰემონთან არის ნამდვილი პროფესიული მასტერკლასი, ბოლომდე როლით ცხოვრება და აბსოლუტური თავგანწირვა. ნიკა ქაცარიძე თავისი ოსტატობით ახალგაზრდა თაობას, სპექტაკლში დაკავებულ სტუდენტებს მაგალითს აძლევს, თუ როგორ უნდა დაინთქას როლში, როგორ უნდა უყვარდეს პროფესია.

ნატალია ჯუღელი ნამდვილი აღმოჩენაა ქართულ თეატრში, მე მახსოვს ასე ამობრწყინდა ლელა ალიბეგაშვილი, ნინო კასრაძე, ია სუხიტაშვილი. ასეთი ტალანტები მუდამ იშვიათობაა და სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე. იგი მშვენიერებისა და გონიერების განსახიერება, რომელიც გარეგნობითა და სულიერებით თანაბრად არის შემკული. მის პირველივე გამოჩენას და მთელ სცენურ არსებობას სინათლე მოაქვს მაყურებელთა გულებამდე. ამას ვერ მოიტყუები, ეს ბუნებრივად უნდა მოგდგამდეს... ჩელსის თეატრის სცენა, სადაც სტუდენტებმა თავიანთი „ანტიგონე“ წარმოადგინეს, ისე ახლოა მაყურებელთან, მას უმნიშვნელო წვრილმანსაც კი ვერ გამოაპარებ. მსახიობის სახე, თვალები და ხმა საუკეთესოდ გადმოსცემს გმირის მტკიცე ხასიათს, დაუმორჩილებელ ბუნებას, ვისთვისაც ადამიანური და ნათესაური ვალი ღვთაებრივ კანონიერებას ნიშნავს და ამ რწმენით განმტკიცებული არ ეურჩება მეფის ძალაუფლებას და სასჯელს. მართალია, ეს სიფრიფანა გოგო, თითქმის ბავშვი, ამ ბრძოლაში ფიზიკურად მარცხდება, მაგრამ მან სულიერი გამარჯვება იზეიმა. მისი ანტიგონე არის ანკარა, სუფთა და მართალი, რომელსაც არ შეუძლია თავისი მორალური მრწამსის ღალატი. მას გაგიჟებით უყვარს სიცოცხლე და მასთან გამოთხოვების სცენაში ნატალია ჯუღელი აღწევს ჭეშმარიტ ტრაგიზმს.

ძლიერი მუხტი და ენერგია იგრძნობა გიორგი გომელაურის შესრულებაში, რომელიც ჰემონს თამაშობს, დამწყები მსახიობი ძალდაუტენებლად გადასდებს მაყურებელს თავის შფოთსა და მღელვარებას. მსახიობის გულწრფელობის ხარისხი, მართლაც რომ მომნუსხველი და დამატყვევებელია.

სტუდენტური „ანტიგონე“ კარგად შეკრული ანსამბლია, სადაც ყველა ზრუნავს სპექტაკლის საერთო წარმატებაზე. შესანიშნავი ახალგაზრდა მსახიობები გავიცანით ნიკა გორდეზიანის (ქორო), მარიამ შალიკაშვილის (ძიძა), მარიამ ხუხუნაიშვილის (ისმენე), ევა ბოლქვაძის (ევრიდიკე), გიორგი ღარიბაშვილის (პირველი ჩაფარი), შოთა ჭოღოშვილის (მეორე ჩაფარი) სახით.

ნანუკა ხუსკივაძის რეჟისურა არის ნატიფი, განრიდებული ყოველგვარ რებუსებსა და ბუნდოვანებას, რაც თანამედროვე რეჟისორების თვალშისაცემი სენია. არ ვიცი, რას აირჩევს ამის შემდეგ ნანუკა ხუსკივაძე დასადგემლად, მაგრამ „ანტიგონე“ რომ მისი სერიოზული გამარჯვებაა, ეს ერთხმად უნდა ვაღიაროთ.

ქართველი რეჟისორის დადგმაში იგრძნობა ის გადამდები სტიქია და ემოცია, რაც უნდა გააჩნდეს კარგ თეატრს და რომელიც თანამედროვე ევროპულ თეატრში დაკარგული ან გაუფერულებულია. წლეულს მარტში, ლონდონის ბარბიკან ცენტრის სცენაზე წარმოადგინეს „ანტიგონე“, ცნობილი ბელგიელი რეჟისორის ივო ვან ჰოვის სპექტაკლი, რომელშიც ანტიგონე ეკრანის გამოჩენილმა მსახიობმა ჯულიეტ ბინოშმა განასახიერა, სხვა როლებზეც ასევე ოსტატი მსახიობები იყვნენ მოწვეულნი. მათ თამაშში ყველაფერი გამართულად და წესიგში იყო, მაგრამ შემძვრელი მომენტი არ ყოფილა, რომელიც სულხორციანად აგაფორიაქებდა და შეგაჯანჯღარებდა.

გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი რეჟისორის ნამუშევარი გაცილებით ტევადი, ამაღელვებელი და თანამედროვეა. დასანანი ის არის, რომ ლონდონში მხოლოდ ერთი წარმოდგენა შედგა და უამრავმა მსურველმა ვერ შეძლო მასზე დასწრება. ამდენად, ჩემი აზრით, ამ სპექტაკლის ჩამოტანა გაისად ედინბურგის ფესტივალზე იქნება ძალიან სწორი გადაწყვეტილება. ედინბურგში ქართული სპექტაკლი უდავოდ მიიპყრობს ყურადღებას რეჟისორული ნამუშევრით და ნიჭიერი მსახიობების ანსამბლით. ოღონდ, საჭიროა ახლავე დაიწყოს ამ პროექტზე საუბარი ედინბურგის ფრინჯის საორგანიზაციო კომიტეტთან, რათა 2016 წლის აგვისტოში შესაძლებელი გახდეს ქართული „ანტიგონეს“ ჩართვა მსოფლიო თეატრების ამ უდიდეს დათვალიერებაზე.

მინდა ვირწმუნო, რომ ამ მცირე დასის ედინბურგში ჩამოყვანას აუცილებლად გამოუჩნდება მოსურნე ფილანთროპი, რითაც იგი ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას უანგარო სამსახურს გაუწევს. მითუმეტეს, ჩვენ ხომ უკვე გვაქვს ასეთი მაგალითები თანამედროვე საქართველოში?

ნატო ალხაზიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანი გამოსცა საკუთარი ხარჯით, გოდერძი ბუკიამ დააფინანსა „380 ქართული ხალხური სიმღერა ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით“, სალომე ვახანიამ, ნათია ჩხარტიშვილმა და ნათია ბუკიამ თბილისში დააარსეს გალერეა, რომელიც უკვე საერთაშორისო არტ ფორუმებზე და ბაზრობებზე გავიდა და ქართველ მხატვრებს ახალი ასპარეზი მისცა.

და ბოლოს, ეს მშვენიერი თეატრალური სიურპრიზი ლონდონში, ვერ შედგებოდა, რომ არა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიისა და კომპანია „სარაჯიშვილის“ სპონსორობა. აქვე, ასევე უნდა აღინიშნოს გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოსა და ლონდონის ქართული სათვისტომოს (თავმჯდომარე ირინა სარაჯიშვილი) ყურადღება და ზრუნვა, რომელიც მათ სპექტაკლის ჩამოტანამდე და დასის ლონდონში ყოფნის განმავლობაში გამოიჩინეს.

კონსტანტინე გამსახურდიას სოხუმის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

ნავიგატორი

სპექტაკლის დასახელება - ნავიგატორი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ლაშა ბუღაძე
სპექტაკლის ავტორი - დავით საყვარელიძე
რეჟისორის თანაშემწე - სვეტლანა გოგოხია

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ნავიგატორი - ლილი ხურითი
როსტომი - ბადრი ბეგალიშვილი
ჯაყელი - გიორგი გასვიანი
კლარა - ნანა ხურითი
დირექტორი, ბატონი ოთარი - ედემ ხვიჩია
დეპარტამენტის უფროსი - ემზარი - ნიკოლოზ წერედიანი
აკრბა - დავით ბერაძე
როსტომის მამა - ბესარიონ ქარჩავა
დამლაგებელი - იზოლდა ბოკუჩავა

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 26, ივნისი
სარეპეტიციო პროცესი - 2 თვე.

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება არ ყოფილა

გამოხმაურება

დავით ბუხრიკიძე

გრძნობათა ნავიგაცია

რეგიონული თეატრების პირველ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც წელს პირველად გაიმართა ფოთში, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი სოხუმის, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა. ლაშა ბუღაძის „საბამიღებული“ და BBC-ის რადიოპიესების კონკურსში გამარჯვებული პიესა – „ნავიგატორი“, რეჟისორმა დავით საყვარელიძემ რეალურობის, აბსურდისა და ირონიის ლამის შეუძლებელ გადაკვეთაზე დადგა.

მიუხედავად იმისა, რომ ბუღაძემ პიესა საპეციალურად რადიოკონკურსისთვის დაწერა, დავით საყვარელიძეს ის მოქცეული აქვს ცხად და ზუსტ სცენოგრაფიულ კოორდინატებში და არცთუ მჭიდრო რეჟისორულ არტახებში... მაყურებელი მთავარი გმირის, 40 წელს გადაცილებული, ცოტათი დაკომპლექსებული როსტომის (ამ როლს სხვათა შორის, ძალიან კარგად უმკლავდება ბადრი ბეგალიშვილი -უმცროსი) პრობლემებს ერთდროულად სოციალურ და ეგზისტენციურ ჭრილში აღიქვამს.

...როსტომი დიდი ხნის წინ დედამ მიატოვა; ჰყავს მოხუცი მამა, „მოესწრო ოთხ ომს“ (როგორც თავად ამბობს) და ამიტომ ცხოვრებისგან დაღლილი, ცოტა მშიშარა და დაკომპლექსებული მამაკაცია. აქვს სამსახური, მაგრამ იქაც გარკვეული პრობლემები ექმნება, რადგანც თანამშრომელ ქალბატონზე ეჭვიანობს, რომელიც ამავე დროს, მოსწონს. თუმცა ერთი შემთხვევა ცხოვრებას მთლიანად შეუცვლის: სამსახურებრივი მიზნით როსტომს ისეთ მანქანას აძლევენ, სადაც ნავიგაციის სისტემაა დამონტაჟებული, ნავიგატორს კი ქალის ხმა აქვს... თავიდან ის მხოლოდ ფორმალურ რჩევებს აძლევს როსტომს, თუმცა შემდეგ მათი ურთიერთობა უცნაურ, პრივატულ და ინტიმურ ფორმას იღებს.

„ნავიგატორში“ რეჟისორი ცდილობს აგრესიული და აბსურდული გარემო თბილი სუმორის წყალობით შეარბილოს, მთავარი გმირი მაყურებელს მოაწონოს და ნეიტრალურ ქალბატონ-ნავიგატორში (ლილი ხურითი) ლირიკული გრძნობები გააღვიძოს. მარტოობა, რომელიც ათასგვარადაა შენიღბული და შემდეგ მისგან თავდახსნის სპექტაკლის ძირითადი თემაა, რადგან ის ოდესღაც ყველას ეხება... ამას კარგად გრძნობს როსტომიც, რომლის სიმპათია ნავიგატორის მიმართ სულ უფრო გასაგები და შთამბეჭდავი ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ ლირიკული, ზუსტი, ფაქიზი, თბილი და ამავე დროს, ცხადად ირონიული წარმოდგენით სოხუმის დრამატულმა თეატრმა სრულიად ახალი შტრიხები და განწყობა შესძინა ფოთის ფესტივალს. იმედია, მომავალ ფესტივალზე დავით საყვარელიძე სოხუმის თეატრში (ან თუნდაც სხვაგან) არანაკლებ საინტერესო თეატრალურ ექსპერიმენტს განახორციელებს. გრძნობათა „ნავიგაცია“ ხომ ყოველთვის არის შესაძლებელი; თუნდაც უკვე სხვა ფორმით.

გუბაზ მეგრელიძე

ადამიანთა გაუცხოების დრამა

სოხუმის თეატრში რეჟისორმა დავით საყვარელიძემ დადგა დრამატურგ ლაშა ბუღაძის პიესა „ნავიგატორი“. ამ თეატრში ეს მისი პირველი ნამუშევარია. აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ რადიოპიესის სცენაზე გადატანის მცდელობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ნავიგატორმა“ 2011 წელს, BBC-სა და ბრიტანეთის საბჭოს ინიციატივით გამართულ რადიოპიესების საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა. ამავე წლის ბოლოს იგი რადიოში ინგლისელი მსახიობების მონაწილეობით დაიდგა, საინტერესო აზრი გამოთქვეს ჟიურის

წევრებმა: „ესაა ორიგინალურად მოყოლილი, თითოეული ადამიანისთვის ახლობელი ამბავი. ჟიური მოხიბლა რეალობისა და აბსურდის ზღვარზე განვითარებულმა სიუჟეტმა, ადამიანის მარტოობის ტრაგიკომიკურმა აღწერამ და პერსონაჟების კარგად გამოკვეთილმა ხასიათებმა... პიესა უაღრესად ავთენტური, ამავე დროს, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის მკვიდრისთვის ახლობელი და გასაგებია... პერსონაჟების ხასიათები შესანიშნავად იგრძნობა, პიესა ნამდვილად რადიოსთვისაა შექმნილი.“

2012 წელს კი პიესამ საქართველოში არსებული პრესტიჟული პრემია „საბა“ მიიღო. ორივე ჯილდო პიესის აქტუალობასა და მაღალმხატვრულობაზე მეტყველებს.

ქართველი დრამატურგის პიესაში ევროპელი პროფესიონალები დააინტერესა ფორმისა და პრობლემის ორიგინალურად გააზრებამ. რეალურ სამყაროში მცხოვრები მარტოსული, საკუთარ თავში ჩაკეტილი მამაკაცი აბსურდულ ვითარებაში აღმოჩნდება. მას უჭირს თანამშრომლებთან ურთიერთობა, სამაგიეროდ უფრო ახლობელი აღმოჩნდა სამსახურის მიერ გამოყოფილი ქალის ხმის მქონე სანავიგაციო სისტემით აღჭურვილი მანქანა. ჩამოყალიბებული კომპლექსების მატარებელი გმირი, თანდათან პიროვნულად იხსნება არაცოცხალ ხმასთან, რომელიც მისთვის ახლობელი და გასაგები ხდება. მოხერხებული საგზაო მარშრუტის შერჩევა და აქედან გამომდინარე დადებითი თუ კონფლიქტური სიტუაციები გმირისთვის რეალურად აღსაქმელი ხდება და მათ შორის ურთიერთგაგებისა და სულიერი ერთობის გამომხატველი გრძნობა ბუნებრივად იბადება.

ასეთია პიესის ფაბულა, რომელიც სცენაზე საინტერესოდ ამეტყველდა. თავდაპირველად გადაილახა რადიოპიესის სპეციფიკურობა და იგი სცენაზე ამოქმედდა. სპექტაკლის დაწყებამდე ავანსცენაზე დამლაგებელს (ი. ბოკუჩავა) სძინავს, რაც ამ დაწესებულების მუშაობის სტილზე მიანიშნებს. ბ. ბეგალიშვილის როსტომი თვითკმაყოფილი გამოდის და ღიმილით მიადევნებს თვალს დამლაგებლის გასვლას. იგი ლიფტში თანამშრომელს ელაპარაკება, რომელიც არ რეაგირებს მის ხუმრობანარევ საუბარზე. მისი ურთიერთობა თანამშრომლებთან არც დაწესებულების კრებაზე შედგა. დირექტორი (ე. ხვიჩია) საბჭოთა წყობის ტიპური ხელმძღვანელია, რომლისთვისაც უცხოა ადამიანის სულიერი სამყაროს გაგება, ის მხოლოდ მუშაობის წარმატებაზეა ორიენტირებული, ამიტომაც როსტომს ნავიგაციით აღჭურვილ მანქანას აძლევს მშენებლობების დასათვალიერებლად და მონიტორინგის ჩასატარებლად.

მოქმედება მთავარი პერსონაჟის (როსტომის) ნავიგატორთან, თანამშრომლებთან და სახლში მამასთან ურთიერთობის ფონზე ვითარდება. შექმნილ ვითარებათა კონტრასტული მონაცვლეობა ცხადყოფს როსტომის ფსიქოლოგიურ განწყობასა და ემოციებს გარესამყაროსადმი. ამ დამოკიდებულებების არასრულფასოვნების გამო ბ. ბეგალიშვილის გმირი ყველას აბუჩად იგდებს და მათ ირონიულად აფასებს.

როსტომი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელია მანქანის ტარებისთვის, ეშინია გამგზავრების და ეჭვით უყურებს მანქანის ტარების პერსპექტივას.

ამ შინაგან რყევას ამძაფრებს თანამშრომელ კლარასთან (ნ. ხურითი) დაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობა. იგი საქმიანი იერის ქალია. როსტომს ყურადღებას არ აქცევს, თავი მისგან შორს უჭირავს და ირონიული დამოკიდებულებით დასცინის კიდეც. ამ დროს სხვა თანამშრომლები დერეფანში საქმიანად ჩქარა ჩაივლიან. ამ სცენას რეჟისორი რამდენჯერმე იმეორებს, რომ მათი კომუნიკაბელობისა და მეგობრობის ფონზე როსტომის დეპრესიულობა გამოკვეთოს.

ამ ურთიერთობების ფონზე ბ. ბეგალიშვილის გმირი დაძაბული უსმენს ნავიგატორის ხმას, ცოტათი ღიზიანდება მისი „ჭკუის სწავლებით", არ ენდობა მის რჩევებს მარშრუტის მითითებისას და ნერვიულობს. ეს სასოწარკვეთა სახლშიც გრძელდება, სადაც მამა (ბ. ქარჩავა) ირონიულად ესაუბრება მას მარტოობასა და უცოლობაზე. იგი ცხოვრებისეული საკითხებისადმი ნიჰილისტურადაა განწყობილი და შვილისთვის ირონიასაც არ იშურებს, რაც ამ უკანასკნელის შეუმდგარმა ცხოვრებამ განაპირობა.

სახლის სცენას ისევ სამსახურის სიტუაცია ცვლის, იქ კლარა „აშაყირებს" ნავიგატორთან ურთიერთობის გამო. ნ. ხურითის გმირი თავდაჯერებულია, რასაც გარეგნული სილამაზე და ძლიერი ხასიათი განაპირობებს და როსტომს ტოლად არ მიიჩნევს. ბ. ბეგალიშვილის როსტომი გაღიზიანებულია, რომ მას კლარა ვერ უგებს და კონტაქტსაც გაურბის. ამიტომაც როსტომი კლარას ცხოვრებას ირონიულად აფასებს.

საჭესთან მჯდომი როსტომი კლარასთან გამოვლილ ურთიერთობას აანალიზებს და ამ დროს ნავიგატორის პასუხი მასში შეშფოთებას იწვევს მათი პიროვნული შეუთავსებლობის გამო. როსტომი უფიქრდება იმ ვითარებას, რომ მისი გაღიზიანება ადამიანებთან უკონტაქტობიდან გამომდინარეობს. მოქ მედების დაძაბულობასთან ერთად იკვეთება როსტომის, თანამშრომლებისა და ნავიგატორის ურთიერთობათა არასრულფასოვნება, რაც ბ. ბეგალიშვილის გმირში პროტესტს იწვევს და ყველას აბუჩად იგდებს და ირონიულად აფასებს.

კლარა ნანა ხურითის შესრულებით, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანია, რომელიც როსტომის მიმართ საკმაოდ გულცივია, ვერ იტანს მისგან გამოჩენილ ყურადღებას, თუ გრძნობების გამოვლინებას. მთელი გულისყური სამსახურებრივი წინსვლისკენ აქვს მიპყრობილი და მხოლოდ საკუთარი თავისთვის სასარგებლო სიტუაციებისადმი იჩენს ყურადღებას.

როსტომი თანდათან ხვდება, რომ „ვიღაც" მასზე ზრუნავს და ჩაფიქრდება – ბავშვობის შემდეგ არავის უთქვამს „დაიძინეო" – დედამ მიატოვა და საყვარელთან წავიდა, რაც მის არასრულფასოვნების კომპლექსს ამძაფრებს. მართალია, როსტომი იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ მაინც ნერვიულობს. მსახიობი ბ. ბეგალიშვილი კარგად გადმოსცემს გმირის შინაგანი განწყობის შეცვლის მიზეზებს, სხვებისადმი დამოკიდებულების შეცვლის გამართლებასა და საკუთარ თავთან ჭიდილს. ეს განცდები იკვეთება სხვადასხვა ვითარებაში აღმოჩენისას – როცა სამსახურში აწინაურებენ, უხარია, რომ მასზე ზრუნავენ, ხოლო მოგვიანებით გაიგებს, რომ კლარას რომანი აქვს აკრბასთან (დ. ბერაძე),

რის დასამტკიცებლადაც ნავიგატორი მათ ჩაწერილ საუბარს ასმენინებს. ბ. ბეგალიშვილის განწყობა იცვლება. იგი განიცდის, რომ ყურადღებას არავინ აქცევს და სხვებზე ცვლიან, რაც მის პიროვნულ დრამას იწვევს. ამას ემატება სამსახურებრივი ინციდენტიც, როდესაც მშენებლობის შესამოწმებლად მისულ როსტომს, ნაკლოვანებების აღმოჩენის გამო, ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებენ. მხარდაჭერის ნაცვლად, მას არ უჯერებენ და ადანაშაულებენ კიდევაც. ხელმძღვანელობა გულმოსულია ამ ნაკლოვანებების აღმოჩენის გამო. როსტომის ნერვულ განწყობას თანამშრომლები მისი გაღიზიანებითა და აგრესიულობით ხსნიან, რის გამოც არაადეკვატურად აღიქვამენ. ამიტომ მანქანას ჩამოართმევენ.

როსტომის დეპრესიას ამძაფრებს ჯერ კლარასთან დაპირისპირება, შემდეგ მამასთან ურთიერთობების გარკვევა. მამა (ბ. ქარჩავა) უკმაყოფილოა, რომ როსტომი 10 დღე არ გამოჩნდა და იგი უყურადღებოდ დატოვა. იგი ვერ უგებს შვილს, არ აინტერესებს მისი მისწრაფებები, პირადი თუ სამსახურებრივი მდგომარეობა. როსტომიც გრძნობს მამის გულგრილ, ეგოისტურ დამოკიდებულებას და კიდევ უფრო გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება.

ბ. ბეგალიშვილის სასოწარკვეთილი გმირი შვებას ნავიგატორთან ურთიერთობაში პოულობს. ქალის მკაცრი ტონი თანდათან რბილდება და სითბოთი ივსება. იგი როსტომის მდგომარეობას განიცდის და მის დახმარებას ცდილობს. როსტომისთვის ეს უხილავი „ადამიანი“ საოცრად ახლობელი ხდება, მასში გრძნობა იღვიძებს და ნავიგატორისთვის სიყვარულს ახსნისას, ამ ამაღლებული გრძნობის გამოსახატავად უსტვენს და წარმოსახვით მასთან ცეკვავს კიდეც, ვინაიდან ასეთი აღმაფრენა არასდროს ჰქონია. მსახიობი ამ პანტომიმურ სცენას გამომსახველად ასრულებს. სწორედ ასეთ წუთებში მათი სიყვარული ავარიითა და როსტომის სიკვდილით მთავრდება – სიმბოლურია, რომ როსტომი სიყვარულის მსხვერპლი ხდება. იგი ხომ დღემდე არავის ჰყვარებია. ნავიგატორიც სხვებთან კონტაქტს გაურბის. სამძიმარზე მოსული თანამშრომლები როსტომის მამისთვის ტკივილის შემსუბუქებას ცდილობენ. მამას შვილის კოსტიუმიდან სათამაშო ამოაქვს, რომელიც სტვენას იწყებს. ახლაღა სწვდება მამა გარდაცვლილი შვილის სულიერ სამყაროს... ეს ის ჩიტია, რომელიც როსტომს სულ ჯიბით დაჰქონდა, მაგრამ სიცოცხლეში მისი ამღერება ვერ შეძლო, ვინაიდან მისი სულიერი განწყობა გარშემომყოფთათვის ამოუხსნელი დარჩა.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ლილი ხურითის მიერ გახმოვანებული ნავიგატორი. მსახიობი სცენაზე არ ჩანს, იგი პარტერის პირველი რიგის კუთხეში ზის და მხოლოდ ხმის ტემბრით, მხატვრული კითხვით, პაუზებითა თუ ემოციური საუბრით გამოხატავს ნავიგატორის „სამყაროს“, მის „გრძნობებსა და დამოკიდებულებებს“. მაყურებელი გრძნობს მსახიობის „სრულყოფილ“ თამაშს სცენაზე, სადაც იგი როსტომის ერთადერთი გულშემატკივარია და ცდილობს არსებული რეალობა დაანახვოს, თუმცა მის გადარჩენას ვეღარ შეძლებს, ვინაიდან ადამიანებმა იგი გარდაუვალ სიკვდილამდე მიიყვანეს.

სრულიად გასაგებად აღიქმება რეჟისორ დ. საყვარელიძის სათქმელი –

პრაგმატულ გარემოში,სადაც დეფიციტი გამხდარა სიყვარული, ადამიანმა და ქალის ხმის მქონე ნავიგატორმა, ამ ორმა სრულიად შეუთავსებელმა არსებამ, ერთმანეთს გაუგეს. ეს მაშინ, როდესაც ადამიანებს უჭირთ, უფრო სწორად, არც ცდილობენ ურთიერთგაგებას. ასეთ სიტუაციაში ყოველთვის ფიზიკურად ნადგურდება ის, ვინც დინების საწინააღმდეგოდ მიდის. იდეა კი რჩება - უსიყვარულოდ ვერ ვცოცხლობთ...

ქალი

სპექტაკლის დასახელება - ქალი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გაფორმება - ლილი ბურბუთაშვილისა
მხატვარი - მაია სხირტლაძე
რეჟისორის თანაშემწე - მარინა კიკალეიშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
იამზე - ეკა არჩაია
რეზო, იამზეს მეუღლე - პაატა ვახტანგიშვილი
მანანა, იამზეს სკოლის მეგობარი - ლელა შარაბიძე
თორნიკე, იამზეს შვილი - ნიკა წერედიანი
საბა, იამზეს შვილი - თორნიკე ქასრაშვილი
იამზეს მამა - ბადრი ბეგალიშვილი
შალვა, ექიმი - ნუგზარ წერედიანი
მედადო, იამზეს მეზობელი - ნინო ჯავახიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 13 ივლისი

სარეპეტიციო პროცესი - 1 თვე.

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება არ ყოფილა.

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“

საბრალდებო დასკვნა

სპექტაკლის დასახელება - საბრალდებო დასკვნა
სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ინსცენირების ავტორები - ნოდარ დუმბაძე და
გიგა ლორთქიფანიძე
რეჟისორი - დავით კობახიძე
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გამფორმებელი - მიხეილ მამულაშვილი
სასცენო მოძრაობა - შოთა სხირტლაძისა და შოთა გეგიაძის

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:
ზაზა ნაკაშიძე - თორნიკე ბელთაძე
გამომძიებელი გაგუა - ოთარ ბელთაძე
გამომძიებელი ხელაძე - ნუგზარ ჩიქოვანი
ნუნუ ექიმი - ქ. ბერუაშვილი
გოგოლი - ჯაბა ჯანაშია
ჭეიშვილი - ლ. გულუა
გულოიანი - ლაშა ჯოხაძე
ლიმონა დევდარიანი - კახა ჭოლაძე
შოშია გოგოლაძე - კოტე მარტიაშვილი
ისიდორე სალარიძე - ნუგზარ ყურაშვილი
გამცემლიძე - სერგო ურიადმყოფელი
მოშიაშვილი გიგლა - მამუკა პავლიაშვილი
ზედამხედველი - ლაშა გაბრიჭიძე
ზამბახიძე - თ. ჩიხლაძე
მდივანი - თ. შამათავა

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 28 მარტი.
სარეპეტიციო პროცესი - ოთხი თვე.

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში? - პრესაში გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა.

გამოხმაურება

თამარ ქუთათელაძე

„საბრალდებო დასკვნა“

(„თეთრი ბაირაღების“ მიხედვით)

ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“ არაერთხელ დაიდგა ქართული თეატრის სცენაზე. პირველად იგი განახორციელა გიგა ლორთქიფანიძემ რუსთავისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე. სულ ცოტა ხნის წინ კი დადგა რეჟისორმა დავით კობახიძემაც სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში „თეთრი ტალღა“.

რეჟისორ დავით კობახიძისა და ზოგადად თეატრის მიზანი იყო იძულებით ადგილნაცვალი საზოგადოების ახალი თაობისათვის, რომელსაც ძირითადად ემსახურება კიდეც სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ხშირად უფასოდ ან შეღავათიან ფასებში, ეჩვენებინა ქართველი კლასიკოსის სახელოვანი ნაწარმოების ახალი სასცენო ინტერპრეტაცია. მასში მონაწილეობენ უმთავრესად სწორედ ის ახალგაზრდები, რომლებიც ლტოლვილობაში მყოფი თეატრის სტუდიასა და შემდგომ უკვე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში დაეუფლნენ მსახიობის პროფესიას.

დავით კობახიძის დადგმამ ასახა მარადიული თემა – ადამიანის დამნაშავედ ფორმირების, მისი ცნობიერებისა და სამართლიანობისადმი რწმენის პრობლემა. მოვლენები ვითარდება ციხის გისოსებს მიღმა (მხატვარი - აივენგო ჭელიძე), სადაც ყველაზე მკაცრად და მიუკერძოებლად თავად ბრალდებულები აანალიზებენ და განიკითხავენ საკუთარსა თუ გვერდით მყოფი პატიმრის დანაშაულსა თუ უდანაშაულობას. მათ სხარტი იუმორით, მძაფრი ირონიითა და მოსწრებული რეპლიკებით გამოაქვთ განაჩენი ერთმანეთისთვის. მსახიობები ზომიერი გამომსახველობითი ხერხებითა და გააზრებით ქმნიან სცენურ სახეებს. თითოეული მათგანის მიერ განსახიერებული მხატვრული გმირი გამოირჩევა სიცოცხლის დიდი სიყვარულით, საკუთარი ბრალეულობის გაცნობიერების უნარით, გულწრფელობითა და დანაშაულის მონანიების სურვილით, რადგან აცნობიერებენ იმასაც, რომ შეუძლებელია მათზე არანაკლებ საზრიანი თაღლითის მოტყუება.

მსახიობთა სცენური გმირების გულწრფელი აღსარებების პარალელურად, ისინი აღიარებენ იმასაც, რომ ვერ შეძლებენ საკუთარი ცხოვრების წესის რადიკალურ ცვლილებას. მათი რწმენით, არც რეალობა იძლევა უკეთ ცხოვრების, ან თვითრეალიზების პირობებს და თავადაც უკვე უმწეონი არიან შეცვალონ თავიანთი თავი. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კოტე მარტიაშვილის შოშია გოგოლაძე, არაერთხელ და დაუფარავად აცხადებს კიდეც – მაინც მოვიპარავო!

მსახიობები სცენაზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ სახეებს ქმნიან. ბავშვურად კეთილი და გულუბრყვილოა ჯაბა ჯანაშიას გოგოლი. ხარბი, ძუნწი და ბრიყვია სერგო ურიადმყოფელის გამცემლიძე. ენაჭარტალა და

მორალისტია ლეონიდ გულუას ჭეიშვილი. იუმორით აღსავსე და არტისტულია ლაშა ჯოხაძის გულოიანი. უკომპრომისო, სამართლიანი და მოსიყვარულეა კახა ჭოლაძის ლიმონა დევდარიანი. აღსანიშნავია კახა ჭოლაძის ლიმონას სცენები ქრისტინე ბერუაშვილის ახალგაზრდა და მომხიბლავ ნუნუ ექთანთან, სადაც მშვენიერ ქალზე შეყვარებული კაცი, დიდი ემოციით უკითხავს მას სახელოვან „ტანო ტატანოს“. მუდამ უდარდელ და ხალისიან მამუკა პავლიაშვილის მოშიაშვილს მტკიცედ სწამს, რომ რამდენჯერაც მოხვდება ციხეში, მისი მეგობრებიც იმდენჯერვე გამოიხსნიან როგორც საჭირო ძალას. ამ რწმენით თავდაჯერებული, დაუსრულებლად ემზადება კიდეც ციხიდან გასასვლელად და მართლაც, პირველი სწორედ ის მოიპოვებს თავისუფლებას.

მსახიობები არაერთგვაროვანი პროფესიონალიზმით ქმნიან თავიანთ სცენურ სახეებს. ამ მხრივ ერთგვარი „მასტერკლასია“ ნუგზარ ყურაშვილის საშემსრულებლო კულტურა. ინტელიგენტური გარეგნობით გამორჩეული მსახიობი მაღალი გემოვნებით, სასცენო პაუზის თამაშის ოსტატური ფლობით ქმნის სიძის მკვლელი ისიდორე სალარიძის საზრიანი, დინჯი და დახვეწილი დამნაშავის სახეს.

მსახიობები იუმორითა და თვითირონიით აანალიზებენ თავიანთი ცოდვებითა და ოცნებებით აღსავსე წარსულს. გეგმავენ განთავისუფლების შემდგომ, მათი არცთუ უმწიკვლო სამომავლო ცხოვრების პერსპექტივებს, თუმცა მანამ, სიმღერითა და პოეზიით იხალისებენ გისოსებს მიღმა ცხოვრების ერთფეროვან, უსიხარულო დღეებს (მუსიკალური გამფორმებელი – მიხეილ მამულაშვილი, სასცენო მოძრაობა – შოთა სხირტლაძისა და შოთა გეგიაძის).

წარმოდგენაში გამორჩეული ემოციურობითაა აღბეჭდილი ახალგაზრდა მსახიობის თორნიკე ბელთაძის მიერ შექმნილი ზაზა ნაკაშიძის სახე. აღსანიშნავია მისი შეხვედრის სცენა ანა ხურციძის დედასთან და დაკითხვის სცენები. გამომძიებლის ტანწერწეტა და გრძელფეხება მდივანი (თ. შამათავა) უშედეგოდ ცდილობს პატარ-პატარა ქალური ეშმაკობებით აცდუნოს გაუგებრობის მსხვერპლადქცეული მომხიბლავი ახალგაზრდა, შეიცნოს მასში დამნაშავის ფსიქოტიპი. მკაცრი, მოუსყიდველი, სამართლიანი და მრავლისმხილველი გამომძიებლები ოთარ ბელთაძის გაგუა და ნუგზარ ჩიქოვანის ხელაძეც, მალევე განეწყობიან უკომპრომისო ახალგაზრდისადმი დაუფარავი თანადგომით, რომელიც დაჟინებით მოითხოვს სიმართლის დადგენას და ცრემლმორეული თვალს ვერ აშორებს ფანჯრის მიღმა აყვავებულ ხეებს.

ჭინჭრაქა

სპექტაკლის დასახელება - ჭინჭრაქა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - გიორგი ნახუცრიშვილი

დამდგმელი რეჟისორები: ნუგზარ ლორთქიფანიძე და მიხეილ რატიანი
დამდგმელი მხატვარი - ჯეირან ფაჩუაშვილი

მოქმედი პირები და შემსრულებლები:
ჭინჭრაქა - ბაჩო გურგენიძე
მზია - მარი კობახიძე, მარი კალატოზიშვილი
ვეზირი - ოთარ ბელთაძე
დათვი - ზურაბ ანთელავა
ტურა - ილია მანაგაძე
მელა - ანი ხურციძე, ნინო ჯავახიშვილი
მგელი - ჯაბა ჯანაშია
დევი - ლეონიდე გულუა
ქოსა-მრჩეველი - ლაშა ჯოხაძე
შუბოსნები - ოთარ არონია, გიორგი გულუა, ლაშა გაბრიჭიძე, თორნიკე სულაბერიძე
ტყვე გოგონები - მარი ბენდიანიშვილი, ნინო ბულგადაროვა, ნატა მიქაია, ია მგალობლიშვილი, ანი ოქრუაშვილი, თამარ ჯაჭვლიანი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 27 მაისი.
სარეპეტიციო პროცესი - ოთხი თვე

თამარ ქუთათელაძის რეცენზია, სპექტაკლზე „ჭინჭრაქა“, იხილეთ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 4, 2015.

გამოხმაურება

თამარ ქუთათელაძე

„ჭინჭრაქა“

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა ქართული პროფესიული თეატრის 2014 - 2015 წლის თეატრალური სეზონის ბოლო პრემიერა, გიორგი ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, განხორციელდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით. სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორებმა: ნუგზარ ლორთქიფანიძემ და მიხეილ რატიანმა, საბავშვო თეატრის სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნეს გიორგი ნახუცრიშვილის ზღაპრის თითქმის თავისუფალ ფანტაზიად მოაზრებული სანახაობა. წარმოდგენის დამდგმელმა მხატვარმა ჯეირან ფაჩუაშვილმა „ჭინჭრაქას“ სცენოგრაფიაში ხალისიანი ფერებითა და რამდენიმე ზუსტი დეტალით ლაკონურად დახატა განვითარებული მოვლენების სამოქმედო გარემო.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა გიორგი ნახუცრიშვილმა თავის შემოქმედებაში მკვეთად გამოხატა პროტესტი ძალადობისა და თანამედროვე საზოგადოების ფსევდოღირებულებათა მიმართ. ეს პრობლემა იქნა წამოჭრილი დრამატურგის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიესა-ზღაპარში „ჭინჭრაქა“.

დადგმაში ოთარ ბელთაძის ვეზირის, ლეონიდე გულუას დევისა და ლაშა ჯოხაძის ქოსა-მრჩეველის სახით იგავურად აისახა თანამედროვეობის ფარისეველი, მხოლოდ პირად კეთილდღეობასა და მომხვეჭელობაზე მზრუნველი საზოგადოების სახე, რომლის მეშჩანურ ცხოვრების წესსაც დაუპირისპირდა მარადიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ახალგაზრდა წყვილი. ამ ახალგაზრდების მიზანია შეიქმნან ნორმალიზებული სასიცოცხლო სივრცე, გახდნენ მათივე ცხოვრების ავტორები და წრფელ სიყვარულზე დააფუძნონ საკუთარი მომავალი.

ახალგაზრდა წყვილის პრობლემების პარალელურად, ტყეში განვითარებული მოქმედება ასახავს თვითგადარჩენისათვის მებრძოლ ცხოველთა ერთფეროვან ცხოვრების წესსაც, სადაც უმიზნო არსებობისგან თავდახსნის წადილი ტყის ბინადრებშიც რეალობისგან გაქცევაში, ხელოვნებისადმი ტრფიალში ვლინდება.

სპექტაკლში ტრაგიკომიკური ყოფით ტანჯულ არსებებს წარმოსახავს მომღერალ ცხოველთა კვარტეტი. ზურაბ ანთელავას მიერ ფანტაზიითა და იუმორითაა შექმნილი გულუბრყვილო, არცთუ ჯანსაღი მოხუცი დათვი. ძველბიჭურ მანერებსა და სლენგს უხვად ზიარებია შინაგანად დამყოლი ხასიათის ილია მანგაძის „გასვეტებული“ გურული ტურა. ექსცენტრიული და ჭორიკანაა ანი ხურციძის მელა. საკუთარი მოდგმისათვის სრულიად არატრადიციული, მოუხერხებელი და უეშმაკოა ჯაბა ჯანაშიას მგელი. ყოველდღიური სარჩოს ძებნაში ქანცგაცლილი და გაძვალტყავებული ეს უბოროტო არსებები, საგუნდო სიმღერების ფესტივალის სამზადისში ჩართვით იხალისებენ გაუხარელ

დღეებს. მსახიობები ორიგინალური ინტერპრეტაციით ასრულებენ პოპულარულ სიმღერებსა და ვოკალურ ნომრებს სხვადასხვა ოპერიდან.

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა ქართული პროფესიული თეატრის სპექტაკლი იმპროვიზაციის წიაღში იშვა. დრამატურგისეულმა ტექსტმა აქ მოდერნიზება განიცადა და ის, თანამედროვე პრობლემებითაა გადავსებული. დადგმაში მსახიობები ზღაპრის მეშვეობით ,,საუბრობენ" ამჟამინდელ სინამდვილეზე, კიცხავენ ძალაუფლების მიტაცების მცდელობას, უმეცრებას, ფარისევლობასა და პროვინციალიზმს.

გაავებულ დედინაცვალს გამოქცეული და ტყეში დასახლებული ბაჩო გურგენიძის ობოლი ჭინჭრაქა, ტყეში სრულიად შემთხვევით ხვდება ოთარ ბელთაძის ვაზირის ვერაგი ხრიკებით განწირულ მარი კალატოზიშვილის მეფის ასულ მზიას. მარი კალატოზიშვილი სცენაზე ქმნის თანამედროვე თინეიჯერის სახეს, თამაშობს გულუბრყვილო, კეთილ, მიმნდობ, უსაზღვროდ კეკლუცსა და მხიარულ გოგონას. ოთარ ბელთაძის მიერ განსახიერებული ხარბი ვეზირის თაღლითური მანიპულაციებით გაპარტახებული სამეფო სახლის უმწეო შთამომავალი, განგების ნებითა და კეთილი ბაჩო გურგენიძის ჭინჭრაქას დახმარებით ახერხებს მრავალი დაბრკოლების გადალახვას. ბოროტისა და კეთილის მარადიული და უთანასწორო ჭიდილი კი დადგმაშიც, ისევე როგორც ცხოვრებაში, რთულად, მაგრამ მაინც, სიკეთის გამარჯვებით მთავრდება.

მრავალგვარი საბრძოლო იარაღით აღჭურვილი, მარად ძალმომრეობასა და განცხრომაზე ორიენტირებული ლეონიდე გულუას ჭირვეული დევის თვითნებობისაგან გაბეზრებული, ქანცგაცლილი ლაშა ჯოხაძის მოხუცი ქოსა-მრჩეველის ანგარებიანი კავშირის წინააღმდეგ ახალგაზრდების თავგანწირული ბრძოლა, საზრიანი წყვილის არა მარტო ტრიუმფალური წარმატებით, არამედ მზარდი სიყვარულით სრულდება.

ლეონიდე გულუას მიერ შექმნილი ახალგაზრდა დევის სიმშვიდის დაცვისათვის გარჯილი ოთარ არონიას, გიორგი გულუას, ლაშა გაბრიჭიძის, თორნიკე სულაბერიძის შუბოსნები, აგრეთვე მარი ბენდიანიშვილის, ნინო ბულგადაროვას, ნატა მიქაიას, ია მგალობლიშვილის, ანი ოქრუაშვილის, თამარ ჯაჭვლიანის მოცეკვავე ტყვე გოგონების მონური მორჩილებით აღბეჭდილი ცხოვრების წესი კი, მხოლოდ პირად კომფორტზე ორიენტირებული უმადური ბატონის მიერ ხელქვეითთა ხვედრისადმი სრული გულგრილობის ტრადიციულ ფინალს გვთავაზობს.

მიხეილ თუმანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე 1963 წელს განხორციელებული დადგმის შემდგომ, გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა" სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფისათვის დღემდე რჩება თეატრის შემოქმედებითი ზრდის წარმოსაჩენ ტესტად. ურთულეს შემოქმედებით გარემოში მოქმედი სოხუმის მოზარდ მაყურებელთა ქართული პროფესიული თეატრის მსახიობებმა ამ დადგმაში შეძლეს ეჩვენებინათ თავიანთი მზარდი საშემსრულებლო ხელოვნება.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ლიტერატურული თეატრი

ოთარაანთ ქვრივი

სპექტაკლის დასახელება - ოთარაანთ ქვრივი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ილია ჭავჭავაძე
ინსცენირების ავტორი - ნაირა გელაძე
რეჟისორი - კოტე მჟავია
მხატვარი - მაია სხირტლაძე
მუსიკალური გამფორმებელი - კოტე მჟავია

მოქმედი გმირები და შემსრულებლები:
ოთარაან თქვრივი - ნაირა გელაძე
გიორგი - ნიკოლოზ კვანტალიანი
არჩილი - კოტე მჟავია
კესო - სოფიო ფერაძე
სოსია - ჯაბა სულაკაძე
მოჯამაგირე და პეტრე - ბექა თურმანიძე

პრემიერის გამოშვების თარიღი: 2015 წლის 2 ივნისი
სარეპეტიციო პროცესი გაგრძელდა 28 დღე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლს გამოხმაურება პრესაში არ მოჰყოლია.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

ზაფხულის ღამის სიზმარი

სპექტაკლის დასახელება - ზაფხულის ღამის სიზმარი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
რეჟისორი - გიორგი აფხაზავა
მხატვარი - სოსო იოსელიანი
მუსიკალური გაფორმება - გიორგი აფხაზავა

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 30 ნოემბერი

სარეპეტიციო პერიოდი - 4 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა

გამოხმაურება

თამარ მუქერია

ზაფხულის ღამის სიზმარი

განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს ტექნოლოგიები შეეხო აბსოლუტურად ყველა ასაკის ადამიანს, როგორც პატარა ბავშვებს, ასევე მოზარდებს, მოზრდილებსა და ხანდაზმულებს. ძნელია იცხოვრო ან იმუშავო ჩვენს დროში და ტექნოლოგიური მიღწევა არ შეეხოს შენს საქმეს. ზოგჯერ ვერც კი წარმოგვიდგენია ამა თუ იმ ტექნიკური მოწყობილობის გარეშე, როგორ შეიძლება იარსებო. ბევრი რომ არ ვისაუბროთ ამ თემაზე, ერთი რამ ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მიღწევებმა ბევრი დადებითი შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მას უარყოფითიც მხარეებიც გააჩნია. ბავშვებსა და განსაკუთრებით თინეიჯერებში მეტ ინტერესს იწვევს სპეცეფექტებზე აგებული ვიზუალური ხელოვნება, ამიტომაც უფრო რთული ხდება მოზარდების თეატრით დაინტერესება, სადაც მსგავსი ეფექტები ნაკლებად არის წარმოჩენილი. დაინტერესო ახალგაზრდები, შემოქმედი ადამიანებისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, თუმცა, ჩემი აზრით,ერთგვარი გამოწვევაა, რომ ისეთ თეატრში მოიზიდო თინეიჯერი თაობა, სადაც არც 3D ეფექტებია გამოყენებული და არც დოლბის სისტემის გახმოვანებაა.

რეჟისორმა გიორგი აფხაზავამ და შემოქმედებითმა ლაბორატორია „ART LAB“-მა ორ კვირაში შეძლო ასეთი მიზნის დასახვა დაესახებინა და მიღწევა. მოსწავლეთა და ახალგაზრდობის სასახლეში არსებობს თეატრალური წრე,

რომელიც საკმაოდ დიდი ხანია აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. თეატრალურმა წრემ არაერთი ხელოვანი გაზარდა და ის დღესაც ჩართულია სასწავლო პროცესში.

შემოქმედებით ჯგუფს სპექტაკლის დასადგმელად ორი კვირა ჰქონდა. ეს ძალიან მცირე დროა, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება, რომლებიც ჯერ არ ეუფლებიან სასცენო ხელოვნებას პროფესიონალურ დონეზე და ასევე უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენდა ის ნაწარმოები, რომელიც მათ უნდა დაედგათ, ეს იყო უ. შექსპირის კომედია „ზაფხულის ღამის სიზმარი“.

რეჟისორი შეეცადა ბავშვებისთვის შექსპირის კომედია ადვილი აღსაქმელი და მისაღები ყოფილიყო, ამიტომაც მსახიობების შესრულების მანერა, სასცენო მეტყველება და მოძრაობა თანამედროვე, მათი ასაკისათვის დამახასიათებელ სტილში გადაწყვიტა. ამით მან შექსპირის ეპოქა თანამედროვეობასთან დააკავშირა და მოსწავლე-მსახიობებისთვის მეტად მისაღწევი გახადა ყველა ის თემა, რასაც პიესაში ვხვდებით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ერთ-ერთ დარბაზში, სადაც სპექტაკლი დაიდგა, სცენა მცირე მოცულობისაა, რაც ჩვეულებრივია სასწავლო დაწესებულებებში. ცმობილია, რომ რეჟისორისთვის სცენის და სივრცის მოცულობა მთელი სპექტაკლის სტრუქტურას განსაზღვრავს. გ. აფხაზავამ მაქსიმალურად გამოიყენა სცენის სივრცე. დეკორაცია (მხატვარი სოსო იოსელიანი), მხოლოდ აუცილებელ ატრიბუტიკას წარმოადგენდა, რასაც პრაქტიკულად იყენებდნენ მსახიობები.

გ. აფხაზავამ პიესა სპეციალურად ამ დადგმისთვის დაამუშავა და გაითვალისწინა მოზარდების შესაძლებლობანი, რამაც უფრო დინამიკური გახადა წარმოდგენა. მასში დიდ მიზანსცენებს ვერ ნახავდით, რასაც შეეძლო თავად შემსრულებლები დაეღალა, ასევე დიალოგებიც მეტად სხარტი და შესატყვისი იყო მოსწავლე-მსახიობების შესაძლებლობებისა.

ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ახალი თაობა კლასიკას და მითუმეტეს შექსპირის დრამატურგიას ეხება, სწავლობს. მათი დამოკიდებულება ინგლისელი მწერლის მიმართ უფრო ძვირფასი და ღირებული იქნება ამ სპექტაკლში მონაწილეობის შემდეგ, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა.

თავისუფალი თეატრი

ჯულიეტა, ჯულიეტა

სპექტაკლის დასახელება - ჯულიეტა, ჯულიეტა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი და რეჟისორი - იარი იუუტინენი
მხატვარი - იარი იუუტინენი, ლიისა სოფია პონტინენ
მონო სპექტაკლი ანი ალადაშვილის მონაწილეობით

პრემიერის გამოშვების თარიღი – 2014 წლის 20 მარტი
სარეპეტიციო პროცესი - დაახლოებით 1 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
თამარ კამლაძის რეცენზია პორტალზე georgiantheatre.ge

გამოხმაურება

თამარ კამლაძე

ჯულიეტა, ჯულიეტა

ფინელი რეჟისორი, იარი იუუტინენი, საქართველოს ორი თვის წინ ეწვია, სადაც თავისუფალი თეატრის სცენაზე დაიწყო მუშაობა. მონო-სპექტაკლში „ჯულიეტა, ჯულიეტა“ თავისუფალი თეატრის ერთ-ერთი მსახიობი ანი ალადაშვილი თამაშობს. სპექტაკლის შიდა ჩვენება მოწვეული სტუმრებისათვის 20 მარტს, ხოლო პრემიერა - 28 მარტს შედგა. პიესა ერთ მოქმედებადაა და რეალურ ამბავს ეფუძნება, რომელიც თავად რეჟისორმა შექმნა და სასცენო ინტერპრეტირებაც მას ეკუთვნის.

სპექტაკლი ერთ ახალგაზრდა ქალზე მოგვითხრობს, რომელსაც ბანკის დიდი ვალები დაედო, რის გამოც ჭკუიდან გადავიდა და ოჯახის წევრები ამოხოცა.

რეჟისორი ამ სპექტაკლით ქართულ რეალობაში უკვე საკმაოდ ცნობილ, სცენისათვის კი ჯერ ახალ პრობლემას ეხება. ქართულ სათეატრო სივრცეში ერთგვარად ახალი მოვლენაა სცენაზე მსგავსი პრობლემის წამოჭრა, როგორიცაა: ბანკის კრედიტებით, ვალებით, გადასახადებით შეწუხებული ადამიანი, რომელიც ფატალურ შედეგამდე მიდის. დღეს, რეალურად, მსგავსი პრობლემა საქართველოში ყოველ მეორე მოქალაქეს აქვს, თუმცა რაღაცნაირად ეს საკითხი ასე გლობალური სიმწვავის ფაზაში, საბედნიეროდ, ჯერ არ არის შესული, განსხვავებით იმისა, რაც აღნიშნულ სპექტაკლში ხდება.

სპექტაკლის დასაწყისში ჩაბნელებულ სცენაზე მხოლოდ ერთ განათებულ

წერტილს ვხედავთ, რომლის ცენტრშიც პატარა მწვანე ხალიჩაზე სათამაშო სახლი დგას. სიბნელეში თოფის გასროლის ხმა ისმის, შემდეგ კი სატელეფონო ზარი პოლიციაში, კაცი ატყობინებს პოლიციას, რომ მის მეზობლად სროლის ხმა გაიგო და მგონი იქ რაღაც ცუდი ხდება. გვესმის პოლიციის სახლში შევარდნის ხმა, რომელიც შემზარავი სურათის მოწმე ხდება.

რეჟისორს სპექტაკლის ფინალამდე გამოგონილი ამბით მივყავართ, შექსპირისეული გმირების სასიყვარულო ისტორიით. ჯულიეტა, რომელსაც უყვარდება რაიმო (იგივე რომეო), ისინი ქორწინდებიან, რის შემდეგაც პრობლემები იწყება. რაიმო სამსახურს კარგავს, ჯულიეტა მთელი ოჯახის ფინანსურ განმკარგველობას საკუთარ თავზე იღებს. ის მიდის და ბანკში აკეთებს კრედიტს, რათა საოცნებო სახლი შეიძინონ, თუმცა ჯულიეტას უკვე აქვს მანამდე სწავლის კრედიტი აღებული, რომელიც არ დაუფარავს. ბანკის თანამშრომელს ამ ამბავს უმალავს, რადგან უარი არ მიიღოს მისგან ახალ კრედიტზე და არ დაკარგოს სასურველი სახლი. რაიმოს და ჯულიეტას ორი შვილი უჩნდებათ. მათი შემოსავალი ვეღარ სწვდება ყველაფერს, ეს კი დიდ პრობლემებს წარმოშობს. დადგა საშიშროება იმ დღის გათენებისა, როდესაც ყველაფერი დამთავრდება და მათ საოცნებო ბინასაც გაუყიდიან. დილამდე ფული უნდა იშოვონ კრედიტის გადასახდელად, თუმცა ეს შეუძლებელია. ჯულიეტა წუხს, რომ მან ოჯახის მმართველობა საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ ვერ შეძლო და დაღუპა ისინი. მას გათენების მოახლოების ეშინია, ეს ის საბედისწერო დილა იქნება, როდესაც ყველაფერს დაკარგავს. ქმარს და მის ორ შვილს საძინებლებში მშვიდად სძინავთ, მათ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არ იციან. და აი, მზის სხივიც, ჭოტის ხმა, რომელიც გათენებას გვამცნობენ. ჯულიეტას ფსიქიკა ამ ყველაფერს ვეღარ უძლებს, ის ჭკუიდან იშლება, როდესაც ხედავს დაგროვილ ქვითრებს, ჩეკებს, გაზის, დენის, ბინის გადასახადებს. ჯულიეტა იღებს თოფს, ფრთხილად შედის შვილების საძინებელ ოთახში, სადაც მის ორ მცირეწლოვან შვილს სძინავს და...

სწორედ აქ, ამ კულმინაციურ მომენტში, რეჟისორი ძალზე საინტერესო, ერთგვარ ექსპერიმენტულ ხერხს მიმართავს. საძინებელში თოფით ხელში მდგარი ჯულიეტა უკან ბრუნდება და პირდაპირი მნიშვნელობით სპექტაკლს აჩერებს. გამნათებელს მიმართავს, რომ შუქი აუნთოს და ის სცენიდან მოგვმართავს უკვე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი-მთხრობელი, რომელიც არ განასახიერებს არანაირ პერსონაჟს და ნეიტრალური ემოციით მოგვითხრობს,რა მოხდა შემდეგ. ის გვატყობინებს, რომ აქ მთავრდება გამოგონილი ამბავი და იწყება რეალობა. რომ შემდეგ ეს ქალი შევა შვილებთან, მერე ქმართან, მოკლავს მათ და საბოლოო გასროლას თვითმკვლელობის ფაქტი მოჰყვება. დედის მიერ ამგვარი საქციელი შედარებულია დედალ კატასთან, რომელიც საკუთარ კნუტებს ჭამს, როდესაც საფრთხის მოახლოებას გრძნობს. ჯულიეტამაც თითქოს საფრთხეს და საშიშროებას ააცდინა საკუთარი ოჯახი, ტანჯვისათვის ვერ გაიმეტა და ეს ამბავი ასე სავალალოდ დაასრულა.

სპექტაკლი თავისი სპეციფიკით, ერთი მსახიობის მიერ შესრულებული რამდენიმე როლით, პარალელს გვივლებს გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლთან

„სათამაშო პისტოლეტი“, სადაც ასევე მსახიობი ანი ალადაშვილი (და გიორგი აბაშიძე) თამაშობს. ორივე სპექტაკლში ვხვდებით, მსახიობის მიერ განსახიერებულ ჯერ მოზარდ გოგონას, შემდეგ კი გათხოვილ, შვილებიან ქალბატონს, პერსონაჟების ცვლის შესაბამისად ის სცენაზე კოსტიუმებს იცვლის. სპექტაკლში „ჯულიეტა, ჯულიეტა“ მსახიობს ასევე დამატებული აქვს რამდენიმე სხვა ქალისა და მამაკაცის პერსონაჟი. კიდევ ერთი მსგავსება ამ სპექტაკლისა „სათამაშო პისტოლეტთან“ არის მოზარდი გოგონას ერთგვარი კომიკურ-ბავშვური პრობლება, რომ მას არ ეზრდება მკედი, ოჯახის წევრები კი ამშვიდებენ, რომ მას აუცილებლად გაეზრდება.

რაში მდგომარეობს მონო-სპექტაკლის სირთულე, როგორც რეჟისურაში, ასევე მსახიობთან. მსახიობმა და რეჟისორმა ერთიანი ძალებით უნდა მიაღწიონ იმას, რომ სპექტაკლი მაყურებლისათვის მოსაწყენი არ გახდეს. რადგანაც მონო-სპექტაკლში ერთი მსახიობი თამაშობს, ამის დიდი საშიშროებაა. სპექტაკლი რაც შეიძლება მეტი მოძრაობით უნდა დაიტვირთოს, გამდიდრდეს ეფექტებით, საინტერესო ამბით და ა. შ. „ჯულიეტასთან“ მოქმედების საშუალებას, რომელსაც მსახიობთან ვერ ვხვდებით, დეკორაციაც არ იძლევა, რადგან ის მხოლოდ სხვადასხვა ზომის მუყაოს ყუთის რამდენიმე გროვისაგან შედგება. დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ მაყურებელი არ მოწყდეს ამბავს და სპექტაკლიდან არ ამოვარდეს. სპექტაკლი „ჯულიეტა, ჯულიეტა“ ბადებს იმის მოთხოვნილებას, რომ სანახაობრივად უფრო დატვირთული იყოს. აქ ვერბალურ ნაწილს ზედმეტად მეტი დრო ეთმობა, ნაცლად იმისა, რომ ეს მოქმედებაში გადანაწილდეს. მსახიობი ამბავს ხან სკამზე შემომჯდარი, ხან სცენაზე წამოწოლილი, ხანაც კი სცენის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადაადგილებისას გვიყვება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპექტაკლის ყველაზე დიდი ღირსება ამბავია, რომელიც ასე თუ ისე იჭერს მაყურებელს და იწვევს მასში დაინტერესებას.

მსახიობი ანი ალადაშვილი დიდი მონდომებითა და შემართებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ის განასახიერებს რამდენიმე სრულიად რადიკალურ პერსონაჟს: ნორჩი ჯულიეტა, ექსცენტრიული დედა და ლოთი მამა ჯულიეტასი, მოსიყვარულე რაიმო, ბანკის მაცდური თანამშრომელი ქალი...

სპექტაკლში გამოყენებულია პროექცია, თეთრი ზეწრით შექმნილი ერთგვარი ეკრანი, სადაც სპექტაკლის მსვლელობის დროს, რამდენჯერმე უჩვენებს კონკრეტული მოვლენის შესაბამის კადრებს. ფინალში კვლავ შემოდის პროექცია, სადაც ლუი არმსტრონგის სიმღერის „What a Wonderful World” ფონზე ვხედავთ ფინანსებისა და სახლ-კარის გარეშე დარჩენილ ადამიანებს. ეკრანზე ასევე ჩანს ქუჩის პროსტიტუციის, მათხოვრობის, ექსპლუატაციის კადრები. ეს არის ფინალი, ერთგვარი ირონიული დამოკიდებულებით ცხოვრებისადმი. ძალზე ოპტიმისტურ სიმღერაზე დადებული მძიმე კადრები.

რეჟისორმა იარი იუუტინენმა სცენიდან უდავოდ ახალი სიტყვა სთქვა, რომელიც აბსოლუტური სიახლე იყო ქართული სათეატრო სივრცისათვის. ეს პრობლემა, ალბათ, უფრო, რეჟისორის ქვეყანაში, ფინეთში, ბევრად მწვავედ

დგას. საქართველოში კი,საბედნიეროდ,ბანკის ვალების გამო, მსგავს ფატალურ შედეგებს ძალზე იშვიათად შევხვდებით. რადგან ქართული ოჯახები ასე თუ ისე მჭიდრო დამოკიდებულებით და სიმყარით გამოირჩევიან, სადაც ოჯახის წევრები ერთდროულად ცდილობენ გამოსავლის მოძებნას და მუშაობენ თავდაუზოგავად ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

სპექტაკლი ერთ დიდი კითხვაზე პასუხს ითხოვს, რომელიც ბ. ბრეხტის ფრაზით ჟღერს: ,,რომელი უფრო დიდი დანაშაულია: ბანკის გაძარცვა, თუ მისი დაარსება?!"

რა დროს შექსპირია

სპექტაკლის დასახელება - რა დროს შექსპირია

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ალბერტ რამსდელ-ჰენრის პიესის ,,სილვია" მიხედვით
მთარგმნელი - ნინო სადღობელაშვილი
რეჟისორი - იოანე ხუციშვილი
მხატვარი - თეო კუხიანიძე
მუსიკალური გაფორმება - გიორგი ჯიქია
მონაწილეობენ: თამარ ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, მაია ხორნაული, თიკო კორძაძე, გიორგი ჯიქია

პრემიერის გამოშვების თარიღი – 2015 წლის 4 აპრილი
სარეპეტიციო პროცესი - დაახლოებით 2 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა

გამოხმაურება

ლელა ოჩიაური
სიყვარულისა და უსიყვარულობის ამბავი კაცთა და... ძაღლთა

თავისუფალი თეატრი - ალბერტ რამსდელ ჰენრი უმცროსის ,,სილვია" - ,,რა დროს შექსპირია" (თარგმნა ნინო სადღობელაშვილმა) - რეჟისორი იოანე ხუციშვილი. ქალაქ თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის დაფინანსებით. სპექტაკლი იმ მთავარის შესახებ, რასაც ადამიანები თანდათან კარგავენ და რაც ყველაზე მეტად სჭირდებათ. კარგავენ, შეიძლება, დროსთან ერთად – დღეს. ან ასაკის გამო, როდესაც ბევრ რამეს, მათ შორის, გრძნობებს ძალა გასდით და ჩვეულებრივდებიან. მსუბუქი იუმორითა და თბილი

სევდით გაჯერებული „ამბავი კაცთა და...“ ძაღლთა. რეჟისურის, სამსახიობო ოსტატობის ერთიანობა. ამბავი, რომელიც, თუ ყურს დავუგდებთ და გულთან მივიტანთ, ოდნავ უკეთესებს გაგვხდის.

მხატვარი – თეო კუხიანიძე, მუსიკა – გიორგი ჯიქია, არანჟირება – ლევან მიქელაძე, რეჟისორის ასისტენტი – თამუნა კამლაძე, მხატვარ-გამნათებელი – ვაჟა მაისურაძე, ხმის ოპერატორი – თამუნა სვანიძე. მონაწილეობენ: ძაღლი – სილვია – თამუნა ნიკოლაძე, გრეგი - გიორგი ზანგური, ფილისი – თინათინ კორძაძე, ქეითი – მაიკო ხორნაული, ტომი – გიორგი ჯიქია – სულ ესაა ამ, სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული სპექტაკლის დამდგმელი და მონაწილე ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ პატარა სივრცეში საინტერესო შემოქმედებითმა ძალებმა მოიყარეს თავი და რომ აქ აქცენტი სამსახიობო ანსამბლსა და რეჟისორულ თავისთავადობაზე კეთდება. ახალი დრამატურგიის აღმოჩენაზე, ახალი შესაძლებლობების გამოცდაზე მსახიობებისა და რეჟისორებისთვის. თავისუფალ ესპერიმენტებზე თავისუფალ თეატრში.

ალბერტ რამსდელ ჰენრი – ამერიკელი დრამატურგი, 30 პიესის, 3 რომანისა და რამდენიმე ნოველის ცნობილი ავტორი, რომელიც ქართულ თეატრში პირველად თემურ ჩხეიძის „სასიყვარულო ბარათებით“ გამოჩნდა. იოანე ხუციშვილის დადგმა მისი მეორე გაცნობაა საქართველოში. სპექტაკლი (როგორც პიესა) აქტიურად ცდილობს გაარღვიოს უხეში გარსი, რომელიც მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანებს ერთმანეთის აღარ ესმით და სურვილიც აღარ აქვთ – მოუსმინონ და გაუგონ ერთმანეთს. იფიქრონ, რა აწუხებთ თუ ახარებთ, ვინც გვერდითაა და დაფიქრდნენ – რა სჭირდება მას, ვისაც და ვისიც ოდესღაც კარგად ესმოდათ.

სპექტაკლის ჟანრი კომედიიდან, სიტუაციური კომედიიდან დრამამდე, მელოდრამამდეც მერყეობს. მთავარი და გამოკვეთილი მაინც დრამაა, რომელიც ადამიანებს თავს ატყდებათ, რადგან თვითონ იწვევენ ბზარებსა და ნაპრალებს ურთიერთობებში, უგულობას ადამიანების მიმართ და გულგრილობას, რომელიც ყველაფერს – ყველა სხვა გრძნობასა და განწყობას ჯობნის. სხვა დანარჩენი – პერსონაჟები, ხასიათები, ქცევა, დიალოგები, ეპიზოდები – ექსპრესიული, დატვირთული, ქმედითი – ამბის თხრობის საშუალებებია, რომლებიც ხაზს უსვამენ და ლოგიკურ საფუძველს უდებენ სანახევროდ ზღაპრულ ისტორიას. ძაღლისა და ადამიანების საბედისწერო შეხვედრის შესახებ.

ნამდვილი ურთიერთობები და დამოკიდებულებები მეორე პლანზეა გადატანილი და მათ ნაცვლად უკონტაქტობისა და უნიადაგობის ბარიერია აღმართული, რომლის დაძლევაც ძაღლის მეშვეობით ხდება შესაძლებელი.

თამუნა ნიკოლაძის – ძაღლი – რომელსაც ადამიანის თვისებები აქვს და მასზე უფრო ძლიერიც (როგორც ძაღლებს საერთოდ) გაადამიანურებულია და ლაპარაკთან და აზროვნებასთან ერთად უფრო დიდი ერთგულება და სიყვარული შეუძლია, ვიდრე ადამიანს. და მსახიობი აჯერებს მაყურებელს, რომ მოლაპარაკე ძაღლებიც შეიძლება არსებობდნენ და მათი საუბრისა და ფიქრების გაგება ყველას თავისუფლად შეუძლია.

მაწანწალა მიუსაფარი ძაღლი – სილვია (რომელიც ძველმა პატრონმა მიატოვა) – პატრონს – მეგობარს ეძებს, იპოვის კიდეც და ქეითისა და გრეგის (მაიკო ხორნაულისა და გიორგი ზანგურის შთამბეჭდავი, მრავალწახნაგა დუეტი) – ოჯახში აღმოჩნდება.

მოვლენების ცენტრში შუა ასაკის ოჯახური წყვილის (საერთოდ, შუა ასაკი დრამატურგის ერთ-ერთი მთავარი თემაა, იგივე „სასიყვარულო ბარათები“, „ბებერი ბიჭი“ თუ პირდაპირი სახელწოდების „შუა ასაკი“ სწორედ ამ საკითხის გარშემო ტრიალებენ), ე.წ. გზაჯვარედინზე მყოფი ცოლ-ქმრის პრობლემაა, რომელიც არც თუ იშვიათად მეორდება, ყველგან და ყოველთვის. ცოლი მთლიანად საქმეშია ჩაფლული და სხვა აღარაფრისთვის სცალია. აღარაფერი აღელვებს. შექსპირის გარდა. რეალობა შეცვლილია და მეორადადაა ქცეული. ქმარს მარტოობა და უყურადღებობა აწუხებს.

ამ საზოგადოებაში შექსპირის – რომლისთვისაც მთავარი სწორედ ადამიანების ურთიერთობები, მძაფრი ვნებები, გრძნობებისა და მიზნების სიმწვავე ცხოვრების მთავარი მოტივაციაა – და რომლის პერსონით ქეითი მთლიანადაა მოცული, რაც ცოლ-ქმრის შინაგანი დაშორებისა და გაუცხოების მიზეზად იქცევა – დრო და ადგილი აღარაა.

კედელზე პატარა დაფაა მიკრული, უილიამ შექსპირის პორტრეტითა და წარწერით – „ყოფნა - არყოფნა. საკითხავი აი, ეს არის“. ჰამლეტის ეს ციტატა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ყოფიერების ამაოებას, როდესაც სამყარო საპყრობილედ იქცევა და სიტყვები შინაარსს კარგავენ, რადგან მათი გაგება აღარავის შეუძლია.

სილვია მაშინ ევლინება – ხვდება გრეგს, როდესაც ყველაზე მეტად უჭირს და უცნაური წყვილის მეგობრობა და პირველ რიგში, ძაღლი, თავისი თვისებებითა და სიყვარულის დაჟინებული მოთხოვნილებით, ყველა გარშემომყოფზე ახდენს გავლენას.

იოანე ხუციშვილის სპექტაკლი, სიტუაციის აბსურდულობის მიუხედავად, ცხოვრების ცოცხალ მეტაფორად იკითხება. რეჟისორის გამოყენებული თამაშის წესები, პირობითობა, კომედიურობა, გროტესკი არსებულ კონფლიქტს არა თუ ასუსტებს, უფრო შთამბეჭდავს ხდის. რეჟისორი ყოფით დრამას ფანტასტიკურ და განზოგადებულ ელფერს აძლევს, როდესაც ძაღლს ალაპარაკებს და ადამიანურ თვისებებს ანიჭებს. მაგრამ ძაღლის ბედი მაყურებელს ადამიანისაზე არანაკლებ აღელვებს და თანაგრძნობით ავსებს.

„რა დროს შექსპირია“ საზოგადოებაში და არა მხოლოდ ოჯახებში არსებულ პრობლემებზეა. საზოგადოებში, რომელმაც დაკარგა ცხოვრების ცოცხალი შეგრძნება, ფასეულობები ფსევდოღირებულებებით შეცვალა და ამისთვის დაისაჯა. ნამდვილი და მნიშვნელოვანი ეფემერულია, მოუხელთებელი, რადგან თვითონ ადამიანებმა შექმნეს ამისთვის ყველა პირობა და მარტო დარჩენის საფრთხე დაემუქრათ. ჯილდოს კი მოთმინებისა და თანადგომისთვის იღებს ის, ვინც ამტანი იყო, ვისაც სიყვარულის არ შეეშინდა.

თამარ კამლაძე

რა დროს შექსპირია; გვიყვარდეს ერთმანეთი

სიყვარული – ეს არის ცხოვრებაში მთავარი, ეს არის ერთადერთი მიზეზი ჩვენი ყოფიერების. სწორედ ამ მიზეზით დადგა ვანო ხუციშვილმა თავისი სპექტაკლი „რა დროს შექსპირია“.

მძიმე, ფსიქოლოგიური დრამებით ცნობილი რეჟისორი, პირველად თავისი შემოქმედების მანძილზე კომედიაზე მუშაობს. უფრო ზუსტად, საზოგადოება ამ სპექტაკლს შავი კომედიით მოიხსენიებს, მე კი – ფსიქო კომედიის ჟანრს უფრო მივაკუთვნებდი.

ამერიკელი დრამატურგის ალბერტ რამსდელ ჰენრის პიესაში სახელწოდებით „სილვია“, რეჟისორმა რამდენიმე დრამატურგიული ცვლილება შეიტანა (მათ შორის შეიცვალა პიესის სახელწოდებაც) და თავისუფალი თეატრის სცენაზე გააცოცხლა.

ერთი შეხედვით წარმოდგენა ძალზე სახალისო, გასართობი და სანახაობრივია, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ყველაფრის მიღმა, საკმაოდ ღრმა ფსიქოლოგიური სარჩულიც შეგვიძლია ამოვიკითხოთ.

დეკორაცია სრულიად მწვანე ფერშია, რომელიც ერთდროულად პარკის მინდორს და სახლის ინტერიერსაც წარმოადგენს.

ცოლ-ქმრის, გრეგისა და ქეითის ცხოვრება ფრიად მოსაწყენ ფაზაში გადავიდა. მუდამ საქმიანი ქეითი ახალი პროგრამითაა დაკავებული, რომელიც სკოლებში შექსპირის ფრაზების გავრცელებას გულისხმობს. მან მოსწავლეებს შექსპირის ღვთიური ენით საუბარი უნდა ასწავლოს. გრეგს საკმაოდ მოსაწყენი სამუშაო აქვს და ყოველდღიური რუტინა მას ცხოვრების ხალისს უკარგავს. ერთ მშვენიერ დღესაც გრეგი პარკში სეირნობისას დაკარგულ ძაღლს (ის მას სილვიას არქმევს) პოულობს, რომელიც სახლში მოჰყავს და მის დატოვებას აპირებს. მისი ცოლი კი კატეგორიული წინააღმდეგია. ახლა ხომ ძაღლის ყოლის დრო არ არის, ვინ მოუვლის მას, მათ ხომ ათასი საქმე აქვთ. თუმცა გრეგი ცოლს ძაღლის რამდენიმე დღით დატოვებაზე დაითანხმებს. ამ დღიდან გრეგი სამსახურში აღარ დადის, არც ცოლს დაყვება შეხვედრებსა და მეგობრის ოჯახებში სტუმრად, ყურადღებას აღარავის უთმობს, გარდა ძაღლისა. როგორც ჩანს, გრეგი ყველაფერს ცოლის ჯინაზე აკეთებს, ძაღლ სილვიაზე გადამეტებული მზრუნველობით ცოლის განგებ გაღიზიანებასა და წყობიდან გამოყვანას ცდილობს. ქეითი გაგიჟებულია, არ იცის, ქმარს პირვანდელი, ნორმალური ცხოვრება როგორ დაუბრუნოს და ეს აუტანელი ძაღლი, რომელიც ქეითის ნივთებს ერჩის და ანადგურებს, სახლიდან როგორ მოაშოროს. ქეითი ქმარსა და ძაღლზე ეჭვიანობს, ისევე, როგორც ცოლი ქმრის საყვარელზე იეჭვიანებდა. დაახლოებით იგივე პრობლემა აქვს ქეითის მეგობარს — ფილისს, რომელიც მასთან სტუმრად ჩამოდის. მიუხედავად იმისა, რომ ის ბოლო მოდაზე გადაპრანჭული ქალია, შინაგანად მაინც ისეთივე უბრალო ადამიანია და ისეთივე ყოველდღიური ყოფითი პრობლემები აწუხებს,

როგორც ყველას – მისი ქმარი თევზებით ერთობა. აკვარიუმიდან ამოჰყავს და აბაზანაში აცურავებს.

ქეითი ფსიქოლოგთან მისვლას გადაწყვეტს, იქ მისული კი გაარკვევს, რომ ამ ფსიქოლოგთან უკვე ფილისიც ყოფილა. ფსიქოლოგი ქეითს ძაღლის მოკვლას ურჩევს და მის მოსაკლავად იარაღსაც კი მისცემს.

ძაღლი სილვია პარკში სეირნობისას ფსიქოლოგის ძაღლ ბოცმანს გაიცნობს და გაეკიდება. მასზე გრეგი ეჭვიანობას იწყებს. ფსიქოლოგი კი ამშვიდებს და ეუბნება, რომ სილვია მხოლოდ და მხოლოდ ძაღლია და არა ადამიანი. გრეგი სილვიას სტერილიზაციას უკეთებს, რათა ძაღლი დააშოშმინოს.

იმის შემდეგ, რაც ქეითი ძაღლისათვის დაგებულ ხაფანგში თვითონ გამებემა, გადაწყვეტს, იარაღით მოუღოს მას ბოლო. ის იარაღს ხელში ამზადებს, ამ დროს კი სილვია და გრეგი შემოუსწრებენ, მათ გონიათ, რომ ქეითი თავს იკლავს და იარაღს ართმევენ.

საბოლოოდ, ცოლის გამო და იმის გამო, რომ ის მისი შვილების დედაა, გრეგი სილვიას გაჩუქებას და ცოლთან მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენას გადაწყვეტს.

თუმცა ფინალური ამბავი მოულოდნელია. აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმარმა სილვია სახლში დაიტოვა და მასთან ერთად რამდენიმე წელი ბედნიერად ცხოვრობდნენ, სანამ სილვია თავისი სიბერის უკანასკნელ წლებში არ დააძინეს. ისინი ერთმანეთის, სიყვარულის დაფასებას იწყებენ და ცხოვრებას ძაღლთან ერთად შეხმატკბილებულად აგრძელებენ.

ჰენრის პიესაში ძაღლი სილვია წარმოდგენილია, როგორც ქალი. დრამატურგი მას როგორც ქალს, თავისი გარეგნობითა და ჩაცმულობით აღგვიწერს. სპექტაკლშიც მის როლს ქალი მსახიობი (თამუნა ნიკოლაძე) თამაშობს. ხუციშვილის სილვია ნახევრად ქალი და ნახევრად ძაღლია. არ ვიცი, ვინ როგორ ხედავს მას, მაგრამ მე პირადად მას აუცილებლად ქალად აღვიქვამ. ის მაცდუნებელი, ცოტა მსუბუქი ყოფაქცევის ქალიც კია, რომელიც ამ შემთხვევაში ქმრის საყვარელს წარმოადგენს.

ჩვენ გარშემო უამრავი შემთხვევა ხდება და ეს სამწუხარო რეალობაა, რომ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მამაკაცი ხშირად მოღალატედ გვევლინება. ის მიდის სხვა ქალთან, თუნდაც მხოლოდ მრავალფეროვნების მიზნით. როდესაც კაცს ოჯახში ერთი და იგივე ბეზრდება და ცოლიც ისეთივე მიმზიდველი და საინტერესო აღარ არის მისთვის, ის სხვა ქალის, მისი სულიერი მეორე ნახევრის ძებნას იწყებს, რომელიც იმით შეავსებს,რაც მას აკლია: რომანტიზმი, სიახლეები, სიურპრიზები და ა. შ. გრეგს უყვარს ცოლი, ამიტომ სილვია მის ჯინაზე მოჰყავს სახლში, რომ ქეითი გამოაფხიზლოს, მიახვედროს, რომ ამდენი მუშაობა არ შეიძლება და რომ ცხოვრებაში ადამიანური ურთიერთობები ყველაზე მნიშვნელოვანია. ხანდახან მსუბუქი ეჭვიანობა ხომ უკეთ წაადგება ხოლმე საქმეს და მეორე ნახევრის გამოღვიძებას უწყობს ხელს.

წარმოდგენაში ცოლი დიდხანს იბრძვის, ქმარს საყვარელი (ძაღლი სილვია) ჩამოაშოროს, მიმართავს ფსიქოლოგს, რაც დღეს ასე ხშირი და მოდური გახდა. მაგრამ ყველა ფსიქოლოგს როდი შეუძლია ჩვენი დახმარება. ზოგს

თავად ისეთი მოუგვარებელი პრობლემები აქვს, პაციენტს ნამდვილად ვერ დაეხმარება. ჩვენი ნამდვილი ფსიქოლოგები ხომ ჩვენი საყვარელი ადამიანები არიან, ჩვენი მეგობრები, ოჯახის წევრები, ისინი, ვინც გვერდში დაგვიდგება და ჩვენს გასაჭირს გაიზიარებს.

სპექტაკლში წარმოდგენილი ფსიქოლოგი (გიორგი ჯიქია), ჰომოსექსუალია, რაზეც მისი მანერები და საუბრის სტილი მეტყველებს. მისი ძაღლი ბოცმანი შეიძლება მის მეგობარ ბიჭადაც მოვიაზროთ, რომელიც სილვიას მოსწონს და პარკში სულ მის სანახავად მიდის. გამოდის, ბოცმანი ბისექსუალია, მეგობარი ბიჭიც ჰყავს და გოგონებიც იზიდავს.

მთელი ეს ურთიერთობათა აურზაური დღევანდელი საქართველოს დაულაგებელი სოციალური ურთიერთობების ილუსტრაციაა. სადაც ურთიერთობები და ორიენტაციები ასეთი საკამათო და გაუგებარი გახდა. სადაც ოჯახები ერთი მეორის მიყოლებით ინგრევა, რადგან მათ ერთმანეთის არ ესმით.

მსახიობებს განსაკუთრებულად მკვეთრი სახასიათო პერსონაჟები აქვთ შექმნილი. შეიძლება ითქვას, სცენაზე ის მსახიობები დგანან, რომელთაც რეჟისურა გადაფარეს თავიანთი სამსახიობო ოსტატობით და მათი ყოფნა აქ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი გახდა. ეს მსახიობების სპექტაკლია. სახეზე თეთრი გრიმით ისინი თითქოს, არა რეალური ადამიანები, არამედ გარემოების მსხვერპლი მარიონეტები არიან, იქამდე, სანამ ისინი თავიანთ ურთიერთობებს თავად არ დაალაგებენ, არ გაარკვევენ და არ მიიღებენ გარკვეულ ცხოვრებისეულ ცვლილებეს.

თამუნა ნიკოლაძე, რომელიც ძაღლ სილვიას თამაშობს, უბადლო ოსტატობით წარმოგვიდგენს ქალ-ძაღლს. ძაღლის მანერებსა და სახასიათო მეტყველებაში დამალული უბრალო გულწრფელი ადამიანი, რომელსაც მხოლოდ სიყვარული უნდა. მის თვისებებში ნათლად ვხედავთ: ერთგულებას, სიყვარულს, მადლიერებას.

მაია ხორნაული (ქეითი) – ენერგიული ცოლი, რომელიც გამუდმებით საქმეშია ჩაფლული და ყოველი დღე დაგეგმილი აქვს. ის ახლა შექსპირის ფრაზებიანი ტრაფარეტებით დადის, რომ სკოლის პროგრამაში ამ გენიალური მწერლის ფრაზებით ლაპარაკი შეატანინოს. მსახიობი მთელი სპექტაკლის განმავლობაში მაღალი ტემპორიტმითა და ენერგიულობით გამოირჩევა.

გიორგი ზანგური (გრეგი) – ყოველდღიური რუტინით გაბეზრებული ქმარი, რომელსაც სამსახური შეგრძნებებით ვეღარ ავსებს, ამიტომ იწყებს სიახლის ძებნას ცხოვრებაში. მისი ნახვისას ნამდვილად თანაგანცდა მეუფლება, მეცოდება და მესმის მისი, რომ ის დაიღალა, ის რომანტიკული და მგრძნობიარე კაცია და ცხოვრებისგანაც იგივე სურს მიიღოს.

გიორგი ჯიქია (ფსიქოლოგი) – ერთი გაქექილი, მარტყუარა კაცია, რომელიც ფულს თაღლითობით შოულობს თავისი პაციენტების ხარჯზე. მას თავისი არეული ცხოვრება ვერ დაულაგებია და სხვის დახმარებას როგორღა შეძლებს.

საინტერესო პერსონაჟია ფილისი (თინათინ კორძაძე), რომელიც ქეითის

მეგობარია. ის ერთი შეხედვით წარმატებული ქალია, მდიდრულად გამოწყობილი, მხოლოდ „ივენთებზე“ რომ ფიქრობს. ის გარეგნული წარმატებულობით არის შეფუთული, მაგრამ როგორც კი ქეითი თავის გასაჭირს ანდობს, ისიც მაშინვე გატყდება და ცრემლებით ყვება თავის პრობლემებზე.

რეჟისორმა ვანო ხუციშვილმა არაჩვეულებრივად სანახაობრივი, მაღალი დონის კომედია შესთავაზა მაყურებელს, სადაც შეგიძლია მწარედ გაიცინო. სპექტაკლში ყველასათვის ნაცნობი მწვავე რეალობა ჩანს. ჩვენთვის ეს პრობლემები ნაცნობია, მაგრამ ამის პარალელურად რეჟისორი გვახსენებს, რომ გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს, მთავარია, პრობლემის არსს სწორად ჩაწვდე, მაშინ ყველაფერი დალაგდება და ჩვეულ კალაპოტში ჩადგება. ჩვენ უნდა შევეცადოთ გავუგოთ ერთმანეთს, გავითვალისწინოთ ერთმანეთი — ეს არის მთავარი.

სპექაკლის ფინალში, სადაც გრეგი უკვე ცოლთან შერიგებას და სილვიას გაჩუქებას გადაწყვეტს, აღმოჩნდება, რომ ქეითი თანახმაა, სილვია მათთან დარჩეს. ისინი ძაღლს იტოვებენ და ერთად ბედნიერად ცხოვრობენ.

ხანდახან ადამიანები ვერ ვახერხებთ იმის შეცვლას, რაც არ მოგვწონს, ვერ ვერევით იმ პრობლემას, რაც ჩვენ გვერდით არსებობს. შეიძლება მცდელობამ საერთოდაც უკან წაიყვანოს საქმე. ამიტომ ხანდახან საჭიროა, პრობლემას კი არ ებრძოლო, ისწავლო მასთან ერთად ცხოვრება. ვიყოთ ბედნიერები, გავუგოთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთმანეთი — აი ეს არის მთავარი...

ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს

სპექტაკლის დასახელება - ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს
სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - მაკოი ხორასი
პიესის ავტორი და რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი
მხატვარი - შოთა ბაგალიშვილი
კოსტიუმების მხატვარი - თეო კუხიანიძე
ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე
Koka&T.Blues Mob - კოკა ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით

მონაწილეობენ: ჯაბა კილაძე, სალომე ჭულუხაძე, მამუკა მუმლაძე, ანი ალადაშვილი, ლაშა გურგენიძე, ოთო ლორთქიფანიძე (დუბლი), მარიამ ნადირაძე, გიორგი ზანგური, ქეთა ლორთქიფანიძე, გიორგი ჯიქია, თიკო კორძაძე, მაია დობორჯგინიძე (დუბლი)

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 24 სექტემბერი
სარეპეტიციო პროცესი - დაახლოებით 3 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
ლაშა ჩხარტიშვილის რეცენზია პორტალზე artareatv.ge

გამოხმაურება

ნერონ აბულაძე

ქანცგაწყვეტილი ცხენები თავისუფალ თეატრში

„პოსტმოდერნისტულ რეალობაში, მაშინ როცა ტელევიზიებმა და მასმედიამ ტექნოლოგიური ხელოვნების ნიმუშებით დაიპყრო რეალობა, კულტურაც სავაჭრო პროდუქციად იქცა, რადგან კულტურა აღარ განისაზღვრება მისი ტრადიციისა და ექსპერიმენტული ფორმების მიხედვით, არამედ გამოიყენება მომხმარებლური სამყაროს ყოველდღიური მოთხოვნილების შესაბამისად“ - ფრედრიკ ჯეიმსონი

მიმდინარე წლის თეატრალურ სეზონზე თავისუფალი თეატრის გასწვრივ, სათანადოდ დამაგრებულ ბანერებს კიდევ ერთი, მორიგი სპექტაკლის აღმნიშვნელი ბანერი დაემატა. „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს“ - კითხულობს გამვლელი და ან ჩერდება, ან გზას აგრძელებს, თავისი ესთეტიკური მოთხოვნილებებისა თუ ინტერესთა სფეროს შესაბამისად. მეტ-ნაკლებად ინტელექტუალი გამვლელისათვის შესაძლოა მაკოი ხორასის რომანი არ იყოს ნაცნობი, მაგრამ დიდი ვარაუდით სიდნი პოლაკის ფილმი – „ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხოცავენ, ხომ მართალია?“ – ექნება ნანახი. ვინც ეჭვნარევი ინტერესით იდენტური პარალელების დაძებნა-დაკავშირებას შეეცდება, არა მგონია საინტერესო დასკვნა გამოუვიდეს. საქმე სულ სხვა მოცემულობასა და შედეგთან გვაქვს. ხელოვნების ისტორიაში კონკრეტული ამბის, მითის, ლეგენდის, თემისა თუ იდეებისგან იქმნებოდა ინტერპრეტაციათა უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე მყარად კრავს მსოფლიო ცივილიზაციას. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა დამოუკიდებელი, ზედმიწევნით ქართული დრამატურგიული საფუძველი და ტკივილიანი, დამანგრეველი სინამდვილე. როგორც პიესის, ისე თეატრალური ინტერპრეტაციის ავტორი ავთანდილ ვარსიმაშვილი კიდევ ერთხელ მწარედ გვაფიქრებს ჩვენს თანამედროვეობაზე, ყოველდღიურ ყოფაზე... ამჯერადაც გახსნილად – ყოველგვარი „პირდაპირი თუ ირიბი დამატების“ გარეშე.

ბოლო პერიოდში თავისუფალ თეატრში ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ განხორციელებულ სპექტაკლთა გარკვეული ნაწილი ცნობილი ფილმებისა თუ რომანების მოტივებზე შეიქმნა. ისევე როგორც წინა შემთხვევებში, ამჯერადაც მაკოი ხორასის რომანი წარმოადგენს ერთგვარ ზოგად ქარგას, გარკვეულ რეფლექსს რომელზედაც რეჟისორის დამოუკიდებელი არქიტექტონიკა შენდება. თანამედროვე სატელევიზიო სივრცე, კარგად დაანონსებული შოუ და მონაწილეთა ძირითადი ინტერესი, რაც მოგების შემთხვევაში 100000 ლარს გულისხმობს. ოთხ მონაწილე წყვილში მოცემული რთულად დიფერენცირებული საზოგადოების კრებითი სახე. სხარტი, მოქნილი დიალოგი, მიზანსცენების თანმიმდევრულ - სინქრონული მონაცვლეობა, კომპოზიციური წყობა და მხატვრული სტრუქტურა ლოგიკურად ერწყმის ერთმანეთს. ორი მოქმედების განმავლობაში მონათხრობი ამბები იმდენად რეალური, ნამდვილი

და განცდილია, რომ ზღვარი მაყურებელსა და სცენას შორის საერთოდ ქრება. სცენა წარმოდგენილია (მხატვარი შოთა ბაგალიშვილი) როგორც სატელევიზიო სტუდია, სადაც ვითარდება მოქმედება. მიღმა დანაწევრებული, სარკეებით გარშემორტყმული, სიმბოლურად საჯინიბოებს დამსგავსებული ოთხი მცირე სივრცე - შოუში მონაწილე წყვილებისათვის გამიჯნული სამყოფელი. სცენის თავზე გრძლივი ეკრანი. სარკე ერთიანად ირეკლავს მსახიობსაც და მაყურებელსაც. ეკრანზე მთელი შოუს განმავლობაში უწყვეტად ვხედავთ მონაწილეთა დეტალურ, პროფილურ, საშუალო თუ ახლო კადრებს. აქ ყველაფერი ერთ სივრცეშია მოქცეული, ყველანი თანაბარ განზომილებაში ვიმყოფებით... ყველას ერთი რეიტონგული შოუ გვაერთიანებს.

როგორც აღვნიშნეთ რეჟისორი მწვავე სოციალურ რეალობას ოთხი წყვილის ბიოგრაფიებში აერთიანებს. ამათგან ოთო (გიორგი ქაჟაია) და ნინი (ქეთა ლორთქიფანიძე) შოუში მონაწილეობისათვის თურქეთიდან ბრუნდებიან, სადაც უმაქნის ქმარს და ფეხმძიმე ცოლს აუტანელ ყოფაში უწევდათ თავის გატანა. ელენე (მარიამ ნადირაძე)- ბაბუსთან (გიორგი ზანგური) ერთად გამოცხადდა შესარჩევ კონკურსზე. ეს ის ბაბუა, რომლის გამოც ელენეს მამა ნაღმს გადაეფარა და სიცოცხლე შეუნარჩუნა. მათი მიზანი დაღუპული მამის აფხაზეთიდან ჩამოსვენებაა და სწორედ ამ მიზნით აპირებენ შოუს მოგებას. ლუკას (ოთო ლორთქიფანიძე) სკოლის მერხიდან უყვარდა მეგი (ანი ალადაშვილი), მაგრამ ეს უკანასკნელი გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო მეძავობის გზას დაადგა. ამჯერადაც ბიჭი ცდილობს პირველი სიყვარულის დაბრუნებას და ამიტომაც დათანხმდა ყოფილიყო მისი მეწყვილე. მეგი ასე არ ფიქრობს... იმედი აქვს, რომ რომელიმე ფულიან მამაკაცს ან მინისტრს მოეწონება და იქნება მისი, თუნდაც მუდმივი საყვარელი. ნატა (სალომე ჭულუხაძე) ახლახანს გამოვიდა ციხიდან, რთული ბავშვობა ჰქონდა და ცდილობს მოგებული ფულით ახალი ცხოვრება დაიწყოს. სამაგიეროდ, რობი არ ყოფილა ციხეში, მაგრამ ჭიათურიდან უმუშევრობას გამოექცა და ნებსით თუ უნებლიედ ჩაერთო ამ ფერხულში. შოუში კი მხოლოდ ერთი წყვილი იმარჯვებს, შესაბამისად, შეჯიბრიც მკაცრ კანონებს ექვემდებარება. შოუს არაორდინალური მონსტრი, წამყვანი და ორგანიზატორი (ჯაბა კილაძე) ხელმძღვანელობს.

სპექტაკლი ორი მოქმედებად იყოფა და დაახლოებით სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობს. მაყურებელის წარმოდგენლ ამბავთან სრული იდენტიფიკაცია ერთიანად აქრობს დროის შეგრძნებას. პირველი მოქმედება მთლიანად საექსპოზიციო ნაწილს მოიცავს. საწყის ეტაპზე ოთხივე წყვილი სინქრონულად, თუმცა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებს. განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდება ამბავთა წყება...ყოფითი სინამდვილისგან წარმოქმნილი ფსიქოლოგიური კონრასტები აძლიერებს შინაგანი დაძაბულობის ველს. პერმანენტულად იხსნება ტელე-სტუდიის ოთხი სივრცისა თუ სიმბოლური საჯინიბოს კარი და სიუჟეტური თანმიმდევრობის შესაბამისად კონკრეტული წყვილი თავის ამბავს ყვება. კონკურსის პირობების შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება პირდაპირი ჩართვები, შოუ ეკრანზე

და შოუ დარბაზში. მეორე მოქმედებაში რეჟისორი პროპორციას არღვევს. ინდივიდუალური ხასიათები ჯგუფურ პორტრეტებად ყალიბდება. მატულობს ემოციური სიმძაფრე, დაძაბულობა პიკს აღწევს, კონკურსს ნელ-ნელა ეთიშებიან „დავარდნილი“ მონაწილეები და შოუც ფინალს უახლოვდება. კვანძი იხსნება, მთელი სიმწვავით წინა პლანზე იწევს მძიმე სოციალური ყოფა, მაყურებლისადმი გამიზნული ყოველი ფრაზა შიშველი, პირდაპირი და დაუნდობელია. რეჟისორი საფინალოს სცენაშიც არ გვიტოვებს მცირე ოპტიმიზმის საფუძველს... ქეთა ლორთქიფანიძის ორსული გმირი ბოლომდე უძლებს, არ ეცემა, პირიქით – როგორც ულაყი ცხენი უნაგირით მიათრევს თავის დავარდნილ უბადრუკ ქმარს.

სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტის მნიშვნელოვან კომპონენტს ქმედითი ქორეოგრაფიული (მარიამ ალექსიძე) ნაწილი წარმოადგენს. კარგად მიგნებული, თითოეული წყვილის ბიოგრაფიის შესაბამისი მუსიკალური ფონი ერთვის. მცირე ქორეოგრაფიული ნოველები მთლიანობაში ერთიან, უწყვეტ ნახაზს ქმნის და მძაფრი ექსპრესიულ გამომსახველობით ხაზს უსვამს მონაწილეთა ინდივიდუალურ მახასიათებლებს, პიროვნულ ტრაგიზმს.

წარმოდგენა დასრულდა, დაფიქრებული მაყურებელი ტოვებს დარბაზს. მიზანი მიღწეულია. რეჟისორი ბოლომდე შეძვრა თითოეული მათგანის ტვინის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ნახევარსფეროში და მოსვენება დაუკარგა. ამ ფორმატში არ ვსაუბრობ სამსახიობო ანსამბლზე, მათ ოსტატობაზე... ამისათვის დრო, სპექტაკლის კიდევ ერთხელ ნახვა და განსხვავებულ ფორმატის გადმოცემა მჭირდება. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენ ერთი თაობის სტუდენტები ვიყავით, მინახავს თითოეული მათგანი სხვადასხვა ამპლუაში... და თუკი მაშინ ახალბედა ნიჭმოძალებული გოგო-ბიჭები უმისამართოდ აფრქვევდნენ თავიანთ პოტენციალს, დღეს ისინი გაცილებით დახვეწილები, აკადემიურად მოზომილები და ბოლომდე „ქანცგაწყვეტილები“ ვიხილე. აქ ვასრულებ პირველადი შთაბეჭდილების გაზიარებას - რომელსაც პირობითად შეიძლება ვიწოდო – ესკიზი რეცენზიისათვის...

ლაშა ჩხარტიშვილი

როგორ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს?

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თავისუფალი თეატრი ერთადერთი კერძო, დამოუკიდებელი თეატრია საქართველოში, რომელსაც აქტიური ფუნქციონირება დაარსების დღიდან დღემდე არცერთი წუთით არ შეუწყვეტია. თავისუფალი თეატრი სარეპერტუარო სპექტაკლებში დასმულ პრობლემათა სიმწვავის, პირდაპირობის, სიმართლის შეულამაზებლად ასახვისა და გადაცემის, არცთუ მომგებიანი ცხოვრების წესის მიუხედავად, უძლებს დროს, მთავრობებს, ეკონომიკურ კრიზისს და აქტიურად განაგრძობს ცხოვრებას ქართული საზოგადოებისთვის, მაყურებლისთვის, რომელიც მას არასდროს აკლდა.

მეთექვსმეტე სათეატრო სეზონი თავისუფალმა თეატრმა ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლით „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს“ გახსნა. მაკკოი ხორასის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის ინსცენირების ავტორი თავად რეჟისორია, თუმცა ავთო ვარსიმაშვილი ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ინსცენირების, არამედ გადმოქართულების ავტორადაც მოგვევლინა. ამ მხრივ, მას საკმაო გამოცდილება დაუგროვდა და ამ მიმართულებით მის შემოქმედებით ანგარიშზე რამდენიმე წარმატებული სპექტაკლია (გახსოვთ ალბათ მისივე „კომედიანტები“, რომელიც ბოლო პერიოდის ქართულ თეატრში ჯონ ოსბორნის ამავე სახელწოდების ნაწარმოების გადმოქართულების საუკეთესო მაგალითია). უნდა ითქვას, რომ ავთანდილ ვარსიმაშვილმა გადმოქართულებისას მხოლოდ მოქმედი გმირების სახელები და მოქმედების ადგილი კი არ შეცვალა (როგორც ამას ბოლო პერიოდში მთარგმნელები, მათ შორის, სახელგანთქმულები, აკეთებენ), არამედ შექმნა ახალი ქართული გარემო და რეალობა, რომელიც ორგანულად შეერწყა ჩვენს თანამედროვეობას გმირთა ხასიათებითა და სიტუაციებით. ზედმეტ ფიქრსა და აზროვნებასგადაჩვეული ფართო საზოგადოებრიობას რეჟისორმა ამ გზით გაუადვილა სპექტაკლში დასმული პრობლემების აღქმის ამოცანა. ლოკალურ ჭრილში დასმული აქტუალური საკითხისთვის კი დაუტოვა ანალიზისა და დაფიქრების საშუალება, რათა მარტივად გავარკვიოთ – სად ვართ, რანი ვართ და როგორ შეიძლება დავაღწიოთ თავი იმ უფსკრულს, რომელშიც დიდი ხანია გადავიჩეხეთ და დღემდე ვერ ვაღწევთ თავს. ავთო ვარსიმაშვილმა ტექსტი მოქნილი, სიტყვა ქმედითი და ეპიზოდები კი თეატრალური გახადა. პერსონაჟთა სამეტყველო ენა თანამედროვეა. რეჟისორი არ გაურბის სლენგს, ჟარგონს, ენაში დამკვიდრებულ ფორმებს, შესაბამისად – რეალობას (თეატრიც ხომ ჩვენი ცხოვრების სარკე უნდა იყოს). ამ გზით კი, სპექტაკლის ავტორი კიდევ უფრო აახლოებს მაყურებელს პერსონაჟებთან და ზრდის სპექტაკლის მსვლელობაში მაყურებლის ჩართულობის ხარისხს.

მხოლოდ დროს და სიტუაციასმორგებული ტექსტის წარმატებული ადაპტაცია არ არის ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლის ხიბლი. ის კარგად იცნობს მაყურებელს და ფლობს მისი მონუსხვის ხერხებსაც, რაც მიზანსცენათა თანმიმდევრულ (განვითარებად) წყობაში, სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებასა (ემოციის გასაძლიერებლად) და პრობლემის ზუსტად მიგნებულ და რაც მთავარია, ზომიერად გაჟღერებაში გამოიხატება. რეჟისორი ამჯერადაც არ ინდობს, არ ერიდება არავის და არაფერს, არც შეფარვით გზებს ეძებს სიმართლის სათქმელად, რეალური სურათის დასახატად. აქ ყველაფერი ხელისგულზეა გათამაშებული, რადგან მეტაფორების თეატრი წარსულს ჩაბარდა და დროც ამ მეტაფორათა ამოსახსნელად აღარც მაყურებელს აქვს. ამ ფორმით რეჟისორი ცდილობს პირდაპირ იქონიოს ზეგავლენა მაყურებელზე, რასაც აღწევს კიდეც.

ავთო ვარსიმაშვილი სატელევიზიო რეალური შოუს მონაწილე ოთხი წყვილის მაგალითზე გვიჩვენებს ჩვენს საზოგადოებას, სოციუმს თავისი პრობლემებით, რეალობით, ცხოვრების წესით, ხასიათით, დადებითი და

უარყოფითი თვისებებით. რეჟისორი მხოლოდ სოციალურ პრობლემებზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ ამ ერთი ძირითადი და უაღრესად მტკივნეული პრობლემის კვლადაკვალ იკვეთება უამრავი ხაზი, რომელიც თვალნათლივ გვაჩვენებს იმ მიზეზებს რეალობისა, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ. „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ სცენებს“ მძაფრი სოციალური თემატიკისა და აქტუალურ პრობლემათა ერთობლიობის სპექტაკლია, რომელიც უნდა ნახოს არა მხოლოდ ფართო მაყურებელმა, არამედ ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა, რომლებიც საკუთარ პროტოტიპებს იოლად აღმოაჩენენ თავისუფალი თეატრის სცენაზე გათამაშებულ ერთ კონკრეტულ ამბავში. სპექტაკლში არეკლილია ჩვენი ცხოვრების ეპიზოდები, ბოლო წლებში ქვეყანაში მომხდარი და მიმდინარე მოვლენები - გზას აცდენილი ახალგაზრდები, ტოტალური უმუშევრობის და მიგრაციის პრობლემა, ომებით გამოწვეული მოუშუშებელი ტრაგედია და ტკივილები, საზოგადოების საშუალო ფენის შიმშილი...

ვარსიმაშვილის სპექტაკლი, ისე როგორც სპექტაკლში მიმდინარე სატელევიზიო რეალური შოუ, ჩვენი დღევანდელობის სარკეა, სცენაზე მხატვრულად სარკისებურად აისახება ჩვენი ყოფა (სცენოგრაფები შოთა ბაგალიშვილი, თეო კუხიანიძე). სცენაზე გათამაშებულ ისტორიებს დიდი მანძილი არ აშორებს მაყურებლისგან, ამიტომაც მოვლენებს მთელი სიმძაფრით, რეალობის შეგრძნებით აღიქვამს მაყურებელი, რომელიც ისევე განიცდის სცენაზე მომხდარს, როგორც თავად გმირები. სცენოგრაფებმა შექმნეს ზუსტი და მეტაფორული სამყარო – საჯინიბო, თავისი მოდერნიზებული ატრიბუტიკით. მსახიობთა კოსტიუმებშიც შეიტანეს დეტალები, რომლითაც სპექტაკლის გმირები ცხენოსნობის მარათონში მონაწილეებს მიუახლოვეს. შთამბეჭდავია დერბის სცენა, როცა რეალური შოუს გმირები ცხენებივით ერთვებიან მარათონში. მაყურებლის თვალწინ ცოცხლდება რეალური სურათი, რომელიც არა მხოლოდ ამ კონკრეტულ ეპიზოდს თეატრის ენით გადმოსცემს, არამედ ზოგადად, ადამიანთა ცხოვრებისეულ მარათონს. გარეგნულად მოქმედება ცხენსაშენის ინტერიერში, თავლაში წარმოებს, სინამდვილეში კი ეს რეალური ტელეშოუა, რომელშიც განსხვავებული ინტერესების ადამიანები ნებაყოფლობით მონაწილეობენ. სცენოგრაფებმა ორიგინალურად გაიაზრეს სივრცე, ცხენებივით, შოუს მონაწილეები, მათი განსხვავებული ხასიათებისა და ინტერესების მიუხედავად, ერთნაირ სტანდარტულ სიბრტყეზე მოათავსეს. სივრცე, სადაც მოქმედება ხდება, რომელიც არაერთი სცენური მხატვრული მეტაფორის შემცველია, სარკისებურად ირეკლავს პერსონაჟებს, მაყურებელს, მოქმედებებს, სცენურ რეალობასა და შინაგან განცდებსაც კი, რომელიც გაორმაგებული სიმძაფრით მოქმედებს მაყურებელზე.

რეალურ შოუში მონაწილეებს ერთი ინტერესი აქვთ, მოიგონ 100 000 ლარი, მაგრამ მათ განსხვავებული ხასიათები, ცხოვრების წესი და განვლილი გზა აქვთ. მათი შესაძლებლობებიც და წარსულიც განსხვავებულია, თუმცა ისინი საერთო ენას მაინც პოულობენ. ამ რეალურ შოუში, ისე როგორც ცხოვრებაში, უყვარდებათ და ერთმანეთს შორდებიან, ებრძვიან და ერთმანეთის

გვერდით დგანან, აკეთებენ აღმოჩენებს და უმკლავდებიან მოულოდნელ, არცთუ სასიამოვნო სიურპრიზებს. ისინი სავსე არიან ანგარებით, ფარისევლობით, ერთგულებით, ერთმანეთის პატივისცემით. მათ ორმაგი სახე აქვთ, ერთი რეალური და მეორე პარალელური – მხოლოდ კამერებისთვის განკუთვნილი (იძულებით ღიმილიანი). მათ აქვთ მიზნები და ოცნებები, რომლისკენაც ისწრაფვიან. მიზნების მისაღწევად და ოცნებების ასახდენად კი მათ რთული, სამკვდრო-სასიცოცხლო გზის გავლა უწევთ, ზოგიერთი მათგანი ვერც უძლებს და მარათონს ეთიშება. მხოლოდ ერთი წყვილი (ნინი – ქეთა ლორთქიფანიძე და ოთო – გიორგი ჯიქია) აღწევს საწადელს და იმარჯვებს. სპექტაკლში მონაწილე მსახიობები: გიორგი ზანგური, მარიამ ნადირაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, ანა ალადაშვილი, ლაშა გურგენიძე, მამუკა მუმლაძე, სალომე ჭულუხაძე და გიორგი ჯიქია შოუს მონაწილეებს განასახიერებენ. ამავდროულად ისინი ქმნიან ზოგად მხატვრულ სახეებს, საზოგადოების ტიპებს, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით. ეპიზოდურ, მაგრამ დასამახსოვრებელ მხატვრულ სახეს ქმნის თინათინ კორძაძე (ფატი), რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების კრებითი სახეა სპექტაკლში. თინათინ კორძაძის გმირი, მოულოდნელად პარტერიდან ავარდება სცენაზე და აპროტესტებს რეალურ შოუს. მსახიობი ქმნის დაპროგრამებული, გონებრივად ოდნავ დაქვეითებული გმირის ტიპაჟს, რომელსაც აბსურდული მიზეზების გამო მიაჩნია, რომ შოუ უნდა დაიხუროს. მისი არგუმენტები რეალობას აცდენილია და მარცხისთვის განწირული. მით უმეტეს, როცა მომდევნო ეპიზოდებში ირკვევა მისი გაუჩინარების მიზეზი: გაჩუმების სანაცვლოდ, მან რეალური შოუს მესვეურებიდან გარკვეული თანხა მიიღო პროტესტის შესაწყვეტად.

სპექტაკლში განსხვავებულ და მოულოდნელ ამბლუაში – შოუს წამყვანის როლში მოგვევლინა მსახიობი ჯაბა კილაძე, რომლის საუბრის მანერა და ინტონაცია გარკვეულ მომენტებში დავით აქუბარდიას გვაგონებს. მსახიობი ახერხებს შექმნას საზოგადოებრივი მონსტრის – ტელევიზიის კრებითი სახე, რომელიც მხოლოდ რეიტინგზე ფიქრობს და არ ადარდებს ადამიანების ფსიქოლოგიური, სულიერი, ფიზიკური მდგომარეობა. რომელსაც დაკარგული აქვს თანაგანცდის გრძნობა და ქცეულია რობოტად, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – შექმნას რეიტინგული შოუ. ჯაბა კილაძის გმირი არ არის ცალსახა და ერთფეროვანი. მის ხასიათში წარსულიდან სულ სხვა ცხოვრებისეული გამოცდილება ვლინდება, რომელიც აღსარებასავით წამოსცდება მას, თუმცა ეს მას სრულებითაც არ ამართლებს. მის გმირს სახელმწიფოებრივი აზროვნება, მოქალაქეობრივი შეგნება და მოტივაცია არ აქვს. შესაბამისად, მაყურებელს გამოაქვს დასკვნა, რასაც რეზიუმეს სახით ამბობენ კიდეც სპექტაკლში, რომ „ჩვენი ტელევიზიები არის ყველაზე დიდი მარაზმი, რომელთაც უხარიათ საშინელებათა ტირაჟირება“. ჯაბა კილაძე წარმატებულად ქმნის ქართული ტელევიზიის ზოგად სახეს, ხშირად ცვლის ნაცნობ ინტონაციას, თუმცა ტოვებს მთავარს –დაუოკებელ წყურვილს დიდი რეიტინგის დასაწერად, ამიტომაც მის გმირს სინდისზე ხელი აღებული აქვს და ბევრი გრძნობაც შეგნებულად გამორთული აქვს.

მოქმედების პარალელურად, პირდაპირი ეთერის პრინციპით სცენის ზემოთ სახელდახელო ეკრანზე გადის კადრები პროექციის საშუალებით, რომელიც დეტალებზე მუშაობს და მიმიკის გაძლიერების ეფექტით ჩვენ ვხედავთ გმირთა შინაგან განცდებს, თუმცა მსახიობები იმდენად ძლიერად გამოხატავენ გმირთა განცდებს, რომ ეკრანზე მათი პორტრეტების ჩვენება ემოციის გაძლიერების მიზნით ზედმეტიც კი არის.

სპექტაკლის ქორეოგრაფიული გადაწყვეტა მარიამ ალექსიძეს ეკუთვნის. საცეკვაო შოუში მონაწილეები ბევრს „ცეკვავენ". სპექტაკლში ქორეოგრაფია ესკიზების სახით გვხვდება, აქ ვერ შეხვდებით დასრულებულ საცეკვაო ნომერს, ერთი და იგივე ქორეოგრაფიული ნახაზი რეფრენივით გასდევს რამდენიმე სცენას, მონოტონური მოძრაობები იდეურად ჩვენს ინერტულ ცხოვრების წესსა და შინაარსზეც მიუთითებს. შოუს მონაწილეების პროტესტი პლასტიკაშიც ვლინდება, მაგრამ მას ლოკალური ამბოხების მასშტაბი აქვს. მსახიობთაგან დახვეწილი პლასტიკით ლაშა გურგენიძე, მარიამ ნადირაძე და ქეთა ლორთქიფანიძე გამოირჩევიან.

ვარსიმაშვილის სპექტაკლში სატელევიზო რეალური შოუ პატარა მოდელია იმის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, რომ ცხოვრებაც ისეთივე მარათონია, როგორც თავად შოუ და ჩვენ ამ შოუს მონაწილეები ვართ.

ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი ჩვენზეა, რიგით მოქალაქეებზე, ხელმოცარულ და გზასაცდენილ ახალგაზრდებზე, ნიჭიერ მომავლ თაობაზე, რომელსაც სურს იცხოვროს ნორმალურ და სტაბილურ ქვეყანაში, იმ თაობაზე, რომელიც ომობდა, იმ ძლიერ ქალებზე, რომლებიც კაცებს ზურგით მიათრევდნენ, იმ ცხენად გადაქცეულ ადამიანებზე, რომელთაც ქანცგაწყვეტილობის ჟამს ხოცავენ, იმთავლაზე, რომელშიც ცხენებივით ვცხოვრობთ და გადმოგდებულ ლუკმა პურს ველოდებით, იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ცხოვრებაში გვხდება და იმაზეც, როგორ მარცხდებიან და იმარჯვებენ მიზანდასახული ადამიანები. ეს სპექტაკლი ძლიერი და სუსტი ნებისყოფის ადამიანებზეა, ყველაზე, ვინც ჩვენს დროში ცხოვრობს და არსებობს. ეს მძაფრი და ტკივილებით დამძიმებული სპექტაკლი იმ მარათონზეა, რომელშიც რამდენიმე ათეული წელია ვმონაწილეობთ და ფინალამდე ჯერ ბევრი გვიკლია. სპექტაკლიდან კარგად ჩანს, რომ რეჟისორი ჯეროვნად იცნობს ეპოქას და გარემოს, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს, აქ ადამიანები დანევროზებულები არიან, რომლებიც ჩაკეტილ სივრცეში თავისივე ნებით ცხოვრობენ და ისტერიულად იბრძვიან გამარჯვებისთვის. ეს ავთო ვარსიმაშვილის თეატრია, რომელიც თავისი სპექტაკლებით ყველა დროში ახერხებს იყოს უკომპრომისო, ობიექტური, მწვავე, კრიტიკული, კონიუნქტურის გარეშე და ყოველთვის ობიექტური სიმართლის მხარეს.

ლელა ოჩიაური

სასიკვდილო მარათონი

ბოლო წლებში ქართულ თეატრში მომრავლდნა სპექტაკლები, რომლებსაც საფუძვლად ცნობილი ფილმების სცენარები უდევთ ან ეხმიანებიან მათ და რომლებშიც რეჟისორები სცენარებს თეატრალურ ფორმასა და სახეს აძლევენ და ახალ ვერსიებად გარდაქმნიან. ესენია - მანანა ბერიკაშვილის „ჩვენ გველის დიდება", ალან პარკერის „დიდებას" მიხედვით, მოზარდ მაყურებელთა თეატრში; გიორგი სიხარულიძის „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არინ", ბილი უაილდერის ამავე სახელწოდების ფილმის მიხედვით, ქუთაისის დრამატულ თეატრში; გაგა გოშაძის „ბოლო გაჩერება" ნიკოლას ბრაერის სცენარზე და ზაზა სიხარულიძის „ღამის პორტიე" ლილიანა კავანის ფილმის საფუძველზე, ბათუმის დრამატულ თეატრში. ცოტა ხნის წინ თავისუფალ თეატრში" ნიკოლოზ ჩიკვაიძეს ეტორე სკოლას ფილმის „საზიზღრები! ბინძურები! ბოროტები!" მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა ჰქონდა.

არის ასევე მუსიკალური სპექტაკლები ან მიუზიკლები, ფილმებად ადაპტირებული ბროდვეის დადგმების მიხედვით და უკვე ფილმებისა თუ სპექტაკლების ბაზაზე, კვლავ სპექტაკლებად ქცეული - დავით საყვარელიძის „ოლივერი" კაროლ რიდის მიუზიკლზე, რუსთაველის თეატრში; დავით დოიაშვილის „მუსიკის ჰანგები" რობერტ უაისის ფილმის მიხედვით და მათთან ერთად, მისივე „ვერის უბნის მელოდიები" გიორგი შენგელაიას ამავე სახელწოდების კინოსურათის კვალდაკვალ, მუსიკისა და დრამის თეატრში.

მათ შორისაა, ოღონდ ერთი მახასიათებლით გამოირჩევა ავთანდილ ვარსიმაშვილის დადგმები თავისუფალ თეატრში – „მექანიკური ფორთოხალი" (სტენლი კუბრიკის ამავე სახელწოდების ფილმის სცენარზე); „ძმები" ლუკინო ვისკონტის „როკო და მისი ძმების" მიხედვით. რეჟისორმა ახლახან გამოუშვა მაკოი ჰორასის რომანისა და სიდნი პოლაკის ფილმის მიხედვით შექმნილი „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს". სამივე შემთხვევაში მოქმედების ადგილი და დრო მთლიანად თანამედროვე საქართველოს განზომილებაში გადმოიტანა და ახალ სინამდვილედ აქცია, კონტექსტის, ქვეყნის მდგომარეობის, საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების აქცენტირებითა და ამბის მათზე აგებით, პერსონაჟებისა და მათი ამბების ასევე გაქართულებით, თან ისე, რომ პირველწყაროს მთავარი მოცემულობები, სიუჟეტური სვლები და სტრუქტურა არ დაარღვია.

„ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენების" პიესის ავტორი თავად ავთო ვარსიმაშვილია. მხატვარია შოთა ბაგალიშვილი; კოსტიუმების მხატვარი – თეო კუხიანიძე; ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე, მუსიკა – Koka&T.Blues Mob – კოკა ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით. დაფინანსებულია თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ.

მონაწილეობენ: ჯაბა კილაძე, სალომე ჭულუხაძე, მამუკა მუმლაძე, ანი ალადაშვილი, ლაშა გურგენიძე, ოთო ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, გიორგი ზანგური, ქეთა ლორთქიფანიძე, გიორგი ჯიქია, თიკო კორძაძე, მაია

დობორჯგინიძე.

დაბალი, მოძრავი კარებებით და ხის კედლებით სეგემენტებად დაყოფილი დეკორაცია ცხენების თავლას წარმოადგენს, ბაგებით, რომლებშიც ცხენებს აბამენ. ამ შემთხვევაში, ქანცგაწყვეტილ ცხენებს, რომლებიც ცხოვრებამ ძალიან დაღალა.

სცენაზე რიგ-რიგობით შემოდიან პერსონაჟები – საცეკვაო მარათონის მონაწილეები და თავ-თავიანთ ადგილს იკავებენ. საცეკვაო მარათონი ტელეშოუა, რომლის მონაწილეებიც ახალგაზრდები არიან, წყვილები ან როგორც პარტნიორები ცეკვაში – დაწყვილებულები. განსხვავებულები. მკვეთრად გამოკვეთილი თვისებებით, ხასიათებით, ქცევითა და შესაძლებლობებით. ყველას სხვადასხვა და მძიმე ბიოგრაფია აქვს, განსხვავებული და მაინც საერთო. ოცნებაც და მიზანიც ერთი აქვთ – მოიგონ ფული, რომელსაც გამარჯვების შედეგად მიიღებენ და სხვადასხვა ეკონომიკური, ყოფითი თუ მორალური პრობლემის დასაძლევად გამოიყენებენ. ან იქნებ, თავისუფლების მისაღწევად. აწმყოდან გასაქცევად. წარსულის დასავიწყებლად. მომავლისთვის. მაგრამ გამარჯვებული ყველა ვერ იქნება. და არც მომავალი აქვს ყველას. არც რეალობიდან გამოსავალი.

ჩაკეტილი სივრცე, ექსტრემალური, სტრესული სიტუაცია, დაძაბული რეჟიმი, დამუხტული გარემო თითქოს უკვე წინასწარაა „დაგეგმილი". მოცემულობა თითოეულისთვის საკუთარ თავში და ერთმანეთთან ურთიერთობებში ახალი და მოულოდნელი, შეიძლება განგებ შეუმჩნეველი ან გამოუმჟღავნებელი თვისებების აღმოჩენის პირობას ქმნის. და გათამაშებული დრამის განვითარების დრამატურგიულ და აზრობრივ საფუძველს იძლევა.

მოქმედება უკიდურესად დაძაბულ ტემპო-რიტმში და ემოციურად დაჭიმულად მიმდინარეობს. მკვეთრად გამოკვეთილი სახეები და კონფლიქტები, პერსონაჟების მოთხრობილი ისტორიები და მოვლენების მონაცვლეობა (რომლებიც ნელ-ნელა მჟღავნდებიან და მთლიანდებიან), საცეკვაო ნომრები, ქორეოგრაფიულ-პლასტიკური ეტიუდები, ტელეწამყვანის ხელში მართულ და ნებადაკარგულ არსებებად ქცეული ადამიანები ექსპრესიულად, ტრაგიკულად მუხტავენ მოქმედებას და სამყაროს – ცხოვრების მიკრომოდელად აღიქმებიან.

სპექტაკლი მთლიანად და მასში მარათონის სივრცეში გამომწყვდეული ისტორიები ბევრი ადამიანის რეალური ისტორიებია საქართველოში, რომლებსაც, მართალია, განზოგადებულებს, მაგრამ საფუძველშივე ამოვიცნობთ. პერსონაჟებიც – ტიპაჟები და მათი თვისებებიც ნაცნობია. თანამედროვე რეალობასაც ბევრი ნიშნით აღვიქვამთ, რომელშიც ჩვენი საზოგადოების ნაწილი იმყოფება. ნაწილი კი – შორიდან და გულგრილად უყურებს.

განწირული ადამიანები სიცოცხლისთვის იბრძვიან. ყველაფერი ყველას დასანახადაა. დაფარული აღარაფერი რჩება და ნელ-ნელა ქრება იმედიც. ცეკვა ბედისწერის როკვად გადაიქცევა. საცეკვაო მარათონი – თავიდანვე დამარცხებულების სასიკვდილო მარათონად. ვიღაცებს ალბათ გაუმართლებს. ზოგი მარათონს სამუდამოდ გამოეთიშება. ცხოვრება კი ახალ წრეზე იწყებს ბრუნვას.

საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები

ა.ა.ი.პ. „თეატრალური დასის“ პროექტი
სპექტაკლი გაიმართა თავისუფალი თეატრის სცენაზე

სპექტაკლის დასახელება - საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ეტორე სკოლას მიხედვით
პიესის ავტორი - ლილე შენგელია
რეჟისორი - ნიკა ჩიკვაიძე
მხატვარი - თამარ ჭავჭანიძე
ტექნიკური რეჟისორი - თათული ზალიკაშვილი
მონაწილეობენ: თემურ გვალია, მაია ლომიძე, ტატო გელიაშვილი, აშოტ სიმონიანი, რატი ყულოშვილი, ნინა კალატოზიშვილი, თათა თავდიშვილი, ქეთი ტატიშვილი, პაპუნა ლებანიძე, თამთა ჩუმაშვილი, სერგო საფარიანი, გიორგი ჩაჩუა, ნატალია გალოგრე, თათული ზალიკაშვილი, შაკო ღონღაძე, ირა ეზეიშვილი.

პრემიერის გამოშვების თარიღი – 2015 წლის 5 ნოემბერი
სარეპეტიციო პროცესი - დაახლოებით 2 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

გამოხმაურება

ნერონ აბულაძე

ბინძურები, ბოროტები, საზიზღრები - ან პირიქით....

ავტორე სკოლას ფილმი – „აუტანელები, ბინძურები და ბოროტები“ 1976 წელს გამოვიდა კინოეკრანებზე. იმხანად ფილმს დიდი რეზონანსი მოყვა. ჰოლივუდური happy end-ის პარალელურად სკოლამ ნატურალური სიზუსტით აჩვენა სინიორ მაცატელის ოჯახის სოციალურ – მორალური ყოფა. ცოლი, ქმარი, შვილები, რძლები, შვილიშვილები და ნათესავები – ყველანი ერთ, ბარაკის ტიპის ნახევრად დანგრეულ სახლში ცხოვრობენ. თითოეული მათგანი მისთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე იძინებს, ილვიძებს და მოთხოვნილებისამებრ კავდება სექსით. ოჯახის უფროსი, ცალთვალა კუშტი მოხუცი ყოველმხვრივ ცდილობს მაქსიმალური გავლენა იქონიოს ოჯახის წევრებზე და საამისოდ არც ერთ შანსს ხელიდან არ უშვებს. აქ ყველა და ყველაფერი პატრიარქალურ ადათ-წესს ემორჩილება. შავი იუმორით გაჯერებული თითოეული სცენა-ეპიზოდი

ხაზს უსვამს ზნეობრივ საყრდენს გამოცლილი საზოგადოების თანადროულ ყოფასა და პერსპექტივებს.

ქართული თეატრის ისტორიაში მრავლად ვხვდებით ფაქტებს, როცა რეჟისორი სადადგმოდ, ნაცვლად დრამატული ნაწარმოებისა, პროზაულ თხზულებას ან კინო სცენარს მიმართავს. ასეთი მცდელობებიდან ვიცით არაერთი წარმატებული და, ხშირ შემთხვევაში, წარუმატებელი ექსპერიმენტი. პოსტმოდერნიზმის მუდმივად ცვლად და განვითარებად ტენდენციებთან ერთად ბოლო პერიოდში გახშირდა ფაქტები, საქმე გვაქვს რომელიმე ცნობილი ფილმის თეატრალურ ინტერპრეტაციასთან. რასაკვირველია, გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ არ გვაქვს თანამედროვე დრამატურგია...პირიქით, ყოველწლიურად ინტენსიურად იქმნება,ითარგმნება და იბეჭდება სხვადასხვა ჟანრისა და ხასიათის პიესები. და მაინც, სამოცდაათიანი წლების იტალიური კინოს გახმაურებული ნიმუში გახდა საფუძველი ახალგაზრდა რეჟისორისათვის,რომელმაც აღნიშნულ სიუჟეტზე დაყრდნობით განახორციელა „თავისი" სპექტაკლი. როგორც იტყვინ, დაყრდნობაცაა და დაყრდნობაც... ამ შემთხვევაში რეჟისორი (ნიკა ჩიკვაიძე) პირდაპირ და უპირობოდ აკოპირებს სკოლას ფილმის სიუჟეტურ ფრაგმენტებს. ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად ცდილობს კონკრეტული გმირის ჟესტი და მიმიკაც კი ზედმიწევნით მიმსგავსებული იყოს.

სპექტაკლი თავისუფალ თეატრში განხორციელდა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთი შეხედვით, რეჟისორმა საწადელს მიაღწია – თავისი ნამუშევრის ირგვლივ აზრი ორად გაიყო. „მომხრეთა" და „მოწინააღმდეგეთა" შორის კამათის შემხედვარეს ნამდვილად არ გამჭირვებია იმის დაზუსტება, რომ ამათგან უმრავლესობას ფილმი საერთოდ არ ჰქონდა ნანახი. შესაბამისად, მომხრეები სითამამეს უქებდნენ რეჟისორს და მოწინააღმდეგეები ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამო, გამოხატვრის ნატურალურ მასშტაბს აპროტესტებდნენ. სცენა ულამაზო, ჭუჭყისგან ჩამუქებული ოთახის სახითაა წარმოდგენილი. იატაკზე ქვეშაგებია მიმოყრილი, სადაც მოქმედ გმირებს ძინავთ. სცენასა და დარბაზს შორის ზღვარი თითქმის არ არსებობს. იწყება სპექტაკლი და საათ-ნახევრის განმავლობაში მაყურებლის თვალწინ მეტ-ნაკლები სიზუსტითა და თანმიმდევრობით ცოცხლდება ცნობილი სიუჟეტის სცენა – ეპიზოდები. რასაკვირველია, რეჟისორი შეეცადა, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მხატვრული სინამდვილე თანამედროვე ქართული რეალობის შესაბამისი ყოფილიყო, მცირე კორექტივებიც შეიტანა, თუმცა, საბოლოოდ, სპექტაკლს ეტორე სკოლას ფილმის ცუდი, არაეფექტური თეატრალური გამოძახილი შეიძლება ვუწოდოთ.

როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე ფილმს დიდი გამოხმაურება მოყვა. „მსგავს არეულობას პაზოლინიც კი არ დაუშვებდა... ეტორე ბევრ მხცოვან კოლეგასთან - (პაზოლინი, ფელინი, ანტონიონი, რობერტო როსელინი) - თავს ესხმის წმინდათა წმინდას, დიდებულ მიმართულებას, რომელმაც, ფაქტობრივად, ომის შემდგომი იტალიური კინო დაბადა. ფილმში ნაჩვენები არიან ადამიანები, თავიანთი სიხარულითა და მწუხარებით, რომლებსაც ამაღლებულად გვიხატავდნენ ნეორეალისტები. სკოლა, რომელიც თავდაუზოგავი ჰუმანისტი და კომპარტიის

წევრი იყო, მოულოდნელად მიზანთროპად გადაიქცა და ადამიანის თანდაყოლილ მანკიერებებს უმღერა“ –ვკითხულობთ ერთ-ერთ რეცენზიაში. მართლაც ფილმში მწვავედ დგარ პრობლემა სიღარიბით, სასტიკი ყოფით კმაყოფილი ადამიანისა... უქონლობით კმაყოფილების ფსიქოლოგია, ტენდენცია, რომელიც საშინელი მხეცური სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობა შეიძლება იყოს. მოკლეთ, კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ეტორე სკოლაზე, ფილმზე, კინოენაზე, რაც ჩემს კომპეტენციას სცილდება. რაც შეეხება ახალგაზრდა რეჟისორს, ნიკუშა ჩიკვაიძეს, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ მან შეძლო მსახიობების (ამათგან უმრავლესობა საერთოდ არ მინახავს არც ერთ სცენაზე) ორგანიზება და შეეცადა ცნობილი სიუჟეტის ილუსტრირებას.

ლაშა ჩხარტიშვილი

რეალობა, რომელიც ჩვენ ირგვლივ არსებობს

ქართულ თეატრში ერთი უცნაური ტრადიცია დამკვიდრდა –ეკრანიზაციის სცენური ინტერპრეტაცია. თუკი გასულ საუკუნეში თეატრის სცენიდან გათამაშებული ამბავი ეკრანზე გადაინაცვლებდა, ახლა პირიქით, ეკრანიდან სცენაზე გადადის. ბოლო პერიოდის ქართულ თეატრში ეს ყველაზე თვალშისაცემი ტენდენციაა. მიზეზები სხვადასხვა შეიძლება იყოს. მათ შორის, შესაძლოა, ჩვენი დროის რეჟისორები არ იცნობენ (ეცნობიან) თანამედროვე დრამატურგიას, ისინი გატაცეული არიან კინოთი და სწორედ ფილმში გათამაშებული ამბავი ხდება მათი ახალი სპექტაკლის ინსპირაციის წყარო. ან ვერ ხერხდება ჩვენი რეჟისორების თანამედროვე დრამატურგიით დაინტერესება, როგორც ჩანს, ჩვენს რეჟისორებს თანამედროვე დრამატურგების პიესები ნაკლებად აინტერესებთ. ამიტომაც, თანამედროვე ქართულ თეატრში ხშირად გვხდება ინსცენირების ფაქტები. ამ საქმეს თავად რეჟისორები ითავსებენ და იშვიათ შემთხვევაში – წარმატებით. ეს საკითხი ერთ-ერთი მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემაა ქართული თეატრის, უპირველეს ყოვლისა კი, თანამედროვე ქართული დრამატურგიის, რომელიც ვერ ახერხებს ქართველი რეჟისორების დაინტერესებას.

ნიკა ჩიკვაიძის სპექტაკლი „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“ მორიგი მცდელობაა ეკრანიზაციის სცენაზე გადმოტანის, თუმცა ზემოთ ნათქვამი ნიკა ჩიკვაიძეს ნაკლებად ეხება, რადგან მან უკვე, ასევე თავისუფალ თეატრში, განახორციელა თანამედროვე დრამატურგის დათო გაბუნიას პიესა „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება“. ამ ორი სპექტაკლის მაგალითზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა რეჟისორი სოციალური თემატიკითაა გატაცებული და მას ჩვენი სოციალური რეალობა უფრო აღელვებს, ვიდრე სხვა რომელიმე აქტუალური თემა. რეჟისორი ცდილობს თავის სპექტაკლებში დასვას ის პრობლემები, რომლებიც აღელვებს, აწუხებს და ჩრდილს აყენებს ჩვენს საზოგადოებას. მისი სპექტაკლების გმირები ჩვენი თანამედროვენი და

ჩვენ გვერდით მყოფნი არიან, ამიტომაც რეჟისორი დაუფარავად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გვიჩვენებს მათ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

სპექტაკლში „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“ რეჟისორი ნატურალისტურ ჟანრს ირჩევს. ამიტომაც სცენაზე გათამაშებული და არსებული ნივთებიც კი, მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურს. თავისუფალი თეატრის დარბაზში შემოსულ მაყურებელს ბარაკების ტიპის სახლის მაცხოვრებლები ხვდებიან, ისინი მრავალრიცხოვან ოჯახს წარმოადგენენ და ყველას სცენაზე სძინავთ, თუმცა სცენა იმდენად ყოფითი დეკორაციითაა შევსებული, რომ ზღვარი მაყურებელსა და სცენას შორის წაშლილია. ერთ მხარეს მრავალრიცხოვანი ოჯახის ოთახია, ხოლო მეორე მხარეს, ძალიან ახლოს, განთავსებულია მაყურებელი.

ოჯახში რამდენიმე წყვილი ცხოვრობს, თავიანთი ცოლებითა და ქმრებით, მცირეწლოვანი შვილებითა და ბავშვებით. კონკრეტული ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების სახეს თავისი მრავალფეროვნებით, ტიპაჟებით, ადამიანებით განურჩევლად ასაკისა, სექსუალური ორიენტაციისა, მიზნებისა და ოცნებებისა. ამ ოჯახში ყველა ავადაა, როგორც ჩვენს საზოგადოებაში, ერთადერთი ჯანსაღი ნაწილი მომავალი თაობაა, პატარა გოგონას სახით, რომელიც ერთგვარი გმირია, რომელიც პროსტესტის ნიშნად ოჯახიდან გაიქცევა თავის პატარა ძმასთან ერთად. ის უარს ამბობს ცხოვრების იმ წესზე, რომლითაც მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ. სახლი, რომელშიც ოცამდე ოჯახის წევრი ცხოვრობს, ერთგვარი თანამედროვე სოდომ-გომორია. წაშლილია ზღვარი ოჯახის წევრებს შორის. მათი ურთიერთობები არ არის ჯანსაღი.

ნიკა ჩიკვაიძის სპექტაკლი მოგითხრობს საზოგადოებაში არსებულ კრიზისზე, გაუცხოებაზე, ფსკერზე დაშვებულ ადამიანებზე, ძალადობაზე ოჯახში და მის გარეთ, უკიდურეს გარყვნილებაზე და ზნეობრივ გადაგვარებაზე. ნიკუშა ჩიკვაძე მორალისტად არ გვევლინება, ის უბრალოდ გვიჩვენებს არსებულ რეალობას და გვაძლევს დასკვნის გამოტანის საშუალებას. რეჟისორი ავლენს ლიბერალურ დამოკიდებულებას სექსუალური უმცირესობის მიმართ, მაგრამ ამავდროულად წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომელიც ამ ჯგუფის ადამიანების წინაშე არსებობს როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

ვფიქრობ, სპექტაკლის დიდი ნაწილი საექსპოზიციო ნაწილს მიაქვს, რაც აფერხებს მოქმედების დინამიკას. ეს შენიშვნა რეჟისორთან ერთად ინსცენირების ავტორს, დრამატურგ ლილე შენგელიასაც ეკუთვნის. უმჯობესია პერსონაჟები ეტაპობრივად გავიცნოთ მათი ქმედებიდან და საქციელიდან გამომდინარე. მხატვარმა თამარ ჭავჭანიძემ ზედმიწევნით ზუსტად შექმნა სივრცე, რომელიც ამ რეალობას ნატურილისტური ხერხებით გამოხატავს, რომელშიც სპექტაკლის გმირები ცხოვრობენ. სცენიდან იგრძნობა ატმოსფერო, რომელიც მათი ცხოვრების წესის ანარეკლია. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: თემურ გვალია, მაია ლომიძე, ტატო გელიაშვილი, აშოტ სიმონიანი, რატი ყულოშვილი, ნინა კალატოზიშვილი, თათა თავდიშვილი, ქეთი ტატიშვილი, პაპუნა ლებანიძე, თამთა ჩუმაშვილი, სერგო საფარიანი, გიორგი ჩაჩუა, ნატალია გალოგრე,

თათული ზალიკაშვილი, შაკო ღონღაძე, ირა ეზეიშვილი. ისინი საკმაოდ თამამები და გაბედულები აღმოჩნდნენ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს რეჟისორის ექსპერიმენტში. მათი თანამოაზრეობა (რეჟისორისა და მონაწილე მსახიობების) სპექტაკლის მიმდინარეობისას აშკარად იგრძნობა. არტისტული ანსამბლიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ტატო გელიაშვილი, რომელიც სპექტაკლში ბებიის როლს თამაშობს. გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა მსახიობმა სხვა საპირისპირო სქესის ამპლუა მოირგო, მან შეასრულა ხანდაზმულის როლიც. მას საკმაოდ რთული პარტიტურა შეხვდა, ის თითქმის არ გადის სცენიდან და მსახიობი ახერხებს ისე, რომ მუდმივად იყოს ყურადღების ცენტრში.

ვფიქრობ, თავისუფალი თეატრი ის სივრცეა, რომელიც ახალგაზრდა, განსხვავებული მსოფლმხედველობისა და ინტერესების რეჟისორებს თავისუფლად აზროვნების საშუალებას აძლევს. ზოგჯერ დგება ის მომენტი, სადაც მთავარი ხარისხი კი არა, არამედ მოქალაქეობრივი პოზიციაა, რეჟისორის სათქმელი და პრობლემის უკომპრომისოდ დასმაა. „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“ ამის ნათელი მაგალითია. ვიმედოვნებ, მომავალშიც ნიკა ჩიკვაიძე თამამად დასვამს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან, მიჩქმალულ, მაგრამ აქტუალურ პრობლემებს და ჩვენი საზოგადოების მანკიერ მხარეებს საჯარო განხილვის ობიექტად უფრო მაღალ მხატვრულ ხარისხში აქცევს.

თამარ კამლაძე

საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები
ჩავარდნილი ექსპერიმენტი

თეატრი პირობითობაა და თეატრი რეალობის მხატვრული ასახვაა. თუ თეატრის იმ რამდენიმე ჭეშმარიტ დებულებას გავითვალისწინებთ, რაც, ასე ვთქვათ, თეატრალურ კანონებს წარმოადგენს, მაშინ ნიკა ჩიკვაიძის სპექტაკლი „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“ შეიძლება იმ წარუმატებებ ექსპერიმენტად ჩაითვალოს, რაც ახალგაზრდა, დამწყებ რეჟისორებს შემოქმედებითი ძიებების საწყის ეტაპზე ხშირად ემართებათ.

თუ რეჟისორის შემოქმედებით რეპერტუარს გადავხედავთ, მას გარკვეული წვლილი ნამდვილად მიუძღვის თანამედროვე თეატრის ექსპერიმენტულ ძიებებში. ის არა ერთი საინტერესო ტიპაჟისა და საინტერესო და არაორდინალური სცენის შემქმნელია. მის სპექტაკლებში ყოველთვის შეიძლება რაიმე ახალი და საინტერესო აღმოაჩინოს მაყურებელმა, იქნება ეს რეჟისორული ხერხი, საინტერესო პერსონაჟები, არაორდინალური სცენები თუ სხვა. მე პირადად საკმაოდ კეთილგანწყობილი ვარ ამ რეჟისორის მიმართ, მუდამ თვალყურს ვადევნებ მის შემოქმედებას და სუბიექტურად ვფიქრობ, რომ მომავალში, დაგროვილ გამოცდილებასთან ერთად, საკმაოდ საინტერესო ნამუშევრებს შემოგვთავაზებს. ჩემს კრიტიკასაც ეს კეთილგანწყობა სასიკეთოდ აიტანს.

გავიხსენოთ ნიკა ჩიკვაიძის გასულ სეზონზე დადგმული სპექტაკლი

„ყველა დამამძიმებელი გარემოება“, ამ სპექტაკლის მსგავსად, დასაწყისში აქაც („საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“) იგივე ხერხია გამოყენებული. მაყურებელი იმ დროს შედის დარბაზში, როდესაც სცენაზე მსახიობები უკვე გამოსულები არიან და არამკვეთრი მოძრაობებით ემზადებიან სპექტაკლის საბოლოოდ დაწყებისათვის. თითქოს, სანამ მაყურებელი თავის ადგილს დაიკავებს, ისინი წინასიტყვაობასავით აცნობენ თავიანთ პერსონაჟებსა და საერთო ატმოსფერულ განწყობას. მაყურებელი კუთვნილ ადგილს იკავებს, დარბაზის კარი იკეთება და წარმოდგენაც საბოლოოდ იწყება.

სპექტაკლი ნატურალისტურ ჟანრშია გაკეთებული, რაც დღევანდელი ქართული თეატრის ცხოვრებაში არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა. ჟანრი მოძველებულად და წარუმატებლად მიიჩნევა. რეჟისორს დეკორაციის სახით საკმაოდ მკვეთრად აქვს ის ატმოსფერო შექმნილი, რაც აღნიშნული სპექტაკლისათვის ნამდვილად საჭიროა. ატმოსფერო, რომელიც ჭუჭყის, სიბინძურის, ღალატის, საზიზღრობის, სიღარიბის საძაგელ შეგრძნებას იწვევს. სცენაზე ერთი პატარა ოთახია მოწყობილი, სადაც ოჯახის 13-14 წევრი ცხოვრობს, მათ შორის ერთი ჩვილი ბავშვიც. რამდენიმე ძველი და დაშლილი საწოლი დგას, სადაც ცოლ-ქმრებს წყვილად სძინავთ. ზოგიერთი ოჯახის წევრი კი პირდაპირ იატაკზე დაგდებულ ძველ დაკონკილ ქვეშაგებზე წევს. კედელზე ძველი, გახუნებული შპალერია გაკრული და ბავშვების ნაჯღაპნებიც ეტყობა. რამდენიმე ღია თაროზე უდიერად მიყრილი ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ნივთები ერთმანეთშია არეული. მარჯვენა კუთხეში სამზარეულოს კარადიდან ჭუჭყიანი, გასახეხი ჭურჭელი მოჩანს. ოთახის შუაში კი ერთი დიდი მაგიდა დგას, რომელიც ერთად სადილობის შემთხვევაში ოჯახის ყველა წევრს ნამდვილად ვერ დაიტევს. ოთახის გვერდით ერთი ბინძური საპირფარეშოა, გაყვითლებული უნიტაზითა და ჭუჭყისაგან ჩაშავებული ხელსაბანი ნიჟარით, რომლის კარიც არ იკეტება და ოჯახის წევრებიც მას დასწრებაზე მოიხმარენ. ნატურალისტურ სიმძაფრეს საჭმელიც მატებს, რომელსაც ისინი მანდვილად ჭამენ (ეს არის ლობიო ან აჯაფსანდალი, თუ არ ვცდები), ასევე დაჭრილი ხახვი და მწვანილი სცენაზე, რომელიც სუნსაც კი უშვებს დარბაზში. იატაკზე ათასგვარი ჭინჭია მიმოფანტული, ოთახში კედელზე გაბმულ სარეცხის თოკზე „ადიელები“ და ტანსაცმელი ჰკიდია, რომელიც ერთგვარ საწოლის გადამტიხრავ ფარდის როლსაც ასრულებს. მსახიობებს ძველმოდური კონკები და არა თავისი ზომის ტანსაცმელი აცვიათ, რაც სიღარიბის ზღვარს უსვამს ხაზს. 14 სული ერთი ტუალეტით სარგებლობს და მისი დალაგება არც ერთს არ უნდა. აბაზანის მაგივრობას გაზზე გაცხელებული წყალი და დასაბანი ტაშტი ასრულებს.

ამ ბოლო პერიოდში ხშირია უკვე პოპულარული (ან ნაკლებად პოპულარული) ფილმის სცენარის ადაპტირება, გადმოპიესება და მისი სცენიური რიმეიქის შექმნა. თუმცა, როგორც სჩანს, ეს არც თუ ისე იოლი საქმეა, პირველ რიგში მხოლოდ იმიტომ, რომ კინოს, ეკრანის სპეციფიკა თეატრის ცოცხალი ორგანიზმისაგან განსხვავდება და ხშირად ხდება, რომ ასეთი სპექტაკლები კინოფილმის ეფექტს იწვევს სცენაზე და არა წარმოდგენის.

როგორც ვიცით ეს სცენარი („საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“) არაჩვეულებრივი, დიდი იტალიელი კინორეჟისორის ეტორე სკოლას ამავე სახელწოდების ფილმს ეკუთვნის, სადაც მთავარ როლს (მამა) გენიალური ნინო მანფრედი თამაშობს. არაჩვეულებრივი ფილმი, სადაც ამბავიც და ატმოსფეროც ზედმიწევნით ნატურალურად არის გადმოცემული. მათ სიბინძურეს და სისაზიზღრეს მთელი შეგრძნებით განიცდი. რეჟისორსაც სცენაზე მსგავსი ატმოსფეროს გადმოტანა უნდოდა, რაც, სამწუხაროდ, ერთადერთია, რაც ამ სპექტაკლში მიღწეულად შეიძლება მივიჩნიოთ.

სპექტაკლის ცენზურა +18-ია და მასში საკმაოდ თამამი ეროტიული სცენებია გამოყენებული, შეულამაზებლად და ზიზღგამომწვევად. ადაპტირებული სცენარი კი ქართულ ვარიანტში შემდეგნაირად ვითარდება: ოჯახის უფროსი, მამა, რომელსაც საკმაოდ დიდი ფული აქვს დაგროვილი, არავის არაფერს აძლევს, ფულს სულ სადღაც მალავს, არც საჭმლის საყიდლად აძლევს ცოლს და არც თავისთვის მოიხმარს, მაღაზიიდანაც კი ვალზე იღებს თავისთვის სასმელს. ანგარიშს არავის უწევს და თავს ვალდებულადაც არ სთვლის, ვინმეს რაიმე მისცეს. ეს მხოლოდ მისი ფულია. მისი სახლიდან გასვლის დროს მთელი ოჯახი სახლს აყირავებს ფულის ძებნაში, მაგრამ ამაოდ. იდეაში ისინი ძალიან მდიდრები არიან, მაგრამ რეალურად – საცოდავები და ღარიბები. მათ ოჯახში მუდამ ჩხუბი და აურზაურია. ისინი სულითა და ხორცით სიბინძურეში არიან ჩაფლულები. საარსებო ორი კაპიკისათვის ზოგიერთი პროსტიტუციით, ზოგი კი მძიმე სამუშაოთია დაკავებული, ზოგიც სხვების კმაყოფაზე სახლშია უსაქმურად გამოკეტილი. ცოლი მეზობლებში მათხოვრობს საჭმელს და ა.შ. ბოლოს მამა ისე გათავხედდება, რომ სახლში საყვარელს მოიყვანს, ახალ ძვირფას კაბასაც კი უყიდის და მისი სახლში ცოლად დასმაც უნდა. ოჯახის წევრები მის მოწამლვას გადაწყვეტენ, მაგრამ ის წამალს ამოაღებინებს და გადარჩება. უცებ სახლში უცხო ხალხი შემოვარდება ხელში საბუთით, სავარაუდოდ, მათ ეს ბინა მამამ მიყიდა, მაგრამ ოჯახის წევრები ამ სახლიდან გასვლაზე არაფრის დიდებით დასთანხმდებიან. ბოლოს ამ პატარა ოთახში ყველანი ერთად ცხოვრობენ. მოულოდნელად მოხუცი ბებია კვდება, რომელსაც დილით ადრე წყლის მოსატანად ამდგარი შვილიშვილი, პატარა გოგონა შეამჩნევს. ოთახში ყველას სძინავს, ის ლოგინიდან ჩვილ ბავშვს ჩუმად აიყვანს და სახლიდან გარბის.

უნდა აღვნიშნო, რომ ნამუშევარში უამრავი შეცდომა ფიქსირდება. დავიწყებ დრამატურგიიდან, სადაც შეცდომათა რიგს ვხვდებით. მაგ: როდესაც მამა სუფრასთან ჯდება და შვილების მიერ საწამლავჩაყრილ საჭმელს მიირთმევს მაშინ ეუბნება მათ, რომ მათთვის ახალი კარგი ამბავი აქვს... მაგრამ ჩვენ ვეღარ ვიგებთ, რა ამბავი იყო ეს. გაურკვეველია ასევე შემოჭრილი ხალხის პოზიცია, არ ირკვევა, ეს ბინა მათ იყიდეს, იქირავეს თუ რა მოხდა... მოკლედ, რამდენიმე სცენა ამბის მხრივ საკმაოდ გაუგებარი რჩება. ამბავი კი ის ერთადერთი სიწმინდეა, რაც ყველანაირმა მაყურებელმა, თეატრმცოდნემაც და მექანიკოსმაც ერთნაირად გარკვევით უნდა გაიგოს.

არსებობს რეჟისურის რამდენიმე კანონი, რაზეს ეწყობა სპექტაკლი:

ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ფინალი... აღნიშნულ სპექტაკლში შეუმჩნეველია ან არ არის მსგავსი არაფერი, სად იკვრება კვანძი, სად არის კულმინაცია... სპექტაკლი საკმაოდ მდორედ და უინტერესოდ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორმა თითქოს ეპატაჟური ეროტიკული სცენებით უნდა მოიგოს მაყურებლის ყურადღება (რძალს ჯერ ტრანსვისტიტი მაზლი პირდაპირ ოთახში მძინარე ქმრისა და ჩერჩეტი ბებიის თვალწინ, შემდეგ კი მამამთილი საპირფარეშოში აუპატიურებს). არ იკვეთება მიზანსცენები, მნიშვნელოვანი მოვლენები, არ კეთდება შესამჩნევი აქცენტები, არც პერსონაჟზე და არც მოვლენაზე. ერთადერთი მეტნაკლებად სახალისო და თავშესაქცევი მომენტია ტელევიზორთან ინვალიდის ეტლში მჯდომი მოხუცი ბებია, რომელიც სასაცილო და გულუბრყვილო რეპლიკებს ისვრის სერიალებისა და გადაცემების ყურების დროს. სპექტაკლი უხალისოდ, უინტერესოდ და ცოტა გამაღიზიანებლადაც კი მიმდინარეობს (გამაღიზიანებლად იმიტომ, რომ რეჟისორი საინტერესოს ვერაფერს გვთავაზობს), მსახიობები შემოდიან და გადიან, ჩხუბობენ, დაობენ, ილანძღებიან, შიშვლდებიან, ვხედავთ მათ შიშველ მკერდსა და უკანალს. ეროტიკული სცენებიც კი, რომლებიც საკმაოდ თამამია სცენისათვის, არაფერს გვეუბნებიან, არც მიზეზი ვიცით რატომ, რისთვის ხდება ეს ყველაფერი და რატომ გვაჩვენებს ამ ყველაფერს რეჟისორი, თან, ცოტა არ იყოს, ეს ყველაფერი ქართული რეალობისთვისაც გადაჭარბებულია. ის სცენარი ევროპულ ცხოვრებას არის მორგებული და ქართულ ყოფას არ ესაბამება. ჯობდა გადმოპიესების დროს რეჟისორსა და დრამატურგს ეს გაეთვალისწინებინათ და ქართული რეალობისათვის შესაფერისი მოვლენები აესახათ (ადაპტაციაც ხომ ამას გულისხმობს).

მე პირადად გაუგებრობაში დავრჩი ფინალითაც. აქცენტი პატარა გოგონაზე, შვილიშვილზე კეთდება, რომელიც ჩვილთან ერთად სახლიდან გარბის, მანამდე, მთელი სპექტაკლის განმავლობაში, ამ გოგონაზე განსაკუთრებული აქცენტი არ გაკეთებულა, რომ გვეფიქრა ,ის განსაკუთრებული პერსონაჟია სპექტალში და ფინალიც მასზე უნდა იყოს აწყობილი...

მართალია, რეჟისორმა სპექტაკლი ნატურალისტურ ჟანრში დადგა, მაგრამ დაავიწყდა ყველა ის კრიტერიუმი, რაც ჩვენს რეალურ ცხოვრებას თეატრისაგან განასხვავებს. მხატვრულობა, რომლიც ამ სპექტაკლში არ არის, წარმოდგენა უსახური და არასანახაობრივიც კი გახადა. ამიტომ ამ სპექტაკლს ჩავარდნას ვუწოდებ. ჩვენ ვცხოვრობთ რეალობაში, თეატრი კი პირობითობაა...

მოძრაობის თეატრი
ინტრო

სპექტაკლის დასახელება - ინტრო

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
ავტორი - კახა ბაკურაძე
რეჟისორი და ქორეოგრაფი - ალექსანდრე ნიკოლაძე **კომპოზიტორი** - **მხატვარი** ანუკა მურვანიძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 8 ოქტომბერი
სარეპეტიციო პროცესი - 3 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
ლაშა ჩხარტიშვილის რეცენზია პორტალზე artareatv.ge

გამოხმაურება

ლაშა ჩხარტიშვილი

შეხვედრა წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან სამ სიბრტყეზე და სამ განზომილებაში

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის პირველი დღე ამაღლებულ ნოტაზე დასრულდა. ამაღლებული განწყობა კი ქართველ და უცხოელ კრიტიკოსებს მოძრაობის თეატრის სპექტაკლმა „ინტრო“ შეუქმნა. სივრცე, რომელშიც მოძრაობის თეატრი მოღვაწეობს, თავისთავად ბადებს თავისუფლების განცდას და გამზადებს განსხვავებულთან, ორიგინალურთან შესახვედრად.

მოძრაობის თეატრის ახალი სპექტაკლი „ინტრო“ ერთგვარი გადაძახილია წარსულის მომავალთან აწმყოს გავლით. სპექტაკლი-წარმოსახვა ამ უჩვეულო თეატრის ისტორიის ერთგვარი ნარკვევი და მეგზურია, რომელიც მის წარსულში გამოგზაურებს, გიჩვენებს დღევანდელობას და სამომავლო პერსპექტივას. შესაბამისად, გახსენდება ამ თეატრის განვლილი გზა და რწმუნდები მის შესაძლებლობებში.

კახა ბაკურაძე ორიგინალურად ახერხებს სათეატრო ხელოვნების ყველა ფორმის ერთ სივრცეში თავმოყრას. „ინტრო“ ერთგვარი სათეატრო ხერხების მიქსია, სადაც ერთმანეთს მარიონეტებისა და თოჯინების თეატრის ფორმები ენაცვლება, აკრობატიკას ცეკვა და მოძრაობა (ზოგჯერ ერწყმის კიდეც ერთმანეთს), მრავალფეროვანი მულტიმედიური ხერხი და საცირკო ელემენტები, სიტყვა და ცოცხალი მუსიკა, რომელიც თანაბრად და ლოგიკურად გამოხატავს სათქმელს. კახა ბაკურაძის ამ სპექტაკლში აქცენტი მხოლოდ ვიზუალზე და

გამომსახველობით საშუალებებზე როდი კეთდება, რეჟისორი არც მხოლოდ მისი დასის მსახიობების ფიზიკური შესაძლებლობების დემონსტრირებას და ამით თავის მოწონებას ცდილობს მაყურებელთან, სპექტაკლის მიზანი არც მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებაა მაყურებლისთვის, არამედ გარკვეულ სათქმელს ამბობს, რომელიც თითქოს უმნიშვნელოდ, გაურკვევლად და ბუნდოვნად წამოსროლილი რამდენიმე ფრაზაშია გაბნეული. ძირითადი გზავნილი საზოგადოებისადმი და სპექტაკლის მთავარი შეგონება სწორედ მედროვე და ლაქია ადამიანებს ეძღვნებათ.

სპექტაკლი სანდრო ნიკოლაძის მუსიკალური კომპოზიციების თანხლებით ცოცხლად სრულდება. გულწრფელი ემოციით და მაღალი მხატვრული ხარისხით შესრულებული „გიჟური“ მუსიკა მაყურებელს განსაკუთრებულ ემოციას გვრის და სასიამოვნო განწყობასაც უქმნის, რომელიც მოძრაობის თეატრის სხვადასხვა სივრცეში გათამაშებული მოქმედებების ფონი კი არა, ორგანული, აზრობრივად დატვირთული ნაწილია. მუსიკას ცოცხლად ავტორთან და რეჟისორთან ერთად კახა ახალციხელი (გოგიძე) და იოსებ ნადაშვილი ასრულებენ, რომელთაც არაჩვეულებრივად ერწყმის ლელა გადრანის ვოკალი. სპექტაკლის მთავარ გმირს, მარიონეტად ქცეულ მთხრობელს კი ირაკლი ხოშტარია, ხატია მანჯავიძე და თეა ბახტაძე „აცოცხლებენ“, რომელიც მაყურებელს ერთგვარ მეგზურობას უწევს და სპექტაკლის ვერბალურ ნაწილსაც ის „ახმოვანებს“ შეკრებილ საზოგადოებაში.

კახა ბაკურაძე მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელ, ტრადიციულ ხერხებთან ერთად მულტიმედიის არაერთ ხერხს იყენებს. გრაფიკულს (რომელიც ხან წარმოსახვითია, ხანაც რეალური) ცოცხალი მულტიმედია ენაცვლება, პარალელურად კი მოქმედებები სამ განზომილებაში (იატაკზე, კედელზე და ზეცად ქცეულ ატმოსფეროში) მიმდინარეობს. ასეთ სამ სიბრტყეზე სამივე განზომილებაში შესრულდა სანდრო ნიკოლაძისეული „ტანგოს“ ვერსია „არანორმალური“ მსახიობებით, რომლებიც კედელზე და ჰაერში გამოკიდებულები ისეთივე ბუნებრივ გარემოში გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში. ამ ამოცანის დაძლევაში მათ ხელს ანუკა მურვანიძის მიერ შექმნილი კოსტიუმებიც უწყობს, რომლებიც მოსახერხებელია არა მხოლოდ არტისტებისათვის, არამედ მაყურებლისთვის გარკვეული მინიშნების ამოსაცნობად და საორიენტაციოდ. სცენური სივრცე, რომელიც სცენოგრაფმა გადაწყვიტა, სრულიად ერწყმის მოძრაობის თეატრის ორიგინალურ ატმოსფეროს.

მცირე ზომის ნოველები, რომლებიც პოეზიის, მუსიკისა და მოძრაობის სინთეზს წარმოადგენს, დინამიკურად ენაცვლება ერთმანეთს და ინტერესით განაწყობს მაყურებელს მომდევნო ნოველისადმი, რომელიც ფინალამდე სულ უფრო და უფრო რთულდება (ტექნიკური თვალსაზრისით). მოძრაობის თეატრის მსახიობები ეკა წილოსანი, ანა ცინცაძე, იაკობ გოგოტიშვილი, კახა არევაძე, გიორგი გოგავა, სალომე ქავთრაძე, შალვა გოგოლაძე, გიორგი ღონღაძე და ლაშა რობაქიძე განსაკუთრებულ ეფექტს ახდენენ მაყურებელზე. ისინი გრძნობენ და არავერბალური საშუალებებით გადმოსცემენ მათ განცდებს, დამოკიდებულებებს, რომლებიც მაყურებლსაც გადაედება და ბოლომდე რთავს

წარმოდგენის მსვლელობაში. ქაოტური სინქრონი და სიზუსტე შეხედულებებს მათ პროფესიონალიზმზე კიდევ უფრო ამყარებს. ამავდროულად, მაყურებელზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სამ სიბრტყეზე (პირობითად სცენაზე, თეატრის კედელზე და ჰაერში) შესრულებული „ტანგო“ ახდენს, რომელის წარმოდგენის ყველაზე შთამბეჭდავი და ამაღელვებელი „ნომერია“.

კახა ბაკურაძე სპექტაკლს ორიგინალურად ასრულებს, ე.წ. „პაკლონი“ (რაც მაყურებლისთვის მადლობის გადახდას გულისხმობს) აქ პირდაპირი მნიშვნელობით დაიტვირთა და მხოლოდ თავის დაკვრით როდი შემოიფარგლა. თითოეული შემსრულებელი პირადად მიდის მაყურებელთან და მადლობას ხელის ჩამორთმევით უხდის. ასეთი ორიგინალური ფორმით მაყურებელთან ურთიერთობის შემდეგ, ძნელია არ გაგიჩნდეს განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობა შემსრულებლების მიმართ, რაც არ უნდა ნეგატიურად იყო განწყობილი მათ მიმართ წარმოდგენის დასრულების შემდეგ.

შექსპირი და ოპერა

სპექტაკლის დასახელება - შექსპირი და ოპერა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პროექტის ხელმძღვანელი - ირინე რატიანი
დირიჟორი - ჯანლუკა მარჩანო
რეჟისორი - ხათუნა ბედელაძე
ქორეოგრაფი - კახა ბაკურაძე
გრიმი - ანუკა მურვანიძის სტუდია
დიზაინი - ბესიკ დანელია
კონცერტმაისტერი - ქეთევან გელაშვილი
კოორდინატორი - ქეთევან ნოზაძე
ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი
ოპერის მომღერლები - ირინე რატიანი, სულხან გველესიანი, კახაბერ თეთვაძე, ოთარ ჯორჯიკია, ნუცა ზაქაიძე, ნინო ჯაჭვაძე, მარიამ როინიშვილი
დრამის მსახიობები - ლილი ხურითი, ფიქრია ნიქაბაძე, ანდრია გველესიანი, ლევან ქარჩილაძე
მოძრაობის თეატრის დასი - სალომე ქავთარაძე, ანა თალაკვაძე, ქეთი გიორგაძე, ირაკლი სარალიძე, უჩა მჟავია, კახა არევაძე

პროგრამა:
ჯ.როსინი - ოტელოს და დეზდემონას დუეტი -„ოტელო“
ჯ. ვერდი - იაგოს სცენა და არია - „ოტელო“
ჯ. ვერდი - დეზდემონას ლოცვა - „ოტელო“
ჯ. ვერდი - „ფალსტაფი“

შ. გუნო - ჯულიეტას არია - „რომეო და ჯულიეტა“
ვ. ბელინი - რომეოს სცენა და არია - „კაპულეტები და მონტეკები“
ჯ. ვერდი - ლედი მაკბეტისა და მაკბეტის დუეტი - „მაკბეტი“
ჯ. ვერდი - მაკდუფის არია - „მაკბეტი“
ჯ. ვერდი - ბანქოს არია - „მაკბეტი“
ჯ. ვერდი - ლედი მაკბეტის სცენა - „მაკბეტი“

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 27 ნოემბერი
სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას) – 2 თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - ზურაბ ოიკაშვილის გამოხმაურება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“

გამოხმაურება

ლაშა ჩხარტიშვილი

შექსპირი და ოპერა - უნიკალური იდეა, ოდნავ ორიგინალური გადაწყვეტით

უნიკალურია შექსპირი თავისი შემოქმედებით, უნიკალური ხელოვნებაა ოპერა, მათი შეერთება კი ბევრისთვის წარმატების გარანტია, მაყურებლისთვის კი ერთდროულად ორივესთან შეხება –დიდი ზეიმი. თაობები იზრდება, იცვლება დრო და გემოვნება, იცვლება დამოკიდებულება, ფასდება ღირებულებები, მაგრამ საოპერო ჟანრის განვითარების მიმართ ინტერესი არ დუნდება მთელ სამყაროში და არც შექსპირი კარგავს თავის აქტუალობას არა მხოლოდ პრობლემათა მრავალფეროვნებითა და მარადიული ჟღერადობით, არამედ მისი ნაწარმოებების უკიდეგანო ინტერპრეტაციის საშუალებით.

ცნობილმა საოპერო მომღერალმა ირინე რატიანმა და რეჟისორმა ხათუნა ბედელაძემ ერთად გადაწყვიტეს ავანტიურისტული, უცნაური და ამავდროუალდ უნიკალური იდეის სცენაზე განხორციელება. ამისთვის მათ, ასევე ორიგინალური გარემო – მოძრაობის თეატრი შეარჩიეს. იდეას მხარი დაუჭირა სივრცის მასპინძელმა, მსახიობმა და მოძრაობის თეატრის დამაარსებელმა საქართველოში კახა ბაკურაძემ, რომელმაც თავისი გამოცდილება იდეის ავტორებს გაუზიარა და ასე შეიქმნა ბალაგანის ტიპის უცნაური წარმოდგენა მოძრაობის თეატრში, რომელთაც „შექსპირი და ოპერა“ უწოდეს.

წარმოდგენაში ერთმანეთს ენაცვლება და თანაბარ პირობებში არსებობს შექსპირის კლასიკური და დახვეწილი ტექსტი, საოპერო არიები და დუეტები, სცენური მოძრაობა და ქორეოგრაფიული კომპოზიციები, ბალაგანისა და კლასიკური დრამატული თეატრის ჟანრი. ამ ყველაფერს რეჟისორმა ხათუნა ბედელაძემ ერთ წარმოდგენაში მოუყარა თავი.

მოძრაობის თეატრის „შექსპირი და ოპერა“ წარმოადგენს უილიამ შექსპირის

ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი საოპერო არიების ფრაგმენტებს აერთიანებს როსინის, გუნოს, ბელინისა და,რაღა თქმა უნდა,ვერდის ოპერებიდან, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორებმა შექსპირის პიესების მიხედვით შექმნეს. საოპერო სცენებს, რომლებიც საკმაოდ ახლოს თამაშდება მაყურებელთან, ანაცვლებს დრამატული თეატრის მსახიობების მიერ ასევე ფრაგმენტულად შესრულებული (უფრო სწორად წაკითხული) ეპიზოდები შექსპირის პიესებიდან: „რომეო და ჯულიეტა“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „ფალსტაფი“, „ჰამლეტი“. შექსპირის სხვადასხვა პიესის ფრაზები სპექტაკლში ერთმანეთში ირევა და ეკლექტურობას უფრო ქმნის, ვიდრე ლოგიკურ, ან ბუნებრივ სინთეზს. გარდამავალ საზღვარს პიესებს შორის საოპერო არიები და დუეტები ავლებს.

მოძრაობის თეატრის დარბაზში შესვლისთანავე რეჟისორი შესაბამის განწყობას გვიქმნის, ისმის ორკესტრის აწყობის ხმები, სასცენო არენაზე კი დრამისა და საოპერო მსახიობები ერთმანეთში ირევიან და „ხურდებიან“. სცენაზე ერთგვარი ორგანიზებული ქაოტური სიტუაცია იქმნება. ვერ ვიტყვი, რომ მათი ქაოსი განსაკუთრებული ამოცანებით არის ნაკარნახევი, ამ დროს სათამაშო მოედანზე მოხეტიალე მსახიობები არც რაიმე განსაკუთრებულ (დასამახსოვრებელ) ეტიუდებს ასრულებენ და არც ერთმანეთში აქვთ ყურადღებამისაქცევი კომუნიკაცია (პარტნიორობა). ოპერისა და დრამატული თეატრის მსახიობები თავიდანვე გამიჯნული არიან სპექტაკლში. მართალია, ისინი ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ სიუჟეტს ყოველთვის არ აგრძელებენ.

მაესტრო ჯანლუკა მარჩანოს დირიჟორის პულტთან გამოჩენისთანავე მსახიობები იფანტებიან და კულისებში გადიან. სცენა მსახიობებისგან ცარიელდება და ორკესტრი აჟღერებას იწყებს. ამასობაში, ბალაგანის თეატრის პროტოგონისტი არტისტი ლილი ხურითი (მოხეტიალე დასის მსახიობის კოსტიუმში) გვამცნობს წარმოდგენის მიზანსა და შინაარსს. ლილი ხურითის გმირი შექსპირის მანტიასაც ირგებს და ეტაპობრივად წარმოგვიდგენს მის პერსონაჟებს. მსახიობი ბალაგანის ჟანრში წარმართავს წარმოდგენას, ის ერთგვარი კონფერანსიეა, რომელიც მოძრაობის თეატრში სამი მიმართულებით განლაგებულ მაყურებელს ხან თავის, ხანაც ცნობილი კომპოზიტორის პერსონაჟებს წარუდგენს. მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო ირინე რატიანის ხილვა ოტელოს ამპლუაში, რომელმაც მარიამ როინიშვილთან ერთად ოტელოსა და დეზდემონას დუეტი შეასრულა ვერდის ოპერიდან „ოტელო“.

„ვთამაშობთ შექსპირს“ – ასე ორი სიტყვით გვამცნო ლილი ხურითის გმირმა წარმოდგენის არსი. მსახიობები (მონოლოგებითა და დიალოგებით), საოპერო მომღერლები (არიებითა და დუეტებით) და მოძრაობის თეატრის არტისტები (ქორეოგრაფიული კომპოზიციებითა და ექსტრემალური კონსტრუქციით) გაითამაშებენ სცენებსა და ეპიზოდებს შექსპირის ნაწარმოებებიდან. გარკვეული სცენები სამ განზომილებაში თამაშდება, ერთ ამბავს ერთდროულად მოგვითხრობენ მსახიობები, მოცეკვავეები და საოპერო მომღერლები სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებებითა და ფორმით სამ განზომილებაში.

რეჟისორმა ხათუნა ბედელაძემ სპექტაკლში მონაწილე არტისტები საკმაოდ რთულ სიტუაციაში ჩააყენა. მსახიობებს განსაკუთრებული მობილიზება

უწევთ, რადგან ისინი მაყურებელთან სამი მიმართულებით კონტაქტობენ, ამავდროულად მათი ჰიპოსტასები (საოპერო მომღერლებისა და მოძრაობის თეატრის მსახიობების სახით) ერთდროულად ევლინებიან მაყურებელს, ისინი იწყებენ და საოპერო მომღერლები აგრძელებენ შექსპირის სხვადასხვა გმირის განცდებს, განწყობებს, ამბებს.

წარმოდგენის ლიტერატრულ ლიბრეტოზე მაკა ელბაქიძემ იმუშავა. გარდა იმისა, რომ ტექსტის ადაპტაციის ავტორს ბევრი სტილისტური შეცდომა გაეპარა, მათ შორის, პერსონაჟთა სახელები რუსულის კალკია, რომელიც კარგა ხანია შეცვლილია შემდგომი პერიოდის გამოცემებსა და დადგმებში.

რეჟისორი მსახიობების საშუალებით პირდაპირ კონტაქტობს მაყურებელთან და განმარტებებს აკეთებს, რეჟისორი თხრობის პირობით ფორმას გვთავაზობს, რაც გარკვეული ფაქტორების გამართლების საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, ის ამართლებს, იმას, რომ შექსპირი ქალია, თეატრი თეატრში ფორმა ამის საშუალებას იძლევა, მაგრამ მხოლოდ ფორმით გამართლებას რეჟისორი არ დასჯერდა და ერთ-ერთ ნაკლებად გავრცელებულ მითს ახმოვანებს შექსპირის იდენტობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, არავინ იცის, ვინ იყო სინამდვილეში შექსპირი. მსახიობი ლილი ხურითი გამართული მეტყველებით, ოდნავი გროტესკით, მაგრამ ზედმეტი მანერულობით წარმოგვიდგენს შექსპირს-ბალაგანის თეატრის მსახიობს.

შექსპირის გმირების გალერეიდან თითქმის ყველას „გაჰკრა კბილი" ანდრია გველესიანმა, ერთი საათის განმავლობაში მსახიობი შეეცადა მაკბეტის, რომეოს, ოტელოს ხასიათების მორგებას. შესაძლოა, მსახიობს წარმოდგენის ზოგადი გადაწყვეტის სფეციფიკა უშლიდა ხელს (პერსონაჟთა ფრაგმენტული გაელვება წარმოდგენაში), მაგრამ ფაქტია, რომ მსახიობისთვის მხოლოდ ფიზიკური მონაცემები და გმირის გარეგნული ამპლუა არ არის საკმარისი, განსაკუთრებით ეს შექსპირის გმირებს ეხებათ, რომელთაც ღრმა შინაგანი სამყარო გააჩნიათ. სამწუხაროდ, ეს სიღრმე აკლდა ანდრია გველესიანის მიერ შესრულებულ გმირებს. ანდრია გველესიანის ფაქტურა და სცენური მომზიბვლელობა არ აღმოჩნდა საკმარისი ტრაგიკული გმირების ღრმა შინაგანი ბუნებისა და ვნებების გადმოსაცემად. აბსოლუტურად ბუნებრივია ლილი ხურითის მიერ შემოთავაზებული პათეტიკურობა, რადგან ის რეჟისურის ჩანაფიქრის ნაწილია, რომელშიც იგრძნობა გარკვეული ირონია, მაგრამ როცა ანდრია გველესიანი კითხულობს შექსპირის ტექსტს (რომელიც ადაპტირებული კი არ არის, არამედ ეყრდნობა ყველაზე ძველ თარგმანებს) გამოუცდელ მსახიობს ეგრევე პათეტიკისკენ უბიძგებს, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის მაყურებელსა და მსახიობს შორის, გარკვეულ უხილავ კედელს აღმართავს და კომუნიკაციას წყვეტს. გარდა ამისა, მსახიობის მიერ შექმნილ გმირებს ჰქონდათ ერთი საერთო – საკუთარი თავით ტკბობა...

დრამატული თეატრის მსახიობთა ჯგუფიდან გამოირჩეოდა ლევან ქარჩილაძის მიერ შექმნილი ფრაგმენტული მხატვრული სახეები შექსპირის უარყოფით და დადებით პერსონაჟთა მრავალფეროვან გალერეიდან. მსახიობი მოკლე დროში ახერხებს გმირების მთავარი მახასიათებლების გამოვლენას. ამას ხელი შეუწყო

არა მხოლოდ მსახიობის გარეგნულმა ამპლუამ, არამედ ტექსტის გააზრებამ და გმირი ხასიათების მთავარი ნიშნების სცენაზე გამოყოფამ. მისი იაგო ცბიერი, ბოღმიანი და შურისმაძიებელი გმირია, რომელიც ობობასავით ყველა კუთხეში ხვდება ოტელოსა და დეზდემონას, რადიკალურად განსხვავებულ ტიპაჟს ქმნის ლევან ქარჩილაძე მერკუციოს მხატვრული სახის შექმნისას. მისი მერკუციო განსხვავებული სცენური ვერსიაა, სადაც გმირი ავტომატურ სიმპათიას კი არ იწვევს მაყურებელში, არამედ ლოგიკურ თანაგრძნობას მისი დაღუპვისას. ქალი პერსონაჟების სცენური გაცოცხლება სპექტაკლში ფიქრია ნიქაბაძემ უზურნველყო. მსახიობი ერთგვარ ფონს ქმნიდა მამაკაცი პერსონაჟებისათვის. მის მიერ შექმნილი შექსპირული ქალები საგრძნობლად შორდებოდა მებრძოლი, თვითმყოფადი და მიზანდასახული ქალების ტიპაჟებს, მათ შორის, ლედი მაკბეტიც. ფიქრია ნიქაბაძის მიერ შექმნილი შექსპირული გმირები უსუსურ და მგრძნობიარე არსებებად გამოიყურებიან.

დიდი ინტერესით იცქირება საოპერო მომღერლების მიერ შესრულებული ეპიზოდები სპექტაკლში. გარდა ვოკალისტების მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა,აქ გამოვლინდა მათი არტისტული მონაცემები, გმირის ხასიათებში წვდომის უნარი.

პერსპექტიული და იმედის მომცემი მომღერალია ნუცა ზაქაიძე, რომლის შესრულების სტილისტიკა, გმირის ხასიათის წვდომის უნარი და შემართება, შემსრულებლის ენერგეტიკა ხიბლავს მაყურებელსა და მსმენელს. ორიგინალური იყო მარიამ როინიშვილისა და ირინე რატიანის დუეტი (ოტელო და დეზდემონა). თუ არ ვცდები, ირინე რატიანი პირველი მომღერალი ქალია, რომელმაც ოტელოს არია შეასრულა. ერთი მხრივ, ეს სიგიჟეა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს „სიგიჟე“ ძალიან უხდება ხელოვნებას.

სპექტაკლში რეჟისორმა საკმაოდ დაგვაახლოვა საოპერო მომღერლებს და მონუმენტური მასშტაბიდან ისინი კამერულ ატმოსფეროში გადმოსტყორცნა, რითაც დააახლოვა მაყურებელი და შემსრულებლები ერთმანეთს. აქამდე ოპერა ასე ახლოს ბოლო პერიოდის ქართულ თეატრში არ მოგვისმენია, აღგვიქვია. სპექტაკლმა წარმოაჩინა კიდეც ჩვენი საოპერო თეატრის სოლისტების პოტენციალი და მზაობა ექსპერიმენტებში მონაწილეობისათვის. ირინე რატიანმა (სოპრანო), სულხან გველესიანმა (ბარიტონი), კახაბერ თეთვაძემ (ბანი), ოთარ ჯორჯიკიამ (ტენორი), ნუცა ზაქაიძემ (მეცო სოპრანო) და მარიამ როინიშვილმა (სოპრანო) შეასრულეს არიები და დუეტები ვერდის ოპერებიდან „ოტელო“, „მაკბეტი“, „ფალსტაფი“, გუნოს „რომეო და ჯულიეტადან“, ბელინის „მონტეგები და კაპულეტებიდან“. საოპერო მომღერლების გამბედაობა, სწრაფვა და წყურვილი არაორდინალურ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად ამ სპექტაკლში თვალნათლივ გამოვლინდა. მომღერლების უკან ორკესტრი დგას, ისინი ერთდროულად მღერიან, თამაშობენ და ასრულებენ რეჟისორის ამოცანებს. განსაკუთრებით ამ მხრივ სულხან გველესიანი, ირინე რატიანი, მარიამ როინიშვილი და ოთარ ჯორჯიკია გამოირჩევიან, რომლებიც დრამატული მსახიობის რანგში ხატავენ შექსპირის გმირებს.

საოპერო მომღერლების მზაობა ექსპერიმენტების გასახორციელებლად,

არის დადებითი მოვლენა და ხელს უწყობს საოპერო მომღერლის ახალი გამოცდილების შეძენას. ამავდროულად ეხმარება დრამატული თეატრის არტისტებს საოპერო სფეციფიკის გაცნობაში.

რეჟისორი ხათუნა ბედელაძე წარმოდგენის კონცეპტუალური გადაწყვეტის ისეთ ფორმას გვთავაზობს, რომელიც მას ბევრი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. სპექტაკლში უკიდურესი პირობითობით, პათეტიკურობითა და ბალაგანურობით მოთხრობილია შექსპირის რამდენიმე პიესის გარკვეული ეპიზოდები. სპექტაკლის ავტორ-მონაწილეები ხშირად მიმართავენ ირონიას, გროტესკს, სატირასაც კი (ძველ თეატრზე და სათეატრო ტრადიციებზე).

საერთო ჯამში ხათუნა ბედელაძის სპექტაკლი „შექსპირი და ოპერა“ ორიგინალური წარმოდგენაა იდეაში, საოპერო, დრამატული და მოძრაობის თეატრების მსახიობების ერთდროულად ხილვა განსხვავებულ ამპლუაში და მაყურებლისთვის ასე ახლოს, ხელშესახებად გარკვეულ ეფექტს ახდენს მაყურებელზე და უნებლიეთ წარმოდგენის მონაწილედ აქცევს.

ლელა ოჩიაური

შექსპირი ოპერაში და ყველგან

უკვე ბევრჯერ მომიწია დაწერა, რომ საქართველოში შექსპირის იმდენი პიესა და იმდენჯერ დაიდგა, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში, რომ მხოლოდ ჩამოთვლაც კი შრომატევადი საქმეა. ამ სპექტაკლებიდან ზოგი უკვე აღარაა რეპერტუარში, ზოგის არსებობაც დავიწყებას მიეცა. ზოგი ქართული თეატრის ან წარსულ დიდებას წარმოადგენს და „ოქროს ხანის“ კუთვნილებად რჩება. გამოხმაურებისა თუ ყურადღების გარეშე არ ჩაუვლია და დღემდე სარეჟისორო თუ სამსახიობო ოსტატობის ნიმუშებად ითვლება. ექოს გამოსცემს. ზოგი კვლავ მოქმედია და იზიდავს მაყურებელს. ზოგი სულ ახალია და სასცენო ბიოგრაფიაცა და თეატრის ისტორიაში, წინამორბედთა მსგავსად, ადგილის დამკვიდრებისა თუ გაქრობის შესაძლებლობაც წინ აქვს.

ბოლო სეზონების დადგმებია – ლევან წულაძის „როგორც გენებოთ“, „რომეო და ჯულიეტა“, თემურ კუპრავას „ჰამლეტი“, დავით დოიაშვილის „მაკბეტი“ და „(შუა)ზაფხულის ღამის სიზმარი“, ბესო კუპრეიშვილის „ჩემი ჰამლეტი“, გიორგი სიხარულიძისა და კახა შარტავას „ჰამლეტი“, ავთანდილ ვარსიმაშვილის „რიჩარდ III“, დათა თავაძის „ზამთრის ზღაპარი“, ვახტანგ ნიკოლავას „ზამთრის ზღაპარი“, ლევან ხვიჩიას „ჰორაციო“ და „ჰამლეტი com.x“, იოანე ხუციშვილის „მაკბეტი“, მიხაილ მარმარინოსის „R+J ბედისწერა დაბნეულია. რომეო და ჯულიეტა. მესამე მეხსიერება“, ჰილარი ვუდის „ჭირვეულის მორჯულება“, დავით მღებრიშვილის „რომეო და ჯულიეტა“, ირაკლი გოგიას „რომეო და ჯულიეტა“, მორგანტე ნარდის „ჰამლეტიკა“; ოთარ ეგაძის „ჭირვეულის მორჯულება“, ქეთევან-ხათუნა ბედელაძის „შექსპირი და ოპერა“ და სხვა.

პროექტი „შექსპირი და ოპერა“, რომელიც რეჟისორმა ქეთევან-ხათუნა ბედელაძემ და თბილისის ზაქარია ფალიაშვილი სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა, სოპრანო ირინე რატიანმა, თავის, საოპერო ხელოვნების ასოციაცია „ბელკანტოს“ მიერ, კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრში განახორციელეს (მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. დირიჟორი – ჯანლუკა მარჩანო, დამდგმელი რეჟისორი და იდეის ავტორი – ქეთევან-ხათუნა ბედელაძე, ქორეოგრაფი – კახა ბაკურაძე, გრიმი – ანუკა მურვანიძის სტუდია, პროექტის ხელმძღვანელი – ირინე რატიანი, ლიტერატურული ნაწილი – მაკა ელბაქიძე, კონცერტმაისტერი – ქეთევან გელაშვილი, პროექტის კოორდინატორი – ქეთევან ნოზაძე, დიზაინი – ბესიკ დანელია) უჩვეულოა იდეითა და ფორმით, გადაწყვეტის მრავალშრიანიბითა და თეატრის დარგების სინთეზით.

ერთ სივრცეში - ერთ სპექტაკლად გაერთიანდნენ – დრამატული, საოპერო და პლასტიკური თეატრები – და ამ გაერთიანებაში, რომელსაც საფუძვლად უილიამ შექსპირის დრამატურგია დაედო, მონაწილეობდნენ – დრამატული (ლილი ხურითი, ფიქრია ნიქაბაძე, ლევან ქარჩილაძე, ანდრია გველესიანი) და მოძრაობის თეატრის (სალომე ქავთარაძე, ანა თალაკვაძე, ქეთი გიორგაძე, ირაკლი სარალიძე, უჩა მჟავია, კახა არევაძე) თეატრების მსახიობები; ოპერის სოლისტები და ახალგაზრდა მომღერლები (ირინე რატიანი – სოპრანო, სულხან გველესიანი – ბარიტონი, კახაბერ თეთვაძე – ბანი, ოთარ ჯორჯიკია – ტენორი; ნუცა ზაქაიძე – მეცო სოპრანო, ნინო ჯაჭვაძე – სოპრანო, მარიამ როინიშვილი – სოპრანო) და ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი, ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით.

შექსპირის პიესებზე რამდენიმე ოპერაა შექმნილი – ჯუზეპე ვერდის „ოტელო“, „მაკბეტი“, „ფოლსტაფი“; ჯოაკინო როსინის „ოტელო“, შარლ ჰუნოს „რომეო და ჯულიეტა“, ვინჩენცო ბელინის „რომეო და ჯულიეტა“. ამ ოპერებიდან სპექტაკლში რამდენიმე არია და დუეტია შესული, რომლებიც ირინე რატიანმა აარჩია. ხათუნა ბედელაძის გადაწყვეტით, ვოკალურ ნომრებთან შესატყვისად, დრამატული ნაწილში რამდენიმე ანალოგიური სცენა შევიდა, რომლებიც ორგანულად შეერთდა და კახა ბაკურაძის შექმნილი პლასტიკურ-ქორეოგრაფიული სცენებით კიდევ ერთი შრე დაემატა.

მოქმედება ისეა გადწყვეტილი, თითქოს სპექტაკლს მოხეტიალე თეატრის მსახიობები წარმოადგენენ – ბალაგანის, შექსპირად „გადაცმული“ ხელმძღვანელის, პროტაგონისტის (ლილი ხურითი) მეთაურობით, რომელიც მთელ მოქმედებას წარმართავს და კრავს და თვით დირიჟორსაც კი თავის ნებაზე ატარებს.

სპექტაკლის ხასიათი თავიდანვე განსაზღვრულია. აქ „თამაშობენ შექსპირს“ და ამ თამაშისთვის რეჟისორი ყველა მონაწილეს მოქმედებაში სპეციფიკური მანერითა და თავისებური სტილით რთავს. ამავე დროს, შესაძლებლობას აძლევს მსახიობებს, სხვადასხვა ამპლუაში თუ სივრცეში წარმატებით გამოსცადონ თავი და სხვის „მოედანზე“, მათ გვერდით აღმოჩნდნენ, იქ, სადაც მანამდე არ ყოფილან.

თეატრალური ხელოვნების ერთი სფერო მეორეს ერევა, მეორეს – მესამე. ისინი დინამიკურად გადადის ერთმანეთში, მონაცვლეობით ან პარალელურად მიმდინარეობს, რაც მოქმედებას ცოცხალს, მრავალშრიანსა და მოცულობითს ხდის.

ხერხი – „თეატრი თეატრში" – სამ, უფრო ზუსტად, ოთხ მიმართულებას აერთიანებს – დრამა, ოპერა, ქორეოგრაფია და ორკესტრი და თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი, თანაბარი და ურთიერთგამომდინარე დატვირთვა აქვს, თითქოს სახელდახელოდ გამართულ წარმოდგენაში. სპექტაკლში, რომელიც მაყურებლის თვალწინ თამაშდება. თითოეულ მათგანს სხვადასხვა პერსონაჟის განსახიერება და სხვადასხვა არიის შესრულება უწევს, რომლებიც დრამატურგიულად და შინაარსობრივად გამომსახველია.

„შექსპირი ოპერაში" წარმატებული ექსპერიმენტი გამოდგა, რომლის ფორმის უჩვეულობა, ორიგინალობა არ რჩება მხოლდ გარე ეფექტებისა და ჩანაფიქრის მიმზიდველობის დონეზე, მხოლოდ არამედ მხატვრულ თავისთავადობასა და ღირებულებას იძენს.

შექსპირი რომ მსოფლიო და მათ შორის, ქართული, თეატრების – საოპერო და დრამატული სცენებიდან არ ჩამოსულა და არასდროს ჩამოვა, ბოლო პერიოდის ქართულმა დადგმებმაც კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) დაატკიცეს. მისი დრამატურგია და მისი მიხედვით შექმნილ ლიბრეტოებზე დაწერილი მუსიკა მსოფლიო და ეროვნულ სათეატრო სივრცეებში კვლავ ყველაზე მიმზიდველ და მაცდურ მასალად რჩება.

ის საკონტაქტო, საერთო მარცვალი თუ რგოლი, კავშირი, რომელიც ყველა თაობის ქართველ რეჟისორებს, მსახიობებს, მომღერლებს, მუსიკოსებსა და შექსპირს შორის არსებობდა, კვლავ აქტიურია, ცოცხალი და მდიდარი, „მჩქეფარე ცხოვრებით" ცხოვრობს. შექსპირი კვლავ რჩება ქართული თეატრის ორგანულ ნაწილად, რომლის გარშემოც იმპროვიზების შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, თვითონ დრამატურგია იძლევა. და კიდევ არსებობს რაღაც უხილავი კავშირი, რომელიც თაობიდან თაობას მემკვიდრეობით, „უსიტყვოდ" გადაეცემა.

თეატრი ათონელზე

გზა ილიასი

სპექტაკლის დასახელება - „გზა ილიასი“
დღეს უკვე სპექტაკლი ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სარეპერტუარო სპექტაკლია სათაურით - „საუკუნის მკვლელობა“.

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - გიორგი სავანელი
რეჟისორები - გიორგი სავანელი, მაია ჯაფარიძე
კოსტიუმების მხატვარი - მარიამ კალანდარია
სცენოგრაფია და მუს. გაფორმება - გიორგი სავანელი
მუს. გამფორმებელი - ვერიკო ლებედინსკაია

მოქმედი გმირები და შემსრულებლები: (თეატრი ათონელზე განხორციელებული ვარიანტი)
ილია ჭავჭავაძე - მიშა კვაჭაძე
ოლღა გურამიშვილი - თეკა კოხრეიძე
რედაქტორი - კერესელიძე - დიმიტრი ყიფიანი
გაზეთების გამყიდველი, ნოე ჟორდანია, მოურავი ჯაში -
} გიორგი იარაჯული
მოხევე ლელთ ლუნია, ნიკო ნიკოლაძე, ბერბიჭაშვილი -
ვაკო კობერიძე
პორუჩიკი, არტურ ლაისტი, იმპერიის ცენზორი, ფილიპე მახარაძე, კომერსანტი ზუბალაშვილი, სათათბიროს წევრი სტოლიპინი -
} გიორგი სავანელი
მანანა ორბელიანი, ცარიზმის აგენტი - მაკა ბარდაველიძე
ზაქარია ჭიჭინაძე, ახალგაზრდა მოქალაქე, ვანო ინაშვილი (მკვლელი) - ცოტნე ხუბუტია
ჭორიკანა თავადი, სოციალისტი ქარდავა, მოხუცი ბანოვანი -
ქეთევან შერვაშიძე
იაკობ გოგებაშვილი, ფოსტალიონი, სოციალისტი ევდოშვილი -
ბაჩანა ფილაური
სარდიონ მესხიშვილი, ჭორიკანა კაცი, კავკასიის მეფისნაცვალი, რუსეთის სათათბიროს კანცლერი, აფციაური-მკვლელი -
} თორნიკე ჩიხლაძე
ჭორიკანა ბანოვანი - ანა ლორთქიფანიძე
ბარბარე ჯორჯაძე - თამარ ადამია
პოეტი გ. ბარათაშვილი, კორესპონდენტი ნაცვლიშვილი, ხიზანიშვილი-მკვლელი - გიორგი გურული
მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, პატარა გოგო - სალომე ქალდანი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 28 ნოემბერი
განახლებული პრემიერა მოზარდმაყურებელთა თეატრში - 2015 წლის 20 ოქტომბერი,
სარეპეტიციო პროცესი - თითქმის 3 თვე.

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - „თეატრი და ცხოვრება“ 2015 წ. N 6

ადამიანის ხმა

სპექტაკლის დასახელება - ადამიანის ხმა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ჟან კოქტო
მთარგმნელი - კესანე საკანდელიძე
რეჟისორი - მიშა ჩარკვიანი
მხატვარი - ქეთი ნადიბაიძე
მოქმედი გმირი და შემსრულებელი - ლუბა (ბუბა) გოგორიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 3 ოქტომბერი
სარეპეტიციო პროცესი - ორი თვე.
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

ძველებური ვოდევილი

სპექტაკლის დასახელება - ძველებური ვოდევილი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ვასილ ნიკოლაძე
რეჟისორი - ლაშა გოგნიაშვილი
მხატვარი - გელა ნაკაშიძე

მოქმედი გმირები და შემსრულებლები:
გრიგოლ გრიგოლაშვილი - ბექა სონღულაშვილი
ელისაბედი, მისი ცოლი - თამარ მაღრაძე
მათი შვილი, სოფიო - ნანა ზურგაშვილი
მოსამსახურე ბიჭი, სიკო - გიორგი წყლისაშვილი
მოსამსახურე გოგო, სონა - მარინე კუსიანი
სამსონ ზონენაშვილი - გიორგი მაისურაძე
სანდრო ზანდუკელი, სოფიოს შეყვარებული - დავით თოლორაია
პოლიცმეისტერი - დავით კუპატაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 1 2015 წლის 2 ივნისი
სარეპეტიციო პროცესი - სამი თვე.
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

ჭრილობა

სპექტაკლის დასახელება - ჭრილობა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ლაშა თაბუკაშვილი
რეჟისორი - ეკატერინე კვირკელია
მუს. გაფორმება - ელენე შიუკაშვილი
მხატვრ. განათება - ნატალია მანაგაძე
შემსრულებლები: ე. კვირკელია, ნატალია ბალაძე, ოთარ გიორგაძე, ნიკა ბუდაღაშვილი, ნიკა მანაგაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი: 2014 წლის 30 ოქტომბერი
სარეპეტიციო პროცესი - სამი თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში სპექტაკლზე გამოხმაურება არ ყოფილა.

ჰელვერის ღამე

სპექტაკლის დასახელება - ჰელვერის ღამე

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - ინგმარ ვილკვისტი
რეჟისორი - კობა სხილაძე
მხატვარი - სოფო კიკაბიძე

მოქმედი გმირები და შემსრულებლები:
ქალი - ლაურა რეხვიაშვილი
კაცი-ჰელვერი - რამაზ იოსელიანი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 8 ნოემბერი
სარეპეტიციო პროცესი - ხუთი თვე
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა.

დედა-დედოფალი

სპექტაკლის დასახელება - დედა-დედოფალი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესის ავტორი - მანლიო სანტანელი
რეჟისორი - თემურ ჩხეიძე
მხატვარი - ანკა კალატოზიშვილი
მუს. გაფორმება - ზურაბ გაგლოშვილი
მხატვრ. განათება - თამაზ დუდაშვილი

მოქმედი გმირები და შემსრულებლები:
რეჯინა - ნანა ფაჩუაშვილი
ალფრედო - ზვიად სხირტლაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2015 წლის 15 დეკემბერი
სარეპეტიციო პროცესი - სამი თვე და 10 დღე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - ინფორმაცია დამუშავების პროცესშია.

გოგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი

გურჯი ხათუნი

სპექტაკლის დასახელება - გურჯი-ხათუნი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
იდეის ავტორი და დამდგმელი ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე
ლიბრეტოს ავტორი - დათო ტურაშვილი
კომპოზიტორი - იოსებ ბარდანაშვილი
მხატვარი - ანა კალატოზიშვილი
განათება - გოჩა გიორგაძე
გურჯი-ხათუნი - ნათია ბუნტური
კონიის სულთანი - თოლგა ბურჩაკი
სპექტაკლში მონაწილეობენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის მსახიობები:
კონიის სულთანი - დავით ანანიაშვილი
წარმოსახვითი გურჯი-ხათუნი - ეკატერინე სურმავა
მურზაყან ორბელი - უილიამ პრატი
მოცეკვავეთა ქორო - თამთა ბახტაძე, ეკატერინე ლომინაძე, ლანა მღებრიშვილი, სოფიო ფანცულაია, შორენა ხაინდრავა, ნინო მახაშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 14 ნოემბერი
სარეპეტიციო პროცესი (რამდენი დღე, თვე დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას) 2 თვე

დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში:
დავით ბუხრიკიძის რეკომენდაცია დაბეჭდილი თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის კატალოგში;

მაკა მახარაძის, რობერტ სტურუას და თემურ ჩხეიძის მოსაზრებები სპექტაკლის შესახებ ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“.

გამოხმაურება

დავით ბუხრიკიძე

„გურჯი ხათუნის“ ნეოკლასიკური ხიბლი

მოცეკვავე და ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე, 21-ე საუკუნის ქართულ ქორეოგრაფიაში სრულიად ახალ, განსხვავებულ მიმართულებას ქმნის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი

წლების ბოლოს დადგმულ მის ერთ-ერთ პირველ, სრულფასოვან სპექტაკლში „დოვინ-დოვენ-დოვლი“ (გალაკტიონის ლექსების მიხედვით) უკვე გამოიკვეთა ის ქორეოგრაფიული ტენდენციები და თავისებურებები, რომლებიც მის მომდევნო ქორეო-ოპუსებშიც წარმოჩინდა.

მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფია უფრო ნეოკლასიკურ საბალეტო ფორმასა და ტრადიციას ეყრდნობა, ვიდრე ამჟამად მოდურ თანამედროვე ცეკვისა და „ფიზიკური თეატრის“ ელემენტებს. ცხადია, იგრძნობა სახელოვანი მამის, ქორეოგრაფ გოგი ალექსიძის გავლენაც. ამის მაგალითებია „აჭარპანი“ (ბალეტი-ფანტაზია აფხაზური ფოლკლორის თემებზე, სადაც ჟღერს იანის ქსენაკისისა და თემურ ბაკურაძის მუსიკა), „ალვა“ (ბალეტი ეყრდნობა ალვის ხის ცნობილ ქართულ მითოსს და მასში გამოყენებულია იოჰან სებასტიან ბახის, გია ყანჩელის და არვო პიარტის მუსიკა) და „ჰარირა“ (ეს არის შესანიშნავი ქორეოგრაფიული ფანტაზია, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა და მთლიანად ჯანო კახიძის მუსიკის მიხედვითაა აგებული).

ამჯერად, ახალგაზრდა ქორეოგრაფმა შემოგვთავაზა უფრო დიდი ფორმისა და ისტორიული შინაარსის საბალეტო დადგმა სახელწოდებით „გურჯი ხათუნი“, რომელიც დათო ტურაშვილის ამავე სახელწოდების ისტორიული რომანის მიხედვით დადგა. აღსანიშნავია, რომ თამარ მეფის შვილიშვილის, გურჯი-ხათუნის სიყვარულის დრამატული ისტორია საბალეტო ლიბრეტოდ თავად მწერალმა აქცია, ხოლო ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა კომპოზიტორმა, იოსებ ბარდანაშვილმა სპექტაკლისთვის ორიგინალური მუსიკალური ვერსია შექმნა. წარმოდგენა გააფორმა მხატვარმა ანა კალატოზიშვილმა და მასვე ეკუთვნის შესანიშნავი კოსტიუმების ესკიზებიც.

ამჯერადაც მარიამ ალექსიძე ნეოკლასიკურ საბალეტო ფორმას ირჩევს, სადაც ქორეოგრაფიული ენა, გამომსახველობითი მინიმალიზმი და რთული ჟესტები ერთმანეთს ავსებენ და არ ეწინააღმდგებიან ერთმანეთს. თუმცა გარკვეულ ეპიზოდებში (განსაკუთრებით წარმოდგენის მეორე ნახევარში) იგრძნობა თანამედროვე ცეკვის გავლენა.

„გურჯი-ხათუნი“ საინტერესოა როგორც ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობით, ისე ახალებური სცენური და ქორეოგრაფიული გააზრებით. ფაქტობრივად, ეს არის დრამატურგის, ქორეოგრაფის, მხატვრისა და კომპოზიტორის ერთობლივი კოპროდუქცია, ანუ ორიგინალური საავტორო ქართული ბალეტი, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა საბალეტო სცენაზე თუ დამოუკიდებელ სასცენო სივრცეში. სპექტაკლში მონაწილეობენ თბილისის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები: დავით ანანიაშვილი, ეკატერინე სურმავა, უილიამ პრატი, თამთა ბახტაძე, ეკატერინე ლომინაძე, ლანა მღებრიშვილი, ნინო მახაშვილი, შორენა ხაინდრავა.

ოდესაღაც კონიის სახელოვანი დედოფლის, გურჯი ხათუნის სახელობის ვარსკვლავი (რომელიც სხვათა შორის, თურქმა ასტროლოგმა, ბიბი მუნაჯიმემ აღმოაჩინა), იმედია, არ ჩაქრება და ჩვენ მუდამ გვემახსოვრება ულამაზესი ქართველი ქალის სევდიანი სიყვარულის ისტორია.

ახალგაზრდა ხელოვანების განვითარების ფონდი

დონ კიხოტი

სპექტაკლის დასახელება - დონ კიხოტი

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
რეჟისორი - გიორგი აფხაზავა
მხატვარი - ნინო კიტია
კომპოზიტორი - გიორგი აფხაზავა
მონაწილეობენ: მარი კიტია, გიორგი ხარაიშვილი, ნატალია მოლაშვილი, ანანო დოლიძე, თამო ჭინჭარაული, მერი ბეროშვილი, გიორგი აფხაზავა, არჩილ კაპანაძე

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 25 დეკემბერი
სარეპეტიციო პროცესი - 1 თვე (სარეპეტიციო პროცესი) – 3 თვე
სამზადისი (დეკორაციისა და თოჯინების შექმნა)
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - სპექტაკლზე პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა.

გამოხმაურება

თამარ მუქერია

დონ კიხოტი, ჩვენი დროის რაინდია

არაერთ ადამიანს სურს გულის სიღრმეში, მაინც იყოს დონ კიხოტი. ფიქრებში მაინც სჯერა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. მაგრამ დონ კიხოტობა, ეს მაინც სულის მდგომარეობაა, ის შეიძლება ნებისმიერი ადამიანში გამოიკვეთოს და ის ადამიანი ყოველთვის რჩეული ხდება, თავისი ბედით და უბედობით.

2014 წლის დეკემბერში შემოქმედებით ლაბორატორია „ART LAB“-ის სცენაზე ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტესის ცნობილი რომანის „მახვილგონიერი იდალგოს დონ კიხოტ ლამანჩელის“ ინსცენირება წარმოადგინეს.

შემოქმედებითი ლაბორატორია „ART LAB“-ი აერთიანებს ახალგაზრდა ხელოვანთა მცირერიცხოვან წრეს. „ART LAB“-ის მიზანია სრულიად დამოუკიდებლად შექმნან სათეატრო წარმოდგენები, თუმცა მათი საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ლაბორატორიის დამფუძნებლები არიან: რეჟისორი გიორგი აფხაზავა, მხატვრები: სოფო ქორიძე და ნინო კიტია. დამოუკიდებელ საქმიანობაში იგულისხმება, როგორც ლაბორატორიის კულტურის პოლიტიკა და შემოქმედებითი ნაწილი, ასევე ფინანსური მხარეც.

ეს, ამ ორგანიზაციის დამფუძნებლების მკაფიო და მყარი სურვილია. „ART LAB“-ში არსებობს კონკრეტული პროექტები, რომელთადაფინანსება სხვადასხვა სამთავრობო თუ კერძო სექტორში კონკურსების გავლის წესით ხდება. „დონ კიხოტიც“, ამგვარად, მერიის კულტურის სამსახურის დაფინანსებით შეიქმნა. ეს იყო თოჯინური სპექტაკლი, მინიმალისტურად გამოყენებული სივრცითა და რეკვიზიტით, მაგრამ ამავდროულად თეატრალურად ეფექტური სცენებით.

სპექტაკლის დასაწყისიდანვე იკვეთება მთავარი გმირის მარადიული მოძრაობის ასოციაციები და დონ კიხოტი ქვიშისგან დგება, მისი საწყისი თითქოს არაფერია, ცარიელი ქვიშაა, იგი თითქოს არაფრიდან აღდგება და ესაა მისი ახალი ცხოვრების დასაბამი. მისი არსებობა თავიდანვე ბრძოლით იწყება, ოღონდ ეს ბრძოლა დასაწყისშივე მარცხისთვისაა განწირული. ის მარტოა ამ ბრძოლაში, მისი და მოწინააღმდეგეის (ქარის წისქვილები, რომლებიც მას გოლიათები ჰგონია) ძალა და მდგომარეობა სრულიად არათანაბარია.

სპექტაკლი რამდენიმე სურათად არის წარმოდგენილი და თითო სურათი ერთ ამბავს გვიყვება. რეჟისორმა თავად დაამუშავა სერვანტესის რომანი. ორიგინალისგან განსხვავებით სპექტაკლი მუქ ფერებშია გადაწყვეტილი (მხატვარი ნინო კიტია). რეჟისორმა ერთგვარად რომანს „გამოაცალა“ სატირული და იუმორით გაჯერებული მხარე, თუმცა მკაფიოდ გამოკვეთა მთავარი გმირის მიზნები, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის დაუოკებელი სურვილი და როგორც თავად გმირი ამბობს, ყველა ჩაგრულისა და უსამართლოდ შეურაცხყოფილის მფარველის სახე. რეჟისორმა 42-წუთიან სპექტაკლში ის ძირითადი არსი გადმოსცა, რაც ორიგინალურ ვერსიაშია დაწერილი. მართალია, სიუჟეტურად ნაწარმოები ძალიან შეიკვეცა და არაერთი ამბავი მონტაჟის მსხვერპლი აღმოჩნდა, თითქოს ისევ გინდება მეტი იხილო სცენაზე, მაგრამ სპექტაკლის ავტორმა შეძლო სერვანტესის მიერ შექმნილი ისტორია მაყურებლისთვის მარტივად და ადვილად აღსაქმელად მოეყოლა. რა თქმა უნდა, პერსონაჟების რაოდენობაც ისტორიების მიხედვით განისაზღვრა, რომლებიც გაახმოვანეს: დონ კიხოტი (გიორგი აფხაზავა), სანჩო პანსა (გიორგი კავილაძე) და ბაკალავრი სამსონ კარასკო (გიორგი ხარაიშვილი).

მუსიკალური მხარე, რომელიც თავად რეჟისორმა შექმნა, მეტ გამომსახველობას სძენდა წარმოდგენას. ნახევრად განათებულ სცენაზე ერთგვარ რიტმულ დარტყმებზე აგებული არამელოდიური საუნდი სპექტაკლში მიმდინარე მოვლენებს უფრო მძიმედ წარმოაჩენდა.

თოჯინები თავად რეჟისორისა და მხატვრის ხელით არის გაკეთებული და მათ სცენაზე გაცოცხლებაში მონაწილეობას იღებდნენ: ნატალია მოლაშვილი, გიორგი ხარაიშვილი, არჩილ კაპანაძე, ანანო დოლიძე, თამო ჭინჭარაული, მერიკო ბეროშვილი, გიორგი აფხაზავა.

გ. აფხაზავას თოჯინური სპექტაკლი „დონ კიხოტი“ ყურადსაღები ვერსიაა თანამედროვე ქართულ თეატრში. ასევე აღსანიშნავი ფაქტია, ისიც რომ ასეთი მასშტაბის ნაწარმოები მინიმალისტურ ფორმებშიც მოექცა და ამით არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ღირებულება. ეს კი, რომანის ავტორისადმი რეჟისორის დამოკიდებულების შედეგია.

საბავშვო თოჯინების თეატრი „მცირე პწკალა“

მუსიკალური ცისარტყელა

სპექტაკლის დასახელება - მუსიკალური ცისარტყელა

სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი:
პიესისა და ინსცენირების ავტორი - გური ზაქარეიშვილი
წამყვანის ტექსტის ავტორი - მარიამ თათარაშვილი
რეჟისორები - დავით მაცხონაშვილი, ვახტანგ ქორიძე, დენის განაბოლინი, ელენე მაცხონაშვილი, გური ზაქარეიშვილი
მხატვარ-მეთოჯინეები - ქეთევან ძიძიგური, ვახტანგ ქორიძე დენის განაბოლინი, ნინო ხიდაშელი
კომპოზიტორები - ვ.დოლიძე, ლ.ბერნსტაინი, ვ.ა.მოცარტი, პ.ჩაიკოვსკი, ჟ.ოფენბახი, გ.დონიცეტი, ჯ.ვერდი, ჯ.როსინი, ჟ.ბიზე;

მოქმედი გმირები და შემსრულებლები:
წამყვანი - ბესო მეგრელიშვილი
მსახიობები: მალხაზ გაბუნია, მაია მალხაზიშვილი, ვახტანგ ქორიძე, ელენე მაცხონაშვილი, გური ზაქარეიშვილი

პრემიერის გამოშვების თარიღი - 2014 წლის 21 დეკემბერი;
სარეპეტიციო პროცესი - სპექტაკლის მომზადებას და რეპეტიციებს დასჭირდა 6 თვე;
დაწერილი რეცენზიები, გამოხმაურება პრესაში - პრესაში გამოხმაურება არ ყოფილა

გამოხმაურება

თამარ მუქერია

მუსიკალური ცისარტყელა

ყველამ ვიცით, რომ ადამიანის აღზრდა ბავშვობიდან იწყება, მის გემოვნებაზე, სწორ აზროვნებასა და მსოფლმხედველობაზე ზრუნვა სწორედ რომ ბავშვობის ასაკიდან მოდის. ისიც ცნობილია, რომ ბავშვობაში მიღებული ნებისმიერი გამოცდილება, ავი თუ კარგი, შემდგომ ზრდასრულ ასაკში იჩენს თავს და დიდ გავლენასაც ახდენს. ამიტომაც აუცილებელია, რომ ნებისმიერ პატარაში დადებითი მუხტი და იმპულსი გამოვიწვიოთ, ვიდრე უარყოფითი.

ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ და რა სახით მიაწვდი ბავშვს იმ ცოდნას, რაც ასე ღირებულია. არაერთი ფსიქოლოგიური ნაშრომი არსებობს ამის შესახებ და უმეტესი მათგანი თამაშისა და გართობის მეთოდს მიმართავს, რაც

თავისთავად ბავშვისთვის სახალისო, საინტერესო და ადვილად მისაღებია.

ნოდარ ანდღულაძის ვოკალურ ფონდთან არსებული საბავშვო თოჯინების ოპერის თეატრმა „მცირე ბრწკალამ“ ახალი შემეცნებითი პროექტი წარმოადგინა, რომელსაც „მუსიკალური ცისარტყელა“ ჰქვია. თეატრის ხელმძღვანელმა, კონცეფციის, სპექტაკლის სცენარისა და მუსიკალური გაფორმების ავტორმა გური ზაქარეიშვილმა სხვადასხვა ოპერიდან ცნობილი სცენები ამოკრიფა და ერთ წარმოდგენაში გააერთიანა. სპექტაკლში ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ რამდენიმე ნოველა, რომელსაც სპეციალურად შექმნილი თოჯინები წარმოადგენენ (მეთოჯინე მსახიობები: მაია მალხაზიშვილი, მალხაზ გაბუნია, ელენე მაცხონაშვილი, ვახტანგ ქორიძე. თოჯინების შემქმნელები: ქეთი ძიძიგური, დენის გონობოლინი, ვახტანგ ქორიძე, ნინო ხიდაშელი).

ამ სამყაროში ყველაფერი ლამაზია. სპექტაკლის ავტორები ცდილობენ (რეჟისორები – მალხაზ გაბუნია, ელენე მაცხონაშვილი, ვახტანგ ქორიძე, დავით მაცხონაშვილი), რომ პატარა მაყურებელს ეს კეთილი პატარა ამბები კარგად დაამახსოვრდეს და მასში, მხოლოდ დადებითი ემოცია გამოიწვიოს, ამას ყველაზე მთავარი ემატება: ნოველების ფონზე საოპერო ხელოვნების გამორჩეული ნიმუშები ჟღერს.

წარმოდგენას მთხრობელი (ბესო მეგრელიშვილი) ჰყავს, რომელიც ყოველი ნოველის წინ მაყურებელს ესაუბრება. წინასწარ ამცნობს, თუ რას ნახავენ და რას მოისმენენ. სპექტაკლი ვ. დოლიძის გუნდით იხსნება ოპერიდან „ქეთო და კოტე“ „სალამი ჩვენს მასპინძელს“, ამ ფრაგმენტით ესალმება მთხრობელი მაყურებელს.

ბესო მეგრელიშვილის გმირი ფერებსა და მუსიკის ძალაზე საუბრობს, ფსიქოლოგების დასკვნით ეს ორი რამ ადამიანზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს, ამიტომაც გ. ზაქარეიშვილმა გადაწყვიტა, მუსიკაც და ფერებიც გაეერთიანებინა და ერთგვარი მუსიკალური ცისარტყელა შემოგვთავაზა. მთხრობელი ორკესტრის მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი ტექსტი შემეცნებითი ხასიათისაა და ახალგაზრდა მაყურებელს მუსიკალურ ტერმინებს უხსნის, რას ნიშნავს უვერტიურა, არია და ასე შემდეგ. ბავშვები სპექტაკლის ნახვის გარდა ახალ ტერმინებს და მათ მნიშვნელობას სწავლობენ.

„მუსიკალური ცისარტყელის“ პირველი ამბავი მოცარტის მელოდიებით იწყება და ისმის პაპაგენოს არია ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“. ფარდა იხსნება და სცენაზე ლამაზი თოჯინა ჩნდება, რომელიც ტრიალებს. სცენის უკანა კედელზე კი ანიმაციური კადრების ფონზე ნოტებზე მფრინავი ჩიტი მოჩანს (ანიმაცია: ლევან ტულუში). მაყურებელი მაშინვე ზღაპრულ სამყაროში იწყებს მოგზაურობას.

სპექტაკლში ასევე გაისმის ფრაგმენტები პ. ჩაიკოვსკის, გ. დონიცეტის, ჯ. ვერდისა და ჟ. ოფენბახის ოპერებიდან. ამ მუსიკალურ ჩანართებს სხვადასხვა ისტორია ახლავს, რაც ძალიან სახალისოა. რეჟისორი, თოჯინების გარდა, ასევე იყენებს ჩრდილების თეატრის სპეციფიკას და წარმოდგენა უფრო მისტიკური ხდება.

სასურველია, რომ მსგავსი ტიპის სპექტაკლები ხშირად იმართებოდეს,

სადაც მშობლები თავიანთ შვილებს მიიყვანენ. ისინი ბავშვებს თეატრში სიარულს და კლასიკური მუსიკის მოსმენას შეაჩვევენ, რაც მათი გემოვნების ჩამოყალიბებასა და ფსიქოლოგიურ მხარეზე დადებითად იმოქმედებს. სკოლებისა და საბავშვო ბაღებისათვის მსგავსი პროექტების არსებობა სასწავლო პროცესის ნაწილი უნდა გახდეს, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბავშვების აღზრდა-განათლებას.

რეგიონ ოპერა

დაისი

მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფიდან ინფორმაციის მოპოვება.